

73/2

26100000



114/2

91

7

1973

გნეოთოკი



სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკის მწერთა კავშირის
და საზოგადოებრივ-კულტურული ძეგლის

წელიწადი 49-ე

№ 7

ივლისი, 1973 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლებს კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ ს ი

ზობა ბერულავა — ლექსები	3
რევაზ ჯაფარიძე — მძინვე უკვარი, რომანი, პირველი წიგნის დასასრული	6
გიორგი გუბაია — ლექსები, აფხაზერიდან თარგმნეს ზ. გაგუამ და ჟ. ჭანელიძემ	64
მიხეილ ძვლივიძე — ლექსები	65
ვახტანგ ძნელაძე — ლექსები	67
ნაზი ვეჯინა — ლექსები	68
ბაბუნ ბარბაქაძე — ლექსები	68
აკაკი ქინციბაძე — ლექსები	69
მთვარისა კერესელიძე — ლექსები	70
ალექსანდრე კუპჩინი — ევზინი ონდინი, გაგრძელება, თარგმნა ოთარ ჭელიძემ	71

კრიტიკა-და კუბლიცისტთა

ნუგზარ წაბთელი — თანამედროვის თვალთ დასახული ისტორია	82
ზურაბ ბათიაშვილი — „ნუ გუშინია, დედა“	97
ბენედიქტო ჩიქოვანი — ვინ არის მერი — გალაკტიონ ტაბიკის საბავშვო-ლო კოეფიციენტი გიორგი ძალი?	103
ლამარა აბაშიძე — ჯონ რიდი და გალაკტიონ ტაბიკი	112
შოთა ბაკაშიძე — იროლიონ ევლოვილის რეპორაჟიჟი კრიტიკა	122

გორამ ბენაშვილი — ვალერიან გაფრინდაშვილის შემოკმარებითი ანთ- ლაცია	131
სოფიო ჩოხელი — სიკვდილ-სიცოცხლის საკითხისათვის ბართულ ტურ ფოლკლორში	138



შეჯიბვები, მოგონებანი

გორის მირცხულავა — ბახხანავა	148
გიორგი ციციშვილი — მსახიობი უბრძოლველ	163

წიგნების მიმოხილვა

დ. თუხაძე — „მ. გორგი — ბართული ლიტერატურის მემკვიდრე“	189
ჯემალ სილაგაძე — ბართული ლიტერატურის სინონიმების ერთი მკვლევარული საკითხის შესახებ	191



მთავარი რედაქტორი ელგუჯა მღერაძე

საკრებულის კოლეგია:

მრ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გავაზარდაშვილი, მ. ლიზანიძე, ზ. ძღვინაძე, ა. ნაწავაძე,
რ. (პ/მ. მდივანი), ბ. ჭუბინაძე, ხ. ზანდუაშვილი, დ. ზანდუაშვილი, ვ. ვადაშვილი,
მ. მინაძე, რ. ჯანაშია, ზ. ჯიბლაძე.

ტიპოგრაფიული რ. ნაპობაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ბელაფონები: რედაქტორის — 98-55-11.
პ/მ. მდივნის — 98-55-18, განყოფილებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 10/V-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/VII-73 წ. ასაწყობის ზომა 71/4 X 12, კაღალდის ფორმატი 70 X 108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ-საგამომცემლო თაბახი 12.
№ 00115. ტირაჟი 13 300, შეჯ. 1623.
საქ. კ. ც. -ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ახალი წიგნიდან

გოგონები

როცა ეამიჭამ ძალიან მიმიძინს
და მწარე ტკივილს შევიგრძნობ უცებ,
ვიგონებ შენთა ვარსკვლავთა ციმციმს
და შენს ბობოქარ, საყვარელ ქუჩებს.

როცა ჩემს გულშიც სიხარულია
და მზად ვარ მთები ხელით ავწიო,
მე მხოლოდ შენი ხილვა მწეწურია,
რომ აღტაცება გაგინაწილო.

1972

ბავშვების სიზმარი

ქალაქი მინსკი — ქალაქი დედა,
მემატიანე უმძიმეს დღეთა.
იაგარქმნილი იმ ქარიშხალში
და ომის შემდეგ ზეზე ამდგარი,
რომ ესიზმრება: გმინვა, რიერაჟი,
ცეცხლი, ქუხილი და ნიაღვარი.

ქალაქი მინსკი — ბუნების მითი,
შეოცნებეთა სანკვიდრო მშვიდი.
იაგარქმნილი იმ ქარიშხალში,
გაუტყესელი, განა მორჩილი.
ქვეყნის წინაშე, ხალხის წინაშე
ვალმოხდილი და ძღვევამოსილი.

ქალაქი მინსკი — ცასავით ღურჯი,
ბელორუსიის მაღალი ბურჯი.
რა მასპინძელი, რა მოყვარული
სტუმართა მისთა და მეგობართა!
გალიმებული და მოხარული
ჩვენც ბულბულებს ეწით მოგვმართავს.

ქალაქი მინსკი — თბილისის მოძმე,
პარტიზანული სიმტკიცის მოწმე,
პოეტების და გმირების კერა,
მშვენიერების ამაყი ტახტი...
მე მასზე სიტყვა არ მითქვამს ჯერაც
და უკვე მისი მებოტბე გავხდი.

1973

ონი. მთები და ჩაჭვარი ქალი

თავიგული რაჭის მთების ყვავილთა
რად მომიძღუნა თვალშუქურა ასულმა?
ღმერთო ჩემო, რა დიდი დრო გავიდა!
ღმერთო ჩემო, რა აღმართზე ავსულვარ!

ახლა ვდგავარ და სრამებში ცვივიან
დროის ქარაფს მოწყვეტილი ჩქერები,
გულში მაინც ჯადოსნური სხივია
იმ ყვავილთა დაუმტკნარი ფერების.

ვიგონებ და ლამის ხელი აღვაპყრო...
მე იმ დღიდან შთაგონებად ვიწამე

რაჭველ ქალთა სათნოება საზღაპრო,
რაჭის მთათა ღვთაებრივნი სამწესწესნი
გეგლითხუთხა
1972

სიბყვა და ქალი

ზოგჯერ მთელი დამე თვალებს არა ლულავ
და ქალადზე რჩება ორიოდ ბწყარი, —
პოეზიის ღმერთი, ჩანს, გიყურებს მტრულად,
დაგმანული გზედება შთაგონების კარი.

სიტყვა ისე ჯაერობს, ტირვეულობს ისე,
როგორც ქალი, ფიქრთან დარჩენილი მარტო,
უალერსოდ მყოფი... და სტრიქონიც მისებრ
თავგანწირვას ითხოვს, ყურადღებას ნატრობს.

1972

რ ე ქ ვ ი ე მ ი

ვაუმარცოს გმირს — სიკვდილთან
მზნედ გამსწორებელს თელისა!

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ტ ა ბ ი ძ ე

საბჭოთა ქვეყნის ერთი გმირი
ალარ გვყავს, ძმანო,
იმ დიდი ომის მონაწილე,
რაინდი ფიცხი!
გარდაცვალებას იმ კაცისას
ვწუხვარ და უნანობ,
ვინც უყოყმანოდ აღასრულა
მხედრული ფიცი.

არცა ჰანგები,
ადამიანს ცრემლს რომ მოპვერიან!
არცა დროშები,
ერთი წამით დახრილი დაბლა!
გაზეთში წვრილად აწყობილი
ნეკროლოგია,
ნაცნობ-მეგობრებს რომ აუწყებს
დარდიან ამბავს.

ასე დაშორდა
სიცოცხლეს და შთამომავლობას...
მე კი მინდოდა
გავყოლოდი უთვალავ გვირგვინს,
და ნეკროლოგზე
მოეწერა ხელი მთაფრობას,
და საპატიო ყარაულშიც
მდგარიყო იგი;

მინდოდა, ზეცა შეერხია
სალუტის ქუხილს,
გვარდიის ორკესტრს ვგრილა
მშვიდობის მარში.
გმირთა პანთეონს დაჰფენოდა
სალამოს მწუხრი
ფალიაშვილის უსათუთეს,
ჯადოქრულ ხმაში.



მერე სამშობლოს
 უმადლესი ბრძანებულებით
 შავი ზღვის სომალდს
 შორს წარედო სახელი მისი,
 განსაცდელის ჟამს
 თავდადებით, გაბედულებით,
 ეინც დაამტკიცა
 უკვდავების რომ არის ღირსი.

...წავიდა ჩვენგან
 ბრძოლის გმირი და მოხალისე,
 ხალხის ხსოვნაში დარჩენილი,
 ვით საოცრება.
 და მიდასტურებს,
 მიდასტურებს დიდი სვალისდღე,
 რომ საქართველო აღასრულებს
 შეილთა ოცნებას!

1972

ქოღსუნი ზაზიჩეა

აგვისტოს თერთმეტი
 შავად გაგიოთენდა, ბიჭო,
 ერთხელ დაიძახე მხოლოდ
 „ვაი დედა“, ბიჭო,
 სვანეთის კლდეებში
 ლაღად ნატარებო ბიჭო,
 როგორ ჩაუვარდი
 დაძრულ მატარებელს, ბიჭო!

ოდერზე ნაოზარ
 მამას რაღა ტოვებ, ბიჭო,
 შეპყურებს შენს მტირალ
 ძმას და თანატოლებს, ბიჭო,
 და გული უკვდებო
 შობილს ჯარისკაცად, ბიჭო,
 მამიდამ ლოყები
 სულ მთლად დაიკაწრა, ბიჭო!

ოცდაორ წელიწადს
 ძლივს გადააბიჯე, ბიჭო,
 უეცრად დაწორდი
 ერთგულ ძმადნაფიცებს, ბიჭო,
 ძველები იტყოდნენ:
 მუზა წაიქცათ, ბიჭო,
 მასწრალო, კეთილო,
 მუდამ საფიცარო ბიჭო!

შენზე დაღვრილ ცრემლით
 მიწა გაიქედინთა, ბიჭო,
 დედა დაილალა,
 სატრფო გაირინდა, ბიჭო,
 ასე ადრე მკლავი
 როგორ დაგიმიწდეს, ბიჭო,
 შიდისარ, ზუგდიდი
 ველარ დაგივიწყებს, ბიჭო!

1972



მეჩუე ჯვარი

რომანი

წიგნი პირველი

X XVI

მეორე კვირა მიიწურა, რაც თავისი რაზმითურთ აწყურის ციხეში დარჩენილი როსაფ მაჭავარიანი მეფის მიერ ახალციხიდან გამოგზავნილ კაცს ელოდა. თუ მშვიდობა იყო, მეფეს ხმა აქამდე უნდა მოეწვდინა. სასურველი ამბის მიღება და ციხიდან დროით გამოსვლა მით უფრო საშურო და ვადაუდებელი ჩანდა, რომ მეფის მცველი რაზმის წევრებსა და მეციხოვნე იანიჩრებს გაუთავებელი ჩხუბი და უთანხმოება მოსდიოდათ. დევივით მოსულ, მტრის თავზარდამცემ ჭარმაგ ვაკეაც როსაფ მაჭავარიანს, ერთი ხმამალალი შემოძახებით რომ ცაში ფრინველს დაარტყანებდა, ღამ-ღამობით კურდღლის ფრთხილი ძილში ეძინა. სხვა დროს, იქნება ღმერთი იწამონ და ჩემი ხათრი შოიღონო, მოუშორებელიე მეომრებს შორის ტრიალებდა. ჩხუბი და კინკლაობა ხანდახან გახურებულ მუშტი-კრივში გადაიზრდებოდა ხოლმე. ლეკები და ასკერები განზე იდგნენ, მიწვე-მოწვევაში არ ერეოდნენ და მხოლოდ სეირს უყურებდნენ. ხან ერთი მხარე რჩებოდა ცხვირპირდასისხლიანებული და კბილებჩაღე-

წილი, ხან მეორე. როსაფი შიშობდა, საქმე იარაღზე არ მისულეყო და ამ ოჯახჭორებს ერთმანეთი არ ამოეულიათ. რის ერთმანეთი! თუ საქმე გაუპირდებოდათ, ჩხუბისთავ იანიჩრებს აქამდე განზე მდგომი ასკერები და ლეკებიც მიეშველებოდნენ და იმერელთა მცირე რაზმისაგან ამბის წამლებიც ვეღარავინ გადარჩებოდა.

ჩხუბის ერთადერთი მიზეზი თუ საბაბი ამიერ თუ იმიერ ქართველთა სხვადასხვა სარწმუნოებრივი აღმსარებლობა იყო. მუსულმანი იანიჩრები თავიანთ ქრისტიან თანამოქმეთ პასკის ჭვარსა და ღვთისმშობელს უფინებდნენ. იმერლები, მათ გამოსაჩავრებლად და სამაგიეროს მისაზღველად, ურებში თითებს იცობდნენ და ზიზლით აფურთხებდნენ, როგორც კი სოფლის მინარეთიდან, წყალგაღმა, მეუძინის გულშემზარავი და ძარღვებში სისხლის გამყინავი ყივილი შემოესმოდათ. არც ერთ მხარეს არ შეეძლო თავისი ღმერთის შეურაცხყოფა აეტანა და ჩხუბი და აყალმაყალიც უწყინარ ლაზღანდარობასა და ურთიერთ დამცირებას მოსდევდა.

თიბათვის პირველს, სულიწმიდის მოფენის დღეს, ციხის კარს ახალციხის მხრიდან მომავალი მხედრების კარგა მოზრდილი ჭგუფი მოადგა. მხედრები

ერთხანს კართან აყურყურტეს, ვიდრე გოდოლზე ვადმომდგარმა შვირმა წინაღამის ნაჭეიფარი ციხის მოურავი არ იპოვნა, რის ვაივავლახით არ გააღვიძა და გულისხმაში არ ჩააგდო.

მოსულ იანიჩართა შორის, რომელთაც ფაშა ჰაჯი-აჰმადის ბრძანებისამებრ, იმერლებს რაზმი მეფის სადგომამდე უნდა მიეცილებინათ, ერთ-ერთი თვით როსაფ მაჰაჯარიანის ყმა გორისელი გლეხი ბაჰუა სოფრომამე აღმოჩნდა. ბაჰუას თავისიანები გარს შემოეხვივნენ. ყველას მოუთმენლად სწყუროდა შეტყობა, თუ რა შედეგი გამოიღო ახალციხეში ფაშასთან მოლაპარაკებამ, ვერო კი შინ უპატრონოდ დაგდებული ქალაბის ჯავრი აწუხებდათ და გული ელეოდათ, როდის გადაიწერდნენ პირჯვარს და შინისაკენ მიმავალ გზას როდის გაუდგებოდნენ.

მახლობელ ნაძვარში დილაადრიან გუგულმა დაიძახა. ერთ გუგულს მეორეც წამსვე გამოეხმაურა წყალგალმა ბუჩქნარიდან. ატყდა ერთი „გუ-გუ“ და „კაფე-თესე!“ გუგულის მოფრენა ჯერ აღრე იყო. წლის მოსაველიც, თუკი ვინმეს რამე ჰქონდა დათესილი, უთუოდ აღრიანად შემოვიდოდა. ნეტავი იმ ბედნიერს, ვინც ამ სისხლის წვიმებში მარცვლის მიწაში ჩაგდება მოასწრო და შინ მისულს დათავთავებული ჯანა დახედებოდა!..

მეფის დანაბარები მოისმინა თუ არა, როსაფ მაჰაჯარიანი უმალ ციხის გაღვანში გამოვიდა და ორიოდ ქუნწი სიტყვით, როგორც ყოველთვის სჩვეოდა, თავის ხალხს სასიხარულო ამბავი აუწყა: მეფე სოლომონი ურუმის დიდძალი ჯარით ბრუნდებოდა სამშობლოში! გზა აჩვერად ზეკარის უღელტეხილისაკენ ედოთ, კავკასიხიზე, რომლის იქითაც, ხანისწყლის ხეობაში, იმერთა მეფის საბატრონო მიწები იწყებოდა. მაჰაჯარიანი გზაწვრილებით ივლიდა და ახალციხიდან წამოსულ მეფეს ოცხეში დახედებოდა, ხოლო თუ ვინიციობაა, დანიშნულ ადგილზე დაგვიანებით მივიდოდა და მეფე გაასწრებდა, იქ ცხე-

ნიდანაც კი არ უნდა წამომხდარიყო, მაშინვე ზეკარის ციხაბო აღმართებს უნდა ასდგომოდა და იმერეთში მიმავალ საექსპედიციო კორპუსს თვით უღელტეხილზე მაინც დასწვოდა.

ამის გამგონე იმერელმა მოლაშქრეებმა კიდევაც გაიხარეს და ამავე დროს გული ნალველითაც აევსოთ.

— ახლა კი ამოვლენ ჩვენს ობტში, — ჯავრიანად თქვა ერთმა და კბილები გააკრაქუნა. — ვაი, საწყალო ჭვეჯანავი!..

— ამათ ტაბტის ჯავრი აწუხებთ, — დაეთანხმა მეორე. — ახლა უბედურ გლეხს კითხე!.. ღმერთო, ნუ გაახარებ ჩვენ ორგულს, მეფეც წყალს გაატანე და სულთანიც, ორივე საწყალო გლეხის სისხლის მწოველია!

— გაჩუმდით, ბიჭო, — ჩაერია მე-სამე. — როსაფმა არაფერი გეიგონოს, სიცოცხლე მოგწყინდათ, თქვე პატრონ-ძაღლებო?

— ხახვი არ დამაპრას ყურებზე! გეიგონოს თუ არა, ჯერ არ გოუგონია. ვაი... — და გლეხმა უწმაწურად შეიგინა.

ქრისტიანეთა შორის გზა-კვალის მცოდნე ვერავინ იპოვნეს. საიმედო მეგზური ისევ იანიჩრებში უნდა გამოეჩვენათ. მეგზურის ძიებამ გვარიანი დრო წაიღო. ციხის მოურავს ჯერ კიდევ არ გამოწვრილებოდა გუშინდელი სიმთვრალე, ძილღვიძილში რალაც გაუგებარს ბლუკუნებდა და როსაფი მიხვდა, რომ ამისაგან რაიმე დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა.

გასვლა მხოლოდ ნაშუადღევს მოხერხდა. მზე, მართალია, გადაბრილი იყო, მაგრამ მაინც საშინლად ცხელოდა. ცხენსა და კაცს ოფლი წურწურით მოსდიოდა. ვიწრო ბილიკი უდაბურ კლდე-ღრეებში მიიკლაკებოდა და წალიკ-წალოკ მიმავალი ცხენოსანთა რაზმი იმ სიგრძეზე გაიქიმა, წინა მხედარი უკანას ველარ ხედავდა. გზაზე, თუ ამ ბილიკსაც გზას დაუძახებდი, პირის გასასველებელ წყალს ვერსად გადაეყარნენ. სოფელ ელიაწმიდაში შესვლამდე

ექვსი ცხენი დავარდა. სხვა რაღა ღონე იყო, მხედრები მყარალი გინებითა და ბუზლუნით ჩამოქვეითდნენ და თავიანთი ბარგიბარხანა სამადლოდ სხვა ცხენებს აკიდეს.

ღამით სიცივემ მოუჭირა, ქვენა ქარიც ამოვარდა და ღაღოს მთებიდან საწვიმარი ღრუბელი წამოვიდა. ელიაწმიდაში წყურვილი მოიკლეს, პირუტყვი დაარწყულეს, წყალი მოიშრაგეს, სოფლიდან გავიდნენ და, რაკი უკუნ სიბნელეში გზის განგრძობა თანდათან შეუძლებელი გახდა, ნაბდის კარვები ტრიალ მინდორში დასცეს. ის იყო, შიგ შევიდნენ, ქარმა საშინლად იმატა. ირგვლივ სილას ხვეტდა და კარვებს ზედ აყრდა. როსად მაქავარიანმა მთელი ღამე ფეხზე გაატარა, თვალი არ მოუხუჭავს. ბანაკს გარეშემო უვლიდა და წამდაუწუმ ცის დასავალს აკვირდებოდა, სადაც მთასა და მთას შუა, მისი ეარუდით, სამცხის უძველესი ნაქალაქევი ოცხე უნდა ყოფილიყო. ქარმა ღრუბელი გადარეკა. მთელი ღამე ელავდა. მაგრამ ციდან ერთი ცვარიც არ ჩამოვარდნილა. ეტყობა, ვადაღმა, იმერეთში, წვიმდა და აქამდე მხოლოდ გრუხუნნი და ელვა აღწევდა. ამინდი სწორედ უდროო დროს შეიცვალა. ნიაღვრები გზას დახრამავდა, ალაგ-ალაგ კიდევაც ჩააქცევდა და საექსპედიციო კორპუსის წინსვლას უთუოდ დააბრკოლებდა. სხვებზე მეტად მეზარბაზნეებსა და ალალს გაუჭირდებოდა — მეწყრებსა და შვავეებში ზარბაზნები და ურმები ციხეში უნდა გადაეტანათ და ყუმბარებით დასაპალნებელი ცხენებიც ბეწვის ხილზე გაეტარებინათ.

მამლებმა რომ შესამედ იყვილეს, ცან მტრედისფერი შეეპარა და ინათლა. ირგვლივ კვლავ სქელი ნისლი დაბორიკალებდა. გზის გაგნებას ასეთუ ისე უკვე მოახერხებდნენ. აქ ახალმა დაბრკოლებამ იჩინა თავი. გამყოლმა იანიჩრებმა უკან გაბრუნება მოინდომეს. ოცხე ახლა ახლოა, პირველივე მდინარის ხეობას აღმა აპყევით, ნურსად გადაუხვევთ და ციხე და ნაქალაქევიც შე-

მოგხედებათო. ვითომ მართლა ასე იყო? მაქავარიანმა არც ერთს ვერ დაართო უკან დაბრუნების ნება, მარტო მუხიარებული გასამრჯელო მოუმატა. დაემუქრა, თქვენი ყალთაბანდობის ამბავს, იცოდეთ, სანჯაყ-ბეგ რუსტამს ვაცნობებო. სანჯაყ-ბეგ რუსტამის სახელის ხსენებამ სასურველი შთაბეჭდილება მოახდინა. იანიჩრებმა მეტი წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ გაბედეს, ერთხელ კიდევ უბატიურად მოიხსენიეს ქრისტიანების პასკის ჯვარი და ღამის სიცივით საცოდავად აბურძგნულ ცხენებზე შესხდნენ.

— დააკვირდით, კვალი თუ არის რამე! — უბრძანა წინ მიმავალ ორ იანიჩარს როსად მაქავარიანმა, როდესაც დაუმუშავებლად მიტოვებული ყანის ბილიკიდან საქარავნო გზაზე გავიდა და ცხენი სადავით შეაყენა.

კვალი რასაკვირველია, იყო, მაგრამ ჯარის კვალს არა ჰგავდა. მალე მთელი რაზმი აქაურობას მოეფინა. მეფე სხვა გზით ვერ წამოვიდოდა. თუ უკვე გავლილი იყო, პაემნად დათქმულ ოცხეში მხოლოდ ამ ერთადერთ გზას უნდა მიეყვანა. თვით ოცხეში, რომელსაც სულ მალე მიაღწიეს, ნეფე სოლომონისა და სანჯაყ-ბეგ რუსტამის სარდლობით იმერეთს მიმავალი მხედრობის თაობაზე არაფერი იცოდნენ. წინა დღეს გაველო ვიღაც ორ დიდებულს, მგონი როსტომ რაჭის ერისთავის ვაჟებს, გიორგისა და მეთოდეს და მათ რამდენიმე მხლებელს. მაქავარიანი გააკვირვა ამ ცნობამ. იანიჩრები უთუოდ რაღაცას ურევნო, გაიფიქრა, ვიღაც გადამთიელნი ერისთვიშვილებად მიუღიათო. როდესაც ჩაეძინა, ოცხელმა მეციხოვნეებმა გიორგი სარდლისა და ნაბერალ მეთოდეს ტანსაცმელი და გარეგნობა აუწერეს, ისიც დასძინეს ნათქვამს, ამ ერთი კვირის წინ მძებმა ზეკარიდან ჩამოიარეს და ახლა იმავე მხლებლებითურთ უკან გაბრუნდნენო. თან ორმოცი სული ტყვე ჰყოლოდათ, ქალი და კაცი, სულ დარჩეული ახალგაზრდები. ტყვეები, ალბათ, ახალციხეში

დაყიდეს, ან მწყალობელ ფაშას ქრთამად მიართვეს. როსაფ მაქავეარიანმა მხრები აიჩეჩა და ხელეები გადაშალა. სამწუხაროდ, აქ უფრო დაწვრილებითი და სარწმუნო ცნობების მოცემა არავის შეეძლო.

იმ დღემ და მეორე დღემაც ლოდინში გასტანა. როსაფმა რაზმი მდინარის პირას დააბანაკა და მზირები დააყენა. ბიჭებმა ცხენები გარეკეს საძოვარზე, სხვებმა ფეხთ გაიხადეს, შარვლები ამოიკარწყახეს, წყალში ჩადგნენ და თევზაობა დაიწყეს.

აქაური მეციხოვნე იანიჩრები აწყურლებივით მტრულად არ მოჰყიდებიან თავიანთ ქრისტიან თანამომძმეთ. პირიქით, ლუქმას სთავაზობდნენ, ჰქედილა აჩუქეს, შემდეგ ორი სასროლი ბადეც ათხოვეს და აღზევნიდან ჩამოტანილი ქვა-მარილის უშველებელი ნატეხიც უწილადეს. იმერლებს ჰქედილა არ დაუჟღავნებდნენ. პეტრე-პავლეს მარხვა ახალი დამდგარი იყო და ცთუნებას ხომ ვერ აყვებოდნენ. ბადეს იმდენი თევზი მოჰყვა, ველარსად დაეტიათ. ასხმარტალეზულ მკლავის სიგრძე კალმახს იქვე შიგნავდნენ და თხილის წვრილ-წვრილ შამფურებზე აგებდნენ. საღამოს მწყემსებმაც მოატანეს საძოვრიდან, ცხენები სახელდახელოდ გამართულ საჩხეში შერეკეს და მეფურ ვახშამს აველა ერთად შემოუტახდა.

აქ მოსვლის მესამე საღამოს რაზმის წევრებს და მეციხოვნე იანიჩრებს უკმაყოფილება მაინც მოუვიდათ. ამჯერად უკმაყოფილებაში როსაფ მაქავეარიანიც ჩაერია და საქმე უსისხლოდ როდი გათავდებოდა, თვით იანიჩრებს რომ არ დაეხიათ უკან და შეთანხმების გზა არ გამოენახათ.

სწორედ ვახშამად დასხდომის წინ მზირებმა უღელტეხილის მხრიდან აქეთ მომავალი ცხენოსანთა და ქვეითთა ჯგუფი დაინახეს. ჯგუფი ცოტათი შეყოვნდა მდინარეზე გადმოსვლისას და ახლა ზღაზვნით მოემართებოდა გამომდინარე ნაპირზე. როსაფმა კაცი გაგზავნა უცხო მგზავრების ვინაობის შესა-

ტყობად. გაგზავნილი კაცი მალე შობრუნდა და გულისამრევი ამბავი მოიტანა. ვილაც თავზეხელაღმართულ მგზავრებს ბორკილებდადებული ათი სული ქალი და ბავშვი მოჰყავდა ახალციხის ტყვეთა ბაზარზე გასაყიდად. მოგვიანებით ისიც გამოირკვა, რომ ორი დღეაშვილი ავაზაკებს ლევან აბაშიძის მოურავ ესტატე ფალავანდიშვილისაგან ეკიდათ ჩხარში, სხვები კი სათითაოდ მოეტაცათ წისქვილიდან, სათხორიდან და სამწყემსურიდან.

როსაფ მაქავეარიანი ზეზე წამოვარდა და გაცეცხლებული გაექანა მგზავრებზე შესახვედრად. იქ, ალბათ, უბედურება დატრიალდებოდა, მეციხოვნეებს რომ დროზე არ ეახრათ, რაც ხდებოდა და რკინის გალიიდან გამოვარდნილი ნადირივით მძვინვარე მაქავეარიანს არ დასდევნებოდნენ.

ტყვეების პატრონები მკეახედ დახვდნენ როსაფს. ერთი დაპირება იარაღის ხმარებაც კი დააპირეს. იარაღის სუსური აგრე არ უნდაო, ახალუხისამარა როსაფმა სატევეარი იშინვლა და პირველივე მხედარი ცხენიდან გადმოავდო.

— მომკლა ამ ურჯულომ! — იღრიალა კბილებამდე თოფ-იარაღსა და ვაზნებით გატენილ ფალასკეებში ჩამკლარმა შავწვერა ვაჭკაცმა და ქვა-ლორლიან გზაზე ზღართანი მოადინა.

— შე ვარ ურჯულო? გაწყდა თქვენი სინსილა!..

როსაფი მთლად გაცოფდა. ქალები აკეულდნენ, გვიშველეთ, ვინა ხართ ქრისტიანიო, ბავშვებმაც ტირილი მორთეს და ერთმანეთში აირივნენ. ეს გოლიათური აღნაგობის კაცი, როსაფ მაქავეარიანი, ტყვეებმა უთუოდ ყაჩაღად მიიღეს და ხელეები რომ შებორკილი არა ჰქონოდათ, ვინ იცის, თავიანთი დამლუპველების მხარე დაეკირათ და ის ქვეებით ჩაექოლათ...

იანიჩრებიც ამ დროს მოიპრნენ სწორედ და შინისაგან გულგახეთქილი მეორე მხედარი, რომელსაც ველარც უნებლად გადარჩენილ მესამე ამხანაგივით დაქვევა მოხებრებინა და ვე-

— ვის, ვის სწირავენ მაღლობას?
 — ღმერთს, ბატონო...
 — მაგათი ღმერთიც და შენი... —
 ბეგმა კბილები დაკრიჭა, მათრახი ასწია, აზნაურისათვის ბეჭებში უნდა გადაეწნა, მაგრამ უცებ იმის გაჩერებულ თვალებს წააწყდა და სულ უკანასკნელ წაას ხელი დაუშვა. — აქ ვის ელოდები, ურჯულო ძაღლო?

— ჩემ მეფეს, ბატონო, — უდრტვინველი მშვიდი ხმით მიუგო როსაფმა. შუბლსა და მოკლედ შეკრეპილი ჰალარა წვერით დაფარულ სახეზე მას კაციშვილის ფერი აღარ ედო. არავინ უწყობდა, ლაგამს როდის გაგლეჯდა და საშინელ ცოდვის კითხვას როდის დაატრიალებდა.

— ჰმ, მეფეს!.. — ჩაიცინა ბეგმა. — იქნება ბედნიერი სულთნის კანონების უგულვებელყოფაც იმ თქვენმა მეფემ გიბრძანათ?

— ბედნიერი სულთნის კანონებთან ჩვენ რა ხელი გვაქვს, ბატონო, ყაჩაღები შევიბყარით და...

ბეგმა ისევ შეაწყვეტინა:

— ხმა! კრინტი! ყაჩაღები!.. ვინდა, მაგ შენი უბედობით თვალები ამიხვით? იცი თუ არა, რომ ყველა, ვინც ხელს უშლის ტყვეებით ვაჭრობას, იმპერიის კანონებს უგულვებელყოფს? იქნება არ იცი? თუ მართლა ასეა, ამ დღიდან იცოდე, არა და საქმე ჩემთან გექნება, ყოველთვის კარგ გუნებაზე არ შეგხვდები!..

ესა თქვა ბეგმა და განკარგულება გასცა. ტყვეთა მსყიდველებს დაუბრკოლებლივ განეგრძოთ გზა ახალციხისაკენ. ხოლო თავისიანებისა და ქალების წინაშე უზომოდ დამცირებულ როსაფ მაქაეარიანს კი უბრძანა რაზმი შეეკრიბა და ახლავე უკან გაჰყოლოდა.

შეშინილით, წყურვილითა და შორი გზის გამოვლით არაქათგამოღეული ბავშვები და ქალები აქამდე სულგანაბული უგადადნენ ყურს კაცების მოლალფარდოვან სიტყვიერ კენწლაობას. ხან ერთს მიაჩერდებოდნენ, ხან მეორეს, გაგებით კი ვერაფერი გაეგოთ.

ბეგის ბრძანებამ ქალებს თვზარი დასცა, რადგან ამ წუთამდე ეუელოს რაღაცის იმედი ჰქონდა. ქალებმა ტანჯილი და გოდება მორთეს. სახეს იმოკლნენ, თმას იგლეჯდნენ, თავ-პირში მჭილებს იშენდნენ და გულშემზარავი კივილით მთელ ხეობას იკლებდნენ. ამით მოთქმას დაფეთებული ბავშვების ზღუქენი და ხავილი შეუერთდა. ტყვეებმა, თითქოს წინასწარ ვინმეს დაერიგებინოს, ხელები აღაპყრეს, თავისივე სიჩაუქითა და ძალაუფლებით მოზიბლულ ბევს გზა გადაუღობეს. ცხენს ფეხებში ჩაუფარდნენ და ხვეწნა-მუდარა დაიწყეს. თუ შენც ადამიანისშვილი ხარ, თუ ღედის ძეძუ გიწოვია, თუ შინ გულით საყვარელი დაგიტოვებია, მოგვხედე, შეგვიბრალე, ჩვენს ტანჯულ მიწა-წყალზე დაგვაბრუნე, აგრემც შემოგვევლებითო. არაფერმა გასჭრა. ბეგი კიდევ უფრო გაეკრბდა და მთელი თავისი რისხვა ისევ შუა გზაზე გახვეებული როსაფ მაქაეარიანს დაატეხა:

— აქ რაღას უდგებარ ურჯულო ძაღლო, შენს ველურებს ვერ მოაგროვებ და ცხენზე ვერ შეჭდები?

— მე უკვე მოგახსენე, ბატონო, — კვლავ დინჯად და გასაოცარი თავშეკავებით მიუგო როსაფმა, თუმცა ეტყობოდა კი, რომ ეს მისი უკანასკნელი თავშეკავება იყო, წამიც და გულში ჩაგუბებული მდულარება ნაპირებს გადმოხეთქავდა. — მე უკვე მოგახსენე: აქ ჩემი მეფის მობრძანებას ელოდები. სანამღი იმისი განკარგულება არ მომივა, აქედან ცოცხალი თავით ფეხს ვერ მოვიცვლი. ჩვენში ამისთანა უმცროს-უფროსობის წესი გვაქვს...

ეს დაძაბული შესიტყვება, ვინ იცის, რით დაბოლოვდებოდა, უცებ ეღაცას მთელი ხმით რომ არ დაეყვარა:

— ხალხო, მეფე!..

ყველა შეკრთა, გაისუსა და იქით გაიხედა, საიდანაც ეს მესხეთე დღე იყო, როსაფ მაქაეარიანის კაცები მეფე სოლომონისა და სანჯაყ-ბეგ რუსტამის წინამძღოლობით იმერეთში მიმავალ მარბიელ ლაშქარს მოელოდნენ.

კოკმაღალ ზერდაგზე ამხედრებულნი იპერთა ახალგაზრდა ბატონი მართლაც უახლოვდებოდა მისი მოულოდნელი გამოჩენით უცაბედად ხმაგაკმენდილ ხალხს. განუყრელი შავი ნაბადი სოლომონს გვერდზე მოეგდო, ტანთ კი ლურჯი მათდის ყურთმაჯებიანი კაბა ეცვა. შიგნიდან ოქროსფერი სირმით გაწყობილი ქულაჯა მოუჩანდა. წელზე ეკიდა გელათის აკადემიის დიდ დარბაზში გოლა-ფაშას მიერ ნაბოძები მოკლე ხმალი, თავზე კი ისევ ოქროს სირმეებით დაბლანდული, ნიკაპქვეშ თასმით შესკენილი ოთხკუთხა ფაფანაკი ეხურა. წვერმოწვებულ გამხდარ სახეზე სიფითრე გადაჰკრავდა. მისი ღრმა, ფიქრში წასული ნაღვლიანი თვალები გულთამხილავს ყველა გადატანილი მწუხარების, იმედის გაცრუებისა და გაურკვეველი ზვალინდელის დღის სამწუხარო ამბავს მოუთხრობდნენ.

მეფის გამოჩენით იმედმოცემულმა, როსაფშა ტყვეებსა და თავისიანებს უსიტყვოდ ანიშნა, დაიჩოქეთო, ფაფანაკი მოიშვლია და მარჯვენა მუხლი მიწას შეახო. ფეხზე მხოლოდ იანიჩრები დარჩნენ. ბეგის ქურანა ცხენი ოქროს ლაგამს ხრავდა, ფეხებს ერთ ადგილზე მოუსვენრად ინაცვლებდა.

მეფემ მარჯვენა ხელი ასწია, ყველას მიესალმა და ცხენი შეაყენა.

— ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგაკლავს!.. — ერთად და არეულ-დარეულად უხასუხა ხალხმა.

— რა ამბავია, რა ხმაური იყო, ვინმეს ხომ არაფერი უქირს? მოგვიახლოვდი, როსაფ!

მაჰავარიანი წამოდგა, მუხლი შეიბერტყა და მეფეს ეახლა.

— გვიპასუხე, კაცო, რას გაჩუმებულხარ?

მაგრამ უცხოეთის ტყვეთა ბაზრებზე გასაყიდად აქ პირუტყვივით მორეკლმა უმწყო ადამიანებმა, რაკი თავიანთი ქვეყნის მეფე-ბატონი ახლო დაიგულეს, როსაფ მაჰავარიანს პასუხის გაცემა აღარ დააცალეს, წამოცვიდნენ,

მეფეს გარს შემოეხვივნენ და თვით აუწყეს თავს დამტყდარი გაჭრელება.

მეფე პირქუშად ისვენდა სახე უფრო და უფრო ეღრუბლებოდა და უბედურ მახეწართ თვალებს არიდებდა. ბოლოს, მარჯვენა ხელი ასწია, ამით მოხოვნელები გაჩუმდა და მათ მაგიერ მხოლოდ მაჰავარიანს მიმართა:

— ჩვენ არაფერი შეგვიძლია, როსაფ. შენ კარგად იცი: ხონთქრის ბრძანებას ვერ გადავალთ...

მეფეს სიტყვა არც კი დაემთავრებინა, რომ ვიღაც ტანისაპოს შემოფლეთილმა ახალგაზრდა დედაკაცმა, რომელსაც ძუძუზე აგრეთვე ძონძებში გამოკრული თოთო ბავშვი ეკიდა, შეშლილ სახეზე ბლუჯა-ბლუჯა ჩამოხრილი დაწიწკნილი თმა უკან გადაიყარა, სოლომონის ცხენს ლაგამში სტაცა ხელი და გახარებულმა, რომ აქამდე მოაღწია, დაიყვრა:

— მეფე, ხომ მიცანი? ჩვენ ვართ, მე და ჩემი შვილი!..

ქალს მაჰავარიანის კაცები მისცივდნენ, ხელი სტაცეს, უჩიკავეს, შეეცადნენ, გზა გაეთავისუფლებინათ.

— გიოწი იქით! ვინ ხარ... გედირიე შენ?

უბედურმა შეატყო, ახლა კი მართლა ეიღუბებო, უკანასკნელი ძალ-ღონე იხმარა, გაიწია, გამკავებლები მიფანტა მოფანტა და მეფის ცხენის წინ მუხლებზე დაეცა, თან ცხარე ცრემლს ღვრიდა და აღნავლებულ პირშოს გულზე იკრავდა. — შემომხედე, მეფე... მართლა ვერ მიცანი, შე უღმერთო? ოკრიბა აღარ გახსოვს? ყურსები... ოქრუა ბრეგვაქე...

სოლომონმა იცნო, ცხენზე ტყვიანაკრავივით შეტოკდა და ორივე ხელი სახეზე აიფარა. ეს ხომ ის იყო, ურსებელი ოქრუა ბრეგვაძის ყმაწვილი რძალი, საწირეში მიმავალ მეფიონს გზაზე პურმარილი რომ გამოუტანა. მას, იჭაურობაც აუკლიათ, ოკრიბამდე მისულან. ვაი, უბედურო, ვაი, დაღუბულო ქვეყანაე!..

სოლომონს არ გაუგია, გონწართმეული ბურუსში რამდენ ხანს დაცურავდა.

თვალეები რომ გამოახილა, გზა უკვე თვისუფალი იყო. ციხის მხრიდან ერთადერთი ქალის კვილი და სასოწარკვეთილი წყევლა ისმოდა:

— გრისხოს გელათის ღვთისმშობელმა!.. არ მიხვედი სახლში ცოცხალი!.. არ გეიხარო ჩვენი ცოდვით!.. არ გელირსოს მოსვენება!..

მეფემ სადავე მოუშვა, ცხენი დასძრა, განზე გამდგარ თავის კბილა ბეგს, შორიახლო რომ კვიმატად აღევნებდა თვალს, რა მოხდებოდა, გვერდი უბრად აუარა და გზა ხეობაში მარტოღმარტო განაგრძო.

X XVII

ხშირ ნაძენარში დაღამებამდე იარეს. გზა ადგილ-ადგილ ჰკვეთდა მთის გიე მდინარეს და ფლატეებს მისდევდა. შემდეგ ტყეც უკან დარჩა. წინ თხელი ნისლით დაფარული საძოვრები და კოკისპირული წვიმით ჩამოდევნილი სალი კლდეები მოჩანდა. სერებზე აქა-იქ მწყყმსების ნახევრად ფიცრულ, ნახევრად ქვითყირით აშენებულ სადგომებს დაინახავდი. ეს სადგომები უხსოვარ დროს მიეტოვებინათ და დღეს კაციშვილმა აღარ იცოდა, ვინ და როდის ააშენა, ანდა ვისი საქონელი ძოვდა აქ ზაფხულის პაპანაქებაში. წვიმიანში ნავარგები ლორთქო ბალახი თვალგასახარად ბიბინებდა. ცხენებმა თავი წაართვეს მხედრებს. მონატრებულ მსუყე საძოვარს შეესივნენ.

ურუმის ქარი ახალ დაღამებულზე ზეკარის კლდეებში მოგროვდა. ზემოდან ძალიან ბევრი ჩანდა. ვაი იმ ქვეყანას, რომელსაც ეს უზღვავი მკვლეელი და მტაცებელი შეესივდა! ტყიდან, თითქოსდა ქვესკნელიდან, კიდევ და კიდევ ამოდიოდნენ შევანბლიანი დიდოელი ლეკები, ჭრელი ჩალმით თავგაქრული ტანმორჩილი ასკერები და ჯერ ისევ ჩაქურდიანი იანიჩრები, ამოდიოდნენ და მწყვანე ბალახით ზურმუხტივით მოხასხასე კალთებს ავსებდნენ.

ქედის თხემზე სამი მსუბუქი ზარბაზანი ამოავორეს. შემოდმართში მძიმედ

დასაპალნებული ალალი მოიზღაზნებოდა. ისმოდა ყვირილი, ბრძოლვინება და შეძახილები. რკინის ტაბურეზიან უღელში გაბმულ ხარებს უჭირდათ ციკაბოზე ტვირთის ამოთრევა. დაუქედავი ცხენებიც ვაივაგლაზით იკიდებდნენ ფეხს კლდოვან ბილიკებზე.

ომის წინასწარ შედგენილი გეგმის თანახმად ზეკარის კლდეებში საექსპედიციო კორპუსს ღამე უნდა გაეთია, თავი უნდა მოეყარა და იმერეთის თავდაღმართებს დილაადრიან დასდგომოდა. გზა აქეთაც ბევრი რჩებოდა გასაველელი. მომდევნო დღის ბოლოს კორპუსი კაქასხიდს მიიღწევდა და იქ უკან ჩამორჩენილ ალალს და ზარბაზნებს მოუცდიდა. ღამეს კაქასხიდთან და თხმელისციხის მიდამოებში გაათევენდენ, თიბათვის შეიდს კი, გარიყრაყზე, ალაპი უნდა ეხსენებინათ და თუ ყოვლის მხილველი მაღალი ღმერთი ხელს მოუშართავდათ, ბაღდადში შევიდოდნენ. იქ საომარი, რასაკვირველია, არაფერი იყო. ურუმის ქარს წინააღმდეგობას არავინ გაუწყევდა. ბაღდადიდან გასულ მარბიელთა ერთი შტო ვარციხეს დაეცემოდა და შეთქმულთა მოთავეებს სასახლეშივე შეიპყრობდა, ხოლო მეორე, დიდოელ ლეკთაგან შემდგარი, მარჯვნივ მოუხვევდა, სვირში, მდინარე ყვირილას პირზე, წინასწარ ჩასაფრებულ ქაიხოსრო აგიაშვილსა და წულუკიძეებს შეუერთდებოდა და რამდენიმე საათის შემდეგ ჯერ ქალატყეში და მერე კაცხში გაჩნდებოდა. ახლად შეკეთებული ქალატყის კოშკების და კაცხის ბუდის მოშლით ლევან აბაშიძე ფეხის მოსაკიდებელ ადგილს დაჰკარგავდა და, თუ მოთარეშეთა ხელიდან დასხლტომას მაინც შესძლებდა, დროებითი თავშესაფარი სხვაგან, ძნელად მისაწოდებ მგზობლებში უნდა ეძია.

ახლა საქმის წარმატება იმაზე ეკიდა, თუ როგორ შეასრულებდნენ ამ რამდენიმე დღის წინ სოლომონის მიერ საგანგებო მალემსრობლების პირით გაგზავნილ ყველა დავალებას სახლთუხუცესი ლომკაც ჯაფარიძე და მენაპირე

თავადები — ზურაბ მიქელაძე და ბერი ლორთქიფანიძე, რა გადაწყვეტილებას მიიღებდნენ განმდგარი მთავრები — მამია გურიელი და ოდიშის ბატონი ოტია დადიანი.

აგიაშვილის, წულუკიძეებისა და დიდოელი ლეკების მიერ ქალაქისა და კაცის ხელში ჩაგდება გზას გაუსწინდა ზემო მხრის სარდალ ქაიხოსრო წერეთელს და მის უფროს ძმას პაპუნას. ძმები მსწრაფლ გამოივლიდნენ არგვეთს და მეფის ბრძანებისამებრ აჯამეთის ტყეს მოაშურებდნენ...

ამ ამბებში მხოლოდ იმერეთის მეფეთა ძველი და გამოუსწორებელი მტერი როსტომ რაჭის ერისთავი არ ჩანდა. როსტომი, რაღა თქმა უნდა, ახლა უკვე რაჭის მიუვალ ციხე-სიმაგრეებში იქნებოდა შეყუებული და გარეთ თავისი ვაჟმაძღარი ზოკვერების საშუალებით მოქმედებდა. ბუნაგიდან ცხვირს მხოლოდ მაშინ გამოჰყოფდა, როცა ნაოხარ ბრძოლის ველზე გამარჯვებული მხარის მეომრები მხედრული ნადავლის შუკროვებს დაიწყებდნენ. იმერთა მეფეს, ვისაც კი როსტომის დამარცხება და ერთხელ და სამუდამოდ დამორჩილება გულით სწადდა, ნადირივით ფრთხილი და ამავე დროს შეუპოვარი სარდალი როგორმე თავისი უშიშარი ბუნაგიდან — საერისთაოდან უნდა გამოეტყუებინა და უკან მისაბრუნებელი ყველა გზა მოეპრა. ეს საოცნებო ამბავი დღესა და ხვალ ვერ მოხერხდებოდა. დროთა განმავლობაში ყველას მიეზღვებოდა თავისი, ოღონდ მეფეს ახლა უმსხვერპლოდ. ანდა უმნიშვნელო მსხვერპლის ფასად გაემარჯვა, ტახტი დაებრუნებინა და დაკარგული ძალაუფლება ხელში აეღო. ახალმა ეკემამ და ყოყმანმა დღეს პირველად იჩინა თავი. თითქოს ამ დღეს ელოდა და ეს დღეც დადგა. მაგრამ სოლომონი საკუთარი თვალთ ხედავდა ურიცხვ მხედრობას, რომელსაც მამისეულ ტახტზე მის ხელახლა ასაყვანად მისივე სამეფო უნდა აეოხრებინა, გაეძარცვა,

ასობით უდანაშაულო ადამიანი ეჭვარა და უცხოეთის ტყვეობაში გაეწვია: რას მიიღებდა ხალხი და ქვეყანა ამ დიდი ჭირის სანაცვლოდ? კანონიერ მეფეს, სოლომონს... მაგრამ მეფეს, კანონიერს თუ უკანონოს, რა თავში იხლიდა, თუკი ქვეყანა განადგურდებოდა, მოითხოვებოდა, თუკი ქართველი კაცის სახლკარს ამ არეპარეზე ნამოსახლი დაერქმეოდა!

„დამნაშავე კი შენ ხარ! — ჩასძახა წინაგანმა ხმამ სოლომონს და შუბლზე ღვარად მოასკდა სიმწრის ოფლი. — დროა, ახლაც შეგაპყრონ და გულში მარგილი გაგიყარონ. სულ ერთია, იმ განწირული დედის წყევლა საფლავშია ც არ მოგასვენებს, საითაც კი ნაბიჯს გადადგამ, ყველგან თან წამოგაყვება. არა! — შეუპოვრად გაუძალიანდა ის თავისსავე თავს. — დააგვიანდათ, ყველას დაგვაგვიანდა. ჩემი სიკვდილით ახლა საქმეს აღრაფერი ეშველება. წყუული ზვავი უკვე დიძრა და მისი შეჩერება სასწაულსაც აღარ შეუძლია!“

დარჩენილი იყო ხსნის ერთადერთი გზა: ურუმის ჯარის წინამძღოლობა ხელიდან არ უნდა გაეშვა და ყველაფერი მოემოქმედა იმის მისაღწევად, რომ სანჯაყ-ბეგი რუსტამიცა და მისი ხელქვეითი ბეგებიც თავისი უმადლესი ნების აღმსრულებლად ეჭვია. უკეთუ ამას შესძლებდა, მაშინ ცოტად თუ ბევრად მოხერხდებოდა მძარცველთა მგლური მადის დაცხრობა და ამ უბეში ძალის ტახტის საკეთილდღეოდ გამოყენება. მაგრამ, საუბედუროდ, სანჯაყ-ბეგი რუსტამი ძალაუფლების უზომოდ მოყვარული პიროვნება და ისლამის მოწინააღმდეგე ბაშიაჩუკთა შეუირიგებელი მტერი აღმოჩნდა. რუსტამი გველი სამცხის დიდებულთა იმ ნაწიერთაგანი იყო, ქრისტიან იმერლებს, იგივე გურჯებს, თავისი მომავალი უბედურების — მამულისა და ყმების ჩამორთმევის — ერთადერთ მიზეზად და საბაზად რომ თვლიდა. ძირფესვიანად უნდა გაეწყვიტათ ქართველობის სისხლა ოსმალთა ყმადნაფიც იმერეთში, და-

ეწვიათ ან მეჩეთებად ექციათ უწმინდური სარწმუნოების სადიდებლად აგებული ეკლესია-მონასტრები, აეყარათ ქვეყნის წვედარი მოსახლეობა, აეჩეხათ ბალ-ვენახები და გაუდაბურებულ ველზე მართლმორწმუნე აგარიანები დაესახლებინათ — აი, რა მოუგებდა გულს ბედნიერ სულთანს, აი, რით შეიძლებოდა მისი მალალი ნდობის მოპოება!

ჯერ კიდევ ახალციხეში ყოფნის დროს, რუსულდანიის სისახლეში, სანჯაყ-ბეგი რუსტამი ქრისტიან მეფე სოლომონს მედიდურად დაჰყურებდა ზეპოდან, თითქოს მასთან სამასლაათოდ თავის გაყადრებაც არ სწადდა, გზაში კი, უფრო მას შემდეგ, რაც ოცბეს განოსცდნენ და იმერეთის საზღვრებს მიუახლოვდნენ, თავის მსლებელ ბეგებში განმარტოვდა და მეფესთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა. ეს რომ დაინახეს, თითქოს კეთროვანიაო, სოლომონს სხვა ბეგებიც ჩამოსცილდნენ, თვალს მხოლოდ შორიდან ადევნებდნენ და თავიანთ უნდობლობას არ მალავდნენ...

ძნელ წუთებში, როცა ქვეყნის ბედობალი უნდა გადაწყვეტილიყო, სოლომონს თავის მეფურ და აღმაინურ ღირსებაზე ფიქრის დრო აღარ ჰქონდა. მას როგორმე, რაღაც უებარი საშუალებით უნდა დაერწმუნებინა სანჯაყ-ბეგი რუსტამი, რომ ნამდვილად სულთნის ერთგული ყმა იყო და უწინ საკუთარი ხანჯლის წვერს გულზე დაიცემდა, ვიდრე თავის მფარველ და პატრონ სულთანს უღალატებდა. მაგრამ როგორ და რა გზით შეესრულებინა ეს განზრახვა? რა ღონისათვის მიემართა? აი, როდის შეეძლო დაუფასებელი სამსახურის გაწევა ებისკოპოს მაქსიმე აბაშიძეს! ის რომ აქ ჰყოლოდა, სანჯაყ-ბეგს უსათუოდ მიუგზავნიდა. მაქსიმე აბაშიძის მოხერხებული დატყვევებით ფრთხილმა პაჩი-აჰმადმა ორმხრივ სასარგებლო საქმე გაიკეთა: სოლომონს მოქმედების თავისუფლება შეუზღუდა და სანჯაყ-ბეგ რუსტამთან

შეთანხმების ერთადერთი საშუალება წაართვა.

სოლომონი მალე დაწმუნდა, სანჯაყ-ბეგთან შეხვედრისა და მისი დაყოლების ყველა ცდა უშედეგოდ ჩაუვლიდა და ზედმეტი მორჩილების გამოჩენით კი მარტოოდენ თავს დაიმცირებდა.

ერთადერთი ქრისტიანი აზნაური, ვინც ამჟამად მეფეს ახლდა საბედისწერო ლაშქრობაში, მცველი რაზმის უფროსი როსაფ მაჰვარიანი, სიტყვის უთქმელად გრძნობდა ბატონის გამოუვალ მდგომარეობას და მარჯვე შემთხვევას ეძებდა სოლომონთან გამოსალაპარაკებლად. მეფის გულცივობამ დასაყარგავად გამომეტებული თანამემამულეების მიმართ, რის მოწმეც მაჰვარიანი ოცბეში ვახდა, ბევრი ქირის მხახველ როსაფს თავზარი დასცა, მაგრამ რამდენიმე საათის ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ ის მიხვდა, რომ სოლომონი სხვანაირად ვერ მოიქცეოდა: უმწეო ქალებისა და ბავშვების გამოსარჩელებას შეიძლება მთელი საქმე ჩაეფუშა და ხვალ და ზეგ უფრო მეტი და მეტი ქრისტიანი ემსხვერპლა. როსაფის გულში შურისძიების ცეცხლი ვიზგიზებდა. მაღალ ღმერთს მხურვალედ ევედრებოდა, ისე არ მოჰქლა, ამ ცხვირმოუხოცელ ბეგს, ჰასან ისკანდერს, თავის-სავე ურჯულობასა და ძალაუფლებას რომ გაუთამამებია, სამაგიერო არ მივეუზღო, თავი წიწილასავით არ წაეცაო და ტანი ყვაე-ყორნებს არ მივეუგლო საჯიჯანადო. სანამ ეს სანატრელი წუთი არ დადგებოდა, როსაფს გული ვერ გაუძლებდა საჯულეში, ვერ მოისვენებდა, რადგანაც კაცური კაცი იყო და შერცხვენილ სიცოცხლეს უზიარებლად სიკვდილს ამჯობინებდა.

მეფესთან მიახლოება და გამოლაპარაკება არცთუ ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა. თავის ქვეშევდრომთაგან მას მხოლოდ ძიძიშვილი ნიკოლოზა ნაფიშვაძე და ბაქუა სოფრომაძე ახლდნენ,

სანჯაყ-ბეგ რუსტამის მიერ საგანგებოდ მოჩენილი, ქართული ენის ზედმიწევნით მცოდნე იანიჩრები კი მეფეს ერთი წუთითაც არ სტოვებდნენ მარტო და ამას თითქოსდა იმისთვის სჩადიოდნენ, რომ იმერთა ბატონის ძვირფასი სიცოცხლე მოსალოდნელი საფრთხისაგან დაეფარათ. როსაფმა მხოლოდ მეორე დღეს, ახალ დაღამებულზე მოახერხა მეფესთან მიახლოება და ხმამაღალი ჩურჩულით, ისე რომ სხვას არავის გაეგონა, ჰკითხა:

— ხომ არაფერს გვიბრძანებ, ბატონო?

სოლომონმა ცხენს სადავე მოზიდა და მოიხედა. მთვარე ახალი ამოსული იყო, ალაგ-ალაგ დაფლეთილ ღრუბლებში მიცურავდა და მისი მკრთალი შუქი ჩაბნელებულ ღვინოვან ძლივს სწვდებოდა.

— ოჰ, როსაფ, — მეფემ თავისი ასისტავი იცნო და უმალ გამოცოცხლდა. — აქამდე სად იყავი, კაცო?

— უკან მოვჩაქჩაქებთ, ბატონო, ზარბაზნებს გვათრევიანებენ. ხომ არაფერს გვიბრძანებ? თუ საჭიროა... — როსაფი შეყოვნდა, მიიხედ-მოიხედა, კიდევ რაღაც უფრო მნიშვნელოვანის თქმა უნდოდა. — თუ საჭიროა, გვიბრძანებ და... — აღარ დაამთვრა, გზის სიეწროვის გამო წამით უკან ჩამორჩენილი იანიჩრები უახლოვდებოდნენ.

მეფე მიხვდა: ეს მამაცი და სამშობლო ჭვეყნისათვის არაერთჯერ თავდადებული მეომარი მზად იყო, ათწილ და ასწილ ძლიერ მტერს ხმალდახმალ შებოღდა, მაგრამ ნუთუ თავადვე არ ესმოდა საკუთარი განზრახვის უაზრობა? სანჯაყ-ბეგ რუსტამთან შებმა, ისიც ერთი მუჰა ხალხით, იმ ტოტის მოჭრას უღრიდა, რომელზედაც ისხდნენ...

— არა, ჩემო როსაფ, — ჰკუთხდა მგლადარი კაცის ღმობიერებით მიუგო მეფემ ერთგულ აზნაურს. — ჩემი სათხოვარი ის იყო და ახლაც ის იქნება, თავშეკავებულად მოიქცეთ და მაგათთან კინკლაობას მოერიდოთ. თავათ მოინ-

დომებენ შფოთის ჩამოგდებას. არ აყვეთ, თუ ხათრი გაქვთ.

— ბატონი ბრძანებდა მეფემო...
— ამას გარდა, იქნება ისე მოახერხო, როსაფ, ჩემთან ახლო იაროთ. ღამეა და ამ ყიამეთში, ვინ იცის, რა მოხდება. მე რუსტამს ბეგის პირით შეეუთვალე, კაკასილზე რომ დაებანაკლებით, კარავთან ჩემ მცველებს დაეაყენებ-მეთქი ვაყავია და უარი გაბედოს! — ეს უფრო თანამებრძოლის გასამხნეველად ჩაურთო სოლომონმა. — მარჯვე ბიჭები შეაჩრე. თქვენი კარგები ჩემი კარვის გარშემო გაშალეთ. თუ ვინცობაა, ვინმემ დაგიშალოთ, პირდაპირ ჩემთან გამოგზავნე, მეფემ ბრძანა ასე-თქო, გესმის?

— კი, ბატონო, მეფევ!..

— ისე მაინც, — სოლომონი ცხენიდან გადმოიხარა და ხმას დაუწია. — სიფრთხილეს თავი არა სტყვი. ნუ დაგვიწყდებათ, ვის ხელში ჩაგვყარა ბედმა.

— მარტო ერთი გვიბრძანებ, — თითქმის მუდარით მიმართა როსაფმა. — დანარჩენი მე ვიცოდე და ჩემმა ხალხმა!

— რავე ატყობ, ძალიან ბევრი არიან?
— არანაკლები ხუთი ათასი, მეფევ, გარეშემო შემოვუარე. ამ ხუთი ათასში საპალნიანი ცხენების, ჯორების და ზარუმის გამრეკებს არ ვთვლი.

— ფაშამ ნაკლები თქვა. რა ვუყოთ, რაც არის, არის. დედა-ბუღიანად კი ამოგვაგდებენ...

— ნუ შიშობ, მეფევ, ღმერთი მოწყალეა, რაცხას ვისამველებთ.

დანიშნულ ადგილს, სადაც მომდევნო დღამდე უნდა შეყოვნებულიყვნენ, ორიოდ საათის შემდეგ მიადღწიეს და მდინარის ორივე ნაპირზე ბანაკი დასცეს. სანჯაყ-ბეგი რუსტამი საექსპედიციო კორპუსის წინამძღოლ სხვა ბეგებთან ერთად დაწინაურდა და ღამის გასათევად თხმელისციხეს მიაშურა. სოლომონმა არ მოისურვა ღამე მტრის პერქვეშ გაეთია და ბანაკში დარჩა.

ხალხი, შინაურიც და გარეშეც, უღვთოდ დაღლილი იყო. საცოდავები ფეხზე ძლივს და იდგნენ და თუარ ზემდგომი უფროსების განკარგულება, ახლავე სალაშქრო კარვები გაშალეთო, იქავე მიეყრებოდნენ, სადაც შეჩერების ბრძანებამ მოუსწროთ და თავს ძილს მისცემდნენ.

ხეობის სივიწროვის გამო ბანაკი კარგად დიდ მანძილზე გაიქიმა. სოლომონმა ორი პატარა მდინარის შესართავში ბრძანა პაჯი-ამბლისაგან ძღვნად მიღებული კარვის დადგმა. ხანისწყლის ხეობას აქ, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან, მეორე, ასევე ვიწრო და ციცაბო ფერდობებით შემოსაზღვრული ხეობა უერთდებოდა. ზემოთ, წყლის აყოლებას, თუ სოლომონს მხარი არ ექცა და ეს ადგილი სხვა ნაცნობ ადგილს არ მიამგვანა, იმერთა მეფეების სახასო სოფლები იყო, საიდანაც ზაფხულობით ვარციხის სასახლეში ცაცხვის სურნელოვანი თაფლი მოჰქონდათ ხოლმე. ერთხელ აქ მგონი მამასაც ახლდა. დათვებზე სანადიროდ წამოვიდნენ. თუ ეს სხვაგან, ცოტა უფრო ქვემოთ იყო?

ვიდრე განუყრელი ძიძიშვილი ნიკოლოზა, მისი ახალი ძმაცაი ბაჭუა სოფრომაძე და კიდევ რამდენიმე მოლაშქრე მეფის კარავს შლიდნენ მდინარეებს შუა მოქცეულ ხშირ თხილნარში და კანაფის თოკებს ბალოებზე ამარგებდნენ, სოლომონი ტყის პირას ბოლთას სცემდა და ხანისწყლის ღამეულ ჩხრიალს სულგანაბული ყურს უგდებდა. ირგვლივ ცხენების ხეიხეინი, ადამიანების გაურკვეველი და უთავბოლო ხორხოცი, ათას ადგილას აბრიალებული ცეცხლის ტყაცუნნი, ხარების ზმუილი, ნაჯახის ჩახუნნი, წაქცეული ხის ყურთასმენის წამლები ტყაცანი და მრავალი სხვა ხმა ისმოდა. აგარიანები ნაუცბათევად აწყობდნენ ბანაკს. დილას, მუეძინი რომ დასახვალდებდათ და სალოცავად მოუწოდებდათ, ისევ აიყრებოდნენ და თავიანთ ნადგომ ადგილზე ტოტებჩამოხლეჩილ თხმელებს, კარვის ნედლ ბოძებს, ნა-
2. „მნათობი“ № 7.

ცარსა და ჩონჩორიკს დასტოვებდნენ...

სოლომონმა სცადა წარმოედგინა, რა ამბავი იყო ახლა ვარციხის სასახლეში ემზადებოდნენ მომხვდური მტრის დასახვედრად, თუ საქმე უკვე გადაწყვეტილად მიაჩნდათ და ყველა საკუთარი ტყავის გადარჩენას ესწრაფვოდა? მთელი ეს დღეები და კვირეები, რაც შეთქმულმა ახლობლებმა ტახტიდან გადააგდეს და მის კუთვნილ სკიპტრას დაეპატრონენ, სოლომონი ყველაზე მეტად თავის მშობელ დედაზე ფიქრს გაუბოდა. ბატონი დედის უნებლოე გახსენება ძალზე მტკივნეული იყო და თუ ფიქრი მაინც შემოაწვებოდა, სოლომონი ყოველთვის ცდილობდა, იგი სხვა საგანზე გადაეტანა. დღეს ეს უკვე აღარ შეიძლებოდა. იმერთა მეფეების სასახლეში შეუზღუდველ ბატონობას ჩვეული აბაშიძის ქალი შეთქმულთა შორის ერია და, როგორც ყველა შეთქმულს, მეფისა და კანონის წინაშე მასაც ვეროვანი პასუხი უნდა ეგო.

სოლომონს საფეთქლები დაებერა, ყურებმა წივილი დაუწყო, თავბრუ დაეხვა. სურდა თუ არა, დღეს რაღაც გადაწყვეტილება უნდა მიეღო, რათა ხვალინდელ დღეს მომზადებული და გარეგნული სიმშვიდით აღჭურვილი შეხვედროდა. მეფის აღზნებული გონება გაფაციცებით ფურცლავდა სიძველისაგან კიდევმშემოცვეთილ საქართველოს მატრიანეს და ამასთან მიმსგავსებული ამბის პოვნას ღამობდა.

როგორ იქცეოდნენ საქართველოს ბეფე-მთავრები გამოუვალ ვითარებაში, როდესაც მსჯავრდებულს სკამზე თვითნათი მშობელი დედა იჯდა? მსჯავრი რამ რაღაც არ აგონდებოდა. დიდი თამარის მამამ, მეფე გიორგიმ, თვლები დასთხარა ტახტის მოცილე ბატონიშვილ დემნას. მაგრამ ბატონიშვილი დემნა გიორგი მეფის ძმისწული იყო... ლაშა-გაორგის დამ, რუსუდანმა, ტახტის მექვედრე დავითს საშინელი რამ შესწავა და დასალუბად გაიმეტა. მაგრამ ზნედაცემული რუსუდანი მამიდა იყო, დედა

არა... ლკონებელში ჩაეარდნილმა სოლომონმა თვითმპყრობელ მეფეთა სისასტიკის კიდევ რამდენიმე შემთხვევა მოიგონა. ვის არა სჯიდნენ ღალატისათვის, ვის არ უსწორდებოდნენ, მაგრამ შეილის მოღალატე დედა დღეს პირველად აღიოდა ეშაფოტზე და მისი დასჯით თუ დაუსჯელობით სოლომონს საკუთარი სინდისი უნდა დაემძიმებინა. ბატონი დედა, ლევან აბაშიძის თავნება ქალი, სოლომონის წინაშე ამ წუთს მიუვალ ციხე-სიმაგრედ აღიპართა. დიდი დედოფალი თამარი შეილს მაშინაც სჯობნიდა, როცა ყურით სათარევი მახლის საშუალებით მისეულ ტახტს ფლობდა და მაშინაც აჯობებდა, როცა დვიძლი შეილის მიერ სამაგალითოდ დასჯილი და დამდაბლებული მალალ ღმერთს სისხლისმსმელი მეფის სულის საოხად შენდობას გამოსთხოვდა. სოლომონი ბევრს დაჰკარგავდა უბირი ხალხის თვალში, ბევრი, ალბათ, ზურგსაც შეაქცევდა — კაცი, თუნდაც გვირგვინოსანი, ვინც თავისი მშობელი დედა არ დაინდო და გასწირა, ჩვენ რა ხეირს დაგვაყრისო...

სოლომონი იტანჯებოდა, სუნთქვა ეკვროდა, საფეთქლებს ცხელი სისხლი აწვეებოდა და განეთქვას უქაღდა. მაგრად მოხუჭულ ქუთუთოებში ცრემლის კურცხალმა გამოიგონა. რა ექნა? როგორ წარემართა საქმე ისე, რომ დამნაშავეებს კუთვნილი მიეღოთ, თვით კი, თავისი მხრივ, ახალი დანაშაული არ ჩაედინა? ამ ფიქრით კარავში შევიდა, შუა ბოძზე მიმაგრებულ ქონის სანთელს სული შეუბერა, ჩააქრო და კუთხეში გაშლილ ნაბადზე მიეგდო.

თინათი დაესიზმრა. ეს თინათი კი არა, მხოლოდ მისი ხმა იყო. ხმა კი არა, კვილი უეცრად შემოესმა და თუმცა სოლომონს აქამდე არასოდეს გაეგონა თინათის კვილი, უმალვე მიხვდა რომ ეს ნამდვილად თინათი იყო:

„თინათი! თინათი!...“

სოლომონმა რამდენჯერმე გაიბრძოლა და ზეზე წამოვარდნა დააპირა. ვერ

გაინძრა. ღმერთო, დიდებულო, ეს რა ამბავი იყო მის თავს? ქალი ვახუშყვეტლივ კიოდა და შეელას ნიჭთქცანქცან... „თინათი მოიტაცეს! — გამდნარ ტყვიასავით ჩაესხა ტენში სოლომონს. — ვაიმე, ვინა ხართ აქ, ზეზე წამომაყენეთ!...“ უნდოდა ეს სიტყვები ხმამალა დაეძახა, იძახდა კიდევ, მაგრამ თავისი ძახილი თვითონვე არ ესმოდა. მერე თინათის შემზარავი კვილი უწყალო წყველა-კრულვად გადაიქცა. სოლომონმა იცნო ეს ხმა... სიმწრის ოფლში გაწურულმა და მთელი სხეულით აცახცახებულმა თვალები გამოაზილა, დახუჭა და ისევ გამოაზილა. თავს როსაფ მაკვარიაანი ადგა, ხელში აბრიალებული ჟინკილი ეჭირა და ფრთხილად ანჯღრევდა.

— მეფევ, ბატონო მეფევ!..

— ჰო, რა მოხდა? — სოლომონი უცებ მოგვო გონს, მიხვდა, მთელი ეს საშინელება გულში ჩაყოლილი სიზმარი ყოფილაო, შვებით ამოიკვნესა და წამოჭდა.

— თავს ვუშველოთ, მეფევ, ღალატია...

XXVIII

ბანაკს ცეცხლი ეკიდა. ყოველი მხრიდან სროლა, ხმალ-სატყერის ჩახაჩუხი, ყიყინა, ნამძინარევი ხალხის არადაძინაური ყვირილი, გადარეული ცხენების ჰიზვინი და დაკოდილთა კვნესა-ვაება ისმოდა. ფისში ამოვლებული ცეცხლოვანი ისარი თვით მეფის კარავსაც მოხვედროდა. შიშისაგან გულგახეთქილი იმერელი მოლაშქრეები ამოდ ღამობდნენ ძვირად ღირებული სალაშქრო კარვის მოხსნას და ხანძრის ჩაქრობას. ალი უდიდესი სისწრაფით ყლაპავდა ქსოვილს და თითქოსდა ცაში იტაცებდა.

რა მოხდა? ვინ ვის და როდის დაეცა თავს?

სანამ ამბზე პასუხს მიიღებდა, სოლომონს ზურგში ვილაცა დაეჯახა. ეს ნიყო-

ლოზა ნაფიჩვაძე იყო. ღამის მეკობრე-ნი მეფის კარავს ტყიდან მოჰპარვოდ-ნენ და ახლა ყოველის მხრივ ალყას არ-ტყამდნენ. დაკვირვებისა და ვისიმე შე-ცნობის დრო აღარავის ჰქონდა. ფეხებ-გაბაჩიჯგებული ნიკოლოზა მარჯვედ იქ-ნედა ხმაღს და პირისახეშებურვილ სამ-შეზოსანს მარტოდმარტო უმკლავდებ-ოდა.

— თავს უშველე, მეფევ, გვიღალა-ტეს! — მთელი ხმით დაუყვირა მან სო-ლომონს, როგორც კი თვალი ჰკიდა და მოალყეებს მეტი გააფთრებით მიეტა-ნა. — კარავს მარჯვნიდან შემოუარე, ბატონო, მაჰვარიანი იქ გიცდის, თუ ცოცხალია!..

მაგრამ ოთხივე კუთხივ ცეცხლმოკი-დებული კარვის შემოვლა, რომლის შო-რიახლო უკლებლივ ყველა კარავი იწ-ვოდა და სულისშემხუთველ ტრუსის სუნს აყენებდა, უკვე საძნელო გამხდა-რიყო. მოალყეთ აქედანაც შემოეველოთ და შუაში მოქცეულ მეფის მცველ-რანს სამი მხრიდან აწვებოდნენ. სო-ლომონმა შიშველი ხმალი იფარა, დარ-ტყმა მარჯვედ აიცილია, შემდეგ მოიქ-ნია და ხმლის წვერი შიგ სახეში ამგე-რა მტერს. წაქცეულს სხეები მოეშველ-ნენ. გაალმასებულებმა შემოუტყეს. სო-ლომონმა ძალდონე დაძაბა. ხმაღს მო-ზომილად იქნედა და თანაც ცდილობ-და იქით წაეწია, სადაც ნიკოლოზას თქმით როსაფ მაჰვარიანი უნდა დაბ-ვედროდა. ლოყაში რაღაც მძიმე მოხ-ვდა და დააბარბაცა. უზომოდ მოუნდა, ლოყაზე თავისუფალი მარცხენა ხელი მოესვა და დარწმუნებულყო, სისხლი მოსდიოდა თუ არა, მაგრამ ეს ვერ შეს-ძლო. ახლა მარჯვენა მხარში იგრძნო მწვავე ტკივილი, იგრძნო, როგორ უბ-ნელდებოდა თვალთ ტკივილისაგან. უკა-ნასკნელი ღონე მოიკრიბა, ხმალი მძიმე კეტრით მოიქნია და მთელი ძალით და-უშვა ვიღაც ჟღალჩაბალახიანის თავ-ზე...

ამ დროს მეფის კარავს შუა ბოძმა უმ-ტყუნა, ჩაიქცა და ცაში აღისა და ნა-

პერწყლებს უზარმაზარი შთა აკარდა. სოლომონს ცხადლივ დაახსოვდა წსსა-ბედისწერო წამი. შემდეგ ხანძარს გაქა-რა და ყოველივე უკუნმა სიზნელემ მო-იცვა. ცნობიერება მთლიანად არ დაუ-კარგავს. თითქოს ღრმა ძიღში ესმოდა ყვირილი, ყიყინა და სროლა. ამ შეჩვე-ულ ხმებში დროდადრო გადარეული ცხენების ჭიხვინი შემოიჭრებოდა ხო-ლმე. ბოლოს თანდათანობით ესეც მი-წყნარდა და ყურს მხოლოდ მდინარის მშვიდობიანი ჩხრიალი სწევდებოდა. გრძნობდა, უნაგირზე იჯდა. ცხენები წყალ-წყალ მიაბიჯებდნენ, მთის ჩქარი მდინარე გულზე ასკდებოდათ და ყი-ნულივით ცივი შეხეფები სოლომონს ხე-ლებსა და სახეზე ხედებოდა. სულ ბო-ლოს ისევე ჩაეძინა თუ ბურანმა შთანთ-ქა. გრძნობაზე მარჯვენა მხრის მწვავე ტკივილმა მოიყვანა და თვალები გამო-ახილა. გათენებული იყო. ხშირ ნაძე-ნარში, მდინარის ვიწრო კალაპოტს ორი-ვე მხრიდან რომ გადმოსდგომოდა, მზეს თვალისმომკრელი ირიბი სვეტები ჩა-მოეშვა. სოლომონი თავის ცხენზე იჯ-და. უნაგირზე თოკით დაეკრათ. თოკით? ჰო, ეს თოკი იყო. მაშ, დაუტრიათ! ვი-ღაც ქვეითად მოსდევდა და დროდადრო ხელს აშველებდა. ეს ხელი რომ არა, ალბათ, თავს ვერ შეიმაგრებდა და ცხე-ნიდან გადმოვარდებოდა. მეფემ დიდი გაჭირვებით დაიხედა ძირს და ძიძიშვი-ლის გაბუძეული თმა-წვერი იცნო.

— ნიკოლოზა, — ძლივს დასძრა ხმა ბექის ტკივილისაგან გაწამებულმა და თავისუფალი მარცხენა ხელი ახლა კი მოისვა ჩოხის ნაგლეჯით გაკრულ მტკი-ვან ადგილზე. — სადა ვართ, თუ იცი? ტყვედ ხომ არ ჩაგვივადეს, ბიჭო?

— ღმერთმა გვიბატოვია, ბატონო...

— სადა ვართ, თუ იცი?

— კორიშს გავცდით, ბატონო, მალე ტყეში შევალთ და დევისვენებთ.

— აქეთ რისთვის შემოვუხვით?

— აბა, საით წავსულიყავით, ბატო-ნო... ღმერთს მადლობა შეწირე, რო- ხელიდან დოვესხლტით. თავზე თმა არა

მაქ, იმდენი არიან. ახლა გონია გადავრჩეთ. ამდენი ხანია მოვდივართ და ჩამიჩუმი აღარ ისმის...

— როსაფი სად არის ან სხვები სად არიან?

— უკან მოდის ყველა, ბატონო, დაჭრილები და მკვდრები მოყავთ.

მეფეს გააეროლა.

— მოკლეს ვინმე?

— თერთმეტი კაცი უნდა იყოს მოკლული, ოცდაათი თუ მეტი დაჭრილია, მარა სიარული შეუძლიათ.

— გააჩერე ცხენი, მეც ძირს ჩამოვალ.

— არა, მეფეე, დაჭრილი ბრძანდები.

— შენ ის გააკეთე, რასაც გეუბნებიან!

ამჟერად უკმაყოფილო ნიკოლოზა ნაფიჩვაძემ ცხენს დაუწრუბუნა, გადაუსწრო და წინ დაუდგა. სოლომონს ბაჭუა სოფრომაძემ და კიდევ ორი სხვა მხედარი მოეხმარნენ და ჯოჯოხეთური ტკივილისაგან ფერწასული მეფე ძირს ჩამოსვეს.

— ეს ვინ შემიხვია? — იკითხა სოლომონმა.

— ჩვენ შეგხვებით, ბატონო, მე და ნიკოლოზამ, — მოწინებით მიუგო ბაჭუა სოფრომაძემ და გვერდზე გადაბმეფეს გზა დაუთმო. — ძალიან წუხდი. ჩემი შეტყობით, ძვალი არ უნდა იყოს გატეხილი. სიბრტყივ დოურტყამს იმ უგამჩენოს და ტკოჩია ავარდნილი. ახლა მაგას სითბო და დასვენება უნდა, თბილი აბანოც ქე მოუხდება, მარა...

პირველსავე შესვენებაზე, რომელიც უღრანი ტყის ერთ პატარა ბალახოვან ვალაში მოაწყვეს, წყაროსთან, მეწინავეებს როსაფი მაჭავარიანი წამოეწიათ, მაშინვე სოლომონს ეახლა, მშვიდობით გადარჩენა მიულოცა, მხარზე ეამბორა და მტრის დასაზვერად გაგზავნილი თავისი კაცების მიერ მოპოებული კანტიკუნტი ცნობები აუწყა.

ეს ცნობები რომ თავიდან ბოლომდე მოისმინა, სოლომონი სახტად დარჩა. წამით გულის შემადონებელი ტკივილიც

კი მიავიწყდა. ამ წუთამდე მეფეს ეგონა, რომ მთელი ეს უჯჭურვს სისხლისღვრა მცველი რაზმმა მწვერებმა და სანჯაყ-ზეგ რუსტამის ჯარისკაცების უთავბოლო კინკლაობამ გამოიწვია. განარისხებული მტრის გულის მოსაგებად სოლომონი მზად იყო უკანასკნელი მსხვერპლი გაეღო: როსაფი მაჭავარიანი, როგორც ჩხუბის მოთავე და აეანჩავანი, რამდენიმე თავისიანითურთ, აგარიანების თვალწინ შეუბრალეზლად დაესაჯა. დამნაშავეებს თავიანთი მეფის ბრძანების უგულვებელყოფა დაედებოდა ბრალად. მაგრამ როდესაც ერთგული ასისთავის მოხსენება ბოლომდე მოისმინა, მეფე გაშრა, სასოწარკვეთილებას მიეცა. გაფუჭებული საქმე ახლა ვისიმე დასჯით ვედარ გამოსწორდებოდა. ამდენ შრომას, თავის დამდაბლებას და ხვალინდელი დღის სუსტ იმედს უკვე ამოღ ჩაველო. ურუმის ჯარი, სოლომონის მცირერიცხოვანი მცველი რაზმითურთ, ხანისწყლის ხეობაში წინასწარ ჩასაფრებული მტრის წერა გამხდარიყო. აგარიანთა ლაშქრისათვის ჩასაფრებულ მტერს დაბანაკება ეცლია და მახვილი მხოლოდ მაშინ ამოეწვადა ქარქაშიდან, როგორც კი ყველა კარვებში შეყუყუელი და ახალი ჩამინებული დაეგულეზინა. ამ შემთხვევისათვის ნაგულეები ისრებითა და მაშხალებით ჩასაფრებულებმა მძინარე ბანაკს ცეცხლი გაუჩინეს, თავზარდამცემი ყიყინით საფრებიდან გამოცვივდნენ და ვიდრე აგარიანები გონს მოეგებოდნენ, პატარ-პატარა ჯგუფებად დაიმარტოხელეს და თითქმის ყველას მუსრი გაავლეს. შედარკნენ ორცეცხლშუა მოჭეული მაჰმადიანნი. ყველა გზა წინასწარვე მოკრილი აღმოჩნდა. მხოლოდ მეფის ერთმა შუქა დამცველებმა შესძლეს რაღაც მანქანებით თავის დაღწევა და წყალ-წყალ, კვალზე რომ არავინ გამოსდევნებოდა, მთებს მოაშურეს. ხარბახენები და ალალი ჯერ კიდევ გზაში იყო. მტერი, რაღა თქმა უნდა, მათ ცალკე ჩაუსაფრდებოდა და საექსპედიციო კორპუსის მთა-

ვარი ძალების განადგურებისა და გაფანტვის შემდეგ არც მეურნეებისა და გამრეკების ანაბარა მიტოვებული აღალისა და ზარბაზნების ხელში ჩაგდება გაუქმდებოდა.

ვინ იყვნენ პირისახეხვეული ღამის მეგობრები? ვინ მოაწყო ეს მოხერხებული ჩასაფრება? რით დამთავრდა უთანასწორო ომი? სად იყვნენ თვით სანჯაყ-ბეგი რუსტამი და ჯარის წინამძღოლი სხვა ბეგები, რომლებიც ღამეს თხმელისციხეში ათევდნენ?

მეფემ მწარედ დაიგმინა, თავი ნიდაყვებში ჩარგო და ბაღლივით ატირდა. მის სულმოკლეობასა და უმწეობას არავინ გაუქვირებია. მეფეცა და სამეფოც დიდ და გამოუვალ განსაცდელში იყო ჩაქარდნილი. ვინ არ მიხვდებოდა: ურუმის ჯარის თანხლებით შინ მომავალი სოლომონის მოსისხლე მტრებმა საქმესე მოაწყეს, რომ საექსპედიციო კორპუსის ვერაგული ამოწყვეტა თვით სოლომონსვე დასდებოდა ბრალად. ორი დღის შემდეგ, თუ უფრო ადრე არა, ფაშა ჰაჯი-ამადს ყველაფერი დაწვრილებით ეცოდინებოდა. მეფის მოძულე სანჯაყ-ბეგი რუსტამი და სხვა ბეგები, თავი რომ როგორმე გაემართლებინათ, დამწვარზე მღვლარეს დაასხამდნენ და თავიანთ წარუმატებლობას იმერთა მოლაღატე მეფეს გადააბრალებდნენ...

„მაჯობეს... ჩემსავე დაგებულ მახეში გამაბეს! — ფიქრობდა გამწარებული სოლომონი და ცეცხლმოდებულ გალიაში ჩამწყვდეული ლომივით ბრდღვინავდა. — ახლა რაღა ექნა? რა გზა დამჩინია? რით დავარწმუნო სისხლისმსმელი ფაშა, რომ მე უბრალო ვარ სინდისისა და ჩემი ღმერთის წინაშე, რომ ეს ხოცვა-ჟლეტა ჩემმა დაუძინებელმა მტრებმა გამიმართეს? ღმერთო, შენ მოკითხე როსტომ ერისთავის მოლაღატე შეილებს, გიორგის და მეთოდეს! იმათ დამლუბეს, იმათ გამომკრეს ყელი რაღა მალე ამისდა მე უბედურს საცოდავი დედაკაცის წყევლა, რაღა მომეწია ქვა აღმართში!“

მაგრამ არც ასე ივარგებდა. სისუსტის გამოჩენა ერთბაშად დასცემდა მეფის ფასს ქვეშევრდომების თვალში და გლახაკი არავის არ უნდა, თვით ყველაზე ერთგულ და დაახლოებულ აღამიანებსაც კი იმედი, მართალია, არაფრისა იყო, მაგრამ დრომდე მაინც მეფეს ქვეშევრდომებისათვის სულის მხნეობა უნდა ეჩვენებინა და სხვათა თვალში თავისი მეფური ღირსება არ დაეკარგა. ახლავე გაეცა განკარგულება, აეყარა როსაფ მაჰაჯარიანისათვის იარაღი და ეს კაცი დაპატიმრებულად გამოეცხადებინა? სულის სიღრმეში იმედის ერთადერთი ნაპერწკალი უქიაფობდა: ყველაფერი, რაც ასისთავმა სხვების თანდასწრებით მოახსენა, მოჩამბული იყო, თვით მაჰაჯარიანმა მოიგონა თავისი დანაშაულის კვალის დასაფარავად და ურუმის ჯარზე მოულოდნელ თავდასხმას ვილაც უცნობ პირებს, თითქმის ზღაპრულ არსებებს აბრალებდა...

რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამხე სოლომონი, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ვარაუდი სწორი იყო, რომ ეს დიდი და გამოუსწორებელი გასაჭირი თავს ამ ამაცი ეკებატონის, ასისთავ როსაფ მაჰაჯარიანის, გამოისობით დაატყდა. ის უკვე აპირებდა საჭირო განკარგულების გაცემას, მაგრამ უკანასკნელ წამს მაინც ყოყმანმა სძლია და ენის წვერზე მომდგარი სიტყვა შეაკავა. ვთქვათ და, როსაფ მაჰაჯარიანი ცამდე მართალი გამომდგარიყო? მაშინ რაღა პასუხს გაცემდა ან თვით მას, ან საკუთარ სინდისს და ან სხვებს, რომლებიც მთელ ამ ამბავს თავიდან ბოლომდე ესწრებოდნენ და ყველაფერი საკუთარი თვალით ნახეს?

ესეც რომ არა, გარს მაჰაჯარიანის ერთგული ხალხი ეხვია. თუ მეფეს ძალდაკარგულად და ცოცხალ ლეშად დაიგულებდნენ, რაღა თქმა უნდა, გლეხები თავიანთ უსამართლოდ დაჩაგრულ წინამძღოლს მიუდგებოდნენ და მართონიკოლოზა ნაფიჩვაძის ამარა სოლომო-

ნი მათ წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობდა.

ამისთანა დროს მოთმინება და საქმის საბოლოოდ გამოჩვევის ლოდინი ყველაზე დიდ სამსახურს გაუწევდა და სოლომონიც ამ უკანასკნელ გადაწყვეტილებაზე შეჩერდა. მიუხედავად საშინელი ტკივილისა, გულს რომ უღონებდა, როსაფი ცალკე გაიხმო და ეთათბირა. საკირო იყო კიდევ გაეგზავნათ ორი-სამი მარჯვე კაცი აგარიანთა ამბისა და იმის შესატყობად, თუ ვინ მოაწყობდნენ თხმელისციხის მეციხოვნენი, რომელთა შორის უსათუოდ უნდა ეგულისხმათ დაზარალებული ჯარის სარდალი სანჯაყ-ბეგი რუსტამი და სარდლის უახლოესი თანაშემწენი. თუ ჯერ ყველაფერი არ იყო დალუბული, სოლომონი მოლაპარაკებას გამართავდა რუსტამთან, თავის უდანაშაულობას როგორმე შეაგნებინებდა და ღამის მეკობრეების დაუყოვნებლივ შეპყრობასა და სამაგალითოდ დასჯას აღუთქვამდა. ოღონდ სანამ ამ ნაბიჯს გადასდგამდა და მტრის ბუნჯავში თავის მოციქულებს გაგზავნიდა, მეფეს დანამდვილებით უნდა სცოდნოდა საქმის ვითარება, რათა გაუთვალისწინებელი მსხვერპლისათვის ახალი გაუთვალისწინებელი მსხვერპლი არ მიემატებინა.

როსაფი აინუნშიც არ იყო, თუ პირში სული შემთხვევით ედგა. გარემოებას რომ ზელი შეეწყობო, მისი სიცოცხლე, ვინ იცის, ზეარაკად შესწირვოდა მეფისა და აგარიანების წამბდა. ი ურთიერთობის ხელახალ გამოკეთებას. სოლომონის ყველა განკარგულება ასისთავმა ქვეშევრდომული გულმოდგინებით მოისმინა და მაშინვე შესრულების თედარიგს შეუდგა.

ამას გარდა, საგანგებო მალეშობილი უნდა ეფრინათ სვირში, იქ მომლოდინე ქაიხოსრო აგიაშვილისა და წულუკიძეების გასაფრთხილებლად. ისინი, თავის მხრივ, ლომკაც ჯაფარიძეს მიაწვდენდნენ ხმას, ლომკაცი კი თვით იზ-

რუნებდა და მიქელაძესა და ლორთქიფანიძეს სოლომონის ამბებზე უწყობდა.

კაკასხილთან დატრიალებულმა ცოდვისკითხვამ საქმე მთლად არივ-ღარიო და ყველაფერი თავიდან დასაწყები გახალა. მეფე აქ, ტყეში, დიდხანს ვერ გაჩერდებოდა. თუ აგარიანებთან შეთანხმება უკვე შეუძლებელი იყო, სხვა რაღა გზა ჰქონდა, რაზმი უნდა დაეშალა, ყველა შინ გაეშვა და თვითონ რამდენიმე კაცით თავი კვლავ წულუკიძეებისას შეეფარებინა.

ღღის დარჩენილი ნაწილი მიცვალებულების გაპატრონებამ და დაქრილების მოვლა-პატრონობამ წაიღო. კორიშიდან მოხუცებული მღვდელი საბა ამოიყვანეს, დალუბულ თანამებრძოლთა დასამარხავად საფლავი აკურთხებინეს, მამაკაცური მოხუცრებლობით დაიტრეს უბედურები, შემდეგ კი ყველა მიცვალებულს ცალ-ცალკე წესი აუგეს და ნაბადში გახვეულები მიწას მიაბარეს.

მღვდელი შეშინებული ჩანდა. არაფრით არა სჯეროდა, თუ თავისიანების შორის იყო და ახლა, საქმეს რომ მორჩებოდა, ახალციხის გზას არ გაუყენებდნენ. ბოლოს ნელ-ნელა დამშვიდდა და დაბუცებული ხელების უცნაურმა თრთოლვამაც გაუარა. უნდობლობა იქნებ არც გაპლვიძებოდა, რაზემეღეს თავსავე რომ არ ეთქვათ, აი, ის ყმაწვილი კაცი, მუხის ძირას ნაბადზე რომ წევს, ჩვენი ბატონი, იმერეთის მეფე სოლომონიაო. მღვდელმა წელმოწყვეტილივით გაიხედა იმ მხარეს. ჭკუათმყოფელ კაცს, აბა, როგორ დაეჯერებინა ამგვარი რამ — იმერეთის მეფე სოლომონს, ჩონაშემოგლეჯილსა და მხარში დაკოდილს, კორიშის ტყეში რა გაქირვება ამოიყვანდა!

მღვდელი ხელმარჯვე აქიმიც გამოდგა. რაკი უცხოეთში დაკარგვასა და სულის წაწყმედას გადაურჩა, სასწაულებრივად მოლონიერებული სოფელში ჩაბრუნდა და იქიდან თაფლის სანთელი, საეგებოდ დამზადებული მალამოები,

ბალახეულობა და სადოსტაქრო საქმეში ნაცადი „გორგაძის დანა“ ამოიტანა.

სოლომონს მხარი შესიებული ჰქონდა. ხელის ყოველი მიკარება აუტანელ ტკივილს ჰგვრიდა და ნებისყოფის არა-ადამიანური დაძაბვით იმაგრებდა თავს, რომ ხმამაღლა არ ეყვირა. აქიმა ძველი სახვევი მოხსნა და ავადყოფს ბოხი ხმით სულ ერთსა და იმავე სანუგეშებელ სიტყვებს ეჩურჩულებოდა. ამოგდებული ბეჭის ძვლის თავის ადგილზე ჩასმა ხუმრობა საქმე როდი იყო. იგი აქიმისაგან შეძლებული ვაყაყაცის ღონესაც მოითხოვდა. მღვდელმა ნიკოლოზსა ნაფიქვად და როსაფ მაჰავარიანი დაიხმარა. ერთმა მეფეს შემოაპდო გულმკერდზე რკინის სალტესავით მაგარი ხელები, მეორემ კი მკლავი გაქაჩა. სოლომონმა ყრუდ დაიღმუვლა ტკივილისაგან, თვალეზზე ბინდი გადაეფარა. ამ ერთი დღე-ღამის განმავლობაში ეს მეორედ იყო, გონებას რომ ჰკარგავდა. თითქოს ქვესკნელში კლდე კლდეს შეეჯახა, ყურისწამლები ჰახანი მოიღო. ოფლში გაწურულმა მომხმარებმა და თვით მოხუცებულმა მღვდელმა შვებით ამოისუნთქეს. ბეჭის ძვალი უკვე თავის ადგილას იჭდა. ღამით სოლომონს სიცხემ აუწია. აბოდებდა. სხვა დაპრილებიც მთელი ღამე კენესოდნენ და ტკივილისაგან შეწუხებულნი გაჩენის დღეს იწყებდნენ. რაჯრავზე მეფეს მკვდარივით ჩაეძინა და მეორე დღის სამხრობამდე ფეხი აღარ გაუნძრევია.

ხანისწყლის ხეობაში გაგზავნილი კაცები დაღამებისას მოვიდნენ. უზომოდ დაღლილ-დაქანცულებს დანა პირს არ უხსნიდათ. ამბავი მეტად გულსაკლავი მოიტანეს. განადგურებული ბანაკის მთელ სიგრძეზე ხეობა უპატრონოდ მიტოვებული გვაგამბით ყოფილიყო მოფენილი. ალაგ-ალაგ გვაგამები გორებად იდგა, ბევრი რიყეზე ეყარა, სხვებს კი წყალი მოაპოწილებდა. მაინც რამდენი გვაგამი უნდა ყოფილიყო? ასობით და ათასობით! ორი და სამი კაცი მათ ასე მცირე დროში ვერ დაითვლიდა. ხეობას

თავზე ყვავ-ყორნების გუნდები დაჰვარდატებდა. ყორნები *სტრუტონ* დაღამიანებსაც არ შეებუენენ. ამბრჩეულ მკვდარს შურდულივით ეცემოდნენ და მათ თვალწინ გლეჯდნენ. გვაგამს გაძარცვის კვალი ემჩნეოდა. იარაღ-საჭურველი და რაც კი რამ ღირებული იყო, ვილაყეებს გაეზიდა. ცხენი, ხარი ან სახედარი ხეობაში აღარ შეხვედრიათ, არც კაცი-სულიერი უნახავთ ვინმე, რომ შეეჩერებინათ და ამბავი ეკითხათ. არავინ უწყოდა, გააღწია ვინმემ ღამის ბრძოლის შემდეგ, თუ სანჯაყ-ბეგ რუსტამის ყველა მეომარმა სული აქ დალია. თვით რუსტამი და მისი თანამეგწენი? გაარღვიეს ცეცხლის რკალი თუ კვლავაც მტრისაგან მიუდგომელ თხმელისციხეში აფარებდნენ თავს?

ერთი დღის წინ, ზეკარის უღელტეხილის კლდეებში, სოლომონი ცხელ გულზე წამოყვანილი ურუმის ჯარის გაელეტას ნატრობდა, რათა მშობელი ქვეყანა გარდაუვალი აოხრებისაგან ეხსნა, ახლა კი, როცა ეს საქმე მის მაგიერ სხვამ მოიძქმედა და აგარიანთა საექსპედიციო კორპუსისაგან ამბის წამლებიც აღარავინ დასტოვა, გული უმწეოდ უფართბალებდა და აღარ იცოდა, ხსნის რომელი გზა გამოენახა. ქვეყნის უწყალოდ აოხრება და მის მიერ დაკარგული ტახტის დაბრუნება სიკვდილ-სიცოცხლესავით ერთიმეორეზე იყო გადაბმული და ერთი მეორის გარეშე არ მოხერხდებოდა. სოლომონი საკუთარი ნაბიჯის გამართლებას ეძებდა და ცდილობდა, უპირველეს ყოვლისა, თავი დაერწმუნებინა, რომ ეს შელახული სამართლიანობის აღდგენის ერთადერთი შესაძლო გზა იყო...

კაკასიდიის მიდამოებში კაცების განმეორებით გაგზავნამ მხოლოდ ის სასურველი შედეგი გამოიღო, რომ როსაფ მაჰავარიანის სრული უდანამაულობა დამტკიცდა, ხოლო სხვაფრივ საქმე ისევ გამოურკვეველი რჩებოდა.

— ლეკები ყოფილან ეგ დედაგაღლეტილები! — შენიშნა ნიკოლოზს ნაფიქ-

ვაძემ და თან თავისი გარღვეული ბან-
დულის ბლანდვა განაგრძო.

ღრმა ფიქრებში წასული სოლომონი
გამოერკვა, ძიძიშვილს სიცხისაგან ან-
თებული თვალები მიანათა.

— ლეკები?

— მეც აგრე მგონია, მეფეც, — დინ-
ჯად ჩაურთო ხავსიან ქვეზე ჩამომჯდარ-
მა როსაფ მაკავარიანმა, რომელსაც თი-
თქოს რალაც ექვი აელო, აეს რასმე მი-
პირებენო და იარალს არც დღე იცი-
ლებდა, არც ღამე.

სოლომონმა გამომცდელად მოავლო
ყველას თვალი, შემდეგ მზერა ისევ
ახალ მოსულეებზე გადაიტანა.

— თქვენ რალს იტყვიან?

— აგრე ვფიქრობთ ჩვენც, მეფეც, —
ყველას მაგიერ უპასუხა ერთმა, წვერ-
ულვამში ქალარაგარეულმა შუახნის
გლეხმა. — ლეკების ნახელავი უნდა
იყოს. ასე პირწმინდად სხვა ვინ გაფტქე-
ნიდა მკვდრებს. დევიჯერო, ჩვენებური
კაცი, ქრისტიანი, ამგვრე დეხარბებოდა
და ცოდვა-ბრალს დევიწყებდა?

— რა უნდოდათ მერე აქ ლეკებს?

— მეიყვანეს, ბატონო. ერთხელ მო-
უყვანიათ თუ ორჯელ! იმე... მეიყვა-
ნეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, და ჩაასაფ-
რეს. აბა! ლეკებს რა ენაღვლებათ რა, —
გლეხმა შეატყო, ყველა მე მისმენს
სულგანაბულიო და უფრო ხალისიანად
და გაბედულად განაგრძო: — თუკი
ღმერთმა გადმოხედათ — მაგათი ღმერ-
თი კი რა ვთქვი მე! — გინდა თათარი
გოუყარცვამთ და გინდა ქრისტიანი!..

წამიერი სიჩუმე ჩამოვარდა. სოლო-
მონს გული გამალებით უცემდა, წამო-
ხურებულ სახეზე თითქოს ცეცხლი ეკი-
და. ამ მრავალკირნახული ხალხის თათ-
ბირი მას თანდათანობით უჭდებოდა
ჭკუაში და ძველ ლეონოსავით ეკიდებო-
და. ტახტის მიმტაცებელ გიორგი ბატო-
ნიშვილს, ბატონ ბაბუა ლევან აბაშიძეს,
როსტომ რაჭის ერისთავს და მათ მხრის
ამბმელებს, ოსმალთა ბატონების მონა-
მორჩილთ, ახალციხიდან საექსპედიციო
უსიით მომავალ სოლომონთან შებ-

რძოლებს საშუალება არ ექნებოდათ,
ვინაიდან ამას ბედნიერ სულთნის ურ-
ჩობად ჩაუთვლიდნენ და ვაიბაგის რის-
ხვას ვერსაით დაემალებოდნენ. სამაგი-
ეროდ, წინასწარი თადარიგი გასწიეს,
დალისტანში ჯარი დაიჭირავეს და კაკას-
ხიდთან აგარიანებსა და სოლომონს და-
ატაკეს, თვით კი, აქაოდა არაფერი შეგ-
ვიტყვიო, განზე დარჩნენ...

XXIX

მთელს ამერსა და იმერს ხანძარივით
მოედო ხანისწყლის ხეობაში დატრია-
ლებული ხოცვა-ჟლეტის ამბავი. ამ ამ-
ბავმა ცალკერძო ერეკლე-თეიმურაზისა
და ცალკერძო ჩილდირისა და ახალცი-
ხის ფაშა შაჰი-ამჰადის ყურამდე მოღ-
წია და, უპირველეს ყოვლისა, ერთი-
მეორეში არეული განცვიფრება და გუ-
ლისწყრომა გამოიწვია. ვარციხესა და
ბაღდათში გაგრცელებული ხმები ბრალს
სოლომონს სდებდნენ და საკუთარი ტა-
ხტის მაძიებელ იმერთა მეფეს სიტყვის
გამტეხად, სულთნის მოლატედ და
ოსმალეთის საშიშ მტრად სახავდნენ.
ტფილისსა და თელავში დიდად განც-
ვიფრდნენ, როდესაც ამბის ამნაირი ახ-
სნა შეიტყვეს. სოლომონს, რომელიც
აგარიანთა ჯარის შემწეობით დაკარგუ-
ლი ტახტის დაბრუნებას აპირებდა, რა
სარგებელი უნდა მიეღო თავისივე დამ-
ხმარე ლაშქრის განადგურებისაგან? თუ
საღად მოაზროვნე კაცი იყო და არა
გიჟი, ხომ უნდა ცოდნოდა, რომ ამით
წყალს მტრის წისქვილს დაუსხამდა?

თხმელისციხეში თავმეფარებულმა
და ამ ცოდვისკითხვის ყამს უვნებლად
გადარჩენილმა სანჯაყ-ბეგმა რუსტამმა
გარნიზონი ფეხზე დააყენა. ქუთაისის
ციხისთავი კიკიანი-ფაშა თვით მოიჭრა
ქალაქში დაყრილი ხმების სინამდვილის
შესატყობად. მოვიდნენ ცუცხვათის,
შორაპნის და ფოთის ციხისთავებიც.
შეძრწუნებული ბაღდათი მეციხოვნე
ჯარით აივსო. მალე გიორგი და მამუკა
ბატონიშვილები, არგვეთის ბატონი ლე-

ვანი და მამია გურიელიც მობრძანდნენ ბაღდათს და ოსმალ სარდლებს თავიანთი ღრმა მწუხარება, სამძიმარი და დახმარებისათვის მზადყოფნა მოახსენეს.

სანჯაყ-ბეგი რუსტამი გაცეცხლებული იყო. თავისი ქვეშევრდომული მორჩილებისა და სამძიმრის გამოსაცხადებლად მოსულ ბაშიაჩუკებს პირგამეხებული შეხვდა და სულ ცოტა დააკლდა, მათი დატუსაღება და ციხის დილეგში ჩაყრა რომ არ ბრძანა. ბოლოს გონს მოეგო და მიხვდა, რომ ამ წყევულ ქვეყანაში ახალი მტრების შეძენა სახეიროს არაფერს მოუტანდა. იმერეთის ახლანდელ მესვეურთ, რომელთა დასასჯელად ფაშა ჰაჯი-აჰმადმა აქ გამოგზავნა, სოლომონი თვით სანჯაყ-ბეგზე უფრო სძულდათ და მის შეპყრობას ყოველისმხრივ ხელს შეუწყობდნენ.

ოლთისის ბატონმა ჩინებულად იცოდა, რომ მომხდარი ამბის გამო, რასაც ათასობით მართლმორწმუნე მოლაშქრის უწყალო ამოკლეტა და სხვა აურაცხელი ზარალი მოჰყვა, მთელ პასუხისმგებლობას მას დააკისრებდნენ და ვიდრე ქალათი თავს გაადგებინებდა, მტრის ჯარი როგორმე უნდა ამოეყარა. ბაღდათში ჯარის შემოკრებამ სოლომონის ხელში ჩაგდება იმედი გაუასკეცა. თუ იმ დღის პირიდან გადავარდნილ ვაჟ-ბატონს ხელში ჩაიგდებდა და ბორკილებგაყრილ ფაშას მიჰგვრიდა, ამას არ შეიძლება ჰაჯი-აჰმადის გული არ მოეკლბო და ბეგის სასჯელიც რამდენადმე მაინც არ შეემსუბუქებინა. ბოლმამ და შურისძიების წყურვილმა რუსტამს გონება დაუბნელა. სასწრაფოდ შეადგინეს მოზრდილი რაზმი. რაზმის მოთავეობა თვით რუსტამმა იკისრა. სოლომონი და მისი თავზეხელაღებული აბრაგები შორს ვერსად წავიდოდნენ. თუ მაინც მოახერხეს და გასხლტნენ, ისე არ იქნებოდა, ხანისწყლის ხეობის მოსახლეობას მათი გზა და კვალი ვერ შეეტყო...

რუსტამს მოლოდინი გაუმართლდა. ხეობის პირველსავე სოფელ კიკნაველეთში იანიჩრებმა იპოვნეს ცოტათი

ჰკუანაკლე მწყემსი, ვისაც ამ საბი თუ ოთხი დღის წინ, გამთენიებეს მწყემსულ წყალ მიმავალი ჯარი ენახა. ბეგურთაბი იყვნენო, დასძინა შეშინებულმა მწყემსმა, ასე ორმოცდაათი ან სამოცი კაცი იქნებოდა, ცხენებით დაჭრილები თუ მკვდრები მიყავდათ და სოფლისაგან შეუშინებლად გავლას აპირებდნენო.

— ალყა შემოარტყით ყველა სოფელს, ჩიტიც არ გაგიფრინდეთ, გაჩხრიკეთ ყოველი სახლი და ნაშროალი, დაკითხეთ დიდი და პატარა და, თუ ურჩობა გაბედეს, ცეცხლს მიეციეთ მაგათი თავშესაფარი, აჩეხეთ ბაღი და ვენახი. გადაწვიეთ ტყეები, თავად კი ტყვედ გამოირიყეთ! — ბრძანა რუსტამმა.

ეს ყველაფერი ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, ხალხმა გახიზნვაც ვერ მოასწრო. ყოველი მომდევნო სოფელი მტრის მოსვლას მაშინლა იგებდა, როცა წინა უკვე აკლებული და მიწასთან გასწორებული იყო. იანიჩრები ხეობას კალიასავით შეესივნენ და ჯოჯოხეთის გეგნია დაატრიალეს. უმწეო მოხუცებულების, ბავშვებისა და ქალების გვემას, საჯარო ნაშუსის ახდასა და წივილ-კივილს ბოლო არ უჩანდა. ყველას ერთსა და იგივეს ეკითხებოდნენ და როცა სასურველ პასუხს ვერ იღებდნენ, მძვინვარე სანჯაყ-ბეგის ბრძანებისამებრ იქვე უკიდებდნენ სახლს ცეცხლს და ოჯახის წევრებს მათრახისა და თოფის კონდაბის ცემით სოფლის მოედნისაკენ მოერეკებოდნენ.

რუსტამის სისასტიკესა და შურისძიებას საზღვარი აღარ უჩანდა. უმწეო ადამიანების დღემილი მან სიჯიუტედ, ურჩობად, მეფე სოლომონის გაუტეხელ ერთგულებად მიიჩნია, გადაწყვიტა, ხეობის მკვიდრნი პირში წყალს განზრახ იგუბებენ, რათა ბოროტმოქმედთ ხელი დააფარონო და ბრძანა, ყველა, ვინც კი მოხუცებულობის ან სნეულების გამო ბაზარში გასაყიდად არ გამოდგებოდა. იქვე, თავისიანების თვალწინ დაეკლათ, დაეკეპათ და პატრონების

მყრალი ზორციტ მათივე მშვიერი ძალები დაეძლიათ.

მტარველს პირველი კორიშის მოხუცებული მღვდელი საბა ემსხვერპლა. მღვდელი ვიღაც სულწასულს დაებეზღებინა. დილაადრიან ტყეში წაიყვანეს ვიღაც საეჭვო პირებმა და, რომ მოსალამოვდა, იმავე ტყიდან მარტოდმარტო შოდიოდაო. იანიჩრები მითითებულ გზას მიჰყენენ და შუა ტყეში, წყაროსთან, ცეცხლის ნანთები ადგილები იპოვნეს. ეჭვი არ იყო, სოლომონმა აქ რამდენიმე ღამე გაათია და შემდეგ ისევ მიიმალა. ნაგვიანვეი მღვდლები აქვე წააწყდნენ ახალ საფლავებსაც, რომლებშიც უკანდახეულ ბაშაჩუყებს თავიანთი მკვდრები დაემარხათ.

მღვდელი არ გაჩივებულა. როგორც კი იანიჩრები შინ მიუბრუნდნენ და ბრალდება წაუყენეს, უმაღ ალიარა, მართალია, აგრე იყო, ოღონდ მომხდლურთ შეფე სოლომონის გზა-კვალის სწავლებაზე უარი განუცხადა. არც ის გაამხილა, თუ სად იყო და იმ დღეს ტყეში რა საქმის გულისათვის წაიყვანეს. იანიჩრებმა მღვდელს სახლ-კარი დაუწვეს, ოჯახი აუწიოკეს, კორიშის ახალნაკურთხი ეკლესიაც ცეცხლს მისცეს და ურჩი მოძღვარი წინ წამოიგდეს სანჯაბზე რუსტამთან წარსადგენად. რომელიც თავის კაცებს კიანაველეთში, სოფლის მოედანზე, ელოდებოდა.

მღვდელმა საჯაროდ, რუსტამის წინაშეც უდრტვინველად გაიმეორა, რაც იანიჩრებს უთხრა, ხოლო შემდეგ „მოწყალე ეფენდის“ შევედრა, ეს საცოდავები, მოედანზე რომ შევიგროვებია, ღვთისა და კაცის სამართალს ვფიცავ. უბრალონი არიან, რადგანაც მეფის აქ ყოფნა ჩემს გარდა სხვამ არავინ იცოდა, და, თუ ცოდვა-მადლი გწამთ ამ ქვეყანაზე, დანაშაულიც მარტო მე მაზღვევინეთო.

ეს წარმოსადგევი, გრძელი თეთრი წვერით მკერდდაფარული, ნაცემი და ხეობის ოღროზოღრო გზებზე ნაჯაყაყვეი ბერიკაცი მისუსტებული იყო, მაგ-

რამ სხვათა დასანახად და მოყვასის გულის გასაკეთებლად მეფემც შეეძლო გამართული იღვა და თემცა-გახსენებულნი შავი ანაფორის ქვეშ ქარებნისაგან დაუძლურებული მუხლები უკანკალებდა და დაბუყებული ხელებიც უთრთოდა, თავის უღმობელ ხვედრს მშვიდად ელოდა.

სანჯაბ-ბეგს დამცინავმა ღიმილმა გადაუსერა სახე, თვალი ჰკიდა ბერიკაცის გულზე ჩამოკონწიალებულ უბრალო ჯვარს და ხალხს მიუბრუნდა:

— აბა, ვინ გამოვია, ამ უწმინდურ ჯვარს ვინ ჩამოგლეჯს მოძღვარს!

ყველამ, იმათაც კი, ვინც გულამოძვდარი მწარედ მოსთქვამდა და თავის შავ დღეს სტიროდა, ხმა გაკმინდა, ფეხი კი არ მოუცვლია, მხოლოდ თვით მღვდელმა გაბედა და თვისტომ მოძალადეს კრძალვითა და შეკაცებული საყვედურით მიმართა:

— ცოდვას რაზე იღებ კისერზე, შვილო, მიცხოვრის ჯვრის უწმინდურობა — განვედ ეშმაკისაგან! — ჯერ შენს მეტს არავის უთქვამს!..

რუსტამმა რაღაც შეჰყვირა, მგონი ოსმალურად შეიგინა, რადგან ვინება ოსმალურად უფრო შთამბეჭდავი გამოსდიოდა, ნაბიჯი წინ წარსდგა, ჯვარს სწვდა. ხელის ერთი დაქნევით ჩამოწყვიტა და ხევისაკენ მოისროლა. ჯვარი დიდხანს ტრიალ-ტრიალით მიფრინავდა ჰაერში, უკან ძეწვევის ნაგლეჯი მისდევდა. ხალხი თავზარდაცემული ადევნებდა მას თვალს, სანამ ერთი კიდეც არ გადატრიალდა და ხეობაში არ ჩაიკარგა.

— დაიხოქე და იმ შენს კახპის ნაშობ ღმერთს შევედრე, ამ ხალხს სასწაული მოუვლინოს — მარჯვენა შემახმოს, როცა ამ იატაგანით თავს გაავადვებინებ!.. — მიმართა მღვდელს რუსტამმა და ნახევარმთვარესავით მოკაკავული იატაგანი ქარქაშიდან ამოიღო.

— ღმერთმა გაპატიოს, შვილო, — მშვიდობიანად თქვა მოძღვარმა, ათრთოლებული ხელები ზეასწია და ნახევრად დაესილი თვალები აღაპყრო. —

შეგინდოს, რამეთუ არ უწყ, რასა იქმ...

საკუთარი ელდით შეძრული ხალხი განუმებული იდგა და კრიჭამეკრული უყურებდა, რაც მის თვალწინ, დღისით — მზისით ხდებოდა. აზრადაც არავის დაჰბადებია, მკვლელებს წინ გადასდგომოდა და განწირული ბერიკაცი ხელიდან გამოეგლიჯა. ეს თვით მოძღვარს ვერ შეჰბედეს. მღვდელი თითქოს გადასული იყო შორს, უცხო სამყაროში და უბრალო მოკვდავთ იქიდან უჭადაგებდა. სანჯაყ-ბეგმა ნიშანი მისცა და ეს მოსავით მოხუცი იანიჩრებმა ხარივით წამოაქციეს. საბა უკვე წინასწარ შერიგებოდა ყველაფერს და ერთი ჩივილიც არ წამოსცდენია. საბრალოს არაჩვეულებრივად დიდხანს კლავდნენ, თითქოს ტყებოდნენ უდონო სხეულის თანდათან შენელებული ტოკვით. ბოლოს რუსტამმა იატაგანი მოიმარჯვა და თუმცა დასველება ეზარებოდა. ნაწამები გვამი, როგორც კოცონზე დასადები შეშა, ერთადერთი მცელავი დარტყმით შუაზე გააპო.

შემზარავემა სანახაობამ ხალხი თითქოს გამოათხიზლა და გონზე მოიყვანა. გოდება და ვაი-ვიში, აქამდე რომ იქაურობას იკლებდა, უსიტყვო გაშმაგებამ შესცვალა. მოედანზე ჯერ ისევ ბრწყინავდა და მტვერში იზილებოდა საბა მღვდლის თბილი სისხლი, რამდენიმე ნაწილად დაჩხილ-დანაწევრებული გვამიც იქვე ესვენა. და ყურებშიაც ამ წმიდა კაცის მშვიდი, მიმტვევბელი ხმა იდგა. მოძღვრის მოწამებორივმა სიკვდილმა არამეტუ ხალხი, იანიჩრებიც კი შეაძრწუნა და დააფრთხო. სანჯაყ-ბეგის ღვთის განმარისებელ განკარგულებებს ახლა სულ ნაკლები და ნაკლები ხალხისით ასრულებდნენ და გულში ერთმანეთის შიში რომ არა სდებოდათ, ვინ იცის, ეს სისხლით გაუმძლარი მტარვალი იქნებ სატევრის წვერზეც კი წამოეგოთ.

მზის ჩასვლის წინ ხეობის ყველა სოფელს უკვე ნასოფლარი ერქვა. დანახ-შირებულ ძელურ სახლებსა, ნალიებსა

და ქოხ-ბოსლებს ზოზინით ასდიოდა კვამლი. ზოგი ნამშრალი კარგულ ხნის ჩაღველი იყო და სხვათა სხვავე ნელთბილ ნაცარს აქეთ-იქით ფანტავდა. დარჩა წაბილწული ქურისთავები, სისხლით მორწყული შუკები და ჯერ კიდევ გუშინ გლუხკაცის მადლიანი მარჯვნივ ნალოლიავეები ჭები, ჭიშკრები და ყორეები, რასაც ცეცხლი არ მოეკიდა. არსათ კაციშვილის ხმა, არსით ჩამიჩუმე, მხოლოდ ხანდახან გაიგონებდი ტყეში გავარდნილი ნაცემი ძაღლის ყეფას ან შემზარავ ყმუილს და მერე ისევ ყოვლის შთანთქმელი მკვდრული სიჩუმე დაისადგურებდა.

მთვარე რომ ამოვიდა და აქა-იქ ტყეში მიმალულმა თითო-ოროლა ქალმა და ბავშვმა თავი გადარჩენილად დაიგულა, სამალავიდან გამოსვლა გაბედა და კვლავ კიკნაველეთის სასოფლო მოედანს მიაშურა. აქ სხვები უფრო ადრე მოსულიყვნენ და საბა მღვდლის სხეულის ნაგლეჯებით ჯვალს ორი ტომარა აევსოთ. გვამი იმ ღამესვე აიტანეს კორიშის ეკლესიის გალავანში, სახელდახელოდ შეკრულ კუბოში ჩაასვენეს და ასე უზიარებელი მიწას მიაბარეს.

XXX

სოლომონმა და მისმა ერთადერთმა მსლებელმა ნიკოლოზა ნაფიჩვაძემ სხარტალს მეოთხე დამეს ააღწიეს. სიარული მხოლოდ ღამ-ღამობით უწყევდათ. გზები შეკრული იყო. ლტოლვილ მეფეს სანთლით დაეძებდნენ. სანჯაყ-ბეგმა რუსტამმა მაცთუნებელი ჯილდოც კი დააწესა იმათთვის, ვინც სოლომონს შეიპყრობდა და ცოცხალს ან მკვდარს თხმელისციხეში მიჰგვრიდა. ქვეყანა სავსე იყო მოსული თუ შინაური არამზადებით, ვინც არავითარი სულმდაბლობის წინაშე უკან არ დაიხევდა, ოღონდ გასამარჯელოდ დაპირებული თეთრი კი მიეღო. სოლომონის თუნდ ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი მის უქველ დაღუბვას მოასწავებდა.

მეფე და მცველი რაზმის უფროსი

როსაფ მაქავარიანი ერთმანეთს ძვერის ხიდთან, დაბა ჩხარის ჩრდილო-დასავლეთით დაემშვიდობნენ. აქედან სოლომონი და ნიკოლოზა მუხურისაყენ ამავალ ვიწრო ბილიკს აპყვებოდნენ, ხოლო მაქავარიანმა, რაკი მეფემ მხლებლებად მეტი აღარავინ ისურვა, თავისი მცირერიცხოვანი რაზმი აღმოსავლეთისაკენ მიაბრუნა და მაშინვე წინ გაეშურა, რათა ჩხარსა და შემდეგ სკანდისა და მაჭუტაურის ციხეებს, სადაც ლევან აბაშიძის მეციხოვნეები იდგნენ, გათენებამდე გასცლოდა და გზა საწერეთლოსაკენ ტყე-ტყე განეგრძო.

განშორების წინ მეფემ ცალ-ცალკე ჩამოუარა თითოეულ მოლაშქერს, გულითადი მადლობა უთხრა და ძმურად გადაეხვია. მეფის ამგვარმა მოქცევამ უბრალო ყმაგლეხებზე ისე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ყველა ისე აღფრთოვანდა და ახალი ძალით აივსო, გადატანილი მწუხარება და გასაჭირი სულ მიავიწყდათ. სოლომონს ერთხმად აღუთქვეს, ოღონდ შენ დაგვიძახე, შემოგვასახელე, მეფე და შენი გულისათვის, შენი პატიოსანი დროშის ქვეშ, ცეცხლში ჩავდგებით, აღიდებულ წყალს თავს მიეცემთო. მადლიერმა, თვალცრემლიანმა სოლომონმა, თავის მხრივ, ყველას აღუთქვა, მტრის კლანჭებიდან მამულის გამოხსნის უამრავ მალე დარეკს, ფაღია მშრალი უნდა ვიქონიოთო, შემდეგ კი, რაზმი რომ დაიძრა, მანამ იდგა გზის გასაყარზე, ვიდრე ერთ მუშტად შეკრული მხედართა გუნდი სიბნელემ არ ჩაყლაპა და ცხენების აჩქარებული თქარათქერიც სულ არ მიწყდა.

ძუტუს მოზიარებებმა თითქმის უგზო-უველოდ იარეს მთელი ღამე. სოლომონს ბეჭი აწუხებდა და თავს ებრძოდა. სანამ მუხურის შეღმართები არ აათავეს, რამდენიმე მოზრდილ უბნად გაფანტულ ამ დიდ სოფელს არ გასცდნენ და ფრიალო კლდეზე ქორივით შემომჭდარი ციხეც სადღაც მარცხნივ არ დაიგულეს, ნიკოლოზა შესამჩნევად მოუხეინობდა, სოლომონს მოფარებულ

ადგილებში სტოვებდა და თვით გზის დასაზვერად მიდიოდა. მუხურის ციხეში იანიჩრები იდგნენ. ვინ იყო თავდები, რომ აქ უცაბედად მტერს არ გადააწყვდებოდა!

სოფლის გასასვლელში, კალოებთან, ფეხისხმა და ხმამალალი ლაპარაკი შემოესმათ. ნიკოლოზამ სადავე მოზიდა ცხენს და სმენად გადაიქცა. სიფრთხილეს თავი არა სტკიოდა. გზიდან გადაუხვიეს და იქ, მოფარებულში, ერთხანს შეიცადეს. ნიკოლოზამ გზა დაზევრა. ორი ხანშიშესული დედაკაცი და სამი თუ ოთხი ბავშვი უნდა ყოფილიყო. რა უნდოდათ ნეტა ამ დროს აქ, დაკარგულ საქონელს ეძებდნენ თუ მთებში გახიზნულები ბნელი ღამის საფარქვეშ სოფელში მოიპარებოდნენ?

— გადი, გაიგე, ვინ არიან, — სოლომონს უბრალო ადამიანურმა ცნობისმოყვარეობამ თუ უცხო ხალხთან გამოლაპარაკების სურვილმა წასძლია.

— შიშით გადავრევეთ, ბატონო, — მიუგო ნიკოლოზამ. — ქალები და ბოვშები, ხო გესმის...

— იქნება საიდან მოდიან, ბიჭო, არ გვეკითხა?

— კაი, მამიკადე აბა აქანა და ახლავე მოვალ.

ბუნჩების ფხაწა-ფხუწი რომ შემოესმათ და გზაზე გამოსული ცხენოსანი რომ დაინახეს, მთიდან მომავალ ქალებსა და ბავშვებს მართლაც გული გაუუსკდათ შიშისაგან. წივილ-კივილით აქეთ-იქით მიაწყდ-მოაწყდნენ. ნიკოლოზა სულ ამაოდ ცდილობდა მათ დაშოშმინებას, სულ ტყუილად უძახდა, ნუ გეშინიათ თქვე დალოცვილებო, ქრისტიანი ვარ, ღმერთი-რჯული არას გერჩითო. მგზავრები გაიტრუნენ. უთუოდ სადღაც ბუნჩის ძირას ისტდნენ და სულგანაბულები უცხო მხედარს თვალს აღევნებდნენ. ნიკოლოზა ხელცარიელი და დარცხვენილი დაბრუნდა საფარში.

— დათვი ხარ ნამდვილი! — უკმაყოფილოდ უთხრა მეფემ და ცხენი დასძრა.

ქედს რომ ააღწიეს, ინათლა კიდევ.

არც ზემოდან და არც ქვემოდან მომავალი გზაში მეტი აღარავინ უნახავთ, თუმცა კვალი და ცეცხლის ნანთები ადგილები ყოველ ნაბიჯზე ხედებოდათ.

— ნიკოლოზა, — ამდენი უბრობის შემდეგ სიჩუმე ისევ მეფემ დაარღვია. — რა ვქნა, გული შემომჩივის, ოინათის ზომ არაფერი გაუჭირდებოდა, თუ იცი?

გახარებული ნიკოლოზა, სოლომონი შემირიგდაო, ერთბაშად გამოცოცხლდა:

— ღმერთმა მშვიდობა ქნას, ბატონო. ხანდახან, შე დალოცვილო, იმისთანა რამეს იტყვი!.. რა უნდა გაპირებოდა ბატონ თინათის, ეგ რამ გაფიქრებინა, გიორგი და ბერი იქ არ არიან და დათუნა იქ არ არის? არც არჩილი და ისე მოაკლებდნენ ყურადღებას...

— სიზმრებმა გამაწამა. აღარ ვარ პირდაპირ კაცი.

— ამ სიზმრებს როდისღა ნახულობ, დღე შენ არ გძინავს და ღამე!

— რაეარც კი თავს წავდებ, მაშინათვე თინათი მესიზმრება, ნიკოლოზა. სულ წუხს, სულ რაღაცა უჭირს, შეწყენას მთხოვს და მე კი შეველა არ შემოძლია. ნეტა ძიძა იყოს ახლა აქ, ბიჭო, ამისხნია...

— სიზმრის ახსნა ცოტა მეც ქე გამეგება, ბატონო. სიზმარმა, რაეარც მე გამიგონია, უკულმა იცის ახლომა.

— მუდამ აგრე არ არის, ნიკოლოზა, ეფრემვერდში წამიკითხავს. ზოგი სიზმარი ისე აგისდება, რაეარც დაგესიზმრა. ამბობენ — ჯვარი აქაურობას! — მომაკვდავ აღამიანს სულ მიცვალებულები ესიზმრებო. დიდი ხნის მიცვალებულები... მე რომ ბაბუაჩემი გიორგი დამესიზმროს! არ ცილდებიან თურმე, ეპატიებებიან, ჩვენთან წამოდიო. თუ წაყვა, მშვიდობით, — სოლომონმა ხელი ჩაიქნია. — ავადმყოფი სულს დაღვეს...

— ეგ მეც გამიგონია, — დაეთანხმა ნიკოლოზა. — მერე შენ მაგისთანა რამე ნახე სიზმარში? ღმერთმა დაგვიფა-

როს!.. — და მან სამჯერ ზედიზედ გადაიწერა პირჯვარი.

— არა, მე სულ სხვაგვარ სიზმრებს ვნახულობ, ნიკოლოზა. ვითომ თინათის ვილაცა მტაცებს. აი, ვხედავ... მინდა, წამოვვარდე და მივეშველო, მაგრამ ხელფეხზე თითქოს დამბლა დამცემია, ვერ ვინძრევი...

ნიკოლოზამ კიდევ გადაიწერა პირჯვარი და წინ გადაიხნიქა, რადგან ამ ადგილას ციკაბო აღმართი დიწყო და ცხენი წინა ფეხებით სიპ ლოდზე შედგა.

— ფრთხილად, ბატონო, ქვა არი დიდი, მარცხნიდან მოუარე! — ზოლო როცა გზა გასწორდა, კვლავ შეწყვეტილი საუბარი განაგრძო. — მომტაცებელს თუ ხედავ?

— ვერა. საქმეც ეგ არის! რამდენჯერ გულში ჩაეიყოლე... ზმირად ისიც ვიცი, სიზმარში ვარ, ვიცი, ეს ნამდვილად არ ხდება, სიზმარია, ეცდილობ, არ გამომეღვიძოს, აზრი გამოვიტანო...

— ღმერთმა კეთილად აგისდინოს, ბატონო. რა ვუყოთ მერე, სიზმარში რას არ ნახავს კაცი! ხანდახან...

— ხვალ, თუ ღმერთმა ქნა, მშვიდობით მივედით და იქაც მშვიდობა დაგვხვდა, ნიკორწმინდელ გერმანეს წირვას გადავახდევინებ.

— ეგ აჯობებს ყველაფერს, ბატონო, მამა-ღმერთს, ძე-ღმერთს და სულიწმიდას შევევედროთ, დეილოცა იმის სახელი!

ნიკოლოზა შეფიქრიანებული იყო. მეფის არეული სიზმრები ნამდვილად არ მოსწონდა, მაგრამ ეს ხამაძლა ვერ გაემხილა და ამიტომაც შემთხვევას ეძებდა სიტყვის ბანზე ასაგდებად.

მეფემ, თითქოს სურვილს მიუხედაო, თვით ჰკითხა:

— როგორ ატყობ, როსაფი სად იქნება ახლა?

ნიკოლოზამ სიხარულით უპასუხა:

— სკანდას გასცდებოდა, ჰაიდა-ჰაი..

— ვაითუ მდევარი დაადვენოს ბაბუაჩემმა, ან გზაში ჩაუსაფრდეს. საწყ-

რთლოს გატივლების ახალი საბაბი გამოუჩნდება.

— არა მგონია, ბატონო, — ახლა ამ სიტყვებს ჩაეჭიდა ნაფიჩქაძე. — ვინმეს რო რამე გეგო, ვერც ჩვენ გამევიდოდით ასე უფათერაკოდ, მდევარს ჩვენც ქე ჩავვიყენებდნენ კვალში. ჩემი შეტყობით, თათარი ისევე ღადოს მთებში დაგვეძებს. ასე წუთში რანაირად გაქრებოდნენო. ეს მოკლე გზები, ჩვენ რო გამევიარეთ, სოლომონ, შენ გგონია, ყველამ იცის?

მეფემ ღრმად ამოიხრა და ცხენი ნებაზე მიუშვა. ტყეში დამბალი ფოთლების, წიფლის წვენი, სოკოსა და კვამლის სუნი იდგა. სადმე ახლოს მეხდაცემული ხე თუ იწოდა. გაბარდნილ ტოტებს შორის ალაგ-ალაგ ვარსკვლავებით მოჰქედილი ცის ნაქერი ჩამოიჭვრეტდა ზოლმე და მგზავრებს გზას უნათებდა. მიწა ნაწვიმარს ჰგავდა. ტყის ვაკე ადგილებში ჰანჭრობი იდგა და ცხენები თქაფათქუფით მიაბიჯებდნენ მუხლამდე წყალში.

წიფლისა და ფიქვის ასწლოვან ტყეში, ქედის თხემზე, სოლომონს უხსოვარდროს აშენებული უჯუმბათო ეკლესია თუ უღაბნო ეგულებოდა. ღეთისა და კაცისაგან მივიწყებულ უღაბნოში ოდითგანვე განდევილი ბერები ცხოვრობდნენ. თავდაპირველი გეგმის მიხედვით, სოლომონმა და ნიკოლოზამ აქეთობისას რომ შეადგინეს, სოლომონს ბერებთან უნდა შეესვენა და მოეცადა, ვიდრე დაწინაურებული ნიკოლოზა არ მობრუნდებოდა და რაქის ამბებს არ მოუტანდა. სიფრთხილე და ყოველი ნაბიჯის მოზომვა დღეს აუცილებელი იყო. მტერი, რაკი ამდენი რამ მოაზერხა და ქვეყნის კანონიერი მპყრობელის ყველა განზრახვა ჩაშალა, სოლომონის ხელში ჩასაგდებად და დასაღუპავად არა ძალას არ მოერიდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მოხერხებულად დაგებულ მახეში გაბმის საშიშროება დიდზე დიდი იყო, ყმაწვილკაცურმა მოუთმენლობამ და ამდენი ხნის დატოვებული ცოლის რაც შეიძლება

მაღე ნახვის სურვილმა მაინც თავისი გაიტანა. სოლომონმა მფრულფუნფუნად უარი თქვა ბერებთან მგმგმგმგმგმგმგმ კი არა, უღაბნოში შესასვლელად გზის გამრუდებაც აღარ მოისურვა და როგორც კი ქედის თხემი უკან მოიტოვეს, თავდაღმართში ცხენი გააქენა. ნიკოლოზას ელდა ეცა. მას ისიც კი აღარ დასცალდა, ბერები მოენახლებინა და აქუარი ამბები გამოეკითხა. ბერები, მართალია, უღაბნოს შემოგარენს თითქმის არასოდეს არ სტოვებდნენ, და აქ სოფელ-ქვეყნისაგან განმარტოებული ცხოვრობდნენ. მაგრამ შეუძლებელია, ზოგი რამ მაინც არ სცოდნოდით. მეფის ცხენი უღვთოდ დაღლილი იყო ყოველ წამს შეიძლებოდა მუხლა მოჰქეთოდა და პატრონისათვის უადგილო ადგილას ეღალატა. სოლომონი ამას არაფერად ავლებდა. ივრძნო თუ არა საინტერესო არსების სახსოვე, თითქოს ფრთები გამოისხა. სხვა არაფრის გაგონება და არაფერზე ფიქრი აღარ უნდოდა. ნიკოლოზას ცალკერძ უამბობისა და ცალკერძ ცხენის ვაგრი აწვა გულზე. ცოტა ხნის შემდეგ აღარც ცხენს დაეძებდა, ოღონდ წაფორხილებისას მეფეს კიდევ არაფერი მოსწოდა. ბატონს ოციოდე ნაბიჯით ჩამორჩა. შქერისა და იელის ხშირ ბუჩქნარს ზვერავედა, იქნებ სადმე გადაეუხვიო და ამ გადარეულს, სიფრთხილე რომ სულ დაავიწყდა, როგორმე გზა მოვეუქრაო. ნახირისაგან პირწმიდად გადაძოვილ მწვენიე მინდორში, საიდანაც ძეძვით შემოღობილი ბოსტნები, გულმოდგინედ გადაბარული ბაღჩები და აღრიან გაზაფხულზე გაკაფული ახოები მოჩანდა, თითქმის ერთსა და იმავე დროს გავიდნენ. სოლომონმა ცხენი მოწყვეტით შეაყენა და დაღლილობის თუ რალაც სხვა მიზეზის გამო აქომინებული ნატვრად გადაქცეულ სოფელს მიაჩერდა. ნიკოლოზამაც სწორედ ამ დროს მოაგდო ცხენი და მაშინვე ჰკითხა:

— რა იყო, დეინახე რამე, ბატონო?

სოლომონი ხმას არ იღებდა, თვალმოუშორებლივ სულ იმავე მხარეს იყუ-

რებოდა. მეფის ამ ყოფაში ჩავარდნით უზომოდ შეწუხებულმა ნიკოლოზამ თვალი გააყოლა სოლომონის მზერას და განცვიფრებისაგან უცებ რაღაც წყმუტუნის მაგვარი ხმა აღმოხდა. სოფლის ყოველი მეორე თუ მესამე ნაშვრალი დამწვარი იყო. ცის დასალიერზე მამა-პაპური ქვეთვირის ნანგრევები და თითო-ორი აწოწილი ბუხარი იკვეთებოდა. დაქვეება უკვე შეუძლებელი იყო: მუხთალ მტერს, შინაურს თუ გარეშს, აქამდეც მოედწია და ეს მთაში დაქარგული, თითქმის ყოველი მხრიდან მიუვალი სოფელიც აეკლო.

— დაეიღუპე! — მხოლოდ ეს თქვა სოლომონმა და ცხენი ნაბიჯით დასძრა. სულ ერთი წამის წინ სიცოცხლითა და შინაგანი ცეცხლით აღზნებულ იყამწილი კაცი სიბერისაგან დაუძლურებულ ბერაკს დამსგავსებოდა.

— ნუ გეშინია, ბატონო, ღმერთთა მოწყალე, — თავადაც ჭავრისაგან გულშემოყრილმა ნაფიჩვაქმე მაინც მოახერხა სანუგეშო სიტყვების გამოძებნა, თუმცა ამ ნუგეშისა თავადაც არა სჯეროდა. — ნუ ავჩქარდებით. მაშის სულს გაფიცებ, მე მარტო გამიშვი. არ გაცდევინებ დიდხანს. ამ წუთში უკან მოებრუნდები.

— ვიღას დავემალო, ნიკოლოზა!

— თუ ჩემი ძმობა გწამს, სოლომონ... ერთი დედის ძუძუ ხო გვიწოვია! ბატონ თინათის გაფიცებ... მაშიცადე აგერ. ვითუ ვინმეა, კაცო, სოფელში. მივიღეთ და ჩვენი ნებით ჩავბარდეთ? არ იტყვიან, ეს უბედურები სულელები ყოფილანო? საქმე ისე არ იქნება, რო ჩვენებს წინდაწინვე არ შეეტყვოთ ურჩულოს მოსვლა. გული მითქვამს, სოლომონ. დათუნას ამბავი არ იცი შენ? ქაჯის ერთი ..

მეფე ისე იყო თავზარდაცემული და შეძრწუნებული. არაფრის გაგონების თავი აღარ ჰქონდა. ძიძვილის ხეწენა-მუდარა და შეგონება მას მხოლოდ ხამუშ-ხამუშ ესმოდა, მაგრამ თავს ძალას ვედარ ატანდა სიტყვა სიტყვაზე გადაება და აზრი გამოეტანა. ოფლში

გახვითქული ცხენი ნაბიჯით მიდიოდა, ხროტინით სუნთქავდა და უცნაურად დამძიმებული თავისი მკედელი სოფლისაკენ ალაღბედზე მიჰყავდა. ნიკოლოზამ თხოვნის გამეორება ვეღარ გაბედა, ოღონდ იმდენი კი მოახერხა, რომ მეფის ცხენს შორიახლოდან თავი დაუარა, წინ გადაასწრო და სოფლის შუკაში პირველი შევიდა. შუკა უკაცური იყო. არც ბოსლიდან გამორეკილი პირუტყვი ჩანდა სადმე, არც ბატების გუნდი, არც იხვების ყიპყიპი და ქათმების კაკან-კრიახი ისმოდა. საღდაც ქვემო უბანში, წყაროსთან, ძაღლებმა უცხო სუნი იკრეს და ღვეღვი ატეხეს. ამ ხმების გაგონებამ ნიკოლოზას გული გაუტეხა და დაიმედებულმა, ვინმე კაციშვილს შევხვდები და სოფლის ამბავს ვკითხავო, ცხენი ააჩქარა. გზადაგზა მხარიღვივ გადაკიდებული გრძელი თოფი მოიხსნა, უნაგირზე გარდიგარდმო დაიდო, სარტყელში გაყრილ ორივე დამბაჩას ფალია გამოუცვალა, ეახნებით გაქედილი მძიმე ფალასკები შეისწორა და თქმზე მოქცეული ტყავის საპირისწამლე წინ გამოაცურა. გზის გასწვრივ ჩაყოლებული ყორის გადაღმა ფინიამ შეჰყეფისლით გადახურული ქოხის ლაფაროში. შისიგულზე, შავი კრუხი ნაგავს ქეჰავდა. ახლადგამოჩეკილი წიწილები დერეფანს მოსდებოდნენ და საწყალობლად წიფვივებდნენ. ნიკოლოზა ლარტყებისაგან შეკოწიწებულ კიშკართან გაჩერდა და დაიძაბა. ქოხში, ეტყობოდა, ვიღაც იყო, მაგრამ დაძახილზე არავინ გამოსულა, არც არავინ გამოხმაურებია, მხოლოდ გაწიწმატებულმა ფინიამ ასტება ყეფა და წყაფწყავი. ნიკოლოზამ ცხენი დასძრა და ატალახებულ შუკაში გზა განაგრძო. ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდა, კიშკართან ზელახლა გაჩერდა და ერთხელ კიდევ დაიძაბა:

— მაინძელო!

პასუხად ფინიას გააცეხული წყაფწყავი მოესმა. მალე პარმალში გამოძევალი კარიც გაიღო. ვიღაცის ხელებმა

გაწიწმამებული ფინია უკან მიაგდო და შემდეგ დედაბრის მისუსტებულმა ხმამ სტუმარს უპასუხა:

— ბატონო!..

— მოდექი აქით, ბიცოლა, საქმე მაქ! — ნიკოლოზა ცხენიდან ჩამოხტა, ალვირი ჭიშკრის მარგილზე ჩამოაცვა და ჭიშკარს ხელი მოუფათურა გასაღებად. თალხებში გახვეულმა დედაბერმა ამასობაში თავისი ავი ფინიარის ვაივაგლახით ჩამოიშორა, ქოხის კარი გამოხურა, ხელი მოიჩრდილა და იმ მხარეს გაიხედა, სადაც მოსული ელოდებოდა.

— ღენტორუკა ხარ?

— არა, ბიცოლა, არა, სხვა ვარ. სხვა, — შეაშველა ნიკოლოზამ, შუა ეზოში გაჩერდა და გრძელი თოფი ჯოხივით დაიბიჯა. — გამარჯობა შენი! ერთი მითხარი, რა მოხდა აქ, ვინ დაწვა ეს სოფელი, ან ხალხი სად არი? ნუ გეშინია, ნუ, ქრისტიანი ვარ, არაფერს გერჩი.

— ღმერთმა ყველა დასწყევლოს, შეილო, — მიუგო დედაბერმა. — ახლა ყველა ერთია, ქრისტიანიც და ურჯულაციც...

— მე რას მწყევლი, ბიცოლა, მე რა დაგიშავე?

— შენ რავე დაგწყევლი. დედა, შენი რა ბრაღია. წადი, შეილო, თუ თავი გეზოგება, მოშორდი აქაურობას. ვაითუ კიდე მოგვეჭრას ვინმე...

— ვინ იყო, ვინ?

— ერისთავი, შეილო, ვინ იქნებოდა, ჩვენი დამლუბველი, ჩვენი ამომგდებელი, ვაი მის პირშავ დედას!..

დედაბერი, ალბათ, კიდევ დიდხანს გააგრძელებდა გულისმომწყველელ მოთქმას, კიდევ გადასცემდა ხატზე ღვთისა და კაცისაგან შეჩვენებულ ერისთავს და ღმერთს მისი სახლ-კარის ჭადაბუგვას შესთხოვდა, როგორც ეს სოფელი იყო დამწვარი და გადაბუგული, მაგრამ მოთმინებიდან გამოსულმა ნიკოლოზამ, რომელსაც მეფე ელოდებოდა, უბედურ ქალს შიგ ყურში ჩაყვარა, მაკალე, სიტყვა მათქმევიყო

და ბატონების ამბავი ჰკითხა. ჯერისიგან თავგზააბნეულმა ელოდებულმა ვერი არაფერი იცოდა და ამდგომარეობაში ნიკოლოზამ ის იყო წასვლა დააპირა, იქნებ სხვა, ამაზე უფრო ჰკეთილყოფელი მოვნახო ვინმეო, რომ ღობეს სამალავიდან გამოსული ორი ფეხშიშველი ბიჭუნა და ტანისამოსჩამოკონილი შუახნის გლეხი, ბავშვების მამა, მოადგა. ნიკოლოზამ ამათგან შეიტყო, რომ სოფელი წინაღამეს დაერბიათ იმერეთიდან გადმოსულ ლეკებს. მეფის სახლელი ამ დროს აქ უკვე აღარ ყოფილიყო. იგი რამდენიმე დღით ადრე ხოტევის ციხეში შეეხიზნათ წულუკიძეებს...

სანუგეშო ახალი ამბის შეტყობით ფრთხილმხედრობა ნიკოლოზამ ჯიბეები მოიქექა, გაკვირვებისაგან პირდაფრენილ გლეხს, ბავშვებსა და დედაბერს წვრილი ფული დიდკაცურად გადაუყარა და თვალის დახამამებაში ცხენს მოახტა. სოლომონისათვის გულს ვედარ გაეძლო და სოფელში ძიძიშვილის უნებართვოდ შემოსულიყო. ნიკოლოზამ იგი ყრუჩუნა აღათის ჭიშკართან იპოვნა. იმ ადგილას, სადაც აქედან საწერეთლოში გამგზავრების წინ ისლით გადახურული მომკრო ქოხი, საბძელი, ბეღელი, საქათმე და ნალია იდგა. ახლა კვამლით შებოლილი ჭებების უწყსრიგო გროვები, შავი ნაცარი და კოჭების ნაშვავებიღა დარჩენილიყო. სხვა ყოველივე ცეცხლს შთაენთქა და ოდესღაც კოპწიად ამწვანებულ ეზოში სიცოცხლის ნიშან-წყალი წაეშალა. სოლომონი რაღაც სასწაულით გადარჩენილ ჭიშკრის ერთადერთ ბოძს მიყრდნობოდა, ცხენის ალვირი ილღიაში ამოედო და ენაჩავარდნილი ამ ჩანაცრებულ სახლ-კარს მისჩერებოდა. მან თავი უმალ ასწია, როგორც კი ნიკოლოზას ცხენის ფეხისხმა შემოესმა და კიდევ უფრო საზარელი ამბის გაგონების შიშით ადვსილი თვალეები მოსულს მიაპყრო.

— ხოტევი მიგელიან, ბატონო, —

მიაგება ნიკოლოზამ. — აქ აღარაფერია არის...

მეფე ძიძიშვილს მივარდა, ჩამოქვეითება აღარც კი აცალა, ორივე ხელი მუხლზე სტაცა და თვალი თვალში გაუყარა.

— თინათი ცოცხალია? მართალი მითხარი, არაფერი დამიმალა!

— ნუ გეშინია, ბატონო, მე ხომ ვთქვი, ღმერთი, დეილოცა იმისი სახელი, არ გაგეწირავს-მეთქი.

— მითხარი ჩქარა, რაღას აქიახულებ!

— დედოფალი ხოტევის ციხეში ყოლიათ წულუკიძეებს.

— ღმერთო, შენ გვიშველე! — სოლომონმა ხელები აღაპყრო. — დიდი ხანია ბიკო?

— ორ კვირაზე მეტი იქნებაო, ბატონო.

— სხეები?

— ყველა თან წაყვებოდა, აქ რაღას გოუჩერდებოდნენ!

— ეგ სად შეიტყვე?

— აგერ მითხრეს...

— ვინ დაწვა აქაურობა, ვინ ააოხრა სოფელი?

— ხეირიანად არაფერი იცის, ბატონო, ღამე დასკვირდი. იმერეთიდან გადმოსულ ლეკებს აბრალებენ. ზოგი ერისთავს აღებს ხელს...

— როდის? ახალი ამბავია?

— მეორე დღეაო. ბატონი თინათი უკვე აღარ ყოფილა აქ... ღმერთმა დიდი დღე მიცეთ წულუკიძეებს! სულიწმიდამ ჩააგონათ თუ რა იყო... დროით ვეწიოთ აწი გზას, სოლომონ, ამათ თუ ვეღარ იარეს, — ნიკოლოზამ სველი აღვირი შეარხია. — ცხენები საშოვარი შეყოლება.

— ტყუილს არ ამბობდე, ბიკო... — ერთხელ კიდევ უნდობლად შეესიტყვა მეფე.

— მრისზოს ველიეთის წმიდა გიორგიმ და გელათის ღვთისმშობელმა! აღარ დამიჯერებ ახლა?

თითქოს ჯავრი უნდა ჩამოირეცხოსო, სოლომონმა საღი ხელი მოისვა გაფიქ...

რებულ სახეზე, ერთი კი ამორგზინა, გმადლობ შენ, ღმერთო, მთლად რომ არ გამწირეო, პირჯვარი გადაისახა და ცხენზე წეჭდა.

XXXI

სოლომონი მოვიდაო, ეს ხმა ხოტევის ციხეში მეხვიით გავარდა. მხარში დაკოდილი და ტანისამოსშემოვლელი იმერთა ბატონი ერთადერთი მხლებლის ანაბარა დაბრუნდა თავისი შორეული, ფრიად სახიფათო და ხანგრძლივი მგზავრობიდან. მას აქ არაფერი მოელოდა, რადგან დღეის დღეს, თუ ყისმათმა გაუტრა და ღვთით მტერი დაამარცხა, ვარციხის სასახლეში უნდა ყოფილიყო და არა წულუკიძეების კუთვნილ ხოტევის ციხეში. თვით გიორგი და ბერი წულუკიძეები შინ არ ბრძანდებოდნენ. ციხე და მამული სახლელულისა და გეციხოვნე ჯარის იმედზე დაეტოვებინათ, თვით კი მეფის შესაწყენად დაშკრით იმერეთს წასულაყენენ და აგერ მეორე კვირა იყო, არაფერს იტყობინებოდნენ. ხანისწყლის ხეობაში სოლომონის შემწე აგარიანთა მხედრობის ამოწყვეტისა და თვით სოლომონის ღადოს მთებში თავის შეფარების ამბავს ჯერ ხოტევიამდე ვერ ამოედწია...

მეფე და მისი განუყრელი ძიძიშვილი ნიკოლოზა ნაფიჩვამე ხოტევის ციხის ირგვლივ შემოვლებულ ღრმა თხრილს ნაშუალაპევს მოადგნენ. ეს დღე ხოტევიას კლდეებში დაედამებინათ, რადგან დღისით მათი გამოჩენა აქაც ისევე საფრთხილო იყო, როგორც სამეფოს სხვა ადგილებში.

კარიბჭის ფრთხილი მცველებისათვის ბატონებს მკაცრად ებრძანებინათ, მზის ჩასვლის შემდეგ, თუ თავი გიყვართ, ციხეში მშობელი მამაც არ შემოუშვათო. მათ უამისოდაც როსტომ ერისთავის ანაზღუელი თავდასხმა ელანდებოდათ და ქვემოდან რომ ნიკოლოზას ყვირილი გაიგონეს, ჯალამბრებზე დაკიდებული ხიდის გადაშვებას არც კი აპირებდნენ. დათუნა ნაფიჩვა-

ძემ შემთხვევით ძმის ხმა იცნო, გაიფიქრა. მართლა ნიკოლოზაა თუ მეჩვენებო, ანთებული ეინკლილი გამოიტანა და კარიბჭის გოდოლიდან ძირს გადაიხედა. თვით მეფე მობრძანებულაო, რომ დაიძახეს, მთელი ციხე დიდბანატარიანა ფეხზე დადგა. მეციხოვნენი თვალებს ვერ უჭერებდნენ. ნუთუ ეს კაბაშემოგლეჯილი, თმაწვერმოშვებული და უძილობისაგან თვალეგამოღებული ტანმორჩილი კაცი მართლაც მეფე სოლომონი იყო?

მეფის მოულოდნელი გამოჩენით თავადაც სხეებზე არანაკლებ აწრიალებულმა და დაბნეულმა დათუნა ნაფიჩვამემ მეციხოვნეებს რალაც შეუყვირა, დაუცაცხანა, თქვე სალახანებო, რაგა ხატისაგან შეჩვენებულბეივით გამოლენჩებულხართ, კაციშვილი არ გინახათო? — და სოლომონს ციხის შიგა ტალანისაკენ წაუძღვდა.

კარის საკეტების ჩხარუნი და მცველების გადაძახილ-გადმობახილი ზემოთ, საქალებოშიაც გაეგონათ. ჯერ ელდა სცემოდათ, უთუოდ ერისთავი მოგვიხტაო, მერე ეფიქრათ, ეს ნამდვილად გიორგი და ბერი დაბრუნდნენ იმერეთიდანო და, ის იყო, ქვევით ჩამოსვლას აპირებდნენ მათ შესახვედრად, რომ ტალანში მგლური ნაბიჯით მომავალი დათუნა ნაფიჩვამე გამოჩნდა. მან თავისი აბრიალებული ეინკლილით კედელზე დამაგრებული ეინკლილი აანთო და კარზე ფრთხილად დააკაუნა. კიბისთავში ვადმომდგარმა წულუკიძეების შინამოსამსახურებმა, რომელთაც თავიანთი ბატონებისათვის ადგომა და ჩაცმა მოესწროთ, იცნეს მეფე, მაგრამ ამნაირ ვითარებაში მისი ნახვა ისე მოულოდნელი მოეჩვენათ, რომ ჩუმად შეჰკიეღეს, პირზე ხელი მიიფარეს და თავხარდაცემულები ადგილზევე გაშეშდნენ.

შიგნიდან ღრდულით ჩაგმანული მუხის შიში კარი თვით თინათიმ გააღო. ქალი საცვლებისამარა იყო, ბეჭებზე მხოლოდ წითელსარჩულიანი ლურჯი ქათიბი წამოესხა და ხელში მაჯის სიმ-

სქო შამახური სანთელი ეკავა. კარის ვალების უმაღლეს მან რალაც წამოიძახა და სანამ გარკვეულად რაიმეს იტყუდა წაბარბაცდა, კარის ჩარჩოს ღონემიხდილი მიენდო. ღმერთო, დიდებულო!.. საკუთარი თვალებისათვის ვერ დაეჯერებინა. ნუთუ ეს სოლომონი იყო? აქ საიდან და როგორ გაჩნდა?

მეფემ თვალის დახამამებაში ჩამოიშორა ზღიდან დათუნა ნაფიჩვამე, კარი ყურთამდე შეიღო და მოულოდნელი სიხარულისაგან ენაჩავარდნილი ქალი გულში ჩაიკრა. შემდეგ არც ერთს აღარ შეუშინებია, როდის წავიდა დათუნა, ან თინათის ხელიდან გაეარდნილი ანთებული სანთელი, ხალიჩით მოგებულ ქვის იატაკზე რომ გაგორდა, სასთუმალთან ვინ შემოდგა და ან კარი როდის და ვინ დაკეტა. ახალგაზრდა ცოლი და ქმარი ხან ტიროდნენ, ხან იციხოდნენ. ყველაფერი დაეიწყებოდათ და ახლა მხოლოდ ერთმანეთს ხედავდნენ, ერთიმეორის სიახლოვეს სხეულის ყოველი ნაკვითი გრძნობდნენ, წუხდნენ და ზეიმობდნენ, გონებას კარგავდნენ და კვლავ შეწყვეტილ ბედნიერებას უბრუნდებოდნენ. ძნელი იყო თქმა, რომელს უფრო მონატრებოდა თავისი გულისტოლი, რომელი უფრო მოეშხია გაუთავებელ და მტანჯველ მარტოობას, რომელი უფრო მეტად ეძლეოდა წუთიერ თავდაეიწყებას. თინათი მთელი ტანით ცახცახებდა, მდულარე ცრემლები დაპაღუპით ჩამოსდიოდა და სოლომონს გაუხეშებულ წვერს, მხრებს, ხელებს უსველებდა, თან აკანკალებულ თითებს შებლზე, ლოყებზე, მკლავებზე, თავზე უფათურებდა, ნახმლევს თუ ნატყვიარს ეძებდა. ქალის თითები უცაბედად არტაშნით გაკრულ მხარს წააწყდნენ. თინათი შეერთა, მტკივან მხარს ორივე ხელი შეაბო, ზედ ჯერ ყერიშალით, მერე შებლით მიენდო და ქმარს შეშინებულმა ჰკითხა:

— ეს რა არის, სოლომონ, დაქრილი ხარ?

— იპოვნე? — სოლომონს ღიმილი მოერია. გული საამოდ უძვრდა და მთე-

ლი მისი არსება ერთ აუწერელ ნეტარებას მოეცა. — დაქრილი ვარ, ვერ ხედავ?

— ვაიმე! — ქალმა ლოყაში იტყიყა ხელი და ისევ დაკოდილ მხარს მივარდა. — მერე ამას ასე ადვილად ამბობ?

— რა ექნა, თავს ხომ ვერ მოვიკლა! — მეფემ კბილები გამოაჩინა, გაცინება სცადა.

— ბერი სისხლი დაკარგე? ძარღვი ხომ არ იყო გადაქრილი?

— სისხლი სულაც არ გამომსვლია. ბეჭის ძვალი ამომივარდა.

— არა, სულ არა?

— შენ ნუ მომიკვდები...

თინათი უღონოდ აწრიალდა, აქეთ ეცა, იქით ეცა, აღარ იცოდა, რა ექნა. სოლომონმა ცოლის ხელები მოიშორა სამაგიეროდ, თვით მოხვია მკლავი კისერზე და თავისკენ მიიზიდა.

— ნუ გეშინია, ახლა ისე ძალიან აღარ მტკივა. თითქმის გამიარა. ხომ ხედავ, ამოდენა მანძილი ცხენით ვიმგზავრე. მომავალ პარასკევს არტაშანს მოვახსნევიანებ. აქიმმა ასე დამარიგა. ღმერთმა ააშენოს, გამოცდილი კაცი შემხვდა. შენ როგორა ხარ, რასა იქ? — ამ სიტყვებზე სოლომონმა უკან გადაიწია და ცოლს მუცელზე დახედა.

თინათი წამოწითლდა, ქმრის თვლებს თვალი ვერ გაუსწორა, მოიკუნტა და სახე მის მხარსა და ნიკაპს შუა ჩამალა. თავისი დიდი საიდუმლო ჭერ კიდევ არ გაუმხილა. სოლომონმა კვლავ არ იცოდა, რომ სულ მალე ბატონიშვილის მამა გახდებოდა. იქნებ ახლა ეთქვა? გულში დიდი ხნის ნალოლიაგები შიშნარევი სიხარულის გასამქლავებლად უკეთესი წუთი როდისღა დადგებოდა! ქალი ყოყმანმა შეიპყრო.

„ხვალ, ხვალ ვეტყვი, — გადაწყვიტა ბოლოს. — რაკი ამდენი მოვითმინე, ერთ დღესაც როგორმე მოვითმინე. რა ასეთი საჩქარა!..“

— არ მელოდი? — ჰკითხა სოლომონმა.

— დღეის სწორს. ბატონმა გიორგიმ ასე დაიბარა.

— სხარტალიდან რატომსწამოსხვედა? მოგეწყინა?

— შენ იცი, რა ამბავი იყო, სოლომონ? — თინათიმ თავი ასწია და ახლა პირდაპირ სახეში შეხედა ქმარს. — როსტომ ერისთავმა ორჯერ მოგვისია მარბიელები. გიორგი და ბერი რომ მარჯვედ არ დახვედროდნენ, ვინ იცის, რა დღე დაგვადგებოდა.

„მამ, ერისთავმა გვიმუხთლა? — გაიფიქრა სოლომონმა. — ვაი მის დედას!“, ხმამაღლა კი ეს ჰკითხა ცოლს:

— რა მიზეზი მოიღო?

— ბატონ გიორგის მოციქულის პირით შემოუთვალა, ვიცი, თინათი მანდა გყავთ დამალული და სანამ ჩემი ფეხით არ მოვსულვარ და არ წამიყვანია, ახლავე პატრონს გაუგზავნეთო.

— ვინ არის მერე ვითომ შენი პატრონი?

— რა ვიცი, ასე შემოუთვალა. ახალციხეში თუ მიპირებდა გასტუმრებას. შენ ხომ იქ იყავი. გიორგიმ და ბერიმ ძალიან იწყინეს ერისთავის ამისთანა თავხედობა. იგივე მოციქულს დააბარეს, მოდი და ლეთის შეწვევით ჩვენც აქ დაგხედებითო. ჩემთვის არაფერი გაუშხელიათ. შიშით გადავირეოდი. შემდეგ გულქანმა მითხრა საიდუმლოდ. ვიდრე ქულზე კაცს შეკრებდნენ და ორივე ძმა შენთან წამოვიდოდა, წინაღულს ხოტევი ჩამომიყვანეს და მას აქეთ აქ ვცხოვრობ. ციხიდან ფეხს არ მადგმევიანებენ..

— მარტო რაღა ხარ, რატომ არავის იწვევ ოთახში?

— ადრე გულქანი წვებოდა, სოლომონ, სანამ წაიყვანდნენ. იცი? გულქანი გათხოვდა, შენ დროს მხოლოდ დანიშნული იყო... ქაჩაიას გააყოლეს.

— ქაჩაიას? ვინ ქაჩაიას? — სოლომონმა წარბები შეჰყარა.

— ზურაბ მიქელაძის აზნაურია, კულაშიდან, — მიუგო ქალმა. გულის სიღრმეში მას წყენამ გაჰყრა, სოლო-

მონმა რომ გულქანის ბედით დაინტერესება გამოიჩინა. — არც ქორწილი ვადუბნდით, არც არაფერი. რა იყო ნეტა ამისთანა აჩქარება! ქაჯაია ოცდახუთი ცხენოსნით მოვიდა. წითური კაცია, ცხვირგაფლავებული, ხიხინა ხმით ლაპარაკობს. მეორე დილას ორი იმდენი მყარი გააყოლეს და ქალი გაატანეს. მართალი ვითხრა, გული დამწყდა, — ყმაწვილმა დედოფალმა ქმარს თვალი მოარიდა, რადგან თავის სიცოცხლეში, მგონი, პირველად ცრუობდა. — გულქანს ძალიან შევეჩვიე. საწყალმა რამდენი იტირა! ველარ მშორდებოდა. მას აქეთ სულ მარტო ვარ, შენზე ვფიქრობ და ასე მგონია, დრო უფრო მალე გადის. რატომ მიყურებ აგრე უცნაურად?

სოლომონმა მხრები აიჩეჩა და რამდენადაც შეეძლო, უდარდელად გაიღიშა. თინათი ამან გაამხნევა და უცებ გახარებულმა წამოიძახა:

— უი, მართლა, სოლომონ, იცი, რა საჩუქარი მოგიმზადე?

„ბავშვია კიდეც, — გაიფიქრა მეფემ და ისევ ღიმილი მოერია. — აზრადაც არ მოსდის, რა საშინელ განსაცდელში ჩაეცვივდით. ჰგონია, გულქანი წავიდა და ყველაზე დიდი საშიშროება უკვე გავლილია!“

— საჩუქარი? — გაიმეორა მან. — რა საჩუქარი? მე რომ ხელცარიელი მოვდი? ეს ერთხელ მაბატე, ნუ გამებუტები...

თინათი წამოხტა, ქმრის გულწრფელ მობოდიშებისათვის ყური არ უბღია, მობირდაპირე კედელთან მიიბრინა, სადაც სწორუბოვარი დურგლების ზეღით მოხარატებული კაკლის დიდი ვანჯინა იდგა, გააღო, უკრაში რაღაც ქსოვილები ამოურია და უმალ ისევ საწოლთან გაჩნდა. სოლომონი გულღიად და მოჩვენებითი სულწასულობით იღიმებოდა. ხარობდა, თავისივე გამოწავონი თინათის რომ ასე დიდ სიამოვნებასა და სიხარულს ჰვებოდა.

წითელი ატლასის პაწია პარკს ქალმა

თავი მოხსნა. სოლომონს ანიშნა, შენც მომეხმარეო და იქიდან სათუთლად დაეცილი ძვირფასი ქსოვილი ამოიძვრინა.

„რა უნდა იყოს?“ — ამასობაში სოლომონს მართლა გაჰკრა კლანჭი ცნობისმოყვარობამ და მთელი მისი ყურადღება თინათის ფესფესმა მიიპყრო. ქალმა ქსოვილს ორი ყური მოუნახა, წამოდგა, ზეასწია და ისიც შრიალით გაიშალა.

— დროშა! — აღმოხდა სოლომონს.

ეს მართლაც დროშა იყო, ჩალისფერი ფარჩის სამეფარდინი საეკლესიო დროშა. წინაპირის შუაგულში, თეთრ ტილოზე, გველშაპის გასაგმირად მახვილშემართული წმინდა გიორგი გამოეხატათ. უკანა პირს აგრეთვე საომრად აღჭურვილი მთავარანგელოზი გაბრიელი ამშვენებდა. დროშის ზედა კუთხეში იისფერი აბრეშუმის არშია იყო ჩასკვნილი. სოლომონი არშიას წაეტანა და ზედ ვახის კლერტოსებური მხედრული ასოებით გამოყვანილი წარწერა ამოიკითხა: „შევეკრე ესე დედოფალთ-დედოფალმან თინათი“. იქვე იყო დროშის ტარზე ჩამოსაცემელი ვერცხლის ბუშტი, რომელსაც ვერცხლისავე ჯვარი აგვირგვინებდა. ბუშტზე ოსტატს გამოეყვანა აგრეთვე მხედრული წარწერა: „ქ. მეფე სოლომონ“...

თინათის როდი გამოჰპარვია: სოლომონმა, ცოლს რომ აქამდე უდარდელ სახეს აჩვენებდა, უეცრად მოიწყინა, მარჯვენა თვალის ქუთუთომ, როგორც დიდი აღლევების დროს სჩვეოდა ხოლმე, თამაში დაუწყაო. ქალი ახლად მიხვდა, რომ ცოლ-ქმრულ სიხარულსა და განცხრომას აღსასრული დასდგამოდა და სახლში კარსუკან ჩასაფრებული ჯავრი და ვარამი შემოდიოდა. თინათი აიბნა, წელანდებურად აწრიალდა, გულით სწაღდა, ქმრის მდგომარეობა რითიმე შეეშუბუტებინა, რაღაც ისეთი რამ მოეფიქრა, მაგრამ უშწყო ქალს აბა რა შეეძლო!

— შენ სულ არაფერი იცი? — მოწყვეტილად, ყოველგვარი შემოვლისა

და მიეტმოეთის გარეშე ჰკითხა სოლო-
მონმა.

ქალი გაშრა, აიწურა, დროშის ყურს
ხელი უშვა, მასაც თავისმა სიმძიმემ
სძლია, დაცურდა და შრიალით ჩაიკეცა
იატაკზე.

— დამხმარე ჯარი ხანისწყლის ხეო-
ბაში ლალათით გამიწყვიტეს, ბაღდათ-
ში შემოსვლაც ვერ მოვასწარი, — ამ-
ოსთქვა სოლომონმა მთავარი სათქმე-
ლი და თითქოს ყველაფერში თავად
ყოფილიყოს დამნაშავე, ცოლს მზერა
მოარიდა.

ეს იმდენად მოულოდნელი და წარ-
მოუდგენელი რამ იყო, თინათი ერ-
თბაშად ვერც კი მიხვდა, რომელ დამ-
ხმარე ჯარს ასხენებდა სოლომონი,
მხოლოდ ის იგრძნო, რომ თავზე რა-
ღაც დიდი უბედურება დასტეხოდათ.

— სულ არაფერი გაგიგია? — ახლა
თითქმის დაყვავებით ჰკითხა ქმარმა და
შხარზე ხელი მოჰხვია. თინათიმ თავი
გააქნია უარის ნიშნად. ის ისე იყო
შეძრწუნებული, ჭვითინი ყელში აწვე-
ბოდა და ხმის ამოღებაც ვეღარ მოე-
ხერხებინა. — უხაროდეს დედაჩემს,
ბატონ ბაბუას და ბიძაჩემებს! — თქვა
კვლავ სოლომონმა და სივრცეში რო-
მელიდაც ამოჩემებულ წერტილს მიაშ-
ტერდა. — დიდი ხნის საწადელი აუს-
რულდათ. ტახტზე ვეღარავინ შეედა-
ვებათ. თათრის ვალში ვასცემენ ქვეყა-
ნას. ფაშა, რაღა თქმა უნდა, დასაკლა-
ვად მეძებს. აქაურმა ციხისთავებმა
ჯილდო გამოაცხადეს. დიდ ფულს მის-
ცემენ, ვინც მომკლავს ან ცოცხლად
შემიპყრობს. ფაშამ ასე იცის, რომ
ჯარი ლალათით ამოვუხოცე. ვინღა გა-
არჩევს ახლა, მტყუანი ვარ თუ მართა-
ლი ჩემი და სამეფოს გადარჩენა აწი
მართო განგებას შეუძლია.

— განგებას და დადიანს, — ძლივს
გასაგონად წაიჩურჩულა თინათიმ.

სოლომონი ისე შეტოკდა, თითქოს
უეცრად ვიდაცას სახეზე მათრახი გა-
დაეწნას. ცოლს შეხედა. ეს მართლა მან
თქვა თუ სოლომონს მოეყურა? რამდე-

ნიმე წამმა ისე გასტანა, ხმა აღარ ამო-
ულიათ, მხოლოდ ერთმანეთს მიშტე-
რებოდნენ, სოლომონი ~~მიშტე-
რებოდნენ~~, თინათი — მორიდებულად, როგორც
ყოველთვის სჩვეოდა. ბოლოს ისევ
სოლომონმა გაბედა მყუდროების დარ-
ღვევა და ქალს შეცვლილი, გაუცხოვე-
ბული ხმით ჰკითხა:

— ეგ რა თქვი, თინათი?

ქალმა თავი ჩალუნა, ისევ აიღო და
ქმარს გვერდულად გამოჰხვდა:

— გაგიკვირდა? რატომ გაგიკვირდა?

სოლომონმა ენას მოუკიდა, სათქმე-
ლი აებნა. ცოლის სიმშვიდემ და თით-
ქმის დამცინავმა ღიმილმა ის ერთბა-
შად განაიარაღა. სრულებითაც არ მოე-
ლოდა, თუ თინათი ამგვარ რამეს ეტ-
ყოდა და ერთსა და იმავე დროს დარ-
ცხვნილმაც და შეშფოთებულმაც სიტ-
ყვებს ძებნა დაუწყო:

— მე... შენ კარგად იცი, თინათი...

— სიყვარული უნდა დამიმტკიცო? —

ქალმა ეშმაკურად გაიღიმა და წამწამე-
ბი დახარა. — ეგ ხომ ისედაც ვიცი.

სოლომონს ეწყინა და თავისი წყენა
ვერც დამალა:

— ტყუილად მხიარულობ, თინათი,
მე და შენ სამხიარულო არაფერი
გვაქვს...

— ვიცი, ბატონო, მე შენ მართლა
სულელი პატარა გოგო ხომ არ გგონი-
ვარ? თუ ასეა, გვირგვინი რისთვის და-
მადგი, სულელი ქალი მოწყობილ ოჯახს
დააქციევს და მოუწყობელ ქვეყანას
დედოფლად რას გამოადგება! გახსოვს
ჩვენი საუბარი ჯერ კაცბში, ლევან ბა-
ბუასთან რომ ვიყავით სტუმრად და შინ
არ დაგვიხვდა, და მეტი საწირეში, ნა-
ფიჩვაძეებისას? მას შემდეგ მე ბევრი
ვიფიქრე, ბევრი რამე ავწონ-დავწონე,
ბევრ რამეს მივხვდი...

სოლომონმა სიმწრის ოფლი მოიწუ-
რა შუბლზე, მძიმედ სუნთქავდა, ჰერი
არ ჰყოფნიდა და განუსაზღვრელი
სურვილი ებადებოდა, ეყვირა, მთელი
ქვეყანა შეეძრა, თვით ყოვლის მხილვე-
ლი მაღალი ღმერთი მოწმედ დაესახა,

რომ თინათის სიყვარულში უმწიკლო იყო, რომ ვერაგული განზრახვა გულში არ ედო და არც არასოდეს გაუფლია...

— ოტია დადიანმა ორჯერ გამოგზავნა შეუკაცები, — მშვიდი ხმით განაგრძო თინათიმ. — გულით უნდა, თავისი ქალი მარიამი იმერეთის დედოფლად იხილოს. სხვა მთხოვნელებს ცივ უარს ეუბნება. კიდევაც დაუქადნია...

— ეგ შენ ვინ გითხრა? — სოლომონმა თავადაც ვერ შენიშნა, როგორ დაიჩოქა სათაყვანებელი ცოლის წინაშე.

— დიდმა დედოფალმა თამარმა, ჩემმა დედამთილმა. დადიანის დანაქადი სხვებმაც მოიტანეს. ადექი, რას შერებია!

— თუ ეგ იცოდი, რატომ აქამდე არაფერი მითხარი?

— საფიქრალი და საზრუნავი აღარ მოგიმატე, სოლომონ...

მეფეს გული აუჩუყდა, უნდოდა წრფელი მადლობა ეთქვა, მაგრამ იგრძნო, რომ ყალბად გამოუვიდოდა და მხოლოდ ეს თქვა:

— მე გთხოვ, თინათი, ერთ რამეს გთხოვ... ჩემს სიყვარულში და ერთგულებაში ექვი ნურასოდეს შეგეპარება. ეგ მე შეურაცხყოფას მაყენებს. ერთ წუთსაც ნუ იფიქრებ. უშენოდ მე სიცოცხლე არა მსურს. წმინდა ზიარება ღმერთმა შხამად მიქციოს, თუ ღვთისა და კაცის წინაშე მართალს არ ვამბობდე! უშენოდ მე რა მაცოცხლებს, თინათი, არა გრცხვენია, ამას მალაპარაკებ?

თინათის ცრემლები მოეძალა, გული ამოუჯდა, ქმარს თავისუფალი მარცხენა ხელი თავზე შემოხვია და შუბლი ყვრიმალზე მოუხახუნა. ერთხანს ასე ისხდნენ, ჩუმად ტირილდნენ და ერთმანეთის გულისძგერას უსმენდნენ.

— შენ მაინც უნდა გაუგზავნო კაცი დადიანს... — თქვა თინათიმ, როცა სული მოითქვა და სიტყვების თავის მოყრა შესძლო.

— დადიანს? — სოლომონი გაცოფდა. ერთი წამის შემდეგ თვითვე იგრძნო, რომ მის მრისხანებას სიყალბე შე-

ერია და უმაღლეს დამატებით ახსნა/განმარტებას მიმართა: — დადგინდნენ! მე რა შესაქმება, თინათი? მისი მრცხელი კაცი ჩიჩუა მე კინწისკვრით გავაგდე ზედა დიმიდან. ცოცხალი თავით ძლიეს გამასწრო, ავერ დათუნა ნაფიჩვაძე და ბატონიშვილები, ჩემი ძმები, მყავს მოწმე...

— ეგ არ უნდა გექნა, სოლომონ, ჩემთვის რომ გეკითხა, არასგზით არ დაგანებებდი. დადიანის გადაკიდება ხუმრობა საქმე გგონია? იმერეთის ყველა ჭკვიანი მეფე დადიანის მეგობარი იყო. თუ დამორჩილებას ვერ ახერხებდა, მეგობრად და შემწედ მაინც ჰყავდა...

— მე არ შემიძლია, ჩემი დამამცირებელი და აბუჩად ამგდები მეგობრად გავიხადო, არ შემიძლია, არა, ჯერ ავრე არ დავცემულვარ!

— ის, რაც ბატონმა ოტიამ შემოგთავაზა, შენი დამცირება და აბუჩად აგდება სულაც არ არის. პირიქით, სოლომონ. ოტია ჭკვიანი და გამოცდილი კაცია. იცის, თუ იმერეთის მეფესთან კავშირი არ გააბა, მასაც ადვილად მოერევა მტერი.

— მამის სულს ვფიცავ, მე შენ გამაგიყებ, თინათი, გამაგებინე, რის თქმა გინდა!

— ტახტი უნდა დაიბრუნო და ქვეყანას მოეპატრონო. ეს ყველაფერი მე შენგან ვიცი, შენ თვითონ ამბობდი...

— მე? მე დავიბრუნო ტახტი? როგორ მერე, რა ვზით? ხომ გითხარი, ცა ჩამომეჭკა, მოყვარე მტრად გამიხადეს.

— დადიანს უნდა დაუკავშირდე.

— მაგას რანაირად ამბობ, თინათი, ნუთუ არ ვახსოვს, კავშირის სანაცვლოდ დადიანი რას ითხოვს?

— მახსოვს...

— მერე სრულ ჭკუაზე ხარ?

— მე უკვე გითხარი: დადიანს უნდა დაუკავშირდე.

— ეს რა მესმის! ვინ ჩავაგონა ეგ საზარელი აზრი, გონება ვინ გადაგიბრუნა?

— ხვაშაქმა.

— ვინ ხვაშაქმა, დედაჩემის მოახლემ?

— სწორედ იმან.

— ჭკუაზე შერყეულა კუდიანი დედებერი. ცხენის კულზე გამოვბამ, თმით ვათრევე, ძელზე გავსვამ, საფლავსაც არ ვადირსებ, ყვა-ყორნის კერძად გავზლი!

— რას ემართლები, ხვაშაქი ჩვენი ერთგულია. ღმერთს ნუ სკოდავ მაგნაირი უპატიური სიტყვებით. მართლა ასე იყო. თვალი პირველად ხვაშაქმა ამიხილა. ღამლამობით, შენს მოსელამდე, ჩემთან იჭდა ხოლმე და ათას რამეს მუპტუნებოდა. არ უწონებდა ნაბიჯს ჩემს მამამთილს, მეფე ალექსანდრეს, ტახტის მემკვიდრისათვის დადიანის ქალი უნდა მოეგვარა, ანდა ქართლ-კახეთის მეფეებს დამოყვრებოდაო.

— თუკი ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა?

— მაგას, სოლომონ, განა ასე დიდი მნიშვნელობა აქვს?

— ევლარა გცნობ, თინათი, ან მე აღარა ვარ სრულ ჭკუაზე ან შენ!

— მე ყოველთვის შენი მოწაფე ვიყავი, სოლომონ. დღესაც მინდა მასწავლებლობა გამიწიო და დიდსულოვნობის მაგალითი მაჩვენო. მეცა მსურს ჭვეყნის გასაჭირის წუთებში ისე მოვიქცე, როგორც ჩემს ღირსებასა და მდგომარეობას შეეფერება. — თინათი დაიხარა, იატაკზე ჩაკეცილი დროშა აიღო, ორივე ხელი დაჰხვია და მუხლებზე დაიდო. — მეც ჩემი ჭვეყნის შვილი ვარ... წელან შენ მკითხე, თუ ამდენი რამე იცოდი, რატომ აქამდე არაფერი მითხარიო? მეგონა, სხვა მხრივ გალონიერდებოდი, სოლომონ, ფაშა შეგირიგდებოდა და ტახტს დაგიბრუნებდა, ჭვეშევრდომები მხარში ამოგიდგებოდნენ...

— დღეს რა გადაგიწყვეტია?

— რასაც ჩემი ბატონი მიბრძანებს! — მტკიცედ თქვა ქალმა და როცა შეატყო, ამ სიტყვებმა შესაფერი გავლენა ვერ მოახდინესო, დაუმატა: — გულს ნუ დაეკითხები, გული სანდო მრჩეველი არ არის. მე ეს ჭკვიანი კაცებისაგან

გამიგონია. შენ მეფე ხარ და ჭვეყანა უნდა განაგო. სხვა დანარჩენი...

— დამცინი, თინათი, ეგადა მაკლდა!

— მე და დაცინვა? — უპასუხა ქალმა და გაიღმა. — ღმერთმა იცოდეს, ნაბიჯის გადადგმას გიადვილებ. მე ხომ ვიცი, სხვა გზა აღარა გაქვს. ვილოცოთ, ღვთისმშობელ დედას შევავედროთ ჩვენი სამშობლო, ჩვენი ხალხი, მოგვიტევოს ყველა ცოდვა...

— არა! არ მინდა! — შეჰყვირა სოლომონმა და ცეცხლწაკიდებულივით ზეზე წამოვარდა. ბეჭმა თავი შეახსენა. ტკივილისაგან დამახინჯებულ სახეზე ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. — არაფერი არ მინდა! ყველაფერი მაგათ ქონდეთ, ყველაფერს ეგენი დაეპატრონონ! არ მინდა, არა! — ყვიროდა ის და მტკივან მხარს მეორე, სალი ხელით ისრესდა.

— დაწყნარდი! — თინათიც უმაღწამოდგა და თანაგრძნობით გულგასენილი ქმარს მივარდა. — ვინმე ხმას გაიგონებს და შემოვა.

— არა, არა, თინათი, მე ყველაფერი მომბეზრდა, ყელში ამოვივიდა, ყველა და ყველაფერი ჰირს წაუღია. ფუ ამისთანა სიცოცხლეს!..

— ეგ ლაჩრობა და დედაბრული წუწუნი სწორედ არ შეგფერის, — თავშეკავებული საყვედურითა და ფარული აღერსით უთხრა თინათიმ. — პირველმანვე მარცხმა ასე როგორ უნდა წაგახდინოს ვაჟაკი! შენი სათაყვანებელი მეფე გიორგი ბრწყინვალე, ამ დღეში რომ ჩავარდნილიყო, აგრე სულმოკლედ მოიქცეოდა? ქალი ვარ და ეგ მე არ მომივა. ხომ მიყურებ, როგორ მაგრად ვარ. მომეცი ხელი! მომე ხელი და შემომფიცე!

სოლომონი მობრუნდა, შინაგანა ტკივილისაგან გაწამებული სახე ასწია და ქალს თვალებში ჩახედა. თინათი მშვიდად იღიმებოდა. თითქოს კმაყოფილი და ბედნიერიც კი იყო...

ვიწრო სარკმელში ლურჯი ცის ნაქერი მოჩანდა. მოციმციმე ვარსკვლავ-

ვებს ფერი დაჰკარგვოდათ. თენდებოდა. სოლომონმა სანთელს სული შეუბერა, ჩააქრო, ცოლის ლოვინზე გაუხდელი მიეგდო და საკეთარ თავთან ნაბრძოლ-ნაომარმა თვალები დახუჭა.

XXXII

მეფის ძმას მიტროპოლიტ იოსებს მოთმინების სიმი გაუწყდა. წამდაუწყუმ საათს დასცქეროდა და თავის სენაკში განმარტოებული სოლომონთან შესახვედრად გათენებას ელოდა. მის თვალში ძმა მკვდრეთით აღმდგარი იყო. პირველად ვერც კი დაიჭერა, მეფის მოსვლა რომ აუწყეს. იოსები პეტრე-პავლობა დღეს ამოვიდა გელათიდან რძლის დანახედავად და სწორედ უკან გაბრუნებას აპირებდა, როცა საიდუმლო მსტოვრებმა ხანისწყლის ხეობაში დატრიალებული ზოცვა-ვლეთის და შემდეგ სოფლების აკლების ამბავი მოიტანეს. თავზარდაცემულმა მიტროპოლიტმა მსტოვრები ახალი ცნობების მოსაპოვებლად გაისტუმრა, ისე რომ მათი მოსვლა კაციშვილისათვის არ შეუტყობინებია და ხოტევის ციხიდან გელათს გამგზავრება რამდენიმე დღით გადასდო. უბედურ თინათის, ალბათ, ისე არასოდეს დასჭირვებია მახლის ახლო ყოფნა და მფარველობა, როგორც ახლა. ურუმის ქარისა და სოლომონის დამარცხების ამბავი, რაც აქ ჯერჯერობით მხოლოდ იოსებმა იცოდა, ორ-სამ დღეში ქვეყანას მოედებოდა და თინათის ყურამდე მიალწევდა.

იოსები საგონებელს მიეცა. გაემზილა თუ დაეშალა, რაც ეს-ეს იყო შეატყობინეს? ზოლის ისევ თავის შეკავება ამჯობინა. ცნობებს ყოველმხრივი შემოწმება ესაჭიროებოდა. ვინ იცის, შეიძლება, ის თვით მტერმა გაავრცელა ხალხში სოლომონისადმი უნდობლობის დასათესავად!

სამცხიდან შუა მარხვაშივე მოაღწია ხმამ, ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე, მეფის მრჩეველი, ფაშამ მძევლად დაიტოვაო. იოსებს ეს არ გააკვირვებია,

თუმცა იმედოვნებდა, რომ სოლომონი ნაკლები საზღაურის ფასად მისძღვრებდა ფაშა პაჯი-აჰმადის მომხრეობას. ამის მისეული ტახტის დაბრუნებასაც. ამის თავდები ქართლ-კახეთის მეფეთა მეგობრული წიგნები იყო, რომლებიც მეფეებმა ფაშას თვით მიტროპოლიტ იოსებისა და არჩილ ბატონიშვილის ხელით გამოუგზავნეს. ლალატის ამბის შეტყობით გამძვინვარებული ბეგლარბეგი, ცხადია, ჯავრს უბედურ მძევალზე იყრიდა, ეპისკოპოსის მოკვეთილ თავს, სხვათა კჳუის სასწავლებლად, იმერეთში გამოაგზავნიდა. იოსები გულწრფელად შეწუხებული იყო. მაქსიმეს უდროო სიკვდილი დიდ საქვეყნო დანაკლისად მიაჩნდა, თუმცა ამ დღითთ მომადლებული ნიკითა და მრავალმხრივი განსწავლულობით აღჭურვილ საეკლესიო მოღვაწეს გულში თავის სამიშ მტოქედ თვლიდა და მის თანდათანობით აღზევებას თვალს ფარული შემოთებით ადევნებდა.

ხოტევის ციხეში მეფის მოულოდნელმა მოსვლამ აქამდე შეფიქრინებული და მტანჯველ ექვებში გახლართული იოსები კვლავ ფეხზე წამოაყენა და გაამხნევა. ძველი დრო რომ ყოფილიყო, ის წამსაც არ დაახანებდა, მაშინვე გამოვარდებოდა სენაკიდან და მკვდრეთით აღმდგარ ძმას სხვებთან ერთად ციხის შიგაგზოშივე მიეგებებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელი მდგომარეობა ქაბუჯური დაუდევრობის საშუალებას არ აძლევდა: უმალეს საეკლესიო პირს, მით უფრო მრევლის თვალწინ, სიღინჯე და თავისი ღირსების ღრმა შეგნება მართებდა.

ვიდრე იოსები ტანზე ჩაიცვამდა და ძმასთან შესახვედრად მოემზადებოდა, შეატყობინეს, მეფე დედოფალ თინათის საკანში ბრძანდებოა. ჩასულიყო იქ და ენახა, თუ ახალგაზრდა ცოლქმრისათვის ერთიმეორის მოსიყვარულება ეცლია? ბედად, მეფის მხლებელი ნიკოლოზა ნაფიჩაძე გაახსენდა, მაშინვე მოაყვანიდა, ნაუცბათევი ვახ-

შვით გაუმასპინძლდა და გამოკითხვა დაუწყო.

ნიკოლოზა ერთხანს ფეხს ითრევდა, სიტყვას ბანზე აგდებდა და პირდაპირ პასუხებს გაუბრუნდა. ბატონიშვილები მუდამ კრიკაში ედგნენ და მტრობდნენ ერთმანეთს და რალა მიინცდამაინცეს — მიტროპოლიტი იოსები — იქნებოდა მეფის კეთილის მსურველი? შემდეგ გაიფიქრა, ღვთის წინაშე ცოდვან ჩადივარ, ეს წმინდა კაციც ზნედაცემული უფლისწულების მარაქაში რომ გავრეო და ენა ამოიდგა. იოსებს ყოველ კითხვაზე ნაწყვეტ-ნაწყვეტ პასუხს აძლევდა, და, თუმცა ციხის სამზარეულოში წახეხებდა უკვე მოესწრო, აქაც მადიანად, მთელი წლის ნაშიმშილარ გაძეხასავით იღმურძლებოდა.

იოსები მშვიდად და დაკვირვებულად უსმენდა, დროდადრო სასმისს შეუფესებდა ხოლმე პეკემოკიდებული წითელი ღვინით და თავის აშკარა დამოკიდებულებას არაფრის მიმართ არ ამქლავებდა. მხოლოდ როდესაც ნიკოლოზა ნაფიჩქაძემ ჯერ თეიმურაზ ბატონიშვილის ათაბაგის კარზე ყოფნა და ბოლოს ერისთვისწვილების ელჩობის ამბავი აუწყა, ახალგაზრდა მიტროპოლიტს ჩვეულმა სიღარბისღემ უღალატა, ზეზე წამოვარდა და ეწირო სენაკში რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა. თეიმურაზის სახელის ხსენება გულ-მუცელს უწყვედა. თავისი მკვიდრი ბიძაშვილის ზნეჩვეულებებს, სისასტიკეს, ბრმა სიძულვილს ალექსანდრეს შვილებისადმი, რომლებსაც ლიბთიმერეთში ისლამის გავრცელების ყველაზე ბოროტ მოწინააღმდეგეებად სახავდა, საკუთარი ხუთი თითივით იცნობდა და ეტკვი არ ეპარებოდა, რომ თეიმურაზი ყოველ წამს მზად იყო, „ჭეშმარიტი სარწმუნოების“ ვასავრცელებლად, უფრო კი ტახტის დასაკუთრების გულისათვის, ხელში მახვილი აედო. თუკი სათანადო უფლებამოსილებით აღკურავდნენ და ფაშასაგან მხედრობას მიიღებდა, თეიმურაზი არავითარი სულმდაბლობისაგან უკან არ დაი-

ხედა, ბიძაშვილების ჯავრის ამოსაყრელად მშობელ ქვეყანას დღითი რისხევად მოევლინებოდა და ყოველ კუთხეში ცრემლისა და სისხლის გუბებს დააყენებდა. იმერეთს უკანასკნელი ღონე უნდა მოეკრიბა და რითაც შეეძლო, იმით გადალობებოდა წინ თავის უბეში გაზრდილ მტარვალს...

იოსებმა მშფოთვარე ფიქრში გაათენა. დილას, მამლებმა რომ იყივლეს, როგორც იქნა, ფეხისხმა შემოესმა და კარზედაც მოუტაკუნეს. გაიფიქრა, მადლობა უფალს, თვით სოლომონმა მომაკითხაო და კარი მოუთმენლად გამოალო, მაგრამ ხელში დათუნა ნაფიჩქაძე შერჩა. მეფე უქეიფოდ ბრძანებულყო და იოსებს თავის საკანში იწვევდა...

სოლომონი ძმას კართანვე მოეგება, ჯერ ხელზე აკოცა, ლოცვა-კურთხევა გამოსთხოვა, შემდეგ გადაეხვია, დათუნა უკან გააბრუნა და სასურველი სტუმარი ხალიჩაგადაფარებულ ძელებურ ტახტზე გვერდით მოისვა.

— გვიან მოსულხარ, — დაიწყო იოსებმა და ძმას თავიდან ფეხებამდე ახედ-დაპხედა. — ახალი ჩაძინებული ვიყავი.

მეფემ კარისაკენ მიაბრუნა სახე, ხომ მიკეტილიაო და ნაღვლიანად მიუგო:

— ვერ გავებდე დღისულ გამოჩენა. ერი და ბერი მოჩერებულია. ამ ოჯახ-ქორებმა იმისთანა ყვირილი და ქაქანი ასტეხეს, მაინც გააგებინეს ქვეყანას...

— როსტომს უკვე ეცოდინება.

— ჭირი მომჰამოს და სატკივარი. მეთს რალას მიზამენ! სხარტალი აუკლია. ჩვენი ქოხი, მე და თინათი რომ ღამეს ვათევდით, დამწვარი დამხვდა.

— აიკლეს, სოლომონ, ძალა მავათ ხელშია. მადლობა ღმერთს, ხალხის გახიზნვა და თინათის აქ ჩამოყვანა მოვასწარიო.

— გიორგის და ბერის რა ისმის?

— ამოვლენ, აწი აღარ ეგვიანებათ.

— მართლა! არჩილი? — მეფემ მონატრებული უმცროსი ძმა ასე ნაგვიანევად მოიკითხა. — არჩილი სად არის?

— წულუციძეებს გაეყოფო. შენთან წამოსვლა აიჩემა. ამოვა და ნახავ. შენ გამხდარი მეჩვენები. იავადმოყოფე?

— არაფერი არ დამკლებია. იასე. აგერ მეორე კვირა სრულდება, ცივ მიწაზე ვაგდვიარ. ყოველი ჩირგვის უკან მტერია ჩასაფრებული. მითხარი შენ, რომელ ერთს გაუმკლავდები? ჩანი გაეარდნია, ყველაფერს ვაეუძლებდი...

— რაც იყო, იყო, — შეაწყვეტინა ძმას იოსებმა. — ჯერით ახლა რაღას მოგეწყევით. ღვთის განგებას უნდა ვუძღვდეთ, რომ სული შეგერჩა და უვნებლად გადარჩი.

— ამისთანა გადარჩენას სიკვდილი ასწილ მირჩვენოდა. თავი მაინც მოსაკლავი გამიხდა. შენ დამჩრახავ, ვიცი, ამ სიტყვებს ლაჩრობაში ჩამომართმევ. მეტი აღარ შემიძლია, ძმაო, სინდისს გეფიცები. საზღვარი ხომ აქვს ყველაფერს!..

მეტროპოლიტმა თვალეები დახარა.

— რა ვქნა, სოლომონ, სასიხარულო ამბები ვერც მე დაგახვედრე. ამ ერთ კვირაში ორჯერ მოუყარეს თავი ტყვეებს. ბრალი დაგვდეს, შარშან დაგვაკელითო. იმისთანა ცოდვისკითხვა იყო, დედა შვილს არ აიყვანდა. ხუთასი კაცი, ქალი და ბავშვი, აქვე შეისყიდეს თათრის ვაჭრებმა, ხუთასი ყულევში გარყეს. იქ მეგრელები და აფხაზები ყავდათ მოგროვებული და ყველას ერთად დასხამდნენ გემზე.

სოლომონმა ერთბაშად აეარდნოლი კანკალი როგორც დაიოკა და უძილობისაგან გაფითრებული სახე მღვდელმთავარს მიაპყრო.

— აწი უარესი დღე მოგველის. — მოგუდული ხმით განაგრძობდა იოსები და სმენად გადაქცეულ მეფეს თვალს არიდებდა. — ვეღარც ეკლესიას ვპატიობთ. უწინ ეს მაინც არ გექონდა სათავემო. რაც შენ წახვედი, სოლომონ, ცუცხვათის და ხრესილის მეციხოვნეები ექვსჯერ მოგვიტყნენ გელათში. ხრესილის ციხისათვის ალი-ბეგს მე თავად ვეახელი. ყურს არ იბერტყავს, თავი ისე

უჭირავს, ვითომ არც იცის, მისი ხელქვეითი იანიჩრები რა გეკატუბნენ. სჩადიან, ისე კი იანიჩრებს თვეთ კრეულიანებს და იოლ საშოვარზე აგზავნიან. ქურდს რა უნდა, ბნელი ღამეო. გლეხობას, ზოგიერთ აზნაურიშვილსაც, ეს უწმინდურები ოჯახში უხტებიან, ქალებს ნამუსს ხდიან, მერე, ოხერ ეინს რომ მოიკლავენ, ყველაფერი ფასეული, რაც თვალში მოხვდებათ, თან მიაქეთ. გამუდმებულმა შიშინობამ ხალხი უღმერთოდ გადატაცა. დოუთესაც ყანებში ჭინჭარი და ეკალ-ბარდი წამოვიდა. ვინ არი კაცი ბატონი! გაისმეტი შიმშილობა ჩამოვარდება. ძველ წინებშიაც ასე ამოვიკითხეთ. კაცი კაცის ხორცს შეჭამსო. ბატონისა და მჭფის ვალში თათარს გლეხები მიყავს. ბიჭი ხარ და გაუძალიანდი! აღარც ჩვენ დაგვედგომება, სოლომონ, ძმაო. ან უნდა ავიყაროთ, სხვა ქვეყანაში გადასახლდეთ, როგორც ნეტარხსენებელი ქართლის მეფე ვახტანგი გადასახლდა. თეიმურაზს ან ერეკლეს შევეკედლოთ. ანდა რჭული უნდა დავთმოთ, ღმერთს გადავუდგეთ და სულთანს ვეახლოთ. აქაურობა, ეს ედემივით ქვეყანა, ლეკსა და თათარს დარჩება სათარეშოდ...

— რავე ადვილად ამბობ შენ მაგას— გამოსცრა ძმის მიერ დახატული სურათით შეძრწუნებულმა სოლომონმა. — გული მაინც გახეთქაზეა..

— ადვილად ვამბობ? — იოსებს ცივი ღმილი გაუტრთა თვალეებში და უშალ ჩაქრა. — არ ვამბობ ადვილად, სოლომონ. ეს, რასაც მე ვამბობ, მწარე სიმართლეა და სიმართლე, რა მწარეც არ უნდა მოგვეჩვენოს, თუ საკუთარი ქვეყნისა და სარწმუნოების სიკეთე მოგვიწადინებია, თვალი უნდა გავუხსწოროთ. გვეყო, ყურთბალიშზე დიდხანს გვეძინა.

— მირჩიე რამე! თუ კიდევ რაიმე მობერხდება, ღმერთია მოწამე, ყველაფერს ვიღონებ, თავი არ მეზოგება, ოღონდ... — სოლომონი შეყოყმანდა, აწრიალდა, ვერ გადაეწყვიტა, ეთქვა თუ

არ ეთქვა, რაც გულზე მიმივ ლოდვიით აწვა, ბოლოს ისევ თქმა ამჯობინა და კიდევ მეტი მუდარით დასძინა: — შენც ისე ფიქრობ, რომ ოტია დადიანს შუაკაცები უნდა მივუგზავნო და იქით შევხებევო?

— იქით შეხვეწნისა რა მოგახსენო, სოლომონ და ოტია დადიანთან კაცების გაგზავნა კი არ აგვცდება. ცოდვაში ფეხს ვერ ჩავდგამ, ვერ დაგაძალებ. ღმერთმა იცოდეს, ბევრი ღამე ლოცვაში გავათენე, სანამდი შენთვის ამის თქმას გადავწყვეტიდი. ზენაარი ხედავს ჩვენს ვაჭირვებას... ახლა ოტიასთან სამხედრო კავშირის შეკვრა არის ჩვენი ერთადერთი ხსნა. სანამ ახალციხეში გონს არ მოსულან და სანჯაყ-ბეგ რუსტამს ახალი მხედრობა არ მოუყვანია შენს შესაპყრობად და ქვეყნის მოსაოხრებლად, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ვარციხეს უნდა დავეცეთ და შეთქმულების ყველა მოთავე, გამოუტლებლივ, უნდა შევიპყროთ. ბაბუაჩვენმა და ბიძაჩვენებმა, გიორგიმ და მამუკამ, ყველა ღონე იხმარეს, რომ ჭარი ბლომად მოეგროვებინათ. ლეკები და ყაბარდოელები ყავთ ჩამოყვანილი. სულ ცოტა, ხუთი ათასი რჩეული მხედარი და ამდენივე ქვეითი ეყოლებათ. ზოგი დაჭირავებული, ზოგიც თავისი. მთელი არგვეთი, ბაბუაჩვენის საბატონო, ხომ გადაბირებულია. მიკვირს შენ რანაირად გამოიარე. ჩემი შეტყობით, ხანისწყლის ხეობაში სწორედ დაჭირავებული ლეკები და ყაბარდოელები შეებნენ აგარიანებს. სხვა ჭარი, უფრო საიმედო, ვარციხის ახლომხლო — აქამეთის ტყეში, ჩხარსა, ჭალატყესა, ფერსათსა და გოდოგანს უყენიათ. როსტომ ერისთავი მზად არის. ჭარისთვის სანოვაგე და იარაღი უკვე მოაგროვა და თავისი ვაჟიშვილებით გიორგი ბატონიშვილის ნიშანს ელოდება. ქუთაისის, შორაპნის, ცუცხვათის, ბაღდადის და ხრესილის მეციხოვნეებიც ხომ მაგათ ამოუდგებიან მხარში. მე ღვთის მსახური ვარ, — მიტროპოლიტმა აქ ხმას დაუწია და თითქოს

ბოდის ისდისო, ისე განაგრძო, — ჭარის გაწყობის საქმე მეფეს ჩემგან არ გასწავლება. ვარციხეს მუხრებით უნდა დავეცეთ, შუა ძილში რომ იქნებიან, მაშინ. დაცემა და შეთქმულთა დატუსაღება ერთი უნდა იქნეს, სანამდი სხვები გაიგებდნენ და მოეშველებოდნენ. მაგრამ საქმეს, თავად ჩემზე უკეთ იცი, მარტო სისწრაფე ვერ უშველის: დიდძალი მხედრობა დაგვჭირდება...

— დღეს სხვა დროა, იასე. ფაშა გარისხებულია ჩემზე. იმის შიშით ვართუ ოტიამ ფეხი ათორით?

— ეგ მეც ვიფიქრე, სოლომონ, ცდა ბედის მონახერევა.

— გამოდის, რომ უნდა შევეხებევო, უნდა დაუეწიოქო...

— შენ მაინც შენსას გაიძახი! მთავარი, დადიანს გავაგებინოთ, დავარწმუნოთ, რომ ჩვენთან დაკავშირებით ზარალს არ ნახავს.

— გატყობ, ეს დღეები უქმად არ მჯდარხარ, ყველაფერი დაწვრილებით მოგიფიქრებია.

— ამას ბევრი მოფიქრება უნდა, სოლომონ? ბაღლი მიხვდება. ვინც პირველ ღამეს გაიმარჯვებს, საბოლოო გამარჯვებაც იმას დარჩება. თუ იესო მაცხოვარი მოგეხმარა და მტერს სძლიე, ამ მხრიდან, — მღვდელმთავარმა თვალეები მოწყურა და სარკმელს გაჰხედა. — როსტომის შიში ნუ გექნება. რაჭიდან ფეხს არ გამოადგამს, ერისთავი ფრთხილი კაცია. გულმოდგინედ ასწონ-დასწონის, ძალა ვის მხარეზე იქნება, თუმცა ისიც უნდა გითხრა, რომ შენს თავს სხვა ურჩევნია. მარგველების ლაშქარში, მე ვიცი, შინაგანი უთანხმოება ჩამოვარდება. იქ ბევრი ერთგული ყმა გყავს. თუ მარჯვე დრო მოიხელეს, უსიკვდილოდ არეუ-დარევეს მოახდენენ და თავიანთ ბატონს გადაუდგებიან. დადიანს რომ დანიხავენ, იქნება აღარც მეციხოვნე იანიჩრებმა და ასკერებმა გამოიღონ ხელი. იმათ რა ენაღვლებათ, თუ ჩვენ ერთმანეთს ამოვეუწყავთ. სამცხიდან მამველი ჭარის მოსვლას მოუც-

დიან და თავთავიანთ ციხეებში შეიყვანებოდა. გადაწყვიტე, ძმაო სოლომონ, ეს ამბავი ან ახლა უნდა მოხდეს, ანდა არასოდეს!..

მეფე ზურგიანთ ციხის ციხე კედელს მიყრდნობოდა და ერთ წერტილზე მიშტერებული თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. იოსებმა გვიან შენიშნა ეს. სიტყვა შუაზე გაუწყდა, თვალები აუწყლიანდა და ცრემლებით აევსო. მეფეს სათუთად დაადო მხარზე ხელი. უნდოდა ნუგეში ეცა, მაგრამ მღელვარებამ სძლია და ხმა ველარ ამოიღო. სოლომონი ბავშვი არ იყო. არც გონების სიცხადე და მოსაზრების უნარი აკლდა. მას ახლა ვერა ნუგეშით ვერ დააწყნარებდი. ერთხანს ორივე ხმაგაკმენდილი იჯდა და ფიქრში იმის გარშემო ტრიალებდა, ვისი სახელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ წარმოუთქვამთ, არა და ყოველი სიტყვის უკან ეს სახელი იფულისხმებოდა. მტანჯველი სიჩუმე ბოლოს ისევე იოსებმა დაარღვია და ძმას ოდნავ შეცვლილი, მორბილებული ხმით ჩასჩურჩულა:

— თუ ნებას დამრთავ, დღეს ნაწირვებს მოველაპარაკები.

— არა! არ არის საჭირო! — თავისდა უნებლიეთ, თითქოს შიგ გულში წვერწამახული ისარი ატაკესო. შეკვივრა სოლომონმა, ყელში მოწოლილ ბოლმას ველარ გაუძლო. სახე მუშტებში ჩამალა და აქვითინდა. იოსებმა კერს აპხედა და პირველად გადაიწერა. ეს მართლაც საცოდობა და დიდი უსამართლობა იყო. სოლომონი უხმოდ ტიროდა, როგორც ბავშვობაში, ტიროდა გულამომკდარი, ღვარად მომდინარე ცრემლები თითებს-შუა ატანდა და ახალუნის კალთას უსველებდა.

თავდაც გულაჩუყებულმა იოსებმა ცოტა ხანს იყუჩა, მოიცადა, ვიდრე ძმა ოდნავ მაინც დამშვიდდებოდა, მერე კი თავი აიღო და გაუბედავი თანაგრძნობით უთხრა:

— კარგი, დაწყნარდი, შე საბრალოვ, ვაეკაცი ხარ, კარზე მომდგარ გაჭირვებას ვაეკაცურად უნდა გაუმკლავდე.

მღვდელმთავრის უკანასკნელმა სიტყვებმა სასოწარკვეთილ მეფეს სულის ჭურღმულში შეაღწია და თქვენი განაანათა. ცრემლით გულმოჭრებულმა სოლომონმა იგრძნო რაღაც აქამდე განუცდელი სიმშებუქე და წამიერი ნეტარება, მხურვალე ლოცვით აღტკინებულ ადამიანს რომ ეწვევა ხოლმე და ერთი ხმამალა ამოიხრა. ის უკვე აღარ ტიროდა. წუთის წინ ღვარად გადმომსკდარი ცრემლის წინწყლები წვერსა და უღვამის ბოლოებზე უბრწყინავდა. სახე, ვით წმიდა ლოცვით და აღსარებით განწმენდილ ღვთისმშობსავს, დამშვიდებული ჰქონდა. თვალებში ღრმა ფიქრი ჩასდგომოდა და ზომაზე მეტად თეთრი ხელებიც მოკეცილ მუხლებზე უძრავად დასვენებულ იყვნენ.

— თინათიმ ყველაფერი იცის, — თქვა უცებ მან.

— იცის? — იოსები განცვიფრდა. — ვინ უთხრა? როდის?

— თავად გამიტყდა და ის მირჩია, რაც შენ მირჩიე...

— ღმერთო, დიდებულო, ღვთისმშობელო დედაე!.. — იოსებმა ხელები აღაპყრო, ერთხანად მუხლებზე დაეხმო და ცას შეკლალადა: — შენ უწყი მარტო-ოდენ გულისხმა შეილთა შენთა. ვარემ ნებისა შენისა არა ხდების ქვეყანასა ამას არა სასწაული!

— ოღონდ შენ იცოდე, იასე, — თქვა მეფემ და სულ რამდენიმე წუთის წინ სინახითა და მწუხარებით აღესილ თვალებში შურისძიების მძვინვარე ცეცხლი აუგვიზგიზდა. — ამიერიდან მე კაცი, ადამიანი, აღარა ვარ. რაც ადამიანური გამაჩნდა, დღეს სამუდამოდ დავკარგე, გულშივე ჩავიკალი. შენ და ეს ოთხი კედელი ხართ, იასე, ამის მოწმე. დღეის ამას იქით ყველა, ვისაც სიცოცხლე არ მოყირქვება, მიფრთხილდეს! სისხლის-ღვრას, იცოდე, არ მოვერიდები. თუ დამკიორდა, მკვდარს მკვდარზე მივაბამ, მთელ სამეფოს კიდით კიდემდე საღრჩობელებით მოვფენ. ჩემი ცოდვა იმათ ზიდონ, ვინც ამ ზომამდე მიმიყვანა და

შეორეთმოსვლის დროს ღმერთსაც იმათ გასცენ პასუხი. ბიჭები მოიხმე და უბრძანე, ახლაც შევახმონ ცხენები. მცველი რაზმიც გვეახლოს. ნიკორწმინდაში მიუღივართ. სამშობლოში დაბრუნების და ახალ გზაზე შედგომის პარაკლისი უნდა გადაეხადო. მოვიხსენიოთ ჩვენი თავშეწირული ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე და ამ საბედისწერო ლაშქრობაში დაღუპული ჩემი ერთგული ყმების სული. ყოვლის მხილველი ხედავს ჩემს სიმართლეს და მათ სასუფეველს დაუმკვიდრებს. ერთად ვილოცებთ მე და ნადეფოფლარი თინათი, მამაზეციერს შევევედრებით, რომ წყალობის თვალით გამომგვხედოს და ამ ჯოჯოხეთში შემწედ გვექმნას. იმოქმედე, ძმაო, ახსენე ღმერთი, თქვენო მალალსამღვდლოებავ. შენ დაიწყე და შენვე გაუძეხი ამ ცოდვა-მადლით სავეს საქმეს!..

მიტროპოლიტი რომ გვირგვინოსანი ძმის ნების აღსასრულებლად გარეთ გავიდა, სოლომონმა გულხელი დაიქდო და ერთხანს წინ და უკან ბორიალობდა საყანში, მერე თითქოს მხსნელ აზრს მიაგნოო, კუთხეში დაკიდებული ხატის წინაშე დაიჩოქა, პირჯვარი გადაისახა, საყნის ცივ იატაკს სამგზის შუბლით შეებო და გულდამღულულმა ცას შეპლალდა:

— მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი; მოვედინ სუფევა შენი; იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა. პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს; და მომიტევენ ჩვენ თანა ნადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივეუტევებთ თანა მდებთა მათ ჩვენთა; და ნუ შემოყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან!..

XXXIII

მარიამობისთვის პირველ ოთხშაბათს, კარგა რომ დაბინდდა და ტყითა და ბუჩქნარით დაფარულ ხოტეუურას გაღმა-გამოღმა სერებს ღამის წყვილიდი ჩამოაწვა, მხედრების ორმა პატარა გუნდ-

მა წულუქიძეების კუთვნილი უკანასკნელი სოფელი ხართვალე გაიჭრეს და უკერალას მთა უკან მოიტრიალეს. ცხენთა ჯვარის ციკაბო დაღმართზე დაეშვა. მხედართა ერთ გუნდს ქუთაისელ მეწვარილმანე ვაქრად გადაცემული მეფე სოლომონი მიუძღვოდა, მეორეს კი შორ გზაზე სამგზავროდ გამოწყობილი, თავიდან ფეხებამდე მონოზნის თალხებში გახვეული დედოფალთ-დედოფალი თინათი. ქალს ჯორზე ამხედრებული მახლი გენათელი მიტროპოლიტი იოსები, ორი ხელზე მოსამსახურე და ხუთი დამბაჩებითა და მოკლე სატევრებით შეიარაღებული ახალგაზრდა რაჭველი გლეხი ახლდა.

თვით მეფისა და მიტროპოლიტის ბრძანებისამებრ წულუქიძის სახლელუმა რაქას ხმა დაჰყარა, იმერთა ახალგაზრდა დედოფალი, სოლომონის თანამეცხედრე, მშობელ კუთხეში, გურიაში, წმიდა ადგილების მოსალოცად მიბრძანდებო.

ამ ხმების დაყრა აუცილებელი იყო. მეფისა და დედოფლის გათვისება, ადრე თუ გვიან, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, ვარციხეში კი უმალ მიხვდებოდნენ, რასაც მოასწავებდა სოლომონის ეს ახალი ნაბიჯი და სიფრთხილის თადარიგს დაიქერდნენ. მეფემ ამიტომაც ჩაბრევის ჩაყოლა ამჯობინა: ერთგულ და მისანდო ადამიანებს თვითვე დააყრევიან თავისთვის სასარგებლო ხმები...

სოლომონისაგან მუდამ ავის მომლოდინე ვარციხის სასახლის ახლანდელ ბინადართ დიდხანს ვერც ამ ყალბი ხმების გაერცელებით შეიყოლიებდი, მაგრამ გულხელდაკრებილი არც ტახტდაკარგული მეფე იჯდა. მან, უპირველეს ყოვლისა, ძმის გონიერული რჩევა ყუბრად იღო, სახლთუხუცესი ლომკაც ჯადარიძე და გიორგი წულუქიძე დაიბარა და მცირე ამალით ოდიშს გაგზავნა. დარბაისელნი ოტია დადიანს უნდა ხლებოდნენ ზუგდიდს და სოლომონის გადაწყვეტილება ეუწყებინათ. დადიანის პასუხს მეფე ქვემო მხრის სარდალ ბერი

ლორთქიფანიძის პირით შეიტყობდა და დრო რომ არ დაეკარგა, მაშინვე გაემართებოდა სასიამოროსთან შესახვედრად. ყველა ეს საქოქმანო საქმე ისე სწრაფად და უხმაუროდ უნდა მოგვარებულიყო, რომ მტერს ეჭვი არ აელო და მეფისა და დადიანის სამოყვრო შეხვედრა არ ჩაეშალა.

იოსები და რაჭველი მოლაშქრენი ქრისტეს მხვეალ თინათის ხინოწმინდის მონასტრამდე გაჰყვებოდნენ. განტევილებული რძალი იოსებს აქ თვით მონასტრის წინამძღვრისათვის უნდა ჩაებარებინა და უკან მხოლოდ ამის შემდეგ გამობრუნებულიყო. ხინოწმინდამდე დიდი გზა ედოთ. მგზავრებს ჯერ აგიაშვილის საბატონო ოკრიბა, ლდოს მთების მოსაზღვრე მთელი ვაკე იმერეთი და ბოლოს ბატონიშვილებისა და ლევან აბაშიძის გულის მოსაგებად სოლომონზე შემომწყრალი მამია გურიელის საბრძანებლო გურია უნდა გაევილით. თუ გზად დაბრკოლება არა შეხვდებოდათრა და თინათიც ინებებდა, მგზავრები ქობულეთში, თავდგირიძეებისას, შეიცდიდნენ ერთ ან ორ დღეს, შეისვენებდნენ, იქიდან მცირე აშლას იახლებდნენ და ხელახლა დაადგებოდნენ მიუვალ მთებსა და ორწოხებში გადაკარგული მონასტრის გზას.

გურიიდან ბაღობაშივე წაყვანილ და ქერივობლის მწყალობელი ალექსანდრე მეფის კარზე გაზრდილ-დაქალებულ თინათის ამ შორეული მონასტრის სახელი გურულ გაღისაგან გაეგონა, გულში სამუდამოდ აღბეჭდვოდა და როგორც კი საქმე მომავალი თავშესაფრის არჩევანზე მიდგა, მან უმაღლე და უყოყმანოდ ხინოწმინდის მონასტერი დაასახელა.

სოლომონმა, იოსებმა და ნიკორწმინდელმა ეპისკოპოსმა გერმანემ, ვისაც ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ყველა ძველთაგან დადგენილი წესისა და რიგის დაცვით მეფე-დედოფლის განქორწინების დადასტურება დაეკისრა, წინააღმდეგობა ვერ გასწიეს. თინათის არჩევანი ჰკუთსი არც ერთს არ უჭდებოდა. გურია-აქარის მთებში განმართებულ ქრისტიანულ ხინოწმინდას—ურჯულო თათრები ხშირად ესხმოდნენ თავს, ძარცვავდნენ და აწიოვებდნენ. ხინოს ხეობაში, სადაც უხსოვარ დროს ოსტატის მადლიან მარჯვენას სასწაულმოქმედი მონასტერი აეშენებინა და კედლის დიდებული მხატვრობით შეემკო, მკვიდრი ქართული მოსახლეობა ამოწყვეტილი იყო და მისი ადგილი ანატოლიიდან ჩამოთესლებულ თათრებს და გამუსულმანებულ ბერძნებს დაეკავებინათ. მონასტერს ყოველ ცისმარე დღე მომაკვდინებელი საშიშროება ემუქრებოდა. რად მიუწევდა გული იქით თინათის? რა ძალა ეზიდებოდა? ნუთუ გულუბრყვილო რწმენა იმისა, რომ თავს რაც უფრო მეტ ხიფათში ჩაივლებდა, მაღალი ღმერთი მით უფრო მეტ წყალობას მოიღებდა და სოლომონს ხელს მოუშართავდა?

მხედართა ორივე გუნდმა ცხრაჯვარის ციკაბო დაღმართი ერთად ჩაათავა. მათ ტყირბულიც მხარდაშარ განვლეს და მხოლოდ საწირის ბოლოზე, მდინარე წყალწითელას პირას, გაიყარნენ. შორიდან მაყურებელი გარეშე პირი ძნელად თუ მიხვდებოდა, ვინ ვის ეყრებოდა აქ. მონაზონის ფლასებში მხოლოდ გულთმისანი თუ გამოიცილობდა სიკოცლით საესე ყმაწვილ ქალს, ჯერ კიდევ გუშინ დილას რომ ამ ერთი ციკქნა საიეფოს დედოფალი იყო. ვერც მეწვრილმანე ვაჰრად გადაცემულ ტანდამიმებულ მხედარში იცნობდა ვინმე იმერთა ქაბუე მეფეს, უკანასკნელ დღეებსა და კვირებში გადატანილ ვაებას რომ ისე გაეტება, ცხოვრების ჰაპანწყვეტაში გამოვილილ შუახნის კაცისათვის დაემსგავსებინა. ისინი უხმოდ, სიტყვის უთქმელად გასცილდნენ ერთმანეთს და თავთავის გზას დაადგნენ. სულის მხნეობა ერთსაც ეყო და მეორესაც. მხოლოდ მხლებლებს შეუტოკა გული და უნებლიე ცრემლიც მოჰგვარა ერთმანეთის ბედნიერებისათვის ქვეყნად გაჩენილი

ორი ახალგაზრდა ადამიანის ამ წარ-
მოუდგენელმა გაკერებამ...

დედოფლისა და მიტროპოლიტის
ასაბია, რომლისთვისაც მტრის მიერ
დაკავებულ საბატონო მიწებზე მგზავ-
რობა ნაკლებ საშიში ჩანდა, წყალწი-
თელას ზეობას დაბლა უნდა დაჰყოლო-
და, მთაზე გადმომდგარი გელათის მო-
ნასტერი მარცხნივ დაეტოვებინა, ვიწ-
რო ხეობიდან კახნიაურთან გასულიყო
და შემდეგ, ვიდრე საჩინომდე, გზა
რიონის ნაპირ-ნაპირ განეგრძო.

მეფის გზა შედარებით გრძელი და
საფრთხილო იყო. მტრის მიერ დაგე-
ბულ ხაფანგში გაბმისაგან თავის ასარი-
ღებლად სოლომონს საქარავნო გზა ამ-
თავითვე უნდა დაეგდო და როგორც
მეწერილმან ვაჰრის წესია, ქუთაისამ-
დე სულ სოფელ-სოფელ ევლო. უმთვა-
რო და ნისლიანი ღამე ისედაც ძნელად
საეალი გზის გავლას კიდევ უფრო აძნე-
ლებდა. ახლა საშურო ისა ჰქონდათ, გა-
თენებამდე როგორმე რიონის გაღმა ნა-
პირზე გაელწიათ და ფეხი რიონისა და
ცხენისწყალს შუა, სალორთქიფანაქში
შეეღვათ. მეფის მცირე რაცხოვანა მია-
ლა აქ თავისი ფიცის კაცებით გვიშტი-
ბის ციხიდან გამოსულ ჭეშმომ მხრის სა-
რდალ ბერი ლორთქიფანიძეს შეუერთ-
დებოდა და იმერეთ-ოდიშის საზღვარ-
ზე გამავალ ცხენისწყლისაკენ მასთან
ერთად წავიდოდა.

წინა ორი დღე განუწყვეტლივ იწვიმა,
გზები აატალახა და გუბეები დააყენა.
რიონი აღიდებული იყო, აღიდებული
იქნებოდა სალი კლდეების გაღიაში
მიწინვარე ნადირივით გამომწყვდეული
ცხენისწყალიც, ათასი წლის წინათ მურ-
ვან-ყრუს არაბები რომ დაახრჩო და
ოდიშის მთელი მხარე აოხრებისაგან
იხსნა. სათავეებში უთუოდ ახლაც წვიმი-
და, რადგან რიონში წყალი არ დეაქრდა
და მისი გაშმაგებული ღრიალი მთის
გადაღმიდან აქამდეც კი აღწევდა. ქუ-
თაისს ზემოთ ფონის ძებნა ძვირფას
დროს ტყუილა დააკარგვინებდათ. კახ-
ნიაურის მინდვრებში გავაკება კი, სა-

დაც მდინარე ვიწრო კალაპოტიდან გა-
მოდის და რამდენიმე თავთხელ ტოტად
დაყოფილი მდორედ მიედინება, ნაპირს
საქმე იყო. გადაწყდა, გეზი ნამოხვანის
საკენ აეღოთ და გაღმა ნაპირზე ბორნით
გადასულიყვნენ...

ბორნით გადასვლა ახალ დაბრკოლე-
ბას ქმნიდა. იქ, შესაძლოა, გადასასვლე-
ლის მოდარაჯე რაზმს გადაჰყროდნენ.
ქუთაისის ციხისთავი კიკიანი-ფაშა გა-
დამსვლელ-გადმომსვლელს ბაქს ახდე-
ვინებდა და თანაც თვალუურს ადევ-
ნებდა, ვინ და რისთვის გადადიოდა რი-
ონზე ნამოხვანთან. ეგეც რომ არ ყოფი-
ლიყო, მეზორნეს პირს ხომ ვერ აუკ-
რავდი. თუ შეეკითხებოდნენ, უმალ და-
ფქვედა, წუხელ ამისთანა და ამისთანა
მგზავრები გადაიყვანეო. იქნებ კიდე-
ვაც ეცნო ვინმე. სხვა რაღა გზა იყო,
თუკი მეზორნე მარტო დაუხვდებოდათ,
ის ან თან უნდა წაეყვანათ, ანდა გაააწ-
რული რიონში გადაეგდოთ.

მეფის თანმხლებ ქაიხოსრო ავია-
შვილს, ნიკორწმინდელ ეპისკოპოს გერ-
მანეს და ნაფიჩვაძეებს სადარდელი გა-
უხვდათ, ნამოხვანის ბორანი რომ აღრევე
არ გაიხსენეს. ისინი ფონში გასვლას
იმედოვნებდნენ, ახლა კი წვიმებისა და
წყლის აღიდების გამო ძველი გეზის შე-
ცვლა უხდებოდათ. თავდაპირველი გე-
ზის შეცვლა, სიფრთხილის თვალსაზრი-
სით, იქნებ უკეთესიც გამომდგარიყო,
მაგრამ ვაითუ ბერი ლორთქიფანიძეს
წინ წამოსვლა მოეწადინებინა, ვითომ
მეფე-ბატონს ოკრიბაშივე შეეხვდებო,
და გზაში ასცდენოდათ.

საბედნიეროდ, ყველა ეს წინასწარი
ვარაუდი ფუჭი გამოდგა. ნამოხვანის
ბორანთან არამეტუ კიკიანი-ფაშას მიერ
ჩაყენებული მოდარაჯე რაზმი, თვით
მეზორნეც არ დახვედრიათ. ის დრო
დაესწროთ, როცა ერთი პირი ძილი წყა-
ლსაც მოუვა და მეზორნე რომელიდაც
ახლო სოფელში წასულიყო ღამის გასა-
თევად. ბორანი, მადლობა ღმერთს,
მდინარის აქეთა ნაპირზე იპოვნეს.
ჯაჭვს, რითაც ის კლდის ნაპრაალში ჩა-

დღეობებულ რკინის რგოლზე გამოე-
ბათ, ბელტისტოლა შავი ბოქლომი ედო.
ბოქლომი ჭერ ნაფიჩვაქებმა აწვალეს,
იქნება გავალოთო, მაგრამ ბნელაში ვე-
რას გახდნენ, მერე ამათ სხვები შეენა-
ცვლნენ და ჭაჭვი თავისი რგოლიანა
ამოაგდეს ბუდიდან.

მდინარეზე პირველი თავადი ქაიხოს-
რო გადავიდა და ამაღის ნახევარი გადა-
იყვანა. იქით სიწყნარე იყო. მიდამო
მკვდრულ ძილს მისცემოდა. აღიდებულ
რიონს, ეტყობა, სქელი შლამი მოჰქონ-
და. წყალი მძიმედ ტორტმანებდა და
ბორის ნაეებს ვოლიათური ძალით აწ-
ვებოდა. ხელუბდაკაბიწებული ავიაშვი-
ლის კაცები და ნაფიჩვაქები ჩქარობდ-
ნენ. უკვე თენდებოდა. კიდევ ცოტა ხა-
ნიც და ვალმა-გამოდმა მდინარეზე გადა-
სვლის მსურველი მგზავრები მოიყრიდ-
ნენ თავს, მებოტნეც გამოძვრებოდა
ბუნავიდან და ბორანს რომ ამ დღეში
დაინახავდა, განგაშსა და აღიაქოთს ას-
ტეხდა.

ის დღე გვიშტიბის ციხეში დააღამეს,
ხოლო ღამით, ნავაშმევეს. ცხენისწყლის
პირას სოფელ მათხოჯში გადაბარგდნენ.
ქვემო მხრის სარდალ ბერი ლორთქი-
ფანიძეს, სოლომონის ერთგულ დიდე-
ბულს, ადრევე ეზრუნა და მეფისა და
მისი წარჩინებული მხლებლების მოსა-
თავსებლად მათხოჯში შესაფერი საღ-
ვამი შეერჩია.

ვარაუდი გამართლდა — ცხენისწყა-
ლი მართლაც ძალზე აღიდებულყო.
არამცოთუ კაცი, ზედ, რომ იტყვიან, ჩი-
ტიც ვერ გადაფრინდებოდა. წყალი ძი-
რიანა მოთხრილ უზარმაზარ ხეებს მოა-
ცურებდა, ლოდებს მოაგორებდა, ვიწ-
როებს ხერგავდა, მერე თავადვე გლეჯ-
და და კიდევ მეტი ზათქითა და ღრია-
ლით მოექანებოდა.

მათხოჯში ბლომად მოეყარა თავი
ოდიშისაკენ მიმავალ და მოულოდნელი
წყალდიდობის გამო აქ ჩარჩენილ მგზავ-
რებს. უმეტესობა ახალციხელი, ტფი-
ლისელი, რუსი და სპარსელი ვაჭრები
იყვნენ. ზოგი ზუგდიდს მიემგზავრებო-

და თავისი საქონლის გასასაღებლად,
ზოგი უფრო შორს — აფხაზეთსა და
ჯიქეთში. სხვები შინ დასაბრუნებლად
ან ახალი საქონლის შესაძენად აყრი-
ლიყვნენ. ყველა მოთმინებით ელოდა
მდინარეში წყლის დეარდანს. აქა-იქ,
ქიშკრის ბოქებზე, უშნოდ აყალყული,
ბალანჩამოქნძილი ქვიშისფერი აქლე-
მები გამოებათ. შორეული უდაბნოების
განუყრელ მკვიდრთ მშვილდივით მო-
ღუნული კისერი უგერგილოდ მოედრი-
ცათ და ზარმაცად იცოხნებოდნენ. ორ
ტრაპიზონელ თათარს გოგო-ბიჭები შე-
ეძინა და ახლომახლო სოფლებში თავი-
სი რწმუნებულები გაეგზავნა ტყვეების
ახალი გუნდის მოსაგროვებლად. ზოგ
ტყვეს შინაურები ახლდნენ. აზიაქე-
ბულნი, თითქოს შინ მიცვალებული უს-
ვენიათო, იმ ქოხის გარშემო დაზურზუ-
ტებდნენ, სადაც უცხოეთში დასაქარგა-
ვად გამომეტებული ახლობელი ეგულე-
ბოდათ და გულქვა მყიდველებს საწყა-
ლობელი ხმით რაღაცას ემუდარებოდ-
ნენ. სოფლის მოედანზე, ჭრელ-ჭრულა
ჩარდახებს შორის, მშვიერი ძაღლები და-
ტერებოდნენ, გამელელ-გამომელელს
შიშნულად უღრენდნენ და ხელებში
მსუნაგად შესცივინებდნენ.

მათხოჯის ხალხმრავლობა და სიჭრე-
ლე სოლომონისათვის ხელსაყრელი იყო.
თუ საჭიროება აიძულებდა, შეეძლო
რამდენიმე დღე და ღამე აქ უმოშრად
გაეტარებინა, მაგრამ ამ სხვადასხვა ენა-
ზე მოყაყანე ბრბოში მტერსაც ხომ ასე-
ვე ადვილად ძალუბდა დაძალვა და მე-
ფის ყოველი ნაბიჯისათვის თვალყურის
დევნება. ამიტომაც უკიდურესი სიფრ-
თხილე უნდა გამოეჩინა და ხალხში გა-
მოსვლას, მით უფრო ვისიმე გამოსარჩ-
ლებას, თუნდაც მეწვრილმანე ვაჭრად
გადაცმული, უნდა მორიდებოდა. მტერს
არც დღე ეძინა, არც ღამე. საიდუმლოს
ამოსაცნობად, სადაც არა გგონია, იქ
შეიხუდავდა. მეფისთვის რომ უსაქმური
ბრბოს ყურადღება აეცილებინა და სო-
ლომონის ვინაობას ვისიმე დაეჭვებდა არ
გამოეწვია, ნიკორწმიდელმა ეპისკო-

პოსმა გერმანემ ცალკე დაიდო ბინა ერთი მარტოხელა დედაბრის ჯარგვალში და ბატონის შემდგომ განქარგულელებს იქ ელოდებოდა. სოლომონთან მხოლოდ ქაიხოსრო აგიაშვილი და ძმები ნაფიშვაძეები მოთავსდნენ და ისიც მხოლოდ იმ მიზნით, რომ ყველასაგან განმარტობულ სოლომონს თავისიანებთან სურვილისამებრ დაკავშირება შესძლებოდა.

მეფეს დანა პირს არ უხსნიდა. ნიკორწმინდიდან გეიშტიბში, გეიშტიბიდან კი აქამდე ისე ჩამოვიდა, კრინტი არ დაუძრავს, ერთხელაც არავის გამოლაპარაკებია. მას ერთთავად თინათის ცვილისფრად გაფითრებული სახე ედგა თვალწინ და თითუბითაც მისი ხელების სიცივეს გრძნობდა.

იმ წუთიდან, როცა ყველაფერი გადაწყდა და თინათიმ ნებაყოფლობით თავისი თავი მსხვერპლად მოიტანა, ამ ქალმა სოლომონის თვალში ყოველივე ამქვეყნიური, მხოლოდ მოკვდავისათვის დამახასიათებელი თვისებები დაჰკარგა და ცოდვილი ფიქრისათვის მიუწყდომელ ზებუნებრივ არსებად იქცა. სოლომონის სხეულს უკვე დაეიწყებოდა და არც სიამოვნებდა გახსენება, თუ თინათი ოდესღაც მისი თანამეცხედრე, სარეცლის მოზიარე იყო. სოლომონს სწაღდა თავი დაეჭვებინა, რომ ზენა-არისაგან წყალობასავით მოვლინებულ ამ პაეროვან ქმნილებას მისი მამაკაცური გნებათაღელვა აროდეს აღუწთია, თინათი მუდამ სასოების მომგვრელ სალოცავ ხატად ესახებოდა. ეს არ იყო ცოდვა, არ იყო მკრეხელობა ღვთის წინაშე. სოლომონი სულაც არ მიაწერდა ცოდვილ ადამიანს უხრწნელი ღმერთის თვისებებს, რადგან მხურვალედ სწამდა, რომ თინათის სულში ყოველთვის კიაფობდა ზეგარდმო ანთებული ღვთიერი ცეცხლი და ქალის ამქვეყნიური სახე მხოლოდ განსხეულება იყო ამ ცეცხლისა...

სალამონანს წყალმა კლება იწყო. მთელ მათხოჯსა და მის შემოგარენს 4. „მნათობი“ № 7.

მსწრაფლ მოედო ეს სასიხარულო ამბავი. ხალხი ამოძრავდა. ზოგმა სულსწრაფმა მდინარის ნაპირსაც კი შეიშინებია, რათა საკუთარი თვალით ენახა, როგორ თანდათანობით ვარდებოდა კალაპოტში შმაგი ცხენისწყალი. ოდიშის მხრიდან გადმოსულნი მხოლოდ გამთენიის ხანს გამოჩნდნენ. წყალი ჯერ კიდევ დიდი იყო. მხოლოდ უშიშარი მენავეები ბედავდნენ მასთან შეჭიდებას. ორიოდე უზალთუნის შოვნის იმედი ხელმოკლე გლეხაკს კიდევ მეტი გამბედაობისაკენ უბიძგებდა. შუაღღამდე სოფელი დაიცალა. ქარავნები დაიძრნენ და ზანზალაკების დინჯი ქლარუნით ცხენისწყლის ფონისაკენ გაემართნენ. გაიკრიფნენ ტყვეებიც და ტყვეთა პირისუფლებიც. სოფელში თანდათანობით მიწყდა ძაღლების ყეფა და მალე ჩვეულებრივმა სიჩუმემ დაისადგურა.

ტახტის სამსახურში გაქალაქავებულ ბერი ლორთქიფანიძეს მოუსვენრობა სულ უფრო და უფრო ეუფლებოდა. მის მიერ გამოგზავნილი ფიცის კაცები დილიდან საღამომდე მორიგეობდნენ ცხენისწყლის პირზე და სამხარობლოს მიღების იმედით გაფაციცებული ზეგარავდნენ მდინარეზე გადასასვლელ ფონს. ოდიშის მხრიდან ბაიბური არ ისმოდა. სახლთუხუცესი ლომკაც ჯაფარიძე და მეფის აღმზრდელი გიორგი წულუკიძე არც თავად ჩანდნენ და არც არაფერს იტყობინებოდნენ. ყველაზე მეტი სატანჯველი და სინდისის ქენჯნა, რაღა თქმა უნდა, თვით სოლომონს ერგო. ის ხედავდა და დღითიდღე რწმუნდებოდა, რომ უკან დასახვევი გზა აღარა ჰქონდა, არა და ოდიშის გაზულუქებული მთავარი ოტია დადიანი ისე იგდებდა თავს, მეფესთან დამოყვრება კი არა, სწორედ ბნელ ჭურღმულში სამუდამოდ ჩაგდება ან ცხენის კუდზე გამობმა ეკადრებოდა. ოტია დადიანი, რომელიც აქამდე თვით უწყევდა ყელს სოლომონს და ნიშნად მეგობრული განწყობილებისა სადედოფლოდ თავის ასულს სთავაზობდა, დღეს მდგომარეობის ბატონ-

პატრონი ბრძანდებოდა და რაკი მეფეს დამამცირებელ გაწამაწიაში ხედავდა, თავპატიეს იღებდა და პასუხის გამოგზავნას არ ჩქარობდა. ამას ხომ უარის შემოთვლა ჯობდა. სოლომონს ათასწილ ერჩინა აბუჩად ამგდები უარი მიელო, ვიდრე კიდევ უფრო აბუჩად აგდებულს აქ, მათხოჯში, დაუსრულებლივ ეყურყუტა.

გვიან ღამით მეფის ბაშაკს მოულოდნელი სიხარული ეწვია. მზირებმა ამბავი მოიტანეს, ეს არის, საღ-საღამათი მაქსიმე აბაშიძე დაბრუნდა საზღვიდან და ცოტახნის შემდეგ მეფის წინაშე წარსდგებო. ყურებს ვერავინ უჭერებდა. იმის შემდეგ, რაც ბატონიშვილებისა და ლევან აბაშიძის ვერაგული განზრახვით ხანისწყლის ხეობაში დატრიალდა, ათაბაგის კარზე მძევლად დატოვებულ ეპისკოპოსს ყველა მკვდრად თვლიდა. ნიკორწმინდის ტაძარში წირვის დროს გერმანემ ორჯერ მოიხსენია ეკლესიის ერთგული მწყემსის, მაქსიმეს, სული და სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის დაეთისა და კონსტანტინესებრ თავდადებული მამულიშვილი წმინდანთა შორის შერაცხა...

ეპისკოპოსი რომ მართლა დაინახეს, ზოგი კიდევაც შეშინდა. მოჩვენება ეგონათ. მაქსიმე აბაშიძემ მოსვლისთანავე მეფესთან მიყვანა ითხოვა. ბერი ლორთქიფანიძემ და ქაიხოსრო აგიაშვილმა შეატყვეს: სული აქამდე ძლივს მოეტანა. აქეთ-იქით იღლიებში შეუღგენ და ისე წაიყვანეს მეფის სადგომისაკენ. ამასობაში ნიკორწმინდელი გერმანეც მოიჭრა. მას ყველაზე გვიან შეეტყო მაქსიმე აბაშიძის უვნებლად დაბრუნება და მათხოჯს მოსვლა...

თავის მტანჯველ და გამოუვალ ფიქრებში ჩაძირული მეფე ბნელ აივანზე იჯდა და გარინდებული ცხენისწყლის ერთფეროვან მშულის ყურს უგდებდა. მაქსიმე აბაშიძის მოულოდნელი გამოცხადება მას ძმებმა ნაფიჩავაძე-

მა ახარეს და მაშინვე ჩირაღდანიც შემოუდგეს ხარიხაზე, ~~ტყემა~~ სტუმრების სახე კარგად დაენახა. ~~სალომონმა~~ ჩირაღდანს ხელი წამოავლო და ხის პრიალა კიბით აივანზე ამოსულთ მიანათა. ღმერთო დიდებულო, ეს მართლაც მაქსიმე იყო! ეპისკოპოსის გამხდარ, მოგროხო სახის ნაკეთებს და გამოხედვას ათას კაცში გამოარჩევდა.

რა მეფე დაინახა, მაქსიმემ მომხმარებები ჩამოიცილა, დაწინაურდა, ერთ ადგილზე გახვევებულ სოლომონს პირველი მიეახლა, თავი მდებლად დაუქრა, ჯვარი გადასახა და მუხლებმაც სწორედ ამ დროს უღალატეს. მეფე გამოერკვა, მაქსიმეს მკლავში სტაცა ხელი, სხვებიც მიეშველნენ, ასწიეს და ეს ფუმფლასავით მსუბუქი კაცი დათუნა ნაფიჩავაძის მიერ მარჯვედ მოწოდებულ საკარტულში ჩასვეს.

XXXIV

ტყვეობიდან ყველასათვის მოულოდნელად დაბრუნებული მაქსიმე აბაშიძე ორ დღეს გონწართმეული იწვა. ბევრს მისი გადარჩენის იმედიც აღარ ჰქონდა. მეფე იმდენად შეაწუხა მტრის კლანკებიდან სასწაულებრივად გამოსხნილი ერთგული ქვეშევრდომის ბედმა, სხვა ყველაფერი დაივიწყა და სულთმობრძავს ამაღლის წევრებთან ერთად მოუშორებლივ თავზე ადგახონიდან განთქმული აქიმი მოიყვანეს. ეპისკოპოსს სიცოცხლისათვის საშიში სენი არა სჭირდა რა. აქიმის სიტყვით, ის ხანგრძლივ შიმშილს, ნესტიან სარდაფში გდებას და საერთო მოქანცულობას გამოეფიტა. ახლა შერჩევით კვება, მოსვენება და სრული სიმშვიდე ესაჭიროებოდა. სნეულმა მხოლოდ მესამე დღეს მოიხედა, თვალი გაახილა, სასთუმლიდან თავი წამოსწია და მაშინვე იკითხა, სადა ვარო. აქიმმა უკლებლივ ყველა დაითხოვა და ოთახში, სადაც ავადმყოფი იწვა, მაქსიმესთან მარტო დარჩა. ეპისკოპოსს უთუ-

ოდ ავნიბდა საუბარი და თუნდაც ოდ-
ნავი აღლვებდა...

სამცხიდან მაქსიმე აბაშიძე მარტო
არ მოსულა. მას ერთადერთი მსლებე-
ლი, მეფე სოლომონის ძველი ნაცნობი
ნატრია საჭურისი მოჰყვა. ნატრია პირ-
ველსავე დღეს დაიმარტოხელეს აგია-
შვილის კაცებმა, გაუმასპინძლდნენ,
დაანაყრეს და ამბები წვრილად გამო-
ჰკითხეს. ისედაც ჩია და შეუხედავი
ნატრია ფარგასავით გამხმარიყო, ლო-
ყებში სინათლე გასდიოდა, მაგრამ გა-
ჰკირვების უამს ჯანსა და გამძლეობას
მაინც არ ეღალატა. დროდადრო, სრუ-
ლიად უმიზეზოდ, საწყალს ტირილი
წასკდებოდა ხოლმე. იტრებდა, იზ-
ლუქუნებდა, მერე თავისთავად, ასევე
უმიზეზოდ დაწყნარდებოდა და მსმე-
ნელებს შეეკითხებოდა, რას გიყვებო-
დითო? მეფის მსლებლებმა საჭურისი-
საგან შეიტყეს, რომ სასიკვდილოდ გან-
წირული მაქსიმე აბაშიძის რაბათის ცი-
ხიდან გამოპარება ციხის მცველ იანი-
ჩართა ასისთავ გლახუნა ობოლაძეს მო-
ეხერხებინა. გადარჯულებულ ობოლა-
ძეს ახლა მახმულს ეძახდნენ. იგი გულ-
ჩახვეული და უხასიათო კაცი იყო. მახ-
მულის ყველა ხელქვეითი იანიჩარი თავ-
ბედს იწყევლიდა, ნეტა ჩვენი დღე
ორად გაყოფილიყო და ამ ნადირს კი
არ ჩავეარდნოდით ხელშიო. ორჯერ
თავისიანებმა ესროლეს ზურგიდან და
ორჯერვე სიკვდილს გადაურჩა. ვინ
იფიქრებდა, თუ ასისთავს გულში სხვა
ზრახვა ედო. ათაბაგი საკუთარი თავი-
ვით უნდობოდა და მანაც სწორედ ამ
ნდობით ისარგებლა. ახალციხიდან ცხე-
ნისწყლის პირამდე მოსვლას გამოქცე-
ულები რვა დღესა და რვა ღამეს მონ-
დომებოდნენ. ორჯერ იანიჩართა საგუ-
შაგოზე დაეკავებინათ და თავი ორჯერ-
ვე ასისთავის ნაჩუქარი თეთრით გა-
მოეხსნათ. მესამედ ქრთამსაც აღარ
გაეკრა. იანიჩრები უკან დასდევნებო-
დნენ და ორი დღე-ღამე ზეკარის უღელ-
ტეხილის ღრანტეებში გაეტარებინათ.
ეპისკოპოსის იქვე შემჩნეოდა უქეიფო-

ბა, მაგრამ თურმე დროული კაცისათ-
ვის გასაოცარ ამტანობესაჲ უფუგაჲწ-
ლეობას იჩენდა. თავდაპირველად, უკმა-
რე სამშობლო ქვეყანაში ფეხს შემო-
დგამდნენ, მაქსიმე რაჰვას, წულუკიძე-
ბისას ასვლას აპირებდა ნაქერალას
გზით. მეფე ვითომ იქ უნდა ყოფილ-
იყო. მერე წყალწითელას ხეობაში, მო-
წამეთასთან, მეფის ძმას, გენათელ მიტ-
როპოლიტ იოსებს შეხვედროდა, სო-
ლომონის აქ ყოფნა შეეტყო და პირი
მაშინვე მათხოჯისკენ ექნა...

მეოთხე დღეს ეპისკოპოსი მაქსიმე
აბაშიძე ფეხზე წამოდგა. უკვე იმდენად
მომჯობინებული იყო, რომ აივანზე
გავლა-გამოვლა და წინსაბიჯგის დახმა-
რებით კიბეზე ჩასვლაც კი შეეძლო.
აქიმი. გულუხვად დაასაჩუქრეს, მაგ-
რამ ბანაკიდან გასვლის ნება არ დარ-
თეს, ავადმყოფს შენი ყურისგდება კი-
დევე სკირდებო, ნამდვილად კი არ ენ-
დობოდნენ. მან უკვე ბევრად მეტი იყო-
და აქ მყოფთა შესახებ, ვიდრე ამის
ცოდნა საჭირო იყო...

მეფე და მაქსიმე აბაშიძე ცალკე
ოთახში დილიდანვე ჩაიკეტნენ. საი-
ღუმლო საუბარს, რომელიც სოლო-
მონს ასე სწყუროდა, მხოლოდ ნიკორ-
წმიდელი ეპისკოპოსი გერმანე ესწრე-
ბოდა, ცოტა ხნის შემდეგ კი ჭაიხოს-
რო აგიაშვილი და ბერი ლორთქიფანი-
ძეც მოისაკლისეს და მიიწვიეს.

მიუხედავად თავისი ბუნებრივი გა-
მკრიახობისა და მოვლენების სიღრმე-
ში წვდომის უნარისა, მაქსიმემ ბევრი
არაფერი იცოდა, რადგან ახალციხიდან
სოლომონის გამომგზავრების უმაღვე
ფაშას ბრძანებით მძევალი ეპისკოპოსი
ციხის კაზემატში მოეთავსებინათ, ხო-
ლო რამდენიმე დღის შემდეგ დილეგში
ჩაეგდოთ და ხელისდადება პურის ნა-
ტეხსა და აშმორებულ წყალზე დაეს-
ვათ. ტყვედქმნილი მაქსიმე ყველა ცნო-
ბას ათაბაგის სასახლეში ბრძიყვად მიჩ-
ნეულ ნატრია საჭურისისაგან იღებდა,
რომელსაც ყოველ შუაღამეს ტუსაღი-
სათვის წყალი და გამხმარი პურის ნა-

ტები მოქონდა. მთელი ეს დღეები საცოდავი ნატრია ერთადერთი სარკმელი იყო, რითაც მაქსიმე ვარე სამყაროს უკავშირდებოდა. სიკვდილისმიჯნა დიღეგში ჩაგდებისა და უმკაცრესი მეთვალყურეობის დაწესების მიზეზი ოსმალთა ტყვეობიდან თავდახსნის ეპისკოპოსის ოცნებაში შეეტყო, სადაც ნატრია საქურისთან ავღებულ საუბარში ვიღაც იანიჩარს კაკასხიღზე ურუმის ჯარის ამოწყვეტისა და სოლომონ მეფის ლალატის ამბავს წამოსცდენოდა.

მეფე დაძაბული უსმენდა. „იმ მზრიდან“ მოსული გონიერი კაცის სიტყვას მის თვალში ახლა განსაკუთრებული აზრი და მნიშვნელობა ეძლეოდა. რა განწყობილება სუფევდა დღეს საფაშოში? როდის იყო მოსალოდნელი ოსმალთა ახალი საექსპედიციო კორპუსის მოსვლა? სჯეროდა თუ არა ფაშას მისი, „სულთნის ფერხთა მტკერი“ სოლომონის, ლალატი?

ვერც ერთ ამ საკიბოროტო კითხვაზე, სამწუხაროდ, მაქსიმემ ამომწურავი პასუხი ვერ გასცა, მხოლოდ ვარაუდის გამოთქმით დაკმაყოფილდა. მტრის ბუნაგიდან მართლაც სასწაულებრივი გამოქცევა მას იმგვარ არეულ ვითარებაში მოუხდა, რაიმე საჭირო ცნობების შეგროვებაზე ოცნებაც კი შეუძლებელი იყო.

ერთი რამ ეჭვს მაინც არ ჰბადებდა: განრისხებული ათაბეგი ამ საქმეს ასე არ დასტოვებდა და როგორც კი საფაშოში საკმაო მხედრობას შეკრებდა, მართლმორწმუნე მუსულმანთა სისხლის ასაღებად დაუყოვნებლივ იმერეთს მოაშურებდა. მაგრამ როდის მოხდებოდა ეს? დღეს თუ ხვალ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას მხოლოდ მაშინ შესძლებდნენ, როდესაც სამცხეში მოპოვებულ ბოლოდროინდელ ცნობებს ხელში ჩაიგდებდნენ...

ასე იქნებოდა თუ ისე, სოლომონს უნდა ეჩქარა და ტახტი აგარიანთა ლაშქრის ახალ შემოსევამდე დაებრუნებინა, რათა მომზადება მოესწრო და

მომალადე მტრისათვის საკადრისი პასუხი მიეგო. ყოველი უწყვეტად დაკარგვა დანაშაულს უდრის. გადაწყვეტი მოქმედების დაუყოვნებლივ წამოწყებას ახლა მხოლოდ ოტია დადიანის აუხსნელი დუმილი აბრკოლებდა. ოტია, თუ მეფესთან დამოყვრება საბოლოოდ არ გადაიფიქრა, თავადვე უნდა მიმხვდარიყო, რომ დროის უყუარათოდ ხარჯვა მხოლოდ მტერს მოემარებოდა და ოდიშის მთავრის მომავალ სიძე-ბატონს, დაკარგული ტახტის დაბრუნებას გაუძნელებდა. სოლომონთან სათათბიროდ შეყრილ დიდებულთაგან და ეპისკოპოსთაგან ეს ამბავი ყველამ იცოდა, მაგრამ დადიანის პასუხის შეგვიანების გამო ხმამაღლა ვერავის გაემხილა, რათა ამით ისედაც შიგ გულში დაკოდილი და მათხოჯში დამამცირებელი ლოდინით ღირსებაშელახული მეფე სასოს წარკვეთამდე არ მიეყვანა.

მასპინძლებმა ბატონებს აუწყეს, სამხარი მზად გახლავთო. პურმარილი ახლაც ოდის პირველ სართულზე, პალატში გაეშალათ. ის იყო, სოლომონმა და დიდებულებმა ხელები გადაიბანეს და აუჩქარებელი მშრალე-მშრალეებით პალატში შევიდნენ, რომ კარის ზღურბლზე ვიღაც ჩაბალახით თავწაკრული და იარაღში ჩამჭდარი ყმაწვილი კაცი გამოჩნდა, პალატი მკვირცხლად მოათვალთქრა, ბერი ლორთქიფანიძე დაინახა, უმალ მის წინ გაჩნდა, ფეხისწვერებზე აიწია და მთელი თავით მაღალ ბერის ყურში რაღაც უჩუბრუნა. ჯავრით გულგასიებული ჰარმაგი სარდალი, იქამდე რომ პირში წყალჩაგუბებულებით იყო და ხმას არ იღებდა, მეფეს ყველას თანდასწრებით მიუტრიალდა და მთელი პალატის გასაგონად ზარ-ზეიმით გამოაცხადა:

— ოდიშარები გეახლნენ, ბატონო, თვით ბატონი ოტია გორდს ბრძანდება და თქვენი უდიდებულესობის სტუმრობას მოუთმენლად ელის!..

სოლომონს გააყრკოლა, თვალე-

ზე ბინდმა გადაუარა, მაგრამ წამიერ სისუსტეს მალე მოერია და ვითომც აქ არაფერი მომხდარაო, სუფრას მხიარულად მიუჯდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ბერი ლორთქიფანიძის ფიცის კაცებმა პალატში ოტია დადიანის მიერ მეფისა და მისი ამაღლის მისაპატივებლად ცხენისწყლის გადმოღმა გამოგზავნილი მეგრელები შემოიყვანეს და სუფრასთან სწორედ მათთვის დატოვებული ადგილებსაკენ წაუძღვნენ. თეთრ ჩოხებში გამოწყობილმა და ვერცხლის ქამარ-ხანჯლით წელდამშვენებულმა თავმომწონე სტუმრებმა მეფესა და დიდებულებს მათი ღირსების შესაფერი მდაბალი სალაში ჰკადრეს, ნიკორწმიდელ ეპისკოპოს გერმანეს ანაფორის კალთაზე ეამბორნენ. სამგზის პირჯვარი გადაიწერეს და უმცროს-უფროსობის რიგით სუფრასთან თავ-თავისი ადგილი დაიკავეს. გერმანემ სუფრა აკურთხა. ჩოხის კალთებაკეცილი მერიქიფე ბიჭები, რომლებიც აქამდე კართან იდგნენ და სუფრას შორიდან ათვალეობდნენ, კიდეც ხომ არაფერი დარჩა შემოსატანიო, უმალვე დაიძრნენ და სათითაოდ ჩამორიგებული თიხის ჯამები სისხლივით წითელი ღვინით აავსეს.

სოლომონი გარეგნულ მხიარულებას ინარჩუნებდა, სახე ერთთავად უღიმოდა და ახლა რომ ვინმე გარეშე პირს შეეხებდა, იფიქრებდა, ამაზე უფრო ბედნიერი, თავისი ზვედრით კმაყოფილი და ფუქსაეატი კაცი დედამიწის ზურგზე მეორე არ მოიძებნებო. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანდა ასე. თუ უფრო დააკვირდებოდი, ძნელი არ იყო მეფის ნამდვილი სულიერი მდგომარეობა გამოგვეცნო...

სოლომონის შინაგან სიცარიელეს და გააფთრებას დღეს ისიც ზედ დაერთო, რომ ოტია დადიანმა მის მისაპატივებლად იმერელ დიდებულთა და თვით მეფის ძველი და კარგი ნაცნობი თავადი კაცო ჩიჩუა გამოგზავნა. სოლომონისაგან ამ რამდენიმე თვის წინათ

შერისხული და თავაშვებული დესპანობის გამო იმერეთიდან თითქმის ვაძე-ვებული კაცო ჩიჩუას დადგენს დასტეს აქ გამოგზავნა, რაღა თქმა უნდა, შექმთხევევითი მოვლენა არ იყო. ვერაგმა და შურის მაძიებელმა ოტია დადიანმა ყოველთვის ჩინებულად იცოდა, რასაც აკეთებდა. ჩიჩუას გამოგზავნილის ერთხელ კიდეც აგრძნობინებდა სოლომონს თავის უბირატესობას, აგონებდა, ძალა აღმართსა ხნავს და ის ძალა, იცოდე და ნურც ნურასოდეს დაივიწყებ, სწორედ ჩემს ხელშიაო.

კაცო ჩიჩუას, ეტყობა, ურიგოდ როდი გაეგო მთავრის მიერ დაკისრებული მოვალეობა. მას თავი გამოიმწვევად ექიორა, თუმცა უხადო, მეტისმეტად დახვეწილ თავახიანობას იჩენდა და მოსწრებული სიტყვა-პასუხით ყველას აღტაცებას ჰგვირდა. კაცო თითქოს მეფეს უსიტყვოდ ეუბნებოდა: მე და შენს შორის, მართალია, მცირე რამ უსიამოვნება მოხდა, მაგრამ რაც იყო, იყო, მე უკვე ყველაფერი დავივიწყე და შენც, თუ შეიძლებოდეს, ძველი ნაწყენობა დაივიწყებას მიეციო. ჩიჩუას ამგვარი კადნიერი საქციელი, სოლომონის ღრმა რწმენით, თინათისადმი მისი დამოკიდებულების და თვით თინათის სალოცავი სახელის აბუჩად აგდება იყო, რასაც სოლომონი, ვიდრე პირში სული ედგა, კაციშვილს ვერ შეაწყვდა. მას მხოლოდ ერთი დაუძლეველი სურვილი სწვავდა, ზეზე წამომდგარი იყო და კაცო ჩიჩუასათვის ამ გარყვნილ, პირმოთნე ღიმილით გაბადრულ სახეში ცხელი სილა ექმია. ჩიჩუა თვალს არ აშორებდა მეფეს. ის გაქნილი კარისკაცის უტყუარი გუმანით გრძნობდა გარემოების არტახებით ხელფეხშებორკილ სოლომონის აზრებულ წადილს, ეს კიდეც უკეთეს გუნებაზე აყენებდა და თითქოსდა ნიშნის მოსაგებად, შეუჩერებლივ ენამზებოდა.

XXXV

ღრმა მოხუცებულობაში ფეხმედეგ-მულმა, მაგრამ ჯერ მაინც ჯან-ლონითა და სიცოცხლის ხალისით აღსავსე ოტია დადიანმა მომავალ სიძეს, იმერთა მეფე სოლომონს, საარაკო დახვედრა მოუწყო. ცხენისწყლის პირზე, ფონს გამო-სცდნენ თუ არა, მეფიონს პირშო შვილი, ოდიშის მომავალი მთავარი, დღესდღეობით კი სალიპარტიანოს პატრონი კაცია მოაგება საუცხოოდ შეიარაღებული სამასი მხედრითა და ამდენივე ქართულად თავდახურული მშვენიერი მანდილოსნით. ცხენისწყლის ფონიდან ვიდრე გორდის სასახლის გაღვენის ჭიშკრამდე და თვით გაღვენის შიგნით, სადაც ევროპის წალკოტები-დან შემოტანილი ასწლოვანი კედრები, ცაცხეები, ბზები და სუროს მწვანე ბარდებით შემოსუდრული ურთხმელები აქაურობას უცხო, ზღაბრულ იერს აძლევენ, გზა ია-ვარდით იყო მოფენილი. შინდისფერი ხავერდის ქულა-ჩებში და ამავე ფერის წულა-მესტებში მოხდენილად გამოწყობილმა ორმა ფეხმარდმა ქაბუკმა მეფეს ძვირფასი უნაგრიითა და მოსართავეებით შეკაზმული ბედაური ცხენი მოართვა. მკვირცხლი და კოკმაღალი ცხენი ყაბარდოული იყო, მაგრამ სუფთა სისხლის არაბულს არაფრით ჩამოუვარდებოდა — ახლად ამოსული მზის სხივებზე ქარქაშიდან ამოწვილი ფოლადის სატევარივით ლურჯად ლივლივებდა. ქაბუკებს აქეთ-იქით მაგრად ჩაველოთ ხელი ლაგამში, თავს ძლივს უმაგრებდნენ. ცხენი ტორებს სცემდა, ველურ თვალებს აბრიალებდა, ყალუზე დგებოდა და უცხო ცხენების დანახვაზე მკეპარე ხმით ჭიხინებდა.

თუ ბატონი მეფე გულუხვი მასპინძლის მოკრძალებულ სურვილს ანგარიშს გაუწყვედა, თავისი ცხენიდან ახლავე უნდა ჩამობრძანებულყო და გორდის სასახლისაკენ გზა საჩუქრად მორთმეული, სწორედ გვირგვინოსანთა

შესაფერი ლურჯა ცხენით უნდა განეგრძო. სოლომონმა შორს დაიჭირა, თავისე დაიკავა, თითქოს ველურ ყურშიწვდა მასპინძელთა წადილს. დამხედურთ გულთბილად მიესალმა, დადიანის ძეს, კაციას, ძმურად გადაეხვია, ოდიშის უპირველეს თავადთ და აზნაურთ ხელი ჩამოართვა და მრავალრიცხოვანი მხლებლებით გარსშემორტყმული აღმართს კვლავ თავისი ცხენით შეუდგა. გადარეული იაბო შორიახლო მოჰყავდათ ბიჭებს...

დამხედურთაგან ზოგი და უპირველეს ყოვლისა, თვით ოტიას ძე, კაცია, საგონებელს მიეცა. რად იუკადრისა მეფემ ოდიშის ბატონისეულ ცხენზე შეჯდომა, ვითომ ეს რისავე მომასწავებელი დიპლომატიური ნაბიჯი იყო? კაცია გამწარდა. ამ თავის ძალებსა და უნარში ღრმად დარწმუნებული იმერელი ვაჟ-ბატონის გარეგნული სიმშვიდე და ზვიადი მიხრა-მოხრა წონასწორობას უკარგავდა. ნეტავ რა ნახა მამამ ამაში ისეთი, რომ თავი მოიკლა, სანამ სიძობაზე არ დაითანხმა და კანონიერი ცოლი არ გააშვებინა! ვითომ რით იყო სოლომონზე ნაკლები ბატონიშვილი თეიმურაზი, დადიანების უახლოესი ნათესავი დედის მხრივ, რომელიც აშეამად კვლავ ახალციხეში იჯდა ფაშასთან, ხვალ-ზეგ კი შეიძლება იმერეთს მეფედ მოვლენოდა და ეს კულაბიკა ვაჟბატონი პირში ჩალაგამოვლებული დაეტოვებინა!

კაციამ ცხენი ააჩქარა და ორჯერ თუ სამჯერ მეფაა ცხენს ვითომდა შემთხვევით დაატაკა. სამჯერვე ბოდიშის მოხდა და პთელი ორი ნაბიჯით უკან ჩამორჩენა მოუხდა. ამ დღისათვის გზა საგანგებოდ შეეკეთებინათ. ისე რომ, ოჯსა და სამ ცხენოსანს თავისუფლად შეეძლო გვერდით ავლა. სოლომონმა აგრძო ოდიშის ბატონიშვილის აბირებული მოუსვენრობა და მიხვდა, ამ ძალაუფლებაზე დახარბებულ ახალგაზრდა კაცთან, საკუთარ კანში რომ ვე-

ღარ დატეულიყო, სიფრთხილე მართებდა.

ძვირფას სტუმარსა და ასაბიას გზაში უამრავი ხალხი, დიდი და მცირე, ერი და ბერი, კაცი და ქალი, ბავშვი და მოხუცებული ხელების ქნევითა და მხიარული შეძახილებით ხედებოდა. იმერთა ახალგაზრდა მეფის, ბატონიშვილ მარიამის მომავალი თანამეცხედრის, სანახავად, ასე გასიჩქეთ, ოდიშის შორეულ სოფლებსა და დაბაქალაქებსაც კი აქეთ ექნათ პირი. ყველა ვისაც როგორ შეეძლო, საზეიმოდ მორთულ-მოკაშმულიყო, გვირგვინოსანი სტუმრის მობრძანებას და, რაც მთავარია, დღენიადაც ერთიმეორის მოქიშპე ოდიშის ბატონისა და იმერთა მეფეს შორის საუკუნო ზავის ჩამოგდებას სულითა და გულით შეჰხაროდა. ზოგს, რასაკვირველია, ისიც შეეცყო, თუ მეფის სტუმრობას წინ რა გულისმომწყყლეული ამბავი უძლოდა და აღგზნებული ხალხი ამ ამბავს პირიდან პირზე გადასცემდა. დაყრილმა ხმებმა ხალხს კიდევ უფრო აუშალა მეფის დანახვის საღერღელი. აღამიანები ერთმანეთს სრესდნენ, თითქმის მხრებზე აღგებოდნენ, რომ გზად მიმავალ სოლომონისათვის თვალი შორიდან მიანც მოეკრათ. ბრბო დრტვიანავდა. საქაქანო და განსასჯელი ბლომად გასჩნოდა. ზოგი სოლომონს ამტყუნებდა, თავზე ქოქოლას აყრიდა და სამონაზნოდ გამწესებული თინათის მხარეს აშკარად იჭერდა, ზოგი კი მეფის გამოუვალ მდგომარეობას ჩაეფიქრებინა და ამ იძულებითი ქორწინების უკან ბატონიშვილ მარიამის გამწარებულ მომავალს ხედავდა.

სოლომონი ახლა კი მიხვდა, რისთვისაც ალოდინეს ცხენისწყლის პირზე, მათხოჯში და გული მოუღბა, აღრინდელი გაბოროტების სანაცვლოდ მადლიერებაც კი იგრძნო მოხუცებული მთავრის მიმართ: მეფის საკადრისი დახვედრის მომზადებას და შემდეგ ზუგდიდიდან საბლუელით აქ მოსვლას

ხომ დრო უნდოდა, დრო კი ბატონ ოტიას უღარესი მომპირნეობით გამოეყენებინა და ყველა ღონე ქნა, რა სასურველი სიძისა და მეფის დიდებულის დახვედრის მოსაწყობად.

კინჩხის ციხის გოდოლზე, აღმა-აღმა მიმავალ გზას ზემოდან რომ გადმოჰყურებდა და საჭიროების ქამს ოდიშის ბატონთა საზაფხულო სადგომის — გორდის მისასვლელებს საიმედოდ კეტავდა, მეფის პატივისცემის ნიშნად ზარბაზანმა დაიქუქა. ეს ხმა გაღმა-გამოღმა რამდენჯერმე განმეორდა და შორეულ წარაფებში თანდათან მიწყდა. ოტია დადიანი კონსტანტინოპოლსა და სამხრეთ ევროპის ქალაქებში ნავალი კაცი იყო და მეფეს ევროპული ზარ-ზეიმითა და ნამდვილი მეფურე პატივით ხედებოდა. ამ დახვედრას ერთდროულად ორი კურდღელი უნდა მოეკლა: ერთის მხრივ, მეფე უნდა დაერწმუნებინა, რომ ამიერიდან დადიანი ყველა უკან დასახევე ხიდს ანგრევდა, ხოლო მეორე მხრივ, ოტია დადიანს საკუთარი ძლევაშოსილება, გაზრდილობა და ოჯახიშვილობაც საცნაური უნდა გაეხადა.

მზე შუბისტარზე იდგა, ამალის თავზე მოფრიალე მეფის აღამმა რომ უკანასკნელი აღმართი აათავა და ქვითკირის გალავანში ჩატანებულ ალაყაფის ქიშკრისაკენ გაემართა. თვალის სერიის მოყვარული მდაბიო ხალხი აქ უფრო მეტი დაუხვდათ. ყრიაშული და შეძახილები თანდათან მატულობდა. მეფე თავშიშველი იყო, თეთრი ფაფანაკი ხელში ეკავა და მისი ხილვით ეგზომ აღტაცებულ ბრბოს, როგორც ერთ დროს საწრეთლოში, მარჯვნივ და მარცხნივ მოწყალედ მიესალმებოდა. დადიანის ძე კაცია მხარდამხარ მოჰყვებოდა მომავალ სიძეს და უბირი ხალხის მიერ მეფისადმი მიმართულ თაყვანისცემას გორიზად კოპებშეკრული ინაწილებდა.

ასაბია გალავანს მიუახლოვდა და როცა ოდიშის ზვიადი ბატონი დიდ-

ბულ სტუმარს არც ჰქონდათ მოეგება და მხოლოდ სადღესასწაულოდ შემოსილი სამღვდელოების დახვედრებით დაკმაყოფილდა, სოლომონს წყენამ გაპკრა ვულზე: დადიანი ზომავზე მეტად იფასებდა თავს და მასპინძლური მოკრძალების ყველა ზღვარს გადადიოდა. სხვა გარემოება რომ ყოფილიყო და სოლომონს ამის თუნდ მცირეოდენი საშუალება ჰქონოდა, ის დაუყოვნებლივ მოაბრუნებდა ცხენს და თავხედ მთავარს გაწბილებულს მიატოვებდა, მაგრამ სიფიცხის აყოლა და გაუფრთხილებელი ნაბიჯის გადადგმა დღეს, ვაგლახ, იმაზე მეტ რამეს გააფუჭებდა, რის წარმოდგენაც ამჯერად შესაძლებელი და მისაწვდომი იყო.

სამღვდელოება და გალანის. შიგნით მდგომი ერი სოლომონს გალობითა და მეტანიით შეხვდა. თავებს ზემოთ, ცაცხვისა და ურთხმელის დაბლა დახრილ ტოტებში, საეკლესიო დროშები ფრიალებდნენ, ირგვლივ კი საკმევლის გამაბრუებელი სუნი იდგა. მეფეს წამით გადაავიწყდა, აქ საიდან და რისთვის მოვიდა და თვალწარმტაცი სანახაობის ჰერეტას მინებდა. კარის ეკლესიის სამრეკლოზე ზარებს არისხებდნენ. დროდადრო კიდევ ქუხდა ზარბაზანი და მისი გაგრძელებული, უფრო და უფრო მიღებული ხმა ყრულ ინტქმებოდა მიუვალ ხეჭუყებში.

სოლომონი დადიანს პირადად არ იცნობდა. მისმა ყრმობამ და სიჭაბუკემ ისე განვლო, მეფე ალექსანდრესა და ოტია დადიანს შორის მტრობა და მესისხლეობა არ შეწყვეტილა. იმ დღიდან, რაც ისაყ-ფაშასაგან გამოგზავნილმა ქვამ ოტიას მამა ბეჟან დადიანი გეგუთს მიიტყუა და კარავში ღალატით მოაკვლევინა, ოტიასა და ალექსანდრეს შორის შეუთრეგებელმა მტრობამ მოიკიდა ფეხი. დადიანის სახლელი დარწმუნებული იყო, სისხლისმსმელი ფაშა მეფე ალექსანდრესთან შეთანხმებული მოქმედებდაო.

ალექსანდრემ თავი ვერაფრით იმართლა, თუმცა მკვლელობაში მისი ხელი არ ერია, გაიბუტა, არც კი იცნობდა, ურჩი ქვეშევრდომის წინაშე თავი ემართლებინა. უაზრო მტრობასა და სისხლისღვრას მხოლოდ ალექსანდრეს სიკვდილმა მოუღო ბოლო და დღეს პირველად იყო, მისი ნაშვირი რომ გორდს სტუმრად და ახალი ნათესაური კავშირის გასაბმელად მობრძანდა.

სოლომონმა ვადმოცემით იცოდა ყველა სიბავ, რომელიც ხარბ და ამბარტავან დადიანს მეფე ალექსანდრესათვის მიეყენებინა და მთავარს თავის გულში გესლითა და ღვარძლით სავსე ურჩხულად სახავდა. დადიანმა ერთხანობას ხომ მეფის ტახტიდან გადაგდება და ქვეყნის საჭის დაპატრონებაც კი შესძლო. დის ქმარმა, ბატონიშვილმა მამუკამ, ვერ გაუმართლა. ცოლისძმამ ორჯერ აიყვანა ტახტზე და ალექსანდრეს მომხრე იმერელმა დიდებულებმა ორჯერვე ჩამოაგდეს. ოტიამ მამუკას მიერ ტახტის დაკარგვის შემდეგაც არა ერთხელ სცადა ალექსანდრეს ხელახლა დამბობა, მაგრამ სულ უკანასკნელად სკანდის ციხის მიდამოებში, ჩიხორის ომში იძლია, მძიმედ დაკოდილი მტერს ტყვედაც ჩაუვარდა და თავი რის ვაივაგლახით გამოიხსნა აგერ მერამდენე თვე და კვირა იყო, სოლომონს ამ ურჩხულისაგან მოერეკებოდა დაუნდობელი ბედისწერა, მოერეკებოდა მთელი სისწრაფით და გარდაუვალად...

მეფე ფიჭრებიდან ბუჯანდარის ხმამ, დაფდაფების ცემამ, წინწილების ქყვიტინმამ და გამაყრუებელი ვაშას ძახილმა გამოიყვანა. თვლებზე ხელი მოისვა და წინ გაიხედა...

დიდრონ-დიდრონი კედრების უკან, ხელოვნურად გაშენებული ტყის სიღრმეში, ზღაპრულად ნაქარგი ყვავილნარი და ქვეყნის განთქმული ზურგების ხელით აგებული ხის დიდებული სასახლე მოჩანდა. სასახლის წინამო სადღესასწაულოდ მოერთოთ, შესასვ-

ლელო კარიბჭის წინ კი დადიანების საგვარეულო ალაში ფრიალებდა.

ბატონი ოტია სანთლებით გაჩირაღდებულ კარის ეკლესიასთან დაუხვდა მეფეს, თავშიშველი მიეახლა, კაბის კალთაზე ეამბორა, მერე წამოდგა და თავისი დიდი ხნის ნანატრი სტუმარი ბებრული მოუხერხებლობით გულში ჩაიკრა. მოხუცის გამოცდილ თვალს არ გამოჰპარვია რომ შვილი კაცია რაღაცის გამო უქმყოფილო იყო. წამით თავადაც დაეკვდა, სიბერის ხანს მართლა ხომ არაფერში ვტყუდებდებიო, მაგრამ ახლა უკვე აღარ ჰქონდა ფიჭვისა და ყოყმანის დრო: სათაყვანებელი ასულის მარიამის, კარზე მომდგარ ბედს უკან ვეღარ გააბრუნებდა...

სოლომონს იმნაირი გრძნობა დაეუფლა, თითქოს სასახლის ბაღში სეირნობის დროს ფეხი უხსენებლისთვის დაედგას. მან სულ ახლოს იგრძნო ოტია დადიანის ცხელი სუნთქვა, ხანდაზმულობისაგან დაძაბუნებული სხეულის სირბილე და მკვეთრი სუნი ნელსაცხებლისა, რომელსაც ოდიშის ბატონი, ჩვეულებისამებრ, პირისახესა და ხელისგულეებზე იცხებდა. მაგრამ ეს მაინც ერთი ჩვეულებრივი, წარბეზიან-წამწამებიანა გაქალაქავებული, ლამაზ-ლამაზი შესახედაობის ტანმორჩილი ბერიკაცი იყო, რომლის მსგავსი ბევრი ენაზა ამიერ და იმიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის დროს. ეგ კი არა, მოხუცებული დადიანი მას სხვებზე უფრო მიმზიდველ, ფაქტო და ერთი შეხედვით გულჩვილ ადამიანადაც კი მოეჩვენა. ბატონ ოტიას დაბუფებული რბილი ხელები უკანკალებდა, შესაძლოა ზედმეტი ადრეულების გამო, ნატყვიარი ნიკაპიც უთრთოდა და ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა. თავისდაუნებურად სოლომონმა მზერა მასპინძლის მარჯვენა ხელს დაადგა. რატომღაც ეგონა, რომ ამ ხელის საჩვენებელი თითზე ოდესღაც სიზმარში ნანახ ძვირფასთვლიან ბეჭედს დაინახავდა. ოტიას ბეჭედი

არ ეკეთა და სოლომონი ამან როგორღაც დაამშვიდა. იქნებ ყველა ის ხმაც ასევე უსაფუძვლო იყო, ოდიშის ბატონის ვარეშემო იმერეთის მთელ სამეფოში რომ დადიოდა?

ბერიკაცი გაწამებული ჩანდა. შუადღის პაპანაქება სიცხეს, ხანდახან მთის კორტოხზე ამაყად ვადმომდგარ გორდასაც რომ ეწვევა ხოლმე, საშინლად შეეწუხებინა. დადიანი ნაავადმყოფარი იყო, ლოგინიდან წინა დილას, ზუგდიდიდან გამომგზავრებისას წამოეყენებინათ და შინაურებს გული უკანკალებდათ, არ დავიღუპოთ მუხლებმა არ უღალატოს და აქვე არ წაგვექცესო.

სოლომონი ახლა სიბრალულს გრძნობდა მოხუცებული მასპინძლისადმი და საკუთარ თავს საყვედურობდა წელანდელი უსაფუძვლო ეპქების გამო. ნუთუ მამას, მეფე აღექსანდრეს, თავად მიუძღოდა ბრალი ამ კეთილშობილი, ძვალსა და რბილში გამჭდარი ზრდილობითა და სათუთი კაცთმოყვარობით აღსავსე დიდებულის წინაშე? მაშ, როგორ შეეთავსებინა ამ კაცის მოცქულებრივი სახე, დახვეწილი სიტყვა-პასუხი და ღვთისმომშიშობა ყოველივე იმასთან, რაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ოდიშის მთავარ ოტია დადიანის ირგვლივ ესმოდა?

ბატონმა ოტიამ იყოჩაღა და თვით წარუდგინა მეფეს თავისი სახლეული: მასავეთ მოხუცებული, მაგრამ საკმაოდ კარგად შენახული თანამეცხედრე, ჩიჩუას ქალი გურანდუბტ, რძალი — კაციას მეუღლე აფხაზეთის მთავარ შერვაშიძეთა სახლიშვილი ანა, სამი მცირეწლოვანი ბაღიში: ბეჟან, თამარ და ოტია. მარიამი, იმერთა მეფის სასძლო, ამჯერად დადიანის ოჯახის წევრთა შორის არ იყო. მას, ალბათ, ნადიმად დასხდომის წინ წარმოდგენდნენ მეფეს და სანიშნო ბეჭედების გაცვლისთანავე სუფრის თავში გვერდით მოუსვამდნენ...

სოლომონს თანდათან მოუთმენლობა იპყრობდა. შიშობდა, ვაითუ ოტია დადიანმა ნიშნობისა და ჭვარისწერის მთელი ეს დაეიდარაბა უსაშველოდ გააქიანუროს და ვარციხეში სათანადოდ მომზადება მოასწრონო. ამის თაობაზე რისამე გამხელას სხვანაირად გაუგებდნენ და აუგად ჩამოართმევდნენ, არა და მეფეს როგორმე უნდა შეეტყუო მასპინძელთა და უპირველეს ყოვლისა, თვით ოტიას განაზრახი. ოტია, ეტყობა, კვლავინდებური გველენით სარგებლობდა ოჯახსა და სამთავროში. მისი სურვილის წინააღმდეგ ჯოხს ვერ გადასდებდნენ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე. მეფემ გადაწყვიტა, თავისი შემფოთება ქვეშევრდომებისათვის გაემხილა და დადიანის აზრი მათი შემწეობით შეეტყუო. პარაკლისის შემდეგ, რომლის დროსაც მკონდიდელი გრიგოლ, ნიკორწმინდელი ვერმანე, ხონის მთავარეპისკოპოსი იოსებ და მაქსიმე. აბაშიძე ერთად წირავდნენ, გარეთ გამოსვლისას, სოლომონმა იდროვა და მთავრის ძეს, კაციას, ხმადაბლა გადაუღაპარაჲა:

— იქნებ გაისარჯოთ, მთავარო და კაცი გამიგზავნოთ ბატონ სახლთუხუცეს ლომკაც ჯაფარიძისა და ბატონ სარდალ გიორგი წულუკიძის მოსაყვანად.

— ორივე აქ გახლავთ, თქვენო უმაღლესობავ, — ქვეშევრდომული ღირსებით მიუგო მთავრად მოხსენიების გამო ფრიად კმაყოფილმა დადიანის ძემ და ფეხისწვერებზე აიწია, ეკლესიიდან გამომავალ ბრწყინვალე დიდებულთა კრებულს თვალი მოავლო. — ამ წუთში დავაძახებინებ.

— დიდად დამავალბდით...

— სად გეახლონ, მეფევე?

— სადაც მომასვენებთ... ჩემთვის სულ ერთია.

ამასობაში სასიძო-სასიმამრო ხავერდოვანი მწვანე მოლით მოხასხასე ფანჯატურში გამოვიდნენ და დარბაისლური ბაასით სასახლისაკენ გაემართ-

ნენ. ფანჯატურში ვაზი პყვილი და ირგვლივ სასიამოვნო მოტკბო-მომკვავო სუნს აყენებდა. გზისკენ კვავილს ფუტკარი მისეოდა და პაერში ერთი განუწყვეტელი ბზუილი იღვა. სოლომონს სადაც კიდევ ენახა ამგვარი რამ, მაგრამ სად, ვერ მოეგონებინა. აქ თითქოს პირველად არ იყო. სულის სიღრმეში რაღაც ბუნდოვანისა და შეუცნობელის გახსენებას ლამობდა. მეფე მასპინძლის ხმამ დააბრუნა ამ ქვეყანას. გული ისევ აუფრიალდა. თვალნათლივ ხედავდა, რომ სასიმამრო მართლაც არ ჩქარობდა და ძვირად ღირებული დრო ამინდზე, ნაგვიანეე გამოზაფხულებაზე, ცხენისწყლის გაუგონარ აღიდებაზე და სხვა უმნიშვნელო ამბებზე საუბარში გახყავდა, მეფე მთელ ძალღონეს ძაბავდა, მოუთმენლობა არ გამოეჩინა და დიდსულოვანი მასპინძლის თვალში მით თავი არ დაემციირებინა. რაკი სხვა გზა არ იყო, ისიც თავის შხრივ ხალისიანად ესიტყვებოდა დარბაისელ მასპინძელს და წერილმან სულსწრაფობას მთელი შინაგანი გააფთრებით ებრძოდა.

დადიანი ძალასა და ღონეს არ იშურებდა, რომ თავისი ახალგაზრდა სტუმარი, ამაყი და თავმომწონე ბაგრატიონი, რითიმე გაეკვირებინა. სოლომონი უტყუარი ალღოთი გრძნობდა ამას და ასევე დაქინებულად ცდილობდა, დახვედრის გარეგნული ბრწყინვალეებისათვის ნაკლები ყურადღება მიექცია. ყურადღების მისაქცევი და განსაცვიფრებელი კი აქ ბევრი რამ იყო. რაც მთავარია, ასე ფაქიზი გემოვნებითა და მომხიბვლელობით თვალში საცემი სასახლე მას ჯერ არსად ენახა. სატახტო ქალაქ ქუთაისში, რიონის მარცხენა ნაპირზე მდგომი ქვითკირის სქელკედლებიანი პირქუში სასახლეების გვერდით დადიანის სასახლე ლაღად ფრთაგაშლილ ფრინველივით გამოიყურებოდა. სასახლის ყოველი გრეხილი სვეტი, წნული მოაჯირი, სვეტისთავებისა და კარ-ფანჯარე-

ბის მოყვანილობა მნახველს ანციფრებდა ხაზების ჯადოსნური სინატიფითა და ჰაეროვნებით. განიერ კიბეებსა და ევროპული პარკეტით მოგებულ იატაკზე ძვირფასი ხალიჩები დაეფინათ. დიდრონ-დიდრონი ნათელი დარბაზები აგრეთვე ევროპული ავეჯით იყო გაწყობილი. მეჭლისებისა და ნადიმების დარბაზში, რომელსაც სასახლის შუა ნაწილის ორივე სართული ეკავა და თავისი მაღალი, კამაროვანი კერით ეკლესიას მოგაგონებდათ, კონსტანტინოპოლიდან ჩამოტანილი კლავისინი იდგა. ამაზე, ალბათ, ოტია დადიანის დიდებული ოჯახის ახალგაზრდა წევრები უკრავდნენ და თითქოსდა ყრმობის სიზმრებში ნანახ მიდამოს უცხო ჰანგებით აესებდნენ...

სოლომონს თვალს სჭრიდა ოდიშის ზეიად ბატონთა საგვარეულო სიმდიდრე. ყოველ თაობას აურაცხელი სისხლისა და ცრემლის ფასად ასე გულმოდგინედ რომ ევროეებინა და დღემდე ხელუხლებლივ მოეტანა. ოტია მეფე იყო თავის სამთავროში. მას ისეთსავე თაყვანს სცემდნენ და ისევე ემორჩილებოდნენ, როგორც ღვთივ მირონცხებულ მეფეს. დადიანს, რაღა თქმა უნდა, მარტოოდენ ძალმომრეობით და ოდიშგანვე დადგენილი უფლებით ვერ დაიყმობდი. მას თვით უნდა ეგრძნო შენი, იმერთა მეფის, უპირატესობა, შენი სიდიადე, შენი მფარველობის ძალა და ქვეშევრდომობის გამოსათხოვნად თვით უნდა მოსულიყო. სხვა გზით — სოლომონი ამას თავისი თვალით ხედავდა — მთავართა ამ უძლიერესი სახლის დამორჩილებაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა. დადიანები მუდამ კრიკაში ედგნენ იმერთა მეფეებს. მეფეზე ნაკლები მათ არც ყმა-მამული ჰქონდათ, არც შეძლება, არც მხედრობა ჰყავდათ, არც მტერი და არც მოყვარე. მაშ, რისთვის და ვის წინაშე უნდა მოეხარათ ქედი? გუდამშიერ და მუდამ სხვისი ხელის შეწყურე ბაგრატიონებს. განა ის კი

არა ჰყოფნიდათ, რომ მეფის დროსებით იყვნენ აღჭურვილი და იმერეთს ფლობდნენ?

სოლომონმა ძალზე დამცირებულად იგრძნო თავი. ის თითქოს ყელამდე ჩაეფლო ამ ბრწყინვალე სასახლის სიმდიდრეში და გული სიმწრითა და მდუღარებით ავესო. გრძობდა, უმწეო იყო, ამ გარეგნულად ალერსიანი, სტუმართმოყვარე, მოციქულებრივი სახის მქონე სწეული მოხუცის კლანჭებში მოჭყეულს გასაძრავი ღონე არსით ჰქონდა. დადიანის ერთი ნიშანი, ალბათ, საკმაო იქნებოდა, რომ მას მეგრელი აზნაურები დასტაცებოდნენ, შეებორკათ და თავიანთი ბატონის წინაშე უპატიურად დაეგდოთ. ხელს ვერაფერს შეუბრუნებდა, ტახტიდან გადაგდებული და ფაშასაგან სამკედრო-სასიცოცხლოდ შერისხული მეფის დასაცავად მახვილს არავინ აღმართავდა. გამორჩეულ გულმოდგინებას, ალბათ, სოლომონის მიერ განაწყენებული თავადი კაცო ჩიჩუა და შუროთ გულგასიებული დადიანის ძე კაცია გამოიჩენდნენ...

სოლომონს ტანში ფრუანტელმა დაუარა, შებლსა და ხელისგულეებზე ცივმა ოფლმა გამოეონა. ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც მეფის მოსასვენებლად წინასწარ მომზადებულ დიდ, მზიან ოთახში, სასახლის მეორე სართულზე, მარტო დარჩა, ეკემა ისე ძალუხმად დაპრია ხელი, ციებიანივით აკანკალდა. ნუთუ შეეშინდა? სოლომონმა თავისი თავი მსდლობაში დაიკირა და ახლა აუხსნელმა ზიზღმა შესძრა. გულისრევა იგრძნო. რა მოუვიდოდა, ეს მდგომარეობა რომ თუნდ ერთ საათს გაგრძელებულიყო?

მეფის ამალის წევრი დიდებულები და მღვდელმთავრები აგრეთვე სასახლის მეორე სართულზე მოათავსეს. ბატონმა ოტიამ მეფეს თავისი საქმინებელი ოთახი დაუთმო და თვით დროებით, ვიდრე მეფე აქ იყო, სასახლის პირველ სართულზე გადასახლდა. იქ

მოსამსახურებთანაც ახლოს იქნებოდა და ნიშნობის სუფრის თადარიგსაც უკეთ გასწევდა...

ოტია მუდამ მოქმედი და დაუზარელი კაცი იყო. საქმე, რომელსაც თავად არ გააკეთებდა, გაკეთებულად არ მიაჩნდა. ამიტომაც დღენიდავ თავზე ადგა შინაყმებსა და მოსამსახურებს, ყველა საშინაო და საგარეო საქმე მისი ზედამხედველობით კეთდებოდა. დღეს ის განსაკუთრებულ გულმოდგინებასა და ყურადღებას იჩენდა. რამდენი ხანი იყო, რაც იმერთა მეფეების ნაშვიერს მის ღარიბულ ქერქვეშ პური არ გაეტება! სულ უკანასკნელად, ამ თხუთმეტი თუ ოცი წლის წინათ, სოლომონის მამას, მეფე ალექსანდრეს, ალყა შემოარტყა რუხის ციხესთან, მეფის მხარეზე გადასული საკუთარი ძმა, კაცო, შეიპყრო, ლეჩხუმს, დებვირის ციხეში ჩამწყვდია და ისევ მახეში გაბმულ მეფეს მოუტრიალდა. დღეს მეფე ალექსანდრეს სიყრმის შვილი სოლომონი ბატონი-შვილ მარიაშის საბედო იყო და აგერ გორდს ჰყავდა...

XXXVI

მეფესა და ამაღის წევრებს მსუბუქი საუბრე ზემოთვე მოართევს, თანაც ოდიშური თავაზით ბოდიში მოუხადებს, სადილიც სულ მალე იქნებაო. სასახლის წინ, ასწლოვანი ბუხების ხეივანში, სანადირო სუფრა იშლებოდა. ნაშუადღევს ცაზე ღრუბელი გაჩნდა. დადიანები შიშობდნენ, ვაითუ ისევ გაავლარდესო და წვიმას რომ სუფრა არ აერია და ლხინი არ გაეუსიამურებინა, ახლომახლო სოფლებიდან მოყვანილ დურგლებს სახელდახელო სეფა გამართვიანეს. სუფრა თითქოს უკვე გაშლილი იყო. დურგლები ახლა დასაჯდომებს აწყობდნენ. მოსამსახურეები, ქალი და კაცი, ფეხისწევრებზე დადიანდნენ და ერთმანეთს აჩუმებდნენ, სტუმრებს ძინავთო. უხმაუროდ ალაგებდნენ ახლად დახერხილ სურნელო-

ვან ფიცრებს მწვანე მოლზე, ფინჩატურში, ორ-ორ და სამ-სამ კაცს უხმოდ მიჰქონ-მოჰქონდა თავზე მოხვივარდადგმული სპილენძის საარყე ქებაბები, დაუბობლად უყეთებდნენ შეშას ცეცხლს და სამწვადე ხორცსაც უხმაუროდ ჰრიდნენ ცაცხვის ვეება გობებში...

სოლომონს ისევე არ ეძინა. დღისით ძილს შეჩვეული არ იყო. მეფემ ჩინებულად იცოდა, გვირგვინოსანი სტუმრის განმარტოებული სჯა-ბაასი ექვიან და ფრთხილ მასპინძელზე რა შთაბეჭდილებასაც მოახდენდა. ამიტომ სახლთუხუცესი ლომკაც ჯაფარიძე და ბატონი გიორგი წულუყიძე ცალცალკე მოიხმო და სულ რამდენიმე წუთით ესაუბრა.

დადიანთან შუაგაცებად გამოგზავნილმა ერთგულმა ქვეშევრდომებმა თავიანთ ახალგაზრდა ბატონს უღარესად საყურადღებო ამბები აუწყეს, რასაც მეფის ახლანდელ სტუმრობასთან, შესაძლოა, პირდაპირი კავშირი არ ჰქონდა, მაგრამ შემდეგ და შემდეგ მოვლენების განვითარებაზე უთუოდ მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა.

ოტია დადიანს ხელთ ეპყრა ახალციხიდან ახლახან მიღებული უტყუარი ცნობა. ამ ცნობის თანახმად საფაშოში დიდი ცვლილებები მომხდარიყო. იტყობინებოდნენ, რომ ბედნიერი სულთნის უზენაესი ბრძანების თანახმად ფაშა ჰაჯი-აჰმადს ჩილდირისა და ახალციხის ბეგლარბეგობის ღირსება აჰყარეს და სამცხეში საგანგებოდ მოსულმა სულთნის მანდატურებმა ის ხელებსა და ფეხებში ბორკილებგაყრილი კონსტანტინოპოლს წაიყვანეს...

სოლომონმა განცვიფრებისაგან კინაღამ შეჰყვირა, ეს ანბავი რომ პირველად გაიგონა. ჰაჯი-აჰმადი, მთელს ოსმალეთის იმპერიაში ასე მიღებული და სახელოვანი კაცი, ფაშა, ბედნიერი სულთნის მანდატურებმა შეიპყრეს? როგორ, რანაირად? ლომკაცსა და გიორგის პასუხი მზად ჰქონდათ: ჰაჯი-

აჰმადს გურჯ მეფეებთან ფარულ კავშირს და მის უდიდებულესობა ბედნიერი სულთნის ლალატს სდებდნენ ბრალად. ეს ბრალდება შემაძრწუნებელი იყო. იგი მხოლოდ ერთ სასაჩელს — სიკვდილს ითვალისწინებდა. მსგავს ბრალდებას ოსმალი ხელისუფალნი მხოლოდ მაშინ აყენებდნენ, როცა საქმე გამორკვეულად მიაჩნდათ და დანაშაულსაც დამტკიცებულად თვლიდნენ. მეფე გაშტერდა, თვალები ზე აღაპყრო და პირჯვარი გადაიწერა, თან ლოცვას ბუტბუტებდა. ოსმალური სამართლის ეს ბარბაროსული მუხლი მან კარგად იცოდა...

თავისმა დესპანებმა მეფეს დადიანის კარზე მოპოებული სხვა ცნობებიც აუწყეს: ამჟამად ახალციხეში დიდი არეულობა სუფევდა, არზრუმიდან ახალ ბეგლარბეგს ელოდნენ, მის მობრძანებამდე კი დიდი ვეზირის საგანგებო რაყამის ძალით საფაშოს აწეწილ საქმეებს ვილაიეთის უზენაესი ყადი, ჭაყულების უმცროსი შტოს წარმომადგენელი სელიმი განაგებდა...

სოლომონი საგონებელს მიეცა. აღარ იცოდა, გახარებოდა თუ სწყენოდა ეს ამბავი. დადიანის მიერ საიდუმლოდ მიღებული ცნობა, რომლის ქეშმარიტება მტანჯველ ექვს ჰბადებდა, თითქოს მისახვედრად ხსნიდა მიზეზს, რის გამოც სამცხიდან ახალი დამსჯელი ლაშქრის მოსვლა ასე იგვიანებდა. რაბათის მესვეურებს, ეტყობა, ბაშიაჩუკებისათვის აღარ სცხელოდათ, რაკი თავისი საკუთარი ტყავი გახდომოდანთ საპატრონო და მოსაფრთხილებელი. ვიდრე სულთნისაგან რატომღაც შერისხული ჰაჯი-აჰმადის ადგილს ახალციხეში ახალი გაუმძღარი კაცი-ჰამია არ დაიკავებდა, იმერეთზე ჭავრის ამოსაყრელად ლაშქრობის წამოწყებას ვერ შესძლებდნენ. ბოროტებისა და ღვარძლის გუდას — სელიმს — მამბულარასა და არაკაცს, თავზე რისხვის დამტეხი გესლიანი წიგნების შედგენა კი ემარჯებოდა, მაგრამ საკუთარი

სიმხდალისა და უღიმვამობის წყალობით ლაშქრის გამოძღოლს ვერ ითავებდა. ყოველივე ეს იმას მოასწავებდა, რომ მაღალი ღმერთი სოლომონის მხარეზე იყო, სოლომონის გაღონიერებასა და მტერზე გამარჯვების შემზადებას ყოველნაირად ხელს უწყობდა. უკეთეს დროს სამეფოში ახალი გადატრიალების მოსახდენად ვერც კი ინატრებდი!

ოტია დადიანის ზოზინი და აუჩქარებლობა დესპანებმა ადვილად ახსნეს: ყველა, ყველა და ბატონიშვილი მარიამი, იმერთა მეფის სასძლო, მთავრის ერთადერთი ასული იყო. მტრისა და ავისას, აჭაურობას ცეცხლიც რომ წაჰკიდებოდა, თავისი სათაყვანებელი ქალის ბუდიდან გადაფრენის დღეებში ოტიას მაინც ვერ ააჩქარებდი. ყოველ საქმეს, დიდსა თუ მცირეს, შესაფერი წესი და რიგი ჰქონდა. ასეთი იყო ოდიშური ჩვეულება და მამა-პაპის მიერ დადგენილ ადათს, რასაკვირველია, ვერც მთავარი უღალატებდა.

მეფე თავისი დიდებულების პასუხება ვერ დააკმაყოფილა, ვერც ძღვეამოსილი ჰაჯი-აჰმადის დაცემის ამბავი დაიჯერა. ჯერ საბლთუხუცესს, შემდეგ კი თავის აღმზრდელ გიორგი წულუკიძეს ჩამივბით ჰკითხა: დადიანის აუჩქარებლობასა და ზვიადობას სხვა, ჩვენთვის ბევრად უფრო საზიანო საფუძველი ზომ არ უნდა ედოსო? შუაკაცებმა ამბუხედაც გადაქრით და თავდაჯერებულად უპასუხეს. მათზე, როგორც თვით სოლომონზე, ოტია დადიანის სიღარბაისლეს, გამჭირაობასა და სანდომიან სიტყვას-პასუხს დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა და ერთიცა და მეორეც მონუსხულივით იყო — დადიანის წინააღმდეგ სიტყვასაც ვერ ათქმევინებდი.

მეფეს გულს უფრო ის უღრღნიდა, რომ ახალციხის ამბები თავისივე კაცების პირით შეიტყო და თვით ოტია კი ამის შესახებ არაფერს ეუბნებოდა. რით უნდა აეხსნა მთავრის ეს უცნაუ-

რი და შეუსაბამო საქციელი? იქნებ ბერიაკი ჯერ კიდევ ბალად თვლიდა და მასთან ნამდვილ სავაჟაკო საქმეზე საუბარს გაუბოდა? სოლომონს ლაწევები წამოენთო. გულმა ძვრას უმატა. თუ ასეა, აქ რაღასთვის მოიწვია, ეს ტაკიმასხარობა რისთვის დასკირდა?

ლომკაცთან და გიორგისთან საუბრის შემდეგ სოლომონი ვითომ დაწყნარდა. ერთგული ქვეშევრდომების აღლოსა და გამოცდილებას, რაკი სხვა გზა არ იყო, უყოყმანოდ მიენდო. მით უმეტეს მას შემდეგ, როცა შეატყობინეს, ბატონი ოტია უკვე შესდგომია ჯარების შეკრებას და რამდენიმე დღის ლაშქრობისათვის აუცილებელი ხარჯის მოგროვებასო...

ოდისის მხედრობა, სულ ცოტა, თხუთმეტი-თექვსმეტი ათასი კაცი, აფხაზებითა და ჯიქებითურთ, თვით გორდში, გორდის ირგვლივ და მდინარე ცხენისწყლის გასწვრივ იყრიდნენ თავს. დადიანის ნიშნისამებრ ისინი ორ ნაკადად შეიკრებოდნენ იმერეთში, ვარციხიდან გასასვლელ ყველა გზასა და ბილიკს პირველსავე ღამეს მოსკრიდნენ და დილას, თუ იქ ლევან აბაშიძის მიერ მომზადებული დიდი წინააღმდეგობა არ შეხვდებოდათ და ღვთის ნებაც იქნებოდა, სასახლესაც ხელთ იგდებდნენ.

სოლომონს ამ დღეებისათვის უჩვეულო სიმსუბუქე დაეუფლა და, მართალია, ახალციხიდან მიღებული ცნობების კეშმარტება ისევ სათუოდ მიჰნდა, გულში მაინც დიდი ხნის წინათ მიწვეული მხნეობა ჩაენერგა. მეფის საშველად ცხენისწყალზე გადასულ ოდიშართა მხედრობას გვეშტიბშვივე შემოუერთდებოდა ქვემო მხრის სარდალ ბერი ლორთქიფანიძის ორი ათასი „ფიცის კაცი“, ზოლო საკილაოში კი მათ ზურაბ მიქელაძე დახვდებოდათ ამდენივე ცხენოსანი და ქვეითი მეომრით. ბერი წულუკიძე და პაპუნა და ქაიხოსრო წერეთლები საწულუკი-

ძეოს, ოკრიბისა და საწერეთლოს/ჯარს წამოუძღვებოდნენ და ქვეშევრდომებისაგან მიმავალ გზებს გადაუჭრიდნენ. მეფე გონების თვლით უკვე ხედავდა თავის გამარჯვებას...

სანადიმო სუფრასთან მიწვევის წინ მას დადიანის ახალი გადაწყვეტილება შეატყობინეს. ოტიამ იგი, შესაძლოა, მეფის შეაკაცებთან ახალი შეხვედრის შემდეგ მიიღო. რაკი სოლომონი აჩქარდა და ღვთის წინაშე საქმეც ასე მოითხოვდა, მთავარს საწინააღმდეგო არა ჰქონდა რა, თუ ნიშნობა ქორწილად გადაიქცეოდა. ისე ჰგავდა, ეს თავიდანვე ამგვარად იყო გათვალისწინებული, მაგრამ ქალის მამა თავს მანამ იქერდა, ვიდრე ბატონ სასიძოსაგან მრჩევლები არ მიუვიდა. სასურველი თანხმობის მიღებისთანავე ლომკაცი და გიორგი ცას ეწვივნენ სიხარულისაგან. მთავარს მდებალი მადლობა მოახსენეს და სასიძმაროს გადაწყვეტილება უმაღლეს სოლომონს აუწყეს. სოლომონი უკვე ჩაქმული იყო და გარეთ გამოსაბრძანებლად ემზადებოდა. თვალისმოპკრელი წითელი ახალუხი სახეზე შუქს ჰვენდა. მოკლედ შეკრეპილი წვერ-ულვაში, გვერდზე გადავარცხნილი ხშირი თმა და მკვრივად ჩადგმული მხარ-ბეჭი ბრგვე ვაჟაკის შესახედაობას აძლევდა. ოქროს ძაფით მოსირმული ყურთმაჯებიანი თეთრი კაბა და ყვითელი წულა-მესტები მეფეს ძველი ქართული ხელნაწერების არშიებზე მიხატულ მხეკაბუეებს ამსგავსებდნენ. მისი მეფობის ნიშანი შუბლზე შემოკერილი ოქროს სალტე და აბრეშუმის მოკლე მოსასხამი იყო, რომელიც მხრებს უფარავდა და რამდენიმე ფართო ზოლად დაშვებული მუხლებამდე ძლივს სწვდებოდა.

სოლომონი აივანზე გამობრძანდა და დინჯად დაიწყო კიბეზე ჩამოსვლა. უკან თავისი მსლებელი დარბაისელნი, თვით მასპინძელი ოტია დადიანი,



ძე მისი, სალიპარტიანოს ბატონი კაცია და მეგრელი დიდებულები მოჰყვებოდნენ. იმერეთისა და ოდიშის შეხმატკბილებული სამღვდლოება მეჭორწილეთ უკვე კარის ეკლესიაში ელოდა.

სოლომონს თვალეზი უბრჰყვიალეზება, ერთ ამოჩემებულ წერტილზე მიშტერებული თითქმის ვერაფერს ხედავდა და სახეზე ნირშეუცვლელი უსიცოცხლო ღიმილი ეხატა. სად იყო ნეტავ ახლა თინათი? უკვე მიადწიეს ხინოწმინდას, თუ ჭერ ისევ გზას ადგნენ? გულში ყრუ ტკივილმა გაჰკრა და თავისდა უნებურად ხმაალა დაიკვნესა. ნეტავ თუ გაიგონეს... შემდეგ, თითქოს ნიკაპში ხმლის ვადა ამოჰკრესო, სოლომონი ერთბაშად გამოფხიზლდა და თვალეზი დააჰყიტა. მის წინ, მწვანე ბილიკზე, მთლად თეთრებში მორთული, თეთრი ჩიხტი-კობითა და თეთრივე დარაიით თავდახურული, მკაცრი შესახედაობის ხმელ-ხმელი ახალგაზრდა ჭალი იდგა. უთუოდ ეს იყო დადიანის ასული, მისი მომავალი თანამეცხედრე და იმერეთის დედოფალთდედოფალი მარიაში. ჭალი თავის

გვირგვინოსან საქმროზე არსდგნოშტ წლით უფროსი ჩანდა და თუმცა საქორწილოდ იყო მორთული, არც მიხრამობრითა და არც გაქვეავებული სახის უცვლელი გამომეტყველებით ამ განუგებებელი წუთებისათვის შესაფერ ფარულ სიხარულსა და გულის ამაჩუყებელ გუნება-განწყობილებას ოდნავადაც არ ამქლავებდა.

დადიანის ასული ბატონს პირველი მიესალმა — გრძელი წამწამები დახარა. მეფემ მიიმედ დაუკრა თავი, მისი ცრემლებით სავსე, მუგუზლებივით მოგიზგიზე თვალეზი კი თეთრი თავსაბურავის მიღმა რაღაცას უაზროდ მიშტერებოდნენ. სოლომონი ძლივს შესამჩნევად კანკალებდა. მარიაშმა ეს უმაღვე იგრძნო, როგორც კი თავის მომავალ თანამეცხედრეს პაწია, მაგრამ ძლიერი ხელი მკლავში გამოსდო, მეორე ხელით მიწამდე ჩამოშვებული საქორწინო კაბის ფაშფაშა კალთა აიკრიფა და ვაქთან ერთად კარის ეკლესიისაკენ ნაბიჯი გადასდგა. იქ ჭვარის დასაწერად ყველაფერი უკვე მზად იყო...

□ პირველი წიგნის დასასრული □

გიორგი გუბლია

ღ ი ა ლ ო გ ი

— მითხარ, ბებერო, გამიმჟღავნე, შვილებს გაფიცებ —
როგორ შესძელი, ას წელს როგორ გადააბიჯე?
სიკვდილმა ბევრჯერ დაგაძალა სიმღერა გედის, —
არ მოუხარე — როგორ შესძელ? — ამაყი ქედი.

— როგორ შეეძელი? მე ამაზე არ მიფიქრია.
ეტყობა, შრომამ, მხოლოდ შრომამ გზა გამიკვლია
ხანგრძლივობისკენ... მე სიკეთეს ვთესდი მარადის.
მუდარა გულხელდაკრეფილთა ცამდე არ ადის.

ანწივები და ბელუჩები

სმენად ქცეულან მთის ნაპარლები,
დილის ბურუსში ცურავენ კორდნი,
თავგამეტებით, შეუბრალებლად
ორი არწივი ერთმანეთს კორტნის.

საზარელია ამის ყურება —
ვისაც უნახავს, მან იცის მხოლოდ;
იღვრება სისსლი და ბედურების
აღფრთოვანებას არ უჩანს ბოლო.

ღაგჰნად წყაროსთან

მეზობლის გოგო ანაზდად
გადაუქროლებს ბოგირს, —
იქ ხედება, სადაც დატოვა —
ბატარა ღარქვეშ — დოქი.

ღმერთო, რა ძუნწად მოქონავს,
სიზმარია თუ ცხადი...
დგას დოქი, პირდაპირნილი,
დრო კი უღმობლად გადის.

ა ფ ხ ი ა რ ც ა *



ო, აფხიარცავ, — სიმღერის დედავ,
შენ გისმენს გული და ზეცა ლურჯი,
ჩვენ ერთი ბედი გვარგუნა ბედმა,
შენ უსიმღეროდ ყრუ ხარ და მუნჯი.

ყველა მშობელ ხმას შენ ფრთები მიეც,
და მკურნავს შენი სიმების რხევით,
თუკი სხვა ხმაზე აგაწყოს ვინმემ,
ნაკადულივით შენც დაიმსხვრევი.

• • •

პირველად მაშინ მან შეიგრძნო სიმაღლე მერნის,
გაიწკრიბალეს უცაბედად დეზებმა ოდნავ,
ცა მოეჩვენა მშობლიური სიმღერის ფერი,
თეთრი ღრუბლები შორეთში რბოდა.

შეკრთა მერანი, თითქოს მხედარს დაემსხვრა ფრთები,
ძირს დაენარცხა, თვალნი მისი გადაცრემლულა,
ნუ დარდობ, ძმაო, ასეთია წესი ცხოვრების,
ვინც აღარ მჯდარა ცხენზე, იგი არც დაცემულა.

აფხაზურიდან თარგმნა **ჯ. ჯანელიძემ**

მიხეილ ქვლივიძე

გუჩაიშვილის მოწოდება

გულში მზის სხივი გაყრილი მაქვს, როგორც ხანჯალი
და ჩემს ძარღვებში მოგრილებს შმაგი არაგვი.
სიყვარულისა, — სამშობლოში დაუხარჯავის, —
დამგრძობებია უსაშველოდ დიდი მარაგი!

ვის ვუწილადო ეს ტრფიალი? ვინ დამიფასებს,
რასაც სათუთად ვინახავდი მთელი ცხოვრება?!
ახალგაზრდული ჩემი გრძნობის უჭკნობ სინაზეს
საქართველოში დღეს გამგები ხომ ვყოლება!

აფხიარცა — აფხაზური ხალხური მუსიკა-
ლური საყრავი.



გადამიქროლეს წლებმა თავზე! ერთი გაფრენით
ამიქარბუქეს სიჭაბუკე და დაიმდორეს
და მშობლიური ენის გარდა, სხვა არაფერი,
ო, არაფერი, არაფერი არ დამიტოვეს!

აღარ არსებობს ის წალკოტი, ის ხეივანი,
სადაც ყმაწვილურ შთაგონებას უნდა ეხარა.
დაბერებულა ის გოგონაც ქერთმიანი,
სოფლის წყაროსთან ოდესღაც რომ შემომეყარა.

აღარ არიან მეგობრებიც, ვისი მერმისი
უნდა მეგზურად გამყოლოდა კუბოს კარამდე:
ჩემი ფარნავაზ, ჩემი შამში, ჩემი თენგიზი
ვეღარ გადმოვლენ ვერასოდეს ჩემთან ალავერდს!

დაწყვეტილია ჩემი დიდი ფიქრის სათავე,
ახალ სიმართლეს ქადაგებენ ქვეყნად მოგვები.
სხვებმა ითავეს ჩემი საქმე და მოათავეს,
და ვერც ოსტატად, ვერც შეგირდად ვერ გამოვდგები!..

დრო კი იჩქარის... და მე განვლილ დღეებს ვაჯამებ,
ბევრი დავთვალე, კიდევ ბევრი მაქვს დასათვლელი.
და სიყვარული, სამშობლოში რომ ვერ დაეხარჯე,
ჩემს გულში ნელა იღვენთება, როგორც სანთელი.

* * *

სანამ შეგვხვდები, სანამ გაგიცნობ,
გაუბედნავი რომ ხარ კვიცივით, —
მე შეშინია, არ დაგავიწყონ
თავისუფლების ლაღი სიცილი!

არ გაიძულონ მისი ვერ ცნობა,
არ აგვიკძალონ მისი ტრფიალი,
არ გათქმევიონ: „რა გაეწყობა?!“
და „ჩემთვის ახლა სულერთი არი!...“

„რა გაეწყობა“ — ეს სიგიჟა!
და არ დაყარო, კარგო, ფარხმალი.
არ დაივიწყო ბრძოლის ყიჟინა
და გამარჯვების გიჟი ხარხარი.

იყავ ხმალივით პირგაბასრული,
შეინარჩუნე ძველი ანცობა, —
გახულგმულვებდეს შენი წარსული
და მომავალში — ჩემი გაცნობა!

ბახათაშვილის პერიბა

გამაცოცხლე
და სიცოცხლით
ხელმეორედ
გამაოცე!

გამაოცე,
გამაკვირვე,
განმაცვიფრე,
გამახარე,



გამამრავლე,
გამავრცელე
და ამქვეყნად
დამამყარე!...

სანამ პირში სული შედგა
და მწყალობდა მალლით ღმერთი,
სულ რაღაცას მოველოდი,
სულ რაღაცას ვარირებდი!
სულ იმედის გუთანს ვები,
რომ დამეხნა ჩემი მხარე, —
მაგრამ ჩემი ჭირნახულით
ვერ იქნა და ვერ ვიხარე!

და ამიტომ გვედრები:
გამაცოცხლე,
გამაცოცხლე,
გამაცოცხლე
და სიცოცხლით
კიდევ ერთხელ
გამაოცე!
გამაოცე,
გამამრავლე,
გამაასე —
დაათასე...
ცოცხალს თუ ვერ მომიარე,
მკვდარი მაინც დამაფასე!

შთაბეჭდილება

ა. მარკეს სურათთან

ამ სურათს შუქით ხატავდა მარკე.
ზღვა ელავს, როგორც ვეება სარკე.
ორი ფერია — თეთრი და შავი,

შთაგონებაა მთლად დაწრტილი...
და ბოლო წვეთი — მეთევზის ნავი —
სივრცეში მოჩანს, როგორც წერტილი.

პასტანგ ძნელად

...

ვინც არ ეძებს ახალ ფერებს,
ვინც არ ეძებს ახალ ბგერებს,
ვინც არ ეძებს ახალ სივრცეს,
მას ერთი დღეც დააბერებს.

გზა გაბედულ ახალგაზრდებს!
ახალ განძებს! ახალ განცდებს!
რომ ქვეყანა მშვენიერი
კიდევ უფრო გალამაზდეს.

...

სხვისიც და საკუთარიც
ლექნი ჩემს თავს ვუთხარი,
ვით სიმღერა, რომელმაც
დასცა ბედი მუხთალი.

ყვაილნარის შრიალი,
ან ბინულის წკრიალი,
თუ სიტყვებად ავანთე,
ქრება გზა ეკლიანი.

ჩემში მწუხრის გამათა
შხამს რომ შეგვამათა,
პოეზიის მადლია,
გარდაქმნილი შარბათად.

ბწყარი ბწყარს გადაება
აღმაფრენის ტაეპად.

ლექსი ჩემი სულია,
ფარ-ხმალი და ღვთაება
ბერძენული
ნიკაიონისა

და მე ვკოცნი წვის წუთებს,
ვით „კოპუნა“ მკათათვეს;
ლექსი თუ გამითავდა,
სჯობს სიცოცხლევ გათავდეს.

ნაზი ველია

ს ა რ ლ ე ბ რ ძ ე ლ

ეს გაუმარჯოს ქართული მიწის,
მშობელი მიწის ეშხსა და ჯავარს,
ვინც ამ მიწაზე უცეცხლოდ იწვის
და მაინც არ ჰგავს ეულად შავალს.
ეს გაგიმარჯოს შენ, საქართველოვ,
დედავ, მშობელო უთვალავ გმირთა,

მტერთაგან ბევრჯერ ნამუსრ-ნათელო,
ბევრჯერ მისულო სიკვდილის პირთან,
მაგრამ ყოველთვის მსნედ, ვაჟკაცურად,
მაინც აღმდგარო ისევ და ისევ,
დღეს შენმა გემმა ზღვები გასცურა
და ირმის ნახტომს მზისაკენ მისდევ!!..

მთებს და ქიუხებს

მთებს და ქიუხებს,
ეს შემოდგომის ფერთა სიუხვე,
ჭლარაპავით შექარავით
აქა-იქ თმაში,
თეთრჩქერა ხორგაც,
დღეს უფრო ძლიერ ღელავს და ბორგავს
და უფრო ფართოს, ახალ გზა-კვალს

დაეძებს მთაში...
...ყური მიუგდევ,
იგრძნობ ბუნების ამ ციურ ხმაში,
როგორ გუგუნებს,
როგორ გაუსწრო წარსულს, უკუნეთს,
კოსმოსის ხანამ, სხივმოსილმა
ამ საუკუნეში!!..

ბეჟან ბარდაველიძე

• • •

რაც უნდა იყოს წვიმა, ელჭექი,
აუცილებლად მეორე დილით
გამოგაღვიძებს მამლის ყივილი.
მზე ჯერ არა ჩანს. არ შემომხდარა
ჯერ ჩვენს ზეგანზე.

როგორც ირაო.¹
პაერში კი ისმის თივთივი

¹ ირაოს გადამფრენ ფრინველს ეძახიან გუ-
რიაში, ქორს ჰგავს, ოღონდ აღისფერია.

და უთვალავი ჩიტი ირვეა.
 სახლებზე ბოლქვად ამოდის კვამლი.
 ხოლო ცა არის ისეთი სუფთა,
 სურნელოვანი ისე საოცრად,
 რომ მოგინდება ჰაერის კოცნა.
 ქართაში ძროხას წველის მარია.
 და რძე ქილაში ისე იღვრება,
 როგორც გრძელი და ტკბილი სიმღერა.
 გამოიღვიძეს უკვე ბავშვებმა.
 ჩვენი მამალი ფრთების ტკაცუნით

ნაცარა დედალს უვლის გარშემო.
 აგერ ღიმილით მოდის მარია!
 ქილით რძე მოაქვს. მარცხენა ხელით
 ისწორებს შუბლზე ჩამოცვენილ თმას,
 და ნეკა თითზე რძე ჩამოწვეთავს.
 მე გავიშაადე სასხლავი, ცელი,
 ხემსიც გაეტეხე საამდილაო.
 საცაა აგერ, გაღმა ზეგანზე
 მზე შემოჯდება,
 როგორც ირაო.

• • •

წავიდა მარტი ათვალწუნებული,
 აპრილი უკვე ძალღონეს იკრფეს.
 დგანან ხეები ქალწულებრივნი
 და მზეს უშვერენ გათქვირულ კვირტებს.
 ამ კვირტებისა და მზის კავშირით
 უნდა სიცოცხლის იშვას ნაყოფი.
 მე უკვე წყალი მივუგდე ბაღში,
 ეზო-გარემოს შუა გამყოფი.

გადიქროლა დაბალზე ქორმა,
 სადღაც იხვების ყაპყაპი ისმის.
 მაინცდამაინც არ მომეწონა
 მდინარის მხრიდან ამღვარი ნისლიც.
 გაფაციცებით ვაკვირდები ცას,
 სხვა არაფერი მაფიქრებს ახლა, —
 ხვალ ბარი უნდა დავარტყა მიწას
 და მალე უნდა ვენახიც გავსხლა.

ქქქქი ძინძიბაქქი

სიგღეია გესხუი სოფლებზე

დამალა და იდუმალა, აწყვიტა და ნაოხრები...
 გულო, თავს ვერ შეიკავებ — ბოლმას ზემოთ ამოაქყები.

ჭირის კვერი გადაევლო ახდილსა და ნაქალაქებს...
 ჰე სოფლებო, მძიმე წლებმა ცრემლის კვალზე ჩაგალაგეს.

რა აკლებს განიცადეთ, რა დღეები საოცარი,
 ჩაიწვა და ჩაიფურფლა ცეცხლში „ვეფხისტყაოსანი“.

ამის შემდეგ მხარეს ვინდა რას ეტყოდა გასახარებს,
 თაობები მესხურ სოფლებს გეძახოდნენ ნასახლარებს,

დღეს, სახელი მოგდევთ ძველი — მზეს უმღერით ახლებურად,
 მოყვრისათვის სამცხის ცხრავე კარი ერთად გაღებულა.

ჩემს სუსტ კალამს თქვენი ქება რანაირად შეუძლია,
ამ ცხოვრებას მესხთა ყოფაც ნახე როგორ შეუცვლია.



ვიმღერით და ჩანგზე ხელი აბა როგორ ამიცდება,
სამტროდ ვინმემ თუ მოგხვდათ, თქმა არ უნდა, დამიწდება.

* * *

გიორგი შატბერაშვილის მოსაგონარი

კავთისხევამდე?

რა სათქმელია

სიმღერით ჩავალ, განა მოწყენით,
კვლავ შშობლიური გზები გელიან
ამ ტკბილ ირგვლივეთს რად შემოსწყერი?

მომენატრება ისევ შენი ხმა
შენი ქართული სიღარბაისლე,
მხრებზე ბულბულებს ველარ შეისხამ
ვერ ნახავ ქართლის მდიდარ მაისებს.

მკვდრის მზე სახეზე გადაგწურვია
რა ნაადრევი სიკვდილი გერგო,
ვიცი, შეხვედრა შენთან წყურია
თვალადის სერზე მოგელის თენგო.

მთვარისა კარახელიძე

როგორც ქამთასელის მემატინანემ

სიტყვა მჭირდება,
რითმა მჭირდება,
როგორც ქამთასელის მემატინანემ,
ალეწურო ჩემი დროის დიდება.

ცხოვრების კიბეს მიეყვები მაღლა,
მიხმობს ენგურის მშფოთვარე ტალღა.

შეფოთლილია ჩემი ვენახი,
მე დღევანდელი მიყვარს სიცოცხლე
და სადღეისო ლექსი მეძახის.


მიხმობს რუსთავი — დიდი მარტენი,
მიხმობს გლდანი და მიხმობს ატენი.
ბრწყინავს პლანეტა,



შიწის გუგუნს, საამოს, უისშენ
და უხილავი რალაც ძალა მეწევა მზისკენ.

და შენ მოგმართავ,
შენ გუძახი,
შენ, — შემოქმედო,
რომ შენი ნიჭი უქმად არ ენთოს
გადი ზვრებში და გადი მინდვრებში,
გაავლე ხნული,
გასჭერი არხი
და უახლესი წერე ლექსები, —
გულისთქმა მეხრის და შევენახის.

რომ შენი სიტყვა მთა-ბარს მოედოს,
ცხოვრების ცეცხლში ჩადექ, პოეტო.
რომ კვლავ ამაღლდეს ეს ჩვენი ზეცა,
რომ შრომის ჰიმნი ეახლოს მშესაც,
რომ არ გაგასწროს ჟამთასვლის სრბოლამ,
ყური მიუგდე ახალ შიწისძვრებს
და გაპყვე ახალ ქარების ქროლას.



ალექსანდრა კუშკინი

პიკნიკი ონეჰინი

თავი მეხუთედი

მოსკოვს, რუსეთის საუფარველ ასულს,
დედაშიწაზე ვინ გაგიტოლდეს?

დ მ ი ტ რ ი ე ვ ი

მომოხილურ მოსკოვს რად არ ვეტრფოდე?

ბ ა რ ი ა ტ ი ნ ს კ ი

მოსკოვს კიცხავენ ეს ნიშნავს, ალბათ,
მოუთვლიათ ხმელეთი ნაბდათ!
სადა სჯობს ყოფნა? სადაც ჩვენ არ ვართ.

გ რ ი ბ ო ე ლ ო ვ ი

I

დევნილი შუქმფენ გაზაფხულისგან
თოვლი გარშემო მთებს რომ დატოვებს,
გადმოჩქეფს მღვრიე ნაკადულებად
და უერთდება ველებს ნატბორევეს.
წლის დილას ხედება ჯერაც მძინარე
ბუნება — ნათელ პირმოციინარე,
ლურჯად კამკამებს ზეცა. ტყეები,
ჯერ გამჭვირვალე ვრცელი ტყეებში
მწვანით ირთვება და იბუმბლეება.
ცვილის სენაკს თმობს, გაემართება
ფუტკარი ველთა ხარკის ამკრეფად,
აჭრელებს შემშრალ მინდვრებს ბუნება;
ხმაურობს ჯოგი და ხმა ბულბულის
უკვე დაარღვევს ღამის ყრუ დუმილს.

გატრელება. იხ. „მნათობი“ № 6.

II

რარიგ ვღონდები, ოდეს მოდგები,
შენ გაზაფხულო! დროე სიყვარულის!
ოდეს მთენთავი თრთოლვის მომდები
დელვა ჩემს სულსა და სისხლს დაუელის!
რა უმძიმესი გრძნობისმორევეთ
ვნეტარებ სახენაამბორევი
გამოზაფხულზე სიოს მობერევით,
სოფლის წიაღით და მყუდროებით!
ეგებ ვუცხოობ სიამოვნებას,
და რაც გვაცოცხლებს, შევებას. იმეტებს,
რაც ბრწყინავს და რაც ზეიმს გვიბედებს,
ჩემს მკვდარ სულს მხოლოდ დაღლას,
მოწყენას

ჭკვრის უსიამოდ დიდისანია
და ყველაფერი მისთვის ღამეა?

III

ვეგბ, არ გვალბენს ჩვენ შემოდგომის
მკვდარი ფოთლების კვლავ დაბრუნება,
მწარე დანაკლისის სსოენად მოდენის
ტყეების ახლად აგუგუნება;
ვეგბ შემკრთალი ლამობს ოცნება —
დედამბუნების გამოცოცხლება
ჩვენსავე მინავლულ წლებს შეადაროს,
რაც არ აღსდგება მკვდრეთით არასდროს?
იქნება ზოგჯერ ფიქრად გვიელვებს
პოეტურ სიზმრის მსგავსად ნახული
აწგარდასული სხვა გაზაფხული
და გულს ცახცახით გვიძრავს, გვიღვლებს
ოცნება უცხო და შორ მხარეზე,
უმშვენიერეს ღამის მთვარეზე...

IV

დრო დაგდგომიათ კეთილ ნებივრებს,
ეპიკურელებს — დაბრძენებულებს,
თქვენ, გულარხინ სევებენიერებს,
ლევმინის სკოლის ბარტყებს ერთგულებს.
გისმობთ პრიამნო სოფლის გარემო,
თქვენც, ბანოვანნო მგრძნობიარნო,
გიწვევთ სოფლისკენ, ვით ბავშვობისას,
დრო ყვაეილობის, მზის და შრომისა.
დრო შთაგონებულ სეირნობების
და მაცთუნებულ ღამეთ მონუსხვის.
ძმანო, ველთაკენ! მალე მოუსვით,
ტვირთით პირთამდე სავეს ფორნებით,
ნელა მარებით ან საფოსტოთი,
დასთმეთ ქალაქის ბჭე და ქოთქოთი.

V

და თქვენც, მკითხველო კეთილმოსურნეც,
გამოძახებულ თქვენსავე კარეტით
დასთმეთ ქალაქი შფოთით მოცული,
სადაც სამთარში დროს ატარებდით.
ჩემს თავქეიფა მუშას უსიტყვოდ
გავყვით, ბუბუნა მუნხარს ვუსმინოთ
იმ უსახელო დელის მახლობლად,
სოფლად მოცლილი სადაც ნაღვლობდა
ვეგენი მწირი, მიუსაფარი,
სადაც ახლახან სათნო ღამაზთან,
ჩემს მეოცნებე ტატანასთან
მეზობლად დაჰყო მთელი სამთარი,

სადაც აღარ ჩანს, დასთმო ყრუ მხარე...
სადაც დასტოვა კვალი მწუხარე...

გენაღმირთქვა

VI

მთების ნახევარკალშემოვლებულ
მხარეს ვეწვიოთ, სად ნაკადული
კლაკენით ჩაურბენს კორდს ამწვანებულს,
და მდინარისკენ ცაცხვნარს გაუვლის .
სად გაზაფხულის ტრფობით აესილი
მღერის ბულბული, ჰყვავის ასკილი,
სადაც გაისმის წყაროს გალობა,
სად საფლავის ქვის გარდუვალობა,
მოჩანს ორ ბებრ ფიჭვთან ჩრდილივით,
გზად გამეღვლთათვის სადაც სწერია:
„ვლადიმირ ლენსკი აქ ასვენია,
უდროოდ მკვდარი გულადთ სიკვდილით,
ამა და ამ წელს, ამ და ამა წლის.
შენდობა პოეტს, ადრე გარდაცვლილს!“

VII

ფიჭვის ჩამოხრილ ტოტებს ადრიან
ნიავი როცა ნაზად არხვედა,
სიმშვიდით მოსილ ლოდზე დარდიან
იდუმალ გვირგვინს აცახცახებდა.
ხან გვიან, საქმეს როცა რჩებოდა,
ორი ასული გამოჩნდებოდა
და მთვარიანში ორი დობილი
ტიროდა ერთურთს გადაჭდობილი.
ახლა კი... ძველი მივიწყებული
ობლად ჩანს, მასთან აღარ მიდიან,
ტოტზე გვირგვინი აღარ ჰკიდიან,
მხოლოდ ჭალარა, მჭლე და სნეული
მწყემსი აკითხავს საფლავს გარიყულს,
მღერის და წაღებს ბლანდავს ღარიბულს.

VIII.IX.X

ჩემი საწყალი ლენსკი! ვარამით
მის სატრფოს დიდხანს არ უტრემლია.
ვაგლახ! საცოლის კენესა ვალალი
განა სანდოა და გულწრფელია?
სხვა წარიტაცებს მის ყურადღებას,
სხვა მიუძინებს ტანჯვა-ვაებას
ტკილ, სატრფილო ქათინაურით.
ულანს მიანდობს თავს სიყვარულით.
მას უხმობს გულის მთელი ძახილით...

აი, საყდარში მასთან დადგება,
გვირგვინქვეშ მორცხვად გაინაბება
საკურთხეველის წინ თავდახრილი,
ცეცხლოვან თვალთა ამო მიბნეულით,
ბაგეთა ლალი გამოღიმებით.

XI

საბრალო ლენსკი! მიღმა საფლავის
მარადისობის ყრუ ზღვართ მოსაყი,
საბედისწერო გაცლის ამბავით
ეგებ შემოთოდა ურყავთ მგოსანი,
თუ მიეძინა მთვლემარ ლეტაში
პოეტს — უგრძობელს ნეტარებაში
და შემოთება აქვს ალკვეთილი,
მუნჯ ქვეყნადაა კარჩაკეტილი?
აგრე! გულგრილი გადავიწყება
მიგველის ყველას მიღმა საფლავის.
ხმა მტერმოყვრისა, ძვირფას საყვარლის
უცებ ჩაქრება და დაიწყება
მამულზე დავა, ურცხვად ხორხოცი
მემკვიდრეების გულმწყურალ ქოროსი.

XII

სულ მალე ოჯახს ლარინებისას
ოღვას წკრიალა ხმა ჩაუწყდება.
ულანს, მონა-ტყვეს თავის ბედისას
მეუღლით პოლკში წასვლა უწყება.
მთხუც ქალს ცრემლი წასკდა ღვარებად,
ვიდრე ქალიშვილს გაამგზავრება
გვეგონებოდათ ცოცხალმკვდარია.
არა ტიროდა მხოლოდ ტანია,
მაგრამ იმ ქვეყნის ფერი დაედო
მის მწუხარ სახეს, მაშინ როდესაც
წინკართან იწყო დამშვიდობება,
როცა ფუსფუსი შექმნა საერთო
კარტის ირგვლივ ხალხმა მტირალმა,
და გააცილებს მათ ტატიანა.

XIII

და დიდხანს, თითქოს ნისლში მიმავალს
გასცქერის იგი ახალ ნაკვალევს...
ჰა, მარტოდმარტო დგას ტატიანა
ვაი! გასცლია დას უსაყვარლესს,
მის მტრედს, მეგობარს, მესაიდუმლეს,
შორს წასულს გვერდით ვერ დაიგულებს
და დიდხანს, დიდხანს დას ვერ შეხვდება.

უმიზნო ლანდად დაეხეტება,
ხან გადახედავს ბაღს იავარქმნილს.
არსაით იგი შვებას არ ელის,
თან დასდევს დარდი განუქარველი,
საშველს ვერ აძლევს ცრემლებს
არდაღვრილს,
ცრემლებს დაძლეულს, სულში ნაბუდევს,
და ლამისაა გული გაუსკდეს.

XIV

და სიმარტვილით განაოგნები
ვნებათა გზნებამ უღვთოდ დადალა,
მისი მკვნესარე გული ონგენის
შორით უხმოზდა უფრო ხმამაღლა.
ალარ იქნება მისი მხილველი;
მას უნდა სძულდეს თვისი ძმისმკვლელი.
დალუპულ მგოსანს დარდით, ვარამით
ალარ იხსენებს აწი არავინ;
მისი საცოლე სულ სხვას ჩაბარდა.
პოეტის ხსონა ასე გავლილი
წამით გაველო ცაზე კვამლივით
და შეიერთა ლურჯმა ლაქვარდმა.
მას ორი გული იქნებ ბოლომდე
გლოვობდეს... მაგრამ რაღდა გლოვობდეს?..

XV

სალამო იდგა. ცა მქრქალდებოდა,
მდინარე მშვიდად მოშრიალბდა,
ხოჭო ბზუოდა და მთავრდებოდა
ფერხულთა წყება. შორს ბრიალებდა
ცეცხლი წყალგაღმელ მებადურების.
ვერცხლოვან მთვარის ფერნაპკურები
ველი გაშლოდა გზად ტატიანას,
ფიქრში ჩაძირულს, მარტოდ მიმავალს...
დიდხანს იარა. უცებ მალლიდან
დახედავს იგი სახლს ბატონისას.
მთის ძირას გაშლილ ქალას სოფლისას
და ბაღს, ანკარა წყალის ნაპირთან
ბორცვიდან იგი დიდხანს უცქერდა,
გული ძალუმ და ხშირად უცემდა.

XVI

ჭოჭმანობს ეჭვით შენაცბუნები:
„არავინ მიცნობს. არც ის დამხედება...
შვეალ, თუ ახლავ შინ დავბრუნდები“
სახლს ვნახავ, ამ ბაღს მაინც დაეხედავ.
აი, ეშვება იგი ბორცვიდან,
ძლივს სუნთქავს, ადგილს ვეღარ მოსწყვიტა

გაოცებული მზერა წამიერ...
 გაუყვა ეზოს ვერან-ცარიელს.
 უცებ მისცვიდნენ ყვფით ძაღლები
 და მისი შიშით შეკვივლებისას
 შვილები ეზოს ერთი კერისა
 ზრინვით მოვარდნენ გლენის ბაღლები,
 მათ მიმოფანტეს ცემით მწვერები,
 ქალიშვილს გააყვნენ, როგორც მცველები.

XVII

„ბატონის სახლში არ შემიშვებენ?“ —
 კითხა ტანია მათ და ბაღლებმა
 ანისიასკენ მსწრაფლ გაიჭენეს
 გასაღებების წამოსაღებად.
 და ანისიაც მოდის იმწამში,
 კარი გაიღო ორის წინაშე.
 ცარიელ სახლში შედის ტანია,
 სადაც არც ისე დიდხანია
 ცხოვრობდა ჩვენი გმირი კაეშნით.
 დარბაზში — თითქოს ვისმეს ელოდა —
 კი ბილიარდს მისვენებოდა.
 ძველ ტახტზე შოლტი ვეღო მანეისი.
 მოხუცებულმა თქვა: „ამ ბუხართან
 ბატონს მარტოკა ჯდომა უყვარდა“.

XVIII

მასთან აქ იჯდა, აქ ტრაპეზობდა
 სამთარში ლენსკი, აწგარდაცვლილი,
 ცხოვრობდა იგი აქვე, მეზობლად,
 ეს კაბინეტი სახლკარს გაკლილი
 ბატონის გახლავთ, სადაც ყავის სმა,
 ძილი, მოსმენა მოურავისა
 და დილით წიგნის კითხვა სჩვეოდა.
 ძველი ბატონიც იქ ირჯებოდა,
 ზოგჯერ კვირამალს სათვალეებით
 უყვარდა მოხუცს აქ, ამ ფანჯრებთან
 ჩემთან „დურაჩკას“ წათამაშება.
 უფალმა მის სულს სასუფეველი,
 მის ძვლებს სიმშვიდე მადლად აღირსოს
 მშობელ მიწაში სამარადისოდ.

XIX

გრძნობით მოავლებს თვალს ტატიანა
 და გარეშემო რასაც შეხედება.
 ვეძიერფასება მას ერთიანად,

სულს ცხოველმყოფელ ძალად ვხედა
 წუხილნარევი შეგებისმაგვარად
 დგამზე ჩამქრალი ჩანდა
 წიგნთა გროვასთან და ძირს, სარკმელთან,
 ნოზიან საწოლს ნათელს აკმევედა
 მიმწუხრის მთვარე მკრთალი, მორჩილი.
 იღვროდა მუქი მსგავსად მირონის,
 ჩანდა პორტრეტი ლორდ ბაირონის
 და იდგა სვეტი თუჯის თოჯინით,
 ქუდქვეშ პირქუში სახე უჩანდა
 და ჯვარედინად მკლავებს ბლუჯავდა.

XX

მოდურ სენაკში დგას ტატიანა.
 მონუხულივით ვეღარ გასცლია.
 ცივად დაქპროლა ქარმა გვიანმა,
 ველზე დაბნელდა. თვლემამ დასძლია,
 ქალა, ნისლიან ლურჯ მდინარესთან.
 მთვარე სერს მიღმა უჩინარდება
 და ახალგაზრდა პილიგრიმისთვის
 დროა გზას გააყვეს იქით, პირიქით.
 ტანიას ღელვის მალვა ემართა,
 მაინც დასცდება ოხვრა ანაზად.
 ვიდრე შინისკენ გააყვა შარაგზას
 გამოითხოვა მხოლოდ ნებართვა,
 ვერან სასახლეს რომ სტუმრებოდა,
 როდესაც კითხვა მოსწყურდებოდა.

XXI

ჭიშკარის მიღმა მოსამსახურეს
 დაემშვიდობა და აღრიანა,
 მეორე დღესვე მოინახულებს
 თავმინებებულ სახლს ტატიანა.
 ყურ კაბინეტში განმარტოებით
 ქვეყნად ყოველი დასთმო დროებით,
 მარტოდმთენილი, ფიქრთა მოჯარვით
 დიდხანს ტიროდა გულამომჯდარი.
 და შემდეგ იგი მივა წიგნებთან,
 ჯერ საკითხავად არა სცალოდა,
 მაგრამ ეჩვენა მას უცნაურად
 მათი შერჩევა, წიგნებს მიხებდა;
 კითხვა დაიწყო ხარბად ბედშავმა
 და სხვა სამყარო გადაეშალა.

XXII

თუმცაღა ყველამ ვიცით, ონეგინს
 გადაუყვარდა კითხვა თავიდან,

მაგრამ მან ზოგი ნაწარმოები ამოსარიცხავ რისხვას არიდა. გიუურსა და ეუანს იწყალებს და კიდევ ორ-სამ რომანს იწამებს, რომელიც ახალ ხანას მოიცავს, კაცს წარმოაჩენს ჩვენი დროისას, დანამდვილებით ხატავს საკმაოდ სულით უზნეოს, სულით პატარას სულგამოცარულს და ამპარტავანს, ოცნებით მქროლავს დაუსაბამოდ, უმოქმედობის ბორგვანსმიცემულს და ბოროტებით გონგანრისხებულს.

XXIII

ზედ აჩნდა მრავალ ფურცელს ნაჭდევად, ნიშნად გასმული კვალი ფრჩხილისა, ყველას მათ თვალი უცებ ამჩნევდა დაკვირვებული ქალიშვილისა. უმზერდა იგი თრთოლვამორყევით, როგორი ფიქრი ფლობდა ონვეგინს ან რა შენიშვნა ეოცებოდა ან უხმოდ რა აზრს ემოწმებოდა. ყოველ ფურცელზე იგი ზედიზედ მიჯნურის ფანქრის ნიშანს ხედებოდა და უნებლიეთ ისახებოდა გვეგნის სული წიგნის გვერდებზე, ხან მოკლე სიტყვით, ხან ჯერის სიწავით და ხან კაუჭა კითხვის ნიშანით.

XXIV

და ტატიანამ უკვე თანდათან შესძლო გაგება, კვალის მიგნება, მადლობა უფალს — იცნობს თვალნათლად იგი ვისთვისაც ბედმა იწება. რომ ქვეულიყო კვენსა-წუხილად. ცნობს დაღვრემილ და ვერავ უზიაკს, ჯოჯოხეთის თუ ზეცის ნაშიერს, ანგელოზს თუ ავ ეშმას საშინელს. ვინ არის იგი? ნუთუ აჩრდილი ან წამბაძველი ან მოსკოველი ტანზე პაროლდის ლაბადმოსხმული, სხვათა ჩვევათა თარგზე აჭრილი, მოდურ ფრაზებით სავსე სიტყვარი, თუ პაროდია დასაეიწყარი.

XXV

ნუთუ გადასჭრა და გადასწყვიტა? ნუთუ ქარაგმა ახსნა ტანიამ? დრო მიჰქრის, ასულს გადაავიწყდა, შინ რომ ელიან კარგანანია, სად ორ მესობელს ბჭობა გაუბამს და განაგრძობენ მასზე საუბარს. „რა ვქნა? რა ვუყო? განა ბაღლია, — დედაბერს ოხვრა დასცდა ნაღვლიანს. — ხომ უმცროსია მასზე ოღენკა დროა, ტანიაც დავაბინავო. რა ვქნა? რა ვუყო? არვინ მინდაო... ყველა უარით მირეკ-მორეკა, გულზე ნაღველი მწარედ ედება და ტყე-ტყე მართო დაუხებტება“.

XXVI

„შეყვარებული თუა?“ — „ვიღასზე? მან ბუიანოვს უთხრა უარი, ივან პეტროვიჩს ეტყვის იმასვე. პიტჩინი გვყავდა სტუმრად — გუსარი. პო, ის ტანიას ეშმამ მოხიბლა, რა არ იღონა ეშმამ მოქნილმა! მეგონა: საქმე ჩანს უტყუარი. მაგრამ რა? მასაც სტკიცა უარი. რა მოხდა, დაო? შენ და ვალალი? მოსკოვს არისო სარძლოთ ბაზრობა წადით, არ ჭირსო საქმროს გაცნობა“.

„ძმაო! მცირე მაქვს შემოსავალი“ — „ერთი ზამთრისთვის თუ არ გეყოფა, ჩემგან ისესხე, რა გაეწყობა“.

XXVII

დედაბერს რჩევა დიდად გაუტკება, სიბრძნე შეიძნო მართალ ნათქვამში. მყისვე ირჩია, ივარაუდა მოსკოვისაკენ დაძვრა ზამთარში. და ისმენს ახალ ამბავს ტანია: მკაცრ სამსჯავროში გასატანია მისი ნაკეთები, ჭკუა-გონება, პროვინციული უბრალოება, მის ტანსაცმელსაც ყავლი გასცლია; ძველმოდური აქვს წყობა სიტყვათა. მოსკოველ ფრანტთა და ცირცვათა მიიპყრობს იგი მზერას დამცინავს

ო, შიში! არა ამას არჩევდა
ისევ უსიერ ტყეში დარჩენას.

XXVIII

შის პირველ შუქთან ზეზე ამდგარი
ველთაკენ წასვლას არ ახანებდა,
ის ახლაც თვალში ცრემლებჩამდგარი
მათ განცქეროდა და ღალადებდა:
„შვიდობით, ველნო ნისლში ნავლებო,
და თქვენც ნაცნობო მთის მწვერვალებო,
და თქვენც ტყეებო, ტკბილშობილიურო,
და შენც სიტურფევე, სითხოვ ციურო,
მშვიდობით, ღალო დედაბუნებაჲ;
ვთმობ ულამაზეს და წყნარ სამყაროს,
ელვე ქვეყნის გნაასს, ბრწყინვას ამაოს...
მშვიდობით, ჩემო თავისუფლებაჲ?
რისთვის ვისწრაფვი ან რა მიზნამდე?
ტალი ხვედრი ხვალ რას მიშაადებს?“

XXIX

სვირნობანი მისი გრძელდება;
ახლა ხან ბორცვის, ხან ნაკადულის
ხიბლავს, აჩერებს მშვენიერება,
მათ უნებლიეთ გვერდს ვერ აუვლის.
ქალიშვილს, როგორც ძველ მეგობრებთან,
თავის ჭალებთან, მწვანე კორდებთან
კვლავ საუბარი სურდა ფიქრიანს,
მაგრამ ზაფხული უცბად მიფრინავს
და შემოდგომა დგება ოქროსფრად,
მთრთოლვარ ბუნებას ფერი წასვლია
უზვად მორთული მსხვერპლის მსგავსია.
ჰა, ჩრდილოეთის ცაზე მოგროვდა
ქმენით, ღმუილით ღრუბელთ ღამქარი,
და ჯადოქარი მოდგა ზამთარი.

XXX

მოდგა, განიპნა; მუხებს ჯვრებზე
დაეკიდება თოვლი ფთილებად
და ატალღებულ ნოხად ველებზე,
ბორცვთა გარშემო მოფინება;
ორთავ ნაპირს და უძრავ მდინარეს
ფაფუკი საბნით აერთიანებს.
ყინვა, ბრწყინდება და გვიხარია —
გარეთ კვიმატი ზამთრის დარია.
მას არ შეგარის მარტო ტანია,

არ ეგებება ზამთრის შემოსვლას,
არ სურს ამტვერილ სუსხის შეყნოსვა,
არც პირველ თოვლით განუბანია
სახე, გულმკერდი, მხრები ქალიშვილს,
რადგან ზამთრის გზა ელის საშიში.

XXXI

გამგზავრების დღე გადაღებული
გასულა, ბოლო ვადაც მთავრდება,
მივიწყებაში გადაგებული
საზიდრის იწყებს მართვა, მზადება.
სამი კიბიტკა, მათი ალალიც
დაიტენება ბარგი-ბარხანით.
აწყობენ ქვაბებს, სკამებს, ზანდუკებს,
მურაბის ქილებს, მამლებს ნაბულებს
წულ გალიებში, ქოთნებს, ლეიბებს,
ბუმბულებს, ტაშტებს და სხვა ნივთებსაც,
კიდევ მრავალგვარ ავლადიდებას.
და ჰა, მსახურებს შინდარჩენილებს
დამშვიდობების ცრემლი ეღვრებათ,
მოკყავთ თვრამეტი ცხენი ბეზრეკა.

XXXII

მათ საბატონო ეტლში აბამენ,
მოსდით მზარეულთ ნუშლის შეკვეთა,
კიბიტკებს ბარგის გორებს ადგამენ,
ჩხუბია ქალთა და მვეტლეთა.
იცდის ბეზრეკა ცხენზე შემჯდარი
წვერმოშვებული სეფმხედარი.
ხალხი გამორბის, საქმეს, ატოვებს,
ემშვიდობება კართან ბატონებს.
ჩაახდნენ მგზავრები და საპატიო
ეტლი ალაყაფს გასცდა სრიალით.
„მშვიდობით მხარევე, სახვებ სიამით!
საგანვე, მყუდრო და სამარტვილო,
გნახავთ ოდესმე?“... და ტატიანამ
ვერ შეიკავა ცრემლი მტირალმა.

XXXIII

როდესაც კეთილგანმანათლებლურ
საზღვრებს გადაეწვეთ და გადავლახავთ,
თანდათანობით (სწორ და მართებულ
ფილოსოფიურ ცხრილის თანახმად
ხუთას წელს შემდეგ ჩვენ სამუდამოდ
მოგვიგვარდება გზები უდავოდ.

გზატკეცილები რუსეთს ერთიან
გადაკვეთავენ, შეერთდებიან.
თუჯის ხიდები ფართო რკალებად
მდინარეებზე გადაიჭიმება,
არც მთების დაძვრა გაგვიჭირდება,
თაღთა გავლებას წყალქვეშ გავბუდავთ
და ჩვენს ქვეყანას მირონნაპკურებს
ტრაქტირს მივუდგამთ ყოველ სადგურზე.

XXXIV

ახლა კი ჩვენში გზები ცუდია,
და დამპალ ხიდებს თუ გადაურჩი,
ძილს ვერ მოპარავ ერთი წუთითაც
ბაღინჯოებს და რწყილებს სადგურში.
ტრაქტირთა ნაცვლად ცივ ქოხს იხილავ,
სადაც მაღალი სტილის ნიხრია,
მაგრამ მშვიერი, მხოლოდ საცქერლად
კვიდია უქმი შადის აღმძვრელად.
სოფლის ციკლონი ამ დროს ზრუნავენ
ნული ცეცხლისპირ, კერის ნაცართან
ვეროპის სათუთ, მსუბუქ ნაწარმთაც
რუსულ ჩაქურჩის ცემით კურნავენ,
თან აღუვლენენ ლოცვას მხურვალეს
მშობლიურ თხრილებს და ნაურმალებს.

XXXV

სამაგიეროდ ზამთრის ყინვებიც
სამოს ზდიან სავალს მგზავრისას,
უაზრო ლექსი მოდურ სიმღერის
მოპგავს გასარკულ შარას ზამთრისას.
ავტომედონნი ჩვენში მარჯობენ,
ჩვენს მარდ ტროიკებს ვერვინ აჯობებს,
და ვერსის ბობებს ოდეს შესცქერი,
თვალეში თითქოს კროთდეს მესერი.
ლარინის ქერივი გზას, სამწუხაროდ,
ჯახარაკი ეტლით გაჰყვა ნელ-ნელა,
საფოსტოსათვის ხარკი ეწმელა;
ჩვენი ქალწულიც დატკბა უსაზღვროდ
მოწყვნილობით, უმოძრაობით,
შვიდი დღეღამის მძიმე მგზავრობით.

XXXVI

აჰა, გამოჩნდა უკვე... თეთრქვება
ნოსკოვი, მათ წინ მგავსად ხანძრების,
ოქროს ელვარე ჯვრებით ენთება
და გუმბათებით ძველი ტაძრების.

ეჰ, ძმებო, გული რარივ შეთრთოლდა,
მაღალ საყდართა და სამრეკოსთა
ბაღთა და კოშკთა რკალო-საოცრად
ჩემს თვალწინ უცებ როცა გამოჩნდა!
რა ხშირად, მწარე განშორებისას,
ხვედრით დევნილი სადაც მივქროდი,
მოსკოვო, შენზე სად არ ფიქრობდი!
მოსკოვი... რა ბევრ სათქმელს შეიცავს
ეს სიტყვა — რუსის გულში ჩაღვრილი!
რა ბევრ ფიქრს აღძრავს გამოძახილით!

XXXVII

აი, მუხნარით შემოგარსული
ჩანს პეტრეს კოშკი, კუშტად, გულცივად
ამაყობს იგი ახლოწარსულით.
ნაპოლეონი, უქმად უცდიდა,
დამთვრალი ბოლო ბედნიერებით,
მოსკოვს მუხლმოყრილს ხეწვით,
ვედრებით,
გასალებებით ძველი კრემლისა.
ვერა, ვერ ვერგო, ვერ მიეღირსა
მას დაჩოქება ჩემი მოსკოვის!
არა ზეიმს და ხარკის ვალებას,
სულსწრაფ გმირისთვის ხანძრის მზადებას
იწყებდა მისი ძღვევის მომსპობი...
ფიქრში წასულმა სწორედ აქედან
მან უსაშინლეს ალს გადახედა.

XXXVIII

მშვიდობით, მოწმევ ჩამქრალ დიდების,
პეტრეს სასახლევ. აბა! რას დგახარ!
გასწი! კარიბჭე სვეტთა სითურით
უკვე გამოკრთა და არახრახდა
ეტლი დაბორცვილ ტვერის ბულვარზე;
გასცდა ჯიბურებს, ქალებს, ბუხარლებს,
ბიჭბუჭებს, დუქნებს, ბალებს, ფანარებს,
ხეივნებს, გლეხებს, ვაჭრებს, დალალებს,
ქოხმასთა რიგებს, ყათრებს ბოსტინისას,
კოშკებს, კაზაკებს, სრასასახლებს,
აფთიაქების წყებას, მარხილებს,
ქარვასლებს — მომტანს ახალ მოდისას,
აიენებს, ლომებს — თავზე ტიშკართა
და ჯვრებს — გუნდი რომ აზის ტილყვავთა.

XXXIX.XL

ამ დამქანცველი ყარობობისას
ორი საათი რას იკმარებდა...



და ჰა, შესახვევს ხარიტონისას
 მიადგა ეტლი სახლის კარებთან.
 იქ სადაც ოთხ წელს ჭლექით სნეული
 დეიდა ცხოვრობს მოხუცებული...
 ახლა ესტუმრნენ ჩვენი მგზავრები,
 მათ გამოუღო ფართოდ კარები
 ყალმუხმა ხაფთანმემოფლეთილმა.
 ბერიკაცს ხელში ეპყრა წინდა და
 სათვალეების პეწით ბრწყინავდა.
 თავადის ქალმა ტახტზე შეჰკივლა,
 ერთურთს გადექდნენ და მოხუცები
 სასტუმროს რწყევადნენ ცხარე კურცხლებით.

XLI

„კნიაჟნა, mon ange! «Pachette!» —
 „ალინა“ —

ვინ იფიქრებდა? ჰო, რა ხანია!
 აქ დიდხანს რჩები? ჩემო კუზინა!
 დაჯექ, რომ მოხვევ, რა მიხარია...
 რომანის სცენა არის, ღმერთმანი...“
 „ჩემს ტატიანას თუ სცნობ? ეს არის“...
 „აჰ, ახლოს მოდი ჩემთან, ტანია!..
 სიზმარში ებოდავ, თუ მართალია?
 შენ გრანდისონი დაგამახსოვრდა?“
 „ვინ გრანდისონი? ვიღაც ამგვარი
 ხო მახსოვს, მახსოვს, სად აქვს სახლკარი?“
 აქ სიმეონის ტაძრის მახლობლად.
 შობის წინ მნახა მადლდალოცვილმა,
 ახლახან ვაჟი დააქორწინა.

XLII

ის კი... თუმც შემდეგ წერილად მოვეყვებით,
 ხომ მართალია? ხვალვე ტანია
 უნდა ვანახოთ, ვინც გვყავს მოყვრები,
 ვვლა, ვინც ჩვენი ნათესავია.
 ვწუხვარ, მგზავრობა, ვავლაც არ ძალმიძს,
 თქვენც გატანჯულნი ჩანხართ, ნამგზავრნი.
 წავიდეთ, თქვენთვის ძილი მადლია.
 ძალა არ შემწვევს, მკერდი დამდლია.
 ახლა სალხენიც არ მიხარია,
 არა თუ სვედა... შენ გენაცვალე,
 არად ვარგივარ და ეს მაწვალეებს,
 სიბერის ჯამი საწიზღარია...“
 და ბოლოს სულმთლად ქანცმიღუელმა
 ხველება იწყო აცრემლებულმა.

XLIII

გრძნობს ტატიანა, როგორ მოალხენს
 არ აკლებს ალერსს, სიბობს სნეული,
 მაინც ღონდება ახალმოსახლე
 თავის ოთახში ყოფნას ჩვეული.
 არ ეძინება მოვის ფარდიან
 ახალ ლოგინში და მას ადრიან
 ადგომას ზართა რეკვა ამცნობდა,
 მორბედად დილის სამუშაოთა.
 ადრე ადგომა ვერ გადასჩემდა,
 მიუჯდებოდა სარკმელს ჩაცმული,
 ბინდი ქრებოდა, მაგრამ ქალწული
 თავის ველ-მინდვრებს ველარ ამჩნევდა.
 ჩანდა უცხო და თვალთ საბეჭრელი
 ეზო, სამზადი, თავლა, მესერი.

XLIV

და ჰა, ყოველდღე ნათესავებთან
 სადილზე სტუმრად მიჰყავთ ასული,
 რომ წარადგინონ მოხუც პაპებთან
 და დიდებებთან ფიქრდაქსაქსული.
 შორით ჩამოსულ თავისიანთან
 ალერსობს ყველა ხალისიანად,
 შეძახილებით და პურმარილით;
 არც დიდი ხანი არის განელილი,
 რაც აგიწიე მე შენ ყურები!
 მე შენ გარწვედი! როგორ გაზრდილხარ!
 მე შენ, მგონია, მომინათვლიხარ!
 მე შენ გაჭამე თაფლის პურები.
 ბოლოს დიდებებს ერთხმად წამოსცდათ:
 „მიპჭირან ჩვენი წლები საოცრად!“

XLV

მაგრამ ცვლილება არცერთს ემჩნევა,
 არცერთს შესცვლია ძველი ყაიდა...
 ლეჩაქ-თავსაბურს ვერ გადქვევა
 თავადის ქალი ელენ მამიდა,
 პუდრს ისევ ისვამს ლუკერაა ლოვონა,
 ისევ ცრუობს ლუბოვ პეტროვნა,
 სიმონ პეტროვიჩს კვლავ სჭირს სიძუნწე,
 ივან პეტროვიჩს — ჭკუის სისუსტე.
 და პელაგია ნიკოლაევნას
 ისევ ის შპიცი, ისევ ის ქმარი,
 ისევ ის ფრანგი ყავს მეგობარი,
 კვლავ ორის სამყოფ ჭამას, დალევას

რომ ასწრებს ყრუ და წყნარი ფინმუში
კლების წვერობის ძველი ნიმუში.

XLVI

ხელს ხვევენ მათი ქალიშვილები...
მოსკოვის ტურფა ახალგაზრდობამ
იგი ჯერ ჩუმად, თვალის შევლებით,
თავით ფეხამდე აწომ დაწომა.
ჯერ ტატიანა მათ მიაჩნათ
ერთობ უცნაურ მასწრელ მანჭიად,
ერთობ გამხდარ და ფერმკრთალ
ქალწულად
ოღონდ ძალიან ძნელდასაწუნად.
შემდეგ ბუნება სჯაბნის გოგონებს,
მას მეგობრობენ, მას შინ ხედებიან,
მას კოცნიან და მას ეხვევიან,
მას დაუხვევენ მოდურ ლოკონებს,
მასვე ანდობენ მათი ქალობის
გულის ხვაშიადს და ფიქრს გალობით.

XLVII

სხვის გამარჯვებებს და მის საკუთარს,
იმედს, ცელქობას, ძვირფას ოცნებებს
ჩაურთავს ყველა გულწრფელ საუბარს,
ფერუმარილად ცილსაც მოსცხებენ.
შემდეგ, ტიტინის ვალმოსახდელად,
სთხოვენ გულწრფელად და გულახდილად
მან ხვაშიადი თქვას მათ წინაშე,
მაგრამ ტანია, როგორც სიზმარში
უთანაგრძნობოდ ისმენს საუბარს,
მათი არ ესმის, კი არ დიდგულობს,
თავის ხვაშიადს, დიდ საიდუმლოს
ცრემლებს და სვებედს და განსს სანუკვარს
ჩუმად ინახავს, უვლის მძინარეც
და სხვას არავის არ უზიარებს.

XLVIII

ყურის დაგდება სურს ტატიანას,
საერთო ბჭობას დრო თუ ეთიობა,
მაგრამ სტუმრობა, სულერთიანად
წილაბოდილას რომეით ერთობა.
მკრთალ, გულგრილ წრეში ყოფნა ძნელია,
მათი ჭორიც კი მოსაწყენია.
მათს უნაყოფო და მშრალ ფრაზებში
გამოკითხვებში, ნათქვამ ამბებში

აზრი მთელი დღე თავს ვერ გამოყოფს,
თუნდ განუსჯელად, თუნდ ანაზღვეულ
ვერ გაალიმებს გონს განაზებულს,
გულს ვერ შეარხვეს, ვერც სალალობოდ.
ვერც სისულელის თქმა სასაცილო
გჩვევია წრეთ სულით დაცლილო!

XLIX

გუნდი არქივის ახალგაზრდობის
ტანიას ცივად, წარბისაწვეით
უშხერს და არაკეთილგანწყობით
ლაპარაკობენ ყმაწვილკაცები.
ვიღაც მასხარამ ის აღიარა
იდეალურად და ნაღვლიანმა
კარსმიყრდნობილმა ხელად იკისრა
მისთვის მზადება ელვეიისა.
მოხუც მამიდიის სახლში შეხედება
და ვიაზემსკი ტატიანასთან
როცა გააბამს ბაასს თანდათან,
ამ დროს მოხუცი კაცი შეხუდავთ,
მასთან მოუბარ ასულს იწონებს
და კითხვაკითხვით პარიკს ისწორებს.

L

მაგრამ იქ, სადაც ყალყზე შემდგარი
ქექს მელპომენე, გაბმით ღრიალებს.
სადაც გულცივ ბრბოს დაუდგარი
ყალბ წამოსასხამს წინ უფრიალებს,
სადაც ტალია თვლებს და არ ესმის
ძილში მგობრულ ტამის ალერსი,
სად ტეფსინხორა ასე იტაცებს
გაუოცებელ ჩვენს ყმაწვილკაცებს
(ასეთი გვახსოვს წლები წასული
თქვენ და მე — მათვე წინამორბედებს),
ეჭვით აღსავსე დიაცთ ლორნეტებს
არ იზიდავდა ჩვენი ასული,
მოდურ მცოდნეთა ჭოგრით არ მზერდა
რიგი ლოეთა და სავარძელთა.

LI

საკრებულოშიც მიჰყავთ ნათესავთ,
სადაც მას ბული, ლელვა, ჯახება,
მუსიკის გრგვინვა, ბრწყინვა სანთელთა,
წყვილთა ქროლებით ცეკვა დახედება.
ლამაზთ სამოსი — ნაზი, ნარნარი,

ხალხის ფესანგი დასი მრავალი,
წყება უამრავ გასათხოვართა
ნახა სტუმარმა და აღფრთოვანდა.

ხახვის ფრანტები აქვე აჩენენ
გულგრილ ლორწებს და ვილეტს ახლებურს
როგორც საქციელს ურცხვს და თავხედურს,
გუარებს უქმე აქ მოაქენებს,
აქ იგრგვინებენ, აქ ბრწყინდებიან,
გულებს იპყრობენ და ფრინდებიან.

LII

ბევრ ლამაზ ეარსკვლავს ხედავ ღამეში,
მოსკოვში ბევრი ტურფა ქალია,
მაგრამ იმ ციურ დებთან ჰაერში
მთვარე ლურჯ სიერცის დედოფალია.
ოღონდ ის, ვისაც მე ვერ შევებდავ
შემაწუებლად ჩანვით შექებას,
ქალთა, ასულთა შორის ეულად,
მთვარედ ეღვარებს, რა დიდებულად,
რა ზეციურად, რა სიზვიადით
ესება მიწას, რა ძვირფასია!
მკურდი სიამით რარეგ ავსია!
რარეგ მათცებს მზერის სინაზით!
მაგრამ, პო, კმარა; დროა შეჩერდე.
ისიც გველფა, რაც იჩერჩეტე.

LIII

უსმენს საღმობას, ხარხარს, ღრიანცელს,
გალოპს, მაზურკას, და ვალსს სტუმარი,
სვეტებთან არვის თვალს არ იტაცებს,
დგას ორ მამიდას შორის მღუმარი.
ხალხის გნიასი სძაგს და აყრუებს,
ვერ ხედავს იგი, რასაც გაპყრებს,
სული ესუთვის... მისი ოცნება
ქრის ველ-მინდერებზე, იქ ეცხოვრება;
ქრის სოფლად მცხოვრებ
მაშვრალ-მწირებთან,
სადაც საჯანე მწვანობს პატარა,
სადაც ამოჩქეფს წყარო ანკარა,
ქრის ყვავილებთან, თავის წიგნებთან,

იქ, სადაც ცაცხვთა ტყერზი ბნელდება
როდესაც იგი ველინებოდნა

LIV

შორს გადაიქროლა მინდორ-ველები,
ბალს, ხალხს ივიწყებს ფიქრში წასული
და ამ დროს ვილაც დიდი გენერლის
მზერას ვერ ასცდა ჩვენი ასული.
და მამიდებმა ერთუროს მაშინვე
თვალი ჩაუკრეს, რალაც ანიშნეს
ქალწულს იდაყვის წაკვრით; უჩუმრად,
შემდეგ ორივემ წაუჩურჩულა:
„მარცხნივ გახედე“. — მარცხნივ? ვინ
არის?“ —
„შეზე, ვინცაა — ნახავ, პა, ჩქარა...
იმ ხალხში ხედავ? წინ რომ ჩამდგარა.
ორი დგას, ორივე მუნდირიანი,
ერთი განს გადგა, ჩაფიქრებული...“ —
„ის გენერალი, ჩათქვირებული?“

LV

მამ მიველოცოთ ჩემს ტატიანას
გამარჯვება და სხვა გზით გაეწიოთ,
რომ არ დავტოვოთ გზაზე ტიალად,
ვისაც ვუმღერი, — არ მიგაიწყოთ.
თან ორი სიტყვის თქმასაც მოვასწრებ:
ეწერ ახალგაზრდა ჩემს მეგობარზე,
მის ბევრ უცნაურ ქცევას გადმოგცემთ.
ო, ეპიურო მუზავ, დალოცე,
აკურთხე ჩემი შრომა ხანგრძლივი
მიბოძე კვერთხი სწორი, მართალი;
წალმა-უკულმა მეყო ტანტალი,
კმარა კირთება, ვარ ტვირთახსნილი.
მივეც კლასიციზმს ხარკი თავისი:
თუმც გვიან, მაგრამ გვაქვს დასაწყისი.

თარგმანი ითარ ვალიძისა

ნუგეზარ წერეთელი

თანამედროვის თვალთ დანახული ისტორია

„აგრე მგონია შურის ციხესთან
მე გამოვედი წინაპრის ცხენით
და გზა განელილი თვალებს მიხვლდა,
უკეთ მენახა ცხოვრება ჩვენი“.

სიმონ ჩიქოვანი — „ქართლის დედა“.

დღეს ბევრი იწერება პროზასა თუ პოეზიაში ისტორიული თემატიკის როლისა და დანიშნულების საკითხებზე. პარტიული კრიტიკის მიერ საკმაოდ ხშირად გაიხსიის სამართლიანი საუბედური, რომ შემოქმედებითი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი, თანამედროვეობასთან თანგანული კავშირის თვალსაზრისით, სათანადო სიღრმით ვერ წვდება ამ რთული საკითხის არსს, ზოგჯერ სიშაათიები წარსულისაკენ იხრება, პრობლემა კი გადაუჭრელად, ან მცდარად გადაწყვეტილად გამოიყურება.

რა თქმა უნდა, არაეინ არ ფიქრობს შემუშავდეს ისეთი დოკუმა, რომ ნაწარმოებში წარსული მკრთალად, სუსტად, დამახინჯებულად იყოს ნაჩვენები. სრულადაც არა! აქ ლაპარაკია ისტორიული წარსულის შეფასებისას: სწორი პარტიული პოზიციისა და სოციალურ-კლასობრივი კრიტერიუმის სათანადო გამოყენებაზე, ლაპარაკია იმაზე, რომ საღად, მიუყვრობლად შეფასდეს განვლილი ეპოქები და კაცობრიობის მიერ დატოვებული მდიდარი მემკვიდრეობა უნარიანად შევხამოს თანამედროვეობის პრობლემებს.

ჩვენი თანამედროვეობის შეცნობის ვასაღებს წარმოადგენს თანმიმდევრული კლასობრივი, პარტიული პოზიცია ძველის, წინა თაობათა გამოცდილების შეფასებისას. პარტია ყოველთვის სეროზულ მნიშვნელობას ანიჭებდა და

დღესაც ანიჭებს ჩვენი სახელმწიფოს ისტორიის სწორ, ობიექტურ გადმოცემას... წარსულისადმი ზომიერადსული სიყვარული ამა თუ იმ ხალხის ისტორიაში გარდევალად აქარწყლებს კლასობრივი წინააღმდეგობების სიმუარეს, ატუნგებს პროგრესული და რეაქციული ტენდენციების წინააღმდეგობრიობას და შეუროველობას, აღუწებს სიფხიზეს თანამედროვე იდეოლოგიურ ბრძოლაში...

...ხოლო რაც შეეხება წარსულს, ჩვენთვის ერის ისტორიაში, უწინარეს ყოვლისა, ავირფასოთ კემპარიტად დემოკრატიული, რევოლუციური ელემენტები და ტრადიციები. ზნეობრივ მაგალითს ჩვენ „წმინდანთა ცხოვრებაში“, შეფეთა და ხანების შეღამაზებულ ბიოგრაფიებში კი არ ვხედავთ, არამედ სახალხო ბედნიერებისათვის მებრძოლთა რევოლუციურ გმირობაში. ჩვენ ვაფასებთ უველაფერს, რაც საუკუნეების მანძილზე შეუქმნია ხალხის ვენიას, გონებასა და შრომის. მაგრამ ჩვენი განსაკუთრებული სიამაყის საგანი ჩვენი დღევანდელი სოციალისტური სინამდვილეა!¹

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველი მწერლები იგივე აზრს ავითარებდნენ და ცდილობ-

¹ ა. იაკოვლევი, „ანტიისტორიზმის წინააღმდეგ“, ჟურ. „მნათობი“, 1973 წ., № 2, გვ. 16-17, 25.

დნენ კიდევ ისტორიისათვის თანამედროვეის ფიზიკური თვალთ გადაეხედოთ. 1947 წელს თავის ღრმამინაარსიან მოხსენებაში — „ახალგაზრდა მწერლების შემოქმედების საკითხები“ — გამოჩენილი ქართული პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის მამინდელი თავმჯდომარე სიმონ ჩიქოვანი ხაზგასმით აღნიშნავდა: „არც შევხება ისტორიულ თემებს — არც მათი განდევნა შეიძლება საბჭოთა მწერლობიდან... არასოდეს არ უნდა მიიჩქმლოს თანამედროვეება ისტორიული თემის ანგარიშზე. ჩვენი ისტორიული წარსული უნდა ახმურებულ იქნას ისე, რომ ის ეხმურებოდეს ჩვენს სინამდვილეს: მწერალი უნდა ელიოდეს საბჭოთა ადამიანის თვალთ დანახარის ისტორიული წარსული...“¹

მწერლობის მიერ ისტორიის სწორი ასახვის პრობლემასთან დაკავშირებით, თავის ამ მართებულ მოსაზრებას სიმონ ჩიქოვანი მანამდეც და შემდეგმაც ყოველთვის აკონკრეტებდა, ავითარებდა, როგორც იტყვიან, დღის წესრიგიდან არ ხსნიდა.

1948 წელს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმზე მოხსენებაში „ქართული საბჭოთა მწერლობის ახლანდელი ვითარება და ჩვენი ამოცანები“ სიმონ ჩიქოვანი მეტად ფართოდ და ამომწურავად შეეხო ამ საკითხს საკითხს. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა: „საბჭოთა მწერალთა მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით უნდა ახსნას ისტორიული წარსული და ამ საფუძველზე უნდა მოახდინოს მისი მხატვრული განსაზღვრება. ყოველ ისტორიული შინაარსის ნაწარმოებში უნდა ეკლავოდეს ხალხის უმრავლესობის დამახასიათებელი პოეტური სახე და ხასიათი. ისტორიულ რომანში ხალხი გაპიროვნებული უნდა იყოს და არ უნდა ემსგავსებოდეს უმძიმარო სტატისტებს. ისტორიულ თემაზე აშენებულ ნაწარმოებში დაუშვებელია წარსულის დამახინჯება, შეღამაზება ან ნაძალადევი გაკეთილშობილება, „ისტორიას, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — არც შეღამაზება სჭირია და არც გაუარესება“. საბჭოთა მწერლობაში დაუშვებელია ამოლიტიკურობა და უიდეობა. ეს ეყება ისტორიულ მასალაზე აშენებულ ყოველ მხატვრულ ნაწარმოებს. ეს ნიშნავს იმას, რომ ყოველ ისტორიული შინაარსის მხატვრულ ნაწარმოებში უნდა ჩანდეს ძალთა ნამდვილი, კლასობრივი განაწილება, არ უნდა იყოს მიჩქმალული შინაგანი კიდელი წოდებათა შორის და შორეულ წარსულში მოღვაწე ისტორიულ პირობა შეზღუდულობა მხატვრულად უნდა იყოს გამორკვეული და დადასტურებული.

...ქართულმა საბჭოთა ისტორიულმა მეცნიერ-

ებმა ისეთ დონეს მიაღწია, რომ ახლა შეიძლება ნათლად წარმოედგინოთ წარსულში არსებული საზოგადოების შინაგანი კონტრადიქციები მოვალდინოთ მისი ნამდვილი, რეალისტური სურათებით აღდგენა. შორეული წარსულის დანახვა საბჭოთა თვალსაზრისით სულიერად გაამდიდრებს მხატვრულ ნაწარმოებს და მეტ ასპარეზს მისცემს ავტორის ფანტაზიას. მამინ მართლა გაცილებდა გმირული წარსული და დაძლიეულ იქნება პოეტური ხატოვნობის ბიზანტიური ფრესკული მანერა.“¹

ზემოაღნიშნულ მოხსენებაში სიმონ ჩიქოვანმა საფუძვლიანად განიხილა გამოჩენილი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიული შინაარსის ნაწარმოებები. თვით კონსტანტინე გამსახურდიამ მრავალჯერ შეხებია ისტორიზმის არსსა და დანიშნულებას. საინტერესოა თუნდაც დიდი მწერლის ამ ცოტა ხნის წინათ გამოთქმული მოსაზრება, როცა, დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით, მას ასეთი შეკითხვითაც მიმართეს:

„— თქვენი ცნობილი ბრძანებით როგორც დიდი ისტორიული რომანების ავტორი. მივახინიათ თუ არა, რომ ამ რომანებით აქტიურად ეხმურებოდით თანამედროვეობის მწვევე მოვლენებს?“

კონსტანტინე გამსახურდიამ უპასუხა: „— ჩემის აზრით, არავითარი „ისტორიული რომანი“ არ არსებობს. ეს ტერმინი უკანასკნელ ხანებში შეიქმნა მხოლოდ. რომანი რომანია, ადრე თუ გვიან ყველა რომანი ისტორიული ვახდება. გუშინდელი დღე დღეს უკვე ისტორიას ეკუთვნის, ასევე შარშანდელი და შარშანწინდელი, პომპროსის პოემებზე ისტორიას ეხებოდნენ, მაგრამ დღეს არაფერ უწოდებენ მათ ისტორიულ პოემებს. ასევეა დღეს ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“. თუ ოდესმე დამიწერია რომანი, იგი მუდამ რეალურიად თანამედროვეობას ეხმარებოდა. ისტორიული მასალის პოეტობისთვის მხოლოდ მაშინ აქვს თანადროული მისათვის რეზონი, როცა თვით ავტორი ემოქს, ან მისინი გმირნი და მათი ხასიათი ეკონკრეტულიდება თანადროულობის იდეებს.“²

ვიმეორებ, მეტად საინტერესოა მოსაზრებები, მაგრამ ამავე დროს სადავოც. ისტორიული თუ თანამედროვე თემატიკა, მართალია, ორგანულ კავშირში, მაგრამ მაინც ყოველთვის ცალკაღვე უზნებებით ჩინან ქართულ მწერლობაში და ის, რომ დღევანდელი დღეც ისტორიის ეუთვინდებად იქცევა, ეს სულ სხვა საკითხია. ამ

¹ ს. ჩიქოვანი „ქართული საბჭოთა მწერლობის ახლანდელი ვითარება და ჩვენი ამოცანები“, ვაზ. „ლიტ. და ხელოვ.“, № 20, 23/IV, 1948 წ.

² „ქართული სიტყვის დიდოსტატი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1972 წ. 12/X.

¹ ს. ჩიქოვანი, „ახალგაზრდა მწერლების შემოქმედების საკითხები“, ვაზ. „ლიტ. და ხელოვება“, № 23, 14/VI. 1947 წ.

გამონათქვამში განსაკუთრებით საყურადღებოა დიდი მწერლის მოსაზრება ისტორიული წარსულისა და თანამედროვეობის ადექვატურობის შესახებ, როცა ვგასწავლებს რომ ისტორიული მასალა მხოლოდ თანამედროვეობის თვალსაზრისით უნდა იქნეს გაშუქებული.

ჩვენი აზრით, მეტად საყურადღებო, სისარგებლო და ნიშანდობლივია ის სალი, მეგობრული ლიტერატურული კამათი, რომელიც დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდგომ პერიოდში, კერძოდ 1947 წელს, წარმოიშვა საქავშირო მწერალთა კავშირის გენერალურ მდივანს, სახელგანთქმულ საბჭოთა მწერალ ალექსანდრე ფადეევსა და საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს სიმონ ჩიქოვანს შორის. ეს კამათი და აზრთა განაჯრება სწორედ ისტორიულ თემატიკასთან დაკავშირებულ აქტუალურ პრობლემებს შეეხო. მას შემდეგ საუკუნის მეოთხედზე მეტი გაიდა, მაგრამ მათ აზრებს დღემდეც არ დაუჯარგავს მნიშვნელობა და ამდენად სურათის უკეთ დახატვის მიზნით მოგვინდება საქავოდ მობრძლილი ციტატების მოტანა.

1947 წლის ივნისში ჩატარდა საქავშირო მწერალთა კავშირის პლენუმი. მოხსენება „საბჭოთა ლიტერატურა ჟურნალების „ზევზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ საქ. კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილების შემდეგ“ გააკეთა ალ. ფადეევმა. მან თქვა:

„წარსულის გამოხატვაში არის დიდებითი საწყისი: აღმოიჩინებს სურთ გაიზარონ თავიანთი ისტორია. ამას მცირე მნიშვნელობა როდი აქვს ნაციონალური თვითშეგნების ამალგებისათვის, მაგრამ არსებობს სწორედ ნამდვილი გაქცევა წარსულში, იქ, სადაც ბოლომდე მხილებული არ არის ნაციონალისტური გაუღენანი, ცრუ რწმენანი და ვადანამთებნი. მთელ რიგ რესპუბლიკებში მოიპოვებანი ნაწარმოებები მშობლიური ლიტერატურის ისტორიიდან, ნაწარმოებები, რომლებიც არასწორად აშუქებენ ამა თუ იმ ხალხის ისტორიას“¹.

შემდეგ ა. ფადეევმა აღნიშნა „...რომ იყო ორი რუსეთი — რუსეთი მეფისა და რუსეთი დეკაბრისტების, ბელინსკის, რევოლუციონერი დემოკრატების, ნაროდოვოლცების, მარქსისტ-ლენინელების, რუსეთი პუშკინისა, ტოლსტოისა, ჩეხოვისა, გორკისა. ეს ერთი. მეორე: კოლონიზატორული რუსეთის გარდა არსებობდნენ სხვა მტაცებელი სახელმწიფოებიც, რომლებიც ემუქრებოდნენ მცირე ერების არსებობას. ჩვენ არ გვიანდა, რომ აიღველებდნენ კოლონიზატორულ რუსეთს, მაგრამ ჩვენ გვიანდა, რომ ხედა-

ვდნენ ისტორიულ აუცილებლობას და რუსეთის სახელმწიფო შემადგენლობაში შესვლის პროგრესულობას მთელი რიგი წარსულისმანქანის შესვლის იმ მიზნით, რომ ისინი „მარქსისტებისა და მტაცებლებს, რომლებსაც შეეძლოთ ეს ხალხები ჩამოეშორებინათ იმ დიად ვზას, რომელზედაც ამ ხალხებს შეეძლოთ შემდგარაყენენ მოწინავე რევოლუციურ-დემოკრატიული რუსეთის მეოხებით, უდიდესი კულტურის მშობე რუსეთის, ბოლშევიკების რუსეთის, ოქტომბრის რევოლუციის რუსეთის, იმ რუსეთის მეოხებით, რომელმაც პირველმა გაარღვია იმპერიალიზმის ფრონტი... მთელი წარსული ჩვენივეს აუცილებელია, ეს სწორია, მაგრამ ჩვენ უნდა გადავხედოთ მას და გამოვიყენოთ ყოველივე საუკეთესო წარსულიდან; ხალხთა მეგობრობის განმტკიცების, საბჭოთა პარტიოტრზმის განვითარების დღევანდელი ამოცანების გაგების თვალსაზრისით ჩვენ უნდა ავამალოთ ჩვენი ხალხების წარსულში მოწინავე რევოლუციონერი დემოკრატები. ამით ჩვენ დიდ საქმეს გადავითვებთ.“¹

იმვე წლის სექტემბერში ჩატარდა საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი თემაზე „ქართული საბჭოთა ლიტერატურა ჟურნალების „ზევზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ საქავშირო კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილების შემდეგ“. ვრცელი მოხსენებით გამოვიდა სიმონ ჩიქოვანი. ისევე როგორც თავის მრავალ მოხსენებასა, წეროლსა თუ ნარკვევში, სიმონ ჩიქოვანმა აქაც დიდი ადგილი დაუთმო ისტორიულ თემატიკასთან დაკავშირებული ფრთად საინტერესო საკითხების განხილვას. მან აღნიშნა: „ისტორიულ თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა მნიშვნელობაზე და მათს რაობაზე მოსკოვში ჩატარებული საქავშირო მწერალთა კავშირის პლენუმზეც მომიხდა გამოსვლა. ზოგიერთი ამხანაგი ამტკიცებდა, რომ შორეული ისტორიული წარსულის მხატვრული აღდგენა არ არის საინტერესო და არც დიდად სასურველი. ხოლო ამბ. ალ. ფადეევმა წამოაყენა დებულება, რომ ჩერნიშევსკის, ბელინსკის და დობროლიუბოვის რუსეთს ყოველ ერში პუცადა თავისი მეგობარი და უპირველესად ისეთი ადამიანები უნდა იყვნენ ჩვენი ისტორიული რომანების და მოთხრობების თემა. მანვე დაძინა — ზოგიერთი ხალხი წარსულში რუსეთს რომ არ დაკავშირებოდა და სხვა სახელმწიფოს კავშირში მომხდარაიყო, თავის ეროვნულ სახეს წარსულშივე დაქარგავდაო. მეცხრამეტე სუკენში იყო ორი რუსეთი: ერთის მხრივ თვითმპყრობელური რუსეთი, ხოლო მეორე მხრივ რუსეთი ბელინსკის, ჩერნიშევსკისა, დობროლიუბოვისა და ვერცენისა. ამიტომ მთავარი

¹ ალ. ფადეევი, „მოხსენება სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე“, გაზ. „ლიტ და ხელოვ.“ № 27, 12/VII, 1947 წ.

¹ იქვე.

ყურადღება უნდა მიექცეს ხალხთა მეგობრობის თემას, ამ მეგობრობის ისტორიულ საფუძვლებს, რომლის საწყისები ბელინსკის, ჩერნიშევსკის და დობროლიტოვის პოქით იწყება.

ახ. აღ. ფადეევმა ურჩია ჩვენი რესპუბლიკების მწერლებს შორეულ წარსულს ერიდონ და მთავარი ყურადღება შეცხარებულ საუკუნეს მიჰქონონ. აღ. ფადეევის დებულების პირველ ნაწილს სავსებით დავეთანხმებო მისკოვში და, რასაკვირველია, ახლაც ვეთანხმები. აღ. ფადეევმა ზუსტად და ნათლად დაახასიათა რუსეთის პროგრესული რელი ჩვენი ხალხების ისტორიანი. მაგრამ მოსკოვის პლენუმზე განაცხადე და ახლაც ვიმეორებ, რომ შორეულ წარსულშიც ჩვენი ხალხების ბრძოლა გარეშე დამპყრობელთა წინააღმდეგ — საბჭოთა მწერლობის საკითხი და აუცილებელი თემაა. საუკუნეთა განმავლობაში ჩვენს ხალხს უბრძოლა გარეშე მტრის წინააღმდეგ, თავისი ეროვნული სახე და თავისი დიდი კულტურა დაუცავს და იგი განუწყვეტელი ბრძოლით საბჭოთა ეპოქამდე მოეტანია. შორეულ წარსულში ეს ბრძოლა რომ არ ეწარმოებინა ჩვენს ხალხს, იგი თავისი სანე! ისტორიულ წარსულშივე დაკარგავდა. ამიტომ საბჭოთა კავშირის ყოველი ხალხის ბრძოლა გარეშე მტრითან თავისი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, მთლიანად საბჭოთა ხალხებისათვის საამაყო ისტორიული წარსულია და საბჭოთა მწერლობის ორგანიზელი თემაა. წარსულში ჩვენი ხალხების მიერ ჩატარებულ ბრძოლებში გამოწვეული სიამაყე — საბჭოთა პატრიოტიზმში შემავალი გრძნობაა...

ამგვარად, ისტორიული თემა მრავალწახანკოვინია და მრავალფეროვანი ისტორიის ყოველ ეპოქას შეიძლება შეეხოს მწერალი და მკითხველისათვის სასურველი ნაწარმოებები შექმნას, თუ იგი აღებულ საკითხს საბჭოთა ადამიანის, საბჭოთა პატრიოტის თვალსაზრისით მიუდგება.¹

1940 წელს ლირიკულ ლექსში — „მესამე მინაწერი“ სიმონ ჩიქოვანი შენიშნავდა:

„წარსულიც მხოლოდ იმას ეყუთვნის, ვინც დაიმკვიდრა სიახლის გრძნობა“.

პოეტისათვის ორგანიზელია წარსლის თემა. ამ სტრიქონებში ნათქვამი „ეკუთვნის“, რასაკვირველია. პოეტური პირობითობითაა გამოყენებული. აქ ავტორი მიგვიანშიშნებს, რომ მხოლოდ ის შემოქმედია უფრო ძლიერი თანამედროვეობის ასახვისას, ის უფრო მშაფრად, მართლად, სწორი შედარების თვალსაზრისითაც აღიქვამა ჩვენს ადამიანს სოციალისტურ ცხოვრებას, ვისაც

კარგად ესმის წარსული და გააჩნია პატრიოტი, აღმადანერი, ნათელი შეპირისპირების სურვილი.

ეპოქის ისეთი შესანიშნავი მწერლისა და მის წინავე შემოქმედისათვის, როგორც იყო სიმონ ჩიქოვანი, საშობლოს გმირულ წარსულში განსახიერებას პოევებდა შობელი ხალხის სიძლიერე და პატრიოტიზმი, სულიერი კულტურა და შეუღრეულობა, კაცობოყვარე ბუნება და ადამიანური სიყვითე, ხალხთა მეგობრობა და მშვიდობისაკენ სწრაფა.

ისტორიისადმი ღრმა სიყვარული მომავალ პოეტს პატარაობიდანვე ჩაენერგა. დედა მის დაბადებას გადაჰყვა. „მე გამაძიძვეს მეზობელ სოფელ ტუვირში (იგონებდა სიმონ ჩიქოვანი 1959 წელს დაწერილ ავტობიოგრაფიაში). ეს სოფელი განთქმული იყო უძველესი ეკლესიით, რომელსაც გარს ერტყა საუკუნოვანი მუხებე და ქადრები. ეკლესიის კედლებს ძველისძველი წარწერები ამკობდა. სიყრმის წლებშიაც მე ხშირად ვიმყოფებოდი სოფელ ტუვირში და ეტებებოდი ამ წარწერებში. შესაძლოა სწორედ იქ გაიღვიძა ჩემში სიყვარულმა მშობლიური ქვეყნის ისტორიისადმი“. შემდეგ ბავშვს ზრდიდნენ მამა და ბებია. ისინი წიგნის დიდელ მოყვარული და, სოფლის იკვლამაზე, ფრიალ განათლებული ადამიანები იყენენ, პოეტის ვაღმოყვის თანახმად, ხშირად ეკიბრებოდნენ ერთმანეთს რუსთაველისა თუ გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძისა თუ აკაკი წერეთლის ლექსების ზემო კითხვაში. წარსულისადმი სიყვარული და პატრიოტიზმი უკვე მძლავრად იკიდებდა ფეხს პოეტის არსებაში. ოჯახშიმა გარეშე შიმ, სამეგრელოს ნახმა და მდიდარმა ბუნებამ, კეთილმა ადამიანებმა, თუ მატერიალური კულტურის ძეგლებმა წარუშლელი გავლენა მოახდინეს მომავალი პოეტის ხალას და მგრძნობიარე ბუნებაზე. შემდეგ ქუთაისის გიმნაზიის დამთავრებული და თბილისში საცხოვრებლად გადმოსული 20—21 წლის ახალგაზრდა პოეტმა ქართული ფუტურისტების წრეში მოხვდა: ფუტურისტები, როგორც ცნობილია, მოითხოვდნენ ისტორიისა თუ კლასიკური მეგვიდრეობის ყოველგვარ უარყოფას, განსაკუთრებით პოეზიის სფეროში. 1924 წლისათვის უკვე ფუტურისტების ლიდერად აღიარებული სიმონ ჩიქოვანი აცხადებდა: „პირველი პოლიუსი პოეზიაში არის ტერორი, რომელიც უნდა გავიფიოთ, როგორც გარდასულ შკოლებს წინააღმდეგ საბოლიოდ წარმოებული ბრძოლა უბრალოთ: ფარშა, რომელიც ემსახურებოდა გარდასულ ეპოქას, არ არის მისაღები თანამედროვეობისათვის... თუ კომუნისტური ეპოქა საკითხებს ხელეწინების ახალ ფორმებს და ეპოქალურ მოე-

¹ ს. ჩიქოვანი, „მოხსენება საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე“, გაზ. „ლიტ. და ზელოვ.“ № 35-36, 20/IX-28/IX, 1947 წ.

¹ ს. ჩიქოვანი, „ფიქრები, შთაბეჭდილებებო. მოგონებები“ (რუსულ ენაზე), გვ. 4, მოსკოვი, 1968 წ.

ღენების ფაქტებს, მან უნდა მოსპოს ყველა ლიტერატურული გემოვნება და ჩამოყალიბებული ფორმალური შეთოღება¹.

მიუხედავად ფურცრობით ერთგვარი გატაცებისა და ლიტერატურული სარბიელის საკმაოდ გაბუნდობანებისა, სიმონ ჩიქოვანი ყალბად მოდერნიზებული ლექსების გვერდით მაინც წერდა ნათელ, რეალისტურ პოეტურ სტრიქონებს და თავის თავს ნიკოლოზ ბარათაშვილის თუ ვაჟა-ფშაველას შემყიდვად აცხადებდა. სიტყვებით ეონკლირობდა და ფორმალისტური ცდები არ შეიძლებოდა შეგვეთხრა ახალგაზრდა პოეტის ხალხს ბუნებას. ნათქვამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიტანოთ ნაწევრები 22 წლის სიმონ ჩიქოვანის ლექსიდან „მიძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილს“, რომელსაც დაწერის თარიღად უნის: „25 წელი ტფილისი შემოდგომა“. ახალგაზრდა პოეტი ღრმა პატივისცემით მიმართავს თავის სახელოვან წინაპარს, ბოდიშს უხდის იმის გამო, რომ ვერ შეძლო დატოვებული ანდერძების შესრულება, რაც ხალხისა და საშობლოს უანგარო სამსახურში მდგომარეობს და პირობას ღებს მის მსგავსად გამოხატოს ერის გრძნობები, დაუმტკიცოს ყველას, რომ ის არის კემშარიტი შემოქმედი და არა, როგორც თვით აცხადებს, „შწიგნობარის ასახსნელი შარადებივით“:

„მეც ვცდილვარ შენებრ, ერის გრძნობების და სურვილების გაპიროვნებას.
...და საქართველო ფეხზე აღდგომით ჩემში შენს წულულებს მივსაღებ...
მე ვიხდი ბოდიშს რომ ანდერძები საითთოდ ვერ აგისრულე...
...და შენი სისხლი ჩემ მარდვში რომ სდგას შთამომავლობებს მე დაუმტკიცება.“²

1925 წელსვე დაწერილი ლექსი „შენი ჩრდილის საძებრად“. ეს სათაური და ლექსიც მოგვყავს 1960 წლის გამოცემის მიხედვით. 1933 წელს გამოხული ლექსების წიგნში მას „გამოთხოვება“ ჰქვია. შემდეგ ჩვეულებრივად, სიმონ ჩიქოვანს ლექსი საფუძვლამად აქვს გადაშეგებული, სიტყვიერი ქსოვილი შეცვლილი და დარჩენილია მხოლოდ, ძველ განწყობილებასთან ერთად, ზოგიერთი პირველსახე. ოცნებით გატაცებული ახალგაზრდა პოეტი ლექსის მასალას თითქმის ოჯრისა და მანგლისის ისტორიულ მემკვიდრეში ადევტებს. აქ იგი იგონებს საყვარელ არსებას, იგონებს ბარათაშვილს, ხაყს-მოღებულ ციხეებს, მამულის ძველ სატკივარს, გმირ წინაპრებს და იმედის თვალით ვასცქერის

„საუცუნის კარებს გაღებულს“. დაბლა თბილისი ფორიაქობს“, საშობლოს მთელი მარადიულ ფიქრებს აღუძრავენ ახალგაზრდებს სიმონ ჩიქოვანს. მის დაბაბულ ცნობარებში „სტრიალის ვარდისული დღეები და თანამედროვეობა ერთმანეთს მჭიდროდ ეხლართებიან.

„ორბელიანი აქ უმღერდა თურმე იარაღს, ბეთანიში თამარ მეფის თვალებს გახეილის,
მე შენ ვიგონებ და მამულის მცირე იარაღს და ციხის შიგნით დამშრიალებს შენი სახელი“.

1926 წელს, ჯერ კიდევ ფურცრობის გავლენაში მყოფი პოეტი, ცვლავ მიგვიანინებს ისტორიით დაინტერესებულ, ისტორიისადმი სწრაფვებზე, როცა ლექსში — „სიმონ ჩიქოვანის ნახტომი“ კრულ-კრული აზრების ორმოკრიალის გვერდით ცდილობს გვიოხრას სათქმელი თუნდაც ერთი მოხდენილი და თავისებურად ვადაწყვეტილი ფრაზით:

„ღრო მეძახობა ისტორიის მალაღ ცაცხვიდან“. —

შორეული ისტორიის ეს ბუნებრივი ძახილი და გარდასული წლებით შთაგონება, რაც უკვე 20-იანი წლებიდან დაიწყო, სიმონ ჩიქოვანს არასოდეს არ ვანდლებია. მას ერთი წამითაც არ დაუკარგავს ინტერესი შრობებზე ჰეგელის მდიდარი წარსულისადმი და ყოველთვის ცდილობდა დიდი შემოქმედის მახვილი თვალთ გადაეხედა ვანელილი მძიმე ეპოქებისათვის, რათა მათში დადებოთ და ამაღლებული შეეცო, უარყოფითი და მადამდე ეპაგებინა, რათა წარსული სიღუპისიერი მაგალითზე უფრო რელიგიურად გამოეკეთა ჩვენი სოციალისტური ყოფის შთამომავლები სურათები. სწორედ ამიტომ სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში წარსული და დღევანდლობა ერთმანეთს პარმონიულად შეერწყა და დაგვიჩა დიდებული მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა წერდეს კემშარიტი შემოქმედი ერის ისტორიაზე, როგორ უნდა უყვარდეს საშობლო, შრომობრივი ხალხის სახელოვნად განვლილი გზა და მისი სისხლსახე დღევანდლობა.

როგორც აღვნიშნეთ, სიმონ ჩიქოვანმა არაერთი და ორი პოეტური სტრიქონი უძღვნა თავის დიდ მასწავლებელს ნიკოლოზ ბარათაშვილს. მას მიანიჩა, რომ ის მძაფრი ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ტკივილები, რაც „მერანის“ ვენიალურ ავტორს ახასიათებს, მის არსებაშიც გადმოხის საუცუნობრივი ენერჯის მარაგით და ახლებურ განსახიერებას პოეებს თანამედროვეობაში. „შენი მოდგმა ვარო“ მიმართავს შთაქმინდაზე საოცნებოდ ასული 24 წლის

¹ ს. ჩიქოვანი, „სასწრაფო განმარტება ევრონალ H₂SO₄ გამოსვლის“, ევრონ. „მნათობი“ № 4, გვ. 217, 1924 წ.
² „მიძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილს“, „ლექსები“, გვ. 167—169, თბ., 1933 წ.

ასღვარდა პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვისი „მერნის ნაღებიც“ წარუშლელად აწინა მის ვულს. როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი გრძობდა და განიცდიდა თავის წინა ეპოქებს, წინაპრების გმირულ სულისკვეთებას და მას აწმყოსა თუ მომავლის ნათელ ხილვებს უჯავშინებდა, ასევე განიცდის სიმონ ჩიქოვანი მარადიული სრბოლის სიმღერებს ერთი უზარმაზარი საუკუნის შემდეგ. 1927 წელს დაწერილ ლექსში „მთაწმინდის ღამე“ იგი ამბობს:

„აქ ჩემზე ადრე, დასვედილი შემოღამებით, იწვა მგოსანი და უტყვარდა ცას გატაცებით. გულში ჰყოლდნენ საუკუნის დიდი მამები და ჰიხვიებდნენ მერნები და ზედ ვაქაცებია“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი მხოლოდ ამით არ არის მახლობელი და სამაგალითო შემოქმედების რთულ გზაზე შემდგარი ასღვარდა პოეტისათვის. მას, უპირველესად, იხილავს ის, რომ დიდმა წინამორბედმა შესძლო თანამედროვეობის მაქისცემის გამოხატვა, შესძლო ჩასწვლიშოდა ზალხის სულიერ ტკივილებს, იმედოანი განწყობილებით დაეკავშირებინა ერთმანეთთან აწმყო და მომავალი, სულ სხვა სიმაღლედან დაენახა ზალხის ვარამი და მძლავრი შემოქმედება მალამოსავით დაეღო ადამიანების სულიერი განუაქიზებისათვის:

„...ლექსის შხვილით მან დროება ორად გაკვეთა, წამს ვაცონა მომავლიდან ზალხის ძახილი და ტკივილები სიმღერებად გადააკეთა“.

1960 წელს გამოცემულ ერთტომეულში „ლექსები, პოემა“ შესანიშნავი ლირიკული ლექსი „არ დაშვენიდება“ სიმონ ჩიქოვანს 1927 წლის თარიღით აქვს შეტანილი. 1963 წელს გამოცემულ თხზულებათა I ტომში კი მისი დაწერის თარიღად 1938 წელია მიჩნეული. ჩვენი აზრით, ლექსის პირველწყარო 1927 წელს ჩამოვალბდა, მაგრამ, როგორც ცნობილია, სიმონ ჩიქოვანი სხეულოდ ლექსზე დღემოდღინე, განუწყვეტელი მუშაობა და ამ ლექსმაც ძირფესვიანი ცვლილებები განიცადა. ლექსი საინტერესოა იმით, რომ პოეტი თავისებურად უმღერის სიცოცხლის მარადისობას, შემოქმედის უბერებელ სულს, განუწყვეტელ ღრბოლევას და ორგანულ ვაგრის, რაც ახასიათებს დღევანდელ ადამიანს, ვისი ძირებიც მტკიცდაა ჩაყრული წარსულის დღღაბში, ვისი ცხოვრებაც უძველეს თმოგვის ქვეშაა თუ „კოლხურ გუთანს“ ეხშიანება:

„ზან მთესველი ვარ და ხან მეთევზე, მეც ობლის კვარი ადრე ვიხეშე, აღბეჭდილი ვარ გრემის კედელზე, ხემალის მთაზე და თმოგვის ციხეზე“.

ეს უბერებელი სული და საუკუნეობარტი ვამძლეობის გრძობა, ეს მარადიული ცვალებადობა და განახლება სიმონ ჩიქოვანის არაერთ ლექსში მეორდება, მეორდება სხვადასხვა კეთხით, ორიგინალურად, მიწიხიდეულად. წარსულისაგან მიღებული სიამაყე შთავგონებს მატებს ყველა ნამდიელ ზელოვანს და ასალი შემოქმედებითი მიღწევებისაგან მოუწოდებს. 1935 წელს შექმნილ ბრწყინვალე ლირიკულ ლექსში „მეთევზის სტუმრობა“ პოეტი წერს:

ჩვენ ვცხოვრობთ მთაში, გადაშლილ ბარში, ქარიშხალში და მღინარის პირად, ჩვენ ვცხოვრობთ ხალხში, წინაპრის ხმაში და შთავგონებით ვიღლებით ხშირად“.

პოეტის შთავგონების სარკე და სათავე, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვეობაა. მას საყვარელი სამშობლოა, ქალაქის, კუთხის ცხოვრებაში ყოველგვარი სიხალის დანახვა ახარებს, სიმღერის შექმნისაგან მოუწოდებს. 1935 წელსვე დაწერილ ლექსში „სანაპირონი“ პოეტი სიხარულით გასცქერის როგორ შემზიან მტკვარს „მარჯვე მუშები და უსწორებენ ფერდებს დამბურულს“. გრანიტის ღამაზ კალაპოტში სატევაოვით ჩამდარი მტკვარი თითქოს „უერთდება მარადისობას“. ძველად გამოუყენებელ მღინარეს სიცოცხლის სუნთქვა შემოაქვს ქალაქში და „თეთრი ნახშირით“ აუფერულებს ღამეს. ნაპირთან მდგარი პოეტი ავსებუღია „თბილისელი სტახანოველის“ ვაქაცური ძალით, აღმშენებლობის ტემპით, მოძრაობის უწყვეტი ჯაჭვით:

„და დგას თბილისი ამოვლებული მტკვარში, მზეში და მატინეში“.

სიმონ ჩიქოვანი საოცარი სიმამფრით განიცდის საქართველოს წარსულს, ძირითადად მის ტრავიკულ მხარეებს. აქვე შეიძლება ითქვას, რომ არა ერთი და ორი პოეტი თუ მწერალი წარსულში მხოლოდ დიდებას, უძლეველობას, უმასა და ბატონს შორის ტებელ ურთიერთობას თუ მამულის განუწყვეტელ აღზვევებას ზედაეღარა, რა თქმა უნდა, ისტორიის ცალმხრივ ანახვას უჯავშინებდებოდა და ზოგჯერ საყვედურსაც ემასახებდებოდა. 1952 წლის ივნისში ცნობილი საბჭოთა პოეტი ალ. სურკოვი ამბობდა: „ქართველ მწერლებს სამართლიანად უსაყვედურებენ — ძალიან ვიყვანე ისტორიულ წარსულში ცვერაო. ის ფაქტი, რომ წელს პრემიები მიენიჭათ ისტორიულ რომანებს, მათ შორის ზლობინის „სტეფანე რახინს“, ღაპარაკობს იმაზე, რომ ჩვენ წინააღმდეგი არ ვართ

ისტორიული რომანებისა, მაგრამ ისტორიაში უნდა გადავიხედოთ იმისათვის, რომ უკეთ დავინახოთ დღევანდელი დღე; ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში კი რამდენადმე დამკვიდრებულია ისტორიული წარსულით მიხილულობა¹.

სიმონ ჩიქოვანი სრულიად ბუნებრივად და მალდაუტანებლად დგას სწორ სოციალურ-კლასობრივ პოზიციაზე. მას წარსულის შეღამაზეა, მხოლოდ ამალეებულის ძებნა არ აქვს მიზნად დასახული და ამიტომ ნათელ პოეტურ სერათებს იძლევა. ლექსში „ოქროს საწმისი“, რომელსაც დაწერის თარიღად და აღგილად უზის „1937 წელი, „ახალი კოლხიდა“, პოეტი იგონებს შორეული ბავშვობის განუმეორებელ დღეებს, როდესაც „კასთან პატარა ტბორში“ ქალაქის გემებს აცურებდა და თავი „კოლხების ტოლად“ წარმოედგინა. მის იგონებას, უკვე მშობელი ერის ისტორიის სიუვარულით დაძრულ წარმოდგენებს, არც ფაზისი და „კოლხიდაში დაკარგული საწმისი“ ავიწყლებოდა. ახლაც პოეტი სწრაფმავალი კატარღით მიჭრის კამკამა ტბაზე, ირგვლივ კოლხიდის უღამაზენ ბუნებაა გადაშლილი. თითქოს არაფერია ისეთი, რომ ვაამუქოს პოეტური ზედვის არც, მაგრამ სიმონ ჩიქოვანს მაინც აგონდება „ბებიათა რქმული“ და არა ერთხელ ნაამბობი კოლხიდის ტრავიკული ისტორიის ფურცლები:

„მტერმა მოგეტაცა ვერძი მუხიდან,
მალე დაკარგა კოლხიდაი ფერი,
შურმა წაიღო განძი უხვი და
გადმოგვყარეს ქარებმა მტერი.
ქაობის სენი მოედო მამულს,
გახდა უმწყო კოლხეთის მხარე,
ჩვენი ტურფები ევაჭრმა შემდეგ
გვით მიჰვეარა ბოსფორის კარებს“.

პოეტი კარვად იცის, რომ უამრავი მტრით გარსშემორტყმული, დღენიადე ხმალშემართული და თავდამსხმელ ურდოთა ჩეხვით დაღლილი პატარა ქვეყანა ხან აღზევებული იყო, ხან კი დაცემული, როდესაც მას ქარიშხალივით გადაუქროლებდნენ ხოლმე „დამთრგუნველი ბრბობები“. „ყოფილხარ ძედალ, გამოგონია, ხან წამომდგარი, ხან დაიოქლიო“, — წერს პოეტი 1938 წლის გაზეთებზე ლექსში „მშობლიურ ხალხს“. დაყოფილ და დაქუცმაცებულ საქართველოს ყველა კუთხეს მტერი უხვია. ბევრი ავადარი თუ უბედურება ატყუებოდა თავს შრომისა და შენებისათვის მოწოდებულ ხალხს. მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ მოტანილმა სანუკვარმა თავისუფლებამ გადაარჩინა მშობელი ხალხი ვანა-

დგურებას. მან მოკავშირე ერების მხურ იჯახში ახალ-ახალ სიმაღლეებს მიადწია, დღეს უკვე ხალხი სოფლებსა და ქალაქებს აშენებს, ზეცას იპყრობს და კოლხიდის შექმნისაკენ ნების ამრობს; თოფ-იარაღსმული ხენათესა წარსულს ჩაბარდა, იგი უკვე არის „მზედარი, სტახანოველი, გმირი მესაზღვრე“, რომლის ყოველ დღეს აცისკროვნებს საბჭოეთის დიდი ქარტია:

„გაბარებულხარ, შეგდღეობია
დიდ საბჭოეთში მოძმე მრავალი,
ახლით შობილხარ, ვანათებულხარ
დიად ბრძოლების შთამომავალი“.

პატრიოტ პოეტს უდიდეს სიხარულს ანიჭებს სამშობლოს წინსვლა, მისი არნახელი განაზღვება, როცა ყველაფერი აღორძინდა და ისტორიის ბნელი დღეების ტყვივლები დაუმრუნებლად გაქრა. თანამედროვეობის სიმაღლის განედილი სიძნელეებთან შეპირისპირება სიმონ ჩიქოვანს რომანტიკული პათოსით ავსებს და იგი კვლავ და კვლავ, ჩვეული სიუვარულით, უბრუნდება თავის დიდ წინაპარს ნიკოლოზ ბარათაშვილს და 1938 წლის ოქტომბერში დაწერილ ლექსში „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ ომსიანად მოუწოდებს ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლ გენიას:

„აღლდე, გმირთ-გმირო, სულო ანკარა,
განახლებული მხარე იხილე:
შენი სამშობლო მვედრეთით აღმდგარა
შენი მერანი შევებით ქიხინებს“.

სიმონ ჩიქოვანი ნამდვილი ტრფილია თანამედროვეობისა, მემბტიანის ფხიხელი თვლით უცქერის ყველა სიახლეს და ცდილობს ასახოს იგი სოციალისტური რეალიზმის ნათელი პოზიციებიდან, ასახოს არა მარტო დღევანდელი ვითარების განზომილებით, არამედ ზეალინდელი დღის თვალსაზრისითაც. პოეტის ფაქიზ განცდებს მღამოსავით ესალბუნება „დიდი წარსული სამშობლო მხარის“ და იგი ბედნიერ აღამიანად თვლის თავს, რომ შესძლოს ოცნებით დაანთოს ნამდვილი შემოქმედებითი „კოკონი“, იყოს მართალი თავის თავთან და დროებასთან. ამ შეგრძნებას 1940 წლისათვის შექმნილი ციკლის — „შინიდან გაველ სამშობლოს გზაზე“ — ლექსში „პირველთქმა“ პოეტი ასე განგვიმარტავს:

„რადგან დღევანდელ ცხოვრებას ვებრძვი
და მამა-პაპის ფარ-ხმალივ მომწონს“.

¹ ალ. სურკოვი, „სიტყვა ქართველი საბჭოთა მწერლების აქტივის კრებაზე“, გაზ. „ლიტ. და ხელოვ.“, № 25, 20/VI, 1952 წ.

ამ ციკლის ლექსებშიაც ბევრგან იგრძნობა ისტორიულ წარსულთან მიხილვება. აქ არის სწორედ ასეთი სათაურისა და, რაც მთავარია,

ასეთი ხასიათის ლექსი „მიახლება“. პოეტს სურდა, რომ მის კაცად აღზრდასა და მორალურ აზლდებაში დიდი წვლილი შეიტანა საშობლოს მართალმა ისტორიამ, მოძრაობის მარადისობაში თუ წმიდათაწმიდა ნანგრევებში. მისი აქნის რწევასა და სულიერ ჩამოყალიბებაში მკვეთრად მონაწილეობდა ყველაფერი საუკეთესო, რაც კი მოქორნდა წარსულს და რაც საუკუნეების მანძილზე ასაზრდოებდა, ინახავდა, ადუღებდა ღუბუბი ცხოვრებასთან შებერულ ხალხს:

„ეგებ აღმზრდელი იყო ვარძია,
ანუ ზერთვისზე თქმული ვაება,
ჩემი აყვანი ვინ დაარწია,
ქარიშხალმა თუ ღედის მკლავებმა?“

იგივე აზრი და პოეტური მიგნებაა გატარებული ამავე ციკლის ლექსში „ციხით შობილი“. სიმონ ჩიქოვანი თავისებური ბრწყინვალე მეტაფორული აზროვნებით წერს, რომ პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე წარსულის სისხლი სისხლთაგანია და ხორცი ხორცთაგანი. იგი ჩამოწყდა ცრემლებით დაშალ „შომიტრალ კედელს“ და არის „ნატეხი დანგრეულ ციხის“. წარსული ბრძოლა და თავდადება, კედლებში ჩაკრთული ადამიანების შფოთვა და არღამშვადება იყო საფუძველი იმისა, რომ ქვეყანამ მოაღწია ჩვენს დიად სოციალისტურ ეპოქამდე, სადაც ჰპოვა ფონი თავის გადარჩენისა და აღორძინებისა:

„სურამის ციხე, ზერთვისის კოშკი,
ორივე ჩემი ღედაა მგონი.
მე შათი ხავსი შათობდა თოვლში,
მათვე მანვენეს მდინარის ფონი“.

„სიმონ ჩიქოვანი, — აღნიშნავს კრიტიკოსი გიორგი მარგველაშვილი, — თანამედროვეობის პოეტია. სხვა თემა მას არ აქვს და ამიტომ ისტორიული მასალაც მის პოეზიაში მეტად თავისებურად არის განსახიერებელი. ვერსად ვერ ვნახავთ ჩვენ სიმონ ჩიქოვანის ნაწარმოებებში წარსულის საკუთრივ ეპიკურ აღწერას; იგი — ეს წარსული — ყოველთვის გვევლინება, როგორც თანამედროვე ადამიანის განცდა, პოეტის სულის ნაწილი, მისი მდიდარი სულიერი სამყაროს ერთი კუთხე. ისეთ ლექსებში, როგორცაა „თემიფრაზ პირველი“, „მიძღვნა ვარძიის ოსტატისადმი“, „მიძღვნა ხელთნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ ოსტატებისადმი“, „ვება ფშაველას ბუხართან“, „ნიკოლოზ ბარათაშვილის საკანეში“ და სხვა, მოცემულია არა იმდენად გუშინდელი დღე, რამდენადაც ღღევანდელი ფიქრი გუშინდელ დღეზე, მისი საღვთისო განცდა და გააზრება... ისტორია სიმონ ჩიქოვანისათვის უფრო მასალა, ეიდრე თემა. ნი-

შანდობლივია, აგრეთვე, რომ ამ მასალის შეჩრჩევსას მეღვანდება გარკვეული კანონზომიერება: პოეტს იზიდავს არა „ჩქრის ხანა“ საქართველოს ისტორიისა, არამედ მისი ტრაგიკული პერიოდები, მას შემოქმედებითად აინტერესებს ისტორიის დრამატიზმი და არა ეპიკა. წარსულის დრამატული აღქმა, ღრმა ლირიული განცდა და გააზრება, — აი, სიმონ ჩიქოვანის პოეზიის განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც ანიჭებენ მის მთელ რიგ ნაწარმოებებს თავისებურ მონუმენტურობას.“¹

ზემოაღსახელებული ლექსები და მათთან ერთად სხვადასხვა დროს დაწერილი მთავრობითი ნაწარმოებები, რომელთაც ლეიტმოტივად გასდევთ თანამედროვეის განცდებით ისტორიის ტრაგიკული სურათების ოპტიმისტური აღქმა, გაერთიანებული არიან ერთ შესანიშნავ ციკლში „წინაპრები“. უკვე ეს საერთო სათაურით მოგვანიშნებს ციკლის დანიშნულებაზე: ძირითადად ლექსები 1940-იან წლებში არიან შექმნილი.

„მცხეთა არის ჩემი დედუღეთი,
არ დამჭერა მისი ვაზის სურნელი“,

აქვადებს პოეტი სერაფიტისადმი მიძღვნილი ლირიული ლექსების რვაში „არმაზის აზრდობები“. მას ეხმანება „გარანდულ კუბოში“ შწოლაზე ულამაზესი სერაფიტი და „მისი თმებით შორთული ქართლი“. სილამაზეს კი გადაშენება არ უწერია, სილამაზე მარადია და დავიწყებასთან ვერ თასდება. პოეტი მოუხმობს პიტიახმის უნაზეს ასულს, რომ გაარღვიოს უკუნი, განმეორდეს, აღსდგეს და ფენიქსისებრ აღმდგარი ქართლაც იხილოს, სადაც უკვე „უფნა აღარ არის ამო“. თანამედროვეობის თემა ამ ლექსში ასე უკავშირდება სერაფიტის ხანმოკლე ცხოვრების შორეულ აღქმას:

„ღვიძავს მცხეთას, გაიღვიძეს მამებმა,
ღვიძავს არმაზს, აღარ ესმის ვება“.

ოპტიმისტური სულისკვეთებითაა აღბეჭდილი ლექსი „ბროწეული პიტიახშების სამარზე“. „შინც უხადლოა ბროწეულის ხის სიმბოლიკა, — აღნიშნავს აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე, — პიტიახშების საფლავის უზარმაზარი ლოდი გაურღვევია, ფესვი გაუღვამს, ამოზრდილა, აყვავებულა და დახუნძლულა მწიფე ნაყოფით, გაუხარებია თანამედროვე მნახველის გული ბროწეულის ნერგს. აყვავებული და დანიშნეული ბროწეული მკვდრითი აღმდგარი.

¹ გ. მარგველაშვილი, „სიმონ ჩიქოვანი“, გვ. 24—25, თბ. 1959 წ.

ღრთასხმული საქართველოა¹. ვფიქრობთ, შე-
სანიშნავი ახსნა ლექსის იდეისა და დანიშნუ-
ლებისა, იგი არ იწვევს რაიმე ეჭვს, რადგან
თითო პოეტიც მიგვიანიშნებს:

„შენს ჭიხაში ვარსკვლავები მიჭრილია,
თუ ცრემლები გამოვიყრავს, სანატრულო,
შენი ჩრდილი, მითზარ მაინც, რა ჩრდილია,
შენს რტოებში გალობს ძველი
საქართველო“.

პოეტი ბევრს მოგზაურობდა საქართველოში.
საქართველოს უძველესი ისტორიული კუთხე
მესხეთი უმარავ თემას მატებდა მის შთაბეჭე-
ბას. სწორედ ამ კუთხესთან დაკავშირებული
წარსულის ბრწყინვალე სურათი გადავიწილა
სიმონ ჩიქოვანმა 1936 წელს შექმნილ ლექსში
„მიძღვნა ვარძიის ოსტატისადმი“. პოეტი უც-
ქერის საღ კლდეში გამოკვეთილ ვარძიის თა-
ლებს, როგორც საკვირველებს, „ფიქრსა და
გაქანებას“. ის ღრმა მოწიწებით იგონებს უბა-
დლო ოსტატს, რომელმაც მტკვრისპირა პი-
ტალო კლდეში მთელი ქალაქი გამოკვეთა, ეს
დიდებული ნახელავი ხელთუქმნელ ვანძიდ და-
უტოვა შთამომავლობას, დაუტოვა ადამიანის
უსაზღვრო ძლიერებისა და დაუოკებელი ენე-
ბის სიმბოლოდ. პოეტს თითქოს უძნელდება
დაჯერება „საკვირველება როგორ მოთავსდა გა-
ნულო ზანაში“. მის ხალისიან ხმას ტრაგიკუ-
ლობის დაღს ამჩნევს ის გარემოება, რომ სის-
ხლიანმა საუფრენებმა არ შემოგვიანხეს ასეთი
შედეგის შემქმნელი ოსტატის სახელი. პო-
ეტს აწუხებს ისტორიის უცუღმართობა — გვებ
მარჯვენა ხელი მოკვეთეს ოსტატს, „გვებ და-
ლუპეს ხალხის მოკეთე“, რომლის სვეტებმა და
ჩუქურთმებმა დაამშვენი მამული საუფროდ.
უკვდავ შემოქმედს უხმობს, ეძახის პოეტრას
შთაგონება და კვლავ რომანტიკული მგზნება-
რებით მიმართავს მას:

„რად წარიშალე, შენ უკვდავება
გვიძახის, გვიტებს მთების უბეში!
დიდო ოსტატო, ჩვენი თაობა
გოხმობს შრომელთა საუკუნეში“.

მესხეთის ძლიერი გავლენითვე დაწერილი
„წუნდას ტბა“. სიმონ ჩიქოვანი წინასიტყვაო-
ბაში აღნიშნავს: „წუნდას ტბა მდებარეობს მე-
სხეთში, თმოგვის ციხის მახლობლად, ოდესღაც
წუნდა უოფილა დიდი ქალაქი, მიწისძვრითა გა-
ნადგურებულა და ნაქალაქეად დარჩენილა. ახ-
ლა წუნდაში არის პატარა ტბა, ბუნების თეა-
ლივით მოეღვარე“.

¹ ალ. ბარამიძე, „ნარკვევები ქართული ლი-
ტერატურის ისტორიიდან“, ტ. მე-5, გვ. 315,
თბ., 1971 წ.

მეგრამ პოეტს მარტო ბუნება არ ინტერე-
სებს. აქ მას ელანდება უკვდავი შრომა რუსთა-
ველი, წარსულის სურათებს უკვდავებს. მის
მაღალ სახეს და „ვეფხისტყაოსნში“ დახატულ
სურათებს. ამდენად პატარა ტბაც სულ სხვა
ელფერს იძენს, მას ძველი ისტორიის საიდუმ-
ლოთა შემნახველის ფუნქციაც ეკისრება და
თანამედროვე „მესხეთის მაღლიც“ ეფრქვევა:

„იქნებ შეგ სძინავს მგონის ოცნებას,
ხალხისთვის უცნობ ვარაშს და წყალობებს,
მრავალ თაობას და ვადმოცემას,
ჩვენგან განუცდელთ და გარდასულებს“.

მიძღვნა ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ ოს-
ტატებისადმი სამადლობელი სტრიქონებია იმ
უცნობი პატრიოტების მისამართით, ისევე რო-
გორც დიდი სამადლობელი ვარძიის უცნობი
შემქმნელებისადმი, რომლებიც ებრძოდნენ
„ირანს და ბიზანტიას“, მეგრდით ეფარებოდ-
ნენ „დაისრულ“ მამულს და „რაინდებივით
წერთიღნენ სტრიქონებს“. მათმა თავდადებამ,
უანგარო მოღვაწეობამ დიდი საქმე გააყეთა იმ
უგრატესი საუფრენების მიღმიდან დღევანდლო-
ბამდე, რადგან „წიგნმა განავრცო სიბრძნის მა-
რავი და საქართველო მხრებით ასწი“.

ლექსში „წიგნი „ეთაბა აღმწერლისა“ „თათა-
რთა შემოსევა უფრო მოგვიანებით, 1946 წელ-
სა დაწერილი, მეგრამ იგი თუმცა უკვდავად და
იღვერადი უსტადა ჩაჰქარაი „წინაპრების“
რეალში. პოეტი ვამთაღმწერლის კიდევ ერთ-
ხელ გადაეთხვისას ცხადად ხედავს „ისრებით
მიწას დასერილს“, ხანძრისაგან დამწვარ აყე-
ნებს, „ქართლიდან წასხმულ ქალწულებს“,
„მეგრდში დაქრილ“ წინაპარს, „ბედარულ
ქართლს“, ფლოქვებით დატორილ მიღამოს,
„თათარულ ხარაყას“ და მონგოლების შემოსე-
ვას, რომელთაც მოქმედით აზიის ტრამალებს
დამბუგველი სიცხე. მიუხედავად ამასგვარი გა-
ჭირებისა, ხალხი მაინც უძლველი და უკვდა-
ვი იყო:

„აგდია ისრის რამდენი ღერი,
შეიდ დაფრიალებს ღერაქი თალხი,
მაინც ფურცლებში ვიღაცა მღერის,
რომ უჩინარად ადიდოს ხალხი“.

ქვეშარიტი პოეზიისა და წარსულისა და დღე-
ვანდლობის დაპირისპირების თეალსაზრასით
მეტად საინტერესოა მაღალიდებურად და მაღალ-
მხატვრულად დაწერილი ლექსი „თეიმურაზ პი-
რველი“. მისი შექმნის პერიოდია: „1935 წელი,
შემოდგომა, კახეთი“. თითქოს ადგილზე ლექ-
სის დაბადება კიდევ უფრო ხატონად და სუ-
რათივინად წარმოგვიდგენს მას, უფრო ძლიერი
შთაბეჭდილებით აყვებს.

ლექსი აღიარებული იყო საქართველოშიც და

მის ფარგლებს გარეთაც. უკვე 1947 წელს ცნობილი რუსი პოეტი და მთარგმნელი პაულე ანტოკოლსკი წერდა: „გასაოცრება პოეტის თანმიმდევრობა, თითქმის შეუცნობელი თანმიმდევრობა, როცა ჩიქოვანმა შინდომი დაღვანდული მკითხველებისათვის მკვდრებით აღდგინა XVII საუკუნის დამღვებს მცხოვრები ქართველი მგოსანი, კახეთის სვეუბელური მეფე თეიმურაზი, რომელიც ტახტიდან ჩამოაგდეს ირანელმა შაჰებმა. პოეტს დასჭირდა თეიმურაზისათვის ხელში მიეცა ოპტიკური ხელსაწყო — კოგრიტი, რათა გაეთყუებინა მისი ხელვა:“

„ბერი მგოსანიც ლექსის კოგრიტით წარსულით უპირეტს დღევანდელ კახეთს“. ლექსის კოგრიტი, ერთი შეხედვით, თეთნეტური, რამუნდამე ნაძალადევი გამოგონებია. მაგრამ ჩიქოვანის მეტაფორა ამართლებს თავის თავს: ეს აუცილებელი და ორგანულია ამ პოეტის მეთოდისათვის. ასე დაიბადა თავისი შთაფქვრებითა და დეტალების სიმკვეთრით ეს ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსი¹.

სიმონ ჩიქოვანის ბევრ თეიმურაზის სახის ლექსში დასმა და ვადაწყვეტა გარკვეულად მოიწონა აკადემიკოსმა ალ. ბარამიძემ. თუმცა იგი მოლიანად არ ეთანხმება პოეტის მოსაზრებას, როცა წერს: „ორიგინალურად, თუმცა, ჩემი აზრით, საცულობლად წვეეტს ამ პრობლემას სიმონ ჩიქოვანი. მისი ფიქრით, მხოლოდ პოეტობით დაიშკვრიდა თეიმურაზმა ღირსეული აღზილი ისტორიაში. („მეფეს ხომ მეფედ არიან ივონებს, მხოლოდ შაირი უძიკობს სამარეს“)“²

აკად. ალ. ბარამიძის წერილს კრიტიკულად გამოეხმაურა ისტორიკოსი ნოდარ ნაკაშიძე „ლიტერატურულ გაზეთში“ (13/11—1970 წ. „თეიმურაზი მეფე და თეიმურაზი მგოსანი“). მკვლევარი ქართული ისტორიოგრაფიის უახლესი მიღწევების გათვალისწინებით წერს თეიმურაზ I შემოქმედებასა და მოღვაწეობაზე. მის მოსაზრებებზე მოლიანად მისაღებია, რადგან მეცნიერთლად დასაბუთებულ მასალებს ეყრდნობა და ადასტურებს, რომ თეიმურაზი იყო არანაკლებ სახელოვანი მეფე, წინამძღოლი თავისი ერისა, ვიდრე მგოსანი.

სიმონ ჩიქოვანი, ვფიქრობთ, სრულიად ბუნებრივად, ლექსის წერისას მეცნიერულ სიზუსტეს კი არ იჩენს, არამედ პოეტურად წვეეტს საკეთხს. და მისთვის კარგე პოეტი, ალბათ, უფრო მეტს წარმოადგენს, ვიდრე მეფე. პოეტის ამ ობიექტურ თუ სუბიექტურ მოსაზრებებს არ შეიძლება შევედგეთ, რადგან მას ჰქონდა პი-

რადი შეხედულებები და იქნებ შოუნიით უფრო აფისებდა თეიმურაზს. სწორედ ამიტომ, პოეტი-ის ამგვარი მაღალი გაგებისა და განმარტების გამო წერდა კიდევ პოეტის „საუკუნეთა მანძილის მიღმა ლექსი მეფობს და არა მეფენი“.

შეიძლება ისიც ითქვას, რომ თეიმურაზი მაინც არ იღვანე ჩვენი ერის სახელოვანი, პოპულარული მოღვაწეების, ეთქვამ, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის თუ ერეკლე II დონეზე, სამეფო ტახტის არაერთხელ დაკარგვამ, იმერეთში გადახვეწვამ, მათა ომში ჩაბმამ და სხვა ფაქტორებმა გარკვეული დალი დაასვა ხალხის თვალში მის დიდ პატრიოტულ სახელს და ნამდვილად თავდადებულ ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. და ის, რასაც ვერ მოესწრო და რაც ძაღების უკიდურესი დამახებით ვერ შესძლო თეიმურაზმა, სიმონ ჩიქოვანს პოეტური წარმოსახვით სურს შეასრულოს და ნატაქ, ნაწამებ თეიმურაზს თავისი მშობლიური კახეთი, მშობლიური საქართველო უჩვენოს უდრტივადი, მშვიდობიან შრომაში გართული, აღმდგარი და ძლიერი თავისი ერთიანობით.

„ო, სამშობლო, შენ გამოაცე, სხვა საუკუნეს უპყრია სურა-აქ მეჩვიდმეტე უცქერს მეოცს და უხუცესი გაოცებულა... ჩაიყარგება ნაყოში მეფე და ყურბანს ზეარში გლეხები კრეფენ“.

სიმონ ჩიქოვანი ღრმა პატივისცემითაა გამსპავალული ყველა ადამიანისადმი, ვინც მართებულად აღადგენს ისტორიის ფერფლგადაყრულ ფურცლებს და თანამედროვეებს სიმართლის უსუსტად წარმოსახვით დაეხმარება. ამ მხრივ მისი სათაყვანო არსება იყო დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი, რომლის ნათელ სსოენასაც უძღვნის მშვენიერ ლექსს „გაწყვეტილი სიტყვა“, სახელოვანი მეცნიერის უცარ გარდაცვალებას იგი ისტორიულ სახეს უკავშირებს და ბოროტ თემურ-ლენგს სიკვდილთან აგვივებს, სწორედ იმ თემურ-ლენგს, ვინც ათასობით მისი წინაპრის სიკოცხლ შეინიჭა:

„თითქო სიგელზე თემური იწვა, შენ შეეხე და მოგტება ხელი...“

მამულისათვის უკვდავ მეცნიერის ჯათისა და გარჯის შედეგად მრავალმა „გაბრეფულმა გუჯარმა“ იპოვა პატრონი, მისმა წიგნებმა შორეული გზები გაანათეს, ისტორიის ხლართები გახსნეს და შემდეგ ისინი, „როგორც კოგრიტი“, საყვარელ მამულს გადაეცენენ. წარსულ საუკუნეთა ბევრ საიდუმლოს ახლა ფარდა ივანე ჯავახიშვილმა და ქართული ისტორიო-

1 პ. ანტოკოლსკი, „საქართველოს ნიჭიერი პოეტი“, გაზ. „ლიტ. და ხელოვ.“; № 8, 23/11, 1947 წ.

2 ალ. ბარამიძე, ჟურ. „ღროშა“, № 7, 1968 წ.

გრაფია უმაღლეს დონეზე აყვანა. სწორედ ამიტომ წერს ასეთი აღტაცების გამოხატველი სიყვარულით სიმონ ჩიქოვანი:

„შენმა სიმშვიდემ ცეცხლი დაწვრა,
გული გავაღა მშფოთვარე ფაზისს.
ჩვენს ისტორიას ბჭე თუ დაწვრა,
შენ მას დაკვიდე კარები ფაზისს“.

დღემს სამამულო ომმა სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში ახალი გმირული და პატრიოტული ფურცლები ჩასწვრა. იგი ზნობად იყოფებოდა ფრონტის მოწინავე ხაზებზე, როგორც კორესპონდენტი ან საშფო კონცერტების მონაწილე და ჰყვნი მეომრების უმაგალითო გმირობის ამბავს პოეტური სიტყვით ამცნობდა ქვეყანას. იმ წლებში დაწერილ მრავალ ლექსში სიმონ ჩიქოვანი აცოცხლებდა წარსულში თავდადებისა და შემართების უკვდავ სურათებს, უკავშირებდა მას თანამედროვეობას და კიდევ უფრო შთაშბეუდავს ხდიდა ლექსს. 1941 წლის აგვისტოშია დაწერილი საბრძოლო პათოსით ავსილი ლექსი „მამულს ეუთხრათ გამარჯვება“. პოეტი ისვენებს იმ შესანიშნავ ზეუღლებას, როცა ქართლის ვახზე შემხვედრის გამარჯვების თქმას ევრაივნი მოასწრებს. სიტყვა გამარჯვება ქართული კაცისათვის განურყელი იყო პირსა და ლხინში.

— „ქირში, ლხინში გვასწავლიდა
ეს მიმართვა გაკავებას,
რადგან ქართველს მარად სწამდა,
მშობელ ეუთხის გამარჯვება“.

ეს ლირიული წილსვლა ორგანულად უკავშირდება თანამედროვე მდგომარეობას, ახალ ელვარებას პოეტიკის აწმყოში, ზელს უწყობს რწვნის გაორკეცებას და პოეტიკ სახალხოდაცხადებს: „მტერი მოესპოთ სამედამოდ, მამულს ეუთხრათ, გამარჯვება“.

1942 წელსაა დაწერილი ლექსი „იერიშის დროს თქმულა“. აქაც პოეტი სინამდვილეს უკავშირებს წარსულის თემას, ხალხის მედგარ ბრძოლას თავისუფლებისათვის. „ვერვინ დამკვდარდა დამყრობით ქართულ მიწაზე“, იმედით ამბობს თერვის პირად მდგარი, პოეტი, როცა ჩვენი მეომრები „ტეტონურია შაი ტანკებისს“ და ვერავი ფაშისტების გასანადგურებლად ეშხადებთან. პოეტი რწმენას არ ღალატობს და წარსულიდან რეალურ ეითარებაზე ვაღმოღის. „მტკიცედ მიდიან, მდინარეზე მალე გავღლიან“.

1942 წელსევა შესანიშნავი პატრიოტული მგზნებარებით და მალაი პოეტური სულით დაწერილი ლექსი „ქართველი დღდა“. აქ პოეტი აღადგენს ცხრა ვეკაციის აღმზრდელი დედის უკვდავ სახეს. შემოსეულ მტერთან საბრ-

ძილველად მან ცხრავე ვეისტემირი გმირულად იბრძოდნენ ლომვედებზე მტრვედნენ. დროშა ზელიდან ზელში გადვდომილ თმეკვეს-ხრელად დუბრუნდა დღდას“ და თავად ქართული დედა გაუღდა ლაშქარს. ჩვენი შავხელი ისტორიის ამ საოცრად შთაშბეუდავ, შემადრწუნებულ გმირულ ფურცელს სიმონ ჩიქოვანი კარგად უკავშირებს თანამედროვეობას და ასე შესანიშნავად ამთავრებს ლექსს:

„წამომდგარი ლეჩაქს ვადაისერის,
გროის ციხით ახლავ უხმობს მშედარს;
— მამულისთვის, ბრძოლა მამულისთვის! —
ქარში რეკავს საქართველოს დღდა“.

1943 წელს დაწერილ ლექსში „ვინა სოქვა“ სიმონ ჩიქოვანს მეტად ორიგინალურად აქვს გააზრებელი საყვარელი მამულის ისტორია და თანამედროვეობა. იგი პოეტური რწმენით აცხადებს, რომ საქართველო არ არის პატარია. მისი მალაი მთები და მწვერვალებზე აზიდული ციხე-კოშკები, ხეობები და მდინარეები, ბუნება და უკვდავი სული სწორედ სიდიდის ნიშანია. ამ სულით და გმირობით შეინარჩუნა მან სიცოცხლე, მტერს ქედი არ მოუდრეკია, მასხაელი გზებში მოატანა ჩვენს დღევამდე. სწორედ ამიტომ აცხადებს პოეტი ამყვი ხმით:

„ვინა სოქვა, თითქოს პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი“...

სიმონ ჩიქოვანის ამ პერიოდის ამაღლებულ და გამამხნვეველ შემოქმედებას შესანიშნავად მიმოიხილავს მწერალი ვიორჯი ნატროშვილი. იგი აღნიშნავს: „ს. ჩიქოვანი სწერს აწმყოზე, საბჭოთა ხალხის სამამულო ომის მშფოთვარე დღეებზე, იმავე დროს მის სტრიქონებში პრესტიორიული წინაპრის ზმაც ისმის, ის რეალისტრი პოეტის თვალით ზედღეს იმ ძაუვებს, რომლებიც ხალხის ისტორიას და აწმყოს განუწყველად აკავშირებენ. პოეტის ლექსებში ჩვენ ვგრძნობთ ისტორიის განუწყვეტელ დინებას, ისტორიის მალავრ სუნთქვას.“

პოეტი წერს ისტორიაზე მხოლოდ იმიტომ, რომ უმღეროს ხალხის უკვდავებას. რით არის თავისებური მისი ისტორიზმი? წარსულის ვადმოცემისას იგი ეტება არა იმას, რაც ვაიფანტადროსა და სიერეში, აღწერს არა იმას, რაც დაინგრა, არამედ ის ვძებს და ნახულობს მარად მწვანე და მარად უკვდავ მარცვალს, სიცოცხლის შემცველს. ამაშია მისი და საერთოდ სოციალისტური რეალიზმის ძღვეამოსილება. პოეტისათვის ისტორია არასოდეს არ არის მვედარი, არასოდეს არ არის ვარდასული. ასე წერა ისტორიაზე შეუღლა მხოლოდ იმ პოეტს, რომელიც მტკიცედ დგას სოციალისტური რეალიზმის ნიადაგზე; ის იღებს ისტორიაში მარ-

ტო იმას, რაც არ ემორჩილება სიყვდილს, რაც უკვდავია, იმას, რაც წარუვალა წარმავალში.¹ სიმონ ჩიქოვანს ღრმად სწამს, რომ სამშობლოსადმი სიყვარული იყო და არის ძალა და საფუძველი ყოველგვარი მიღწევისა. ის ადამიანს თითქმის შეუძლებელს მიღწევაში ესმარება.

1945 წლით დათარიღებულ შესანიშნავ პატრიოტულ ლექსში „დიოსკურია“, სადაც ხალხის ძლიერებით ავსილი პოეტი დამაყვრებლად აცხადებს „ხალხის გათვლა ვერცხი ინებოსო“, მშვენიერი პოეტური მიგნებით, თავისებურა სხოთანი მეტაფორული აზროვნებით წერს პატრიოტიზმის ცხოველმყოფელ გრანძობაზე, რომელსაც არ ჰქონდა დასაბამი და არც დასასრული ექნება, რომელიც იყო სიმტიციის, ერთიანობის, ერთგულება ვერცხის შენარჩუნების უპირველესი წყარო:

სამშობლოს მიწას ხმლებით ეზომავდით
 კერ გადავტელა ვერცხი ბოროტად,
 კერცხი დაღუწა ჩვენი ხომალდი,
 სადაც სამშობლოს ფიჭვი ცხოვრობდა.

ხალხთა მეგობრობის, ინტერნაციონალიზმის მაღალი გრძნობა სიმონ ჩიქოვანს ადამიანის ერთ-ერთ უპირველეს დანიშნულებად შიანდა. მას კარგად ესმოდა, რომ ქართველი ხალხის ზეგობრობას რუს, უკრაინელ, სომეხ თუ აზერბაიჯანელ ხალხებთან საუკუნოვანი ისტორია გააჩნდა. ეს მეგობრობა ძალას მატებდა პატარა საქართველოს და ჰუმანიზმის ცხოველმყოფელი იდეალებისაკენ მოუწოდებდა. სიმონ ჩიქოვანი რუსეთთან სულიერი და გონებრივი დაახლოების საქმეში თვალსაჩინო მონაწილეობის მიღებისათვის ყოველთვის ღრმა მადლიერების ვრცნიებით იხსენებდა გამკრიბ წინაპრებს.

„რუს ხალხთან ქართველი ხალხის მეგობრობა, — აღნიშნავდა სიმონ ჩიქოვანი 1947 წელს, — XIX საუკუნიდან კი არ იწყება, არამედ მისი საფუძვლები XVII—XVIII საუკუნეებიდან მომდინარეობს. ვახტანგ შევექვისი, დ. გურამიშვილის და სულხან-საბა ორბელიანის დატოვებული ანდერძი ნ. ბარათაშვილის პოეზიაში კიდევ უფრო მკაფიოდ გაისმა და ნათელი პოლიტიკური გამკრიბობით დასაბუთებულ ექნა. 60-იანი წლების ქართული ლიტერატურული აზროვნების მესვეურები — ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ერთი მხრივ ამ ისტორიულ ტრადიციის აგრძელებენ, ხოლო მეორე მხრივ თავის აზროვნებით უახლოვდებიან ბელნიკის, ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვის მოწინავე შეხე-

დულებებს. ისინი რუსეთთან დაახლოების იდეას ახალ შინაარსს აძლევენ.¹

ძმობისა და მეგობრობის უჭერს უჭმულნი შთავგონებელი სიმონ ჩიქოვანი შეაწყვდეს ტრანით წერს ლექსში „მეგობრები“:

„წარსულშიც მუავს მოძმე მეონი,
 ყტლას მიეწედე, არ იქნება იოლი,
 მოძმეც გასკრა ვოლგა-დონი
 და თბლისთან მოაქროლა იორი.“

დიდი რუსი ხალხისადმი უანგარო სიყვარულია ნაჩვენები ლექსში „შემოღამება მამადავითხე“. აქ პოეტი იგონებს ორ დას — ჭავჭავაძის ასულებს, რომელთა მახლობელი ადამიანები ცხოვრების უცუღმართობას შეეწირნენ. ნინოს მეუღლე — დიდი რუსი პოეტი ალექსანდრე გრიბოედოვი სპარსეთში დაეცა აღქნით განგმირული, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილმა განცაში დალია სული. ერთმანეთთან დაკავშირებული მათი წმიდა სახელები პოეტს ოსტატურად ათქმევინებს:

„მწუხრში ჰიხვიანებს ქართლის მერაბი
 და ჩრდილოეთის ვარსკვლავს ვაპყურება“

სომეხი ხალხის სახელოვანი მგონის, ქართველი და სომეხი ხალხების ძმობისა და მეგობრობის დიდი მომღერლის ოვანეს თუმანიანის ქალიშვილს აშხენ თუმანიანს უძენის სიმონ ჩიქოვანი ლექსს „ყვარელი“. ყვარელში, ილიას სახლ-მეზუფის გზოში, სხედან პოეტი და მწერლის ქალიშვილი, იგონებენ ხალხთა ძმობის კელამბატორივით ანთებულ ოვანეს თუმანიანს, მას სიყვარული ილია ჭავჭავაძისა თუ სხვა ცნობილი ქართველ შემოქმედებადმი. რეს მტიყვე ინტერნაციონალური ერთიანობა, საც სოციალისტურმა უოფა-ცხოვრებამ დაამკვიდრა, პოეტის რწმენით, სათავეს იღებს წარსულში, როცა ეპოქის მოწინავე ადამიანები ძმობის საძირკველს აღუღაბებდნენ:

„აეწიოთ ყვარელში პირსავსე ჩამები,
 აეწიოთ და ვუთხრა სამშობლოს
 საკვირველს,
 გვეოლია სპეტაკი და დიდი მამები,
 და ადრეც ჰყარავდნენ ძმობისთვის
 საძირკველს.“

ხალხთა კემშარტი მეგობრობას საფუძვლის ჩამყრელიც და გენიალური შემოქმედიც იყო დიდი ლენინი. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ყველა მონაპოვარი მის უწვლავ

¹ გ. ნატროშვილი, „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, გაზ. „ლიტ. და ხელოვ“, №24, 21/VI, 1947 წ.

¹ ს. ჩიქოვანი, მოხსენება საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე, გაზ. „ლიტ. და ხელოვ“, №35, 20/IX, 1947 წ.

სახელთანა დაკავშირებულნი. მსოფლიო პრო-
ლეტარიატის ბელადის ძველი პოეტს სწორედ
ამგვარ ფიქრებს აღუძრავს. ის მეგობრობა, რომ-
ელიც პეშინისა თუ ლერმონტოვის დროს
დაიწყო, დიდმა ლენინმა ახალი ძალით გააძრწ-
ყინა და სამუდამოდ დაამკვიდრა, ჩვენი ხალხ-
ების საკეთილდღეოდ:

„დგას ლენინი, გულხშიერი,
მთის მახლობლად დაფშვნილი წყლის
ხმაურითა.

და ლენინი გზას გასცქერის,
სადაც პეშინის ლექსის შუქით ვაუვლია.“

სიმონ ჩიქოვანის რწმენით შრომა უოკელთ-
ვის იყო და არის მყარი საფუძველი ქვეყნის
შენებისა. იგი წრფელი პოეტური სიტყვით აქ-
ებს და აღიდებს ყველას, „ვიცქ ქვეყანას აშე-
ნებს და აშენებდა“. შრომისა და შენებისადმი
სისწრაფის სიყვარული ქართველ კაცს
ქალსა და რბილში ქონდა გამყდარი, ერთ
ხელში ხმალიც რომ სჭერდა, მეორე ხელით
შინდ თოხს ხმარობდა; გუთნისდღა დროებით
ხდებოდა მეციხოვნე, სამშობლოსა და ოჯახის
დამცველი, შვიდობის ჩამოდგომისთანავე კი
კვლავ შრომას უბრუნდებოდა. 1948 წელს ატ-
ენის ხეობაში მოგზაურობის შედეგად დაწერილ
შესანიშნავ ლექსში „კოლმეურნის აივანზე“ პო-
ეტი აღწერს გულუხვ მასპინძლობას გამრჩე კო-
ლმეურნის ოჯახში და სურვილი უჩნდება სწო-
რედ ამ ოჯახში აღდევრქვალის „აღდევანდელი
საქართველო“. იგი აკვირდება მოფხსფხსე
მასპინძელს და საქართველოს გმირული ისტო-
რიით ღრმად შთაგონებული წერს:

„მე ვიფიქრე, მასპინძელი ნეტავ
სად მინახავს, მეცნობა და ვერ ვიგონებ.
ვგებ არის ძველი გუთნისდღა,
ატენის თუ გორის ციხის მეციხოვნე“.

სიმონ ჩიქოვანის მდიდარ პოეტურ ფანტა-
ზიას შეეძლო რაიმე სრულიად უჩინოველო
მოვლენაშიც კი დაენახა ისტორიული წარსუ-
ლის სურათები და ის ისტორიული დაკავში-
რებინა თანამედროვეობისათვის. აი, თუნდაც
1936 წელს დაწერილი მსუბუქი, უბრეტუნო
ლექსი „იო“. შორაყვარებს პატარა რუ, „ჩერ-
ჩელებს სიონემში“, მისი ბუბუბუტი ფიქრებს
აღუძრავს პოეტს და ამ დახვეწილ განცდას
ისტორიის სურნელიც ეფინება:

„ვგებ რუა ცრემლთა გროვა,
ღნ ევარია ბაღის,
ან ზურაბის დედის გლოვა,
ვლოვა ანდროშაქის?“

უჩვეულო და ახლებური. მაგრამ სიმონ ჩიქოვან-
ის პოეტური მიგნებებს ზღვარი და მიჯნა არ
გააჩნია. პოეტი აღწერს როგორც მშვენიერ-
ად ლამით, გარეთ როგორც მშვენიერად ცხენის
ფარა, ეს ხმა სხვაგვარ ფიქრებს აღუძრავს და
აივანზე გამოსულ პოეტს უკვე თანამედროვეო-
ბასთან ერთად გარდასული მამივე დღეების ანო-
ციაიცაც ეუფლება:

„გადავხედავ, ფიქრის ძაფი გამიწყდება,
წინ მოედანს თეთრი ცხვარი ფარავს,
ვაკვირდები და წარსული ჰაიფიწყდება,
როს იწყოდა შტრის ალყაში ფარა“.

სიმონ ჩიქოვანი ისტორიული წარსულის
ტრავიულ სურათებს და ისტორიის უამრავ
სატიბოროტო საკითხთან თანამედროვეობის
დაკავშირებას მხოლოდ ლექსებსა თუ პოემამ
კი არ ახდენს, არამედ წერილებშიც, ნარკვევ-
ებშიც, მოგონებებშიც, გამოსვლებშიც. ეს თემა
იმდენად ორგანულია მისთვის, რომ უკვლავან
ბუნებრივად და ძალდაუტანებლად გამოიყურებ-
ება. შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითები იმის
დამადასტურებლად თუ როგორ ცდილობს პო-
ეტი საბულოვანი წინაპრების საქმე და სახელო-
დაუკავშიროს თანამედროვეობას.

ნარკვევში „აქაკი წერეთლის ლირიული ლექ-
სები“ სიმონ ჩიქოვანი წერს: „აქაკის მიერ ვა-
ნომილავანებული სიყვარული ღარიბი გლეხობა-
სადმი არის, ამავე დროს, პატრიოტული გრძნო-
ბის საფუძველი და მისი გამართლება... შეიძ-
ლება „განთიადის“ ავტორის სიყვარულს სამ-
შობლოსადმი ხალხური პატრიოტიზმი ეწოდოს.
ამგვარი საზოგადოებრივი გრძნობით იგი საბ-
ჭოთა ხალხის სულიერ ცხოვრებას ეხმარება
და თითქმის მისი იდეური თანამგზავნი ხდება“.¹

ვაფა-ფშაველას შესახებ წერილში „ერის წი-
ალში გადაგდებული სიტყვა“ პოეტი წერს: „ვა-
ფა-ფშაველა, როგორც პოეტური თემა, შემოიჭ-
რა ახალ ქართულ პოეზიაში და თავისი გმირუ-
ლი სულით და შემართებული ხასიათით საბ-
ჭოთა ადამიანების სულიერ ცხოვრებას ვაგ-
რძინა. იგი თავის დროზე მოგვევლინა, როგორც
ცნობიერი მშვენიების მომღერალი და სიციო-
ლის დამკვიდრებისათვის მებრძოლი ხელოვანი.
იგი ამ თვისებებით საბჭოთა ადამიანის მონათ-
სავე გახდა და საბჭოთა სინამდვილეს მისი ზრ-
აბები ორგანულად შეუნივთდა“.²

სიმონ ჩიქოვანი ხშირად მსჯელობის საგნად
ხდიდა იმ ვარკომებას თუ როგორ ასახედნენ
ქართველი მწერლები ისტორიას, გარდასულ ეპ-
ოქებს. ასეთ მსჯელობებს შევხვდებით აქაც

1 ს. ჩიქოვანი, თხზულებანი, ტ. III, გვ. 218,
თბ. 1963 წ.

2 ს. ჩიქოვანი, ვაზ. „კომუნისტი“, № 188,
26/VII, 1961 წ.

წერეთელზე, დავით გურამიშვილზე, ვასილ პარნოვზე თუ ნიკო ლორთქიფანიძეზე დაწერილ ლაშქარისადა ნარკვევებში. მას თითქოს ყველაზე მეტად მოსწონდა ნიკო ლორთქიფანიძის დამოკიდებულება ისტორიასთან, მისი სწორი პოზიცია და წარსულის სურათების შევლამახებლობის სურვილი. ნარკვევში „ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობები“ ავტორი წერს: „ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ისტორიულ თემებზე დაწერილ მოთხრობებს, ან, როგორც ავტორი უწოდებს, ისტორიულ რომანების ესკიზებს... „ეგზოპოთა სიყვე“ დასაყვლეთ საქართველოს გვიანი ფეოდალური ცხოვრების ერთი დამახასიათებელი სურათია, სადაც ყველაფერი დაფრთხილებულა და აღწერილია ცხოვრების ყველა ნაკილ თაყმუშეუკვებლად დაგმოზილია... თითქოს „ეგზოპოთა სიყვე“ და „ჩანდღების“ ავტორის შიშაჯარი ამოცანა იყო ისტორიული წარსულისათვის აღწერილი შემართება, გარკვეული პეწი და შორეულობის მახეწეებელი პოზა მოეშორებინა, მისთვის საშინაო იერი მიეცა... იგი თითქოს თავად მომსწრე იყო საკუთარ მოთხრობაში აღწერილი ისტორიული შემთხვევებისა და ამიტომ ყველაფერი ჩვეულებრივად და აღვილად მისაწვდომი ეჩვენებოდა...“!

ისტორიული წარსულის ასახვისა და ამ წარსულის თანამედროვეობასთან ორგანული კავშირის თვალსაზრისით, ისევე როგორც მხატვრული, იღვწოთ თუ. შინაარსობლივი მიგნებებით, სიმონ ჩიქოვანის მთელი შემოქმედების წვეწვალად მიჩნეულია ეპიკური პოემა „სიმღერა დავით გურამიშვილზე“. დავით გურამიშვილისადმი სიმონ ჩიქოვანი ღრმა სიყვარულით იყო გამსჭვალული, არა ერთი და ორი ლექსი თუ ნარკვევი უძღვნა მას. ეს პატივიცემა სახელოვანი წინამორბედისადმი სივრცე — სიგანით გამოჩნდა ამ ბრწყინვალე პოემაში. დავით გურამიშვილის ფრიალ უჩვეულო და უმდიდრესმა ბიოგრაფიამ ფართო პოეტური ასპარეზი გადაუშალა სიმონ ჩიქოვანს. პოემა 1942-1946 წლებში დაიწერა, ძირითადად დიდი სამშელო ომის დროს, და აქ მძაფრად გამოჩნდა ავტორის პატრიოტული სული, ხალხთა ძმობისა და ინტერნაციონალიზმის კეთილშობილი თვისებები.

ტვეობიდან გაქცეული პოეტი უბრალო, კეთილმა რუსმა მშრომელმა შეიხიზნა, პური აქამა, გაათბო, გულში ამოშობს მარცვალ დთესა; ძველი პერანგი გახადა და საკუთარი ჯუბა ჩააცვა:

„შენ რუსის ლექსამ გაგათბო, მძერი სიამით ღელავდი, სუფრით აყვავდა გულის თქმა, რომ მოაღწია ჩვენამდი“.

დავით გურამიშვილმა იგრწო, დაწმუნდა, რომ შორეულ რუსეთშიც პურელია, ნამდვილი მომე. მათ კალოზე შეერეს, ეჭობა, მარცლის ურყევი“, ამ მტკიცე ძმობამ შეუქრა წყენი და და ქარბზე გამოიარა, უფრენი გაანათა, საუენებები გადმოლახა, სამუდამოდ დამკვიდრდა ხალხის სსოვნაში „და ახლა ქართლის კერაზე ატმის ხესავით აყვავდა“.

„შენ რუსი შეგხვდა ნამდვილი“, — ეუბნება პოეტი დავით გურამიშვილს და სურათიდან, ხატოვანად გადმოსცემს ხალხის კეთილშობილ წარმომადგენლების ურთიერ გაგებასა და დაკავშირებას. სიმონ ჩიქოვანი შორეულ ისტორიული წარსულშიც დაეტებს ხალხის ცხოვრების გამაერთიანებელ მხარეებს, დაეტებს და პოეტობს მეგობრობის პირველ წყაროებს, ღრმად ვადგმულ ფესვებს და დავითის პიროვნების უდაღეს თვისებად, მისი ცხოვრების ძირითად და ამოსავალ წერტილად ხალხების დამეგობრების ძალა მიანიჩა:

„რუსული ხმების საამერ სიღბოს ავაშირებდა სამშობლოს ხმებთან და უქარიწულ სიმღერის კილოს შინ აწყვილებდა ქართვის ბედთან. უნდოდა ეთქვა სიმღერა ერთი, ლექსში სამი ხმით შეეკა ძმობა“.

სიმონ ჩიქოვანი გაბედულად უპირისპირებას ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქებსა და ისტორიულ მოვლენებს. ეს შთამბეჭდავი პოეტური ზერხი მას მრავალჯერ აქვს წარმატებით გამოყენებული. წარსულის წიაღში დასძული ბევრი სასარგებლო, კეთილნაყოფიერი მოვლენის უშუალო შედეგებს პოეტი თანამედროვეობაში პოეტობს, ასეთია მისი დამაჯერებელი დასკვნით ძმობის ის საწყისი, რომელიც დავით გურამიშვილმა მრისხანე ეპოქაში ჩაისახა რუს, უქარიწულ და ქართულად აღმოიანებს შორის. ამ ძმობამ დღეს არნახულ სიმაღლეს მიაღწია და სამარადეამოდ დააკავშირა ხალხები:

„რუსეთის და უქარიწის გული მძერი გრძნობით საქართველოს დაანათის. მამ, გავტეხით მეგობრულად პური და გრძნობები შევადღულოთ მარადის“.

პოემა „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ უდიდესი აღიარება მოიპოვა საქართველოში. მალე იგი ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებსაც გასცდა, როგორც ხალხთა ისტორიული ძმობის დიდი პიში და მომე ერების საუკუნეობრივი სიძლიერის გუჯარი. ინტერესმოკლებული არ იქნება აქ მოვიყვანოთ ცნობილი რუსი მწერლების მოსაზრებანი, სადაც ისინი უშუალოდ ვადმოკვეცემენ პოემისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას. ესევეოლოდ ვიშენესკი 1947 წელს ვაზეთ „პრავ-

1 ივნი, გვ. გვ. 360, 361, 362.

დაში“ წერდა: „სიმონ ჩიქოვანმა თავისი შრომა შეოპარ-პოეტის ცხოვრების აღწერას მიუძღვნა. მისი „სიმღერა“ აშუქებს დავით გურამაშვილის ფიქრებს, საქმეებს, საგმირო თავგადასავალს და შემოქმედებას. პოეტმა შექმნა ქართველთა, რუსთა და უკრაინელთა შეგობრობის ღრმა გრძნობით, პოეტურ — ფილოსოფიური ჩაფიქრებით და ბუნების აღწერილობით აღსავსე ნაწარმოები“¹.

ზორის ლაერენიოვი სათანადო სიღრმით განიხილავდა პოემას და აღნიშნავდა: „ს. ჩიქოვანმა, რომელიც მუდამ ახალ ვხვებს ეძებს პოეზიაში, შთაიფიქრა და დასწერა თავისი პოემა არასაყოველთაოდ ცნობილი კანონის მიხედვით. მან გადაიტანა იგი მუსიკალურ წყობაზე, შექმნა მთელი წყება ლექსად დაწერილი ეტიუდებისა, სადაც ასახულია ქართლის შშობლიურ მიწას მოწყვეტილი და უკრაინის მიწაზე მოხვედრილი დავით გურამაშვილის ბიოგრაფიის საკვანთო ამბები. ჩიქოვანის ლექსებში ჩვენს თვალწინ მკაფიოდ დგება დაბადებით ქართველი, საე-ხოვრებელი ადგილის მიხედვით — უკრაინელი, სამსახურის მიხედვით რუსი ოფიცერ-გუსარის, მიწათმოქმედის, ფილოსოფოსის, გამომგონებლის, გადახვეწილი პოეტის რომანტიული სახე. რომელსაც არასოდეს არ ავიწყდებოდა თავისი მხიერი სამშობლო. ჩიქოვანმა შესძლო ცოცხლად დაეკავშირებინა გურამაშვილის ცხოვრების შორეული წლები ჩვენს დღეებთან, დამაყრებლად გაეტარებია მთელს პოემაში ხალხთა ამოზინა იდეა, რომელსაც რეალურად ვგრძნობთ

პოეტის სახეში, სამი ხმით — ქართული, უკრაინული და რუსული ხმით. რუსული ხმით უკრაინული ეროსა და იმავს — უმშვენიერესი ქართველი თავისუფლებას“¹.

პაულ ანტოკოლსკი შენიშნავს: „ბევრი ისტორიული მწერლის მსგავსად, ჩიქოვანი კი არ იძირება დიდი ხნის წინათ გადაქროლილი ეპოქის ვითარებებსა და წერილმანებში; სრულიადი არა ჩიქოვანი ამოკანად ისახავს აღადგინოს თვით გმირი, მიუხალოვოს იგი დღევანდელ მეთხველს“².

წარსულისა და თანამედროვეობის ეს სასარგებლო შიხლოვება, დაპირისპირება და ამ ნიადაგზე დღევანდლობის უკეთ დანახვა სიმონ ჩიქოვანმა შესანიშნავად გადაქრა თავის ნარკალეროვან შემოქმედებაში. თითქმის იშვიათია ისეთი ქართველი პოეტი, რომელსაც ასე უხვად, ღრმად და, რაც მთავარია, სწორად ემღეროს ისტორიული წარსულისათვის. ვანვლადი ეპოქები სიმონ ჩიქოვანისათვის არის მოწინავე საბუთა შემოქმედის მახვილი პარტიულკლასობრივი თვლით დანახული ისტორია ამითაც არის გამოჩენილი ქართველი პოეტის შემოქმედება საინტერესო, სასარგებლო და აქტუალური ჩვენთვის, რადგან ვაჩვენებს როგორ უნდა გვიხილავდეს ისტორიული წარსული, როგორ უნდა მოვეუკრათ მას, და რაც მთავარია გვარწმუნებს, რომ გატაცებით გვიუვარდეს ჩვენი თანამედროვეობა, ეყოთ პარტიოტიზმისა და ხალხთა შეგობრობის მასაგეთ ერთგული დარაქები.

¹ გაზ. „იზვესტია“, 7 ივნისი, 1947 წ.

² გაზ. „ლიტ. და ხელოვ.“ 23/11, 1947 წ.

გურამ ბატიაშვილი

„ნუ გეშინია, დედა“

ახალგაზრდობის პრობლემის ლიტერატურულ დამუშავება დღეს სამართლიანად იქცა მწერლობის გამაძრებელი ინტერესის საგნად. მწერლობის ასეთი განსაკუთრებული ინტერესი ყინული კაცის სულიერი ცხოვრებისადმი შემოხვევითი როლია, იგი ცხოვრებისეული სინამდვილიდან მომდინარეობს და სწორედ ყოფაში თავიენილი წინააღმდეგობების, მთელი რიგი სართულეების შედეგია.

საზღვარგარეთის ქვეყნებში მომავლისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულების სენი ახალგაზრდობას საკმაოდ შოედო. მომავლის რწმუნადკარგული ახალგაზრდობის ეს განწყობილება: კი საგანგაშოა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მეოცე საუკუნის 70-იანი წლების ახალგაზრდობა ერთგვარად გაიოლებულად წარმოიდგენს ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებს და ცდობას გვერდი ადაროს იმ მნიშვნელოვან პრობლემებს, რომლებიც დღეს კაცობრიობის წინაშე დგას: თქმვა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ახალგაზრდობაში უმნიშვნელო ძალას როდი წარმოადგენს ის ნაწილი, რომელსაც ცოდნის წადილი ამოძრავებს, მისწრაფებს შექმნას რაიმე მნიშვნელოვანი კაცობრიობისათვის.

ჩვენში ახალგაზრდობის პრობლემა სულ სხვა კუთხით დგას და მის ყოფაში დადებითი და დაპიიხედებული დომინანტობს, მაგრამ საზოგადოებას, რომელიც კაცობრიობის საუკეთესო ცხოვრებისათვის იბრძვის, არ შეუძლია არ იფიქროს მომავალზე. ამ ფიქრის საგანი კი სწორედ ავთო ჟაჟელის კბილა ქაბულები არიან. რადგან სწორედ ეს არის ის ასაკი, რომლის შემდეგაც უნდა დაიწყოს ცხოვრების აღმართი.

ამიტომაც, ჩემი აზრით, ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია, დედა“ არ არის მხოლოდ მესაზღვრეთა ცხოვრების ანსახველი ნაწარმოები. საერთოდ, მწერლის ნაურ არჩეულ პრობლემას გააჩნია

თავისი ფონი, თავისი გეოგრაფიული გარემო, რაც რომანის ანტრეაჟად შეიძლება ჩაითვალოს, „ნუ გეშინია, დედაში“ ასეთი ფონია მესაზღვრეთა ცხოვრება. სულ სხვა საკითხია, რომ ნ. დუმბაძემ მესაზღვრეთა ცხოვრების ჩვენებით ერთგვარად განავრცო ქართული რომანის გეოგრაფიული არე.

ჩვენში არც თუ ისე იშვიათად ვხვდებით ნაწარმოების გულბრყვილო და ზერელე გაგების ტენდენციებს. ასე, მაგალითად, თუ რომანის მთავარი გმირი მეტალურგია, ეს იმას ნიშნავს, თითქოს რომანი მეტალურგთა ცხოვრებას ეძღვნებოდეს, თუ გმირი ექიმი, რომანის თემატ მუდიცინის მუშაკთა ცხოვრება არისო. რომანი იწერება არა გარემოზე, არა პროფესიაზე, არამედ აღამიანებზე, რომლებსაც პროფესიაზე უწინარესად გააჩნიათ ხასიათები, ბიოგრაფიები, მისწრაფებანი... მართალია, პროფესია თავის კვალს ავლებს აღამიანის ცხოვრებაში, მაგრამ იგი მთლიანად ვერ შესცვლის პიროვნების ხასიათს, და თუ ეს მოხდება, ე. ი. პროფესიის მეოხებით ხასიათის, შეხედულებების, მისწრაფებების შეცვლა, ეს უკვე თავისთავად საინტერესო საკითხია პროზაიკოსისათვის და ამო არ იქნება მისი გარჯა თუ ამ მეტამორფოზის პროცესზე დაწერს, რადგან გარემოს ზემოქმედებით აღამიანის შეცვლა მეტად მნიშვნელოვანი პროცესია.

ასე რომ, „ნუ გეშინია, დედა“ ავთო ჟაჟელის პიროვნებაზე დაწერილი ნაწარმოებია, უფრო სწორად, ავთო ჟაჟელის პიროვნებად ჩამოყალიბებაზეა დაწერილი.

ვინ არის ავთო ჟაჟელი, როგორ გვევლინება იგი რომანის დასაწერისში, და როგორ გვეტოვებს? აი, რა საკითხები უნდა იქნას განხილული, უწინარეს ყოვლისა, ამ რომანზე საუბრისას.

ეთო ჯაყელის ეინობას, მის სტლიერ რაობას ნაწილობრივ მაინც გვიჩვენებს ამონაწერა მისი განცხადებიდან, რომელიც სამედიცინო ინსტიტუტის რექტორის სახელზე დაწერა, მაგრამ ჯერ ავტობიოგრაფიას გავეცნოთ:

„მე, ავთანდილ განბოელის-მე ჯაყელი, დაეიბადე 1950 წელს, ქალაქ თბილისში, 2 მაისს, მისამსახურის ოჯახში. ვამაჩემი, ვაბრძოლ მსიღორეს მე ჯაყელი, დაბადებული 1925 წელს, ექმიო და დედა მანანა ისიღორეს ასელი ბაბთა-მე — ჯაყელისა, დიასახლისი, დაბადებული 1928 წელს, 12 მაისს, დაიღმენენ საავტომობილო კატატროფის შედეგად რიკოთის უღელტეხილზე 1960 წელს ორ მაისს, ღამით ღორშესთან, დედაჩემის სამშობლოდან, ზონიდან რომ ბრუნდებოდნენ, რის გამოც ბაბთამ, ისიღორე ჯაყელმა სწავლის გასაგრძელებლად სოფელ ბუციციხეში წამოყვანა“.

და შემდეგ განცხადება აეთო ჯაყელისა: „მოგახსენებთ, რომ 1967 წლის ივნისში დავამთავრე ზოხბატერის რანის სოფ. ბუციციხის სამხელო სკოლა. ბავშვობიდან მიტაცებდა სამედიცინო მეცნიერების მიმე, და საინტერესო დარგი, მიმანია, რომ შედიცინა ძალიან საკი-როა მოსახლეობის ყოველდღიურად მზარდი, მზაფრი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, მუაეს მოხუცი ინვალდი ბაბთა, ძველი კომუნისტა, დამსახურებული პარტ-მუშა-კი, მისი მარტოდ, უეჭვიოდ დატოვება თითქმის შეუძლებელია, რის გამოც ვახოვებ სეპარტულთ ბავშვობის ოცნება და ამართოთ ნება ჩავაბარო მისალები გამოცდები და შემდეგ მიმდით თქვენდამი რწმუნებულ ინსტიტუტის კედლებში“...

განცხადებში აეთო ჯაყელი მეტად ავლენს თავის გულბრწყვილ, ბავშვური და მიაბიტურ შინაგან სამყაროს, ვიღრე ავტობიოგრაფიაში.

აუკ რომ, აეთო ჯაყელი ბავშვური იღუბებით აღსავა, პროვინციელი გულბრწყვილო ბიჭია, რომელიც ეს-ეს არის ჩამოვიდა სოფლიდან და უნდა დაწეოს ცხოვრება.

აქ, ამ განცხადებამი საინტერესოა ერთი გარემოებად — თუ როგორ ქმნის ნოდარ დუმბა-ძე სათემორო სიტუაციას. მწერალი თავს აჩი-დებს თქვას რამე ისეთი, რაც სიცილს მოკგე-რიდა კეთხველს. იგი თითქმის დოკუმენტრია სიხუსტით გვიჩვენებს ყმაწვილის სულაერ სამ-ყაროს, ყმაწვილისა, რომელსაც „ბავშვობიდან იტაცებდა სამედიცინო მეცნიერების მიმე და საინტერესო დარგი“, რომელსაც მუაეს ბაბთა, რომლის „მარტოდ, უეჭვიოდ დატოვება თითქ-მის შეუძლებელია“. ამ ბიჭს სურა, რომ უყვე-ლიეე ამის გამო უნდა შეუსრულონ ბავშვობის ოცნება. კონტრასტი ამ ბიჭის მიერ რეალურად მიჩნეულსა და ნამდვილ, ცხოვრებისეულ რეა-ლობას შორის უეკე წარმოშობს სათემორო სი-ტუაციას; რეალურისა და მოჩვენებითი რეა-

ლტრის შეპირისპირების მეოხებით ნ. დუმბაძე იუმორისტულ პასაეს ქმნის, ამას გარდა, მიღ-წეულია მთავარი მოზანი ~~საქართველოში~~ აეთო ჯაყელის პიროვნება, მისი ~~სიხუსტით~~ იგი, ვანიჩა ბიძის თქმით, „საკარგაკოდ გამ-ზადებული ცომა, რომელსაც მოხელა ავლია“. აეთო ჯაყელი დაახლოებით სელინჯერის პანის ასაკშია და, მართალია, აეთო და პანსი კატეგო-რიულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სოცე-ალური გარემოთი, აღზრდით, რწმენით და ბე-ერი სხვა ნიშნით, მაგრამ მათში არის რაღაც სა-ერთო და ეს საერთო კი უმთავრესად დამოკ-დებულებათა, ემოციის განიხატებისა და აზრო-ვნების სისტემაა. ეს მეტად საყურადღებო ფა-ქტორია და ასეთი მიხბოვბა უთოოდ ასაკო-ბრივი ერთიანობით უნდა აიხსნას. ცხადია, აღ-ზრდის მეთოდები დიდ გავლენას ახდებს ბავშვის სულიერ წრთობაზე, მაგრამ ეს გავლენა მაინც გავლენად რჩება და მოზარდის ბუნება კი მა-ინც მოზარდის ბუნება.

„ეთო ჯაყელი ყმაწვილი კაცია, რომლის შინა-გან სამყაროში თვლენს ბაბთისა და მამის მიერ განვლული გზა. მართალია, ამ გზაზე მისთვის ბეერი რამ გაუთვითინობიერებელია, მაგრამ ის, რომ აეთო ამაყობს ბაბთითა და მამით, უეკე კარგ სიმპტომებს წარმოშობს.

ამით კიდევ ერთხელ ცხადი ბდება, რომ წი-ნარების საქმენი და მათი ცხოვრება ზრდიან მომავალ თაობებს, ბაბთისა და მამის კულტი კი საკმაოდ ძლიერია აეთო ჯაყელის სულში. ყოვე-ლი ცვლად დამთავრებული საქმის შემდეგ აეთო ჯაყელის ერთერთი პირველი ფიქრია თუ როგორ წარსდგება ბაბთა ისიღორეს წინაშე, რაც აღმამაში საერთოდ მისი შინაგანი პასე-ხისაგებლობის გრძნობას ნიშნია.

ყველაფერი ეს ერთგვარად წარმართავს აეთო ჯაყელის პიროვნებას და სიკეთის გზაზე აყენებს მას, მაგრამ მთავარი მაინც სულ სხვაა.

ქართული კაცის სულში, და ეს, ალბათ, ასეა ყოველი კეთილშობილი, მოწინაეე ერის სულშიც, დედის სახებას განსაკუთრებული მნი-შენელობა ენიჭება. დედის კულტმა დამის ღეთე-დის კულტს გადააუბრობს. რადგან ღეთეებისა-ღმთი თაყვანისკუბას მის წინაშე შინა განმარო-ბებს, დედის კულტი კი თავისთავადი, ბუნებრი-ვია და შიშით არ არის განმარობებული. დღეს საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ქართული კა-ცის სულში დედის კულტი დომინანტობდა მე-დამ. საამისოდ ეთნოგრაფიული მავალითების მოშველეობა არც მიგანინია საჭიროდ. ეს ვარე-მოება კარგად იცის თავისი შემოკლებებითი ხა-სითათი ისეთმა კეთილმა მწერალმა, როგორიც ნოდარ დუმბაძეა (რადგან არ შეიძლება შენი იუმორი იყოს მადლცხებული, თუ სიკეთით არ არის იგი ნაყარანებული). იცის და ქართული კაცის სულიერ სამყაროში არსებული ეს თეისება აქ-ცია თავისი პერსონაჟის, ყმაწვილი კაცის პირო-



ვნებად ქვეყის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად. მან იცის თუ რაოდენ რთული ფენომენია, ერთი მხრივ, ჩამოუყალიბებელი, ცხოვრების გზა-ჯარღინზე მდგომი უმაწილი კაცი და, მეორე მხრივ — დედა. და აი, ეს ორი ფენომენი დაუყენა ერთმანეთის გვერდით.

ამვე გავიხსენით თუ „რაოდენ ძლიერია დედის სახე ნ. ლუმბაძის წინა რომანში „შობანი ლაშქ“. ამ რომანის ის პასაჟები, რომლებიც დედას ცხოვრებას ეხება, ზომიანი ეპიზოდები. ასე რომ, „ნუ გავინია, დედაში“ დედის სახება შემთხვევით არ მოხვედრება, ეს არის თემა, რომელიც ადრევეს ნოდარ ლუმბაძის და მისი შემოქმედების ერთ-ერთი სტიმულატორია.

დედის თემა ნ. ლუმბაძის შემოქმედებაში შეზღუდვით განვითარებას პოულობს ამ რომანშიც. ნ. ლუმბაძის არჩევანი, რომ უმაწილი კაცის პიროვნებად ქვეყის ერთერთ, თითქმის გადაწყვეტს საშუალებად გვაჩვენოს დედის სიყვარული, მისი ხსოვნისადმი გაფრთხილება, ამ მხრივაცაა გამართლებული, რომ მეტყველებს მწერლის ერთად განზრახვებზე — იყოს ბოლომდე მართალი, რაოდენ ჩანს, ნ. ლუმბაძემ ჩინებულად იცის უმაწილი კაცის ბუნება. მისი ხასიათი — უმაწილი კაცისათვის ზომიანი განსაზღვრებით ძვირფასია დედის სახება.

ამ საყურადღებო ერთი ფაქტორი — გავიხსენით თუ რაოდენ განიცდის დედის ზმანებას ფრონტზე მყოფი აეთოს მამა ვაბრიელ ჭაყელი. ვაბრიელ ჭაყელისათვისაც სწორედ ცხოვრების უმძიმეს წუთებში, სიყვდილ-სიციცხლის მიქნაზე, სიციცხლის შენარჩუნების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად დედის სახება იქცევა. იგი მატებს ძალას, საყვართი თავის რწმენას. გავიხსენით თვით აეთოს შინაგანი მონოლოგები დედისთან, როცა იგი წარმოსახვით ესაუბრება დედას.

ეთოს ჭაყელისათვის დედის სახე, დედის სიმბოლო, იქცა პიროვნებად ქვეყის საშუალებად. ვეღვაფერი ეს კი ნ. ლუმბაძის ნაჩვენებია აქვს შესაზღვრება ცხოვრების ფონზე. შესაზღვრებობაში გამოავლინა და დააჩქარა პროცესი პერსონაჟის პიროვნებად ქვეყისა.

თუ რამდენად მნიშვნელოვანია შესაზღვრებო ცხოვრება აეთოს ჭაყელის სულში მიმდინარე პროცესების დამთავრებისათვის, ეს ცხადია შემდეგი დეტალებიდან.

„ვანიჩკა ბიძამ ღვინო დაასხა. ადამიანის გამოსაცდელად ღმერთს ბევრი რამ გამოუგონია, აეთანადიდ ბიძიო, — თქვა ვანიჩკა ბიძიამ და წახანჯლვანი ჭიკა შავიდაზე ფრთხილად დაატრიალა. — მე სამი რამ ვიცი: ჭარი, ციხე და შთა. ზოგი მთის ნაცვლად ზღვას იტყვის, ზოგი ცის, ზოგი ტყეს, ზოგი უდაბნოს, კისსად გასჭირვებია, იმას იტყვის. პირველი ორი კი ნაღვია, ყველაისათვის ერთია ჭარი და ციხე. თუ ჭარში გაფექვი — სიყვდილია, თუ ჭარში მკა-

ციას უღალატე — იყვდილია, თუ მკაცრია გიღალატა — სიყვდილია“.

ადამიანები სხვებთან ურთიერთობაში უნდა იყოს საყვართი თავის, საყვართი პიროვნულ თვისებებს. არ არსებობს კეთილი კაცი განკერძოებულად, არსებობს კეთილი კაცი საზოგადოებაში, ადამიანებს შორის. მათთან ურთიერთობაში გავიკვლინდება ადამიანის კეთილი თვისებები. ასევე არ არსებობს ბოროტი კაცი განკერძოებულად. ადამიანები სხვების მეოხებით საყვართი თავის ხედვენ.

ზნაბრისებულად, შერბინისთან, პარზომენკოსთან, ლაღუნასთან, ალი ხორავასა და სხვებთან ურთიერთობაში ავლენს აეთოს ჭაყელი საყვართი თავის, დღითიდღე იხვეწება მისი ხასიათი, ნელ-ნელა, თითქმის შეუმჩნეველად კი. ნ. ლუმბაძე ჩინებულად, ბრწყინვალე აღლოს მქონე მწერალია და მან იცის, რომ ნამდვილი ლიტერატორ ვერ იტანს სათქმელის გამოშვლებას, ნაწარმოების იტერის ზედპირზე დაღვებას. იგი სიფრთხილით მტყუნებს აეთოს სულს, მიჰყავს იმ იდილაში, რომელიც ჭაყელის დედისათვის იყო სასურველი, მიჰყავს იმ საფინალო ეპიზოდამდე, სადაც უკვე საყვებით ცხადად ჩნდება ნაწარმოების მთავარი თემა — აეთოს ჭაყელის პიროვნებად ქვეყა.

ეთოს ჭაყელმა სამხედრო სამსახური გაასრულა, ახლა იგი მატარებლით შინ ბრუნდება. დამთავრდა ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი მისი ცხოვრებისა. და აი, კვლავ წარმოსახული გასაუბრება დედისთან.

- ზომი ადარ წახვალ, დედა?
- ჭარ არა, ჭარ უნდა გავიგო, რას ფიქრობს ჩემი სისხლი, რას ამბობს, საით მიედინება და რასთვის იღვრება.
- ეერ გავიგე, რას შეკითხები, დედა?
- შენ უნდა იცოდე უკვე, საით მიდიხარ, რას ამბობ, რა უნდა გამოხვიდე — კაცი თუ პირუტყვი!
- მე ჭარ არ ვიცი, რა უნდა გამოვიდე, მე ჭარ მხოლოდ მინდა“

და ის, რისი გაცეცხლებაც აეთოს ჭაყელს სურს, კარგი კაცის განაკეთებელი საქმეებია. იგი კარგი, ადამიანური საქმეებისათვისაა მომართული და არ შეიძლება მიზანს არ მიადლოს, რადგან ახალგაზრდა და ახალგაზრდა კაცის შემდგომი ცხოვრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა მიზანი აქვს დასახული მამინ, როცა ცხოვრებას იწყებს.

დედისთან დიალოგის მეოხებით ეცნობით, თუ რა სურს აეთანადიდ ჭაყელს და უკვე ვაჩვენებ მისი, ეცნობით მას ცხოვრების გზაზე.

ეთოს რომ პიროვნულად ჩამოუყალიბებელი იყო, ამას მისი და დადუნას რომანიც მოწმობს. ეთოს და დადუნა სრულიად სხვადასხვა სულიერი წყობის ადამიანები არიან, სხვადასხვაგვარია მათი აღზრდა, ბიოგრაფია, სულიერი ინ-



ტერქსები და მრავალი სხვა მომენტი, რაც მინ-
 შენელოვან როლს თამაშობს ყოველ ქალ-ვაჟს
 შორის სიყვარულის წარმოშობის საქმეში. აქ
 იმის თქმა რთული გეინდა, თითქოს დადუნა აბ-
 სოლენტრად უარყოფითი პერსონაჟი იყოს, ხო-
 ლა ავთო — დადებითი და მათი ურთიერასიუ-
 ვარული შექმნაღებელია. არა, ეგზოტური ვით-
 ვნას ერთი ბრწყინვალე ფრაზა. „სიყვარული
 არ ნიშნავს ერთმანეთის თვალბში ცეკრას, სიყ-
 ვარულია მამინ, როცა ორი ადამიანი ერთი მი-
 მართლებით იცეკრება“. ავთო და დადუნა ევ-
 რატონი ვერ მოახერხებენ იმას, რომ ერთი მი-
 შრომულებით იცეკრონ. იქნებ ამის გაუთვით-
 ცნობიერებელი მიხედვრად ხდება იმის საბაზი,
 რომ ავთოსთვის ნელ-ნელა იყარება დადუნა,
 მის ფექრებში აღარ არსებობს, ერთგვარად გი-
 ფანტა. მაგრამ რაღაც ხომ მაინც იყო? რაღაც
 ხომ მოხდა? ავთოს არ უყვარდა დადუნა, ავ-
 თოს ეგონა, რომ უყვარდა, მაგრამ ეს ასე არ
 იყო, იგი ცდებოდა ავთო ვატიკა დადუნას სი-
 ლამაზზე, მოხდენილობაზე და პრაგმატიკული ბი-
 ჰი ამ მომხიბლავი დედაქალაქელი ქალის „დრო-
 ებით ოქტაპიაში“ მოექცა. ეს კიდევ ერთი ნი-
 შანია იმისა, რომ ავთო ჩამოუყალიბებელი ბიჭი
 იყო. მაგრამ დადუნას მეგობრების წრე ერთგ-
 ვარად განამარტობს კიდევ ავთოს პიროვნული
 იმპულსების განვითარება.

თუ დადუნასთან ურთიერთობის საკითხი ერ-
 თგვარად გარკვეულია, ამას ვერ იტყვი ფერი-
 დესთან რომანის თაობაზე. ფერიდესთან რომა-
 ნი, ისე როგორც თვით ფერიდესს სახე. ნაწარ-
 მოვებში რაღაც შემთხვევითობის ხასიათს ატა-
 რებს. საამისოდ არც ნადავია შემხალაღებელი და
 არც ზეირიანი დასასრული ექვლეა ამ ამბავს.
 თათქოს ავტორი უფრო გარწმუნებით, რომ ავ-
 თო ჟაყელს ფერიდეს უყვარს, ვიდრე თვით ავ-
 თო ჟაყელი. საესებით გასაგები და ბუნებრივი-
 ცა ალი ხორავასა და ავთო ჟაყელის ეპიზო-
 დი ზღვაზე, მაგრამ რომანში ნაჩვენებია არ არის
 თვით ის პროცესი, რამაც ალი ხორავას ასეთი
 რეაქცია — საქმეში მამაშვილური ჩარევა გამო-
 იწვია მართალია, შემდეგ ჩვენ ვითხვებით
 თვით ავთოსა და ფერიდესს შეხვედრის ჩინებუ-
 ლად დაწერილ ეპიზოდს, მაგრამ ეს მაინც შე-
 დევნა და არა პროცესი. ამის გარდა, თუ მათ
 მართლა უყვართ ერთმანეთი, რატომ არ შეიძ-
 ლდებათ? (სწე ავლექი და უხვოდ წამოყვდი
 ტიშქრისაყენ. ტიშქარს რომ ეხერავდო, ფერი-
 დესაყენ გავიხდო. მას თავი მუხლებში ჩაერგო
 და მხრები უცახებდა). აქ საქმე ისე მთავ-
 რდება თითქოს ავთოსა და ფერიდესს რაღაც გა-
 დაუღლავი წინააღმდეგობა არ აძლევდეთ შე-
 უღლებების უფლებას.

მაგრამ, ასე თუ ისე, ალი ხორავასთან კონ-
 ტაქტში ერთხელ კიდევ ცხადად დაგვიანება, რომ
 ავთო ჟაყელი სწორედ აქ, საზღვარზე სამსახუ-
 რში იქცა პიროვნებად, აქ იგი გამოიწრთო, აი,

ამის ნათელი მაგალითი, შენაგანი მონაროგი
 ავთო ჟაყელისა:
 „ალი ხორავა, შენ გამოტყვევდი, გენახა, შენ
 იცი, რომ ხეალ გრივალი ამოვარდება, ზღვა გა-
 დიარება, ნამარებს წალკაყს და შეიძლება და-
 აბრჩოს ავთანდილ ჟაყელი, მაგრამ ავთანდილ
 ჟაყელი ზღვა ამ ზღვაში, ავთანდილ ჟაყელს მოს-
 სიხვის ზღვა სელსა და ავთანდილ ჟაყელი არ
 მისცემს სელს ზღვას, არც ვეშაპის სულში მო-
 იხარშება ავთანდილ ჟაყელი. ავთანდილ ჟაყე-
 ლის ნაეი ნამარისაყენ მიდის. ალი ხორავა! ავ-
 თანდილ ჟაყელი მადლობელია შენი!!!“

უფიქრობთ, ამ პატარა მონოლოგში საყმაოღ
 ცხადად გამოიყვეთა ავთანდილ ჟაყელის შინაგან
 სამყაროში მომხდარი ძქრა.

თუ ფერიდესს სიყვარულს თან სდევს ერთგვა-
 რი სემბურული გაურკვეველობა, ამას ვერ იტყ-
 ვი ავთო ჟაყელის სიყვარულზე მეგობრებისად-
 ში. ამოს, პარხომენოსა და შერბინასადში გა-
 მოყენილი სიყვარული ადამიანური სითბოთი
 აღავსებს „ნუ გეშინია, დედას“. აღამიანი ძლი-
 ვრჩია იმდენად, რამდენადღე შეუძლია მას სიყ-
 ვარული და სიძულელი. აქ არ არსებობს რაიმე;
 ზღვარი. ავთო ჟაყელისათვის მეგობრებისადში
 სიყვარული უწინარეს ყოვლისა, საყეთარი იდე-
 ალებიხად ერთგულებასა და სიყვარულს ნიშ-
 ნავს, რადგან მისი მეგობრებიც ამავე იდეალებ-
 ბისაყენ ილტვიან.

ამ მხრივ საყურადღებოა პეტრო შერბინას წე-
 რილის ამბავი.

ამ წერილში, რომელშიც გამხედილია შერბი-
 ნას ნათელი შინაგანი სამყარო, ძალაუნებურად
 ანდერძის დანიშნულება მიიღო. ეს წერილი წა-
 იყიხთა ავთომ დადუნას მეგობრის ოქაში. ერთ-
 ვრთმა პერსონაჟმა, რომელიც ერთგვარად გან-
 სხვადდება ამ ომიოატლებსიხაგან, ავთოს სთხო-
 ვა წერილი მათხოვეო. ავთომაც მისცა. რა არის
 ეს? გაუფრთხილებლობა მეგობრის ხსოვნისად-
 ში? უფიქრობთ, რომ არა? პეტრო შერბინას წე-
 რილში ისეთ კატეგორიებზეა ლამარაყი, თვით
 პეტრო შერბინას ცხოვრება ისე დამთავრდება
 და აქედან გამომდინარე ამ წერილის ბიოგრაფი-
 აც ისეთია, რომ არ შეიძლება მან ერთგვარი
 გავლენა არ მოახდინოს ამ ახალგაზრდებზე. არ
 შეიძლება ამ წერილში არ გააღვივოს იმ ყმაწ-
 ვილების და ქალიშვილების სელის წიალში ჩა-
 მალული კეთილი თესლი და უფრო საღი თვა-
 ლით არ დანახოს მათ ახალგაზრდა ცაყის მო-
 სიხა სხოვადოგებში. ამაზე მეტყველებს ის ფაქ-
 ტიც, რომ ავთოს ეს წერილი სთხოვა დადუნას
 მეგობართა, უწინართა წრის ერთ-ერთმა წერ-
 შა. როგორც ჩანს, მას რაღაც ენიშნა, მის სელ-
 ში კეთილმა იმპულსებმა გაიღვიძა. ავთო ჟა-
 ყელმა სამუხუდემო, ხელდაუყარებელ ექსპონა-
 ტად არ აქცია მეგობრის ბარათი — ანდერძი,
 პირიქით, სიცოცხლე გუხანგრძლივა მას, ამით
 თვით პეტრო შერბინას სიცოცხლე გაახან-

გრძლივა. საყოველთაო გახადა იგი. ზოლო თუ რამდენად ძლიერია შერბინისადმი სიყვარული მის გულში, ამას ნათლად ვხედავთ ეპიზოდში, როცა ოთახში საცხოვრებლად მოღალე ზედღობი, რომელმაც შერბინას საწოლი უნდა დაეკავოს. ეს ეპიზოდი გზარავთ მეგობრის დაყარვის მძაფრი ვანცდით. ჩინებულად აქვს დაწერილი ეს ეპიზოდი ნ. დუმბაძეს. აქ ნათლად იგრძნობა ავთო ჟაყელის სულიერი განწყობილება, იგრძნობა მისი ერთგულება დაქარავთ მეგობრის ზნაოვნისადმი.

„ნუ გეშინია, ღედა“ არ შეიძლება სქელტანინან ან თუნდაც მრავალპლანინან რომანად ჩათვალოს, თუმცა აქ სხვადასხვა ბედის, ბიოგრაფიის, ხასიათის ადამიანებს ვხვდებით. ყოველი მათგანი გარკვეულ ინტერესს იწვევს, მაგრამ რომანის ერთ-ერთ საინტერესო სახედ მაინც მია ვანო მიიჩნევა.

იქნებ თვით მია ვანიჩკას ბიოგრაფია განამორბებს მისადმი ასეთ ინტერესს, იქნებ ისიც კი, რომ სწორედ მია ვანოს შემოაქვს ის მამხილებელი პათოსი, რომელიც ამ ნაწარმოებში, მართალია, არ დომინანტობს და „ნუ გეშინია, ღედას“ მთავარ შავისტრატორ ხაზს არ წარმოადგენს. მაგრამ მაინც საკმაოდ თვალბილულად ჩანს, ანა აქვს ერთგვარი გამართლება. ვანიჩკას იმდენი ჰიერი გარდახდენია თავს, იმდენ ზორტსა და ავს ზაუვლია მის თვალწინ, რომ ზუნებრივია, მას ექნება მძაფრი რეაქცია ცხოვრების ამითვიმ მოვლენის მიმართ — ყოფის ის ნაკლავანებანი, რომელთაც მია ვანიჩკა დასციენის ზოლი, აზარად მიიჩნევა იმასთან შედარებით, რაც მას გარდახდენია, რაც მას უნდახვს. ამიტომაც არის მისი მხილება მოუერტლად პირში ნათქვამი სიტყვა, სიმარტლის სიმწარეც რომ დაჰყვება ზოლი თან. მაგრამ მია ვანიჩკას სახე სხვა მხრეც არის საინტერესო. გავიხსენოთ მია ვანიჩკასა და ავთო ჟაყელის შეხვედრა რესტორანში, მია ვანიჩკას ნაამბობი ფორანტული ცხოვრებიდან. ამ ეპიზოდში გამოხატულება ჰმოე ქართული მწერლის მაღალმა ჰუმანტრმა სულისკვეთებამ საერთოდ, რაც ცხადია, ქართული კაცის სულიერი სიმდიდრიდან მომდინარეობს. მია ვანიჩკა თავისი აბურდული ცხოვრებით, პირში მოქველობით გაცილებით საინტერესო პიროვნებაა, ვიდრე მისი მუდღეუ შერი. ამიტომაც ავთო ჟაყელი უმალ პოულობს მასთან საერთო ენას და ბევრ რამესაც სწავლობს მისგან.

იუმორისტულ პროზაში დღეს მრავალგვარი სახეობა შეინიშნება. მაგრამ ჰუმორისტ მწერლობასთან ძალიან ცოტას თუ აქვს საერთო. იუმორისტული პროზა არ ნიშნავს ადამიანის გაცივნებას ყოველნაირი სარელობით. ჩვენ კი იშვიათად გვხვდებიან გეიტობილები ზოლიე ისეთ მოთბობებს, რომლებსაც აბსოლუტურად არაფერი აქვს საერთო ნამდვილ ლიტერატურასთან და მაინც იუმორისტულ პროზად საღებია, ან კიდევ ძალზე მდაბალი, ცოტა არ იყოს და უხერხული, ლიტერატურულად დაუკმაყოფილებელი მკითხველის გატყუება. ამ პროზაში დროს ასეთი ტენდენციაც დამკვიდრდა — სწორედ ერთ სახეობა, უნიკო პროზებზე, რომელსაც რაღაც ნაკლიც ვაჩინა (კოპლია ან ცხვირმოღრეცილი, ზღუ ან ზელმოკლე, უციცი ან ქალაქურ ყოფას შეურევეელი, ზერინვა სრევეია ან რაღაც სხვა უბედურება სტორს), სწორედ ამ ნაკლის მეოხებით ამოაბრუებენ ამ პატროსანი ბუნების კაცს და ქმნიან იმას, რაც სრულიად საწინააღმდეგოა ჰუმორიტი მწერლობისათვის.

ნ. დუმბაძისათვის თავიდანვე უცხო იყო ასეთი იუმორი, მის რომანებში იშვიათად შეხვედებით დაეინვას ადამიანური ნაკლის მიმართ, პირიქით, ნ. დუმბაძე თავისი მაღალტყეული იუმორით ცდილობს გვერდში ამოუდგეს ადამიანს, ბუნებრივ მას. გაამწვევოს, ჰიერი ვაქარევიბის. ეს კი ლიტერატურის მისიაა.

„ნუ გეშინია, ღედა“ არ შეიძლება იუმორისტულ რომანად იქნეს მიჩნეული, მაგრამ მასში მაინც მყოფოდ იგრძნობა ის ხალასი იუმორი, რაც საერთოდ დამახასიათებელია ნ. დუმბაძისათვის. საამისო მავალითის მოყვანა მრავალდ შეიძლება, მაგრამ ამყარება ჩვენ გვიჩნდა ერთ გარემოებაზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. ამ რომანში თავი იჩინა ტრთმა ტენდენციამ — იუმორში შეზავებული იქნას იმ მანკიერი მოვლენებისადმი ირონიული დამოკიდებულება, რომლებიც ჩვენს ყოფაში შეიმჩნევა.

ირონია თითქმის ერთგვარი ზერინ ვახდა ნაკლავანების გაბიბრეებისათვის. მისი ვანქიქებისათვის.

„თითო გამოსაცდელს რვა და მეტი ჰიირისუფალი ახლდა აქ იყენენ დედები, მამები, დები, მებები, დეიდები, მამიდები, ბიციოლები, ნათლიები, ბიამშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბებუები, ბაბუები, მოდიოდნენ ტაქეებით. საყუთარი „მოსკეინებით“, „ვიოლებით“, „ზაპოროვეციებით“, „ზიმებით“, ავტობუსებით, მოტოციკლებით, მოტოროლებით. ერთი-ორი კაცი სატვირთო მანქანითაც მოვიდა, იდგნენ მზეში, უსაშველოდ მესტუნვარე მზეში, ოფლად იღვრებოდნენ, ლაპარაკობდნენ, ქაქანებდნენ, ოსრავდნენ, კამათობდნენ, ეცობი უუარობდნენ ერთმანეთს, ვათით, ამათ მოზღდა და ჰემი — არაო. ზოგი ძალიან მშვიდი ჩანდა, ზოგი ზომამზე მეტად აღულებული, ზოგი ვაფიორებული, ზოგი ვაწიოლებული“.

ირონიის გრძნობა თანდათან მატულობს ამ ჩამოთვლაში, მწერალი დასციენის მანკიერ მოვლენას, ფაქტს და არა პიროვნებას, რადგან იციის, რომ ასეთი და ამის მსგავსი რამ ღირსებას უქარავს თვით ადამიანს.

„ნუ გეშინია, ღედა“ კეთილშობილური თემისადმი მოძღვნილი ნაწარმოებია: რომანში და

მეშველებელია ყმაწვილი კაცის პიროვნებად ქცევის პრობლემა. ქართულ შწერლობაში ბევრი როდი მოიძებნება ისეთი ნაწარმოები, რომელიც ამ პრობლემას ებებოდეს. შწერალმა უთუოდ წარმატებით გადასჭრა ამოცანა, ამაზე შეტყველებს დიდი პოპულარობა ამ რომანისა, ასეთი წარმატება კი მხოლოდ უტუთარი ლიტერატურული ღირსებებით აღჭურვილ ნაწარმოებებს ხედვებით ხოლმე წილად.

უოველი პროზაული ნაწარმოებისათვის მნიშვნელოვან გამოცდად მიიჩნევა მისი გასცენირება, რადგან გასცენირება თავისთავად ისეთი ფაქტია, რომელიც საკმაო საფრთხის წინაშე აყენებს ნაწარმოებს. სცენა ამიშვლებს პროზას, თითქოს რენტგენის სხივებში ატარებს და ასეთა სახით გვაცქერინებს მას თავისებურებაზე. ღირსებაზე თუ ნაკლებზე. რაც შეიძლება ნაწარმოებს გააჩნდეს.

ინსცენირებისას მკაფიოდ იჩენს თავს უოველი ნაკლი ნაწარმოების. რადგან სცენაზე ვადა-

დის, ის, რაც ნამდვილ ლიტერატურულ რსტობას მოითხოვს — პრობლემატის სასოთხები, კონფლიქტი — ეს საში ელემენტები სცენაში რომანის ის მნიშვნელოვანი საურდენებია, რომელთაგან თუნდაც ერთის უკმარობის დროს ნაწარმოები სცენაზე ასვლამდე მოიტებს კისტს.

ნოდარ დემბაძის „ნუ გეშინია, დედა“ მრავალჯერ გაიარა სცენისაკენ მიმავალ ამ „კისერ-მოსატებს“ გზაზე. მაგრამ მისმა წმინდა ლიტერატურულმა ღირსებებმა ნაწარმოებს მიანიჭა სიცოცხლისუნარიანობა და დღეს რომ მას უუერებენ უირვიზი თუ რუსი, თურქმენი თუ უკრაინელი მავურებლები და ახა მარტო უუერებენ, აეთო ჟაუელისაგან სამშობლოს, მეგობრის სუფარულს სწავლობენ, ეს ლიტერატურული ნაწარმოების ღირსებად მიიჩნევა. აეთო ჟაუელი კი ის ახალგაზრდაა, ის ლიტერატურული ტიპია, რომლის მისწრაფებები და ემოციები, უთუოდ საუურადლებოა ჩვენი დროის შეთხვეულისათვის.



ვინ არის მერი—ბალახტიონ ტაბიძის საბრფიალო პოეზიის გმირი ძალი?

გალაკტიონის შესანიშნავი ლექსი „მერი“ — ეს უნახესი ლირიკული, რომანული დრამის ფაბულაზე აგებული ლექსია, რომელშიც სიუჟეტით არის გადმოცემული ძველი დროის ხშირი უფდაცხოვრებათა ამბავი: ეღობრა სიყვარული — ქალიშვილს ძალით რომ დააშორებდნენ ხოლმე თავის სატრფოს და ცოლად ვაატანდნენ იმას, ვინც მას არ უყვარდა. რომანტიკული ფერების დიდი სილიერით გამოხატავს ლექსი გაწმინდებულ შეფარებულთა შწარე სევდას, რასაც ლირიკული გმირი, რომელიც თავისი სატრფოს სტავზე ჯვარისწერას დაესწრო, ასე გამოიქვამს:

„ტენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!
მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კედლმა —
სანდომიან ცის ელვა და ფერი
მწუხარე იყო, ვით შემოდგომა!
მესმოდა შენი უკონო ფიცი...
მერი ძვირფასო! დღესაც არ მჯერა...
ვიცი წამება, მაგრამ არ ვიცი:
ფე გლოვა იყო თუ ჯვარისწერა?...
ტაძრიდან გასულს ნაბიჯი ჭკარი
სად მატარებდა? ხედვა მიმძიმდა!
ჭკარაში მძაფრი დაქროდა ჭკარი
და განწვევებულად წვიმდა და წვიმდა...
ქარი და წვიმის წვეთები ხშირი
წყდებოდნენ, როგორც შწედაზოდა ვულო
და მე აეტრდო, ვით შეფე ღირი,
ღირი, ყველასგან მიტოვებული...“

ლექსი „მერი“ თავისი შინაარსის ტრეფობით მთელ რომანს უდრის. დიდი ხელოვნის უზრალეობითა და ცხოველი გაცლის ეშეალობით არის გადმოცემული შეყვარე-

ბულთა ტანჯვა იმის გამო, რომ მათ შუა აებედლითი მესამე აღიმართა.

რა თქმა უნდა, ფრიალ საინტერესოა „დედურ-მხატვრული ანალიზით ამ ლექსის შინაარსის ნათელყოფა, ესთეტური თეატრალიზრით გაშუქება, მაგრამ აქ ჩვენი ძიხანი სხვაა — სახელდობრ, არსებობდა თუ არა მერი, როგორც რეალური ქალი, რომელიც გალაკტიონის სიყვარულს სავანი, და მამა-სადაზე, მისი სატრფიალო ლექსების (მერის ციკლის) გმირი იყო.

ახსტრაქტული კვრეტითა და საერთოდ მიღებული სიმბოლიის ტრადიტრეტით ვი არ შეუქმნიდა პოეტს მერის სახე, შეყვარებულთა ქალმა შთაავონა მას ქალის სინთეტური პორტრეტის მოცემა ანუ ინტეგრირება. ქალის სახე, რომლის შესახებ პოეტი ამბობს: „სადღაც მინახავს ქალის სახე კარგი და წრფელი“. შეამყო მან მომხიბლავი ზილამაზო, სინაზით, კედამაოსილებით, სისპეტაით და ამგვარად გამოაქანდაკა საოცნებო მერი!

ქანალი, ძლიერი, ფაქიზი სიყვარულის გრანობის გამოხატვით და არა პლატონური ტრფიალით შეიძლებოდა მერის აგრე მიმზიფევი, რეალისტურ-რომანტიკული სახის გამოკვეთა. მერი სწორედ ხორცშესხმული ელის სახეა და არა რაღაც სქემა, ფორმულა. მაგრამ აქედან ვერ დავსკვნით, რომ იგი, როგორც რეალური პირიონება, არსებობდა ცხოვრებაში და გალაკტიონის სამიწერო განცდების სავანი ვახდა. მერი არის პოეტის მუზა, ოცნება, შთაგონება, და არა სინამდვილეში არსებული მისი სატრფო — ქალი. მოკრძალებით, მაგრამ პირდაპირ დაუფსვი

1 მჭედველობაში გვაქვს ლექსების მთელი ციკლი მერისთან დაკავშირებით.

კითხვა გალაკტიონს: იყო თუ არა მერი რეალურად არსებული ქალი, რომლისადმი ტრფობამ დააწერინა „მერი“ და ცოელი ლექსებიც, სადაც მერი საოცნებო ქალაქივლად არის წარმოსახული?

გალაკტიონმა თქვა:

— საერთოდ სატრფიალო ლექსებში იდეალური ქალი შეაეს ხოლმე წარმოდგენილი, ჩემთვის რეალური მერი არ არსებობდა!...

შემდეგ დაძინა:

— არც ერთ მერის არ ვიცნობდი არასდროს... არც მომწონებია...

პოეტის ნათქვამი უდავოდ სარწმუნოა — მერი ქალის იდეალიზებული სახეა და არა რეალური პიროვნება. ეს რომ ამჯერა გავხადოთ, საჭიროა საკითხს ფართოდ შევხებით. უწინარეს ყოვლისა, საერთოდ დავაკვირდეთ გალაკტიონის სატრფიალო ლირიკას, მასში დამოკიდებულ განცდათა გამოხატვის მანერას, იდეალიზებული ქალის (სატრფოს) სახეს და ყოველივე ეს დავუკავშიროთ ფაქტებს, რომლებსაც ქვემოთ გავეცნობით პოეტის ნამდვილი რომანის შესახებ და საბოლოოდ, შევძლებთ შეუმედარი დასკვნა გამოვიტანოთ.

აქვე უნდა ითქვას, რომ იმის დადგენა, თუ ვინ არის გალაკტიონის სატრფო-ქალი — მერი თუ სხვა ვინმე, უაღრესად მნიშვნელოვანია პოეტის შემოქმედებისა და ცხოვრების გზის გასათვალისწინებლად.

ყველაზე უფრო ვრცელ ნაკვლევს მერის ვინაობის შესახებ იძლევა ი. ლორთქიფანიძე თავის წიგნში „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“. მაგრამ აქ წარმოდგენილი მტკიცება, თითქმის მერის მისამართით დაწერილი გალაკტიონის ლექსების შთავგონების საგანი იყო მერი შერვაშიძე, რომელიც ქალაქ ქუთაისში ცხოვრობდაო, დამაჯერებლობას მოკლებულია.

ამ მტკიცების გასაბათილებლად გავსინჯოთ დასახელებულ ნაკვლევში მოყვანილი ასე თუ ისე ანგარიშგანაწივეი ორი საბუთის საფუძვლიანობა.

პირველი. „1915 წელს გალაკტიონ ტაბიძემ დაწერა და გამოაქვეყნა ლექსი „მერი“. პოეტის ერთ-ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ: „სახელი „მერი“ მე არ გამომიგონებია, თუმცა ლექსის ობიექტად პირველია ეს სახელი საქართველოში. მერი ხშირი სახელია ბაირონის ლირიკაში, მერი ასულდგმულებს შეულის, მერის აღტაცებაში მოქაუეს პეშვანი, მერი — ერთი უკეთესი ტიპია ლერმონტოვისა, ათასი ინგლისური და ფრანგული რომანების გმირი ქალია მერი. ჩამოთვლილი პოეტების არც ერთი მერი ერთმანეთს არა ჰგავს. ასე — აღუქანადრე ბლოკის მერი სიმ-

ბოლური სახეა, ჩემი მერი რომანტიკული, მაგრამ რეალურად არსებული და ცხადი. კრიტიკოსებს კი სურთ მერიცხმის განაზარასებელი კავშირი ჩემს ლექსებს შორის“.

მერის ვინაობის საიდუმლოს გასაღების მნიშვნელობისა გალაკტიონის სიტყვებია: „სახელი მერი მე არ გამომიგონებია“. ამით იგი ნეგატიურად აღიარებს, რომ სახელი მერი (სხვების გამოგონებული) ავიღეთ როგორც, ასე ვთქვათ, მთარული პოეტური სახე (შეადარეთ მთარულ სიუჟეტს, რომელიც, მისი თქმით, „ათასი ინგლისური და ფრანგული რომანების გმირი ქალია“, ხოლო „ლექსის ობიექტად“ პირველად „ეს სახელი საქართველოში“ მე ვისმარეო.

აქ შეგვეძლო წერტილი დაგვესვა და საკითხი გამოჩვეული ჩავეთვათ, რომ მერი პოეტის წარმოსახვით შექმნილი „სახეა“, მთარული სახის გამოყენებით და არა კონკრეტული ქალი. მაგრამ მერის გულშემატკიერებს ეს როდი დააყუაროფილებს! ამიტომ საჭიროა მერის ვინაობის შესახებ მათი საბუთების ბოლომდე გაჭარწყლები.

როგორც ვიცით, ლექსების ციკლით — „ლექსები მშვენიერ ბანოვანზე“ ბლოკმა მერის სიმბოლისტური სახე შექმნა. ამას რომ გეიმჩნოს, კრიტიკოსთა მიმართ, რომელთაც „სურთ ამ ლექსით გააბან არარსებული კავშირი“ გალაკტიონსა და „ბლოკს შორის, ჩვენი პოეტს მართებულად ამბობს: ჩემი მერი ბლოკის მერის არ ჰგავსო, და, ბლოკის სიმბოლისტურ მერის უპირისპირებს რა თვის მერის, ამტკიცებს: „ჩემი მერი რომანტიკული, მაგრამ რეალურად არსებული და ცხადი“ არისო. ამჯერა, რომ ამ შემთხვევაში პოეტს მხედველობაში არა ჰყავს კონკრეტული, რეალურად არსებული პიროვნება, ლაპარაკია აქ რეალისტური ნიშნების მატარებელი ქალის სახეზე? ასეთი სახე რეალურად არსებული ქალის (არაერთის) ნიშანთვისება-

1 ი. ლორთქიფანიძე — გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა, 1968, გვ. 74.

2 ამ მხრივ საუბლისხმოა დ. ბენაშვილის გამართლებები: „გალაკტიონის ქალები რეალურნი არიან თავიანთი ცოცხალი ბუნებით. მათ იციან სიზარულიცა და მწუხარებაც, სოყარულიცა და სიძულელიც, დამწვიდებაც და ენებიანობაც, ერთი სიტყვით, აღამიანები არიან თავიანთი ქვეშაირიტი აღამიანური თვისებებით. მათ სახეებს პოეტმა მიანიჭა მძაფრი რეალიზმი და მით უფრო მერტი მომხიბლავობა მოუპოვა მკითხველის შემეცნებაში“. დ. ბენაშვილი, კრიტიკული ნარკვევები XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე, ნაწ. I, 1967, გვ. 71.

თა ათინათინებით წარმოიქმნება, ინტეგრირების გზით მიიღება.

მართლაც რეალურად არსებული ქალია მერის პოეტობის, მაგრამ არა ქუთაისელი მერი, ხოლო სახელდობრ, ვინ, ამას ქვემოთ გავივებთ.

მეორე, დასახელებული ნაშრომის 76-ე გვერდზე წერია: „1935 წელს პარიზში ყოფნისას ვალ. ტაბიძეს თვალი მოუტარეს ლევანის პარკში მგდომ მერი შერვაშიძისათვის, რომელიც კიდევ უფრო მშვენიერი და მიმზიდველი გამზადარიყო, რასაც საბაში მიუცია პოეტისათვის დაწერა ლექსი — „მერის თვალებით“ (ეს ლექსი პირველად 1937 წელს გამოაქვეყნა გალაკტიონმა და რატომღაც 1916 წლით დათარიღდა)“.

იქვე მოყვანილია ვითომდა 1935 წელს პარიზში გალაკტიონის მიერ დაწერილი ლექსი (რა ზუსტი დათარიღებაა, დაწერის ადგილს „ზედმოწვენით“ აღნიშვნით), რომელიც ასე იწყება: „შენ მაინც ვერსად გაბოე, მერი!“ და გამოხატავს სატრფიას სადღაც გადკარგვით გამოწვეულ მწარე განცდას. მაგრამ ეს ხომ ეწინააღმდეგება ირიოლედ სტრატონით ამის ზემოთ ნათქვამს: „ვალ. ტაბიძეს თვალი მოუტარეს ლევანის პარკში მგდომ მერი შერვაშიძისათვის და თურმე მისი სიმშვენიერით მიხიბლულ პოეტს ლექსიც კი („მერის თვალებით“) დაუწერია?!“

აქედან გამომდინარე გამოტანილია დასკვნა, რომ ამ ლექსის თარიღი შესაყველია — თითქოს იგი 1935—1937 წლებში იყოს დაწერილი და არა 1916 წელს!

ზერებულ დავიკრებაც საყმარისია დარწმუნდ, რომ „მერის თვალებით“ თავისი პოეტური მეტყველებითა და ინტონაციით (რომანტიკული წესილით) იმ ლექსების თანხმერია, რომლებიც სიყვარულით ტანჯულმა გალაკტიონმა (ვისი სიყვარული ტანჯავდა, ქვემოთ ცხადი გახდება) 1915-1916 წლებში მერის მიხამართით გამოთქვა, და ეს ლექსი სრულიად არ ეგვება უცე თითქმის ნახევარი საუკუნის ცხოვრებით დაბრძენებელი, სატრფილი ენაბათა დღედაცხადი, მსრფილი ანტილამისტური კონგრესის დედეგატად საბჭოთა კავშირიდან პარიზში წარგზავნილი, სახელგანთქმული პოეტის გუნება-განწყობილებას.

უშუალო შთაბეჭდილება რომ მივიღოთ და განვპირიტოთ ლექსის დაწერის თარიღი, მოყვანათ იგი მთლიანად.

ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე ღამე დახურულია გული, როგორც საყანი რამე.

¹ აკადემიურ გამოცემაში ლექსი 1916 წლით არის დათარიღებული ტ. I, 1966, გვ. 342.

თითქოს უმძიმეს კარებს ქუჩის დაედო ლექი, გულში ვერც ზეცა ატანს, ვერც სისხრულსს სისხრულსს გაუდაბურდა ჩემი ყოფნის ყოველი წამი, ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე ღამეა, მომეცალეთ, კმარა! მხოლოდ სიყვდილი მინდა, არც პოეზია მატებობს, არც მეგობრობა წმინდა.

ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე ღამე, არე-მიდამოს შხამავს ღრმა მწუხარებას შხამი.

ჩამოიბუროს ზეცა, მისიკ აღარა მყვრა — მერის თვალებით იგი ვერ გაბრწყინდება, ვერა!

მერის ვინაობის გამოცნობის საკითხთან დაკავშირებით ერთი თვალის გადავლებით მიმოვიხილოთ გალაკტიონის ლექსები სიყვარულს მოტეხე.

მიუხედავად იმისა, რომ გალაკტიონის სატრფილო ლექსები შედარებით ცოტა აქვს, იგი სიყვარულის უდიდესი მგოსანი. გარდა მერის სახის გამოყენებით შექმნილი შთაგონებული ლექსებისა — „მერი“, „მერის თვალებით“, „შენ ზღვის პირად“, „არდაბრუნება“, „დღეს შემოდგომაა“, „გზაში“, „გახსოვს?“, გალაკტიონის სატრფილო პოეზიას ამშვენებს ასეთი შედეგები: „უსიყვარულოდ“, „სადღაც მინახავს“, „რაც უფრო შორს ხარ“, „თვალები“, „შენს ცისფერ თვალს“, „ჩემი ვარსკვლავი“, „ღამე დღეს შეხვდა“, „გამონაკლისი“...

რამდენი სტლის ამამღებელი, ღამაზი, სპეტაკი სიყვარულის, გრძნობა ამ ლექსებში! უბაღლო სატრფილო ლექსი „უსიყვარულოდ“ ბუნების მარადიულ მოვლენებთან და სიცოცხლის ფეთქებასა და უვავილებთან სიყვარულის პოეტური შედარებებით ძალუმად გვაგრძნობინებს მის ძალასა და სილამაზეს:

უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სოი არ დაქროს, ტყე არ კრთება სასიხარულოდ... უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უცდავება არ არსებობს უსიყვარულოდ.

ძლიერი სიყვარულის სიხარულსა და ამკედროს სატრფოს შორს ყოფნით გამოწვეულ ტანჯვას მთელი გულწრფელობითა და უშუალოდ გამოხატავს შემდეგი სტრიქონები:



საღღაც მინახავს ქალის სახე კარგი და
 წრფელი.
 არ მშორდება ის, დღეა ბადრი თუ დამე
 მელი.
 აღერის სიტყვებს ჩამბრტყლებს
 ახლომდგომელი,
 მაგრამ მარადის დაფარული, მიუწვდომელი.
 ო, დიდხანს, დიდხანს ვძებნე იგი და
 ვერასდროს ვპოვე,
 ვიცი შორს არის, მაშ, რად მტანჯავს ეს
 სახლოვე?!
 „(საღღაც მინახავს!)“

რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო
 ვტყუები!
 მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი,
 ზელუბუბელი, როგორც მზის სხივი,
 მიუწვდომელი, როგორც ველში...
 დაიწვას გული უცნაურ ტრფობით,
 ცრემლით აივსოს ზღვა-საწყაული
 ოღონდ მჭეროდეს მე ჩემი ბოდვა
 და სიყვარულის დღესასწაული.
 („რაც უფრო შორს ხარ“)

ლექსი „თვალები“ გვიხატავს სატრფოს
 ცეცხლმჭრქვევ ჯადოსნურ თვალებს, თვით
 უკვდავების განსახიერებლად რომ გამოიშორებ-
 ბიან.

ო, თვალბი! არ მინახავს მე თვალბი
 უკეთესი,
 მათში კენსდა კაემანი, სიხარულს
 ცეცხლის მთესი.
 მათში ფეოქდა უკვდავების უხილაეთა
 ტალღათ კრება,
 რაც არასდროს არა ქრება, რაც არასდროს
 არა კვდება!

საუცხოო მეტაფორებით ასურათხატებს
 ლექსი „გამონაკლისი“ სატრფოს ცეცხლს, ვას-
 ზივისნებული ოცნებით ფრთამსხმულს, სიხა-
 რულის მომფენს:

ცეცხლში თითქოს ფრთებია
 შენი ხელების მტყუნებია:
 მე თვალს გადავინებ, მე მხოლოდ
 ოცნებით დაგვდევნები...
 და ფრთები, მხოლოდ ფრთებია
 შენი ხელების მტყუნები,
 ეგ სიხარული, ეგ ღიმი,
 ეგ ბაღი, ეგ შადრევნები.

ახლა კი დაეუბრუნდეთ მერის სახე-სიმშო-
 ლის და შევადაროთ, როგორ შევხამება ის გა-
 ლაქტიონის სატრფიალო პოეზიაში დახატულ
 ქალის სხვა სახეებს.
 მერი წარმოსახულია რომანტიკულ ფე-

რებში ტურფა, ჰაეროვან, საოცნებო. სე-
 დიან ქალწულად.
 აქ მრავალია ცისფერი ფერი!
 ეს ფერი მუდამ თვალს ყვავარება,
 როგორც ქალწულის სახელი მერი
 არის ცისფერი და მწუხარება.
 („გზაში“)

შეყვარებულ ლირიულ გმირს მერი ისეთი-
 ვე შორებულად ჰყავს წარმოდგენილი, როგორც
 ზემოთ განხილულ ლექსებში („საღღაც მინა-
 ხავს“, „რაც უფრო შორს ხარ...“) წარმოსახუ-
 ლი სატრფო. მოხიბლული შეწყურებს იგი
 ზღვის პირად, სხავექვეშ, ნაზი ტანის თრთოლით
 მიმავალ მერის, რომელსაც მიმართავს:

...შენს ღიმილში მწუხარების ჩქერი
 მოულოდნელ სიყვარულად ვეანი,
 როგორც მთვარის შუქი აღმაცერი,
 როგორც სიოს უცხო მიმობრანი...
 იმ ღიმილზე, იმ სევედაზე ვმღერო,
 ბანს მაძღვევ ყვავილი და მთანი,
 მერი, ჩემო შორეულ მერი,
 შენცენ მოქრის ბედის იალქანი.
 („შენ ზღვის პირად“)

ამკარად ჩანს, რომ როგორც მერის, ისე სა-
 ერთოდ სიყვარულის თემამე დაწერილ გალაქ-
 ტიონის ლექსებს ტონს აძლევს სატრფიალო
 ლტოლვის წინაშე აღმართული დაბრკოლებით
 გამოწვეული სევდა, სატრფოსაგან შორს ყოფ-
 ნით გამოწვეული ტანჯვის განცდა.

ქვემოთ ცხადი გახდება, რომ პოეტის ასეთი
 განწყობილებების სათავე იყო ნამდვილი რომანი,
 დღი და დაუთკებელი სიყვარული, რომელიც
 წლობით დარდის ლოდად აწვა გულზე.
 მაგრამ ვერ შეეხებოთ გალაქტიონის იმ სხვა
 სატრფიალო ლექსებსაც, რომლებსაც პირობი-
 თად ვერონიკას ციკლის ლექსები შეიძლება
 ვუწოდოთ.

სულ სხვაანირაა მერისთან შედარებით ქალის
 მერიც სახე-სიმბოლო, რომელსაც წარმოსახავს
 პოეტი ლექსებში: „ერთხელ საღამოთი“, „ღამ-
 წველი თავისი სიმშვენიერით“, „ეს იყო ოქტო-
 მბრის დამღვას“. ესაა მშვენიერი ვერონიკა —
 ძლიერი ენებათა ღელეის, შრომასა და ბრძოლა-
 ში შედგარი, კლასობრივად გათვითცნობიერე-
 ბული ქალი.

სიტყვამ მოიტანა — გალაქტიონი რაინდული
 ზნისამებრ იცავდა ქალის კულტს, რა გუნება-
 ზეც უნდა ყოფილიყო ოდნავ უპატივცემუ-
 ლოდ არ მოიხსენებდა ვინმე ქალს. ქალის
 კულტის გამოვლინებას არაიშვითად ვხვდე-



ბით მის ლექსებში. ეს მკაფიოდ არის გამო-
ხატული შემდეგ ლექსშიც:

გამონდა რბევა მალაღი ტანის,
ნამგალით მკლავზე, მავალი ობლად,
მისი სიმღერა ხმა არის ყანის,
სადგურის ახლო მივარდნილ სოფლად...
სულმა არ იცის რა არის შონა,
გზებზე ნახირი ისევ ბრუნდება.
კრავებს შირქეკავს სოფლის მადონა,
მადონა ქაბებს დაუბრუნდება.
(„ყანები“)

მერისგან, რომელიც, პოეტის წარმოდგენა-
ში, თავისი სინაზით, კდემამოსილებით, სისპე-
ტაით ქალურობას განასახიერებს და მწუხარე-
ბითაა მოკული, განსხვავდება ვერონიკა —
„დამწველი თავისი მშვენიერებით“. მკჭეფარე,
ცხოვრებას დაწაფებული, მებრძოლი ბუნების
მშრომელი ქალი, ვერონიკა — ეს იგივე ქარბ-
ნის მუშა ქალია, „ვაბედული კალუველი ვერკა“
(ვერკა — ვერონიკა), რომელიც მუშათა კლასის
მტრების წინააღმდეგ იარაღით იბრძვის რე-
ვილუციონერთა რიგებში ჩამდგარი.

მეკრდში ტყვიით დაჭრილმა თურგვარდი-
ელმა შეიკნო თოფიან ვერონიკაში ის ღამაში,
დროსტარების მოყვარული ქალი, ვისაც ვერონი-
კაზე ნახატს იდარებდა, და ამბობს:

კლასი კლასის წინააღმდეგ! მკვეთრა
ხმით დაიძრა მესამე დღე რუბი,
რა თქმა უნდა, მე ვიყავი თეთრი,
როს თოფების ატყდა ქაბაქუბა...
ვერონიკა მე ვიციანი გვიან,
რომ იქვეა და ამდურეულ ბოლში
მეკრდში, გულთან გამიარა ტყვიამ
და დავეცი სისხლიანი თოფში.
„ვერონიკა!“ — დაეძახებ მაშინ
და გაფითრდა ქალის თვალითა ცქერა,
რალაცასი გახსენება სერდა
და, ვერასვხით... და ვერა და ვერა.
ანკი როგორ? სხვა სახელად ვერკა
ვერონიკას, ხელთ თოფი რომ იყურა,
ქარხანაში უწოდებენ თურმე:
ვაბედული კალუველი ვერკა.
(„ერთხელ საღამოთი“)

პოეტი ეტრფის მერის, როგორც ნაზ, კდემამ-
მოსილ, რომანტიკის ბლონდით შებურვილ
ქალწულს და ამავე დროს — ვერონიკასაც,
როგორც ხალისით სავსე, ვაბედულ, მშრომელ-
თა განათავისუფლებისათვის იარაღით მებრძოლ
მუშა ქალს, რომელსაც კლასობრივმა შეგნე-
ბამ ქალური გულისთქმა ჩაუბნო და სასიყვარ-
ლოდაც კი გაამეტა ის, ვისი აღერსით წინააღ-
მდეგობა.

ქალის დასრულებული სახე, პოეტი წარმო-
დგენით, მერისა და ვერონიკას კავშირში. მ-
ით შეიძლება მივიღოთ, რაც მათი ინტერაქტი-
ონტეგრატივით არის მოცემული მის თეთრ
ლექსში:

ვაქრა ზაფხული,
ოცნებანი ახალგაზრდა ქალი,
ირისისფერი ტანსაცმლით,
ოქროსფერი თმით,
ვერონიკას სახით
და ცისფერყდიანი წიგნით ხელში
(შეღლი, — ეწერა წიგნი),
ნელი ნახიჯით მიღის ბილიკზე.
ცაცხებთან მან ჯიბის დანით
ხეზე ამოსჭრა:
„მერი“.
ეს მისი სახელია.
(„ეს იყო ოქტომბრის დამღვეს...“)

უტრადსადგებია აქ დიდი ინგლისელი რომანტი-
კოსი პოეტის შეღის (და მისი წიგნის) ხსენე-
ბა, ვინაიდან მერის — სატრეპილო-ქალის სახე-სიმ-
ბოლოდ დასახვის ტრადიკია მისგან მოდის. ეს
იმის უტუეფარი მანიშნებელია, რომ მერის სახე-
სიმბოლო ვალაკტიონის სინამდვილეში არსებუ-
ლი ქალისადმი ტრფობამ კი არ შთააგონა, არა-
მედ მან გამოიყენა მსოფლიო პოეზიაში უკვე
სიმბოლიზებული სახე, რომელიც თავისი ესთე-
ტიკური გემოვნების მიხედვით ორიგინალურად
ჩამოქნა.

ამგვარ მტკიცებას, რასაკვირველია, ვერ გა-
აბათილებს ის ფაქტი, რომ ვალაკტიონის მი-
ერ წარმოსახული მერი იმდენად სავსეა ეშხით
და მომზიბლავია, თითქოს სინამდვილეში არსე-
ბული ქალია. ამ მშატრული ილუზიის ასნა-
რალა თქმა უნდა, ჩვენი პოეტის დიდოსტატო-
ბაში უნდა ვეძიოთ.

მაშასადამე, წინააღმდეგ ზოგიერთის რწმუნე-
ბისა, მერი, რომელიც ვალაკტიონის სატრეპი-
ლო პოეზიაში ობოლი მარტალიტივით ეღვა-
რებს, რომანტიკოსი მგოსნების მიერ აღრევე
შექმნილი სახე-სიმბოლოა და არა რეალური ქა-
ლი, რომლის ტრფობით პოეტი ვითომ განამსკუ-
ვალა: ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ
სრულყოფილი ქალის წარმოსახვაში ვალაკტი-
ონი არ დაკმაყოფილდა მარტო მერის სახე-სი-
მბოლოთი და შეავსო ის ვერონიკას მიზილდე-
ვი თესებებით. ასე და ამრიგად, მერისა და
ვერონიკას სახე-სიმბოლოა ინტეგრირებული ქა-
ლის (იდეალიზებული ქალის) ერთი მთლიანი
სახე გამოიყვება. ახალგაზრდა ქალმა, რომელ-
საც ვერონიკას სახე ჰქონდა, „ქიბის დანით წე-
ზე ამოსჭრა: „მერი“, რასაც პოეტი დასძენს:
„ეს მისი სახელია“.

როგორც მერი, ასე ვერონიკა აქ გარკვევით

ქალის ზოგადი სახის მნიშვნელობით არის ნახ-
მარი, რითაც ქარწულდება მტკიცება, რომ მე-
რის ვითომ პოეტის რეალური სატრფო-ქალის
საკეთარი სახელი იყოს. თითქოს სასწაული მო-
ხდაო — ვერონიკამ გადარქვა (პოეტმა ვადა-
არქვენიან) სახელი და მერს გახდა. ვერონიკას
ასე გარდასახვა სჭირდება ხელოვანს, ქალის
იდეალიზებული სახის წარმოსაქმნელად.

მერი-ვერონიკათი წარმოსახვა პოეტმა მის მი-
ერ სინამდვილეში ნანახ ქალთა მიმზიდველი
ნიშან-თვისებები და, თავისი იდეალის მიხედ-
ვით, ქალის სრული, ერთი, სინთეზური პორტ-
რეტი დახატა.

შესაძლოა, გალაკტიონმა სადმე კიდევ მო-
კრა თვალი ქუთაისელ მერი შერვაშიძეს და,
სხვებთან ერთად, ისიც გამოიყენა თავისი ლი-
რიკული გმირის მერის სახის — ქალის იდეალი-
ზებული სახის შესაქმნელად. ვანა აქედან შეი-
ძლება ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ სწორედ
ეს კონკრეტული ქალა მისი მუზისა და ლექსთა
მთელი ციკლის საგანი?

იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად
რთული სიმბოლიზაცია განიცადა მერის სახემ
გალაკტიონის პოეზიაში, განსაკუთრებით აღსა-
ნიშნავია ლექსი „გახსოვს?“ განვიხილოთ ეს
ლექსი, ამასთანავე გავიხსენოთ იმ ლექსების
თარიღები, რომლებშიც მერი გვხვდება:

მერის ციკლში შემავალი ლექსები: „მერი“
„მერის თვლები“, „შენ ზღვის პირად“, „გზა-
ში“, „არდაბრუნება“, „ო, დღეს შემოდგომა“,
1915-1916 წლებით არის დათარიღებული. შემ-
დეგ მერი გვიჩვენებს ლექსში „ის იყო ოქტომ-
ბრის დამღვევ“, რომელიც დაწერილია 1920
წელს, ხოლო სულ ბოლოდროინდელი ლექსი
მერის შესახებ არის „გახსოვს?“ (თუ არ მივი-
ღებთ მხედველობაში ვარაუდით 1956 წელს და-
წერილ ლექსს „ცხედართა გროვას“, სადაც მე-
რი მხოლოდ ნახსენებია).

რამ ვაუცხოველა მერის სახე საიოღე ათე-
ული წლის ინტერვალის შემდეგ უკვე ხანმოშე-
სულ პოეტს, 1945 წელს რომ დაწერა შესანიშ-
ნავი ლირიკული ლექსი „გახსოვს?“, სადაც მე-
რისთან ძალით დაშორების სიმწარეს ღრმა სევ-
დით გამოთქვამს?

დაეკვირდეთ ამ ლექსს:

გახსოვს, როცა შეხვდნენ, მერი,
ზღვად შენი და ჩემი ნაი?
ნორჩთა დღეთა გულთმოვარი
მობრუნედა წყალს ნიაი.
შენ ეძიებოთ თვალთა მტკორენ,
თან ტბილი და თანაც შწარე,
მოკვებოე... ვადაცკოცენ
მე იმ სახის არემარე.
ე! დრო იგი დარჩა მიღმა—

ტალღა მოსკდა, როგორც გროა,
ზღვას შემურდა — ჩვენ სასტრემა
ღელვამ დაგვაპირიორა
ქარქინენული
ძნელი როდღ არის პოენე,
მეზღირენქან
რაც რამაა დაყარველი —
რადგან, რასაც კარავეს ხსოვნა,
ღრმად ინახავს ჩვენი გული.

ერთი შეხედვით გუგებარია, რომ აქ პოეტ-
ძლიერ ემოციურად გამოხატავს მერისთან და-
შორებით გამოწვეული სევდის სიმძაფრეს —
არც ერთ წინანდელ ლექსში (მერის ციკლიდან)
იგი ზომ არაფერს ამბობს მასთან ოდესმე ახ-
ლოს უოფნაზე, პირიქით, მერის შორეულ, მიუ-
წვდომელ ქალწულად სახავს და „შორით და-
გვა, შორით აღვა“ სტანჯავს. ლექსში „გახსოვს?“
კი გულდაწყვეტილ მოთქვამს იმაზე, რომ იგი
და მერი, ერთ დროს ურთიერთსიყვარულით
დამტკბარნი, ბედნიერი, ზღვის (ცხოვრების)
სასტრემა ღელვამ ერთმანეთს დააშორა.

თუ პოეტი და მერი ახლოს არასოდეს არ
ყოფილან (წინათ დაწერილი ლექსების მიხედ-
ვით), რა მათ ერთმანეთთან დაშორებაზე შეი-
ძლება და ლაბარეკი ლექსში „გახსოვს?“

სწორედ აქ უნდა ვეძებოთ მერის სიმბოლიზ-
აციის კვანძის გასახსნელი — ძნელი არ არის
მიხვედრა, რომ ამ ლექსში კონკრეტული, სი-
ნამდვილეში არსებული ქალი (და არა სახე, სა-
ხება) იგულისხმება და მერი კი მისი თავისე-
ბური ნიღაბია.

ვინ უნდა ყოფილიყო გალაკტიონის სატრფო
— ეს სინამდვილეში არსებული ქალი?

ამაზე პასუხის გასაცემად მოვიშველიოთ პო-
ეტის ბიოგრაფია: გავიხსენოთ გალაკტიონის მი-
ერ შექმნილი (იდეალიზებული) ქალის სახე და
ის ერთადერთი ქალი, რომელიც მას მთელი
გზნებით უყვარდა.

თავის სიჭაბუკეში გალაკტიონმა გულწრფელი
მეგობრობა დაამყარა ქუთაისელი ოყუნაევის
შესანიშნავ რევოლუციურ ოჯახთან.

— მე არ მინახავს სხვა ასე კეთილშობი-
ლებით აღსავსე, რევოლუციით გატაცებული
ოჯახი! — არაერთხელ მსმენია გალაკტიონისა-
ვან ოყუნაევის ოჯახის შესახებ.

პოეტი ვაყვავობის ასაკში იყო შესული, რო-
დესაც (1917 წ.) შეირთო ამ საყვარელ ოჯახ-
ში აღზრდილი, თავის ყრმობის მეგობარი ოლია
ოყუნაევა, რომელთან ერთად ქაბუკობისას რე-
ვოლუციით გატაცება, რევოლუციურა რომან-
ტიკა განიცადა. თავისი ბობოქარი ცხოვრების
თანამგზავრად აირჩია იღვერი, მებრძოლი ქა-
ლიშვილი, რომელიც გენახისი მეორე კლასის
მოსწავლე იყო, რევოლუციურ მოძრაობაში
რომ ჩაება.

გალაკტიონისა და ოლიას სიყვარულს ძლი-
ერი დაბრკოლებები გადაეღობა და იძულებით

ერთიპიროსიგან დაშორებით მყოფი შეყვარებულები წლების განმავლობაში იტანებოდნენ, ოლიას მშობლები წინააღმდეგნი იმას, რომ მათი ქალშვილი ღარიბ, უბინაო „ბიკს“ შეერთო. შეყვარებულებს ერთმანეთის ნახვის საშუალებაც კი მოუხსენ — ქუთაისიდან ოლია გადახიზნეს ჯერ ქიათურაში, შემდეგ ბათუმში და ბოლოს მოსკოვში. მაგრამ ამაღ შეყვარებულთა ღრმა ვრნობა როდი გაანელა: ისევ ისე უგზავნიან ერთმანეთს ერთგულების ფიციანდლსავე წერილებს, ურყვე რწმენებს სატრფოს, რომ მათი სიყვარული ბედნიერებით დაგვირგვინდებოდა.

ძლიერი გზნებითა და უხადო გულწრფელობით გადმოსცემს გალაკტიონი სატრფიალო განცდებს ოლიასადმი მიწერილ წერილებსა და თავის დღიურებში. არწმუნებს სატრფოს, რომ მის მეტი არც არავინ ყვარებია და არც უყვარს. ერთ-ერთ აღმინდელ წერილში ასე მიმართავს:

„ჩემო ერთადერთო ოლიანი! რატომ მაწვადებ? მე შენს მეტი არც ყვარებია და არც მიყვარს... მომწერე, ოლიანი, რას ფიქრობ ჩემზე, გიყვარვარ, ღილი? მე კი ძველებურად გავიყვებით და დღით სიყვარულით მიყვარხარ!“

უბინაობითა და ზეღოკლეობით გაშვარებული გალაკტიონი, გულის დასაოკებელი სიყვარულის სიტყვა რომ ათქმევინოს ოლიას, რომელიც უკვე (1916 წელს) მეუღლეა მისი და მოსკოვში იმყოფება, ქუთაისიდან სწერს:

„ოლიანი, შენ აღარ გიყვარვარ, არა არავის არ უყვარვარ ქვეყანაზე...“

ოლიანი, ჭვირფასო ოლიანი! რატომ მაწვადებ ასე?... ხომ იცი რომ შენს მეტი არავინ არ ყვარებია და არც მიყვარს.“¹

მოხდენილი, სახით მშვენიერი, სანდომიანი, რევოლუციის ცეცხლთა ანთებული, კომპარტიის წევრი, ვანათლებით იურისტი, ადამიანებთან ერთობითაში უბრალო, გულწრფელი, უნაკრო: გალაკტიონის დახასიათებით, მისი სულის მესაღდუმდე, გულითადად მოჭარბანულე. მხნეობისა და აღმაფრენის წყარო — აი, ოლიას პორტრეტი.

ოლიასადმი სიყვარულში მკვეთრად გამოვლინდა გალაკტიონის ხასიათის მთლიანობა და მისი შემოქმედების, კერძოდ, სატრფიალო პოეზიის, შინაარსობრივი და ფორმალ-ესთეტიკური მონოლითობა.

პოეტს რუსთაველისებურად ესმის მიჯნურობა და რაინდულად იცავს კიდევ სამიჯნურო ზნეობას: „გული ერთსა დაყვაროს“ — ოლიას აქი სწერს ხოლმე: შენს მეტი არც ყვარებია და არც მიყვარსო.

თავის სატრფიალო ლექსებში, განსაკუთრებით კი მერის შესახებ, პოეტი გულწრფელობით ღირსებით ასახავს იმ დიდ სრულიად, რას მელცი ოკუყავას ასულმა დაქვითო გულში და რომელმაც უღრმესი კვალი დააჩნია მის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

კარგი მანიშნებელი პარალელია: ოლიაზე თავდავიწყებით შეყვარებული პოეტი, რომელსაც მისი ნახვის შესაძლებლობაც კი არა აქვს. მწარედ იტანება მისგან შორს ყოფნით და ამავე დროს მასთან საბლოვის განცდით (ერთიერთსიყვარულის მეოხებით) სწორედ ისე, როგორც ლექსში „საღდაც მინახავს“, ღირსეული გმირი ამბობს იმ ქალის მიმართ, ვისადმიც ტრფობით განიშკვავა:

„ვიცი შორს არის, მაშ, რად მტანჯავს ეს საბლოვე?“

როგორც ზევით იქნა გარკვეული, პოეტს შეხედულებით, ქალის სრულყოფილ სახეში უნდა შედიოდეს ძირითადად როგორც მერის, ისე ვერონიკას ნიშნ-თვისებები: მერის სიტრფე, სინაზე, კდმამოსილება, სისხეტავე და ვერონიკას უბრალოება, გამბედაობა, მეტროლი ბუნება, რევოლუციური შეგნება.

ქალის ასეთ დასრულებულ სახედ პოეტს წარმოდგენილი ჰყავს იგამად თავისი სატრფო, მომავალში კი საყვარელი მეუღლე ოლია ოკუყავა, რომლის დაღუპვამ იგი გაუნელებელი სევდით აავსო.

ქალური ეშხობითა და მაღალი ზნეობით დაწოდლებულს, რევოლუციონერთა ოჯახში აღზრდილ ოლიას, ბავშვობიდანვე რევოლუციურა ბრძოლის ენით უძგერდა გული. გავიხსენოთ აგრეთვე, რომ გალაკტიონისა და ოლიას ძლიერი ურთობრთსიყვარული დიდ წინააღმდეგობას წააწუდა, რის გამოც ერთიპიროსი დაშორებით მყოფი შეყვარებულები უზომო ტანჯვას განიცდიდნენ წლების მანძილზე. ისიც გავიხსენოთ, რომ ოლიასადმი მიწერილ წერილებში პოეტი, მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით, არწმუნებს მას: შენს მეტი არც ყვარებია და არც ამეყვარე მიყვარსო. და ამაღ საგანგებოდ უნდა მიგქცეს ყურადღება — ასე სწერს ოლიას სწორედ იმ ხანებში (1915-1916 წლებში), როდესაც მერის ციკლის სატრფიალო ლექსებს ოხზავს. ამასთანავე ცხადი მანიშნებელია — ოლია ისეთივე დამწუხრებული ქალია, როგორც მერი, მიჯნურობათა ძალით დაშორების გამო.

სავლეთისმე, მრავლის ფარდისამხედელი და პირისპირება: მერიც და ოლიაც სიყვარულით ტანულ-დამწუხრებულები არიან, ხოლო მერი მერვაშიძეს სულ სხვა ხედური რგებია ცხოვრებაში. იგი სატრფო ქალკში საზოგადოების მაღალი წრის ფუსფუსში გართული არისტოკრატი ქალია: „რუსეთის იმპერატორის მეუღლის

¹ ფ. ნიშნიანიძე, გალაკტიონის ცხოვრებიდან, გვ. 108, 1964.

² იქვე, გვ. 128, 1964.



ყოფილი ფრეილინა, რომელსაც შრავალი მოტრფილად ჰყავდა... ცოლად ვაჟყვა გუცა ერასთავს. ახლად დეპორწინებულნი პარიზს გაემგზავრნენ და მას შემდეგ სამშობლოში აღარ დაბრუნებულან“.

რა აქვს საერთო მერი შერვაშიძეს ამ სალონის, ფუფუნებაში ჩაფლულ ქალს გალაკტიონის მიერ ინტეგრირებით შექმნილ მერისთან, რომელიც შეუძლებელია რომანტიკული სედვის გარეშე წარმოადგინო, ან კიდევ რეალურად არსებული ქალის — მერის ორეულთან, ოლიასთან?

კარგი მინიშნებაა — სახელი მერი პირველად გვხვდება გალაკტიონთან ლექსში „შენ ზღვის პირად“. თუ ვაიხსენებთ ამ ლექსის დაწერის ხანებში (1915 წ.) ოლია ოყუჯავა გადახიზნეს (გლაკტიონისაგან ჩამოშორების მიზნით) და თავის მშასთან ალექსანდრესთან (სამხედრო პირი იყო) ბათუმში ცხოვრობდა, რამაც შეუვარებულთა დრამა კიდევ უფრო გამძაფრა, შემთხვევითად არ უნდა მივიჩნიოთ, რომ მწარე სევდით მოცული მიწურუბი (ოლია და გალაკტიონი) სწორედ ზღვის პირად — ზღვის პეიზაჟის ფონზე არიან დახატული. აქ ზღვა პოეტის ფანტაზიით წარმოსახული დეკორაცია როდია, აქ ნაგულისხმევია ბათუმის ზღვისპირეთი, სადაც ერთმანეთს ხედებოდნენ შეუვარებულები. ამდენად ეს ლექსი პოეტის ბიოგრაფიული ფაქტის თავისებურ გადმოცემას წარმოადგენს.

დაკვირვებით წაიკითხოთ ლექსი, რომ ცხადად წარმოვიდგინოთ სინამდვილეში არსებული სიტუაცია, რომელიც აისახა მასში ნაშანდობლივ და ხატოვნად.

შენ ზღვის პირად მიდიოდი მერი.
სხივქვეშ თრთოდა შენი ნაზი ტანი.
და ვგარჯედა მწეანე სეროსფერი
ცაცხვისა და ალვის ხეივანი.
შენს ღიმილში მწუხარებას ჩქერი
მოულოდნელ სიყვარულად ვცანი,
როგორც მთვარის შუქი აღმაცერი,
როგორც სიოს უფრო მიმოხვრანი.
ამ ღიმილში, კარგი, მშვენიერი
გამოკრთოდა სევდა-კავშანი,
როგორც სხივზე ყვავილების მტვერი,
ცისკრის ნაშით ართოლეულ-ვანაშანი.
იმ ღიმილზე, იმ სევდაზე ემღერი,
ბანს მაძლევენ ყვავილნი და შთან.
მერი, ჩემო შორეულო მერი,
შენევენ მიჰქრის ბედის იაღქანი.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ოლია ოყუჯავა და არა მერი შერვაშიძე არის პროტოტიპი (მო-

დელი), რომლის მიხედვითაც გალაკტიონმა თავისი ლირიული გმირი შექმნა ცხედ-ყოფი-ქერწა.

გინგლიფოსენა

პოეტმა ისე წარმოსახა საერთოდ ქალის ინტეგრირებული პორტრეტი — მერი-ვერონიკა-ოლია, რომ მერია და ვერონიკა მხოლოდ სახესიმბოლოებია, ოლია კი — რეალური ქალი, ლექსში „ვასოსენა“ ძლიერ სიმბოლიზებული, რის გათვალისწინებითაც კიდევ მეტი საფუძვლიანობით შეიძლება ითქვას, რომ მერი სახესიმბოლოა მხოლოდ და არა სინამდვილეში არსებული ქალი.

ჩვენს მტკიცებას ბანს აძლევს გალაკტიონის მიერ ოლიასადმი მიძღვნილი ლექსი, წარწერით:

(ძღვანდ ოლი-ოლს)

ორი ზღვა შეხვდა ერთიმეორეს,
ერთი—პარიზისს, მეორე — მშვიდისს.
მათ აღტაცებით გაიმეორეს,
რომ დრო ახალი იმედით შიღის.
ფერიელ ნაეს სცალდებდა კორდო,
აპაი ლორდი დგას, დროა ჰველით.
ბაირთს უსმენს მერი ჩავორტი
და ფერადებში მისცურავს შელლი-
ტალღები სთელემენ, ვით შორი ბედი
და ნაპირებთან მისული ნავი,
ზვირთებთან ერთად ოზრავს შილდეი
და პოეზიის დაძირა ზეავი.

(„ორი ზღვა შეხვდა ერთიმეორეს...“)

კიდევ უფრო მკვერამეტყველურად მანიშნებელია (რომ მერია მხოლოდ ოლიას ნაღბია) უსათაურო ლექსი „ცხედართა გროვა“... (სავარაუდოდ 1956 წლით დათარიღებული), სადაც ლაპარაკია მერის ვარდაცვალებაზე.

ცხედართა გროვა თვალწინ გვიწყვია
(ცხლა ომია).
ციფრი არ გვშველის, მათი რიცხვია
ასტრონომია.
ზეცაზეც მნათი აჭრილა ბვერი
ნათელის მშენი,
მათ შორის უფრო კაშკაშებს, მერი,
ვარსკვლავი შენი.

სწორედ ომის პერიოდში (ლექსის მიხედვით მერი ხომ ამ დროს ვარდაცვლილა), როგორც გამოარკვეა, დაიღუპა ოლია ოყუჯავა, მერი შერვაშიძემ კი 1962 წელს (ომის დამთავრებიდან 17 წლის შემდეგ) წერილი მისწერა პარიზიდან თავის ნათესავს საქართველოში!

ზემოთ ნათქვამი ნათელყოფს, რომ მერის მასამართით დაწერილი გალაკტიონის ლექსები

1 ი. ლორთქიფანიძე, დასაბულებული ნაშრომი, გვ. 74-76.

1 ი. ლორთქიფანიძე, დასაბულებული ნაშრომი, გვ. 76.

პოეტრი ანარქლია მისი დიდი სიყვარულისა
ოლია ოქუჭავასადში.

ამის მტკიცებას ვერ არღვევს ის, რომ მე-
რის ვინაობის საკითხით დაინტერესებულ ზო-
გიერთ ცნობისმოყვარეს პოეტი ისეთი ვაურ-
კვეველი პასუხით იცოლებდა თავიდან, როგო-
რიც ერთ მათგანს ვასკაც:

დავებრუნდეთ... უნდაბარ სულს თათქო
კარი დაარზოდეს,
შენ ნუ მკითხავ შაინც წარსულს, არც შე
გკითხავ არასოდეს...!
(„იქით ნუში, აქეთ ნუში“)

ზოგჯერ კი აბეზარ შეკითხვაზე გალაკტიონი
ყსილად იტყოდა: პო, მერის ვეტრფოდო. რა-
საკვირველია, ასე იძულებით ნათქვამი საქ-
მის ვითარებას ვერ ნათელყოფს. როგორც
ზემოთ იქნა გამოვლინებული, ოლია იგივე მე-
რი არის — ქალის იდეალიზებული სახე. და ვა-
საგებია, რომ ბუნებით მოკრძალებულ, რაინ-
დულად შეყვარებულ პოეტს ეუბნებოდა და
გამოაშვარაგებინა ოლისთან (ნამდვილ სატრ-
ფოსთან) და შემდგომ საუკვარდ მეუღლესთან)
თავისი დამოკიდებულება, რასაც შეუღლებამდე
მზაფრი რომანტიკულ-დრამატული ხასიათი
ქმნიდა და საბოლოოდ ოლის დაღუპვით დას-
რულდა, და რაც რთულ კენძს ქმნიდა მის ცხო-
ვრებასა და შემოქმედებაში. არა თუ უბრალო
განმარტებით, ღრმა ანალიზითაც ძველია მე-
რის, ესოდენ სიმბოლიზებული სახის, გახსნა.
ფსიქოლოგიურად უდავოდ გამართლებულია.
სულსწრაფი ცნობისმოყვარის შეკითხვაზე პო-
ეტი რომ თავს იკავებდა ამ სახე-სიმბოლოს კო-
მენტარებისაგან და ზემოთ მოცემულისმაკვარ
პასუხს იძლეოდა.

ჩვენი განსჯის დასასაბუთებლად უპირველად
მნიშვნელოვანია გალაკტიონის აზრა თავის
შემოქმედებითი მუშაობის ძირითადი მეთო-
დის — ინტეგრირების, იგივე ინტეგრაციის შე-
სახებ. პოეტი ერთობ დიდ როლს აკეთებებს
ამ მეთოდს, რომელიც, უბრალოდ რომ ეთქვათ.
ლექსში ასახულ მრავალფეროვან საგანთა,
თვისებათა, ნიშანთა, შერწყმამი სინთეზირება-
ში, განზოგადებული სახის მიცეპამი მღვტმა-
რეობს.

ვაიხსენოთ გალაკტიონის ლექსი „პოეზიის
ინტეგრალები“, სადაც მის მიერ ლექსის თხზუ-
პრიციის პოეტს წარმოდგენილი აქვს, რო-
გორც ინტეგრირება (ინტეგრალია), ზოლო ასე
შექმნა ლექსი — როგორც ინტეგრალა.

პოეტმა თავის შემოქმედებითს ლაბორატო-
რიაში შეგვახებდა:

ლერჯ ფანჯრებს იქით, **სიმძლავრით**
სიმძლავრით დგება
სამშობლოს ჩემის ხმაურობით
საესე ცხოვრება.
მე კი ვუზივარ ისევ წიგნებს,
ვებრძვი ყოველ წუთს,
ვებრძვი და ვიპყრობ მასალათა
სიმძლავრეთს ჟივტს.
როცა უბრალო საიდრეთა
რჩება რკალები,
უმაღლესი გზა წინ მესღება:
ინტეგრალები.
(„პოეზიის ინტეგრალები“)

ამ აზრს უფრო დასრულებულ სახეს აძლევს
პოეტის განცხადება, რომ შემოქმედების მომე-
ნტში „მის წინ გაიშლება ფერწალები უმაღ-
ლესი გზა — პოეზიის ინტეგრალები, იმავე
ლექსში, ქვემოთ).
ჩვენს მსჯელობას ადასტურებს გიორგი გიბ-
ლაძის შეხედულება: „გალაკტიონ ტაბიძის
ლექსების პირველი თვისება და პირველი ღირ-
სება მათ ინტეგრალია“ (დაყოფა
ავტორისა — ბ. ნ.).

ინტეგრირების მეთოდის მომარჩევებს გა-
ლაკტიონი გადამწვევებლ თვლის თავისი შემო-
ქმედებითი წარმატებისათვის.

ო, რამდენი დაცხრება შორს ვერმჭერტა
თვალები,
რომ მარად იმარჩევენ, იღუმალი
მშვენიებით,
ლექსთა შევიბრებაზე მხოლოდ
ინტეგრალები,
ცხენთა შევიბრებაზე — ისევ ლერჯა
ცხენები!
(„ეფემერა“).

და, როგორც დაეანახეთ, ეს მეთოდი დიდოს-
ტატურად გამოიყენა პოეტმა ქალის (მერის)
იდეალიზებული სახის, ერთი სინთეზური სე-
რათის შესაქმნელად.

შემოიყვანილი არგუმენტები, ვფიქრობთ,
ყველას დაარწმუნებს, რომ მერია ქალის იდეა-
ლიზებული სახე-სიმბოლია და არა რეალურად
არსებული ქალი: ამის შეცნობა კი ახლებურად
აშუქებს გალაკტიონის ბიოგრაფიისა და შემო-
ქმედებითი ფსიქოლოგიის მნიშვნელოვან საკი-
თებს.

1 ფ. ნაშინაძე, გალაკტიონის ცხოვრება-
დან, გვ. 153, 1964.

1 გ. ზიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, ნაწი-
ლი III, გვ. 153, 1959.

ლექსარკ აბაშიძე

ჯონ რილი და გალაკტიონ ტაბიძე

შეოცე საუკუნის უდიდესმა ქართველმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ ჯერ კიდევ რევოლუციის გარიჟრაჟზე იტრქნო ქვეყნის განმაახლებელი გრიგალის მოახლოება და ქართველ მკვლასთანაგან პირველი მიესალმა ახალი სამყაროს დაბადებას.

გათენდა. ცეცხლის ვზე აენთო, აცურდა...

დროშები ჩქარაი თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს — წყარო აწყარა...

დროშები ჩქარაი დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს, ვინც თავი გაწირა, ვინც სისხლი დაღვარა, მათ ჭსონება ქვეყანა სანთლებად აინთებს... დროშები ჩქარაი

ამ ლექსს მოჰყვა „გემი დაღანდი“, „ცხრაას თერამეტა“, „რამდენიმე დღე პეტროგრადში“, „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარებში“.

გალაკტიონ ტაბიძე ამ შედეგებს ჰქმნიდა თავის შემოქმედების საუკეთესო წლებში. დასახელებულ ლექსებში გ. ტაბიძე გადმოგვცემს რევოლუციური პეტროგრადის სურათებით მიღებულ უშუალო შთაბეჭდილებებს.

„ცხრაას თერამეტა“ და — „რამდენიმე დღე პეტროგრადში“ ისევე, როგორც „გემი დაღანდი“ და „დროშები ჩქარა“ პოეტისათვის საერთო ნაწარმოებებს წარმოადგენენ და რევოლუციისაგან შვერლის შემოზრუნებას მოასწავებენ.

შვერლის შემოქმედების ეს ხაზი გრძელდება რევოლუციის შემდეგდროინდელ ბევრ ლექსში და თავის დაგვირგვინებას პოელობს პოემა „ჯონ რილი“ და ახალი ქართული პოეზიის ისეთ მიღწევაში, როგორც არის „პროლოგი ასი ლექსისა“ და „ჩვენ პოეტები საქართველოში“

დაედგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი. ახალ გრიგალებს ეწირათ სიციცხლეს ჩვენ, პოეტები საქართველოსი...

ხმაშალა განაცხადა გ. ტაბიძემ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქართველი ინტელიგენციისა და კერძოდ შვერლობის ბევრი წარმომადგენლისათვის გაურკვეველი იყო მიედო თუ არა რევოლუცია და ეთანამშრომლა, თუ არა საბჭოთა ხელისუფლებასთან, გ. ტაბიძის ეს ლექსები ცალკეულ პოეტურ დეკლარაციებად არ დარჩენილან. პოეტი მთლიანად დადგა რევოლუციის მხარეზე, მთელი თავისი შემოქმედება მიუძღვნა „რევოლუციურს, ჯერ არ ნახულს, ჯერ არ გაგონილ“ საქართველოს და მისი ახალი ცხოვრების შთაგონებული მომღერალი გახდა. გალაკტიონ ტაბიძემ თავისი შემოქმედება და დიდი სამწერლო გზა მტკიცედ დაუკავშირა სამშობლოს აღორძინებას, ახალი სოციალისტური საქართველოს მშენებლობას. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია პოეტისათვის იქცა შთაგონების ახალ წყაროდ.

თვითუფლი პოეტი ახლა ინეინერია, ახალ დღეთა აგება მის დროშაზე სწერია.

ამბობს პოეტი და გატაცებით ხატავს ახალი საქართველოს ინდუსტრიულ პეიზაჟს, ფაბრიკა-ქარხნების კეიმილათ შეებრულ საქართველოს ცას, კოლექტიური მინდვრებს შესველ ტრაქტორთა ჯარს.

გზა მიეციტ მანქანას, მომავალი მისია, იგი ჩვენში ახალი



ყოფის
დასაწყისია.
არსად გადაუხვიო,
ეს გზა სწორზე — სწორია,
მარჯვნივ — პარტისტორია,
მარცხნივ — მხოლოდ ხრამია,

გ ტაბიძის ღირსია ახალი ხალისიანი ფერკ-
ბით გაამდიდრა ჩვენი ხალხის აღორძინებულმა
ცხოვრებამ, ბედნიერმა შრომამ, ძლიერმოსილმა
წინსვლამ. მის სიმღერაში კიდევ უფრო მძლავ-
რად ეღერდა ოპტიმისტური რწმენა მშობელი
ხალხის უცვლადებისა და ნათელი მომავლისად-
მი. პატრიოტულმა თემამ გ. ტაბიძის შემოქმე-
დებაში უმთავრესი ადგილი დაიკავა და ეს გან-
საკუთრებით გამოჩნდა საბჭოთა ხალხის დიდი
სამამულო ომის დღეებში. მგზნებარე პატრიო-
ტული ლექსებით იგი ამხნევებდა ჩვენს მეომ-
რებს, მტერზე გამარჯვების რწმენას უნდრეცებ-
და და გამარტული თავდადებისათვის აღანთებდა.

გ. ტაბიძის პიოგრაფიაში არის ერთი მომენტი,
რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა პოეტის
მთელ ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. პოეტი
თავისი ზელით დაწერილ ავტობიოგრაფიაში
(იხ. გ. ტაბიძის პირადი საქმე მწერალთა კავში-
რის არქივში) წერს:

„1917 წლის ოქტომბერი გავატარე მოსკოვ-
სა და პეტროგრადში. პეტროგრადში, სმოდნი
შეცხვიდ რევოლუციის ბელადებს.

1918 წელს დაებრუნდი საქართველოში“.

გ. ტაბიძის აკადემიური გამოცემის თორმეტ-
ტომეულის მეორე ტომის (გამომც. „საბჭოთა სა-
ქართველო“, 1966 წ.) შენიშვნებში ეციოთუ-
ლობით: „ლექსები „რამდენიმე დღე პეტრო-
გრადში“, „მას ვახვლილი დარჩა თვალში“,
„როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“, „ქალა-
ქი წყალზე“, „ანძები“ და „ცეცხლის მახელი“
დაწერილია პოეტის მოსკოვ-პეტროგრადში
ყოფნის დროს 1918 წლის ივლისამდე (დადგე-
ნილია, რომ პოეტი მოსკოვში იყო 1918 წლის
25 ივნისამდე, პეტროგრადში 27-31 იუნი-
სამდე)“.

რომ არ ვერწმუნით კიდევ პოეტის ავტობი-
ოგრაფიას, იმის უარყოფა არ შეაძლება, რომ
თავისი თვლით ნახა პეტროგრადი და მოსკოვი,
თუ რევოლუციის პირველ დღეებში არა, უთ-
ლუნს მომდევნო პერიოდში მაინც. ამ დროი-
სათვის მოსკოვი და პეტროგრადი ქვე რკიდევ
რევოლუციის ახვრთებებს განიცდიდა. და პო-
ეტს ჰქონდა შესაძლებლობა უშუალო შთაბეჭ-
დილება მიეღო იმ ახალი სამყაროს დაბადე-
ბისა და პირველი ნაბიჯებისაგან, რომელთაც
შემდგომში განსაზღვრეს კაცობრიობის ისტო-
რიის განვითარება.

რევოლუციის თვითმხილველის ეს შთაბეჭდი-
ლება წითელი ზოლივით გასდევს გ. ტაბიძის
მთელ შემდგომ ცხოვრებასა და შემოქმედე-
ბას. პოეტი არა ერთხელ სიამაყის გრწმობით
8. „მნათობი“, № 7.

იგონებს რევოლუციური რუსეთიდან დაბრუნე-
ბას.

საქართველოს
კომუნისტური
პარტია

„გემით „დელანდი“ მოვდიოდი
სამშობლოსაკენ
და მთვარისაგან გაღვებება გულს დარდად
ჰქონდა...
მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ველარ
მოვავენ
და არ მახსოვდა: ჰქონდა იგი, თუ
მომაგონდა?
გახსენებისას მომძახოდა მტანჯველი ლანდი:
შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი,
კრემლი!
შავი ზღვის ზვირთებს მოაპობდა გემი
„დელანდი“
და თვალებზე მადგა განშორების მსუბუქი
ცრემლი:

გ. ტაბიძე „ქვეყნის გადარჩენის სიმღერას“
უწოდებს თავის ამ ლექსებს, რომლებიც ოქტო-
ბრის რევოლუციის უშუალო განცდამ, რევო-
ლუციური პეტროგრადისა და მოსკოვის ნახ-
ვამ შთააგონა:

ველიან გზაზე დაცა ბევრი,
მხოლოდ მე ერთი გადავიჩი მგზავრი,
რომ გამოველო ქვე არ სწენილი
ქართველები ცეცხლთა ფენისა
და მომეტნა საქართველოში
სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა.

„ქვეყნის გადარჩენის“ ერთერთი სიმღერათა-
განი არის გ. ტაბიძის პოემა „ჯონ რიდი“.

პოემა „ჯონ რიდი“ ერთნაირადაა დავალებუ-
ლი, როგორც მოსკოვსა და პეტროგრადში უშუა-
ალოდ ნახული სტრათეგისაგან, ისე ამერიკელა
მწერლის ჯონ რიდის შესანიშნავი წიგნის „თი
ღვე, რამაც შესძრა ქვეყნიერება“ წაკითხვით
მიღებულ შთაბეჭდილებასაგან.

გ. ტაბიძის „ჯონ რიდის“ დაწერის თარიღად
ნაჩვენებია 1924 წელი. იმავე წელს პოემა და-
იბეჭდა ჟურნალ „მნათობში“.

ავტორმა პოემას ასეთი ეპიგრაფი წაუძმდეა-
რა: „უვლენი ამ წიგნს ძვირფას რიგს პოეტე-
ბისას, რომელთაც გამოამცხადეს პოეტების მე-
ფად 25 ნაივარს 1921 წელს რევოლუციიდან
დაბრუნების შემდეგ“.

პოემა ჯონ რიდი, როგორც სათაურიც გვიჩვენ-
ებს ამერიკელი მწერლისა და რევოლუციონე-
რის ჯონ რიდის ცხოვრებითა და შემოქმედებით
წუნდა იყოს შთაგონებული. ბევრი დაიწერა ჩვე-
ნშიც და უცხოეთშიც ჯონ რიდის უაღრესად
რომანტიულ პიროვნებაზე, თავგადასავლებით
საყვ მის ცხოვრებაზე, პრილეტარიატის საქ-
მისათვის მის თავდადებულ ბრძოლაზე და ბო-
ლოს, მის შემოქმედებაზე, რომლის მწვერვალს

წარმოადგენს ოქტომბრის დიდი რევოლუციის
ჰიმნი „ათი დღე, რამაც შეასრალა ქვეყნიერება“.

ცნობილია, რომ ჯონ რიდის „ათი დღით“
დასრულებული ვლ. მთავოვსკიძე პოემა „ქარგიაზე“
მეშობისას. ამ წიგნს მიმართავდა, როგორც
ოქტომბრის ქარიშხლიანი დღეების მხატვრულ-
დოკუმენტურ წყაროს საბჭოთა კინემატოგრა-
ფიის ისეთი ოსტატი, როგორიც იყო ს. ვიხენ-
სტინი (ფილმ „ოქტომბერზე“ მეშობისას).
„ათი დღე“ ადრევე მოექცა თეატრის მოღვაწე-
თა ინტერესების ცენტრში და ამ წიგნის ინს-
ცენირება არაერთხელ განმარტოვებდა სხვადა-
სხვა თეატრებში. ამჟამინდელ განსჯებებთან აღი-
ნიშნა „ათი დღის“ დადგმა დემოკრატიული
ბერლინის თეატრის სცენაზე 1958 წელს და მო-
სკოვაში „ტრაგედია“ თეატრის წარმოდგენა
(1965 წ.), რომელიც დღესაც მუშაობდა და
დი მოწონებით სარგებლობს.

სომეხმა პოეტმა ამოტ გრამიმ ჯონ რიდის
ცხოვრებაზე დაწერა თავისი ერთერთი საუკუ-
თესო პოემა „ჯონ რიდის თვალთ“. მწერალმა
ს. დანგულოვმა წიგნში „ლენინი ესაუბრა აშე-
რიას“ ერთერთი მოთხრობა „მეგობრის“ სახე-
ლწოდებით რიდს მიუძღვნა. ე. ღრაბინამ ჯონ
რიდის ცხოვრება, მისი ბრძოლა და შემოქმე-
დებით გზა ასახა ბიოგრაფიულ რომანში „ქა-
რიშხლებისკენ“ (1963 წ.).

„შესანიშნავ ადამიანთა ცხოვრების“ სერიაში
1962 წელს გამოვიდა ტ. გლუტკოვის „ჯონ რი-
დი“, რომელიც აგრეთვე წარმოადგენს ჯონ რი-
დის ბელეტრისტიკულ ბიოგრაფიას. ჯონ რი-
დისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოკვლევებ-
ის, წერილების, ნარკვევების რიცხვი არაჩვეუ-
ლებრივად დიდია და ეს ბიბლიოგრაფია ყოველ-
წლიურად იკრება ახალახლი ნაწარმოებებით.
„ათი დღის“ შექმნამდე ჯონ რიდმა „შექსიკის
აქანუბა“ (1914 წ.) და „აღმოსავლეთ ევრო-
პის ომი“ (1916 წ.) გამოაქვეყნა. ამ წიგნებში
რიდს სახელი გაუთქვეს, როგორც ნიჭიერ მწე-
რალსა და ქერნალისტს. შექსიკის ამზობებული
ბეონებისა და მათი ბელადის ბანის ვილის
ბრძოლის მართალი მიუღწეველ აღწერით, აღ-
მოსავლეთ ევროპის ომის სიმშველბათა დახატ-
ვით ჯონ რიდმა მკითხველთა ფართო წრეების
სიმათიასა და აღიარებასთან ერთად ომის გაფ-
რმელებითა და ვალდებებით დაინტერესებულ
მონობლისტებისა და მათი აგენტების სიძულ-
ვილიც დაიმახერა. რაც უფრო უხალდეზო-
და მწერალი მეშათა კლასისა და კომუნისტურ
იდეოლოგია, რაც უფრო მეტად იმალდება
იგი ხმას მსოფლიო ომის ხალხთა სასაქლოს
კომარების წინააღმდეგ, მით უფრო მოთმინე-
ლი ხდება მმართველი წრეებისთვის მისი პო-
ლიტიკური და მწერლური აქტივობა.

აღმოსავლეთის ფრონტის ნახვამ (1915 წ.),
პეტროგრადში ხანმოკლე ყოფნამ ჯონ რიდი
ღრმად დაფიქრა რუსეთის მომავალზე. ჯონ რი-

დი წინასწარმეტყველურად გრამობდა „ბრძო-
ლელად აღმდგარი პოლუტარიატი“ და „მწვე-
ტი ნახიჯის — რევოლუციის მომხრეების“ უწე-
სეთის მასებმა დაარღვიეს საუკუნო დემოკრა-
ტიული დაღვთ მიწის და გაიკონებთ მოახლოე-
ბელი საყაროს გუგუნა“, წერდა რიდი 1917
წლის აგვისტოში.

რიდი შორიდან ავირდებოდა ღიღ ამბებს,
რომელიც რუსეთში ხდებოდა. იგი ხელდაუ-
როგორ დედლა ეს ქვეყანა, როგორ თანდათან
მატულობდა შფოთი და არეულობა. რიდს არ
შეეძლო ამ ისტორიული მნიშვნელობის მოვლე-
ნებისაგან შორს დგომა. იგი სტოვებს ამერიკას,
სადაც მას უკვე სდევნიან, როგორც ომის მო-
წინააღმდეგს. მწერალი რევოლუციური რუ-
სეთისაგან მიემგზავრება ქერნალ „მასების“
კორესპონდენტად. იგი უკვე 1917 წლის სექტემ-
ბერში პეტროგრადშია. რიდი პეტროგრადის ერ-
თი თვალის გადავლებამ დაარწმუნა, რომ მისი
წინააღმდეგობა გამართლდა: რუსეთში იწყებო-
და არნახელი ქარიშხალი, რომელსაც ძველი
ქვეყანა ბირფესვიანად უნდა დაეგზავნა და ახა-
ლი ბრწყინალე სამყაროსათვის საფუძველი
ჩაეყარა. პეტროგრადში ჩამოსვლისთანავე რიდი
არაჩვეულებრივ აქტივობას იჩენს. იგი ხან
სმოლის დარბაზებშია, სადაც პეტროგრადის
საბჭოები შეკრებილან, ხან თეთრგვარდიე-
ბის არალეგალურ სამყოფელში, ხან ქალაქის
სათათბიროსა და დროებითი მთავრობის რუხი-
დენციაში.

მწერალი ჯერ ქერნალ „მესისში“, ხოლო მი-
სი აგრძალის შემდეგ „ლიბერტიკრში“ ბე-
დღეს წერილების სერიას რუსეთის რევოლუცი-
აზე, თანამშრომლობს საგარეო საქმეთა სახა-
ხო კომისარიატის საერთაშორისო პროპაგანდის
განყოფილებაში, სადაც იბეჭდება მოწოდებე-
ბი უველა ქვეყნის ქარისკაცებისადმი ზავიანა და
მშვიდობის შესახებ. გარდა მწერლურ-ქერნა-
ლისტური საქმიანობისა, ჯონ რიდი უმელო
მონაწილეობას იღებს ოქტომბრის რევოლუციის
ბეერ ღირსახსოვარ ექიზოდში; მწერალი ეს-
წერებოდა საბჭოების სრულიად რუსეთის ყრი-
ლობის გახსნას, იყო ზამთრის სასახლის შტუ-
რმის მონაწილე, იგი აქანუბებულ მასებთან ერ-
თად შეიქრა ძველი სამყაროს ამ ციტადელში
და საუკეთარი თვალთ ნახა დროებითი მთა-
რობის წყვრთა დამატიმება.

1918 წელს რიდი სრულიად რუსეთის
საბჭოების მე-3 ყრილობაზე გამოდის სიტყვით
და ფიცს სდება, რომ უველაფერს გააეუბებს
იმისათვის, რათა სწორად გაერყვნენ რუსეთის
რევოლუციის ამბებში დანარჩენი მსოფლიოს
ადამიანები, „საზეიმოდ ევიკავ, რომ მთელ
ჩემს ძალდონეს შეეწინააღმდეგო სოციალისტური ამე-
რიკისათვის ბრძოლას, მსოფლიო რევოლუციის
სათვის ბრძოლას!“ — აცხადებს რიდი ყრილო-
ბის ტრიბუნადან.

1918 წელს აპრილში ჯონ რიდი ბრუნდება სამშობლოში. იგი მოგზაურობს ამერიკის ქალაქებში და გამოდის ლექციებით, რომლებშიც მამულებს განუთარგავს ოქტომბრის რევოლუციის არსსა და მიზნებს.

რიდს რამდენიმეჯერ ამატირებენ და სამარ. ხალხში აძლევენ.

მწერალი აქტიურ მონაწილეობასღებულობს ამერიკის კომუნისტური პარტიის შექმნაში.

ამერიკაში დაბრუნებისთანავე ჯონ რიდი დიდი გატაცებით შეუდგა თავისი დიდიხნის ფიქრისა და ოცნების განხორციელებას დაეწერა ოქტომბრის ქარიშხლიანი დღეების მოთხრობა, მართალია წიგნი ოქტომბრის რევოლუციაზე.

ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნისას იგი ბევრთად აგრძობდა მასალას მომავალი წიგნისათვის. რიდი პეტროგრადშივე აღგენდა და ამუშავებდა ამ წიგნის გეგმას, იქვე მოასწრო მან წიგნის ცალკე თავების დაწერა.

მიტირებდა, რომლებიც ასე ხშირად იმართებოდა რევოლუციური პეტროგრადში და რომელთაგან რიდი ბევრს თვითონ ესწრებოდა. ბრძანებები, მოწოდებები და საგაბიაციო ფურცლები, რომლებითაც აჭრებულნი იყო კვლები, პლაკატები, ბიულეტენები, რომელთაც ეხვედ ავრცლებდნენ რევოლუციონერებიც და კომტრრევოლუციონერებიც, რადისთვის იყო მომავალი წიგნის მასალა.

რიდი დიდი შთაგონებით ჩაუქდა წიგნის წერას. მის შესანიშნავში ჯერ კიდევ ცოცხლად იყო აღბეჭდილი ოქტომბრის რევოლუციის დაუფიქარი სურათები. ზღვა მასალიდან, რომელიც მწერალმა შთაგრძვა, მხოლოდ ყველაზე მეტყველსა და მნიშვნელოვანს დაეთმო აღვილი ამ შესანიშნავი წიგნის ფურცლებზე.

1919 წლის 19 მარტს გამოქვეყნდა ჯონ რიდის ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი, მისი შემოქმედების მშვენიერება და გვირგვინი „ათი დღე, რამაც შესწრა ქვეყნიერება“.

„ათი დღე“ იყო დიდი ძალის მხატვრული დოკუმენტი, რომელიც მკითხველს აღუდგენდა ოქტომბრის გადატრიალების განადიდებულ სურათს, ახალს, მართალსა და გულწრფელ შეფასებას აძლევდა ქვეყნის გარდაქმნულ უდიდეს რევოლუციას.

„ათი დღე“ არის ოქტომბრის რევოლუციის გადაშვევტ დღითა მხატვრული მატრიანე, რომელიც დიდი მხატვრული დაშაქრებლობით მოგვითხრობს ყველა იმ მთავარ მომენტებზე, ძალთა იმ დაბირისპირებაზე, რომელთაც უზრუნველ ჰყვეს ახალი სამყაროს დაზადება. წიგნში ერთი მეორის მიყოლებით, ერთმანეთთან კავშირში აღწესებული და ფიქსირებულია რევოლუციის ყველა მნიშვნელოვანი დეტალი, ნაივანები ბარიალებზე გამოსული აწაყვებული მასლების დაუკლებელი სწრაფვა ძველის დასამზობად და ახლის დასაფუძნებლად, მასების ძალი-

სა და გამარჯვების რწმენა. ჯონ რიდი შეუღამაზებლად ხატავს ორივე ბინეჯერეფუდუციონისა და კონტრრევოლუციისგანაყვეფქმეფუქმეფდროსასიციოცხლო დამირისპირებასა და კვეთებაში მწერალი ზედაეს ლენინის დიდი იღუების გაცუნის ძალასა და უძლეველობას.

წიგნში რევოლუციის უმარავი ეპიზოდია აღწერილი. მკითხველის თვალწინ უთავალი სახე გაიღუებას იმ გმირებისა, რომლებიც რევოლუციის შემოქმედად თუ მათ საპირისპიროდ გამოიღუენა ისტორიამ ასმარეზზე. ურიცხვი შეშთხვევა, თუ ეპიზოდი, ათასგვარი დოკუმენტი და მოწმობა, ყველაფერი გამოყენებულია იმისთვის, რომ ფაქტებისა და მოვლენების მოზაიკით თვალწინ დაგვიდგვს ეპიური სურათი ისტორიაში უდიდესი რევოლუციისა.

აღვიღისა და მოშქმედ პირთა კინემატოგრაფიულად სწრაფი ცვლით ზვეს წარმოსატავაში ცოცხლდება რევოლუციის აბიოტრებული ზღვა, მისი ძლევაშილი ენერგია და დაუცხრომელი რიტმი.

მაგრამ ყველაზე დიდი აღფრთოვანებითა და ნამდვილი შთაგონებით დახატა ჯონ რიდმა ამ უდიდესი რევოლუციის შესაქის, ამბოტებული მასების ქეშმარიტი ზედადის ლენინის სახე.

„არაყვეულებრივი სახალხო ზედადი, — წერს რიდი ლენინზე, — ზელად მოვლოდ თავისი ინტელექტის წყალობით, ყოველგვარ გარეგნულ პოზას მოკლებული იგი არ ჰყებოდა გუნება-განწყობილებას, მტკიცე, წარბშეუტყველი, ეფექტურობის გარეშე, მაგრამ იმის უნარის მქონე, რომ ურთოდესი იღუებო უმარტივესი სიტყვებით აეხსნა და მოეცა კონკრეტული გარემოს ღრმა ახალიზი. იგი ამასთან ათანხმებდა გონების გამშედაე სითამამესა და გამჭკობობას...“

იგი იღვა ტრიბუნას დაყრდნობილი, მოქუტულ თვალეს დედაგატო მასებს ავლებდა და უცდიდა რამდენიმე წუთს გავრქელებული მხარდა ოკაციის დაცხრომას... მისი სიტყვები გამოსცემდნენ სიმშვიდესა და ძლიერებას, ღრმად იჭრებოდნენ აღამიანთ სულში“.

ჯონ რიდი აჩუკრებულ შეზღვა ლენინს, რუსეთში ზელახლ დაბრუნებისას პირადად დაუხლოვდა მას.

ლენინმა „ათი დღის“ ამერიკელი გამოცემისათვის დაწერა მოკლე წინასიტყვაობა. ამ მოცულობით მცირე წერაში ლენინისათვის დამასიათებელი სიღრმითა და წყდომით დახასიათებულა ჯონ რიდის წიგნის მნიშვნელობა და ღირებვა:

„უდიდესი ინტერესითა და შეუნელებელი ყურადღებით წავიკითხე ჯონ რიდის წიგნი „ათი დღე, რამაც შესწრა ქვეყნიერება“. მე სულთა და გულით ვერჩეე ყველა ქვეყნის მუშებს წაიკითხონ ეს თხზულება. ვისურვებდი ეს წიგნი მენახა მილიონ ეკემპლიარად გავრცელებული და ყველა ენაზე თარგმნილი, რადგა-

ნაც იგი შეიძენს მართლაც და არაჩვეულებრივად ცოცხლად დაწერილ ვადმოცემას მოვლენებისას, რომლებიც მნიშვნელოვანი არიან იმის გასაგებად, თუ რა არის პროლეტარული რევოლუცია, რა არის პროლეტარატის დიქტატორა, ამ საკითხებზე ახლა ფართოდ მსჯელობენ, მაგრამ მინამდვილად მიიღებენ ამ უკუაგებენ ამ აღვებს, აუცილებელია ვადაწყვეტილების მთელი მნიშვნელობის გაგება. ჯონ რიდის წიგნი ექვემდებარება ხელს შეწყობს გაიკვეს ეს საკითხი, რომელიც მეშინა მსოფლიო მოძრაობის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს.

ჯონ რიდის წიგნი ბევრი აღფრთოვანებული შეფასება დაიმსახურა, როგორც ავტორის სი-ცოცხლესი, ისე მისი სიკვდილის შემდეგაც. ბევრმა უძღვნა აღტაცების სტრუქტურები ამ შესანიშნავ წიგნს, მაგრამ ისეთი ლაკონიური და ამომწურავი შეფასება რიდის წიგნისა, როგორც ელენინის ეს წინასიტყვაობა არის, სხვას აბარის დაუწერია.

ლენინი არა მარტო წიგნის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას აღნიშნავს, არამედ ხაზს უსვამს მისი მხატვრული ზემოქმედების ძალასაც. იგი მოვლენების მართლად აღწერასთან ერთად მითითებს და სავანებოლ აღნიშნავს იმას, რომ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამგები გადმოცემულია ცოცხლად და დამაჯერებლად.

ეს უკვე ჯონ რიდის მხატვრული სტილის დახასიათებაა, მწერლის ისტატობის შეფასებაა.

ლენინის ეს მაღალი აზრი უფრო დაყოვნრებულა და გავრცელებულია. ნ. კრუშკაიას წინასიტყვაობაში, რომელიც მან რიდის წიგნის რუსულ გამოცემას წაუძღვარა: „აიი დღე, რამაც შესწრა ქვეყნებზე“ ანუ უწოდა ჯონ რიდმა თავის წიგნი, ამ წიგნში არაჩვეულებრივად მკაფიოდ და ძლიერად არის აღწერილი ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეები. ეს ფაქტების უბრალო ჩამოთვლა კი არ არის, ეს არის ცოცხალი სცენები, რომელთა მოწმეც ის იყო. ავლა ეს ცხოვრებიდან ამოვღევილი სურათი უკვე რომ არ შეიძლება. ისე გადმოსცემს მასების გაწყობილებას, რომლის ფონზეც განსაკუთრებით გასაგები ხდება დიდი რევოლუციის ყოველი აქტი“.

შემდეგ კრუშკაია მსჯელობს იმაზე, თუ როგორ შესაძლო უცხოელმა დაწერა ესოდენ მართალი წიგნი რუსეთის რევოლუციაზე და მწერლის წარმატებას იმით ხსნის, რომ ჯონ რიდმა გულგრილი დამკვირვებელი როდი იყო, ის იყო მგზნებარე რევოლუციონერი, კომუნისტი, რომელსაც ეშოდა მოვლენათა არსი, დიდი ბრძოლის აზრი, ამ გაგებაში მიანიჭა მის თვალს ის სიმბილე, ფრომლისადაც ასეთი წიგნი ვერ დაიწერებოდაო, დაასკნის წინასიტყვაობის ავტორი და დასძენს: „რიდის წიგნი იძლევა კემ-მარტივად სახალხო მასობრივი რევოლუციის საერთო სურათს და აბიტომ მას ექნება განსა-

კუთრებით დიდი მნიშვნელობა, ისტორიული მნიშვნელობის, მომავალი თაობებისათვის, მათთვის, ვისთვისაც ოქტომბრის რევოლუცია უკვე ისტორია იქნება, რიდის წიგნი მათთვის უფრო სია“.

ნ. კრუშკაიას ეს წინასიტყვაობა მართლაც ზედმიწევნით სწორად ახასიათებს ჯონ რიდის წიგნის მნიშვნელობას, მის თავისებურებასა და მხატვრული განზოგადობის იმ ძალას, რომელიც მის წიგნს გამოარჩევს ოქტომბრის რევოლუციაზე დაწერილ უამრავ ნაწარმოებთანგან.

ჯონ რიდი თავის წიგნს ოქტომბრის რევოლუციის ანგარიშს უწოდებს და მართლაც რიდის ეს წიგნი თავისებური ანგარიშია, ოღონდ ამ სიტყვის ფართო გაგებით. ეს ანგარიში ფაქტების უბრალო რეგისტრაცია როდია, ჯონ რიდი, უბი-რველეს ყოვლისა, მხატვარია და ფაქტებიცა და ციფრებიც ერთ მიზანს ემსახურება — მხატვრული დამაჯერებლობით აჩვენის ოქტომბრის დღეების სიღაღე, რევოლუციის მთავარი გმირის — აჯანყებული მასების გაქანების ძალა, სი-მართალი, ნებისყოფა და ხასიათის სიმტკიცე.

ნ. კრუშკაიას განსაზღვრა ზუსტია: ჯონ რიდის წიგნი არის ოქტომბრის რევოლუციის ეპო-სი. ამ ეპოსის მთავარი გმირია ხალხი, მასა, მაგრამ არა აბსტრაქტული და უსახურ, ჯონ რიდი დამამახსოვრებლად და მკაფიო ფერებით ხა-ტავს მათ სახეებს, ვინც საკუთარი ხელით დაამ-ხო ძველი სამყარო და უდიდესი მსხვერპლის ფასად იწყო ძველის ნანგრევებზე ახალი ქვეყ-ნის შენება.

მეშებისა და ჭარისკაცების, მატროსენისა და გლეხების ცალკე ტიპების ხატვისას ჯონ რიდი პოელომს გვევთრ საღებავებს, რომლებიც შესა-ნიშნავად გადმოსცემენ აღმანათნის ინდივიდუ-ალურ თვისებებსა და ხასიათის თავისებურე-ბას. უაღრესად ზუსტად მიგნებული დეტალებით იგი წარმოგვისახავს რუსეთის რევოლუ-ციის მამოძრავებელი ძალის — ხალხის მშრომე-ლების პორტრეტებს და ეს სახეები სამუდამოდ იბუქდება მკითხველის მეხსიერებაში.

ჯონ რიდი თხრობას იწყებს ოქტომბრის წინა პერიოდით, შემდეგ ფუნდამენტ მიქცევა მოვლენების განვითარებას და მემარტინის კეთილმინ-დისიერებით აღწერს ყოველივე იმას, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო იმ დღეებში, არამედ იმასაც, რასაც მომავლი-სთვისაც ექნება მნიშვნელობა და ამას ავტორი შეგნებულად აკეთებს.

შესანიშნავად დახატა ჯონ რიდმა პეტროგრადის ადგილები, სადაც მამინ რევოლუციის ბე-დი იწვდებოდა და რომლებიც ოქტომბრის გა-მარკების შემდეგ ისტორიულ ადგილებად იქცე-ნენ.

როცა სმოლნთან მივედით, მისი მასიური ფსახი გაჩირღდნებული იყო, — წერს რიდი, — ქუჩებიდან მისკენ მოდიოდნენ ახალი და ახა-



ლი ადამიანები, რომლებიც მიიჩქაროდნენ სიბნელესა და წყვდიადში. მოდიოდნენ და მოდიოდნენ ავტომობილები და მოტოციკლები. უზარმაზარი რუხი ჯავშნისანი, რომლის კოსმურაზეც კიოი წითელი ბაირალი ფრიალებდა, სირენის ავილით ვამბობობდა: კიშკრიდან. ცილდა და შესასვლელის გუშავი გვარდელით კოცონზე თბებოდნენ. შიდა კიშკართანაც ეკონი ენთო, რომლის შექმნეც გუშავებმა აქმარებლად წაიციოხეს ჩვენი საშვები და თავით ფეხამდე აგვავალიერეს. შესასვლელის ორივე მხარეს საფარველახდით ტყვიამრტვეები იდგა და ბარს გველიებით დახვეული, ტყვიებით სავსე ღუნებზე ეყარა. უსმოი ხეუქმეუ ჯავშნისნები დეკუნებინთ. მათი მოტორები ჩართული იყო და მუშაობდა. უზარმაზარი, დაცარიელებული, ცუდით განათებული დარბაზები აივსო მძიმე ჩქმების ბრახაბრებით, ყვირილითა და ყაყაინთ... კიბეები ხალხით იყო გავსილი: იქ იყენენ შეხალათიანი და ბუწის ჭუნდებიანი მუშები, ბერს მათვანს მხარზე შეშანა ეკლდა, ჯონ რიდი ისე გავრთო და შეერია ამ მასას, რომ იგი აღარც გრძნობდა თავის უცხოელობას. მუერალი არა თუ გაუბრბდა საფრთხეს, არამედ თვითონ ექმბდა იმ ადგილს, სადაც ყველაზე მეტად შეელოცა განეცადა ბრძოლაში ჩამბული მისების განწყობილება: „ჩემი მუხოვბელი, ეიწროთვალეზიანი მონგოლტრა ტიპის კაცი, რომელსაც თბის ბუწვიანი ფავები ეხერა. ამბობდა: „შეხვდეთ, პროკოკატორები მედამ ფანჩრებიდან ისერიათ“ ჩვენ შეუვხვიეთ ბნელსა და თითქმის დაციარიელებულ ზნამენსიკს მოვდნათან, შემოვფარეთ ტრუბეტორის უხვიორ ძეგლს და გამოცვიოდით ნეის ფართო პროსპექტზე ისე, რომ სამ ჩვენთავანს თოჯები შემართული გეკონდა და ფანჩრებს თვალს არ ვამორებდით. ქუნა გამოცოცხლებული იყო ხალხი ჭგუფ-ჭგუფად, დაეუხული ვარბოდა სხვადასხვა მხარეს. ზარბაზნების ხმა აღარ გვესმოდა და რაც უფრო ეუბლოვდებოდით ზამთრის სასახლეს, მით უფრო ჩემი და ცარიელი გვეჩვენებოდა ქუნები. ქალაქის საბჭოს ყველა ფანჩარა განათებული იყო. იქით ხალხის მკიდრო მასა და მეზღვეუტრების რყალი მოჩანდა. მეზღვეუტრები გამწარბებულს ჰკვიროდნენ. გვეიბდნენ, რომ შეეჩრებებელიყავით. მანქანამ სვლა შეანალა და ჩვენ ჰკავფინობზე ! მოვბტიით. ეს იყო უჩვეული სანახაობა. სწო იდე ევატერიონეს არბის ქუთხეში ჭუნის ფანჩრეკვე მუზღვეუტრებს ნეთას პროსპექტი გადაეკრათ, ვხა ხალხის ჭგუფებისთენს გადაელობათ. რიგში ოთხოთბი მუზღვეუტრი იდგა...”

კითხვობა რიდის წიგნის ამ პასაჟებს და გრძნობ, რომ ელ, მიაყოცენია და გ. ტაბიჩისათვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია „ათი დღის“ წაითხვას. ორივე პოეტის ორსავე პოემში აშკარად იგრძნობა რიდის წიგნის გამონაკრო-

მი, ოქტომბრის რევოლუციის თვითმზღველისა და მონაწილის შთაბეჭდილებებზე და ანარეალი.

ხეივანი

ან კი როგორ გაეცეოდა რევოლუციის პირველი დღეების დახატვის მსერეული მუერალი პეტროგრაფის გამბრების ასეთი აღწერის ვაელენას: „ჩაიარეს: გამზღარმა, წვეროსანმა, სამოქალაქ ტრანსმელში გამოწყობილმა კაცმა, პოლვოისკიმ, რომლის გონებაშიც მწიფდებოდა აქანყების ოპერატიული გეგმები; გაუპარსავმა, ქუქვიან საყვლიონამა, უბლობისიგან მოზარბაცე ასტონოვმა; ჩაფსყენილმა, ფართო სახელოიანმა, მუდამ მილიმარე ჭარსიკემა კრილენკომ, რომელიც ვაღმარებით იქნევედა ხელეს და მუახეთ ლამარჯაობდა. ზორბა ტანის წვეროსანმა მატროსმა, სახე მუეილმა დიბენკომ. ასეთები იყენენ ადამიანები, რომლებიც იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის“.

როგორ სიტყვაქმწნად, როგორი მსუყე საღებავებოთა დახატული რევოლუციის უზარალი ჭარსიკეები, ისინი, ვისაც ისტორიამ უღიღეს მისია, რუნეთის განახლება დაეყისრა!

ჯონ რიდმა ერთერი იმის ბიოგრაფის სიტყვით რომ ეთქვათ, „შექმნა მხატვრული შენადნობი რეპორტაჟისა და პუბლიცისტიკის, ლირიკული პროზისა და სოციოლოგური მსჯელობის შეერებობით“.

ჯონ რიდმა სათავე დაუდო იმ მიმართულებას, რომელიც დღეს ამერიკაში ხან „დოკუმენტური პროზის“, ხან „ფაქტების პროზის“ და ხანაც „ეერნალიზმის“ სახელწოდებით ასე ზნირად ვუხვდება და რომლის საუკეთესო ნიმუშები ჰემინგუეიმ შექმნა.

„ათი დღე, რომელმაც შესძრა ქვეყნიერება“ ფართოდ თავისებურია ფორმითაც, მაგრამ მისი მნიშვნელობა უმთავრესად იმ ნიშნებით უნდა შეფასდეს, რომლებიც ასე კარგად დაახასიათა ლენინმა. ჯონ რიდის ეს წიგნი საბჭოთა კრიტიკის მიერ აღიარებულა სოციოლისტიკა რეალისმის პირველ ნიმუშად ამერიკის ლიტერატურაში, მან უღიღესო ვაელენა მოხდინა არა მარტო ამერიკის ლიტერატურაზე; მისიღამ ინტერესი არა თუ წუდებდა, მისი წიგნი ახალ-ახალ მკითხველსა და დამფრთხებელს იზიღდეს და იძენს.

შინაბრით საესე იყო ჯონ რიდის სიციოცლის ეუანსყენელი წელწიდი. მოულოდნელმა, ნადარევემა სიციელიმა უღროოდ შეწყვიტა შესანიშნავი მუერლისა და რევოლუციონერის მქეფარე, მოუწუნარი სიციოცლდე.

1919 წლის პოლოს ჯონ რიდი კვლავ მემგზავრება რუნეთს. მისი მოგზავრობა ისევე ფართაკებითაა საესე, რიდი გემზე ციცილფარეშად ეწყობა. ნორვევიღან გემის ტრიბუნში და მალული განაგრბობს ვხას ფანეთამდე. დიღს წვალების შემდეგ, ფინელი ამხანაგების დახმარებით, ჯონ რიდი სოკოლის პეტერბურგში და იქიღან მოსიყვის მიემგზავრება.



მოსკოვში იმდროისათვის გაიხსნა კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესი.

იგი მოსკოვში უნარ ამბობს სასტუმროში დაბინავებულ და ოთახს მუშის ოჯახში ჭირაობს, რათა უფრო ახლო ვაკენოს მოსკოვის უბნალო ადამიანების ცხოვრებას. იგი ცხოვრობს ისე, როგორც მოსკოვის ჩვეულებრივი მოქალაქე, იზარებს მათ ჭირს და ლხინს.

მწერალი ახლო ეცნობა რუსეთის ყოფას, მასების ყოველდღიურ ცხოვრებას.

მწერალი ინტერესით სწავლობს საბჭოთა მთავრობის ორგანოების მოქმედებას, ხელისუფლების ღონისძიებებს ქვეყნის გარდაქმნის ყველა დარგში.

ჯონ რიდი ებაძება იდეა დაწეროს ახალი წიგნი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგდროინდელ რუსეთის ცხოვრებაზე.

ამ მიზნით იგი იწყებს დოკუმენტების, სხვა. დასხვა მასალების შეგროვებას, მოგზაურობს რუსეთის სხვადასხვა მხარეებში.

იგი გატაცებულია მომავალ წიგნზე ფიქრით. ამ ახალ წიგნში დიდი ადგილი უნდა დათმობოდა რუსეთის რევოლუციის, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს ლენინს.

რიდი ბეჭითად სწავლობს ლენინის ბიოგრაფიას, საგანგებოდ მოგზაურობს ვოლგაზე და ეცნობა იმ ადგილებს, სადაც ლენინი დაიბადა.

ჯონ რიდი არა ერთხელ შეხვდა ლენინს.

მას საუბარი ჭონდა ბელადთან სახალხო კომისარათა საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტშიც, თვითონ ლენინს ბინაზეც, სადაც სტუმრად მიწვეულ ამერიკელ მწერალს რუსული სტუმართმყოფარობით იღებდნენ მასპინძლები.

ლენინი მისთვის ჩვეულ გულისხმიერებას იხენდა კომინტერნის დელეგატისა და უკვე საკმაოდ პოპულარული ამერიკელი მწერლისადმი.

ჯონი მოხიბლული იყო ილიჩის პიროვნებით.

თავისი ახალი წიგნი მწერალს ასე ჰქონდა წარმოდგენილი: ლენინს უნდა მიეპატივსას არა მხოლოდ ცალკე თავები, არამედ მთელი წიგნი არსებითად ლენინზე უნდა იყოს, რადგანაც. — ამბობდა რიდი, — ლენინს ეს არის რუსეთი, რევოლუცია, კაცობრიობა. თავის ცხოვრებას ჯონ რიდი ორ პერიოდად ყოფდა: ლენინის შეხვედრამდე, ოქტომბრის რევოლუციამდე და პერიოდად და, ლენინთან შეხვედრის შემდგომ პერიოდად.

ჯონი სწავლობდა რუსულ ენას და დიდ ენთუზიაზმთან ერთად მისთვის ჩვეულ მუსიკათმასაც იხენდა.

მწერალმა გადაწყვიტა ისევ საშობლოში დაბრუნება. მან საგანგებოდ წვერი მოეშვა, რომ არ ეცნოთ.

იხე გვიხს ტრაიში, ნახშირის ბუნკერში წოლა...

რიდი გზაში, ფინეთში ჩასვლისთანავე დააპატიმრეს.

სამი თვე დაყო ჯონმა ფინეთის საბატონოში.

რიდის დაპატიმრების ცნობა მწერალს მისი მეგობრები, რუსეთში და სხვათაგანს ლენინმა, საბჭოთა მთავრობამ ყველაფერი გააყეთა მწერლის გასათავისუფლებლად.

როცა ლენინს ეთხრეს, გადაეღვა არაოფიციალური ნახიჯები რიდის გასაცვლელად საბჭოთა რუსეთში კონტრარევოლუციური საქმიანობისათვის დაპატიმრებულ ორ ფინელ პროფესორზე, ლენინს უყოყმანოდ ეთქვა: მე ორ პროფესორს კი არა, მიუღ ფაქტობრივ მოცემულად, ოღონდ რიდი გაათავისუფლონო.

ფინეთის ხელისუფლებამ ბოლოსდაბოლოს გაანთავისუფლა რიდი იმ პირობით, რომ იგი რუსეთს დაბრუნებოდა, რუსეთში დაბრუნებისთანავე რიდი ებებება კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის შემთავებით.

ჯონს ირჩევენ კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის წევრად. იგი გატაცებით მუშაობს კონგრესის ორ კომისიაში ნაციონალურსა და პროფესიონალურს მომართობის კომისიაში.

თეზისების ავტორი ნაციონალურ საკითხებზე თვითონ ლენინი იყო და კომისიის სხდომაზე მისი თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა. ჯონ რიდი ორჯერ გამოვიდა მოხსენებით ნაციონალურ-კოლონიურ საკითხებზე, ერთხელ კომისიის სხდომაზე, მეორედ კონგრესის პლენარულ სხდომაზე.

რიდის ორივე გამოსვლის თემა იყო ზანგების მდგომარეობა ამერიკაში. მან კონგრესს მოუთხრო რასოდენ დისკრიმინაციაზე ამერიკაში და იქაური კომუნისტების ამოცანად დასახა ბრძოლა ზანგების თანაწილედებაიანობისათვის.

ჯონ რიდი აირჩიეს აღმოსავლეთის ხალხთა პირველი ყრილობის დელეგატად, რომელიც იმავე ზანგებში ბაქოში იმართებოდა.

ბაქოს ყრილობაზე ჯონ რიდი გამოვიდა ამერიკელი რევოლუციონერების სახელით. მისი მგზნებარე სიტყვა მიმართული იყო დასავლეთის იმპერიალისტების, უოლსტრიტის მკანეტების წინააღმდეგ. მან ამხილა „ამერიკული დამხმარების“ ნაშედილი აზრი, რომლის საშუალებითაც მონომოლისტები ხალხებს მონობის უღლის ახალ ნაირსაბუთებს სთავაზობდნენ.

აღმოსავლეთის ხალხთა პირველი ყრილობა ბაქოში მართლაც გრანდიოზული იყო, თავისი წარმომადგენლებითა და ორატორთა სიტყვების შინაარსით.

ტრაიუნაზე ერთი მეორეს ცელიდნენ იმპერიალიზმის მიერ დამონებული ხალხების წარმომადგენლები. ისინი გზის მარეწებელ ვნათობად აცხადებდნენ ოქტომბრის რევოლუციას და კოლონიურთა ქვეყნების ხალხებს გალამწყვეტი ბრძოლებისაყენ მოუწოდებდნენ.

ჯონ რიდიც აღმოსავლეთის ხალხთა ბაქოს ყრილობამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

იგი აღერთვანებით ყვებოდა, რომ ეს „იყო ყველაზე განსაცვიფრებელი რამ მთელს მსოფლიოში“.

ბაქოდან დაბრუნებული ჯონ რიდი ლოკინად ჩაიარდა. იგი ტიფით გახდა ავად, მძიმე ქიურტრგული ოპერაციის, პათიმრობითა და დუ-სვენებელი შრომით შერყეული რიდის ჯანმრთელობა უძღურა აღმოჩნდა ამ სნეულების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ექიმობა და წამლობა ვერაფერს გახდა. 1920 წლის 17 ოქტომბერს რიდი გარდაიცვალა.

ჯონ რიდის გარდაცვალებამ დაამწვრა როგორც მოსკოვი, ისე მთელი მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები.

მწერლისა და რევოლუციონერის გარდაცვალებას ფართოდ გამოესმატრა მაშინდელი პრესა მთელ მსოფლიოში.

რიდის ცხედიარ დასვენებული იყო კავშირების სახლში და მთელი კვირის განმავლობაში მის გამოსათხოვრად მოედინებოდა ხალხის ნაკადი.

რიდს სამაჩე კრემლის კედლის წინ წითელ მოედანზე გაუთხარეს და დიდი პატივით დაკრძალეს.

1917 წელს რიდი ესწრებოდა რევოლუციის მსხვერპლთა დასაფლავებას წითელ მოედანზე. ჯონმა მათი დასაფლავების აღწერა მაშინ აღერთვანების ამ სიტყვებით დაამთავრა: „რუსი ხალხი აშენებს ამ ქვეყნად ისეთ ნათელ სამეფოს, რომლის მსგავსაც ვერ ნახვ ვერც ერთ ცაზე, ისეთს სამეფოს, რომლისთვისაც სიკვდილი ბედნიერებაა!“

რიდის წიგნის წინასიტყვაობაში ნ. კრუპსკიაო წერდა: „ჯონ რიდმა თავისი თავი მთლიანად დაუკავშირა რუსეთის რევოლუციას. საბჭოთა რუსეთი მისთვის მშობლიური და ახლობელი გახდა. იგი ამ რუსეთში დაიღუპა ტიფით და დასაფლავებულია კრემლის კედელთან. ჯონ რიდმა ისე აღწერა რევოლუციის მსხვერპლთა დასაფლავება, რომ იგი ღიბსია ამ პატივისა...“

ჯონ რიდის საფლავზე მოგვიანებით აღმართეს გრანიტის ლოდი, რომელსაც მოკლე, მაგრამ ბევრის მოქმელი წარწერა აშვენებს:

ჯონ რიდი, III ინტერნაციონალის დელეგატი 1920

ჯონ რიდის წიგნი „ათი დღე, რამაც შესძრა ქვეყნიერება“ ამერიკაში გამოვიდა 1919 წელს. თარგმანის პირველი რუსული გამოცემა დაიბეჭდა 1923 წელს. წიგნი იმთავითვე დიდად გახმეურდა და ოქტომბრის რევოლუციის მეგობრების საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

გალაქტიონ ტაბიძეს შეეძლო მხოლოდ რუსული გამოცემით გასცნობოდა ჯონ რიდის ამ ნაწარმოებს.

ჯონ რიდი ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო.

ამერიკელი მწერლისა და რევოლუციონერის სახელი და შფოთიანი, რომანტიკური აღსავსე ცხოვრება ამ დროისათვის ლეგენდულ იყო ქვეყლა. ბუნებრივია, რომ გალაქტიონ ტაბიძეზე ღრმა გავლენის მოახდენდა წიგნი, რომელშიაც ესოდენ სიმართლითა და მხატვრული დამაჯერებლობით იყო გადმოცემული პეტროგრადის, და ნაწილობრივ რუსეთის რევოლუციის დღეების სურათები.

ჯ. ტაბიძე ამ სურათების თვითმზილველი იყო და რიდის წიგნმა აღმათ ისევ გააცოცხლა მის მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხლად შერჩენილი რევოლუციის დღეებით მიღებული შთაბეჭდილებანი.

თავად ჯონ რიდის — ამერიკელი მწერლის გულწრფელი მოსვლა და დახლოება რევოლუციასთან, შორეულად გავდა ჯ. ტაბიძის დამოკიდებულებას საბჭოთა წყობილებასთან. მანაც წინასწარმეტყველურად იგრძნო რევოლუციის გარდღველობა და როცა თვითმპროვებლობა დაემზო, ერთი პირველთაგანი მიესალმა ქვეყნის განმსახლებელი ძალების გამარჯვებას. ამიტომაც ჯონ რიდის შესანიშნავი წიგნებზეცა და პიროვნებაც ერთნაირად ახლობელი და მიწმიდველი ეგნდა აყოფილიყო გალაქტიონ ტაბიძისათვის და იგი ამას პირდაპირ აღიარებს, როცა ამაყად აცხადებს:

ჯონ რიდი —
პოეტი რევოლუციის
დელეგატი
მესამე ინტერნაციონალის —
პიროვნება,
რომელთან ერთად განიცადე
რევოლუცია...
მთელი სიმწარე მოვლენების
და მთელი სიტკობ,
რომ ეს სტიქია
უჩემოდ არ ჩაბარებულა...

გალაქტიონ ტაბიძის „ჯონ რიდი“ წარმოადგენს რიდის „ათი დღის“... ერთგვარ პოეტურ გამოქაბილს, ამ შესანიშნავი წიგნის თავისებურ ექოსაც და მის ქებათაქებასაც.

ჯონ რიდის ამ წიგნის გაცნობამ, როგორც ჩანს ბიძკი მისცა პოეტის შთავგონებას გადმოეშალა ის შთაბეჭდილებანი, რომლებიც მას, როგორც რევოლუციის თვითმზილველსა და დამსწრეს დაუგროვდა.

ჯ. ტაბიძის პოემის არა ერთი ადგილი პირდაპირ პარალელს პოულობს ჯონ რიდის წიგნის შესაბამის ადგილებთან.

თეთრონ აქტიუტქონიკაც პოემისა, მისი რიტმი ერთგვარად ჰგავს ჯონ რიდის წიგნის რიტმსა და აქტიუტქონიკას: მოვლენებისა და სურათების სწრაფი, კინემატოგრაფიული ცვლა, სახეებისა და სიმბოლოების ელვისებური გაჭროლე-

ბა, რევოლუციის ბოხოქარი, ნაპირებგაღალახელი რიტმი.

პოეტმა ეს რიტმი თეთრი და თავისუფალი ლექსის მიჯრის რითმებთან მონაცვლეობაში დაიჭირა.

პოეტი არაერთგზის მიუთითებს თავის შეხვედრაზე ჯონ რილთან:

სალამო ხანია
 პეტერბურგი
 „ათი დღე,
 რამაც შესწრა კაცობრიობა“
 განვილილი,
 მაგრამ ჯერ ისეე ჩანს
 უნარშეზარე
 პლაკატი —
 „მთელი ძალაუფლება
 დამფუძნებელ კრებას“
 ო, რა თქმა უნდა,
 მე არ მელოდენ,
 როცა სიწრაფით
 ვეშურებოდი საქართველოდან.
 იგი წამოვიდა
 ნიუ-იორკიდან —
 ნამდვილი ქონი!
 ჩვენ შევხვდით —
 როცა იგრანეს ბორცილის —
 დანგრევის დრონი.

პოეტი კიდევ უფრო აკონკრეტებს ჯონ რილთან შეხვედრის ადგილსა და მომენტს:

როცა მასები გადვარდნენ
 ცხარე ბრძოლაში
 ჩვენ ერთად ვიყავით.
 უფრო წინათ კი
 ჩვენ დავეწარით
 რევოლუციის მსხვერპლთა
 დასაფლავებას.

გალაქტიონ ტაბიძე ჯონ რილთან ორჯერ შეხვედრაზე გვიხსობს: ერთხელ პეტროგრადში შეხვედრიან ისინი ერთმანეთს, მეორედ რევოლუციის მსხვერპლთა დასაფლავებაზე.

მეორე შეხვედრის ადგილი დასახელებული არაა, მაგრამ ჩვენთვის რილის წიგნიდან კარგად ცნობილია შემდეგი გარემოება: 1917 წლის ნოემბერში ჯონ რილი ჩადის მოსკოვში და იქ ესწრება რევოლუციის მსხვერპლთა დასაფლავებას წითელ მოედანზე.

რილი ამ დასაფლავების აღწერას ფართო ადგილს უთმობს თავის წიგნში და დიდი გულწრფელობითა და თანაგრძნობით გადმოსცემს სამკლოვიარო პროცესის მიწაწილე მოსკოვის პროლატარტთა განცდასა და განწყობილებას.

შეიძლება მომავალში დადგინდეს ქართველი პოეტისა და ამერიკელი მწერლის ფიზიკური შეხვედრის ფაქტი, მაგრამ მთავარი ეს როლია. შესაძლოა გ. ტაბიძე სულაც არ გულისხმობ-

დეს. ზემოთ დამოწმებულ სტრიქონებში ასეთ შეხვედრას და მხოლოდ რევოლუციასთან მათ საერთო შეხვედრაზე, რევოლუციის იმ ერთგვარად განცდაზე ლამარა ბაბუნიძემ, რამაც ორი მწერალი ერთმანეთს სულთერად დაინათესავა.

ოქტომბრის რევოლუციამ ამერიკელი მწერლის სიცოცხლე და შემოქმედება, ახალი შინაარსით აებსო, მის ცხოვრებას ახალი აზრი მისცა, ხოლო მწერლობას ახალი შთაგონება და პერსპექტივა.

ასევე, ქართველი პოეტისათვის ოქტომბრის რევოლუცია იქცა იმ უღელტეხილად, საიდანაც მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ახალი დიდი გზა დაიწყო. რევოლუციასთან მისვლით, მისი სიდიადეს ზიარებით გ. ტაბიძემ თავი დააღწია დეკადენტობას და ქართული პოეზიის ახალი გზა გააყვია. რამელიც ჩვენი დიდი კლასიკოსების ტრადიციის გაგრძელებას წარმოადგენს.

„ჯონ რილი“ იყო ახალი სიტყვა გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაში და მთელ ახალ ქართულ პოეზიაში.

რევოლუციის სურათების აღწერისას პოეტი აღწევს უღელეს მხატვრულ სიზუსტესა და განზოგადებას. პოემაში ძვირფასი თვლებივით გაბნეული მეტაფორები გვაოცებენ თავისი სიძლითა და თვალისმოშპრული ბრწყინვალეობით.

ცაზე მოდიოდენ
 ელვიაში ბილიკები
 ავარდნილ ცეცხლისა.
 ცვივოდნენ
 მადლით ნაპერწკლები,
 როგორც ყვაილთა ფენობა,
 ეენახივით ივრინებოდა.

პოეტის ზედუა მამფრია და ფუნჯის ერთი მოსმით დახატული სურათი უაღრესად პეტრევილი და შთამბეჭდავი.

ადამიანები აღზე მოპრაბოდენ
 ცოცხალი ფესკებივით.
 მოსკოვი გუგუნებდა
 როგორც მუხა —
 და პირიდან აფრქვევდა ტყვიებს
 როგორც რკოებს.
 ვერხვივით სწორი ირხეოდა
 კრემლის კოშკები
 და გარს ეხვეოდნენ სასახლენი,
 როგორც ბუჩქნარა.
 კინზარივით იწუხებოდა
 ლამე —
 რომელიც ახლა დაქდა
 საფუტრთან და წივს უაღიონს.

გალაქტიონ ტაბიძე არა მარტო ნგრევისა და შეტერის, ცეცხლისა და ბარიკადების დაუე-

წარსურათებს ხატავს, იგი შეუდარებელი ოსტატობითა და პლასტიკობით გამოგვეცემს ძველი რუსეთის დამზობის განსოგადოებულ სურათებსაც.

დგას ერთი გრანდიოზული
სკამი,
რომელსაც მართლაც მოტეხილი აქვს
სამი ფეხი
და ზედ ძლივს ზის
ქერ ისევ ძველი
რუსეთი.
ქვეშ დახვეული
ხალიჩა უვია.
წინ დამტყრელი ქამი უდგას.

გალაკტიონ ტაბიძემ თავისი აღტაცება „თი დღის“ ავტორით, მისი მომხიბვლელი პიროვნებითა და შემოქმედებით ორიგინალურად გამოხატა.

ჯონ რიდი —
პოეტი რევოლუციის,
დედუგატი
III ინტერნაციონალის —

„პოეტი რევოლუციის“ ისეთი განსაზღვრაა, რომელიც ზედმიწევნით სწორად გამოგვეცემს ამერიკელი მწერლის დამოკიდებულებას რევოლუციისადმი. თვითონ ეს დამოკიდებულება უაღრესად გულწრფელი და რაინდული იყო. და თუმცა ჯონ რიდს ლექსად არ დაუწერია ოქტომბრის რევოლუციის ქება, მისი „თი დღე“ იყო ამ რევოლუციის სადიდებლად თქმული სიმღერა, პროზად დაწერილი კიშნი რევოლუციისა.

პოემის სათურიც ვეჩვენებს, რომ იგი ავტორს მოუფიქრებია, როგორც ჯონ რიდის ცხოვრების ამახველი ნაწარმოები. პოემაში კი სულ რამდენიმე სტრიქონი ეძღვნება ჯონ რიდს. ამ გარემოების ახსნას იძლევა ჩანაწერი პოემის დღიურიდან:

„ბავშვიც კი შეამჩნევს, რომ ჩემი „ჯონ რიდი“ დამთავრებული ნაწარმოებია“. (გ. ტაბიძე, ტომი VIII, შენიშვნები, გვ. 274).
გ. ტაბიძის ეს ჩანაწერი დღიურიდან დიდად მნიშვნელოვანია. მას იმდენად უდავოდ მიაჩნია

პოემის დამთავრებლობა, რომ „ბავშვიც კი შეამჩნევს თერმე ამ გარემოებას“. (ქვემოთ) ვფიქრობთ ამავე მიზეზით უნდა ახსნას მკითხველის ერთგვარი ფრამენტულობა, ილაგ-ილაგ ბოლომდე დამთავრებლობა.

სათური „ჯონ რიდი“ პოეტს ავალბდა მეტი მოვთხრო თავისი ნაწარმოების გმირზე, ეჩვენებინა იგი როგორც რევოლუციონერი და მწერალი, მით უფრო, რომ ჯონ რიდს საინტერესო ბიოგრაფია საინსოლ მდიდარსა და მრავალფეროვან მასალას იძლეოდა.

ჩვენ აქ სულაც არ ვგულისხმობთ ჯონ რიდის ცხოვრების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გამოცემას. მაგრამ ავტორს, რა ექმა უნდა, პოემის სტილში რევოლუციის სურათების ჩვენებას, მოკლე, მაგრამ დასამახსოვრებელ სტრიქონებით შეველო ჯონ რიდის პორტრეტს დახატვა.

მაგრამ ისიც, რაც მოგვცა გ. ტაბიძემ, სულ რამდენიმე სტრიქონითაც გვაქვს ჯონ რიდის დახასიათება, როგორც რევოლუციის პოეტისა, ამ რევოლუციის მონაწილისა და მისი ქარიზმატიკური დღეების შემეატანისა.

პოემა „ჯონ რიდი“ არა მარტო გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში არის საეტაპო ნაწარმოები, მან არა მარტო ავტორის შემოქმედების ახალი გზები დასაბა, ეს პოემა ერთერთი ნაწარმოებთაგანია იმ მდიდარსა და მრავალფეროვან ლიტერატურაში, რომელიც ჯონ რიდის პიროვნებასა და შემოქმედებას მიეძღვნა.

ეს ლიტერატურა კი, როგორც ზეითაც აღვნიშნეთ, ერთი ან ორი წიგნით როდი განისაზღვრება. მით უფრო გულდასაწყვეტია, რომ გ. ტაბიძეს პოემა დამთავრებული დარჩა.

საწიფხარო ვაუტებობაზე მოვანინა ისიც, რომ გ. ტაბიძის პოემა „ჯონ რიდი“ დღემდე არ არის რუსულ და სხვა ენებზე თარგმნილი.

გ. ტაბიძის შემოქმედების ქროვანად თარგმნის ამოცანა გადაუდებლად დგას დღესაც. როცა ეს რთული და საპატიო ამოცანა დაძლეული იქნება და გ. ტაბიძე მთელი თავისი სიდიადით წარსდება რუსი და სხვა ხალხების მკითხველებს წინაშე, ჩვენ გვჯერა, რომ მისი პოემა „ჯონ რიდი“ სათანადო დაფასებასა და აღიარებას მოიპოვებს და პატიოსანი თვალთვით დაამშვენებს რევოლუციის პოეტის ჯონ რიდის ირვლევი შექმნილ ლიტერატურას.



ეროდორე ველოშვილის რევოლუციური პროზა

ი. ველოშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პირველი რევოლუციის ხანაში შექმნილი რევოლუციური ბელეტრისტიკა, რომელმაც თავის დროზე დიდი როლი შეასრულა მებრძოლი მასების ორგანიზებულობისა და მონოლითრობის საქმეში. ი. ველოშვილის მოთხრობები და ნოველები, ესკიზები, ეტიუდები და მინიატურები მაღალი იდეურობით, მხატვრულობით და ესთეტიკური გამოხატულებით დღესაც ინარჩუნებს მკითხველთა ინტერესს.

ი. ველოშვილის პროზას იდეურ-პოლიტიკურ ღირსებას განსაზღვრავს მისწრაფება არსებული სინამდვილის რევოლუციურად გარდაქმნისა. მისი შემოქმედების ლეიტმოტივია ცარბაზის, როგორც „ხალხთა საყრდენის“, დამხობის გარდევლობა.

ი. ველოშვილმა გულშიამწეოდმი რევოლუციური ჰიმნი უმღერა 1905-1907 წლების განმათავისუფლებელ მოძრაობას და თავისი მძაფრა მოთხრობებით ღრმა კვალი გაავლო ამ პერიოდის რევოლუციურ პროზას.

ი. ველოშვილმა პირველმა უჩვენა მაგალითი, რომ მხატვრული ლიტერატურა უნდა იღვეს რევოლუციის სამსახურში, უნდა ამუშავდეს მშრომელთა ცხოვრებას და იმდროდეს ხვალის დღის დღის სურათს.

ი. ველოშვილმა ბრწყინვალედ გააგრძელა ქართველ სამოციანელთა ბელეტრისტული ტრადიციები, მასში შეიტანა იდეურ-თემატიკური სიახლე, რევოლუციური პათოსი და ნოვატორული ხერხები. მებრძოლ მასებს გულში ხაუნთო გამარჯვებათა ოპტიმიზმი, უჩვენა უცარბაზი ცხოვრების გარდაქმნის დიალექტიკური გარდევლობა. ამიტომ იყო, რომ პირველი რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში მისი მოთხრობები გამოქვეყნებისთანავე იპყრობდა მკითხველთა ყურადღებას და რევოლუციური პროკლამაციის ძალას ინარჩუნებდა.

ი. ველოშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის პირველ ხანებში გამოქვეყნებულ მოთხრობებში კრიტიკული რეალიზმის მახვილი თვალთ დაჩაბულა ცხოვრების ყოველი კენჭულა გამოჩვენებულია და დასაბუთებული უცარბაზი სინამდვილის დაგვირგვინ აუცილებლობა. მწერალი ველოშვილმა კაპიტალისტური ცხოვრების შემზარავი, კომარული სურათების ამსახველად, ჩაგრულა. დამშუღულა და გაუბედურებულა პერსონაჟების მხატვრად. რევოლუციის მრისხანე დღეებში ი. ველოშვილი კალმითა და ხაშტით იყო ჩამდგარი ცხოვრების შეაგულში და იბრძოდა მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის, როგორც მისი ლეიფი შვილი.

ი. ველოშვილის პროზის ძირითადი პერსონაჟები არიან მეამბოხე მეშები და გლეხები, რევოლუციონერები, პოლიტიკური ბრძოლის მონაწილენი. ამ ხალხის პორტრეტებს იგი დიდად დამაყრებლობით გვიხატავს. ავტორს კარგად ესმის მათი პროგრესული აზრები და გრძობები, მზარს უყურს მათ იდეებს. ეს კი რევოლუციონერი მწერლის იდეურ წინსვლასა და შემოქმედებითს ევოლუციას ნიშნავდა.

რევოლუციური პროზის მშვენიერი ნიმუშია მოთხრობა „დაგვირგვინი კერპი“. ი. ველოშვილი ჩინებულად ხატავს ცხოვრების სინამდვილიდან გამომდინარე ისტორიული აუცილებლობით ნაყარნახევი გამარჯვების წინასწარ სურათს. მოთხრობაში ქარავმულად არის ნაჩვენები თვითმპყრობელობის დამხობა და თავისუფლების დამყარება.

მოთხრობის მოქმედება მცხეთაში იშლება. მთავარი მოქმედი პირები არიან: მეფე ფარნაოზი, ქურუმი, არიოსი, არმაზის კერპის წინააღმდეგ აჯანყებული ნინო, გორდო და ქუჩი.

არმაზის კერპს, ბორბოტების ამ სიმბოლოს, აღმაიანებს სწირავენ. მსხვერპლშეწირვას თვით მეფე ესწრება. ეს საშინელო, ვითომდა სარწმუნოებრივი აუცილებლობით ნაკარნახევო, სისხლიანი აქტი საზეიმო ვითარებაში სრულდება. ზენების უღამაზეს წიაღში აღმართული მთის მწვერვალადან მომანს არმაზის კერპის კვარცხლებეო. კოშკის დახშული კარებიდან გამოჰყავთ სამი ჩასტკებულო, ხელშეკრული ახალგაზრდა კაცი. არმაზ, შენთვის! არმაზ, შენთვის! — დაიგრილა ბრბომ და რამდენიმე თასი კაცო დაეშოო მიწაზე“.

ქერუშმა არიოსმა ხალხს მიმართა: „მართლ-მორწმუნენო, ჩვენის დიდებულის ღმერთის არმაზისა, მტვერნო უძლიერესი მეფისა ჩვენისა ფარნაოზისა, ვილოცოთ, რამეთუ შეიწიროს მწვალობელმა ღმერთმა ჩვენმა მსხვერპლი ესეო. არმაზ! ოხ, არმაზ! ოხ, არმაზ! მოგართმევ სამსა ამა ზეარაკსა, ესოდენ სისუქითა და იყოს წყალობა შენი თავსა მეფისა ჩვენისასა და შინათა მათზედა მოიდრეკეთ მებღნი თქვენნი, მონანო, და ეამზარეთ ნატერფალსა ფერხთა მეფისათა, რომელი იგი არს შემწუნარებელი ღმერთისა ჩვენისა“.

ამის შემდეგ გატატულებულნი მსხვერპლნი დაეშობიან მეფის ტახტრეკანის წინაშე და ქუარუმი მათ ჩამოაქრის უერის ბიბინას, ნიშნად ამისა, რომ ხელო სამივეს არმაზის კერპის ტრაეზეზე დაჰკლავენ.

ამ ამაღლებული სურათის მაკერალნი ნინო, გორდო და ქუცი საიდუმლოდ თათბირობენ იმის შესახებ, რომ უნდა დამსხვრიონ არმაზის კერპი, გადარჩინონ მსხვერპლნი და იხსნან ხალხი ამ საშინელებისაგან. ისინი თავს შეაფარებენ გამოქვაბულს და შეადგენენ არმაზის კერპის დანგრევის გეგმას.

ნინოს მოტრფილად გორდო წინადადებას აღეცხს სატრფოს, თავი დაანებონ ფათერაკს, იცნორონ ბედნიერად. თორემ სიცოცხლის ფასად დაუტრფაოთ ყოველივე ეს.

გაქარებულნი ნინო სკოტავს გორდოს მერეფობისა და შიშის გამო. ნინოს სიტყვა ვაეკატრა შინაარსისაა, ბრძოლის სტიმულისა და გამარჯვების რწმენის შთამაგონებელია. ნინო იმედიადად შესძახებს სატრფოს: — „დავანებოთ თაოი? — რას? იმას, რასაც ჩვენი მოვალეობა შეადგენს? მეფე მე როგორ ეუყრო არმაზის სისხლით შევღებო კვარცხლებეს, უღლ-გადწვეულ აღმაიანებს, სიკვდილის კერპისათვის ზალხის დამშონებელს, ხალხის სულთამტეთავს, ხალხის გზის შემბორკველს ნამდვილ ღმერთისაყენი... მე მიწა ბედნიერება ჩემს გარშემოც! ეს იქნება მტერად ქცევა არმაზისა, მის ნანგრევებზე უნდა აშენდეს ვალესია სიყვარუ-

ლისა და სათნოებისა, ძმობისა და თანასწორობისა... ვლდექი, ტანჯულო ძმარე, დევი განყოფადის სხივები მიესაღებუნოს შენ დახტულად იარას! დევი, ნადველზე იფეთქოს ვაზაფხულის ყვავილმა და გოჭობებზე აშენდეს სამოთხე“.

ნინოს ამ სიტყვებით შთაგონებული გორდო, ნინოსთან ერთად, შეუერთდება სხვა შეთქმულთ, რომლებიც ვალესილი ხანჯლებით აეუწყვენ ქერუმებს, არმაზის კერპს ნამსხვრევებად აქცევენ, ხოლო გათავისუფლებული მსხვერპლნი ზეიმობენ სიცოცხლის გადარჩენას...

მეფის ცნობრის თვალის ასახვევად მწერალს აშბავი ვირთულ წარსულში, წარმართობის ხანაში გადააქვს. სინამდვილეში კი ასახავს პირველი რევოლუციის ამბებს. არმაზის კერპი მწერალს გააზრებული აქვს როგორც თვითმკერებლობის სიმბოლური სახე, ხოლო მცხეთარესეთის იმპერიის სატახტო ქალაქი, პეტერზურგა; ფარნაოზის სახით დახატული ჰყავს მონარქი, რომლის ხელუბრ რევოლუციის უმარავ მსხვერპლთა სისხლით იყო შეღებული.

შეთქმულნი რევოლუციონერთა სიმბოლურის სახეებია. აქ ქაზავმულად არის დახატული რევოლუციური ბრძოლის სურათი. მწერალი არწმუნებს მკითხველ საზოგადოებას, რომ ხალხისე დაანგრევს თვითმკერებლობას, როგორც დაანგრია არმაზის კერპი... მოთხრობა გაედენითლია რევოლუციური ბრძოლის პათოსით. მასში აღეგორიულად დახატულია პირველი რევოლუციის მომზადების ხანა. მოთხრობის შინაარსი ემბოტრებოდა აქანებელი მასების სულიერ განწყობილებას.

გორჯოსა და ქუცის სახით ავტორმა დახატა რევოლუციის თავდადებული რაინდები, რომლებიც იბრძვიან მეფის ტირანიისაგან ხალხთა განთავისუფლებისათვის. ნინო კი რევოლუციონერი ქალის სახეა. იგი მავალითის მიჩვენებელია სხვებისათვის, თუ როგორ უნდა ემსახურონ რევოლუციას. ასეთი ქალები იმ დროს ბევრნი იყვნენ. ისინი იტანებოდნენ მეფის დილეგებში.

„დანგრეული კერპი“ რევოლუციური ბრძოლისა და გამარჯვების მხატვრული სურათია. ამტომ იყო, რომ თავის დროზე ამ მოთხრობის გამოქვეყნებას დიდი რეზონანსი ჰქონდა. ამ ნაწარმოებში მწერალმა რესეთის პირველი რევოლუციის გამარჯვების მხატვრულად გააზრებული პერსპექტივა წარმოგვიდგინა.

აღეგორიული ფორმით არის დაწერილი აგრეთვე პატარა ესკიზი „ფიქრები“. ამ სათაურით პოეტმა ორი ლირიული ლექსი გამოაქვეყნა 1902 და 1906 წლებში.

ამ ესკიზში რევოლუციურ ქარცხელზეა ლაპარაკი. აქ ერთმანეთთან შედარებულია ბუნების სურათები და ცხოვრების მოვლენები, დახატულია ლამაზი ფერებით შემკობილი და აზურმუხტებული გაზაფხულის წარმტაცი სუ-

1 ირ. ველოშვილი, თხზ ტ. III, 1937 წ., გვ. 72-73.

რათი. მთები და მდელოები, რომლებსაც ტონს აძლევს ფრთასწრაფი ჩანჩქერები და ნაკადულები. ყველგან სიხარული და ყვავილების ზეიმი სუფევს.

აქ, ბუნების გამოეტყობასთან ერთად, სიმბოლურად არის გააზრებული მომავალი რევოლუციური ბრძოლების დასაწყისი და მებრძოლ მასთან იერატი არსებული უკუღმართი სოციალური სამყაროს დასაშობად. ამ მინიატურულ ესკიზში მწერალი შენიღბულად უჩვენებს მასებს ნათელ გზას რევოლუციისაკენ.

მოთხრობაში „თოდის ქვეშ“ აღგორიულად არის გადმოცემული იმ დროის პოლიტიკური სიტუაცია. ავტორი იძლევა რევოლუციურ განწყობილებებს, შეფარებით კვლავებს მოახლოებული ბრძოლების დასაწყისსა და გამარჯვების გარდევალობას (სტირის მთა, სტირის... მაგრამ ეს ტირილი ღებნაა, სიხარული, განთიადის გამარჯვება“).

ეს მოთხრობა იდეურად ენათესავება ირ. ევდოშვილის ადრე დაწერილ ლექსს „სიმღერა მათის ღმესს“. ამ ლექსშიც მხატვრული თხრობას აღგორიული ფორმა გამოყენებული, ბუნების იგავე სურათთა გამოხატული, რაც მოთხრობაში. ესკიზშიც პროზაულად არის გაშლილი ლექსის სიტყვები: „ღევ. რისხვით ცამ იქვოს, ელვამ გაქრას არე-მარეს.

მთა განრისხდეს, დაბლა ბარზე უგზავნადეს ნიაღვრებს“...

რამდენადაც ძლიერდებოდა რევოლუციური ბრძოლები, იმდენად უფრო მწიფდებოდა და ვაკეცდებოდა ირ. ევდოშვილის რევოლუციურა მოფლმზებდებლობა. იგი იყავდა გზას რევოლუციური რიანტრზების მალაი მწვერვალებისაკენ.

მეშათა კლასი ეშაბდებოდა გადამწყვეტი ბრძოლებისათვის. შეიარაღებული აჯანყებისათვის. პოლშეიკები „პეტერბურგის ფურცელში“ წერდნენ: „თავისუფლება სისხლით შეიძინება თავისუფლება იარაღით, სასტიკი ბრძოლით მოიპოვება... კი არ ვთხოვთ შეფეს, თავი კი არ დავიშვროთ ჩვენი მოსისხლე მტრის წინაშე, არამედ ჩამოვადგოთ იგი ტახტიდან... ძირს ომი! ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს ხალხთა შეიარაღებულ აჯანყებას! გაუმარჯოს რევოლუციას!“

ამ პერიოდში ირ. ევდოშვილის შემოქმედება რევოლუციური სტლისკეობებით იყვებოდა და მიყვებოდა ბოლშეიკების მიერ ნაჩვენებ გზას.

ირ. ევდოშვილისათვის დამახასიათებელი აღგორიული წერის მანერით არის შესრულებული ესკიზი „ვისთა ეს სიფლავი?“ ამ ესკიზში ავტორი იძლევა ჰუმანიტური ბრძოლისა და რევოლუციური შემართების მისამად მაგალითს. ამ ესკიზის ლირიული ადღერება გაისმა პოეტის ადრეულ ლექსებში.

მრავალი ქართველი რევოლუციონერი, მეშათა საქმის თავდადებულად აღმასრულებელი იყო. მათი პირველი რევოლუციური განმარტებულელებელი მოძრაობის სამართლიან იდეებს. მეფის ხელისუფლების ყურღმულეში მრავალმა მებრძოლმა დაასრულა თავისი გმირული სიცოცხლე. მაგრამ მათს ბრძოლას ამაოდ არ ჩაუვლია. მათი სახელები აიტაცა მეშათა კლასმა და უკვდავყო რევოლუციურ მატთანში, უკვდავყო თავის სიმღერებსა და ლექსებში.

1905 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა ირ. ევდოშვილის პოლიტიკური შინაარსის სარკესტული ეტიუდი „შეშლილის წერილებიდან“. შემოღლი ადამიანის სახით ავტორმა დახატა თვითმპყრობელი მეფე. ეტიუდში დამარჯვებულად არის გადმოცემული ადამიანურ ღირსებებს მოკლებული მეფის გიჟური მოქმედება.

ეტიუდის ფინალში ავტორის საამყაროზე გამოიქვს მეფის სულიერი დეპრესია, მისი სულით დაცემა და განადგურება. რევოლუციით შემინებულ მეფეს ავტორი ათქმევინებს მკერნალი ექიმის მიმართ, რომ უშველოს, რაგორმე უშველოს: „სახლი, სახლი ინგრევა, ექიმო, დაიკი, უშველე; ჰერი ავერ ჩემყენ მოდის, მაწევაბა... ჰა, არ გაბედო! ოხ; თავი, თავი მექვალატება... შემობრალეთ, შემობრალეთ — ღვთის გულისათვის!“

აქ ნახსენები სახლი მეფის სასახლის მხატვრული სიმბოლოა, მთელი სახელმწიფოებრივი სისტემის გამოსახულება, რომლის ჰერი უკვე ნგრევის პროცესშია. მეფე მთელი ენერგიით ცდილობს ტყვიებითა და სახრზობელებით შეინარჩუნოს მეფური ძალა და დიდი მსხვერპლის ფასად კიდევ აღწეეს ამას.

ამ ეტიუდის იდეურ-მხატვრული გამოძახილი ავტორმა მოგვცა სატირულ ლექსებში: „საადღობო სუფრული“, „ევი ჩვენ თავს“, „გეის-ვესით ჩემი ბიძა“, „ბიძაჩემის ქორწინება“ „ბიძის“ და სხვ. (აქ ბიძა მეფის სიმბოლურ სახელე არის ქვეული).

რევოლუციურ მოთხრობათა ციკლს მიეკუთვნება „ეპტრობამ იკლო“. ამ მოთხრობაში დახატულია ფეოდალიზმის ნათებისა და აღმაკვალი კაპიტალისტური ცხოვრების სურათები, როცა ეკლესიაშიც დაკარგა ავტორიტეტი და მის მაგიერ ხალხმა „ერთობა“ იწამა.

მოთხრობის მოქმედი პირები არიან როგორც ძველი სოციალური წრის წარმომადგენლები — მღვდელი, დაკვანი, მნათე, ისე საეკლერო კლასის წარმომადგენელი სირაქი ვასუა.

სასულიერო წოდების მსახურნი წუნუნებენ იმის გამო, რომ ეკლესიაში აღარავენ შედის, რომ ამის გამო ეპტრობამ იკლო და მრევლმა კი სულ სხვა ღმერთი იწამა, ერთობის მიხეცა.

ამ სატირა მხატვრულ ტილოზე ავტორმა მამერი პოლიტიკური სიმახვილით ამოქარგა

ცხოვრების ისეთი შექმნილობები, რომლებიც შესაძლებელია სხვას სწავლანიან რომანშიც ეს ვერ ვაღმოვცა.

მოთხრობის სიუჟეტი კარგად არის მოფიქრებული, გამოკვეთილია პერსონაჟთა პორტრეტები. დიალოგის გამოყენებით მოკლედ და რეალისტრად არის ვაღმოცემული სინამდვილე. მწერალი დამარწმუნებლად უჩვენებს მკითხველს, რომ ცხოვრების განახლება, ერთობის, ა. ა. რევოლუციური მოძრაობის დაწყებამ შეცვალა ხალხის დამოკიდებულება ცხოვრების ძველი ფორმისადმი.

მოთხრობაში ავტორს შემოაქვას რევოლუციური მოძრაობის მონაწილე ვასუა. კთხვანზე, თუ რატომ განდგა ხალხი დაეკანსა და აღკოყატა, იგი ასეთ პასუხს იძლევა: „ეჲ, თქვე დალოცვილნი, ყოველდღე ხომ არ მოყოლება მკვდარი. მაშინვე იყო და ჩავაბარეთ, დედაჩემი იყო და სული სამოთხისაკენ არ წასულიყო, რომ საწინავე მეჭვინა გვიკრათ. „სუღია“ და ხეთი წელიწადი ჩემი „ზაიალეინებია“ სენატამდას ატარე. რამდენი აპელაცია, რამდენი წანდაბა და დონანა. სამოცი თემანი ნაღდი ფული ჩერ შენ გავითავებია. იესუნი! ახლა სხვები მოთვალე. — ეს „პრაოკოცია“, ეს მოწმე, ეს ისაა, ეს ესაა, მერე რა გამოვიდა? პესტერში რა მოვიგე? — ვირის თავ-ფეხი!“

ამ გულწრფელი აღიარებით, რომელიც შეზავებულია მწერლის მხიარული ჰუმორით, გასაგებია ხდება, თუ რატომ შეაკცია ხალხმა ზურგი ეკლესიასა და ძველ „სამართალმწიფრობებს“, გასაგებია ხდება, რომ ხალხი გატაცებულია ახალი, რევოლუციური სამართლის ძებნით.

ეს სატირული მოთხრობა, მოქნილი ლაო-ნიზმითა და იდეურ-პოლიტიკური სინათლით, ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებია. ამ მოთხრობით მწერალმა გაამდიდრა, გაამრავალფეროვანა ქართული რევოლუციური სატირა. მეტი სიციხოველე და სიმკვეთრე შემატა სატირას, იგი მოიმარჯვა რევოლუციის სამსახურისათვის, დაუსაბუთა დროშოქმული სოციალური წრის წარმოამდგენლებს, რომ ისინი საზოგადოების ხორკმეტნი არიან და რევოლუციის მახვილით უნდა ამოიკეთონ საზოგადოებრივი ცხოვრების სტრუქტურა.

არ. ევდოშვილმა უდიდესი ვულსტიკული გამოხატა იმ იდეურ თანამებრძოლთა მიმართ, რომლებიც 1905-1907 წლების რევოლუციას შეეწირნენ. მწერალს მუდამ განუშორებელ აზრდილად სდევს მათი სახეები. ყოველივე ამან ლიტერატურული განსხვავება ქპოვა მისი შემოქმედების პირველი პერიოდის პროზასა და ლაოკაში. აქ გამოჩნდა რევოლუციის მსხვერპლთა დიდი საყვარელით დახატული სახეები. მწერალმა ცალკეული თხზულებები მიუძღვნა უკვდავ რევოლუციონერებს: ა. წულუაძეს, ლ. კეცხოველს, ა. ჭორჯიაშვილს და სხვებს.

ლ. კეცხოველის, როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ფელსა-ჩინო მოღვაწისა და თავგანწირული, უმადოლო ციონერის, ავტორიტეტი უაღრესად დიდყოფილ გაზეთი „ბრძოლა“, რომელიც მან 1901 წელს ბაქოში არაღვანელურად გამოისცა, რევოლუციური სულსა და ბრძოლის წყურვილს უნერგავდა მასებს.

ლ. კეცხოველის სულში ჭერ კიდევ ბავშვობის ასაკში ჩაისახა ზოლი ხალხის მხაგვრელებისადმა. სემინარიის კედლებიდან იწყებს იგი ბრძოლას მათ წინააღმდეგ. იმ დროს, როდესაც მისი რევოლუციური ოპტიმიზმით აღსავსე სახე საქვეწონოდ გამოიკვეთა საერთაშორისო მუშათა კლასის ბრძოლის ისტორიაში, როცა მისმა რევოლუციონერმა მოღვაწეობამ ზენიტს მიაღწია და თეითმპყრობელობის ერთგულმა მგლებმა მასში პრინციპული და საშიში მოწინააღმდეგე შეიცნეს, რეაქციის ბნელმა ძალებმა ის ვერაგულად მოკლეს. ამ სისხლიანმა აქტმა ამიერკავკასიის რევოლუციური ძალები, ყველა მშრომელი შერისპიების ცეცხლით აღანთო.

რს დამპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტი 1904 წლის აპრილში გამოშვებულ პროკლამაციაში წერდა: „ერთი მსხვერპლი კიდევ შეიწირა რუსეთის მთავრობამ! ერთი ზეარაკი კიდევ დაიკლა თეითმპყრობელობის ისეხელ სისხლით შეღებულ სამსხვერპლოზე! ერთხელ კიდევ გაიწვეეს შერის საძიებლად ფეხქვეშ ვათელდა გრძობა ხალხისადმი სიყვარულისა!... ჭერ კიდევ არ განთავისუფლებულა მეტების ცივი და ნოტიო ოთახები ზვეწ აზხანათაგან, რომ თეითმპყრობელმა მთავრობამ მაისობისა და შეიძლება, კიდევ უფრო შრისხანე ამბების მოლოდინში ერთი მაგარი მექლეგენი კვლავ უძღვნა რუსეთის შეგნებულ პროლეტარიატს!“

ლადო კეცხოველის რევოლუციური პორტრეტი შესაფერისად აისახა ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში. პირველი პოეტი, რომელმაც სცადა სრულყოფილად მოეცა და კიდევაც მოგვეცა მისი სახე, ირ. ევდოშვილი იყო. ლექსში „გვირისი საფლავზე“ დიდებულად აღერს შეჩაისძიებით ანთებული სტრაქონები, რომელშიც მოცემულია მომავალი ბრძოლების პოლიტიკური მიზანდასახულობა: „აბა და აბა, მათშია ძალა, თავგანწირულად ვინც რა კვდებიან.“

ჩვენი დროის ქვეშ, შეთელ დროის ქვეშ ვინც იბრძოლებენ, არ წოდებენ „ბრძოლის“ მწერალ პოეტი და ლექსში ჯალათებისადმი ზაზლის მოზღვავებულ გრძნობას ღერიადა.

ირ. ევდოშვილმა, გარდა ზემოთ დასახულებული ლექსისა, მოქმედ პირად ლ. კეცხოველი კიდევ ორ მხატვრულ თხზულებაში დახატა. 1905 წელს გაზეთი — ივერიაში“ გამოქვეყნდა მისი ნოველა „ციხეში“ და მხატვრული

აბიჯი „მოცულებულთა ანტილემს“ (რე-სულადანი).

„ცხემში“ რევოლუციური ოპტიმიზმის სე-ლით გადენილი ნოველა. მასში ძლიერი მხატვრული საღებავებით არის გამოყვითლი ციხის კედლებში გამოჩეხებული გმირი — ტუსაღი ამ ტუსადის სახელი ნოველაში პირ-დაპირ არ არის ნახსენები, მაგრამ მწერალს მი-ის სახით დასატული ჰეავს. ლ. კეცხოველი. რო-გორც ქართულ რევოლუციურ პოეზიაში, ისე პაროზაში იროდიონ ვედოშვილმა პარკველმა ვა-მოკეთა ამ დიდი ქართული რევოლუციონე-რის სახე.

ნოველაში წარმოდგენილი მოქმედება თბი-ლისში ხდება, მეტეხის ციხეში, სადაც მოკლეს ლ. კეცხოველი. იგი სიყვდილის შემზარავი რე-თების წინ რევოლუციური მოწოდებით გამო-დის ტუსადთა წინაშე, რათა მოსიპოს ქვეყნად ესპარტოლობა, გალიქმას თავისუფლების მი-ძინებულმა ლომმა და რევოლუციის მრასანე ქუსლით გასრისის ყვაე-უორნები, თვითმწყრო-ბელობის ეს ნაძირადები და ლაქები.

არ. ვედოშვილმა მრავალი მძალადეური თხზულება შექმნა რევოლუციისათვის თავშე-წირულ მოღვაწეთა უკვდავსაყოფად. მათი სა-ხელების საღებავლად და შთამომავლობისა-გან მოსახსენებლად. სწორედ ჩამოხრბობილ-თა, დახრეტულთა და მეფის პოლიციური ხე-ლისუფლებს მიერ კატორღებში გამოჩეხდე-ულთა შესახებ გვესაუბრება მწერალი ნოვე-ლებში: „ცხემში“ და „მოცულებულთა ანტი-ლემს“.

ამ უანასენელში ირ. ვედოშვილი დაუბრუნ-და ლ. კეცხოველის პორტრეტის გამოკეთას. იგი დიდი პოლიტიკური და რევოლუციური შეგნებით არის დაწერილი და ქართული რევო-ლუციური პიროს მინიშნელოვანი შენაძენია. „რესულადანი“ სათაერთან ფრნხილებში ცენ-ზურის მოსატყუებლად არის მიწერილი. სინამ-დილეში კი ნოველა ირ. ვედოშვილის ირიგი-ნალერი ნაწარმოებია.

აქაც ნოველის გმირი პოლიტიკური ტუსა-ღია. ავტორი მას, უფრო მეტი გრძნობატყუა-ღობისა და ფსიქოლოგიური შთამბეჭდაობისათ-ვის, პირველ პირობას აღაპარკვეს, აქ ავტორი-სა და პერსონაჟის თხრობა ისეა ერთმანეთთან გადაჭკვეული, რომ დიდი დაკვირვებაა საჭი-რო, გაერკვე, სად იწევებს საუბარს ავტორი და სად ამთარეებს.

ნოველა მკითხველს აღძრავს საბრძოლო, რევოლუციურ პათოსს, იძლევა პოლიტიკური ტუსადის ეთაერი-ფსიქოლოგიური პიროფელს, მაშინდელი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოკლენის შეუფერავ სერაის. ნოველაში მოხანს მწერლის საყეთარი სტილი. ეს არის დიდი ექსპრესიის მქონე, მომეღის ნათელი ოპტიმიზმით გამსუ-

ვალელი ნაწარმოებია. იგი მხატვრული სილ-ოტიით და იდეურ-მინარსტრუქციულ თეკლას-რისით გამოირჩევა და წინა-მხედრულ ფაქტ-ყვე-ლა იმ მხატვრულ თხზულებათა შორის, რომ-ლებში 1905 წელს დაწერილია. მასში მოკე-თულია არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის დიდი ვანცდა და რწმენა მომავალი გამარკვევისა. ნაწარმოებში აქაიქ, გაიფლებს ერთფეკარა ბზარი საბოლოო მიზნის მიღწევამი, საყვდილის შიშის, სულერი დაქანციისა და ვულგატეზილობის ტენდეციები.

ნაწარმოების ძირითადი იდეაა თვითმწყრო-ბელობის დაშობა რევოლუციური ძალების გაერთიანების საფუძველზე. ნოველაში ღრმად არას განაღიზებული ფსიქოლოგიური სამყა-რო პარკველი რევოლუციისათვის მხევრპლად შეწირულ პერსონაჟებისა.

მწერალმა ნოველაში დიდი თანაგრძნობით უჩვენა მკითხველს აქანეებელი, სულით მდი-დარი, ხალხისა და სამშობლოს უსაღვროდ მოტრფივალე ადამიანები, ისინი, ვინც სატუსა-ღოს ცივი და დაღურეული საჩქმილიდან უყუ-რებს სამშობლოს და არც კი იციის „თუ რა დი-დი ბენებაა სიციხეებში და მისით დატეზობა...“.

ნოველის მოქმედი გმირი მკითხველის წინაშე გაორებულად წარმოსდგება. მასში იბრძვის ორი ტენდეციია: ერთი ვულგატეზილობისა, სული-ერი დაღილობისა და, მეორე — ბრძოლის გაგრძელებისა, ოპტიმიზმისა, მოკეშულია ამ გრძნობათა ურთიერთიდილი. დაბოლოს, მა-ინც იმარკვებს ბრძოლის საბოლოო მიზანმდე მიყვანის იდეა, ვარდა ამისა, ეს ნოველა ლი-რკული პიროზის საფეციკური ნიშნებით გა-მოირჩევა და მასში შთაფარი გმირის ფსიქოლო-გიური ვანცდებია მოკეშული. მწერალი დიდი ფსიქოლოგიური დაკვირვებით ვადმოგვეცემს პერსონაჟის შინაგან ძვრებს, რაც ნოველას დი-ნამიერობას ანიჭებს.

ნოველის სიუჟეტი ოსტატურად არის შეკრე-ული ლაკონურად არის ჩამოყალიბებული: ვა-ზაფხულის მომზიბლავი ბენება ზეიმობს. სი-ლაამზე და მისი თანამგზავრი სიყვარული ვა-ამბიჯებს ყველგან და ამ ზეიმის თამადა — მზე მზიარული სხივებით უცინის დედამიწას. ამ ბედნიერებას ციხის ფანჯრიდან უცქერის ენერგიითა და სიციცხლის სიყვარულით ყე-ლამდე საყუე ახალგაზრდა, რომელიც რევო-ლუციური მუშაობისათვის დაუბრუსაღებით. დიდი ხანია ის მოკლებულია თავისუფლების სიტეზობას, ამიტომ ვულდაწყვეტული მისტი-რის ბედნიერებას, ვოღებს მასზე.

ნოველის პირველ ნაწილში ტუსადი ფანტა-ზიით წარმოდგენს სიყვდილის სამიწელებას, გამოყსალმება სიციცხლეს და მისთვის ერთთა დღე და ღამე, ციხე და თავისუფლება. ამის გამო სულ შიშის მარწუხებშია მოკეშული. მაგ-რამ ბოლოს მაინც არ ქარგავს სულიერი წო-

ნაწირობას და გაუტყეული ნებისყოფით იბრძვის თავისი პოლიტიკური იდეალებსათვის, მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის. იგი ღარწმუნებულია ამ იდეის გამარჯვებაში.

საბამის ტესალს ბუნე კუთხეებში ელანდება ფერმკრთალი თვალები დაღუპული მოძებები-სა, ოდესღაც ამ საკანში მყოფი, აწ კი გარდაცვლილი ამხანაგებისა, იმ რევოლუციონერებისა, ვინც სახალხო საქმისათვის ვაწირობა, რაც კი გააჩნდა...

ჩვეულადი ოსტატურად არის ჩართული ცხოვრებისეული ეპიზოდები. თავისი შიშხიფეულობითა და სულიერი მხნეობით ყურადღებას იქცევს ლ. კეცხოველის სახე. აქ პირდაპირ არ არის დასახელებული იგი, მაგრამ მხატვრულ-მინაარსობრივი დაკვირვების შედეგად მკითხველისათვის გამოუტყნობი არ რჩება ამ მგზნებარე მებრძოლს პორტრეტი.

ტესალში ისეც ოცნებობს მომავალ ბრძოლაზე, რომელიც სატესალოდან გასვლის შემდეგ მოეგლის. იგი მზად არის საცოცხლე მახვერპლად შესწიროს პარლუტარიატის განთავისუფლების საქმეს. ეს არის ამ ნოველის დაღუბითი მობრეტი, მისი კეცმარიატი შთაგონება და იდეური პარლიტური ღირსება, იგი მოწოდებაა განთავისუფლებული ბრძოლისადმი. ამ ბრძოლებაში ჩამბის მხატვრული ილუსტრაციაა. მწერალი დანაშავედ თვლას ყველას, ვინც არ მონაწილეობს მეფის პოლიტიკური რევიმის დამხობაში. ნოველას გმირი ბრძოლის ველზე ემბახს სულით მხნე და გულით მაგარ ვაჟაყვებს, რომ საწელამოდე დამამხვრონ ტახტი მონური ბატონობისა და უსამართლობისა; მის სისხლსა და ხორცში ვამფარია სამაგიეროს ვადაზდის ენი იმათ მამართ, ვისთანაც უთანასწორო ბრძოლაშიც დაღუპნენ მისი ამხანაგები, რომელთა აჩრდილები ახლა საფლავებიდან მოუწოდებენ თანამებრძოლთ სისხლიანი ანგარიშსწორებისადე.

ტესალში ჩავდა ჟოველგვარი შიშისა და მტრეობის განცდა. „შე ახლა აღარ შემინაან ჩემის თავისა, — ამბობს ის, — არ შემინაან ამ დემილისა, შე ზომ ახლა მარტო აღარა ვარ. აჲ აქ უცდოდნენ ისინი თავიანთ უკანასკნელ წუთებს, ისინი, ჩემი წინამორბედნი, ჩემი ამხანაგები, ჩემი მძებნი. ისინი აქ არიან ჩემთან, მათთანა ჩემს ძალას მე მათთან შევაფორებელი ვარ სისხლითა და ცრემლებით, სიყველით და გამარჯვებით; სამარის წყვლიადიდან მლოცვენ ისინი საწინელ, სასტყე ბრძოლისათვის, და ჩემს გულში ვნთება შერისთება და ერთგული სიყვარული... მე აღარ შემანან ამ მიღუბებულადელებსა, სკვი ქველსა, სიბნელსა, ძალმობრობისა... სიციცხლეს, ბედნიერებას, სკვაბუყესა და თავისუფლებას მთლად ვანაცვალე ბრძოლასა და გამარჯვებას“.

განა ასეთი მგზნებარე მოწოდების ტონით არ

წარმოთქვამს ლირიულ აღსარებას ჭერან გარდოსანიძე? განა ასეთი შემარტებელი, ბრძოლის წუთრვილით არ სცემს მისს ვეფლი? დეკორევილი მკითხველი შეაზნუნებს, რომ არ, ევდომეისის ნოველასა („მოცვალეებლთა აჩრდილები“) და კოლა ლომთათვის მოთხრობას („სახარბოვლას წინაშე“) შორის იდეურ-შინაარსობრივი ნათესაობა.

ორივე თხზულების მოქმედი პირები შეურიგებელი რევოლუციონერები არიან და სამკედრო-საიაციოცხლ ბრძოლას უცხადებენ თვითმებრძობელებს; ორივე მოქმედი პირი ერთ პერსონაჟი — 1905-1907 წლების რევოლუციის ხანაში მოქმედებს. ორივე მათგანი ცხეშია გამომწყედეული და პირველ ხანებში ერთგვარი შიშის გრძნობით არის შეპყრობილი, მაგრამ შემდეგ თავისუფლება ამ შიშისგან. საბოლოოდ კი, ისინი მტკიცე ნებისყოფის მებრძოლებად ყალიბდებიან. ვანუზომეღია მათი სიყვარული პარლუტარიატის საქმისადმი, მათ სიტყვიერი ინვენტარიც თითქმის საერთო აქვთ.

ერთი სიტყვიით, შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი პერსონაჟი სულიერი მეგობრები და იდეური ნათესავეები არიან. მათ ერთმანეთთან აყავშირებს საერთო პოლიტიკური შეხედულებები და ერთა საბოლოო მიზანი. ეს დატეხი სრულიადაც არ არის საკვირველი, რადგან ორივე მწერალი, როგორც ირ. ევდომეილი, ისე კ. ლომთათიძე, პარლუტარიატის ბრძოლასა და გამარჯვების საქმეს ემსახურებოდნენ. ორივე მწერალი გმირულად შეეწირნენ ამ დიდ საქმეს. აღნიშნულ თხზულებათა რევოლუციონერ პერსონაჟთა სიტყვებშიც ავტორთა იდეურ-პოლიტიკური კონცეფციაა გადმოცემული.

შეიძლება ითქვას, რომ ჭერან გარდოსანიძე პოლიტიკური ბრძოლების ქარტეხილებში უფრო გამოწრთობილია, გაყავებულია. მას უფრო ვრცლად აღაპარაკებს ავტორი, რადგან ამის საშუალებას იძლევა მოთხრობის მოცულობა. ჭერან გარდოსანიძის პოლიტიკური შეხედულებები ემთხვევა ირ. ევდომეილის ნორველის ესახელი გმირის პოლიტიკურ იდეალებს. ჭერან ი. ევდომეილის ნოველის გმირის უმცროსი მამა, სულიერად და იდეურად მისი ორეულია. „მოცვალეებლთა აჩრდილები“ უფრო შექმმულად, მინატურული ფორმით არის გადმოცემული ის, რაც „სახარბოვლას წინაშე“ ავტორმა მოვეცა.

ნოველა „მოცვალეებლთა აჩრდილებს“ ქრონოლოგიურად წინ უსწრებს კოლას მოთხრობას. იგი 1905 წელს დაიწერა, ხოლო „სახარბოვლას წინაშე“ — 1907 წელს. კოლას მოთხრობის გმირს უფრო ფართო სამოქმედო ასპარეზი და რევოლუციური მუშაობის ორი წლით მეტი გამოცდილება აქვს. იგი უფრო მკვეთრად წარმოდგება მკითხველის წინაშე შეუბოვრობით, რევოლუციური შემარტებით. თუმცა აქ

მხატვრული გამოსახვის ხერხად უნდა მიეცეს ყურადღება.

მკვლევარ გიორგი ციციშვილს ჭეირონის დახასიათებისას საესკეზო სწორად გააზრებული მტყნაირული შეხედულება აქვს გამოთქმული: «ჭეირონის სახით გმირული სიციცხლე, დიადი საქმისათვის თავგანწირვა ამარცხებს სიკვდილს. ამ ნაწარმოებში იგრძნობა ის რევოლუციური რომანტიზმი, რომელიც შეინიშნება მ. გორკის ადრეულ ნაწარმოებებში. მსგავსად გორკის „ქალიშვილისა და სიკვდილისა“, სადაც სიკვდილი ძლეულია სიყვარულის მიერ, ჭოლას ამ ნაწარმოებში სიკვდილს სძლევენ გმირობა და რევოლუციური თავდადება!»

ი. ევდოშვილის ნოველის გმირი ეტრფის თანამებრძოლთა აზრდილებს. იგი მათ ცოცხლებზე მატად აფასებს, ღირსეულად იხსენიებს. აზრდილები ეძახიან, იწვევენ მას ბრძოლისაკენ, მოუწოდებენ გააგრძელოს და გამარჯვებით დაასრულოს დაწყებული საქმე, პროლეტარიატის გამარჯვების საქმე. ამრიგად, ნოველის გმირი შეიძლება ჭეირონ ვარდოსანიძეზე უფრო მალა დავაყენოთ.

განხილულ თხზულებათა გარდა, ი. ევდოშვილის პროზაულ შემოქმედებას კიდევ მრავალი რევოლუციური მოთხრობა აშვეენებს. ამ მოთხრობებით იგი გვევლინება, როგორც რევოლუციური პროზის ერთ-ერთი ალიერი წარმომადგენელი, ძლიერი ოსტატი 1905-1907

წლების რევოლუციის პერიოდში. ამ მხრივ ი. ევდოშვილი მალა დგას თავისი დროის რევოლუციონერ მწერლებზე.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ი. ევდოშვილის რევოლუციური პუბლიცისტიკა, რომელიც მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია. მწერალი პუბლიცისტიკაშიაც იაცეს სოციალურად დაჩაგრული კლასების ინტერესებს. იგი ყოველთვის მცველად ედგა ღარიბებსა და ჩაგრულ ადამიანებს, თავისი ბასრი კალმით სამართს უთხრიდა მეფის ბიუროკრატიული აპარატის გამოყუჩებულ მოხელეებს.

ი. ევდოშვილს როგორც პროზასა და ლირიკაში, ისევე პუბლიცისტიკაში საპატიო ადგილი აქვს დათმობილი ზალხთა ინტერნაციონალური შეგობრობის იდეას. თავისი რევოლუციური თხზულებებით პოეტი მუდამ ზალხთა შეგობრობის, ურთიერთსიყვარულისა და ძმობის მქადაგებელი იყო.

ამგვარად, ი. ევდოშვილის რევოლუციური პროზა და პუბლიცისტიკა სუნთქავს 1905-1907 წლების განმათავისუფლებელი მოძრაობის დიადი იდეებით. იგი გაედენთილია საბრძოლო მოტივებითა და განწყობილებებით, დიადი გამარჯვების ოპტიმისტური რწმენით. მის პროზაში გაშინაარსებულია ამიერკავკასიის პროლეტარიატისა და ვლახობის მონური ცხოვრება, ნაწვენებია სამკედრო-სასიციცხლო ბრძოლა ქვეყნად არსებული უსამართლობის დასანგრევად და თავისუფლების მოსაპოვებლად.



მალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებითი ეპოლუსტია

უაღრესად საინტერესო გზა განვლო ვალერიან გაფრინდაშვილმა, როგორც შემოქმედმა. მეთოხედი საუკუნის მანძილზე დაუღალავად იღვწოდა ქართული ლიტერატურის საყვითელდღეოდ და, გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ლიტერატურის ისტორია უოკელოუსი პატეისცემით და დიდი სიყვარულით მოიხსენიებს ამ უაღრესად კოლორიტულ მოღვაწეს.

ერთ ღრსს ორთოდოქსი სიმბოლისტი, მოგვიანებით რეალიზმთან წილნაყარი სიმბოლისტური რეციდივებით დამიშვებული პოეტური ხედვა და ბოლოს რეალური სინამდვილის გულწრფელი მომღერალი, ასეთია ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებითი გზის სქემატური სტრატია.

ქვეშაირიტებაა, რომ რაც ისტორიული ადცილებლობითა გაპირობებული, აქვს უფლება არსებობისა, ქართული სიმბოლიზმიც ისტორიული ადცილებლობით იყო გაპირობებული.

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხებამ და შემდგომმა რეაქციამ საზოგადოების ერთ ფენაში თუ რევოლუციური აღმავლობა გამოიწვია, მეორე ფენა სულიერად დასცა და დემარსიულ მდგომარეობაში ჩააგდო. მოგვიანებით, პირველი მსოფლიო ომის ზარბაზნების გრიალმა შეათრთოლა აღამიანის სული. ბრძოლის ველი აღამიანთა სასაფლაოდ იქცა. ინტელიგენციის გარკვეულ ფენებში ომით გამოწვეული ატრეტიკური უბედურება იწვევდა სულიერ დამბლასა და პროსტრაციას. მათ დეკარტეს საურდენი წერტილი დედაშიწაზე და თავშესაფარს ირაციონალურ სამყაროში ეძებდნენ. ავადმყოფური ფანტაზიით ჰქმნიდნენ

ახალ ფანტაზმაგორიულ ქვეყანას, სადაც ნერვების დაოცება შეეძლო.

ქართული ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა სიმბოლისტურ ლიტერატურაში ჰპოვა ნაესაფუდარი. „ესიფერი ფანჭები“ ორგანული გადახსნა ქართული ინტელიგენციის ერთი ნაწილის სულიერი ცხოვრებისა. ამიტომ გვეჩვენება ქართული სიმბოლიზმი ისეთ ლიტერატურულ სკოლად, რომელიც წარმოშვა არა მხოლოდ მიმბაძველობის სურვილმა, არამედ რეალურმა პირობებმა და ისტორიულმა ადცილებლობამ. სწორედ ამ სულიერმა კატასტროფამ აღტურვა ქართველ სიმბოლისტთა მსოფხედვა სემბექტური-იდეალისტური ფილოსოფიით და რადიკალურად გამიწა ისინი რეალიზმისა და დემოკრატიული ტრადიციებისაგან. საზოგადოების ამ ქაოტურ ატმოსფეროში იწვევა ახალგაზრდა შემოქმედის სულიერი ფორმირება. გასაყვირი არაა, თუ ვერ კიდევ კაბუცი ვალერიან გაფრინდაშვილი ვერ აპყვა 1910-იანი წლებიდან დაწყებულ რევოლუციური აღმავლობის ტალღებს, დროის მამოძრავებელი იმპულსებისადმი ზურგშეშეკევამ იგი მიიყვანა არარეალისტური ხელოვნებისა და ლიტერატურის მიყნებთან. მისი მხატვრული ინტერესები მოღერანისტულ-დეკავენტური ლიტერატურული სკოლების ვაულენას დამოხრიდდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდში ქართული პოეზია და პროზა განიცდიდა დიდ სიდუხჭირესა და უმწეობას. საჯალლო ატმოსფეროს ვერ სცვლიდა მიმწუხრის ფანს მიტანებული აკაი წერეთლისა და ვაჟაფშაველას ფიზიკური არსებობა. მე-19 საუკუნის ამ ბუმბერაზთა ფნიჭო ვაიგონებს არარაობამდე დაკ-

ყავდათ აღნიშნული პერიოდის ლატერატურული ცხოვრება.

დიდებით მთავალი ძველი ვხვით სიარული მწერალთა ახალ თაობას უკვე აღარ შეეძლო. აუცილებელი გახდა ქართულ ლატერატურულ ცხოვრებაში დამღვარი საყდრული მყუდროების დარღვევა.

ქართული სიმბოლიზმი, ე. წ. „ციხეფარყან-წელია“ სკოლა წარმოადგენდა ცდას ქართულ ნადავზე დანერვილიყო წმინდა ევროპული, უფრო კი რუსული ლატერატურული სკოლის (სიმბოლიზმის) იდეურ-ესთეტიკური პრაქტიკა. კუმშვარტება მოითხოვს იოქვას, რომ მიუხედავად ევროპულ და რუს სიმბოლისტთა შემოქმედების საფუძვლიანი ცოდნისა, ქართველი სიმბოლისტები, უახლოვდებიან რა ფუტურბიზმის თეორიულ და შემოქმედებით პრინციპებს. თავიანთ პოეტურ პრაქტიკაში და, განსაკუთრებით, კრიტიკულ-ესთეტიკურ წერილებში სკოლაღებიანი რაფინირებულ სიმბოლიზმს.

სავანებოდ აღნიშვნის ღირსია ვალერიან გაფრინდაშვილის პირველი პოეტური ნაბიჯები — 1909-1915 წლებში რუსულად დაწერილი ლექსები, რომელთაც ამჟამად ეტყობათ რუს სიმბოლისტთა (ა. ბლოკი, ი. ანენკო, დ. მერვეკოვსკი) გავლენა. მაგრამ ისიც უდავოა, რომ ამ ლექსებში ამჟამად გამოიკვეთა ახალგაზრდა პოეტის მსოფლმხედველობა, მისი უცილობელი ნიჭი.

მიუხედავად იმისა, რომ ვ. გაფრინდაშვილის მრავალრიცხოვანი ლექსები რამდენიმე ცოკლად იყოფა, თემატიკითა და ვანწყობილებათა იდენტურობა ერთ მთლიან რკალად აღიქმება.

შორსვლა, მიუწვდომელი სიყვარულისადმი ლტოლვა, ხელოვნური საწყაროს წარმოსახვა და მისი დასახლება საყუთარი ფანტაზიით შექმნილი არსებებით იქცა პოეტის ადრეული რუსული ლექსების ლეიტმოტივად.

ამავე პერიოდში ვალ. გაფრინდაშვილი ქართველ კლასიკოსთა რუსულად თარგმნას იწყებს. 1915 წლით არის დათარიღებული ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას ვაჟრინდაშვილისეული თარგმანები.

1915 წლიდან პოეტი ინტენსიურად მუშაობს ქართული ლექსების შექმნაზე, რაც უდავოდ დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

მოსკოვში ვატარებულმა წლებმა (ბტდენიტობის პერიოდ), რუს სიმბოლისტთა და ფუტურისტთა საყარო საღამოებში ახალგაზრდა პოეტის ჩამოყვალბებულ სელფერ საყაროზე ნევატიური გავლენა იქონია. მოდერ ვატაკებში აუღილმა თანდათანობით დაკარგა სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელი პოეტური თვისებებიც კი და დეკადენტური (ფუტურბიზმი) პოეტის ტყუე გახდა.

პოეტის პირველი წიგნი „დაისებში“, რომელშიც გაერთიანდა 1915-1918 წლებში შექმნილი პოეტური პროდუქცია, რადიკალიზებული დეკადენტბიზმის ნიმუშია (ვაზონიკული წარმოდგენის რამდენიმე ლექსი).

თბილი თემატიკური ციკლი („დაისებში“, ორეულელები“, „ოფელეები“, „ამირ სიფალი“) კიდევ უფრო ნათელს ხდის მკითხველისათვის აკტირის ესთეტიკურ ორიენტაციას.

დაისი — მზის ჩასვლა, საღამოს მოახლოება, ბინდი იქცა პოეტის შთავიზების წყაროდ, მის აუცილებელ პოეტურ სიმბოლოდ, რაც თავისთავად სიყვდილის, უსასობის, მულანქოლის სახეობრივი საწყისია. ბუნების ამ მულანქოლიერ აქტში ცნაერდება წარმავლობის ფილოსოფია (დეკადენტური მსოფლმხედვა). ამ ფილოსოფიის პოეტური წარმოსახვა სკადა ვალერიან გაფრინდაშვილმა შემოდასახვლებული ლექსების ციკლში „დაისებში“ პოეტს შემოჰყავს ახალი მითოლოგიური გვირგვინი, რომელთა ფანტასმაგორიული სახეები, სქემატიკური ხასიათები, უჩვეულო ვანწყობას იწვევენ პოეტში.

ისევე დაისი მომეველინა როგორც იღბალი, ისევე დაისში დაეინახე ავი ლანდები. ჩემს საღღვგრატელს წითელ თასით სვამს მანიხალი, გიგი ოცნებით უფსკრულისკენ კვლავ დაექანდება. ფარშავანებმა დამირბდილეს ცის საყვამლეთი, თითქოს მარბებელს დაექებენ

კვალვადაკარველს,
ფირუზის ფამად წამოპრა თვითონ მანლბტი,
პლექის ასული მიესალმა რბინდს
ქარგელს.
(სთეატრის ფარდა, დაისი მეორეა)

დაისის ანუ საღამოს პოეტური სიმბოლიზაცია ჭერ კიდევ ფრანკმა სიმბოლისტებმა სკადეს თავიანთ ლექსებში (მ. ბოდლერი „საღამოს ბინდი“, „ღლის დასარტლი“. „მზის რომანტიკული ჩასვენება“, „საღამოს პარმონია“, და სხვ.). თუმცა იმ განსხვავებით, რომ მით ლექსებში საღამო დანახულია ბუნების პეიზაჟის ფონზე, ე. ი. როგორც ბუნებაში შეგვეჯილი და აუცილებელი ფენომენი. ამ შემთხვევაში საღამო, ბუნება წარმოსახულია რომანტიკული ელფერიით. დამყარებულია პარმონია საღამოს, ე. ი. ბუნებასა და პოეტის სელს შორის. ანალოგს აქვს ავღილი რუსული სიმბოლისტურ პოეზიაშიც (ა. ბლოკი, დ. მერვეკოვსკი და სხვ.). ქართული სიმბოლიზმისათვის, კერძოდ კი ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისებისათვის“, დაისის როგორც ობიექტური მომენტი,

ბუნების სახეცვლილება, ივნარიბებელია და წინადა სუბიექტივისტური სიმბოლიზაციის ჩარჩოებში ექცევა. დაიბო პოეტისათვის არის სახე-სიმბოლო, რომელიც განასახიერებს დაინ-ციული, გატეხილი სულის ხასიათობრივ ვარიაციებს. სამყარო დანახულია როგორც ადამიანთა ტანყვის ადგილი, სადაც მონაცვლეობენ სიმბოლოები და ნიშნები, მათ უყარ კი, შეუტ-ნობელი ფენომენის სახით თვით ცხოვრება დგას.

„დაისებოს“ ციკლისათვის, კერძოდ, და ვ. გაფრინდაშვილის მთელი შემოქმედების პირველი პერიოდისათვის, ზოგადად, დამახასიათებელია შტრალი სქემის სახით წარმოსახვა სამყაროსი, რომელიც შეუტნობელი პოეტური კონსტრუქციებისაგან შედგება და ეს სამყარო გამოწვლსა სისხლსაც, მიწიერი სურნელებით დასავსე საწნობრივ ცხოვრებისაგან.

ლექსის სიუვეტური ქარვის ალოგიზმი, და ტეხილი და ხელოვნურად შეკავშირებული აზრები თუ ფრაზეები „დაისებში“ გაერთიანებულ უშრატულს ლექსებს უყარავს პოეტური მშვენიერებას, უქმარობისა და ინერტულობის გრძობის აღძრავს მეთხველში; თეკაუნტური ესთეტიკისათვის დამახასიათებელია ექსცესიზმე მისულ უხარობას ლექსები მიყავს საერთო ერთფეროვნებაში (თემატიკის, ფორმის თეალსაზრისით), მწელი ზდება ერთი ლექსის მეორედან გარჩევაყ კი, ამივე ჩარჩოებში ექცევა ლექსების ციკლი „ორეულები“ და „ოფელიაბი“.

ფრანგული და რუსული სიმბოლიზმის წარმომადგენელთათვის ნიშანდობლივია „ორეულების“ — ლანდების ფილოსოფია, იგი, შეიქლება ითქვას სიმბოლიზმის ესთეტიკის თვით არსაყ კი წარმოადგენს.

სიმბოლური სამყაროს „ილილიური“ სურათები, მათში განფენილი პერსონაჟები მისტიკური ამოშხიბულულობით“ იზიდავენ პოეტს და, რადგან რეალური არსობიდან გადასვლა, წარმოსახულ სამყაროში ჩაიძრვა შეუტლებულია, რჩება მხოლოდ ერთი გზა ირეალურ სამყაროსთან ზიარებისა — ძილი, სიზმარი. სიზმარში წარმოსახული სურათები მირაკივით ჰქრება, რადგან „საუბედუროდ“, იგი მუდმივი არ არის „Interieur“ — პირველი). ლანდებისა და ორეულებთან შეხვედრის სცენები, სხვადასხვა ვარაიაციებით (კონფლიქტი, სიყვარული, მეგობრობა, მტრობა), დამახასიათებელია „ორეულების“ ციკლის ლექსებისათვის.

თავის ერთერთ აღრეულ ნაწილში „სტუფან მალარმე“ ეალ. გაფრინდაშვილი წერს: „მალარმემ შექმნა ოთახის ესთეტიკა. რასაკერძეულია, ოთახის თეალსაწინო კატეგორია არის სარკე. შეიძლება მალარმე არის პირველი პოეტი, რომელმაც მიაკცია ყრბადლება სარკეს, როგორც

შემოქმედების საგანს და მალარმემ მოცულობა-რკის პოეზია. სარკე ხომ უფრდესი სიმბოლოა ჩვენი ყოფისა. არაფერია ისე მისტიურად არ გამოხატავს ჩვენი ყოფის ლანდერობას, ჩვენს ორობას, ჩვენს კავშირს წარსულთან და მომავალთან, როგორც სარკე“¹.

ამ მოსაზრების პოეტრიზაციას წარმოადგენს სონეტის ფორმით დაწერილი ლექსი „მე — სარკეში“, რომელიც ასოციაციებით მოკვავონებს ვ. ივანოვის ცნობილ ლექსს: «Прозрачность».

ვინ არის სარკის უფსკრულიდან რომ შევლინება, ვისი თვალები ემტკრება ჩემს ფერმერთალ თვალებს, ნუ თუ მე მიკცერს საყრთარი ჩემი ჩვენება? ნუ თუ ჩემს გულში მისტიურთა შინში იალებს.

„ოფელიების ციკლით ვალერიაან გაფრინდაშვილი კვლავ უხმარება ეერობელი და რუსული სიმბოლიზმის თემატიურ-სახეობრივ მომენტს. შექსპირის გმირთა ტრაგიკული სახეები, მათი იღუშალებით მოსილი სილუეტები, სიმბოლისტმა პოეტებმა თავიანთი შემოქმედების უხარველეს სახელებად დასახეს.

ოფელიას, მამლიტის, ლუმი მკებებისა და სხვათა სახე-სიმბოლოებმა მოიარეს სიმბოლიზმის მერიდიანები და ყველგან თავისებური ინტიმით, პოეტური აქსესუარებით იქნენ წარმოსახულნი. ამ მომენტს ვერც ქართული სიმბოლიზმი ასცდა. შექსპირის გმირთა ლეგენდაქტეული სახეები ატიოლებულ სახე-სიმბოლოებად წარმოსდგა ქართველ სიმბოლისტთა პოეტურ შემოქმედებაში.

ციკლი „ოფელიები“ ხარკის გადახდა ამ უღრესად პოქულარული სახე-სიმბოლოსადმი. ამ ციკლში წარმოსახულ ოფელიას სახეს დიკარგელი აქვს ის მიშხიბლობა და ქალღრობა, რომელიც მას პირველწყაროში ასე უხედა ვაანდა. პირველწყაროსთან სიახლოვეს ერთვლენი რჩებაან ეერობელი თე რუსი სიმბოლისტები (პ. ვერლენი, ს. მალარმე, ა. ბლოკი) და ოფელიას თავის იდეალურ, შორეულ მიწე-რად სახევენ, მოსაყენ. ოა ამ უქმინდეს არსებას ზღაბრული ფერებით.

„დაისების“ წიგნს ამთავრებს ციკლი „ამირსიფალი“. ამ ციკლში შეიშნენვა პოეტური ოსტატობის მეტ-ნაყლები დახვეწა, ზედვის კრისტალიზება, თემატიკური სიახლე და პოეტური საღებავების მრავალფეროვნება.

სწორედ ამ ციკლში მქლენდება ვალ. გაფრინდაშვილის დაწმენდილი სიმბოლიზმი.

„ამირსიფალი“ ციკლის რამდენიმე ლექსი უახლესი ქართული ლირიკული პოეზიის სა-

¹ ეალ. გაფრინდაშვილი, „მეოცნებე ნიაპორება“, № 2, ვე. 13.

ინტერესო ნიშნითა. უპირველეს ყოვლისა, ლექსები — „ღამის ფოთლები“, „შეშოღვომა“, „ოფელია“ და „გულები“ და ზოგი სხვა თემცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რაგი ლექსები იმპორტებენ სხვა ციკლებს ცოდვებს.

ამრიგად, ვალერიან გაფრინდაშვილის პირველი პოეტური კრებული წარმოადგენს სიმბოლისტური პოეზიის შექმნის გულმოდგინე ცდას. ძალზე დიდი იყო ის სიმძიმე, რაც თავის დროზე ამ პატარა პოეტურ კრებულს უნდა ეტვირთა და, მიუხედავად ამ წიგნის პოპულარობისა, ტექნიკური სიმბოლიზმამდე მაინც შორს იყო გამაღწეველი წარმოადგენს შემოადინებული კამლეინზე ლექსი).

სახე-სიმბოლოთა ექიდერესი გაბუნდოვანება და დეტალიზაცია, აზრთა დატყვება, განწყობის გაურკვეველობა და ალოგიზმი, ბოლის მელოდირობის სრული მოშლა-უარყოფა „დაისებს“ სიმბოლისტური პოეზიის (მხედველობაში გვაქვს ა. რემბოს, პ. ვერლენის, ა. ბლოკის სახელები) მიღმა აქცევს. ზეინი აზრით, ეს გასაყვიარი არაა. ვადაშუვეტი როლი ვალ. გაფრინდაშვილის პოეტური „ცოდვების“ არსებობის საკითხში ითამაშა იმ სულღერმა ატმოსფეროში, რომელიც მაშინ თბილისის სინამდვილეში იყო გააფუხებული.

თ რას წერს ვ. გაფრინდაშვილი: „სიმბოლისი ვადაიქცა ამ რევოლუციის დროს (1917-1918 წწ.) ფეტურიზმის ბუდათ. — ერთ ხანს თბილისში თავის ლექსებს კითხულობდა ფეტურიზტი კამენსკი. კამენსკის მსოფლმხედველობა არის ვულგარული ფორმა ფეტურიზმისა. მისი პოეზია ხლენიციოვის, სევერიანინის და ბალმონტის იმიტაცია არის...“

— უველაზე დიდი მოვლენა არის ა. კრუჩიონინი. კრუჩიონინი ფანატუკოსია თავის იდეის. კრუჩიონინი არის გონების გარეშე მდგომ პოეზიის ბუდადი და გამოგონი, თეორეტუკოსი და პრობავანდისტი. მისი წერილი «Черт и речетворцы» გენიალური ნაწარმოებია. კრუჩიონინი ბუმბერაზია და მას ანგარიშს თვით „რუსეთის ლიტერატურის ნოტარიუსი“ ვენგერ რაგი უწევს. თბილისში ვამალა ფრთა ორმა ნიპურმა ფეტურიზტმა იგორ ტერენტეიევა და ილია ზღანევიჩმა...“¹.

წერილი თავიდან ბოლომდე ფეტურიზმით ვატაკებული შემოქმედის განცდითაა დაწერილი. განაყოფიერებულ ფურადლებას იქცევს ცნობილი ფეტურიზტის ა. კრუჩიონინის აპოლოგია, რაც თავიდან ბოლომდე — ნონსენსია: კრუჩიონინის გონებისგარეშემდგომი პოეზიით ვატაკება ეს ის ვასალებია, რომელიც წიგნის „დაისებს“ „ცოდვების“ კარებს აღებს.

¹ საქართველოს ლიტ. მუზეუმი, ვალ. გაფრინდაშვილის პირადი არქივი, 25523, გვ. 223-335.

შემოადინებულ ლიტერატურულ ატმოსფეროში, რაც 1915-იანი წლებიდან დაწყებული თბილისში, პოეტურ გემოვნებაში და მხედველობაში მრავალფეროვნებას არ შეიძლება შემოკლო ვადაუნა არ მოგვხდინა ახალგაზრდა შემოკლებითა ვერ კიდევ ჩამოუვლინებულ ფსიქოპაზე. „ციხეფრანწველითა“ შემოქმედებაში ქვეშევსეულად შეიჭრა შეუქმნეველი ნაკადი ფეტურიზმისა და სხვა დეკადენტური სკოლებისა, რამაც დაირღია რაფინირებული სიმბოლისმის შემოქმედებითი პრინციპები.

და მაინც უნდა ითქვას, რომ ვალ. გაფრინდაშვილი „ციხეფრანწველითა“ შორის ყველაზე ორთოდოქსი სიმბოლისტია. ყველაზე გულწრფელი და ერთგული „მონა“ ერთხელ სისხლხორცეულად ნაზარევი პოეტური პრინციპებისა.

1919 წლიდან ვალ. გაფრინდაშვილის რედაქტორობით იწყებს გამოსვლას სიმბოლისტური ეურნალი „შეოცენებ ნაშრობები“, ერთხანის ფურცლებზე ვადა პოეტური ნაწარმოებებისა, გამოქვეყნდა ვალ. გაფრინდაშვილის კრიტიკული ხასიათის ნარკვევები.

ჭარბულ სიმბოლისტებს შორის ვალერიან გაფრინდაშვილის კრიტიკულ-ესთეტუკური მემკვიდრეობა ყველაზე უფრო მდიდარია, თემატიკის თეალსაზრისით. სიმბოლისმის წარმომადგენლები სტეფან მალარმე და ტრისტან კობიერი, დაეით გერამიშვილი, ესთეტუკური პრობლემების სფერო შეტნაკლები ღირსებით არის წარმოდგენილი ეურნალის ფურცლებზე. ამ წერილებში ნათლად არის გამოყვეთილი ვეტრის დეკადენტური ესთეტუკის ძირითადი ხაზები: სიმბოლიზის ეტლტის ვალმერტობა, ავადმყოფური ვატაკება და კიდევ ბევრი სხვა არაქანსალი მოსაზრება. სიმბოლიტი მხარე ამ წერილების მასშტაბურობასა და ინტერესთა სიჭარბოვეში მდგომარეობს.

ანგარიში უნდა ვაქუიოს იმასაც, რომ ეს იყო პირველი ცდები მე-20 საუკუნის მსოფლიო ლიტერატურული პროცესების ვაზრებისა, და რა ნეგეტუკიუე უნდა ყოფილიყო ის, არ შეიძლება ვარკვეული როლი არ ეთამაშა ქართუველი საზოგადოების ინტერესთა სფეროს ვაფართოებას საქმეში.

ვალ. გაფრინდაშვილი ამ პერიოდში აქტიუკად თანაშრომლობს სხვადასხვა სიმბოლისტურ ეურნალ-გაზეთებში, აქვეყნებს რა მთაფურცლებზე ლექსებსა და თეორიულ ხასიათის წერილებს. თემატიკისა და ფორმის მხარე ეს ლექსები ვაჭრებლბა იმ დეკადენტური ხაზისა, რომელიც „დაისებიდან“ იღებს სათავეს. ვადა პოეტური და კრიტიკულ-ესთეტუკური მოღვაწეობისა, ამ პერიოდში ვალ. გაფრინდაშვილი ნყოფიერ მთარგმნელობით მოღვაწეობას ვწევა. დიდმა ერუდიკიამ და

რუსული ენის ბრწყინვალე ცოდნა ის აქცია ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის საინტერესო წარმომადგენლად. მრავალი შედეგური მსოფლიო ლიტერატურისა ვ. ვაფრინდაშვილის თარგმანებით გახდა ცნობილი ქართველი მკითხველისათვის.

ვალ. ვაფრინდაშვილი დიდი ვატაცებით თარგმნის ფრანგ სიმბოლისტთა — უმთავრესად ბოდლერს, მალარმეს, ვერლენს, რემბოს, ტიოფილ გოტიეს, ფიელ ლაფორგს, პოეტურ შემოქმედებას რუსი სიმბოლისტებიდან ვ. ბრიტსოვის, კ. ბალიონტის, ი. ანენსკის, ა. ბელის, ა. ბლოკის ლექსებს.

ვერობედ, რუს და ქართველ სიმბოლისტურ სკოლებს გააჩნიათ სიტყვისადმი თავისებური, მხოლოდ მათთვის (სიმბოლისტებისათვის) დამახასიათებელი დამოკიდებულება. სწორედ ამ დეტალში გამოიყვება სიმბოლისმის მხატვრულ-სტატურით არსი. სიტყვას სიმბოლისტებთან დაკარგული აქვს კუჭმარბივი საგნობრივი მნიშვნელობა, მგლოფიერი რხევა შერწყმულია სიტყვის თავისებურად მერყევ აზრობრივ პლანთან. პოეტი ლაპარაკობს არა მარტო სიტყვათა პირდაპირი, საგნობრივი მნიშვნელობით, არამედ ამ სიტყვებს შორის დატოვებული ხარვეზებით, ნახვარტყვებით. მხატვრული აზროვნების ძირითად ქვეფონზედ სიმბოლისტებმა აქციეს „სიტყვის აზრის განზრახ დაბნელება“ — გაბუნდოვანება (ს. მალარმე, ტ. დე ბანევილი, ა. რემბო). ამ თეზის ვარიაციებს წარმოადგენდა ლექსის მუსიკალურობისაყენ ლტოლვა (მ. ვერლენი) და პოეზიის მეცნიერული თეორიების პლანში გამხილვა (მარტ ანრი, რენე გილი).

ცნობილია, რომ ვერობაში სიმბოლისტები (მ. მეტრლინიკი, რ. გილი) აქვეყნებდნენ სპეციალურ ტრაქტატებს სიტყვის — როგორც აზრის განოსახვის ახლებური საშუალების შესახებ. ამისაველ წერტილად მათთვის იქცა გერმანელი მეცნიერის ვ. ჰელმპოლციის აღმოჩენილი ეოკალური ტემპრისა და პარამონის სფეროში.

სრულიად ახლებურია ვერობული სიმბოლისმისათვის სიტყვათა შეთანხმება-შეჯავშირების პრობლემა, ფუნქციადეკარგული, ანეშორი სიტყვა ზელოვნურად უჯავშირდება „დიდი ძიების შედეგად აღმოჩენილ“ და შერჩეულ სიტყვას, რომელიც თავისი კუჭმარბივი მნიშვნელობით, აზრობრივი თვალსაზრისით ანსალოტურად საპირისპიროა დასაჯავშირებელ სიტყვისთან: ზელოვნური კავშირით „შიოდწევა“ და „წარმოქმნება“ ის მესამე, რომელსაც სიმბოლისტებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. ლაპარაკია სახე-სიმბოლოზე, რომელიც სიტყვათა შეთანხმებიდან უნდა ამოიზიდოს. ამ შემთხვევაში ვაღამწევეტ მნიშვნელობას იქნეს განწყობა-წარმოსახვის ფაქტორი, რომელსაც უნდა

„წარმოაჩინოს“, „გაშოროს“ ორ სიტყვას შორის შეუარული აზრი, სახე-სიმბოლო.

ასეთი ცდები ქართული სიმბოლისტებისათვისაც საკმაოდ დამახასიათებელია. ვაფრინდაშვილი ვალ. ვაფრინდაშვილისათვის, სიმბოლისტური „ყოფრინდაშვიან“ განწმენდა ვალ. ვაფრინდაშვილმა შესძლო მოგვიანებით, როდესაც პოეტი განთავისუფლდა აშკარა პოეტისაგან. სწორედ აქედან იღებს სათავეს მისი კუჭმარბივი პოეზია.

თუ მთელი ქართველი სიმბოლისტების შემოქმედებაში (ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, კ. ნადირაძე და სხვ.) ორგანიზაციული ჩამოყალიბების პირველი დღეებიდან მეტ-ნაკლებად ყოველთვის შეიძინეოდა რეალისტური მხატვრული აზროვნების ტენდენციები, ვალ. ვაფრინდაშვილის სიმბოლისტური პერიოდის ლექსებში ძნელია ამ ტენდენციის ძიება (კ. იგი, შეიძლება ითქვას, თავისი შემოქმედებითი ცხოვრების პირველი დღეებიდანვე თავდაფრეებით გადაეშვა სიმბოლისტური და დეკადენტური პოეზიის ზღვაში. 1922 წლამდე ის თავის პოეტურ პრაქტიკაში, სხვა ქართველ სიმბოლისტებს შორის, ყველაზე დიდ ოპოზიციას ამჟღავნებს რეალისტური აზროვნების მიმართ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ აშკარა გახდა „ციხფერო ყანწების“ ლიტერატურული ჯგუფის მხატვრული-იდეური დაშლის აუცილებლობა. ახალი დრო ახალ თემებს და ახალ პოეტურ სახეებს მოითხოვდა. ახალი ეპოქის გრანდიოზულმა ძვრებმა დაშალა ერთ დროს თავისი „მონოლითობობით“ სამეცლითო სკოლა. კრიზისი დაძლეულ იქნა 20-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც „ციხფეროყანწებმა“ საბოლოოდ უარი თქვეს თავიანთ ადრინდელ იდეურ-ესთეტიკურ მარწმსზე. ამ პერიოდში შექმნეს მათ კუჭმარბივი პოეტური ნაწარმოებები, ამავე პერიოდთან იწყება მათ შემოქმედებაში ახალი პოეტური ხანა, სოციალისტური რეალიზმის ხანა.

რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა განვლეს „ციხფეროყანწებმა“ ეიღრე სოციალისტური რეალიზმის პლატფორმაზე გადავიდოდნენ.

თუ რუსეთსა და საქართველოში მთელმა რიგმა პოეტებმა (ა. ბლოკი, ვ. ტაბიძე, ვ. ბრიუსოვი და სხვ) ერთი ზელის დაკვრით უარსკვეს წარსული და ეზიარნენ ახალ, სოციალისტურ ცხოვრებას, ეტყობა მათ ცნობიერებაში ადრევე მწიფდებოდა ძველი ცხოვრების დაძლევისა და გადალახვის სურვილი. საქირა იყო მხოლოდ გარდამტეხი ისტორიული ძვრების შემოქმედება, რომ მათ საბოლოოდ მიეცნოთ თავიანთი მივიწყებული ფესვებისათვის და

საქაროდ დამდგარიყენენ ახალი ცხოვრების მყარ ნიადაგზე.

ქართული სიმბოლისტიკისათვის ძველთან განშორების პროცესი უფრო მტკივნეული შეიქნა. ძნელი იყო მათთვის წარსულის მძიმე მემკვიდრეობის დათმობა, მისტიური კომპარებისაგან თავის დაღწევა.

და თუ ამ სულიერ პროცესს ვერ ასცდნენ ის „ესფერყანწლები“, რომელთა პირველი ლექსებიდანვე შესამჩნევე იყო რეალისტური მომენტები, მით უფრო ტრავილებით აღსავსე უნდა ყოფილიყო ის ისეთი ობთოადოქსი სიმბოლისტისათვის, როგორც ვალ. გაფრინდაშვილი იყო.

„დაბრუნება მიწასთან“ — ამ ლოზუნგით წამოიწყო ილია დეკლარაციამ თანდათანობით რეალური განმარტებლება ქოჯა ვალ. გაფრინდაშვილის შემოქმედებამ, თუმცა ამ მიწაზე საბოლოო „დაბრუნებას და დასახლებას“ 5-6 წელი კიდევ მოუწია. სიმბოლისტური პერიოდის რევილირები ვერ კიდევ საქაოდ იჩინეს თავს. ამ პერიოდის დეკლენტური ხასიათის ლექსებიდან განსაყვრებით აღსანიშნავია „ბოქმის მონოლოგი“, რომელიც 1925 წლით არის დათარიღებული. ექსცესტური პოეტური აზროვნებით ეს ლექსი დისონანსად იტრება ვალ. გაფრინდაშვილის სულიერი გაჯანსაღების მთლიან გამწვანება და სურათო ტონიდან ამოვარდნილ, არაორგანულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ვალ. გაფრინდაშვილის აღნიშნული ლექსი ზარის გაღებდა ავადმყოფურ-ბოქმურის მსოფლმხედველობრივი რეზინისცენციების მიმართ.

სამარცხენოა პოეტისათვის სხვა ყარაყრა ვარდა თვითმკვლელობისა, არ მსურს ვიყო ვიეტორ პიეტო, ან აჯაი, მე შირჩენია დაიღებო, როგორც ბოქმე, სამარცხენოა პოეტისათვის სხვა ყარაყრა, სამარცხენოა პოეტისათვის სხვა ყარაყრა ვარდა სიგიჟის.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ლექსი „ბოქმის მონოლოგი“ ქრესტომათიული ნიმუშია დეკლენტური მსოფლგანცდისა. ამაზე შორს ავადმყოფური სულს პოეტისა იშვიათად თუ მიუღწევია არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპის დეკლენტური პოეზიის მასშტაბითაც კი (ლოტრეამონისა და კორბიერის პალეონაიკური ხილვებით აღსავსე პოეზია თუ შეეძლება ამ ლექსს). ეს მაშინ, როდესაც ვალ. გაფრინდაშვილის შემოქმედებაში ნათლად გამოიკვეთა რეალური ცხოვრების პოეტური ასახვის ქანაალი ტენდენციები.

ამ რთული ფსიქოლოგიური მოვლენის მიზეზი, ჩვენი აზრით, ძველთან, დეკლენტურთან საბოლოო განშორების მტკივნეულ

სურვილში უნდა ვეძიოთ. რა პარტოქსალურადაც უნდა მოგვეჩვენოს, ყველაზე ავადმყოფური ხასიათის ლექსით შემოქმედებულ პოეტს საბოლოოდ ირაციონალურმა მსიქმების აღსავსე პერიოდს. ეს ლექსი პოეტის უკანასკნელი ნერველი, ისტერიული გაბრძოლებია, „განსაწმენდელია“, რომლის იქით იწევა ახალი პოეტური ცხოვრება, ცხოვრება სულიერი ყოფის განახლებისა. მთელ რიგ ლექსებში იგრძნობა ფანტასმაგორიული სურათების უარყოფისა და შერბილების ტენდენციები. ავადმყოფურისა და ირაციონალურისადმი ზრტყმეკეცევა, რეალობასთან ახლოს მისვლა. ეს ტენდენციები განსაყვრებით გამოჩნდა ლექსებში: „წაწმენიარ ფანტაზია“, „თოჯო თუმანიშვილს“, „მისს ლეა ლე“, „პაველ ინგოროვეას“ და სხვ.

როგორც ტრადიცი თქვენ იცრემლებით, მარმარის მსგავსად პირმოქმინარე, თავზე გასხაათ თათრი ტყემლები და მივაქანებთ ჩქარი მდინარე.

თქვენი წარბები და წამწამები ტანალეწილი შეტებრებია. თქვენი ზრახვები განაწამები გამოთქმელნი ოხლად კვებიათ. („თოჯო თუმანიშვილს“)

ამ ლექსებიდან უკვე ნათელი ხდება პოეტის შემოქმედებითი კონცეფციების გაქანსაღების ტენდენციები. გრადიუალ გამოსახულებას იღებენ ობიექტები და იხევეწბიან მათი აღწმის საშეაღებანი. ლექსებში „სანდრო შანშიაშვილს“, „ლიდება ზეს“, „პირველი თოჯი“ ხელშესახებად გამოჩნდა პოეტის ის ნათელხილვები, რომელიც ერთ დროს ირაციონალურის ბერესში და მისტიკურ გაერკველობაში იძირებოდნენ. თითქოს პოეტის წინ იმდელ პირველყოფილი ხელშესახელობით აღსავსე რეალური სინამდვილე, ხილული სამყარო, მასში შემავალი სულიერი თუ უსულო საგნებითა და არსებებით ერთნაირი ძალით იზიდავს პოეტს ფანტაზიას, მის სულს. ყველაფერი, რასაც პოეტის ნათელი ხილვა ეხება, ხელოვნებითი შვენიერის უფლებას იძენს.

1922 წლიდან ვალ. გაფრინდაშვილის შემოქმედებაში დგება გარდატეხის პერიოდი, რომელსაც უზბალო, პასიური ქვარტლდინ, არსებობის ქვარტისაყენ გადასეულა შეიძლება ეწოდოთ. ირეალური აზროვნების ქვარტმს სცვლის თანამედროვეობის ნათელხილველი.

ქართული ერის წარსულის გააზრებით, ისტორიული სურნელებისა და კოლორიტის ნათელი წარმოსახვით, რომანტიკული დაფიქრებით უარესად საინტერესო პოეტურ ნიმუშს წარმოადგენს ლექსი „ბოლნისის სიონი“. ამ ლექსით ვალ. გაფრინდაშვილი რეალისტური

პოეტური აზროვნების კლასიკური ნიმუში შექმნა და სათავე დაუდო საკუთარ ახალ პოეტურ ხანას.

დიდი ღირებვით, რეტროსპექტული სევდი-თა ნიშანდობლივი ლექსები „რიონი“ და გან-საკუთრებით „სოფლისაყენ“. ამ ლექსებში კი-დეც ერთხელ გამოჩნდა რეალისტური ნაქადის მომპოვებუბა და დეკლარატივი ტენდენციების დათრგუნვის ცედა.

„რიონი“ ბავშვობის ნათელი და აბლობული სურათების გახსენებაა. მღინარე რიონი ის ფიგურაღერი ხატია, რომელიც შორეულ ნის-ლუბს რეალური არსებობის უფლებას ანიჭებს. წარმოსდგება განდევორბეულ საბუთა თუ ხასი-ათთა, ვრძნობათა თუ ემოციათა საინტერესო სახება. ლოკუთა და აღსარებითი მიმართავს გზადაბნეული პოეტი რიონს (ბუნებას, რეა-ლობას, ცხოვრებას):

როგორც დედასთან მე შენთან მოვალ,
პატარა ბავშვის ტირილით გეტყუი:
მომიაღერებ, დამიტყებ გლოვა,
კმარა სიციოცხლე სიციოთ, სეტყვიით!
ო, საყვარელო! კიდევ შვიდიანს
შენი ტალღები, შენი ფაფარი,
ჩემო ემბაზო, ჩემო გაღია,
მომეცი შენთან თავშესაფარი!
დაუღვრომელი მე ისევ მინდა
ენახო უკუდავი შენი თარეში,
ვიკეო შენი ძაბული წმინდა,
რომ გამოვუხიზლდე თუით სამარეში!
(„რიონი“)

გამოუხიზლდების, ძველთან გზების გაყრის ჟანსალი სურვილები პირთამდე ავსებს ვალ-გაფრინდაშვილის ამ პერიოდის შემოქმედებას, საიდანაც ნაწინობი ხდება მკითხველისათვის ის ეკლანი გზა, რომელზე გავლითაც მიაღწია პოეტმა ახალ „აღთქმულ“ „ქვეყანას“, რეალურ სინამდვილეს.

სინამდვილი, თავისი წარსული შემოქმედები-სადმი იბრუნელი განწყობა ეტყლება პოეტს —

ღმერთო, მამატიე ემიზნო ცხოვრება,
ღმერთო, მამატიე პოეტობის სურვილი.
(„ლოკვა“)

სიმბოლისტური გატაცება უკვე შორეული რამ არის მისთვის. ახალ გაზარებას იძენს პოე-ტისათვის ერთ დროს „უკუდავი“ პოეზია და ცხოვრების სტილი:

თუშეა მე პოეტად თავი გაეასაღე,
თუშეა გამოკვეთე თრთოლეა იქითური,
არ იყო ჩემს ყოფაში სიმართლის ნასახი,
მეხალისებოდა ცხოვრება ბითორი.
(„ლოკვა“)

პარიზის რევოლუციის თემა, შეიძლება ითქვას, უკვე საბოლოოდ შეხვეწეს უნდა გავ-რინდაშვილის ახალ პოეტურ შემოქმედებას ძველი სიმბოლისტური გატაცებისაგან. თუშეა, ისევე როგორც სხვა „ციხეფრყანწელთა“ შე-მოქმედებაში (ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი და სხვ), მის შემოქმედებაშიც (აღრეულ პერიოდში) რევოლუცია კლასთა ბრძოლის კანონზომიერ, ბუნებრივ შედეგად კი არ არის წარმოდგენი-ლი, არამედ ქაოსის სახითაა მოცემული, სადაც ბუნდოვანად მოსჩანს მომავალი ცხოვრების სო-ციალური ფორმუბა.

აღსანიშნავია, რომ „ციხეფრყანწელთა“ რე-ვოლუციასთან მიმართებაში ნეგატიური როლი ითამაშა იმ რუს სიმბოლისტთა მსოფლხედამ, რომელთაც მოახლოებული რევოლუცია მსოფ-ლიო კატაკლიზმების დაწყებისა თუ აპოკალიფ-სურ საყვირების ხმად გჩვენებოდათ (ა. ბელის „პეტერბურგი“ და სხვ.). მიუხედავად ამისა, ქართული სიმბოლისტები (მოკვიანებით) თვალს უსწორებდნენ რევოლუციას და მის ობიექტურ სოციალურ ღირებულებასაც ფხი-ზელი გონიერად აფასებდნენ. რევოლუციაში ისინი სულეო განახლებასა და საზოგადოებრივ აღორძინებას ხედავდნენ.

ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედების მეორე პერიოდში (გარდამავალ პერიოდში) ორი პოეტური ტენდენცია, ორი ფსიქოლოგიუ-რი ხაზი შეინიშნება. პირველი ის, რომ მის პოეტურ პრაქტიკაში ყველა იგზრნობა სიმბო-ლისტური პოეტის რეცილიებები; მეორე კი ის, რომ წმინდა რეალისტური ხასიათის ლექ-სების საერთო ტონის განმსაზღვრელია ერთ-გვარი სევეა, აღმართლი ძველი, განელილი გზის გახსენებით. „ახლად თვალახელილი“ პოეტი საკუთარ ენობიერებაში აღადგენს რა თავისი სულის ბიოგრაფიას, ნათელ, ბავშვობის სურა-თებს უმუთავოდ უჯავშირებს შემოქმედებითი „გამოუხიზლდების“ რეალურ ცხოვრებასთან შე-ერთების მომენტს.

ის დიდი სოციალური გარდაქმნა და ეკონო-მიური აღორძინება, რომელსაც 20-იანი წლე-ბის ქართულ სინამდვილეში პქონდა ადვილი, რასაკვირველია, არ დარჩენილა პოეტის უუ-რაღდების გარეშე. მას იზიდავს ახალი ეპოქის სული, ჟანსალი რიტმი. მაგრამ, ემიგრაცობ, ვალ. გაფრინდაშვილისათვის ამ სინამდვილეს-თან მისვლა ადვილი არ იყო და გარკვეულ სუ-ლიერ ტყვილებთან იყო დაკავშირებული.

ქართული საბჭოთა პოეზია დიდადაა დავა-ლებული ერთ დროს „ციხეფრყანწელთა“ სყო-ლის პოეტთა შემოქმედებისაგან. ეპოქის ადუ-ქვებური იდეურ-ესთეტიკური პრინციპების მი-ლებამ ისინი საბჭოთა პოეზიის ეპირველეს ფი-გურებდე აქცია. საბჭოთა სინამდვილესთან ახ-ლან მისვლამ, სოციალისტური რეალიზმის

პრინციპების გაზიარებამ საშედეგა მისცა მათ შექმნათ კუმშარიტი, მაღალი პოეზია, სიმბოლიზმი კი მათ შორეულ, განვლილ ვხად დაჩჩათ, როგორც თეორიული პრინციპებით, ასევე პოეტური შემოქმედების თვალსაზრისით.

პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, კოლაე ნადირაძე და ბოლოს თვით ვალერიან გაფრინდაშვილი, ის სახელებია, რომელთა გამოკლება ეყიდურესად გააღარიბებდა ქართულ საბჭოთა პოეზიას.

ვალერიან გაფრინდაშვილის პოეტურ ბიოგრაფიაში დგება ახალი ხანა, აღსაესე შემოქმედებითი გამარჯვებებით, აქტიური მონაწილე ყერ არნახელი სოციალური ძვრებისა, პოეტის მთელი არსებით ეძლევა საბჭოთა სინამდილის პოეტური წარმოსახვის მაღალ და კეთილშობილურ მისიას. ძალზე ნაყოფიერი გამოდგა ზემოაღნიშნული პერიოდი შემოქმედებითი თვალსაზრისით. ამ პერიოდში ნაყოფიერ მთარგმნელობით შოლაწყოებს ეწევა იგი. ჰქმნის აგრეთვე მაღალპროფესიულ ლიტერატურულ წერილებს.

ახალმა ცხოვრებამ ახალი პოეტური საღებავები, ახალი თემები, ახალი სიტყვიერი ქსოვილი მოითხოვა. ერთ ღრის სიმბოლიზმის პოეტკოით ფრთებშეკეცილი შემოქმედებითი ფსიქოლოგია განათავისუფლდა ენარულ-თემაციური შეზღუდვისაგან და თავისუფლად გაშალა ფრთები. გაფართოვდა ლირიული სამყაროს მასშტაბები, გამოშვლავნდა თემაციური რეალის სიახლოა და პოეტური ფორმების ძიების სიანტირკუს ტენდენცია.

ვალ. გაფრინდაშვილის ამ პერიოდის შემოქმედება ხასიათდება მთელი რიგი მოტივებით, რომელთაგან წარმმართველ აღვიღს იყავებს პატრიოტული, ხალხთა შორის მეგობრობის, ფილოსოფიური და რევოლუციური მოტივები.

პატრიოტიზმის ეძველესმა ტრადიციულმა თემამ ახალი ელფერიით იჩინა თავი პოეტის შემოქმედებაში. პოეტის წარმოსახვაში სამშობლოს ცნება დეტალებში, სახელებში, ბუნების სურათებში ცნაურდება. პოეტური ინტიმი საშედეგებს აძლევს მას უხილავი ძალები გააბას საკეთარ სულსა და ხილულ სამყაროს შორის. წარმოსახვაში ცოცხლებიან ეპარებსად ნათელი ასოციაციები, ნაციონალური კოლორატით აღბეჭდილი სურათები. ყოველივე ეს ზოგჯერ შეღავნდება მძაფრი დრამატრზმით აღსაესე სტილიკონებში:

იყო ბავშვური ჩემი სამეფო
ბროწეულის ტყე ბავრატის მთაზე,
ეს მოგონება, შეაბამება
და ახლა ემღერა ქაბუციის ხმაზე,
სადა ხართ ჩემო ბროწეულებო,
აე ეღროოდ რად მიმატოვეთ?

თქვენი სურნელი და წვეწვლმა
აქამდის მზიბლავს თავის მოტივით.
(პრინციპული ტექსტი)
გენაშვილი

ზოგჯერ კი იღილიური სურათებით, პასტორალური ხილვებით ცნაურდება:

მე მახსოვს სცელავდნენ ბალახს
თოქოს ნინაპით აპობდნენ ტალღებს,
მზე დასცქეროდა მწვანე იალახს
და მოთამაშე მინდორზე ბალღებს.
ბალახი გაბმა, ევება ზვინი,
ჩამოწვა, როგორც ოქროს ღრებელი,
და შემოდგომის გრძნეული ინიით
მთლად შეილება მიდამო ნელი.
„(თივის ზვინი)“

თვითველ სტილიკონში აღბეჭდილია მახლობელი და ნაცნობი სურათები. რეტროსპექტულ ასოციაციებში, სამშობლოს ხატის ფონზე განიცდება ბუნებისა და ბავშვობის ნათელი სურათები. პატრიოტიზმის მძლავრი ნაჯივი ატყვივა მიძღვნილი ხასიათის ლექსებს: „შოთას“ „ევა და ვირსმანი“, „ნიკოლოზ ბარათაშვილს“, „ილია კვაჭავაძეს“ და სხვ.

ამ ლექსებში ნათლად გამოჩნდა პოეტის პოზიცია დიდ ეროვნულ პრობლემებსა და ქართულ კლასიკურ ლიტერატურასთან მიმართების საკითხში. მათში მეკეთრად არის წარმონილი პოეტის მაღალი, კუმშარიტად შემოქმედებითი დამოკიდებულება თავის წინამორბედ პოეტებსა და საზოგადო მოღვაწეებთან. ვალ. გაფრინდაშვილი ამ ლექსებით ეროვნულ ფესვებთან სიახლოვის შესანიშნავ მაკალით იძლევა.

განსაკუთრებული ძალით თავი იჩინა ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებას ბოლო პერიოდში ახალი, სოცილისტური ცხოვრებას მშენებლობის თემამ. განადიობულმა ძლიერებამ და განახლებული ადამიანის ეშეალო განედამ მის პოეტურ პროდუქციაში პპოვა რეალიზაცია. ლირიულ ხაზებშია გადმოცემული ის აღტაცება, რომელსაც პოეტი განიცდის ახალი ადამიანის ტიტანური შრომისმოყვარეობისა და თავდადების გამო.

ახალი ცხოვრების ორგანიული მიღების ეცილოებლობის ტენდენცია კიდევ ერთხელ იჩენს თავს პოეტის ლექსში „სიმღერა“.

ბევრი მგოსანი ჰყავს ყრუ ბეთმოვეს.
რომელიც გრივალს ესშენდა შორით,
ცაში ხეტიალს გამოვეთხოვეთ
და მივაშერეთ მიწას ამბორით.

ლექსებში „ფერო“, „მისაღება“, „ტრადიციის დაბადება“, „ქუთაისი“, „ნადიკარი“ და მრავალი სხვა, მაღალიფური მსოფლებევა



კიდევ ერთხელ პოელობს პოეტურ რეალიზაციას.

და მაინც ამ პერიოდის მთელ რიგ ლექსებში გონების თვალი ჩასწვდება თავის თავში დაეჭვების, სევდისა და მწუხარების ელემენტებს. ჩვენი აზრით, აქ პოეტის ფსიქიკაში გამეფებულ რემინისცენციულ მოვლენებს აქვს ადგილი. რეტროსპექტივა აუცილებელი მომენტია ყოველი კემშირტი პოეტის შემოქმედებაში, მის ფსიქიკაში. ვახსენებთ განუმეორებელი წარბევისა პოეტის მგრანობიარე და ფაქიზ სულში აღძრავს ღრმა ტრეილს, რომელიც წმინდა და ნათელი ადამიანური საწყისებით არის ნასაზღვრები. ამიტომაცაა ის ყველასათვის ახლობელი და ორგანიული.

წინათ ვსმენია ჩემი გალობა,
ახლა მოვდივარ შენთან სწეულად,
მჭირდება შენი დღეს მკურნალობა,
მამ მომანიჭე შენი წყალობა
და შენი ტალღა სხვი-დაფრქვეული
.....

მრავალ იდუმალ მზით მოქსოვილი,
და მეწამული როგორც მარჯანი,
გაღამაფარე ტალღა სოველი,
უკანასკნელად შენთან მოველი,
ან მოშალი და ან მომარინე.

(„ზღუას“)


ვალერიან გაფრინდაშვილის სტლიერი ცხოვრების გზა არ ყოფილა ივარდით მოფენილი. მას სიცოცხლის ფასად უჭდებოდა „სიამოვნების“ ყვავილების მოკრეფა და ამიტომაც მისი ლექსების ყოველ სტრიქონში დრამატიზმი იგრანლობა. პოეტი ეძიებდა მშვენიერს, მაგრამ სიმბინიფესაც თავისას მიუზღავედა. იგი ეტრფოდა შორეულსა და ზოგჯერ მიუწვდომელს, თუმცე აწმყოსა და მომავალს დიდი იმედიითა და

სიყვარულით შესცვროდა. ამგვარი ამბივალენტოზმი ერთგვარ სიჩთულეს გადაებს... პოეტის შემოქმედების მთლიანი ელემენტი უფაღსაზრისით. თავისი ცხოვრების მიწურუნის ვამს პოეტის გონებაში ბავშვობისა და კაბუტობის პერიოდის მოგონებებმა დაიფანა. ამოტივტივდის პირველი განუმეორებელი მომენტი სულიერი ყოფისა, რომელიც ქვეცნობიარად სთვლემს ადამიანის სულის უღრმეს ლაბირინთებში. სიმბოლისტური პერიოდი, რა შორეულიც არ უნდა ყოფილიყო მისთვის, ბავშვობაზე შორეული ვეღარ იქნებოდა. მისი დაიწყოება შეუძლებელი შეიქნა პოეტისათვის, როგორც ფორმის, ასევე პოეტური აზროვნების თვალსაზრისით (ლექსები „საოპერო თეატრის ქანდარიდან“, „ბალად შლეიფისა და მარაოს შესახებ“).

იჩველივ მოცული საიდუმლოთი
მე მაინც ვსუნთქავ, მე მაინც ვმღერი...
თუვიდან ცისფერ ყვავილის ლოთი
მთერალი ვარ მისი ზღაპრული ფერით...
(„მაინც“)

სიმბოლისტური პერიოდის ხელოვნურმა დაყალობმა პოეტურმა წარმოსახვებმა ტრანსფორმაცია განიცადეს პოეტის შემოქმედების უკანასკნელი პერიოდის ზოგჯერ ლექსში და ბუნებრივ, ორგანულ განწყობილებებს დაუთმეს ადგილი. აქედან წარმოსდგება ვალერიან გაფრინდაშვილის მინორით აღვისილი ლექსების განწყობილებანი.

ლექსი „1941 წლის 1 იანვარი“ პოეტის უკანასკნელი ამოსუნთქვაა. მასში შადრევანივით კიდევ ერთხელ ამოხეტია სიცოცხლის დაუყოვებელმა სიყვარულმა, რეალური ცხოვრების უსაზღვრო პატივისცემამ. ეს ლექსი ბოლოთქმამა შესანიშნავი პოეტისა, დასასრულია წინააღმდეგობებით აღსავსე რთული შემოქმედებითი გზისა.



სტრუქტურული

სიკვდილ-სიცოცხლის სპირიტუალური ქართული
კონცეპტუალური ფოლკლორები

ადამიანი დასაბამიდან ცხოვრობდა წინააღმდეგობებით საეგო სამყაროში, რომლის სიღრმე, ძალა და იდეალურობა მას ხან ხიბლავდა, ხან აღშფოთებდა; მისგან ხან უღიფეს სიამოვნებას და ხან უსაზღვრო ტანჯვას იღებდა. ამიტომ იგი მუდმივ გაორებული იყო, წინააღმდეგობაში იმყოფებოდა თავის თავთან.

ინსტიქტი, სტრუქტურული შემეცნება სიკვდილის არსისა და მისი მნიშვნელობა ყოველთვის იწვევდა საწინააღმდეგო რეაქციას; მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი თანდათან რწმუნდებოდა ყველა ცოცხალ არსათვის სიკვდილის გარდევადობაში, მაინც არ სურდა უბრძოლველად მიეღო იგი. მისი ფსიქიკა ვერ ეგუებოდა სიკვდილს და ამიტომ ყოველგვარ გზას ეძებდა მის საწინააღმდეგოდ.

არ არსებობს რაიმე ადამიანზე ძლიერი, — წერდა სოფოკლეს, — ის ვადასტურებს ზღვებს, აფეთქებს მიწას, ათეინიერებს მზეცებს, იცავს თავს საცხისაგან, სიცივისაგან, შიმშილისაგან, ყველაფრის წინააღმდეგ იცის მან რაღაც საშუალება, მხოლოდ სიკვდილს ვერ გაემქცევა. დიდი მთავრობის ეს კონსტრუქტუალური თითქოს პირველყოფილი ადამიანისა იყო და, თითქოს ისიც ცდილობდა გარკვეულიყო სიტუაციებში; დაეკრებებინ შედეგად თითქოს ზოგი რამ გაიგო, მაგრამ რა იყო სიკვდილი, რატომ წინდებოდა ამ ქვეყნად ან რა მოსდიოდა მას სიკვდილის შემდეგ — ვერაფრით აეხსნა.

პირველყოფილი ადამიანი არ იცოდა სიკვდილის გამოწვევი კონსტრუქტული მიზეზები; იგი ხედავდა, როგორ ეცემოდა მის წინ ცხოველი თუ ადამიანი, როგორ ცივდებოდა მისი სხეული და უკანასკნელ ამოსუნთქვასთან ერთად თავდებოდა ყველაფერი, თავდაპირველად მას

ამინებდა არა სიკვდილი, როგორც ფიზიოლოგიური, ობიექტური მოვლენა, — რადგან სიკვდილის მცნება მას არ ვაჩნდა, არამედ, სიკვდილის შემდეგ თვით სხეულის არაჩვეულებრივი მდგომარეობა.

უძველეს ხალხებში სიკვდილი გაგებული იყო მისტიკურად, რითაც აიხსნება ის გარემოება, რომ მათს აზროვნებაში არ შეინიშნება ის დილემა, რომელიც არსებობს ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანისათვის.

«... ევლერს შეეძლო მხოლოდ დაენახა სიკვდილის პროცესი და რაკი უკანასკნელი ამოსუნთქვა სიკვდილის დასასრული იყო, ამიტომ ირწმუნა, რომ სულმა საშუალოდ დატოვა სხეული, ე. ი. სიკვდილის საკიბმა, როგორც ჩანს, თავისთავად შეუწყო ხელი სულის არსებობის რწმენის წარმოშობას.»¹

მაგრამ რას წარმოადგენდა თვით სული? მავალითად, ე. ტელიორი მიიხსენებს, რომ პირველყოფილი ადამიანის აზრით, სული არის არა მატერიალური რამ, არამედ სულიერი საწყისი.² საწინააღმდეგო შეხედულებით, სული კონკრეტულ, მატერიალურ ხასიათს ატარებდა; იგი გაიგივებული იყო სუნთქვასთან, ჩრდილთან და ა. შ. პირველყოფილი ადამიანისთვის, — წერს ე. კოტეტიშვილი, — სულ ზღვრება იყო, ხორციელი; იგი ფიზიკური სხეულისაგან განუყოფელი იყო წარმოდგენილი... ადამიანის სიკვდილი ევლერისათვის არის მოძრაობის შეჩერება, ამის ერთგვარი საფუძველია

1. ი. გაბიძაშვილი, რელიგიის სოციალური და გნოსეოლოგიური ფესვების შესახებ, 1962 წ., გვ. 34 — 35.

2. Тейлор Э., Антропология, 1882 г. гл. 215.

სიკვილის ასოციაცია ძლთან. შემდეგ სული უფრო გარკვეულად წარმოადგინეს და სხეულშიც გარკვეული აღვალი მოქმედებს.¹ სულის ასეთი სამოყველი იყო ღვიძლი, გული, თვალი, მავალით, ბიბლიის მიხედვით სული ადამიანის სისხლში ბინადრობდა, ეს რწმენა მომდინარეობდა იქედან, რომ სისხლის გარკვეული რაოდენობის დაკარგვა იწვევდა სიკვილს. „სული, როგორც მატერიალური რამ, სხეულში იყო მოთავსებული და იგი კიდევ წაგავდა მას; მავალით, ვრენლანდიის ესკიმოსების მიხედვით, მსუქან ადამიანს მსუქანი სული ჰქონდა, გამზდარს-გამზდარი“.²

შემდგომ პერიოდში ხდება ადამიანისა და შთელი ბუნების ცხოველყოფილობისა და გასულიერების შესახებ თავდაპირველი, დუნენაწერებული წარმოდგენების გაორება. წარმოიშობა წარმოდგენა სულსა და სხეულზე, მისი განცალკევებლობასა და სულის დამოუკიდებლად არსებობის შესაძლებლობაზე. უნდა აღინიშნოს, ადამიანს თათქოს სჯეროდა, თათქოს სული მიდიოდა სამოგზაუროდ და გარკვეული დროის შემდეგ კვლავ უბრუნდებოდა სხეულს. „ახეთი წარმოდგენა აესებდა ძველ ეგვიპტელთა რელიგიას, ეგვიპტელთა წარმოდგენით სული მოვლავრობდა, უფლებდა ჰქონდა ახალი ქერქის მიღებისა (სხვა ცხოველად ქცევისა) ტრანსფორმაციისა. იმათი „კა“ — ორეული იგივე ღანდი იყო, რომელსაც ხან ფრინველის და ხან სხვათა სახით წარმოიდგენდნენ“.³

მაგრამ რამ განაპირობა ამ იდეის წარმოშობა? აი, რას წერს ამის შესახებ ფ. ენგელსი: „ჩვერ კიდევ იმ მეტად შორეული დროიდან, როცა ადამიანს არავითარი ცოდნა არ ჰქონდა თავისი საყუთარი აგებულების შესახებ, სიზმრების ზეგაეულენით მან ის რწმენა შეიძუშავა, რომ მისი აზროვნება და შეგრძნება მისი სხეულის მოქმედებით კი არ არის გამოწვეული, არამედ განსაკუთრებული, ამ სხეულში მობინადრე სულით, რომელიც სიკვილის შემდეგ მას სტრუქტურს; ამ დროიდან ადამიანი უნდა დიდებულყოფილად ამ სულისა და გარეგანი ქვეყნის ურთიერთობაზე. თუ სული სიკვილის შემდეგ სხეულს ეთიშება და სიცოცხლეს განაგრძობს, საჭირო აღარ არის მისთვის განსაკუთრებული სიკვილის მოგონება, ასე წარმოიშვა წარმოდგენა სულის უცვლადობაზე“.⁴

თუ თავდაპირველად სიკვილი ღრმა საყუ-

ნი ძილად იყო მიჩნეული, სულზე წარმოდგენის წარმოშობის შემდეგ მიცვალებულთან დამოკიდებულება რთულდება. სხეულში სხეულსა და სულს, სული ხომ უცვლადია. და რაკ იგი (ქ. ი. სული) სიცოცხლეს აგრძელებს, მამსადაც, გარკვეულ ზრუნვასაც მოითხოვს. ეთარდება იდეა საიქიო ცხოვრების შესახებ. „იმედი მაქვს, — ამბობდა პლატონი, — რომ კაცთათვის სიკვილის შემდეგაც არსებობს რაღაც“⁵ „სიკვილის ზეენ ვეწოდებთ სულის გაყრას და განშორებას სხეულისაგან“.⁶

რელიგიური მსოფლმხედველობის მიხედვით, — წერს ს. ტოკარევი, — უცვლადება იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის პიროვნება თუ მისი სული სიცოცხლეს განაგრძობს სხეულის სიკვილის შემდეგაც. მავალითად, ინდოელებსა და ეგვიპტელებს ღრმად სწამდათ, თათქოს სიკვილის შემდეგ სული ერთი სხეულიდან შორეულში გადადიოდა; ძველი ბერძნები კი სიკვილის ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულად მიიჩნევდნენ, რომლის შემდეგაც იწვებოდა ხელახალი ცხოვრება.⁷ ამგვარად, ამქვეყნიურ ცხოვრებას იმქვეყნიური, შილმა საყუარო დუპირისპირად, წარმავალს — წარუვალი, წუთით-სოფელს — საყუენო სოფელი. შეიქმნა რწმენა, რომ ადამიანი ამქვეყნად დროებით იყო მოვლენილი, ამიტომ, მავალითად, უძველეს ხანაში ეგვიპტელები თავიანთ საცხოვრებელ ბინებს, ამ ქვეყნიურ საყუაროს დროებით საყუოდად მიიჩნევდნენ, ხოლო საყუალებს — მუდმივ საცხოვრისად.⁸ ამ რწმენის საფუძველზე იგებოდა შესანიშნავი პირამიდები, მიცვალებულებს საყუაფში ატანდნენ „შეკვლართა წიგნს“, რომელსაც მეგზურობა უნდა გაეწია იმ ქვეყნად. მათი აზრით იმქვეყნიური ცხოვრება ეს იყო მხოლოდ მოსამზადებელი საყუხური მიწისქვეშა ცხოვრებისათვის (იქედან წარმოიშვა რთული რწმენა მიცვალებულთა კელტისა, მუშიები და დაბალზამება, წინაპართა კელტი).

სიკვილის შემდეგ სულის არსებობის რწმენამ თავის მხრივ განაპირობა ახალი იდეების, ცერემონიების და წეს-ჩვეულებათა წარმოშობა. „მათ რიცხვს გუთუნის: სულების მიწისქვეშა საყუაროს იდეა, სულების უცვლადების იდეა, სულისადმი სამავიეროს მიზლის იდეა, სულთა „შესანდობის“ იდეა, სულის გადასახლებისა და განსხეულების იდეის შემდგომი განვითარება და რწმენა, რომ სული მიცვალებ-

¹ ვ. კობტეიშვილი, რჩეული ნაწერები, 1967 წ., გვ. 320.

² Ленин-Брюль, Первобытие мышление, 1930 წ., III გვ.

³ ვ. კობტეიშვილი, დასაბ. ნაშრომი, გვ. 329.

⁴ ქ. შარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 444.

⁵ პლატონი, ფედონი, 1966 წ., გვ. 14.

⁶ იქვე, გვ. 22.

⁷ Токарев С., Ранние формы религии, 1964 წ., გვ. 103.

⁸ Рейнак, Орфей (Всеобщая история религии), 1919, გვ. 52, 53.

ბელის მიერ დატოვებულ პირად ნივთებში განაგრძობს არსებობას, რომ სულს შეუძლია ჩასახლდეს რომელიმე მატერიალურ გამოსახელებაში და ა. შ. განვითარებულ გეაროვნულ წყობილებაში ამ წარმოდგენებიდან ეალბდება წინაპრის ელტი.¹

წარმოდგენა მიცვალებულის სულზე სხვადასხვა ხალხში სხვადასხვა გეარო იყო, მკვლად, ძველ ეგვიპტელებს ამ მხრივ მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ, მათ ერთი გარკვეული აზრი არ გააჩნდათ. აი, რას წერს სულზე მათი წარმოდგენის შესახებ რენიაკო: სული ცისკენ გაფრენილი ჩიტია, ან მიცვალებულის ორეული, რომელიც საღდაც შორს დასავლეთში მიემგზავრება თავისი მსახურების თანხლებით, იალუს მინდვრების დასამუშავებლად; სულმა მკვლართა სამეფოში საყმაოდ გრძელი გზა უნდა განვლოს.²

მაინც სად მიემგზავრება სული? «ამაზე რომელიმე მივარდნილი კუთხის მკვიდრი, — წერს ტეილორი, — ღრმად მოაზროვნე ფილოსოფოსი, რომელიც ჯერ კიდევ არ მოქცეულა, ასე ვთქვათ, ცივილიზაციის სავადლებული რწმენის გავლენაში ღრმად დარწმუნებული გიპასუხებთ: სულები ცხოვრობენ იქ, სადაც მე არ შემოძლია მოხვდებ, ვინაიდან ჩემი სული ჯერ არ დაცილებია სხეულს. მე არ შემოძლია ავიდე ცაში და არც ძაღლის ჩავიდე მიწის სიღრმეში, იქ ალბათ მკვდართა სულები ემალევიან ცოცხალ ადამიანთა სულებს.³

ფიდიელთა აზრით, ბოროტი სულები, — ანტიდონი ადამიანთა, სიკვდილის შემდეგ უოველაციის მიემგზავრებიან მიწისქვეშეთში, ხოლო კეთილი სულები ცისკენ მიფრინავენ. მათ რწმენაში, როგორც ვხედავთ, უკვე იჭრება ბოროტისა და კეთილის მცნება.⁴

ხელულები და სხვა მრავალი ტომები, ანტიკური მსოფლიოს წარმომადგენელთა ჩათვლით, გვიჩვენებენ კიდევ იმ გზას, კლდის ნაპრალს, გამოქვაბულს და სხვა ასეთს, საიდანაც მიცვალებულთა სულები ზედიზედ მიწისქვეშა სამეფოში.

ასეთივე რწმენა აქვს ავსტრალიელ აბორიგენებს დღესაც, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათი წარმოდგენა სულზე მეტად ბუნდოვანი და სხვადასხვაგვარია; სულის — დეა, მათს, ასე ვთქვათ, რელიგიურ რწმენაში არავითარ განსაკუთრებულ როლს არ ასრულებს, ავსტრა-

ლიელთა ნაწილი ფიქრობს, რომ სული ადამიანის სიკვდილის შემდეგ მალევე იღვრება.⁵

ეს უკანასკნელი შეხედულებები შეიქმნა კეთილშინს გამონაკლისად ჩათვალეს, კერძოდ გავითვალისწინებთ არაფურის ტომებს, რომელთა რწმენითაც, ადამიანის სიკვდილთან ერთად თავდება ყველაფერი. რაც შეეხება საჭირო ცხოვრებას, ამ მხრივ, რაიმე რწმენა მათ არ გააჩნიათ.⁶

«იმ გარემოებამ, — წერს ოსკარ პეშელი, — რომ ყველა მოვლენისა თუ შემთხვევისათვის მოქმედნა რაიმე გასამართლებელი მიზეზი, პრიმიტიულად მოაზროვნე ადამიანი საბოლოოდ მიიყვანა სულის უყვადების აღიარებამდე? ხოლო ს. რენიაკოს მართებული განსაზღვრით: «სულის უყვადების რწმენა თავდაპირველად ზნეობრივი ასპექტით როდი იყო გარტყლებული; მაგრამ შემდგომში ამ უკანასკნელმა წამოაყენა თავისი უფლებები; საჭირო შეიქმნა, რომ სული გამოცხადებულიყო ოზირისთან და ორმოცდათორი მოსამართლის წინაშე ელიარებიან თავის ცოდა-უცოდველობის შესახებ. ამის შემდეგ ზნეობა სულის გასამართლება. ცოდვილი სულები საღდაც ჯოჯობეთში, გაუარკვეველ ადგილას ცივდებოდნენ, რომლის შესახებაც დაწერილებითი ცნობები არ მოიპოვება, ხოლო აღალ-მართალნი უცოდველნი სულნი თვით ოზირისს, ქვესკნელის მფარველ ღმერთებს შეერწმუნდნენ.⁷

მამსადავთ, უკვე იქმნება წარმოდგენა სულის მორალურ ხასიათზე; სული — ბოროტი, ცოდვილი, და სული — კეთილი, უცოდველი. ამ სულთა ადგილსამყოფელიც სხვადასხვაა, აი რას წერს ამ (სხვადასხვა) სულთა სამყოფელის შესახებ ე. ტეილორი: «წარმოდგენამ ბნელსა და ნათელ სულებზე და, ამასთან დაკავშირებით, ადამიანის მიერ სიცოცხლეში კეთილი თუ ბოროტი მზარების ღირსად გამოვლენამ გაუნათლებელი «მოაზროვნის» ფანტაზია მიიყვანა იქამდე, რომ კეთილ სულთა თავმსაფრად შეექმნა ცის, სინათლის სამყარო, ხოლო ბოროტ სულთათვის — წყვდიადის სამეფო, რომელიც მიწისქვეშეთში იყო მოთავსებული.⁸

როგორც დავინახეთ, ადამიანის ორად — სულად და სხეულად — გაყოფამ, რომლის დროსაც პირველი, ე. ი. სხეული ცოცხლობდა მანამ, სანამ მასში სული იმყოფებოდა, ხოლო

¹ იქვე, გვ. 66.

² Леббок Серб Дж., Начала цивилизации, СПб., 1896 წ., გვ. 147.

³ Пешель, Оскар, Народоведение, СПб., 1890 წ., გვ. 250.

⁴ Рейнак С., Срфей (Всеобщая история религии), 1919 г., გვ. 53.

⁵ Тейлор, Антропология, 1882, гв. 209.

¹ ნ. კოსცენი, პირველყოფილი ისტორიის ნარკვევები, 1971 წ., გვ. 181.

² Рейнак С., დასახლებული შრომა, გვ. 79.

³ Тейлор Э., Антропология, 1882 წ., გვ. 213.

⁴ Токарев Т., Религия в истории народов мира, 1965 წ., გვ. 139—140.

მეორე (ე. ი. სული) სიციცხლს განაგრძობდა სიკვდილის შემდეგაც. გამოიწვია ამ ქვეყნის ორად გაყოფა: სააქოდ და საიქოდ. ტელიორის სიტყვები რომ ვინმართ, „ველურიე ვაფილოსოფოსდა“. მან ამქვეყნიერს იმქვეყნიერს, მიღმა სამყარო, სულთა სამყოფელი დაუპირისპირა. ამასთან, იგი ამ ქვეყნიერის ასედად წარმოადგინა, რაკი მისთვის მთელი სამყარო ღმერთების იყო დასაბლებელი, იმ ქვეყნადაც მიცალაბულსა და მის ადგილსამყოფელს თავისი საკუთარი ღმერთები გაუჩინა.

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ჰადესი განაგებდა მკედართა სუფლოს, „მზის ქვეშეს“ ან, როგორც თვით პომეროსი უწოდებს, „მზე გადასულთა უსიხარულო ქვეყანას“.

ბაბილონელთა წარმოდგენით მათ სამეფოს განაგებდა ანუნაკი. მითებში მოხსენიება აგრეთვე საშინელი ღვთაება ჯოქხეთისა ერემკოვადი. სხვა მითების მიხედვით მკედართა სამეფოს გამგებლად გვევლინება ნერგალი.¹

„მიწისქვეშა ღმერთების რთული ევოლიუციური სახეები გვხვდება ძველ ეგვიპტურ რელიგიასა, როგორც ჩანს, პირველად მიიჩნადა, რომ მიცალაბულთა სულს შთანთქავდა მიწისქვეშა ღვთაება ტერა,² ხოლო შემდგომში, უფრო მოგვიანებით ეგვიპტის სხვადასხვა ნაწილებში მიცალაბულთა მფარველ ღმერთებად უკვე წარმოდგენილა ღმერთი — ძალი კენტიმენტიუ (აბიდოსი), ღმერთი-მგვალი — უბუაფტი (ასიუსი), ღმერთი-ძალი — მემფისი და ასე შემდეგ.“³ მაგრამ აშგვარი სახე ჰქონიათ ამ ღმერთებს მებუთე დინასტიის დასასრულამდე, მხოლოდ ამის შემდეგ ისინი, ჯონ ბრესტერის მართებული განმარტებით, „გაერთიანდნენ ოზირისის სახეში, რომელიც შემდგომ გადაიქცა ნაყოფიერებისა და მცენარეულობის ბტონური ღვთაებად; და ამიტომაც სწორეთ ოზირისის ხალხის წარმოდგენით დაუკავშირდა მიცალაბულებს.“⁴

არა მარტო სულთა სამეფოს, არამედ სიკვდილსაც ჰყავდა თავისი ღმერთი, რომელსაც სულეთშივე ჰქონდა „ბინა“. ჰადესის ტახთან დგას სიკვდილის ღმერთი თანატოსი, — გადმოკვეცს ერთერთი მითი, — ხელში მახვილით, შავი მოსასხამითა და უზარმაზარი შავი ფრთებით. საპარის სუსხი ჭრის ამ ფრთებიდან, როცა თანატოსი მომავლადის სარეცელთან მივ-

რინდება ხოლმე, „რათა მახვილით მკვვეთოს თმის კელული და სული ამოჰყდეს“⁵

ბერძენთა მითოლოგიურ წარმოდგენებში სიკვდილი ბუნებრივ, გარდაუვალ მოვლენას კი არ წარმოადგენს, არამედ იგი განუტეონილია ბოროტ სულთა დასასჯელად. შეაღწევდა რა ადამიანის ორგანიზმში იგი (ე. ი. სიკვდილი) ნელ-ნელა ანადგურებდა მის. ამიტომ, მითოლოგიურ წარმოდგენათა თანახმად, ადამიანებს უნდა ებრძოლათ იმ ბოროტი ღმერთებისა თუ სულების წინააღმდეგ, რომელთაც მათთვის სიკვდილი მოჰქონდათ; უძველესი მითები მოგვიჩვენებენ, თუ სიზიფტე გაბრახებულმა ზეესმა როგორ მოეგზავნა მას სიკვდილი, მაგრამ სიზიფტე ეშმაკურად მოაწყუა იგი, ბორკილით დააღო და დაატყვევა. ამის შემდეგ ქვეყანაზე აღარაიენ კვდებოდა, მაგრამ არესმა გაათავისუფლა თანატოსი და ქვეყნიერებას კვლავ სიკვდილი მოუვლინა, ხალხი კვლავ სიკვდილს ეხიარა.

თუმცა ადამიანის ფანტაზიამ შექმნა სულის უკვადეების იდეა, მაგრამ მისი გონება მაინც ვერ შეეგუა ფიზიკურ მოსიბობას, სიკვდილი მისთვის მაინც საშინელი რამ იყო. და სწორედ სიკვდილისადმი შიშმა განაპირობა ისეთი შესანიშნავი პოეტური ნაწარმოების შექმნა, როგორც ვილგამეშის ეპოსი. ამ ნაწარმოებში პირველად თანაც ასე მათრად დაისვა ადამიანის არსებობის, მიზნისა და დანიშნულების შესახებ.

ეპოსის მთავარი გმირი ვილგამეში თავისი მეგობრის ენქიდეს სიკვდილის შედეგად შეიცნობს სიკვდილის საშინელებას, იგი შეძრწუნებულია, ვერ წარმოუდგენია, რატომ უნდა მოკვდეს, რატომ გადაიქცეს მიწად ენქიდე. თუმცა ვილგამეში ერთი მესამედი კაცია და ორი მესამედი ღმერთი, მაინც შეუძლია ეპოსმა თავის უკვადეებაში; არ აკმაყოფილებს ჩვეულებრივი ადამიანის ზედრი, და მიუხედავად იმისა, რომ ძველ გზაზე მრავალი განსაცდელია მოსალოდნელი, ვადაწყვეტს მივიდეს თავის წინაპარ უთანაპირტთან, რომელსაც დიდმა ღმერთებმა უკვადეება უბოძეს და მისგან გაიგოს სიკვდილ-სიციცხლის ნამდვილი არსი.

ნუთუ არ არსებობს ხსნა სიკვდილისაგან? — ეს ფიქრი აწუხებდა გზად მიმავალ ვილგამეშს:

„ჩემს ქალაქში კაცი კვდება, გული შეკუმშება,

კაცი იწყმიდება, გული ავად მიჭკერს.“⁶ — აცხადებს იგი.

¹ Туртаев В., История Древнего Востока, т. I, 1935, გვ. 120—121.

² Токарев С., Ранние формы религии и их развитие, 1964, გვ. 207—208.

³ Туртаев, დასახ. შტ., გვ. 129.

⁴ Брестед Дж., История Египта с древнейших времен, т. I, 1915, გვ. 62—69.

⁵ კენი, ძველი საბერძნეთის მითები და ლეგენდები, 1965 წ., გვ. 30.

⁶ თამეზის სიზმარი, თარგმანი ზ. კიქნაძისა, 1969 წ., გვ. 48.



ვიღვამეში ბოლოსდაბოლოს, შევეყრება უთანაბრებს და ევბნება:

„შენ ვიყრებ შორეულო უთანაბრებს, დე სიყვდილს ნუ ვნახავ, რისაც სეპსისა: ამაზე შამენე სიყვდილ-სიფოცხლა...“

ვიღვამეშს სერს რაიმე სიმედო ვაიგოა უთანაბრების ბავთავან, მაგრამ ამაოდ, რადგან —

„სახე მჭერტელი წინაშე მხისა სამარადისოდ არ არსებულა“

„... აუცილებელია მრისხანე სიყვდილი...“

ვინა ბატონია მომაველი ვაიგო, ოდეს ბედისწეოს მიუახლოვდება? ანუნაქები დიდა ღმერთები იყრიბებიან, შამეთ შეშქელი ბედისა, მათთან ერთად ბედისწერას აწესებენ, მათ დაადგინეს სიყვდილი და სიცოცხლე, დღეში სიყვდილისა საცნაურ არ ჰყვეს!²

ვიღვამეში საბოლოოდ რწმუნდება სიყვდილის აუცილებლობაში, გარდევლობაში და უროგდება მოყვადვი აღმთინის ხედრს, ხედება რომ „სიყვდილი ღმერთს კაცისათვის დაუღვენია“.

იგივე საყთხი აწამებს კენსაც, ვიღვამეშის მსგავსად, კთხილობს ისიც:

„... სდღა ბედნიერება, თუკა ყველაფრის ბოლო წარმადლობაა, შეტრეხნობა? აშენებლე მხოლოდ იმისათვის, რომ დაანგრიო? — ეს შეუძლებელია! — პასუხობს თვითონვე, სწორედ ამიტომაც არის იგი მოწადინებული, რომ ვაიგოს „ორი საწყისის უდიდესი საიდუმლობაში“. გარდასულ დროთა სელებში იდეალური სამყაროს შემდეგ მას სერს ლოცუფერის სამფლობელოდ იხილოს, მაგრამ ეს უყვე თერმე არ ძალუქს „მოკვდათა ჭყუას“³.

„მტვერო, ნუ ვიპურობს ესოდენ ზვიადი სერვილები, — აფრთხილებს მას ლოცუფერი, — ეყოხებით რომ ნახო, ამისათვის უნდა დაიღუპო, რადგან ასეთი ჭერტა სულ სხვაგვარი არსებობის თვისებაა, კერძოდ, სიყვდილისა, კენს სიყვდილისა არ ვშინია, იგი შხადაა მოკვდეს კოდეც, თუ უხილავის ხილეა მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი“⁴.

ფაუსტიც ასევე ემუდარება მეფისტოფელს

მიკვაროს მას ჭოჭოხეთის მბრძანებლები ბელოლი და ლოცუფერი, რაფრ მტვერს სეშქელეზით და დახმარებით ცოცხლად შეტრეხნობს ევბნელებში და „ჭოჭოხეთის კვალიტეტი, საფუძველი და თვისება, აგრეთვე სუბსტანცია გამოავლინოს“⁵.

ფაუსტს სერს დემონიერის გზით ვაიგართოს შესაძლებლობის აღმთინური ფარგლები, მიადწიოს იმას, რაც ჩვეულებრივი აღმთინისათვის მიუწვდომელია, შეუძლებელია; სრულყოფის თავისი თავი და ბედნიერება მოუტანოს ხალხს, ვიღვამეშის მსგავსად, მასაც უნდა, რომ უყვადება მოუპოოს აღმთინებს და მკვდრებით აღადგინოს მიკვალბებლები.

სიყვდილ-სიცოცხლის საყთხთან დაკავშირებით მრავალი მერფისი ძველი შემოენახვს ხალხურ ზეპირსიტყვიერებას. „მრავალსაფუნოვანი ისტორიის გამაელობაში ქართული კაცი სხვადასხვაგვარად აღიქვამდა გარე სამყაროს, ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებს, სიყვდილსა და სიცოცხლეს, ავადმყოფობასა და განმარტობას, სამეურნეო და რელიგიურ ცხოვრებას, მისთვის პოეზია, მეცნიერება და რელიგია განუყოფელი იყო ცხოვრებისეული პრაქტიკიდან. ყოველივე ეს მდიდარ ასახვას პოულობდა სიტყვიერ ხელოვნებაში, უმარტივესი მაგური ფორმულებით დაწყებული მაღალპოეტურ მიმზებამდე და პერიოდულ ძეგლებამდე“⁶.

მართალია, პროფ. ქს. სიხარულიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბტქსტები ჩვენამდე თავისი პირენდელი სახით უყველად არ არის მოღწეული, ისინი ტრანსფორმირებულა სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა სოციალურ ფენაში, სხვადასხვა თაობების მიერ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათში მაინც არის შემორჩენილი ნიშნები, დამახასიათებელი პირველი სახისა, იმ ეპოქისა, რომელშიც ისინი შექმნილი“⁷.

თითქმის არ არის არცერთი ქართული ზეპირსიტყვიერებისა, რომ მასში შეტნაქლებად არ იქონს ვადროკემული ხალხის მრწამსი, მათი შეხედულებანი, მათი წარმოდგენები სულზე, სულეთზე, მსყვლობანი ამქვეყნიურ ცხოვრებასა და სიყვდილის რაობაზე, სიყვდილისადმი აღმთინის დამოკიდებულებაზე.

თუ ზემოთ განხილულ საყთხებთან დაკავშირებით თვალს გადავავლებთ ქართულ ზეპირსიტყვიერებას, ეთნოგრაფიულ თუ რელიგიურ მასალას, ვნახავთ, რომ ქართული ტრადიციისათვისაც აზროვნების განვითარების გარყვეულ

1 ვიღვამეში, თარგმანი ზ. კიქნაძისა, 1963, გვ. 74.

2 იქვე, გვ. 79.

3 მ. კეცესალაძე, ფაუსტური პარადიგმები, ტ. 1, გვ. 136.

4 იქვე, ტ. 11, 1961 წ. გვ. 569.

1 იქვე.
2 ქართული ხალხური პოეზია ტ. 1, 1972 წ. მთ. ჩიქოვანის წინასიტყვიანობით გვ. 9.
3 ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური სიტყვიერება (ტრესტომათია), 1970 წ., გვ. 3.

ეტაზე უცხო არ იყო მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხისათვის დამახასიათებელი რწმენა — წარმოდგენები.

ქართული კაცის სულის სათავსად სხუელს მიიჩნევდა, ხოლო სულს ხან მტრედის, ხან ჩიტის, ხან კი პეპელას სახით წარმოიდგენდა.

„მეგრეთა აზრით, — წერს თ. სახოკია, — როცა ადამიანი კვდება, თავში მოთავსებული მისი სული მტრედის სახით პირიდან ამოხტებოდა და იქვე სასთუმალთან მდგარი ძვალტყავა დედაბერა — სიკვდილი დაეხლავებოდა წასაყვანად“.¹

ერთ-ერთი ფაქტი ლექსი კი გვეუბნება:

სულთა პეპელა მოფრინდა
წითლით კტელ ჰქონდა მზარით.²

„მოთელის წარმოდგენით, — წერს ს. მკვალითა, — ადამიანის სული ანგელოზებით ფრთხვსსსულია და როდესაც ადამიანი კვდება, მისი სული ოქროს ტახტზე ჯდება და ზეცისაკენ მიეშურება“.³ ამ აზრს განმარტავს ხალხური ლექსიც. როდესაც გმირი იღუპება, მას „მართლა მოუხდა სიკვდილი დაეცა მტელის პირსა“.

აქ მოყვანილი მავალითებიდან ნათლად ჩანს, რომ თანატოსის მხავსად ქართველ კაცსაც სიკვდილის წინ თავს დასდგომა „ძვალტყავა დედაბერი“ (რაც, ჩვენი აზრით, წარმართული რწმენიდანაა შემორჩენილი) ან ანგელოზი (აქ უკვე აშკარად იგრძნობა ქრისტიანული რელიგიის გავლენა), რომ მათ მიცვალებულის სული ჩაიხარონ და იშვეყნადაც მეგზურობა გაუწიონ.

რაც შეეხება ამ ქვეყნიერ სამყაროსა და სულთა სამყოფელს — ისინი ვადაუღაზავი ზღვარით როდი არიან ერთმანეთისაგან დაშორებული; თუ ანტიკური მითოლოგიის მიხედვით ქრონოს მიცვალებულთა სულები ნავით გადაჰყავს ჰადესს, ან სკანდინავიურ მითებში იგივე სულები „მავარდნის ზილით“ ზღვებიან სკატისის სასეფოში (სულთა სამყოფელში). ქართველი კაცის ფანტაზიის ამ ორ სამყაროს შორის ბეჭეის ზილი გაუღვია, რომლის ქვეშაც აუბრის აღი მოუთავსებოდა.

რომ ეს ცხოვრება სწრაფწარმავალი და დროებითია, ოდითგანვე სწამდა ქართველ კაცს, რაზედაც შესანიშნავად მიგვანიშნებს თვით სიტყვა ქართული „წუთისოფელი“, რომელსაც მან ამ ქვეყნის, მიწიერ სამყოფელს უწოდა. „წუთისოფელი იმპროვირ რქმევია, რომ სე-

ლაფერი ამ ქვეყნად წუთობოთა სკოდნო, უბედურების მეტი.“ — გვეუბნება ვიქტორ ლევი, და ასევე განსაზღვრავს წუთისოფლის არსს ხალხური ლექსი:

ხომ ვიცი წუთისოფელი,
არა ხარ მისანდობელი,
სუვევლას ბოლოს მოუღებ, ხარ
სუვევლას მშობელი.

ბევრი მინახავს ვაყავი
მე შენი შემამკობელი;
მავრამ მაინც ხარ წუთისა,
მაინც ხარ წუთისოფელი.⁴

ქართველ ხალხსაც სწამდა სულის დამოუკიდებლად არსებობა, სწეროდა, რომ სულს შეეძლო სხუელისაგან განცალკევებით ემოქმედა. ამ მხრივ შესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს უძველესი მითი სოგაის შინდის შესახებ (რომ აღარაფერი ვთქვათ ქართულ ხალხურ ჯალღონურ ზღაპრებზე, რომელთა მიხედვითაც დევი უკვდავია, რადგან მისი სული სხვა ადგილას არის ვადაშაღული). ზეპირსიტყვიერებაში ცნობილია სოგაის შინდის როგორც გალექსილი ნაწყვეტები, ისე პროზაული ვარიანტები. „ერთხელ შინდი ხატებს ვაჟოლია ქაყების დააააშქრავად, — ვითბულობთ ვადმოცემაში. — რადგან სხეული ზელს უშლიდა, შინდი და მისი მეგობარი გახუა გვაშებიდან ამოვიდნენ და გვაშები ტყეში შეინახეს. დაბრუნებისას ნახეს, რომ მათ გვაშებს მატლი დასვეია, შინდის აღარ უნდოდა მატლიან გვაშში ჩასვლა, მავრამ ხატებმა ძალით ჩაიყვანეს — ხორციელი ხარი“⁵. პრატ. ელ. ვირსალაძის მართებული განსაზღვრით, „შინდისა და მისი მეგობრის გახუას სულების გამოსვლა გვაშებიდან, მათი სულების ძალით ჩაბრუნება მატლახვეულ სხეულებში ანიმისტურ წარმოდგენათა ანკარა ნავალითა“⁶

ქართველთათვის არც სულას უკვდავების იდეა იყო უცხო. აი, რას წერს ზეკურთა ამგვარი რწმენის შესახებ ნ. ზიზანიშვილი: „რადგანაც ზეკურთებს ღრმად სწამთ სულის უკვდავება, ამიტომაც საიქიო მიაჩნია, საიქიოს სულეთს უწოდებენ... სასოვადოდ რომ ითქვას, ზეკურთის სულეთი მოკვებულთა ფანტაზიის

¹ ქუთაისის ისტორიულ-ენოთგრაფიული მუზეუმი, ფოლკლორის ფონდი № 6418, მასალა 14.

² ელ. ვირსალაძე, მითები, ქართული ხალხური პოეტური ფოლკლორი ტ 1, 1960 წ., გვ. 56.

³ იქვე.

¹ თ. სახოკია, მიცვალებულთა კვლერი სამეგრეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ 11, 1940 წ., გვ. 175.

² ისტ. ფოლკლორის არქივი, ფონი N.

³ ს. მკვალითა, მოთელთი, 1930 წ., გვ. 127.

გაეღწას და უფრო სააქაოს ფერი და მიმართულება ეტყობა.¹

სევანების წარმოდგენით საიჭიო სააქაოს ორეულად გვევლინება „შათი ძველი რწმენების თანახმად, — საიჭიო იზოლირებულ სააქაოს კობიათა, ხოლო მიცვალებულის სული, რომელიც ცხოვრებას განაგრძობს საიჭიოში, ცოცხალი ადამიანის ორეულია, თუ ამ ქვეყნად ადამიანი საღი იყო, იმქვეყნად იგი უნაკლო და საღია, ხოლო თუ დედამიწაზე ცხოვრებისას ხეიბარი, მაგალითად, კოჭლი და დავარდომილი იყო, ის საიჭიოშიც კოჭლი და დავარდომილი იქნებოდა“.²

ჩვენი აზრით ეს რწმენა შემოუნახავს ერთ სექსტრულ ლექსს, რომელშიც დედა შემდეგი სიტყვებით დასტორის სულეთში მიმავალ შვილს:

შვილო დავიშლის სიკოცლეო,
შერასა შევიკაზმავ ცხენსაო.³

იდეალიზებულად აქვთ წარმოდგენილი სულეთი თუშებსაც. თუმის ქალი შემდეგი სიტყვებით ეთხოვება თავის მიცვალებულს:

ნეტავ შენ საიქიოსა,
შივ შეხვალ მტრედის ფერადო.
(დალაი)

უნდა აღინიშნოს, რომ იმ ლექსების პარალელურად, რომლებშიაც სულეთი იდეალიზებულადაა წარმოდგენილი, გვხვდება მთელი რიგი ლექსებისა, სადაც სულთა სამყოფელი მეტად მეტ ფერებშია დახატული. თუ ერთ შემთხვევაში ვკითხულობთ:

„თეთრი ციხე დვას სულეთში,
წვერი ცის მიმდინარია და ა. შ.

სხვა ლექსი გვეუბნება:

„... სულ წუხ ყოფილა სულეთი,
ღვანდა ბნელეთის ზანსაო...“⁴

1 ნ. ზინანიშვილი, ფშავ-ხევსურეთი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის ტ II 1940 წ. გვ. 73.

2 ვ. ბარდაველიძე, ქართული (სევანური) საწყისო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები 1953 წ., გვ. 107.

3 მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. III, 1940 წ., გვ. 112.

4 ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია 1961 წ., გვ. 289. იგივე ლექსი ცოტა განსხვავებული ვარიანტით, იხ. ქს. სიხარულიძე, ქართ. ხალხ. სიტყ. ქრესტომათია.

5 ა. ონიანური, ფშავ-ხევსურული პოეზია, 1971 წ., გვ.

ვ. ი. თუ ერთ შემთხვევაში მიცვალებულს სულის წინ იშლება მწვანით აპიბინებული/მინდორი, მრავალსართულიანი ჭაღმს ქრისტიანობა, რომელსაც შხის სხსწყბა ამრწყანსმან, ალვის ხე ამშვენებს და ვეება წყარო ჩამოუდის, მეორე შემთხვევაში მიცვალებულის სული ხვდება, საშინელ წყევლიადში, სადაც შხის სხივი ვერ აღწევს და ქვეწარმავლები დაძრწიან. როგორ გვაგონებს ეს უკანასკნელი პადესის პირქვე სამეფოს; იქვე ხომ არასოდეს არ აღწევს შხის სხივი. ქვეწარმავლებით, დამურებით და დემონებით აღსავსეა იქაურობა. „მარად უსიხარულო არსებობისათვის არიან განწირულნი პადესის პირქვე სამეფოში მიცვალებულთა სულეში“.¹

როგორ წარმოედგინა ქართველ ხალხს თვით სიკვდილი? ზეპირსიტყვიერების მიხედვით მას რეალური სახე აქვს. იგი ნაზადმოხურული, თვალდებრილია ზის თავის ცხენზე, დაქრის მთიდან მთაზე, ზღვიდან ზღვაზე, ზან ერთის სახლს მიუკავებებს, ზან — მეორისას.

„... შამამეყარა სიკვდილი, ჩამამავალი გზიზასა,
მახურელი აქვს ნაზადი, ხეტარს ანათებს ხმლისასა“²

გვეუბნება ერთი ხალხური ლექსი, ხოლო მეორე ლექსის მიხედვით:

სიკვდილმ თქვა: ზღვა-ზღვა წამოველ,
ზღვა ჩქეფით შემოვიარე,
შევიკაზმე ჩემი ლტარა,
ხმელეთ სულ შემოვიარე!³

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში სიკვდილის წარმოსახვის არა მხოლოდ მხატვრულ სახესთან გვაქვს საქმე. არამედ იმ უძველეს, მეტად არქაულ რწმენასთან, რომლის მიხედვითაც ცხენზე ამხედრებულ რეალბად წარმოდგინა წამორჩენილ ხალხთა უმრავლესობას. მაგალითად, გერმანული ხალხის აზრით, სიკვდილი გაძვალტყავებულ, თეთრ ცხენზე იქდა,⁴ ხოლო ბიბლიის მიხედვით იგი მახვილით ამხედრებული ხატის სახით გვევლინება: „42 ა ამა ცხენი მწუანც, და მკდომარესა მას ზღდა სახელი მისი სიკვდილი; და ყოჯოხეთი შეუღდა მას და მიეცა მას ხელმწიფება მეოთხედსა ზღდა“

1 კუნი, ძველი ბერძნული მითები და ლეგენდები, 1965 წ., გვ. 29 — 31.

2 ა. ონიანური, ფშავ-ხევსურული პოეზია, 1971 წ. გვ. 152.

3 ხალხური სიბრძნე ტ. IV, 1965 წ., გვ. 479.

4 Пропп В., Исторические корни волшебной сказки, 1947, გვ. 000.

ქვეყანისა და მათდა მახვლითა და სიყვლითა და სიყვდილითა და მკეტთა მიერ ქვეყანისათა.“¹

სიკვდილს წინ ვერაფერი დაუდგება, იგი უველანს და უველაფერს ათანასწორებს; მასზე არც ქრთამი ჰქონს არც ხვეწნა-მუდარა. სიკვდილი-საგან არაფერს მოელის შევლას, არც თავის გა-მონსნას, რადგან:

იციან, მკამელს სიკვდილ სჭამს,
კამას დაუწყებს უველასა;
ქვრდულად კამა არ უყვარს,
სიკვდილ არ მალავს მელასა.²

სიკვდილის შიშით შეჭრუნებელი ადამიანი როგორი ვედრებით არ მიმართავს მას, რომ არ მოჰკლას, რას არ პირდება, ოღონდაც არ გამო-ასაღბოს წუთისოფელს, მაგრამ ამაოდ. და სა-ბოლოოდ დაწმუნდება რა, სიკვდილი კაც-თათვის გარდაუვლია, რაც არ უნდა ემალე, „ღრო რა მოალის, კარ გაიღების თავიდა“, დაასვენა:

სიკვდილ ვერაინ ემაღვის,
ვერციენ გაქცეა რბენითა,
ვერციენ გადაჩნა სიმდიდრით,
ოჭროს და ვერცხლის ძლევათა,
ვერციენ მამაკად ბრძოლითა,
ხმლისა და ხანჭლის ქნევითა,
ვერციენ ხვეწნით და მუდართით,
თალთა ცრემლების დენითა,
ვერციენ ცბიერის სიტყვითა,
ვერც ლაქარდიან ვნითა.“³

სახოგადებრთვი ფორმაციის განვითარებას-თან ერთად ვითარდებოდა ხალხის აზროვნებაც. ადამიანმა თუშკა შეიყინო სიკვდილის ნამდვი-ლი არსი, მაგრამ მთლიანობაში იგი მაინც ამო-ცხსნელ ამოცხად დარჩა.

„პირველყოფილმა შეხედულებებმა სიკვდილ-სიციოცხლის შესახებ, — წერს პროფ. შიხ. ჩი-ქოვანი, — ჩვენს დროში წინაპართა კულტის სახით მოაღწიეს, მასში შეღავნებთან უკვდა-ვებისადმი მისწრაფება და უძველესი წარმოდ-ვევნები, რომლებმაც დროთა განმავლობაში მტკიცე რელიგიური ფორმა მიიღეს.“⁴

ადამიანის ფანტაზია რას არ იგონებდა, რა გზას არ სახადდა, რომ სიციოცხლ შეენარჩუნე-ბინა. მისი გონება უკვდავების ძიებისაკენ მი-

ისწრაფებოდა. უკვდავება კი მხოლოდ ღმერ-თების ხვედრი იყო, სიკვდილისადმი შეშმა-გე-ნაპირობა თუყვანისცემა მიცვალებულნი კვლავ-ტისა და აიყვანა იგი უმაღლეს გამოვლინებამ-დე — წინაპართა კულტამდე, მაინც წარმოშვა „სამითხისა“ და „სიციოცხლის ხის“ მიტივი.

სომას ხე, ჰაიმა, შივილი მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიაში გაერცლებული უკვდავების წყა-ლი, მკვდართა სამეფოში დაცული ზღაპრული ბანანი და შაქრის ღერწამი ან ყოცხეთში და-ცული სასწაულმოქმედი ვაშლები, სხვა არა არის რა, თუ არა სიციოცხლისაკენ სწრაფვა, ცდა ადამიანისა, რომ რაც შეიძლება მეტხანს იციოცხლოს ამ ქვეყნად, მაგალითად, კამერუნ-ში ზანგი ტომის ბაკოკოს მითში ნათქვამია, რომ თავდაპირველად ადამიანები ბედნიერად ცხოვრობდნენ, მათ არ იცოდნენ არც განსაყ-დელი და არც სიკვდილი, როცა მათ სიბერე შეეპარებოდათ საეშარისი იყო პატარა ხის „სინგეს“ გვერდით ცხრა დღე-ღამე გაიტარე-ბინათ, რომ სიბატევე დაბრუნებოდათ და ახა-ლი ცხოვრება დაეწყოთ, ხოლო ამ უყანასკნელ წლებში ახალ გერევაში ჩაწერილი ერთი ლე-გენდის მიხედვით, რომ მკვდართა სამეფოში დაცულიყო ზღაპრული ბანანი და შაქრის ღერწამი და ვინც მას შეჭამდა, არასოდეს მო-ცვდებოდა.⁵

შესაძლოა, ამავე დანიშნულებისა იყოს ჩვენ-ში „წმინდა გიორგის კარხედა“ ეპოქისმოხვეუ-ლი ალვის ხეც (რომ არაფერი ეძქეთ ჩვენს ზღაპრებში ცნობილ სასწაულმოქმედ ვაშლებსა და უკვდავების წყაროზე).

ჩვენი ბატონის კარხედა
ხე ალვად ამოსულაო,
წერად მივსამა ყურძენი,
საქველად ჩამსულაო,
მაგის უქშელი ქალ-ვაგი
უღროლად დაშულაო!⁶

ეს მოსაზრება შეიძლება უფრო მყარი აღ-მონდეს, თუ გავახსენებთ ე. ბარდაველიძის სიტყვებს: „ამჟამაა, ძველად ქართველები მწი-ფე ყურძენს სიკვდილთან გამკლავების ძალას მიაწერდნენ, იგი დღეგმრებლობას მომნიჭებე-ლი უნდა ყოფილიყო“⁴.

ქართველი სახალხო მთქმელებისაგან შექმ-ნილი მხატვრული სახე, პროფ. შიხ. ჩიქოვანის

¹ იოანეს გამოცხადება და მისი თარგმანება (ქე. ქართული ვერსია), ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 1961 წ., გვ. 10.

² ქეთათისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუ-ზეუმის, ფოლკლორის ფონდი № 6418, მასალა 14.

³ შ. სიხარულიძე, ქართული ხალხური სი-ტყვიერება, ქრესტომათია, 1970 წ., გვ. 433.

⁴ შიხ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1964 წ.

⁵ „მნათობი“, № 7.

¹ ნ. კოსვენი, პირველყოფილი კულტურის ისტორიის ნარკვევები, 1971 წ., გვ. 203.

² ი. ბიერე, შეხვედრა ქვის ხანასთან.

³ აღ. ილიაძე, მასალები საქართველოს ეთ-ნოგრაფიისათვის, ნაკვ. I, 1938 წ., გვ. 42.

⁴ ე. ბარდაველიძე, სიციოცხლისა და სიუხ-ვის ხე ქართველთა სარწმუნოებაში, საქართვე-ლის ეთნოგრაფიის მასალები, 1968 წ., გვ. 47 — 48.

აზრით, უსიკვდილო ქვეყნის მონახვის იდეას ვმსახურება უოველგვარი რელიგიური მოძღვრების გარეშე. „სიკვდილის გარდამოხვეწილი ფართო და სიკვდილს ევმალისი“ — ვითხოვლობით უცვლადების მამრებელი ქაბუცის ბერნარდისეულ ვარიანტში. ამ ციკლის ქართულ ზღაპრებში სიკვდილ-სიცოცხლის საყთხი ისევეა გადამწყვეტილი, როგორც ვიღვამეშის ეპოსში — „არ არსებობს ქვეყანა, სადაც სიკვდილი არ იყოს“.²

მე არ მითხოვია ღმერთისათვის გამაჩინეო და რაჟი გამაჩინა, რად უნდა მომქალს? — კითხულობს ზღაპრის ვმირი. პასუხი მხოლოდ ერთია:

„მიწა ხარ და მიწად მოიქეცე“.

ადამიანს უჩნდება წარმოდგენა, რომ ცხოვრება ზღაპრია, იყო და არა იყო რა, ხოლო ცხოვრების უარყოფით მას აღარაფერი შერჩა, არაა აღმოჩნდა, მაგრამ იგი ბუნებით მეზობლია, მას არ შეუძლია ერთ სიტუაციაში უოფნა, ამიტომ იგი შალე პოლემიკურ მიმართებაში დგება ცხოვრებასთან. ქრისტიანული რელიგიის „მოთმინების ფილოსოფიის“ მან ბრძოლა და მოძრაობა დეუპირისპირა, საბოლოოდ შეიცნო რა, რომ „სიკვდილი და სიცოცხლე ორივე ღმერთმა ინება“, როდი შეშინდა, პირიქით, ამაყად წარმოთქვა:

რად ვარგა კაცი, სიკვდილის შიშით ლოგინში კვდებოდეს.³

სიკვდილსა და სიცოცხლეს პერაელიტე მიიხნევდა როგორც ორ ურთიერთ საწინააღმდეგო მდგომარეობას. ეს მოსახრება ფილოსოფოსთა შორის ექვსად არ იწვევდა.⁴

სიკვდილი, როგორც სიცოცხლის უარყოფა როდი წარმოადგენს სრულს უარყოფას, პირიქით, იგი ადამიანის არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია. საყაროში ვწვლავერი წინააღმდეგობრივ პრინციპზეა აგებული. „უოველი მოპირისპირე საგანი თავის მოპირისპირისაგან იღებს დსახამს. იგი თავის თავში არ იქცევა თავისთვის მოპირდაპირედ,“⁵ — წერდა პლატონი; მისი აზრით, ასევე წარმოიშვა ცივის საწინააღმდეგოდ ცხელი, კენტიას — ღუწი, კეთილისა — ბოროტი, ნათელისა — ბნელი, ხორცისა — სული, სიცოცხლისა — სიკვდილი და ასე შემდეგ.

ჩვენი სულბი სიკვდილის შემდეგაც არსე-

ბობენ სადღაც, ამბობდა პლატონი, სიოწინაც ახალი სიცოცხლისათვის ბრუნდებიან უკან.¹

ვანეთიარება, როგორც დიალექტიკის პრინციპი ნიშნია, როგორც დამპირისპირებულისა კრიტიკისა და ბრძოლის კანონი, როგორც უარყოფის კანონი თავის შესანიშნევ ვამართლებას პოელობს სიკვდილ-სიცოცხლის საყთხთან დაკავშირებით, რადგან დიალექტიკის მიხედვით, როგორც ვიცით, უოველგვარი მოვლენა, უოველგვარი საგანი იქმნება, ვითარდება და აღწევს რა თავის მაქსიმალურ ვანეთიარებას, კვლავ ეშვება უკან და ქრება, უოფნა არყოფნის საყთხისადმი მარქსიზმის კლასიკოსების დამოკიდებულება შესანიშნევად და კონკრეტულად არის გადმოკეზული ენგელსის ცნობილ ფორმულაში — „სიცოცხლე სიკვდილს გულისხმობს“.

ენგელსის აზრით, სიკვდილის უარყოფა თვით სიცოცხლეშია, რადგან, „სიცოცხლე უოველთვის იახრება იმ თავის აუცილებელ შედეგთან, სიკვდილთან მიმართებაში, რომელიც მასში მუდამ არის ჩანასახის სახით“.

ადამიანი ხედავდა, რომ ამ ქვეყნად ვწვლავერი წარმავალი იყო, — სიყვარულიც, სიამოვნებაც და თვით სიცოცხლაც. მხოლოდ ცხოვრება იყო მარადიული და უცვლელი, მას თავისი მოთხოვნილება ჰქონდა; ცხოვრების დინების შეჩერება კი შეუძლებელი იყო. „ქვეყანა სცენაა, — წერდა დემოკრიტე, — ცხოვრება მასთან მისასვლელი, მიდი, ნახე, წაიღი... ქვეყანას ცვალუბადობდა, ცხოვრება — რიგი“.

მართალია, სიკვდილის ფაქტი თავისთავად შემაარწუნებელია, მაგრამ ადამიანი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ, ამავე დროს, როგორც ბუნების მიერ დაკანონებული, იგია ამა ქვეყნის ვამსწორებელი, ვაჟას სიტყვებით რომ ეთქვათ, „სიკვდილიც თავისებური გამოვლენაა სიყეთისა“. იგი ვანახლებას უწყობს ხელს. ბუნებას სიკვდილით არაფერი არ აკლდება, რადგანაც, „შეესება მოსდევს დანაკლისი“, ხოლო „ვანამენისა და სიკვდილის ზომა უცვლელი რჩება“. „დრონი წავლენ ჩვენც წავალთ“ — ამბობს ვაჟა, მაგრამ ამასთან მან იცის, რომ სიკვდილს სიცოცხლე მოსდევს, წასვლას მოსვლა და წამოიბახებს:

ღმერთმა ვიშველოს სიკვდილი, სიცოცხლე შენობს შენითა.

სიკვდილსა და სიცოცხლეს მარადიულობა ასწორებს, „სიკვდილში კაცი სიცოცხლეს პოულობსო“, — ამბობს ვაჟა და სწორედ ამ სიტყვებში ვლინდება ბუნების ვანეთიარების დიადი კანონი. „მინცა და მინც ბუნებას, რომ სიკვდილ-სიცოცხლე ერთნაირად უკვარს და ორივე იმის ხელთ არის“.² სწორედ ეს აძლევს

¹ მის. ჩიქვანი მეჩვიდმეტე საუუნეში ჩაწერილი ქართული ზღაპრები 1964 წ.

² იქვე.

³ ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია 1971 წ.

⁴ Панцхავა И., О смерти и бессмертии человека, 1965 г., გვ. 11—16.

⁵ პლატონი, ფედონი, თარგმანი ბ. ბრეგაძისა. 1966 წ., გვ. 95;

¹ იქვე. გვ. 97.

² ვაჟა-ფშაველა, იქვე.

ადამიანურ ყოფას ოპტიმისტურ ძალას. ეს რომ არ იყოს რით დასრულდებოდა სიცოცხლის სიტურფე, მზის მაცოცხლებელი ძალა; ამიტომ რა აბრეულ-დაბრეულიც არ უნდა იყოს ეს ქვეყანა, ადამიანს შინა იმპერანიურზე მეტად ამქვეყნიური ცხოვრების დახარბოთლ საკითხებში გარკვევა აინტერესებთ, ყოველნაირად ცდილობს სიახლე შეიტანოს მასში.

თუ თანამედროვე ათეისტური ექსისტენციალიზმის წარმომადგენელმა მწერლებმა და ფილოსოფოსებმა აღბერტ კაიომ და სარტრმა საშუაროში გადაღებული ადამიანი უიმედოდ მოატყუეს და ვერ გამოინახეს ამ მდგომარეობიდან მისი ხსნის გზა, ხოლო ვაბრიელ მარსელმა ადამიანის ბედი ღმერთს მიანდო და მასზე დამოკიდებულად აქცია, რადგან, მისი აზრით, ადამიანი მხოლოდ ღმერთთან მიმართებაში ავლენდა უკიდურესად ინდივიდუალურ ბუნებას და პიროვნებად ყალიბდებოდა, თუ სასულიერო მწერლები სელსაფის, ზორცის გვემოსა და სიქიო ბედნიერი ცხოვრებისავე მოუწოდებდნენ ხალხს, ხოლო აღორძინების ხანის მწერლებს საწუთროს სიმუხთლის გამო აღსურვლებელი სერვილები და მისწრაფებანი სევედის ბალისავენი შეერკებოდა და იქ შუარე ცრემლს აფრქვევინებდა, ან მეფე თეიმურაზის მსგავსად, ამ ქვეყნიდან ხსნის გზას ბერობასა ან ჰელონიასა და ეროტიკაში ზედავდა, ამ მხრივ ხალხური ლექსები სავსეა ჩანალი ოპტიმიზმით; ოპტიმიზმით იმ ადამიანისა, რომლის ცხოვრებამ ნიადაგ ბრძოლასა, შრომასა და მოქმედებაში განვლო, პროფ. ელ. ვირსალაძემ ქართული ფილოსოფიური ლირიკის ძირითად თავისებურებად სამართლიანად მიიჩნია სიცოცხლისადმი უდიდესი სიყვარულის გრძნობა. „მიწერი საშუარო, — წერს იგი, — მთელი თავისი ნაირფეროვანი სიღამაზით, სიცოცხლისა და არსებობის წყურვილი, ცხოვრების არსებობის სიხარული ვადმოსჩქეფს ყოველი ლექსიდან“.¹

ქართველმა კაცმა ეს სოფელი, მოუხედავად მისივე განცხადებისა, რომ „სოფელი ჭრელი გველია“, — ამოვბათა ამოვბად როდი მიიჩნია და ვეკლესასტეს მსგავსად მოთქმა როდი დაიწყო: „არარაი არს ახალი მზისა ქვეშე... გუღმან ჩემმან იხილა მრავალი სიბრძნე და მეცნიერება, იგავნი და ზელოვნებანი, ნაქმარნი და სიკეთენი და ამა, ყოველივე ამოვბა და ტანჯვა

¹ ელ. ვირსალაძე, ლირიკა, ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ტ. II, 1968 წ., გვ. 253.

სულია,“¹ არამედ პირიქით, მოძრაობა, ბრძოლა და ყოველგვარ წინააღმდეგობაში წყვეტა დანსახა მიზნად. იგი ცხოვრებას უკვე წყვეტინა და არამედ, ითვე, აჩაგრე მტერია“ — ამ დევნიბით მოქმედებდა.

ქართველი კაცის ძლიერი ბუნება არც სიკვდილის აუცილებლობამ ვატება, არც სოციალურმა უსამართლობამ, პირიქით, მასში მებრძოლი სული გააღვიძა და უკეთესი მებრძოლისათვის ბრძოლა ასწავლა. და დიდი მგოსნის ნ. ბარათაშვილის ღრმა ფილოსოფიური სიტყვების — „რადგანაც კაცნი გვექვან, შეიღინი სოფლისა, უნდა კიდევაც მიესდიოთ მას, გვესმას შრომისა“, ანალოგიურად გაიხმა ქართველი კაცის ომბიანი ხმა:

მაქვე და მოქვევ სოფელსა,
ამით რა დავიშავებდა.

თავისუფალი ადამიანი — წერდა სპინოზა, — არაფერზე ისე ცოტას არ ფიქრობს, როგორც სიკვდილზე და მთელი სიბრძნე სწორედ იმაშია, რომ ეიფიქრო არა სიკვდილზე, არამედ სიცოცხლეზე“. ქართველი კაცი არასოდეს ყოფილა ფანატიკურად შეშინებული სიკვდილის გამო, იგი ამ ქვეყანას ეტრფოდა ყოველთვის, ამ ქვეყანას შეჰხაროდა და ამოტოვაც გაისმოდა მისი მავედრებული სიტყვები:

მიყიდეთ ცოტა სიცოცხლე,
ნეტა რა ეღირებაო.

იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ეს ცხოვრება თავისი აუკარგიო, კირითა თუ ლხინით შინც ღამაზი და მიშხიდველი იყო. ამიტომ, თმცა მან კარგად იცოდა, არაწამსაც დაევიანდებით, იქვე სიკვდილი მზა არის“, მანც ამაყად წარმოსთქვა:

წუთისოფელი აგრეა,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება...

ამგვარად, პრიმიტიული აზროვნებიდან როგორ უნდა განვითარებულიყო ადამიანის გონება, რომ ეთქვა:

ცოცხლად ხალხს ვემსახურები,
მოკვდეები — ხალხი დამშარბავს!

ამ სიტყვებით მან პასუხი გასცა ოდიოვან დასშულ კოხუვას: რისთვის იყო მოსული ამ ქვეყანა? რა გამართლება ჰქონდა მის არსებობას?

და ბოლოს ანდაზით „სიკვდილი და სიცოცხლე მშები არიანო“, პოეტურ ფოლკლორში კიდევ უფრო ნათლად გამოვლინდა ქართველი კაცის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

¹ ბიბლია (დაბადება), ნაწილი მეორე 1884 წ. გვ., 239 — 234.

გორის მიტყულება

ბახსუნება

აღიარებდა, რომ მიტყულება დაიბადა 1903 წლის 26 აპრილს სოფელ ხორგაში (ხობის რაიონი), შეძლებული გლეხის ოჯახში. მამამისს ასაკი ნიკოლოზის ძე მიტყულებას მაინდელი სოფლის პირობაზე გამოჩნეული სახლ-კარაი ჰქონდა, თეთრი ჩინარებით გარშემორტყმულ ეზოს, როგორც ეს მიტყულებულა სამეგრელოში, გადასურებდა ორსართლიანი, ქვების ზომებზე შეშდგარი სახლი. ეზო ორად იყო გაყოფილი. შვერის ღობის ერთ მხარეს ყანა ხასხასებდა. სივინდი იმსიმაღლე იზრდებოდა, რომ ცხენიანი კაცი შიგ თავისუფლად დაიშვლებოდა. იქვე, სახლის მარჯვენა კუთხეში მჭკარტლით გამოვრული, ოროფებებზე შეშდგარი ნალი მოჩანდა. ის ერთ დროს სავაჭრო დუქანი იყო და ეზოს წინ იდგა. ანდრია ვაჭრობას ვერ უძლებოდა. ზარალი ზარალზე მოსდიოდა და ამიტომ შეუღლებ აძულა დუქანი ეზოში შეეტანა. შეშდგე დუქანი სასივინდედ გადააკეთეს. გარედან იგი ვერცა წყლით იყო მოწველი, ჩათა ჰაერი კარგად შესულიყო და სივინდი არ „ჩახებებდელიყო“. ეზოს წინა მხარეს კონდარი ბიზინებდა, ათასგვარი მინდვრის ყვავილებით მორთული და აჭრელებული. ღობეს გაბაჟული მყველის ბუნქის ტოტები გადასჭროდა, შუაგულ ეზოში აღმართულიყო ბეჭერი ქაღალი და ეგება ვარჯი ისე ფართოდ ვაშალა, რომ მის ქვეშ ასიოდე კაცი თავისუფლად მოთავსდებოდა.

შუა ოთახში გაქვზე უზარმაზარი კარდალი ეკიდა ღობის მოსახარშად. ბუნარს დიდი ვერცხლის შანდალი ამშვენებდა. ოთახის კუთხეში ეწყო ოთხის ქოთნები და პატარა-პატარა ე-

ცები მჭადისა და ხაქაპტრების დასაცხობად. დიდ ოთახში ბავშვებს ეძინათ. იქვე დევოიო მხარეთქოზე წამოგორებულყო უზარმაზარი ჯირკი. მომცრო ოთახი მშობლების საძინებელი გახლდათ. იქ ისე ბევრი ხატი ეკიდა, რომ იმდენი ციური ანგელოზი ერთად ხობის მონასტერშიც არ იქნებოდა. ყელდიდან მღუმარედ იტყობოდნენ ღეთისმშობლისა და წინასწარმეტყველთა სახეები. ანდრიას შეუღლე ხშირად ლოცულობდა. ანდრია კი ბავშვების გასაგონად ხმამალა დასცილოდა. „ღმერთამდე მი აღწევს ახლა. მ ღეთისმორწმუნის ბუტბუტი? მეტი არაა ზემი შტერი!“

ანდრია მიტყულებული ჩასვენილი, მწითური კაცი იყო. რალზე ფიცხი გახლდათ. მაგრამ მოუფიქრებლად არაფერს იტყოდა. ვაგლან თუ გაუბედავდა ეინმე სიტყვის შეზრუნებას. ბრძენკაცს ეძახდნენ. მასთან რჩევა-დარიგებისათვის ხშირად მიდიოდნენ გლეხები. ენერგიულ სახეს ბროლივით ქათქათა კბილები და კროლა თვლები უმშვენებდა. არ იცოდა რა იყო კბილის ტყვილი და ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული გაზეთის უსათვალოდ კიბუხლობდა. ანდრია ძალზე საქმიანი და შრომისმოყვარე გახლდათ. ერთბელ წისქვილის ათფეთთან ქვა გასცდა, ფეხზე დაეცა და სამედამოდ დაეკოქლა. მაგრამ უქმად ვერ გააჩერებდით ადგილზე. როცა აღესილი ცელით ბალახს ბალახზე აწვენდა, პატარა აღიოს იგი დევგმირად წარმოედგინა. მუშაობის დამთავრების შემდეგ დაღლილი ანდრია ხუზე კონდახივით მიაყუდებდა ცელს, ჩაიბუხებდა, ყალიონს თამბაქოთი გაავსებდა. კვეს-აბედს გაკრავდა. გემრი-



ელად გაბოლებდა და თვალს ზეცას მიაპყრობდა. მერე მოხმობდა ბავშვებს სათითაოდ, ჩაცმებულ ღვინოსა და საჭმელს მოატანიებდა, გემრიელად მიირთმევდა, პატარებს ათასი რამით დასაქმებდა, შრომის სიყვარულს უნერგავდა დიწიკი საუბრით და თან „ოღოას“ ღლინებდა. იმ დროს ანდრიას საოცრად ეცვლებოდა სახე, თვალები უბრწყინავდა.

აღოს დედა მამო ქორთუა ძალზე ფაქიზი და ლეოსმორწმუნე, მეტად გამრჯე და ენერგიული ქალი უიფოლა. მეზობლებში დიდა პატივისცემი და სიყვარული ჰქონდა დამსხვრებულნი. მის მიერ გაყვითებული ელარჯი და ხაჭაპურები განთქმული იყო ამ არე-მარეში. მამოს მამა მაცი ქორთუა, აზნაუდ განთქმული აზნაური, შეძლებული ოჯახის პატრონად ითვლებოდა — ეწეოდა მიერეზობას შიან აბსთუმანში; მარანში წლადან წლამდე გამოუღვევლად ჰქონდა ცოლაყურის ღვინო და ზმირად უგზავნიდა სიქეს ბართიანად „ეს ღვინო მიერთვის ქოხებზე ანდრი მირცხელავს აზნაურ მაცი ქორთუასაგანო“.

ანდრია მირცხელავს პერ-მარტილი არ აკლდა, საჭმელ-სასმელი „თავსაყრელი“ ჰქონდა. იმდროინდელი ფეოდალებსა და თავადების აზმირებე — ჭაბანები და ლიბოკანები ანდრიასთან სტუმრიანობას არ თაყობდნენ, ზმირად დადიოდნენ მის ოჯახში. სანამ სუფრა გაიშლებოდა, მიუყდებოდნენ ნუგრიანი ჰადრის ხის ქვეშ გაშლილ ნარდს და იყო ერთი ღრანაცული და აზარტული ყვირილი: „შაში, ბეში, დეშეში“. ამ დროს სამზარეულოში იხრავებოდა ჭაბანები და ინდურები, ცხვებოდა მკადები და ხაჭაპურები, კარვალში თუხთუხებდა ღომი, შიშინებდა მწეადები და ოხშიყარი ასდიოდა ელარჯს. წერილყლიან დოქებში ისხმებოდა სისხლისფერი ღვინო, ლარწყებზე ალაგებდნენ ლოყაითელა ვაშლებსა და კანდამყიდარ ბროწეულებს. ოთახიდან მოისმოდა ანდრიას მიერ რუსეთიდან ჩამოტანილი ძველთაძველი გრამფონის ღრიალი და გნისა.

ბავშვები სიცილ-კისკისით დაბობდნენ ეზოში — ძღურტულდნენ, მერცხლებივით კიკიკებდნენ, როცა სუფრა გაიშლებოდა, თითოსტოლა აღო ჩაფიქრებული მიუყდებოდა სუფრას და მინდისბელივით უსმენდა სტუმრების საუბარს. თმეცა თვალები ეხტებოდა, ფეხს მინც არ იცვლიდა ადგილიდან. ერთხელ თამადა მეჭი ლიპონავამ სრულიად სერიოზულად განაცხადა: ეს ბავშვი ან ეპისკოპოსი გამოეა ან არადა ამ ქვეყნის დამაქციველიო.

სტუმრები ლოცავდნენ ანდრიას, გამრავლებასა და გზარებებს უსრუებდნენ, ასრულდა კიდევ სტუმართა ლოცვა. ანდრიას შვიდი ვაჟი და ეშვი ქალი შეეძინა.

ანდრიას მეგობრობდა ეტლაშიდან გადმოხვეწილი აზნაური ბესა ბუკია, გრძელი და თავ-

წერილა, გაქნილი და ცბიერთვალეზა, შემოკიდოდა ოჯახში, მირს დაანარცხებდა ზობისს და ფეხს არ მოიცივლიდა, სანამ მასწინებდნენ მერცხრის გაშლას არ მოიფიქრებდა. ანდრიას უყვარდა მისი ენაპეკრობა, ერთობოდა, ტუერთვალეზე გულისანად ხიობიოებდა, სიცილისაგან აყრემლებული თვალბიით შესცქეროდა სტუმარს და დაუოკებელ ღიმილში თრთოდა მისი ერთმანეთზე გადაბმული ხშირი წარბები.

ბესამ ისეთი მდღიანი ჭამა იყოდა, რაც არ უნდა მოგეტანათ, გადასასწავლა, ზედაც არ დახედავდა. დნაც რომ გადასცდენოდა, აღბათ შიან ევრაფგის დააკვებდა მის „ფოლადას“ კექს. აღოს დედას მამოსაც უხარობდა ბესას სტუმრობა. მისი შემყურე ბავშვები იმ დღეს რიგინად სადილობდნენ. როცა ბესა კარგად გამოძლებოდა, გაქონილი სახელოთი შეზღილან ოფლს მოიწმენდა. მამაავით მოსწრებულ ცხვირზე გადაისვამდა ხელს და ამობხენებდა: ავაშენოთ, ღმერთმა! კახანია, ასე რიგინად არ დავნაყრებულვარ. შინ წავბრძანდებოდი, მაგრამ ძალზე გვიან არის, ისეთ გუნებაზე ვარ, მეშინია ცოლი არ შემომაყდეს ხელში. შემციოდეთ, გამათვიინეთ ღამე და დილას „მახმელაზე“ ათასნაირ კორს მოგიყვებით. — ბესა პასუხს არ დაელოდებოდა, და იქვე ბუბართან წამოგარდებოდა: — რას იზამ, იღბალი გქონათო.

ერთხელ რაღაცაზე გულობსულმა ანდრია მსულ პანდური ურტყა ბესას. მაგრამ ბესას ეს შეურაცხყოფა ანდნეზავ არ ზღუდია, კვლავ განავრძობდა სიარულს მის ოჯახში.

ბესა ერთხად სადილობის გამს აკიობავდა ანდრიას. ერთ დღეს, რატომღაც, დილით ეწვია ძალზე გალწილი. შინ არავინ დახვდა პატარა აღოს გარდა. — ერთ ოჯახში არყის ნაცვლად ნავთი მსვეს. ააშენის ღმერთმა მათი ოჯახი. გაოცებული ვარ, როგორ გამოეტეს, ნავთი ხომ გაცილებით უფრო ძვირი ღირს, ვიდრე არაყი. პაპიროსს ველარ ვეწევი. მეშინია მუცელში ცეცხლი არ გამიწნდეს. ზოიყო, იქნებ არაყი მომიტანო ნავთის გასაზვევლად — მასბრობდა ბესა. ბავშვს სიხარულისაგან სახე წამოეწითოდა, თითქოს რაღაც გაასკენდაო, სწრაფად მიფრებინა ბესას მკაი. ყველი, კიქა და ერთი ბოთლი არაყი. ბესამ წვიგარქელა დამეკნარა, ძარღვინს კისერი და სწრაფად შეუღლა ჭამას, ერთხანს უფრო კიქაში ჩამოსხმულ მოყვიოლო ფერის სიხეს, მერე ეჭვის თვალით ახედა მომღიმარ ბიჭს, ბოლოს ხელი ჩაიქნია და კიქა კიქას მიავიოლა. ამ დროს ეზოში შემოვიდა აღოს დედა, სტუმარს მიესალმა და უფროდ წამოიძახა: „ეს რა გიქნია, შე ეშმაკო! რას ასმევ სტუმარს?“...

ბესამ ყურები ცქიტა, სახე დაეღიმა, გულმოსული წამოხტა და თავქუდმოგულჯილი გავარდა ქიშკრიდან. იმ დღიდან ბესა აღარ გავა-

რება ანდრიას ოჯახს. ანდრიას უყვირდა: ნეტა რა კატა ვცა იმ ტყუილების ვედას, ასე რომ მომიტელო, მაშის არ უთქვამს მომხდარი ამბავი, ვაი თუ ბავშვი დასაქოსო.

ერთ წელიწადს დიდი მოსავალი მოვიდარაონში, ანდრიამ გადაწყვიტა ზედმეტი სიმინდი მდინარით ფოთში წაეღო გასაყიდად. მაგრამ ხობისწყალში, სიმინდით სავსე ნავი გადაუბრუნდა. იმ ადგილას უამრავი თევზი ვაჩნდა. მთელი სოფელი ანდრიას ლოცავდა. სოფლის განთქმულმა მელექსემ ევრემ კაცულამ ლექსიც კი გამოუგონა: „ნეტავი დამპყრიანა ხის მოკრახელი კავებით, — ჩვენი ანდრიას სიმინდით გასუქებული ღლავები“.

ხობი თავიდან მზიდროდ დასახლებული სოფელი ყოფილა. მას უმაზე ყოფდა მდინარე ხობისწყალი, რომელიც უშუალოდ შავ ზღვას ერთვის ყულევთან. ზღვიდან ამ მდინარით ხობი რად შემოდირდნენ პატარა აფრიანი ნავები. ეს ბავშვებისათვის დიდი სანახაობა იყო. იაღუნებს შორიდანე ამჩნევდნენ. დიდი თუ პატარა, ყველა წყლის პირს მიეშურებოდა. ნავები რამდენიმე დღე ჩერდებოდნენ ხორგის პირას, ევლსიის წინ, წაივებდნენ, კვლავ აფრას გაშლიდნენ და ნელნელა გაუდგებოდნენ გზას აღმა. ხობისაკენ.

ხორგა ყველაზე მდიდარ და სიმინდის უხვ-მოსავლიან ადგილად ითვლებოდა. მაგრამ ამ სიმდიდრესთან ერთად განთქმული იყო ჰაობებით. სადაც თუხბთებდა წვალი და ბუყბუყით გადმოდიოდა ნაპირზე. პაერში ნესტიანი, შავი მიწის ოხშივარი ტრიალებდა. სიცივისაგან კანკალებდნენ თეთრი აყაციის დამხრალი ტრატები. გარეული ოხვები ფრთების ყრუ ტლაშენითა და დაუოყებელი ევევიით მიაპობდნენ ნესტიან სივრცეს. ისმოდა არამქვეყნიერი ყივილი წერობისა. საყოღავე ქსქახებდნენ შაშვები. მოსავათებული ხმით კანკებდნენ ქათმები, დაქკოდნენ კვერცხის ოდენა კოლოვები. მოსახლეობის თითქმის ოთხმოცდაათი პროცენტი მღარიით იყო დაავადებული. ღამით ქარი მძლავრობდა და მიწიდან ატაცებულ მტვერს წისქვილის ბორბალისებო ატრიალებდა. შარავზეზე წყვდიადი იდგა. ისმოდა ძაღლების გამბული უშეილი და ჰაობთა კირსიფთალ — შწინაგულა ბაყაყების ხმაშეწყობილი სიმფონია. ამ დროს აღამიანს დიდი გაჭირება თუ გამოავდებდა გარეთ. ხორგაში მზეც სულ სხუანარი ამოდიოდა, — არა ჰქონდა მხურვალეობა და სიხობი.

„დღეღამე განუწყვეტელი
თქმითი, წყინით და კობითა —
საუენოვან ჰაობში
იძირებოდა კოლხიდა.

ღრუბლების მსგავსად მკაღნი
მზეს აბნელებდნენ დღეები,

ხალხს ჰკლავდა ციებ-ცხალებმა
და კანკალებდნენ ხეები. —

ბორის მიჩახვალავა

წერდა შემდგომ პოეტს *მედიკოსი* ეს სვედიანი ფიქრების გარდა არაფერს აღძრავდა ბავშვის გონებაში. ერთი ბუნებრივი სიცოცხლე, რომელიც გარს ევლო სოფელს, იყო მდინარე ხობისწყალი, ღრჭი და გამჭვირვალე, როგორც მოწმენდილი ცა, ჰქარი და შფოფიანი. ხობის წყალი საკმაოდ მჭრდილი მდინარე იყო. მისი განი ალაგალავ ასიოდ მეტრს აღწევდა. ზაფხულობით ეს მდინარე სასპორტო მოედანს წარმოადგენდა. ბავშვები ერთმანეთს ევიბრებოდნენ ვაღმა-ვაგომლა ცურვაში. ალიო გამაფული იყო ორლით (მკლავებით) ცურაობაში, მზოლოდ წყალში ყუენთეაში ჭობნიდნენ სხეები, რადგან წყლის შიში ჰქონდა. ერთხელ ჩაყურყუმალავებული ნაპირზე მიბმულ ტიუებს ქვეშ მოქცეულა და ამხანაგებს ძლიეს ამოუყუენით ვაგუდული და გონდაკარგული. ეს შიში ბოლომდე ვაყუა ალიოს. თემცა ოსტატურად ცურავდა, წყალში ჩაყენითეს შაინც ეშინოდა.

პატარა ალიოს ყველაზე ძალიან უხაროდა ტლო-ბიჭებთან ერთად მდინარის ნაპირზე თვეზაობა. რაცა მეცელვადმოტრიალებული, შოშეიბით პირდაბჩენილი თევზები მიწაზე ფართახლებდნენ, პატარების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ზოგჯერ ბავშვები თევზის ქერაში დამსვავ ათვდნენ. წყალში ანეცებს ჩაყრიდნენ, ცეცხლს გააჩაღებდნენ და უყუებოდნენ ერთმანეთს გაგონილსა და მონაქორ ამბებს. ალიოს ძაღზე მოსწონდა დღისგან მონაყოლი ვიანინის „კრაზანას“ თავგდასავალი.

ოთციკის ბრძანებით ესროლეს კრაზანას ჯარიოცკემა. კრაზანა კვლავ ფეხზე იდგა.

— ცუდად ისვრი, ძებბო! — შესაბა მან გამოთაყუანებული ჯარისკაცებს. — აბა, კარგად დამიმიზნეთ! ეცადეთ პირდაპირ გულში მესროლოთ!

აღტაცებული ალიო ხელებს იშვერდა გატაცებით, თითქოს კრაზანა თვითონ იყო, ხოლო ბავშვები ჯარისკაცები.

ერთხელ კოცონის მახლობლად ორი დამშეული მგელი გამოჩნდა. თვლებს საშინლად აბრიალებდნენ და ღამის წყვდიადს ანათებდნენ. ბავშვებს ეღიშებოდათ. მათ ზღაპრებიდან კარგად იცოდნენ, რომ მგლებს საშინლად ეშინოდათ ცეცხლისა, მაგრამ, წერას უყარავდა. ეს მგლები პირდაპირ ცეცხლისკენ მოიწვედნენ. ბავშვებმა ღრალი მორთეს. ძაღლებიც აყუენენ. მგლებმა ძენძელთა მიატოვეს იჭაურობა.

მომავალი პოეტი ზაფხულს დაედღეოთში, მთიან აბასთუმანში ატარებდა, რომელიც ხორგიდან ოცი კილომეტრით იყო დაშორებული. აბასთუმანის გზა მწვანით შემოსილ კლდიან ფერღობებზე გადიოდა. კრამიტ-შერეული



ქობები რაღაც სასწაულოთ იდგნენ ზედ პირ-
ტიტველა კლდეების პირას. ვაღმა ცეცხლი-
ვით მოლაპლაპე ცისკიდური მოჩანდა. ჭკემოთ
ლოდებს შუა ვერცხლისფერი ძაფივით ვაჭიმუ-
ლყო მდინარე. სადაც უხმოდ, ჩრდილებივით
დასრიალებდნენ თევზები. კლდეების შემდეგ
იწყებოდა მოვარდისფრო, ყვითელი ველი
მწყვენი მობიბინე ზალახი. აქ, მუდამ უახალს-
ჩამოფხატელი. სამ მეტრიანი კომბლით იდგა
ტანმორჩილი მწყემსი ძიკი კვარაცხელა. იგი
მწყემსავდა სოფლის მეცელდაბერილ, წვერებ-
ცანცარა თხებს, რომლებიც თავადებლივ და-
ამობდნენ ხასხასა მინდორზე და მაღიანად
ღვებდნენ ლორთქო ზალახს, როცა ძიკი წასე-
ლა დააბრუნებდა. იხმობდა წინამძღოლ თხას,
რომელსაც კისერზე ევები ება. იგი თავს გაა-
ჭნევდა, ევების ააფარუნებდა. ეს ნიშანი იყო
თხები კისრებს წაფრქვებდნენ და ენტრუმ-
ენტრუმით გამოედევნებოდნენ უკან.

აბასთუმნის გზაზე ალიოს ხშირად ჩაუვლია
ჩაღრმავებული ირმისათვის, საიდანაც ბოლ-
ქვაბოლქვა ამოდიოდა კვამლი. ამ ადგილს
გლეხები ჩამქრალ ველკანს ეძახდნენ. ერთხელ
შუგ ჩაეშვათ ვრძელ თოკზე გამობმული ცოც-
ხალი კატა და უკან მხოლოდ დაშვარი თოკი
ამოვლით. პატარა ალიო მიუახლოვდებოდა
თუ არა ორმოს, გზას ევირილად გაიჩრდნა
შინის დასაძლევად.

უჩრტნეულად და უღარფელად დარბოდა პა-
ტარა ალიო აბასთუმნის მიდამოებში, ტოლებ-
თან ერთად ერთობოდა ცხენებზე ჭირითით.

პირველ ხანებში ალიოს ძალზე უჭირდა
ცხენზე შეჭლიმა, ბევრჯერ ძირს ბერთივით
გაღმორდინდა კიდევ. შერე თანდთან გაიწა-
და და ხშირად მიაჭენებდა გასაფულ ცხენს
ზუგდიდისკენ, სადაც დეიდები ცხოვრობდნენ.

ლამაზი ბუნება, მთიდან მორაკრაც ნაკაფუ-
ლები, მტრალა ტირიფები, ერთმანეთს გადაჭ-
დობილი ცად აჭრილი ალუები და თელუები, ჩი-
ტებით აყრამულებული ტყეები ფანტაზიას
უღვიძებდა მეოცნებე ბავშვს.

კვირის საღიანით ალიო და დედის ბიძა ალექ-
სანდრე ნანადიროდ დადიოდნენ. თან დაჟაფ-
დათ ბებერი ძალი ვაჭირა. ალექსანდრე ტყე-
ში დროსტარების მეტს არაფერს აეთებდა, ჭამ-
და და სვამდა. პატარა ალიო კი დარბოდა და
ცელქობდა. სამაგიეროდ, ნანადირეც ბაზარში
ყიდლობდნენ ჩემად. ალექსანდრე მწყერებს
ჯერ ბავშვს ვადაკიდებდა მხარზე, შერე თე-
ოთნ ჩამოვიდებდა ქამარზე და ამაყად ჩიე-
ლიდა ხოლმე სოფლის შარავას, ხმაშალა
ლაპარაკით ხალხის ყურადღებას იქცევდა.
ბავშვს კი მოფერებით აურთხლებდა: არსად
არაფერი წამოგცდეს. ბოკო, თორემ ამ სოფელ-
ში არ დაკვდვარაფერაო.

ალექსანდრეს შინ უმარავი ნანადირევი მო-
ჭონდა. მშინ, როცა უფრო გამოცდილი მონა-

დირეები ზელმოცარული ბრუნდებოდნენ. არა-
ვინ იცოდა, რა იყო ამის მიზეზი.

ერთნი ამბობდნენ — **ილქსანდრე**
უწყავდნენ მონადირეცი — ჩვენ მთელი დღე
ტყეში დავხეტიალობთ და ნანადირევი ძლივს
მოგვაქვს, ის კი შეივლის ტყეში ბავშვთან ერ-
თად და შინ დატვირთული ბრუნდებო.

ილაპარაკეს, ილაპარაკეს და ბილის გადა-
წყვიტეს:

— მოდი, სანადიროდ რომ წავა, ორი კაცი
უკან ვავაყოლოთო. ასეც მოიქცნენ.

ალექსანდრე და ალიო კვარა დღეს სანადი-
როდ წავიდნენ, ოთი კაცი ჩემად აედევნა.
ტყეში დაიმლნენ და თვალთვალი დაუწყეს.
ალექსანდრემ იცოდა ეს ამბავი. წინა დღით
ბაზარში ნაყიდი მწყერები და ეურდლები
ბუნქებში ჭქონდა დამალული. იმ დღეს თვა-
ლისმოსაჩვენებლად ინადირეს და კვლავ ღი-
ლინით დაბრუნდნენ სახლში.

ადევნებულმა კაცებმა სოფელში ხმა დაარ-
ხიეს: ალექსანდრესთანა მონადირე ამ არე-
მარეში არ არისო. ყველას სურდა ალექსანდ-
რესთან ერთად ენადირა. მაგრამ ალექსანდრე
ინიზუხებდა, კოლექტიური ნადირობის მომზრე
არა ვარო.

შობლიურ ხორგაში დაბრუნებული ბავშვი
სამატკბილობით იგონებდა აბასთუმნის გატა-
რებულ დღეებს.

სალამო ემას, კედლის საათის გამბულ და
სეედისმოგვრელ წიქწიქში ბუხრის მახლობ-
ლად გაშლილ ტახტზე წამოწოლილ ბავშვებს
დედა უფროსებისადმი უსიტყვო მორჩილებას,
შინა და მოყრამლებას უნერგავდა:

„ბელში მონობა, შიში, კრალვა და ვაგონება,
მე ბავშვობაში, სხვა რა მჭონდა გასახარელი?
თავიდან დედა მინერგავდა ამ შთავცნებას,
დედა კეთილი. ღეთისმოსავი და საყვარელი! =
დედა ბავშვებს უყვებოდა აგრეთვე ზღაპრებს
ბავშაყდევებსა და მზეთუნახაეებზე. ბავშვების
ზღაპრებითა და ლექსებით გატაცებამ თავისი
ნაყოფი გამოიღო.

მაშო მირცხულავას თითქმის ყველა ბავშვი
ლექსებსა და მითხრობებს წერდა და სახლის
კედლები აჭრებულნი იყო მათი ნაწერებით,
საყვარელი დედის პატივსაცემად შემდგომ
ალიომ ფსევდონიმად მაშაშვილი დაირქვა და
დედას მრავალი ლექსიც მიუძღვნა:

„თი, გაცეკვი მშობლიურ სახლს
ყვარ-გათელილს,
ეზოც გაცვეთილ ხალიჩებით
არის ვაშლილი,
კვლავ დაბარუნობს
დედაჩემი სახენათელი,
დასდევს ხბოსა და...
ხბოც ენტრუმობს ბაღში ბავშვივით“.

ბავშვებს პოეზიის ინტერესი გაუღვიძრა აგრეთვე ბაბუამ, ნიკოლოზ მიტაცებულამ, რომელიც ხობის მონასტერში ბერად იყო აღკვეცილი და სოფელში განთქმული გახლდათ ბერძნულ-სპარსული ენების ცოდნითა და მწიგნობრული ნიჭით. მას მეგრულად ჰქონდა თარგმნილი სახარება, ლოცვები, საღმრთო ლიტონიები და აგრეთვე „ვეფხისტყაოსანი“. ნიკოლოზი შესახებად ძალზე ლამაზი და წარმოსადგები კაცი იყო: მალა, ახოვანი. მეგრულად ფართო თეთრ წვერებდავრილი ბიბლიურ კაცს მოჰყავდა, იგი ივანე ჭავჭავაძელთან მეგობრობასაც ჩემულობდა. ხობის მონასტერში თურმე მასთან მისულა ივანე ჭავჭავაძელი, გამოუკითხავს მონასტრის წარსული, მისი ვინაობაც — გენეოლოგიაც და უთქვამს: ვგარი მიტაცებულა „ვარსკვლავის შვილ ნიშნავს, მეგრულ სიტყვა „მურიცხი“ ქართულად ვარსკვლავია, „ვა“ — შვილი. თქვენი წინაპრები ვარსკვლავთ მრიცხველები ყოფილანო.

ნიკოლოზ მიტაცებულა ას ოცი წლის ასაკში გარდაიქცა და თავის შვილიშვილებში ყველაზე ძალიან მომავალი პოეტი უყვარდა. ბავშვი კი პირიქით, გატაცებული იყო თავისი ბიძაშვილი პილა მიტაცებულავით, ამით ამჟღავნდა კიდევ ამხანაგებში.

ბრვე ვაჟაკი, განთქმული მონადირე და მოჭირთე პილა მიტაცებულა ტყეში ფირალად იყო გაჭრილი და შიშის ზარს სცემდა ადგილობრივ მენშევიკთა მმართველობას. მისი შიშით ბევრასაც ვერ ახდევინებდნენ მოსახლეობას. არსენა ყანალიაო, ამბობდნენ ელეგები მასზე.

პილა ზმირი სტუმარი იყო ანდრიასი. მოვიდოდა შეღამეს, კარგად მოიღებდა, ბავშვებს ფირალების ეცაკეტურ თავგადასავალს მოუყვებოდა და შეზარბოშებული ფანდურზე დაამღერებდა:

დედავ, ნუ სჩივი, მამავ, ნუ სტირი.
მე მოვაშირე ქვეყანას ჭირი.
თოფი ვისროლე, ჰაერში გასკდა
და სართანია კედელს შიასკდა...

მენშევიკური პოლიციის უფროსის სართანის სისასტრე მთელ რაიონში მქონებოდა. პილამ მას ჯერ სახლი გადაუწვა, მერე თვითონაც მიჰყოლა გადაშფარ სახლს.

გამთენიისას, როცა მზე ავიდას გამოჰყვებოდა, პილა კვლავ ტყეს აფარებდა თავს, ბევრჯერ დაბობინებდა მისი დატყერა, მაგრამ ამოდენის გამბედა კარგი დღე არ გაუთენდა, ერთხელ შეღამისას, როცა პილა ანდრიასთან სადღეგრძელის სადღეგრძელოზე ამბობდა, პოლიციამ სახლს ალუა შემოარტყა. პილამ ათენიდან ისკუპა, შემოახტა თავის ცხენს და ისეთი საშიშერი ზმით დასკუივდა, რომ გაოცებული პო-

ლიციელები აქეთ-იქეთ გაიფანტნენ.

ალიო შეიდი წლისა იქნებოდა, როცა სოფლის ორქალასთან სასწავლებელში მოჰქონეს. სკოლა შუა ხორავაში იმყოფებოდა. სასწავლის კანცელარიასთან, სახლიდან ერთი კილომეტრის დაშორებით, მდინარის პირად, ქვის ბოკონებზე შემდგარ ხის უზარმაზარ შენობაში. ზამთარში სკოლაში ძნელი იყო შეყადინება: ციოდა, ფიცრის ღრიჭოში ქარი ჰქროდა, მოსწავლეები თვითონ შოულობდნენ სათბობს თავიანთი კლასებისათვის. შუშა შინიდან მოჰქონდათ, ფიჩხს ტყეში აგროვებდნენ. ზოგჯერ კეირაობით ფიჩხის გროვებში იყვნენ და გაუვითილები კი ცდებოდა.

ალიოსაც მოუტყრო სკოლის „ველიორუსულა“ რევიმმა.

კლასში ყველას რუსულად უნდა ელაპარაკა, რუსულადვე უნდა გამოთქვიათ თავიანთი აზრი. ბავშვებმა რუსული კარგად არ იცოდნენ და ქართული სიტყვა რომ არ წამოსცდნოდნენ, მუნქურად ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ქართული დალაპარაკებისათვის „უზაბედას“ ფირფიტა იყო შემოდებული. ვაი იმას, თუ ვინმეს ამ ნაღის ოდენა ფირფიტას ჩამოკიდებდნენ კისრზე! საღამომდე სკოლაში უსმელუქმელი უნდა ყოფილიყო. ასეთი სასჯელი რამდენჯერმე ალიოსაც ერგო. დიდი ხეყნავედების შემდეგ დედას ზმირად დაუხსნია ბავშვი „ტყელობიდან“.

სკოლაში გამწვანებული იყო უაზრო ზეპირობა. მოწაფეებს აძებლებდნენ ყველაფერი დაეწვიათ სიტყვა-სიტყვით. უმნიარსოდ დაბუნებრივია, რომ დაზეპირებულის აზრი მათ სრულიად არ ესმოდათ. სწავლისა და აღზრდის ვაერცელებულ მეთოდად ბავშვების ფიციურ დასჯა ითვლებოდა. ზოგიერთი მასწავლებელი მერტად დაოსტატებული იყო ასეთ „აღზრდაში“. ჩაადრინდებოდა მოწაფეს, ორივე უფრით მალა ასწევდა და იმდენხანსაც ეჭირა, სანამ საწყალ ბავშვს გუგებიდან თვლები არ გადმოეკარკებოდა და ადღევილი უფრით დან სისხლი ყელთან არ გაენასკებოდა.

ალიო კლასში პირველ მოწაფედ ითვლებოდა. მას მასწავლებლის უფრის აწევა არ ახლავს, განსაკუთრებით ბეკითად სწავლობდა მათემატიკას, მართლწერას, გრაფიკას და ხატვას. არ უყვარდა „საღმრთო სჯული“. ამ საგანს სოფლის მღვდელი, ვინმე კინტირი კირკველია ასწავლიდა, რომელსაც მოწაფეები კინტირია ბერს ეძახდნენ. კინტირიას ელაში, ბოროტი თვლები, ორონიელი საზე, თამბაკოს წყისაგან გაუვითლებული ქერა ელვაშები და ინიო შედებილი, თხსავით ჩამოფშეკლი წვერები ჰქონდა გულზე უზარმაზარი ჭვარი ეკიდა, რომელიც ქიბამდე სწვდებოდა. იგი სოფელ ქირიატაში ცხოვრობდა, სკოლიდან ერთი კილო-

მეტრის დამორებით. სკოლაში მუდამ ყოჩხვე შემჭდარი დადიოდა. დარში თუ აედარში მუდამ ნაბადი ეხერა, თუმცა მღვდელი და ნაბადი უცნაური შეხამება იყო მაშინ.

ეს მღვდელი ყველაზე უფრო და მკაცრი იყო მასწავლებელთა შორის. იგი სცემდა მოსწავლეებს, როცა არ მოეწონებოდა მათი პასუხი. ზოგჯერ ნაალებდა ხელს ბავშვს საუფლოში, ისე დაარტყმევინებდა თავს მერხზე, რომ კოპები დაჟდებოდათ. მისი გაცვეთილის დროს ხშირად მოისმობდა ბავშვების წივილ-კივილი.

ალიოს კარგი მახსოვრობა ჰქონდა, ადვილად იხსოვებდა თვით საძლეველ საღმრთო სქელსაც. მაგრამ კინტირია ბერი მაინც სძულდა, თუმცა იგი მუდამ ხუთიანებს უწერდა. იმბრომ სძულდა, რომ არ სჯეროდა მისი საეკლესიო არაკეთი.

როგორ შეიძლება ასე მკაცრად რომ ექცევიოთ მოსწავლეებს! — უახრბა ერთხელ დირექტორმა თათბირზე მასწავლებლებს. ყველანი თავჩაქინდრულნი დემდნენ.

— არ უნდა იყოლიონ ბიჭები. მთელი სისაძაგლის სათავენი ისინი არიან. იღრეპებოდა კინტირია ბერი.

ერთხელ ამ არაკაცის ქორის საქციელმა მთელი სოფელი ალაპარაკა. კინტირია ბერი ყოველ დღით სკოლაში შემოვიდოდა, ქორს თოკით ხეზე მიბამდა და ზედ თავის გაცვეთილ ნაბადს გადაფარებდა. ერთხელ, როცა კინტირია ბერი გაცვეთილს ხსნიდა, ქორმა აიწვევტა და ნაბადიანად გზას გაუდგა. მღვდელს მთელი ლოცვები აერია ერთმანეთში და სასწრაფოდ დადივნა ფეხმარჯვე ბიჭებს. „არჩქა, მავ პატრონბადლი უკანვე დაბრუნეთო“.

გზაში გლეხებმა ბავშვებს უთხრეს: კინტირიას ქორი ნაბადიანად მისივე ეზოში დაკუნტრტუშობსო. ბიჭები გაფრთხდნენ ბერის უხოსაქენ. შეცვიდნენ შიგ და ქორს „აღუა“ შემოარტყეს. მაგრამ ქორმა ტლინკების სროლა დაიწყო და ახლოს არაფერ მიიკარა, არც მოფერებამ გასტრა და არც მტქარამ. უკან დაბრუნებულმა ბავშვებმა პატრონს მოახსენეს ქორის გაქიუტების ამბავი. ბერი გაბრაზდა, ერთი რიგინად შეიკურთხა და ჩქარი ნაბიჯით გასწია შინისაკენ. სოფელში მას შემდეგ თუ ვინმე გაჭიუტრდებოდა, ამბობდნენ: კინტირიას ყოჩხვე შემჭდარო. სოფელში იმასაც ამბობდნენ: კინტირიას მეუღლე რომ გარდაეცეალა, არავისთვის არ შეუტუტობინებია, ჩემბად, უცუბოვოდ დამარხა ესოში, წუწურაქი ხარჯს მოერთიდაო. ეს რომ ცოლის დებს შეუტუტვიათ, ისე უცემიათ, ძვალრბილი გაუერთთანინებიათ. ორი კვირის შემდეგ ძლივს მოსელა გონს კინტირია, ამა, ამ ამბის შემდეგ ვინ ჩათუღიდა კაცად ქალაჩუნას და ისიც იძულებული გამხდარა მღვდლად კურთხეულიყო. რაიმეზე გაკაპანებული ქალი თუ შევიდოდა ეკლესიაში სალოცავად, კინტირია

შეშისაგან ცახცახებდა, სახე სიმწრისაგან უწითლდებოდა და თავისი ყოჩივით ერთ ადგილას ეტრტუშობდა თუჯნარდაცემულნი. სწამს, მისი ნაბადი ზნე სჭირდა „ნიორსთავის“ მინდორებზე ხატვის მასწავლებელს ნესტორას. „ნიორსთავა“ მოსწავლეებისაგან უსიტყუო მორბილებას მოითხოვდა, ხოლო უფროსების წინაშე მღვდენულერად იხრიდა კედს და პირტუტყვივით იბნეოდა. მას ზამთარ-ზაფხულ ქოლგა ეჭირა ხელში: ზაფხულში მზე ვერ გაამთფუტებს კოსტუმს, ზამთარში კი წვიმაო. ერთ დღეს მართლაც სამინელი წვიმა წამოვიდა, მაგრამ „ნიორსთავას“ ქოლგა ეიღაცას გაეჭრო. აზღუქუნდა ნესტორა, ვაიმე კოსტუმოო. მას შემდეგ ორიაწზე უყეთესი ნაშანი არავისთვის არ დაუწერია. ბავშვებმაც სამაგიერო გადაუსადეს. ძროხის თავის ქალა შავად შეღებულ, შიგ ანთებული სანთლები ჩააწყეს და შუა ღამით „ნიორსთავას“ ფანჯარაზე შემოდეს. საცოდავმა ნესტორამ იმდამეს შიშით კინაღამ საიჭიოში ამოყო თავი და ორიაწების წერასაც გადაეხვია.

ყველაზე კარგი და კეთილი, ბუნებით ღმობიერი მასწავლებელი ნესტორა ქითავა იყო. იგი რუსულ ენას მსწავლიდა ბავშვებს. დიდი ზალისიანი კაცო იყო ნესტორა: ოხუნჯო, შაირების და მტყმელი და მეზობარე.

ალიო და მისი და დორა ერთ გჯუფში სწავლობდნენ, ერთ მერხზე ისხდნენ. მოსწავლეებს არ ყოფნიდათ რვეულები, ფანქრები, სხელმძღვანელოებიც ცოტა იბეჭდებოდა ანბანი ძლივს მოულობდა თითო წიგნს. ამიტომ ხშირად ჩხუბობდა დაძმა. ალიო ამერებოდა ხოლმე ქადრის ხეზე, აიტანდა წიგნებს, როცა კარგა შეისწავლიდა საგანს შემდეგ ჩამოუყრიდა აცრემლებულ დას.

ერთხელ ალიოს დას დაეკარგა ნათხოვარი წიგნი, დორა მიხვდა, რომ წიგნს ალიოს გარდა ხელს არავინ ახლებდა. ბევრი ეძება ძმა, მაგრამ ვერსად მონახა. დაღამდა. შემოფოთდნენ ოჯახში. არ იცოდნენ რა ექნათ. დიდი და პატარა ყველა სამებრად გამოვიდა. ბოლოს უფროსმა ძმამ კაცომ შეამჩნია ხეზე მჭდარი ალიო, ბავშვს ხელში წიგნი ეჭირა და ჩანძინებოდა.

პატარა ალიოზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება სოფელში ჩამოსულმა მსახიობებისაგან შემდგარმა დასმა მოახდინა. ეს შთაბეჭდილება ისეთი ძლიერი იყო, რომ ალიომ თანატოლ ბავშვებთან ერთად საბავშვო წარმოდგენების დადგმა დაიწყო.

ალიო ჩასკენილი ბიჭუნა იყო, ცისფერთვალემა, ქერათმიანი. მალაო შეტბლი და მომზიბლავი ღლიობი საამო იერს აძლევდა, მასწავლებლებს ძალზე უყვარდათ ეს შრომამოყვარე გონებამახვილი ბავშვი. ტოლ-ამხანაგებშიც დიდი სიყვარული ჰქონდა დამსახურებულა, პირველობას არავის უთმობდა. როგორც



კრებს წიწილები, ისე ეხვეოდნენ და დასდევდნენ თანატოლები. იგი იყო მეთი წინამძღოლი, ყოველგვარი თამაშის წამომწყებმა: ბერატისა, „რიცხვადობისა“, „ლაზისა“. პატარა ალიო განსაკუთრებით დაოსტატებული იყო შვილიდისა და „თავზანტიას“ გათლაში. „თავზანტიას“ ლერწმისგან გაკეთებულ იარაღს ეძახდნენ, რომელსაც რკოს ტყვიებით ტენიდნენ, შემდეგ ზუმპის საშვალეებით ისროდნენ და ისეთი საშინელი ხმა ჰქონდა, გასროლილი „ტყვია“ ისეთი ძლიერი იყო, რომ კამეჩხესაც აფუცხუნებდა. უხმო იარაღთაგან განთქმული იყო შურდული. მაგრამ რეზინის შოვნა ძალზე ჰქონდა, სამაგიეროდ, შურდულით გასროლილი ჰქა მიზანს იშვითად ასცდებოდა. ერთხელ ალიოს მიერ შურდულით ნასროლი ჰქა სწორედ იმ პოლიციელს მოხვდა ხალხს უყვალზე ძალიან რომ ეჯავრებოდა. ამ ჰქამ პოლიციელი ცალი თვალთა დაბრმავდა. მეორე დღეს მთელმა სოფელმა შეიტყო ეს ამბავი. ამართლებდნენ ბავშვს, ექომაგებოდნენ, ალიო კი ერთი თვის მანძილზე ტყეში იმალებოდა პილა მიტყულავასთან.

ანდრომ, რაც ძვირფასი რამ გაინდა, უყვალფერი გაყიდა, თვალდავისლი პოლიციელი ფულით მოხიბლა და ბავშვიც დასჯას გადაუარა.

ზამთარში ალიოს უყვარდა რაგვის დაგება. რაგვზე გამოაბამდა გრძელ თოკს და ჰქობას კარებიდან ბელურებს უთვალთვალებდა. როდესაც ბელურები გოგმანით შევიდოდნენ რაგვის საყენის ასაყენად, ალიო უეცრად თოკით რაგვს გამოაცლდა. რაგვი, უეთ რომ ვთქვათ კარი, ზამბარასათი თავს დაეცემოდა დამფრთხალ ჩიტებს. ამგვარი ნადირობა დიდი სიხარულის მომგვრელი იყო ბავშვისათვის. ალიოს ეხერხებოდა აგრეთვე ეტლებისა და „დილიანების“ ყეობა. შემდეგ შიგ ცხენების ნაცვალად ბავშვები შეებზებოდნენ და ჰქაწით დიდხანს დაჰქროდნენ სოფლის მტკრიან გზებზე.

ბობის ორკლასიანი სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ალიოს გზა გაეხსნა. მას რომელიც ვნებათ სასწავლებელში შეეძლო მოწყობა, მაგრამ მამა წინააღმდეგი იყო. მას სურდა ბავშვი საქმის კაცად გამოეყვანა. დედას, პირიქით, სურდა ბავშვებს საფუძვლიანი განათლება მიეღოთ. ასეც მოხდა. ყოველ მათგანს უმაღლესი დამათავრებინა.

ერთხელ ანდროს წამოსკდა, სენაის ფოსტის გამგეს ესტატე ბერაიას ჩემი ფული მართებნო. პატარა ალიოს მთელი დამე თვალი არ მიუხუტვის, მეორე დღეს დილა უთენია და დედა სენაის გზას, ესტატე ბერაიას ფული გამოართვა: „მამამ გამოიყვანია“ და შშობლების დაუქობადად სასწავლებლად ფთოში გაიპარა:

„დედაც, მოწყენით შეკასთან მიტერ, მე კი მიყვები ელამტრო ზოძებს“.

ფიქრობდა გზას მიმავალი ბავშვი. ალიომ ჩააბარა გამოცდები, საქალაქო სასწავლებელში მოეწყო და დიდი მონღომებით შეუდგა სწავლას. მან სკოლის მერხიდანვე გადაწყვიტა საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანი გამოსულიყო.

ფთოთს სასწავლებელში მთავარი ყურადღება ექცეოდა რეალურ, ანუ საბუნებისმეტყველო და მათემატიკურ საგნებს. ეს საგნები ფართო პროგრამით ისწავლებოდა. სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარებდა. სასკოლო რეჟიმი, ისე როგორც სხვა სასწავლებლებში, აქაც მკაცრი და რუსიფიკატორული იყო. საქმარისი იყო უმწიშველო დანაშაულის ჩადენა, რომ ბავშვი სასწავლებლად გამოსთხოვებოდა სასწავლებელს. სასწავლებლის დირექტორი იყო ჰქრისტესავით მუდამ წვერებშიმეხვეული, მეტრისმეტად უხეში კაცი, გვირად პოპოვი. მის სახეზე დიმილი არავის უნახავს. მისი შიშით ბავშვები დერეფანში ფეხაკრეფით დადიოდნენ. თუ მოწიფე თვალში არ მოუვლიდა, ისე უბწყენდა, რომ თვალეზილად ნაქერწყლებს წამოაყრებუნებდა.

დირექტორის უნებართოდ ბავშვებს არაფრის უფლება არ ჰქონდათ.

ფთოში, დიდი ტაძრის პარლამირ, მამინდელ პირობაზე ერთი პატარა კონოდაბაზი იყო, ერთხელ ალიო და რამდენიმე მოსწავლე გაიპარნენ. კონოს დამთავრების შემდეგ, როცა დარბაზი განათდა, კარებთან დაინახეს ვანრისხებული პოპოვი. ბავშვები დაიბნენ, მაგრამ შემდეგ მოიღიქრეს და უყანა კარიდან გაიპარნენ.

მეორე დღეს სასწავლებელში გამოკრული იყო ბრძანება კონოში ყოფი ბავშვების ვარიცხვის შესახებ. ორი კვირა დახეტიალობდნენ ქუჩაში მოწყალები. ბოლოს, როგორც იქნა, მრისხანე დირექტორი დაშოშმინდა და ბავშვებიც სასწავლებელს დაუბრუნდნენ.

ალიო გაკეთილზე მუდამ ჩემად იქდა, თავით ხელზედაყრდნობილი და მასწავლებლებში ზოგჯერ ვერც კი ამჩნევდნენ ბავშვს. მაგრამ გაკეთილი რომ გეკითხათ, მუდამ იცლდა ალიო თავიდანვე ბეჯითად მეცადინეობდა და ეკასიდან კლასში წარმატებით გადადიოდა. მომავალი პოეტა, სავალდებულო საგნებს გარდა, ხარბად დაეწყო რუსულსა და უცხოურ ლიტერატურას.

ალიოს ბერძნულ ენას ნიკიტა სომოვი ასწავლიდა. სომოვი ჩია კაცი იყო, უღამაზო, რკინისარჩიოანი სათვალე ეკეთა, წაწვეტილ მელოტ თავს წამდაუქმე აქანტურებდა. სამაგიეროდ, უღამაზეი მიუღლო ჰყავდა — გამოჩნდებოდა თუ არა ქუჩაში, მამაკაცები ჩერდებოდნენ, იზიბლებოდნენ მისი ვასაოცარი სიღამაზით და ტანის სინარჩართ. გაკეთილბე-

ზეც კი სულ იმ ქალზე იყო ლაპარაკი და სტრჩული:

— როგორ ჰყოცნის ისეთ ლამაზ ქალს ეს თავყანკარა?

— ალბათ თოკით იბამს თავს!

— ზოგი მოწაფე ბეჭითად ამტყიცებდა, მისი თავის გაბერება თოკით კი არა, დაზვითაც არ შეიძლებაო. ამაზე წვეფში ერთი სიცილი-ხარხარი იყო, სომოვი დღემდა. გაკეთილის და მთავრების შემდეგ კი რამდენიმე ორიანს ჩამოამწროვებდა ხოლმე დღიერში.

მოწაფეებს მასხრად ჰყავდათ აგდებული ეს მასწავლებელი. ხშირად ჯიბეში ეწვევს უყაროდნენ, იქნებ დამძიმდესო. ნიკიტა ვითომდა ვერც ამჩნევდა ამას.

ერთ დღეს, სიმოვი გაკეთილზე რომ შევიდა, მოწაფეების ნაცულად რამდენიმე ქოფაკი ძალი დახვდა ღრენით. ხმა არ ამოუღია. სანამ ზარი არ დაირეკა, კლასიდან არ გამოსულა. მეორე დღეს მოსწავლეები მასწავლებელს დამაბული დახვდნენ. ეგონათ, ნიკიტა დიდ „სენადალს“ ასტებდა და დირექტორთან დასამყენდა შათ.

მაგრამ ყველასდამოულოდნელად სომოვმა წმინდა ქართული ენით მიმართა ბავშვებს: ბერძნები უძველესი კულტურის ხალხია. მათი ენის ცოდნა ცხოვრებაში გამოგადგებათ. თორემ მე ოთხი ენა ვიცი ზედმიწევნით და ისიც საკმარისია ჩემთვის. რაც შეეხება იმას, თუ რა მინდა აქ, გეტყვით: ჩემს ლამაზ მეუღლეს ავი ზნე-ბნედა რომ არ სჭირდეს, სამხრეთში არ წამოვიდოდით და თქვენი მოსაბეზრებელი მასწავლებელიც არ გახვდებოდით. ქართულმა შეგობრებმა მიჩივის: ბნედის უეზარი წაშლი ზღვის ჰაერს და მზის სხივებიაო. მე თქვენიც უზომო მადლობელი ვარ, ზღვის აქწებით რომ მამარავებთ.

სორცხელისაგან ბავშვებს სახეები დაუწითლდათ, არ იცოდნენ რა ექნათ. იმ დღას შემდეგ არცერთი ორიანი არ დაწერილა კლასში. მოსწავლეებმა სწავლას უშატეს და შეიფარეს განათლებული და კეთილშობილი ბერძნულის მასწავლებელი.

სასწავლებელში, დიდი შესვენების დროს, ბავშვები ეზოში ერთობოდნენ, ლატობდნენ. იყო ერთი ღრიალი და აყალბაყალი. დაბალ კლასებიდან ჰიდაობაში ჩასკვნილი ალიო გამოირჩეოდა. პანტაბუნტო ახეთქებდა ბავშვებს ძირს.

— ალიომ წააქცია! — უვიროდნენ ერთნი.

— არა ბეჭით არ დაუყარავს! — ცხარობდნენ მეორენი.

ყოველი მხარე თავის ფალავანს აქებდა. ბოლოს ჰიდაობაში მოზრდილები ჩაებმებოდნენ და ეს სანახაობა მუშტი-კრივის ასპარეზად იქცეოდა ხოლმე.

მაშინდელი ფოთი განთქმული იყო აეთვისე-

ბიანი მალარიით. ეს სულ ჩამტკბებულ იყო. ელვა ფხტეწადა სიბნელესა და ქარი ვრევენბოდა სახლის კედლებს. სახურავიდან და აფენბიდან ქვაფენილზე საფხტეწო ტკაცუნობდა წვიმის წვეთები. ზეს მოწვევითი თეთრბ ფოთლები მტრედებოთ დაქროდნენ ქარში.

„ბუღეც... ბარტყებიც სულ გაწყვეტილან, გაქირვებული კუივის მერცხალი.“

ზის ქანდარაზე, გულდაწყვეტილად კუივის, ცრემლი სდის, ვით ნაბერწყალი!

ქარიან, წვიმიან ამინდში, რაც წელიწადში ორასი დღე იყოდა ფოთში, ალიოს ხშირად ფეხბიშველა უხდებოდა სიარული ჰაობიან წყალში ბინიდან სასწავლებლამდე:

„შე დავიბადე ქარში თარეშით, დრო მახურავდა დარდებს ცრემლიანს და გლობუსებად გაშლილ თვალეში რამდენი ღამე წამოქცევია.“

ჰაბუცი ალიო ხშირად ჩადიქრებული გაყუბრებდა ზღვას. ფაფარაყრილი ტალღები მრისხანედ ეხუტებოდნენ ნაპირს, რომელიც დაფარული იყო შავი, მახუთიანი ქვიშით და ამავე ფერის ნივარებით.

ქალაქი ადრე იღვიბებდა. იყო ყაყანი და ჰიკუინი. პორტში მილეთის ხალხი ირეოდა, თედაუზოგვად ვაჭრობდნენ და კინკლაობდნენ.

ქუჩებში დაფდაფებისა და დოლების ბრახუნით დადიოდნენ მენშევიეების მოკაშირე ვარების ნაწილები. უკან დიდი ამბით მოსდევდნენ ტანსაცმელჩამოფლული ბავშვები.

ღამით პორტში სიჩუმე ისადგურებდა. გემებზე სინათლე ქრებოდა. სამაგიეროდ, ზღვის პირას, თითქოს სულს დაფავერო, დიღამდე ისე ლიციციებდნენ ნიარფერადი ნათურები. აქ მრავლად იყო ბანქოს სათამაშო დარბები, საეკეო კაფეები, მეძავეთა სახლები, სადაც ლოთობდნენ და გარყვნილობას ეწეოდნენ მუხლუბრები და ქარსკაცება. მოწყალეების მოლოდინში, ამ სახლების წინ გათენებამდე იდგნენ მათხოვრები.

ფოთის საქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მშობლებმა ალიო ზუგდიდის ქალ-ვაჟთა გიმნაზიაში შეიყვანეს. გიმნაზიის დირექტორი იმდროისათვის ფრიად განათლებული და ნასწავლი კაცი მეტი კობახიძე იყო — გამომჩნილი მსახიობის პიერ კობახიძის შიძა.

ალიო ბიძის თეოფილე კალანდარიას სახლში ცხოვრობდა. ამავე სახლში ერთი ოთახი ეკავა თეოფილეს ნათესავს, ზუგდიდის მხრობს ყოფილ უფროსს შიზა საყაიას. უცნაური და თა-

ვისებური კაცო იყო ეს საჯარო მსხვილი და ტანდაბალი, ჩქარი და ფიცხი; კარგად იცოდა რუსული ლიტერატურა. მაშინ მენშევიკების ხანა იყო და ჩინ-მედლებმაშორთმეული მიხა საჯარო ექვლიობას ეწეოდა. მეტად სამართლიანი კაცო იყო, საქმეებს მუდამ საფუძვლიანად ეცნობოდა და სასამართლოში ხშირად გამარჯვებული გამოდიოდა. თუმცა მოსამართლეები მაინც სძულდა, ავაზაკებსა და მეჭრთამეებს ეძახდა. მიხას მოსწონდა ალიოს კალიგრაფია და ხშირად აწერიებდა განცხადებებს რუსულად. მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა — ჭერამდე მიღვმული კარადა გაკვილი იყო შექსპირის, შოლერის, შელის, პუშკინის, ლერმონტოვის, ტურგენევის, ტოლსტოის წიგნებითა და იურიდიული ლიტერატურით. ალიო სარგებლობდა ამ ბიბლიოთეკით. განსაკუთრებით უყვარდა შოლერი. რამდენიმე კომედიაც თარგმნა. ერთხელ მიხას გაანდო თავისი გულისხანადი და მორიდებით წაუკითხა ერთი მეტისმეტად გრძელი ლექსი, რომელიც ჰაინეს „სიხშირის“ გავლენით იყო დაწერილი. მიხას ლექსი მოეწონა და უთხრა: აქ შეწერალო ლეო ქიანელი ცხოვრების და ზედა იმასთან მიგვიყვანო. მართლაც, მეორე დღეს წავიდნენ ქალაქში. ბაღში რომ შევიდნენ, მიხამ ბავშვს ხელი მოჰხვია — აი, ბებიო თუ ვინდა, სწორედ ეს არისო და სკამზე ჩამოქდარი ჭერა კაცზე მიუთითა, რომელიც რამდენიმე კაცს რაღაცაზე ესაუბრებოდა. ეს არის შეწერალო ფეო ქიანელი, ახლაც მიგვიყვან და გავაცნობო. მაგრამ ალიო გაციუნტდა, ლექსი შეაჩენა ხელში და გაიქცა. ბავშვი შორიდან უთვალთვალებდა, როგორ მიუდოდა მიხა ქიანელთან. მიხამ და ლეომ საუბარი გააბეს, ალიომ იცადა, იცადა და ბოლოს შინ დაბრუნდა. გულისფანქვალთ უცდიდა მიხას. მიხა შუაღამეს მოვიდა ნასვამი. — ჰაი, შე გლახაკო. რად გამეჭვეო, ლეოს ლექსი ძალიან მოეწონა და შენი ვაცნობა უნდოდა.

მიხამ უბიდან ლექსი ამოიღო და ბავშვს გადასცა: — შემოგივალა, წერა განავრძოს და კარგი პოეტი დადგებო. ალიოს თვალში ერთიორად გაიზარდა უოფილო მარხის უფროსი.

მაინც უცნაური კაცო იყო მიხა. სამოც წელს მიღწეულს ერთი თვითი არ ერია, რაც დრო გადიოდა, უფრო უშავდებოდა თმა და წვერი. ერთხელ ალიო პირის პარსეის დროს შემოხვევით თავს წაადგა მიხას. მიხამ მაშინვე რაღაც რაღაცეები გადამალა და ბავშვს დაუცაცხანა. მოშორდი, ბიჭო, აქედან. ვერ ხედავ წერის ვიპარასეო!

ამ დროს ალიომ შეამჩნია გაშავებული კბილის ჭაჭრისი. რომლის დამალვა მიხამ ვერ მოასწრო. გაირკვა, თერმე მიხა წვერ-ულვაშს იღებოდა.

ხშირად მიხა ჩაეტყავდა კარებს, გადაიცივ-

და თავის ჩინ-მედლებთან კიტელს და სულამოდეუ საარკის წინ დასერიონებდა კონტაქტზე. ასეთი უცნაურობა სკიპრდა ამ კაცს. ალიომ ზუგდიდის გიმნაზიაში მხოლოდ ერთი წელი დაჰყო და ფოთის ქალ-ვაფთა გიმნაზიაში გადავიდა.

გიმნაზიის დირექტორის სერგი დანელიას მთელ ქალაქში მკაცრი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. სახე მართლაც მკაცრი უნანდა. მაგრამ მისი მეტყველი თვალები აქარწყლებდა ამ სიმკაცრეს. მალე სერგი დანელია მიხელი კინწურაშვილმა შეცვალა — „ისამანის“ გვართო ცნობილმა შეწერალმა. ამ დიდებული პედაგოგის მეშვეობით ახალგაზრდობა, მთო შორის ალიო, საფუძვლიანად ეცნობოდა პროგრესულ ლიტერატურას. მიხელი მოსწავლეების სულეერი მეგობარი და ქომავი იყო. ეს კეთილშობილი პიროვნება თავდადებული გამოეჭომა გა ალიოს, როცა მისი დასჯა ვადაწვევრტეს ნოე ფორდანიანზე იუმორისტული ლექსის დაწერისათვის.

ხალისიანი, სიცოცხლით სავე ალიო ყველას უყვარდა გიმნაზიაში. მას ლომონოსოვს ეძახდნენ. — მათემატიკა ლომონოსოვა ამოხსნა. — სატრფიალო ლექსებს მხოლოდ ლომონოსოვი წერს. — მენშევიკების ლიდერებზე ფელეტონებსაც ლომონოსოვი ივინებს — წამდა-უწეშ ჩურჩულებდნენ გიმნაზიელები.

ალიო მიტცხელავას პოეტური ინტერესი მაშინ უფრო გაძლიერდა, როცა არალეგალურ კომკავშირულ მუშაობაში ჩაება.

„აქ შემასწავლეს ბედთან ბრძოლა ავღრიან ქარში, რკინის ბრძანების შესრულება აქ დამავალეს“.

1920 წლის 28 აპრილს, 17 წლის ალიო მიტცხელავას ამღვეენ სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის მანდატს № 59844.

პოეტის არალეგალურ კომკავშირულ მუშაობაში გზის გაშვალევი იყო ამავე გიმნაზიის უფროსი კლასის მოსწავლე ვანო დონაძე მას გიმნაზიელთა შორის დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი.

ალიოს კომკავშირული იდეების პროპაგანდა ხშირად უხდებოდა ფოთის ტაძრის მაღალი კბეუბიდან და სიტყვას მუდამ იმ დროს კომკავშირელთა შორის გავრცელებული რევოლუციური ლექსით ამთავრებდა:

«Вперед, заре навстречу
Товарищи в борьбе!
Штыками и картечью
Проложим путь себе,

Смелей вперед и тверже шаг
И выше юношеский стяг!
Мы молодая — Гвардия
Рабочих и крестьян!».

ალიო ვიმნახიაში დაეწადა რევოლუციონერთა იმ მცირერიცხოვანი წიგნების კითხვას, რომელთა შორის იშვიათად, მაგრამ მაინც ახერხებდა.

ალსანიშნავია დედის წერილი გამოგზავნილი ალიოსადმი:

„შვილო, ალიო! აქ ჩამოსულმა შელემ თქვა, რომ შენ რაღაც კომკავშირლობ და ამ მთავრობას დასკინი. ნუ, შვილო, დედა გენაცუალოს. ხიფათს არ გადაეყარო. ვანა შენ შეძლებ ამ ელხან ქვეყნის გასწორებას? მამაშენი გადარეულია. — უყურეთ ერთი ამ თითის სიგრძე ღლამპაკ დამიწყო ბოლშევიკობაო. ვაავონე, შვილო, ჩემი. ჭკვიანად იყავი. არ დამღუპო. დანარჩენს არ დადევებზე რომ ჩამოხვალ, მაშინ გეტყვი“.

ჭაბუკი პოეტი ხშირად ივანებდა თავის კუთხეს, თავის კარმიდამოს.

„უზოში ჩემი ოდაა, დაუღლებული, ხნიერი, სახლ-კარი მამისეული და მამაპაპის მიერი, მაინც ვამძლე და ძლიერი, მაინც კოლბური იერიო.“

მას ახსოვს ჩემი ბავშვობა, მშვიდობაჲ ადრე ეუთხარი.

ბუნბას აბოლებს და ფიჭვი წვეს გულის დასათუთქარი,

ეკეილი ვემოსკეია, როგორც საფუტკრეს ფუტკარი.

ჩქარია ჩემი მდინარეც, და ცისარტყელას ფერიო,

ლაღად მიმოტრის ნიაეი, — შავზღვიდან მონაბერიო,

და სოფლის ქალწულებიეით, წყლისპირ ლერწმები მღერიან...“

ალიო არ დადევებზე ხშირად ჩადიოდა სოფელში. მოწინავე იდებოთ გამსჭვალული, საკმაოდ გათვითნობიერებული ახალგაზრდა ვიმნახიელი სასურველი სტუმარი იყო სოფლად. იგი მცირე ფორმის საკეთარი პიესებს სვამდა და თეათონაც მონაწილეობდა მასში. ანდრიმ, როცა შეიღის მსახიობობას მოკრა ყური, ძალზე გაბრუნდა ერთი კვირა გაგრძელდა შერიგებაზე მოლაპარაკება მამაშვილს შორის. შუამავალი დედა იყო.

ანდრისათვის ახალგაზრდობაში ეღალატა ეილაე მსახიობ ქალს და მას შემდეგ ეყარებოდა მსახიობობაც და თეატრიც. ისე მოკვდა, რომ თეატრში ფეხი არ შეუღდავს.

ალიო მირცხულავა ხშირად იხსენებდა

ერმოზისდროინდელ ამბებს: „და, როდესაც კოლხაის, დენიკინის და მანარტისკენ — ინგლისის, საფრანგეთის და ბერძნულ-სლავთ-ცხებელი და სისხლისაგან დაკული ქარები უკან იხედდნენ, ერთი ნაწილი ამ უცხოელი ქარებისა ჩვენ სოფელში დაბანაკდა. სწორედ ჩემს უზოში იდგა ერთ-ერთი მათი უზარმაზარი ქვემეხი. მე ვარ მოწვე სოფლად ინტერვენტოა ქარის თავზედური მოქმედებისა, რასაც გვლებთ აღმფოთება მოსდევდა. ერთ დღეს აქანებულმა გლეხებმა, რომელშიც კომკავშირელებიც ემონაწილეობდით. ინტერვენტები გაუდევნეთ სოფლიდან და აუტაცევი იარაღი დავატრებინეთ. ჩვენ, რევოლუციორ შფოთსა და ლელვას აყოლილი ახალგაზრდობა, მამის დიდხანს ეუტრიალუბდით უზოში მდგარ, ცის ფერ ხორთუმაშეგრილ ქვემეხს, მაგრამ ამო იყო მისი ადგილიდან დაქვრა და საღმე გადა-მალვა. მენშევიკებმა, როგორც იქნა, აქანებულეები დაპირებებით დააშოშინეს და მერე, როგორც მახსოვს, ეს ქვემეხი და მასთან ერთად უამრავი ჯორ-ცხენი სასტურად დაი-ტოვეს გამქეუდ ინტერვენტებისაგან — სტუმარობასპინდლობის ასანახადურებლად“.

1920 წლის მიწურულს ფოთში გახშირდა გაფიცვები, კომუნისტთა აშკარა გამოსვლები მენშევიკთა წინააღმდეგ. ქუჩაში ხშირად ვაის-მოდა თოფების ბათქა-ბუთქი. ჭაბუკ ალიოსაც მოსწყინდა დემილი:

ბოლოს მოწყინდა ეს დემილი, ეს სიმარტოვე.

ბევრი ვითმინე ცხოვრებაში, ბევრი ვეწამე, მუნჯი სავანე სამუდამოდ მეც მივატოვე და ქვეყნის ურბთა გმირულ ყიყინს მეც დაეწევათ!

განზაზის კომკავშირელებმა ვაღწავიერეს ზელნაწერი პროკლამაციები და მოწოდებები გამოეშეთ. რადგან სტამბა არ გაანდით, პროკლამაციების შედგენა და ვაერცელების ზელმ-ტლავალებს ალიო მირცხულავას დაევალა. აი, რა იყო ნათქვამი ერთ-ერთ პროკლამაციაში: „ამხანაგებო! მენშევიკებმა გვიღეს საქართველო. იგი მოკავშირეთა სათარუმოდ აქციეს. ძირს ზალხის მოღალატე მენშევიკები! გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას!“ ვიმნახიელები ამ ნაწერებს რამდენიმე ცალად ათეატრებდნენ, მერე დაქპორდნენ ქუჩებში, აკრავდნენ ბოძებზე, შენობებზე, კონიებსა და თეატრების წინ.

გიმნახიელ კომკავშირელებს ხშირად უტარებდა ხოლმე საუბრებს ანდრო დონაე. ანდროს ჭკვიან და თაფლისფერ თვალბში, მშვიდსა და დაბალ ხმაში უდღიდესი ძალა, რევოლუციური საქმისადმი, სამართლიანობისადმი მტკიცე რწმენა იგრძნობოდა. ვიმნახიელები გატაცებით უსმენდნენ მის წარმტაც, მიმზიდ-

ველ საუბრებს უმოშარი მებრძოლი ბოლშევიკების შესახებ. ვანო ცილილობა აესხნა ახალგაზრდობისათვის რა ზღვრიდა რუსეთში და რა სურდათ ბოლშევიკებს. გიმნაზიაში შეიქმნა სპეციალური ჯგუფი ასაფეთქებელი ექსპლანტების დასამზადებლად.

კომკავშირელებმა ვანო დონაძემ და ალიო მირცხულავამ გადაწყვიტეს აეფეთქებინათ პორტი ტყვიანობით დატვირთული გემი. თითქმის ყველაფერი რიგზე იყო. ვანომ და ალიომ ასაფეთქებელი ნაღმი ჩემად ატანეს გემზე. ისინი იყო პარტიისთვის ცეცხლი უნდა წაეკიდებინათ, რომ პოლიცია დაესხა თავს. ორივენი დაამატომრეს. ბევრი აწვალეს, აწამეს, მაგრამ პარტიებმა თანამონაწილენი მაინც არ დაასახელეს. შემდეგ გაირკვა, რომ ისინი ერთგვრთმა გიმნაზიელმა ვასკო. ალიომ ციხის საყანში დაწერა ლექსი „მოლაღატ“ გიმნაზიელზე და ზედამხედველის მეშვეობით კომკავშირელ მეგობრებს გაუგზავნა.

შალვას განსაკუთრებით ვასო გოძიაშვილი უყვარდა. მის ნიჟს იგი არაჩვეულებრივად თვლიდა და ვასოს ყოველი როლით აღტაცებული იყო. ისეთი გზებით ლაპარაკობდა ვასოს საოცარ არტისტიკაზე, რომ სწორედ შალვას ამ აღტაცებამ მიბიძგა ხელი მომუქიდა მონოგრაფიისათვის ვასო გოძიაშვილის შესახებ. ეს წიგნი 1969 წელს გამოიცა და მისი ერთ-ერთი შთამაგონებელი იმპულსი სწორედ შალვას ვასოსადმი სიყვარული გახლდათ.

„ცოტა ხანს კიდევ ვიარეთ ღობიდან ღობემდე. მერე კი მხარზე ხელის დაღებით, მითხრა: „წაუსვენოთ ახლა, დავიღებ მგონი ცოტა“... მის ხმაში თითქოს შობილიშუბის კილო მოიხმოდა.

მოუხედავად დიდი შინაგანი ტაქტისა, თავდაპირველად და თავაზიანობისა, შალვა ღამ-ღამოზე ხშირად, თუ კი ამას ვარემოვბა მოითხოვდა, უაღრესად თამამი და პირში შთქმელი იყო. მას შეეძლო დაერიდებლად ემხილა კაცი და გეაზიანდაც შეეხურებინა. ამასთან, თითქმის ყოველთვის სწორად მოსტებნიდა ხოლმე მიზეზთა-მიზეზს. მაგრამ ნაწუენობის დიდი ხნით დამახსოვრება და უქმყოფილების გულში ჩახვევა არა სწევოდა. ბრაზიც მალე გადაეფულიდა ხოლმე.

ერთხელ მეც მოხვდა მისი მართახი. შალვას იმჟამინდელი შეგონება მთელს სიცოცხლეში არ დამავიწყდება.

ერთ დღეს, მესტიის კლუბში დიდი საღამო გაემართეთ, რომ იტყვიან, მთელმა სენანთმე მოყოლა თავით, მართლაც ასე იყო. საიდან არ ჩამოვიდა ხალხი, ცხენით, ფეხით თუ მანქანებით. ქართული თეატრისა და დრამატურგიისადმი მოძღვნილი ეს საღამო შალვა დადიანმა გახსნა. მოთვარი მოხსენება მე მქონდა დეალებული. მეგონა, რაც უფრო მეტად გაემართებოდა სათქმელს, მით უფრო მისაწვდომი გაეხდებოდა და ხალხიც უკეთ გამოეგებდა.

მოხსენების გამართებების ცდამი, ეტყობა, ძალიან შეეტოპე. დარბაზში ჩემი სიტყვის დასაწყისშივე იგრძნო, რომ მე შეგნებულად ეისწრაფოდო მერტისმეტად დაღვილად მიმეწოდებინა მისთვის სათქმელი. ამაში მსმენელებში თავიანთი კულტურული დონისა და

ზოგადი განათლებისადმი უნდობლობა, მათი შეუფასებლობა დაინახეს და სწვეწვეწვდომიერებლად მიიღეს ჩემი სწრაფეწვწვეწვეწვეწვეწვეწვეწვისმეტე გამართებება-გასადაეებისაკენ.

ამას ისიც დაემატა, რომ ელპარაკობდი მე-ნტორივით ცოვად, გამბულად, „გატრეკილა-ლი“ რომ იტყვიან, სწორედ მიხიარდა. ალბათ ამიტომ მიხიარეს, რომ მე ქედმალურად დაეცქერიდი დარბაზს. როცა მოხსენება გაეთათე, მხოლოდ აქა-იქ გაისმა კანტიკუნტად ტაში, ისიც უფრო პრეზიდენტიდან და ისიც უფრო ზრდილობისათვის. გაქვიღიმა დარბაზში კი ნაწყენი დეშილით გამაცოლა.

შალვა დადიანის გამოხსენის შემდეგ, რომელიც მექუხარე ტაშით შეხვდნენ და კიდევ უფრო დიდი ოვაციით გააცილეს, ჩემდამი ასეთი დამოკიდებულება განსაკუთრებით კონტრასტული და შესამჩნევი გახდა.

მთელი საღამო უქმყოფილების მექეჩავეი გრძნობა მაწეალებდა, მაგრამ კარგად ვერ გავეტოპე მიზეზი ჩემი ასეთი „გაგრძნობა“. როცა ფრად დაღმეა და გასიარდნებულს სცენიდან ვარსკვლავებით მოქვიღიო ცისქვეშეთში მოვხვდი, როცა დახუთული დარბაზის შემდეგ მთის სიგრილმ ძვალ-რბოლში სასიამოვნოდ დაგვიარა, ელაცამ მელავზე ხელი წამავლო. მოვიხედე, გვერდზე შალვა ღამ-ღამოზე მომყვებოდა და აღტაცებით (ცოტა საპირიზე მეტადაც) აქებდა საღამოს და მის ორგანიზატორებს.

ჩემად მიეყვებოდი და კარგად არც მესმოდა, რა მეტქვა. ანდა საპირით იყო თუ არა საერთოდ რასიმე თქმა. მე ჩემი სატყვიარი მადარდებდა.

როცა გაენაპირდით, შალვა ღამ-ღამოზე შეჩერდა, მელავში ხელი მოვიკადა, თავისკენ შემომატრიალა, რომ პირისპირ მდგარიყვივით და მოთხრა:

— რა იყო შე კაცო, ასე რომ დატებრდავე ყველაფერი! შენ ფიქრობ, მთლად უსწავლელი არიან? ნახეარზე მეტი უმაღლესი განათლებით ისხდნენ იქ, ამა რა გგონია?...

რა მეპასუხნა? ჩემად შევეყრებოდი ჩემს წინამართლ ვეებერთელა კაცს, უფრო სწორად სილუეტს, მაგრამ სიბნელის გამო ვერც მისი სახის გამომეტყველებას ვხედავდი, ვერც მის თვალებს, ყოველთვის წმინდისა და აუმღერებელთ; რატომღაც მეგონა, რომ იგი ისეთივე გაფართოებული გულებით შემომყურებდა, როგორც მაშინ, როცა ყვარყვარეს შესახებ ჩემი ნათქვარი გაჟანდე...

ისევ მომიკადა მელავში ხელი და კვლავ განვაგრძეთ ზევით-ქვევით სიარული. მერე ყველანი შეგვეკრიბეს და ვახშამზე წაგვიყვანეს რომელიღაც შეძლებულ მოსახლესთან. ყველგან საოცარი გულთაღობითა და სიყვარულით

გვხვდებოდნენ — ოქსემი, კოლმურნობაში, დაწესებულებაში.

„... დარბაზი არ უნდა იცოტავო, არც ისე და არც ასე. ხალხი ვულთმისანია, მაშინვე მიგისხვდება, ხომ არაფრად ავღებ, ან ყოყლონიობა — დაბალი მაგრამ დამაჩერებელი ხმით განაგრძობდა შალვა დამბაშიძე — ყოველი დარბაზი დიდი, რა ჭრის ხალხითაც არ უნდა იყოს იგი ავსილი. ყოველი დარბაზი უნდა უმაღლეს საკრებულოდ მიგანდეს და ისე ელაპარაკებოდნენ, როგორც ძველად შორწმუნენი ღმერთს ელაპარაკებოდნენ...“

გავიდა ორიოდე დღე და მე დაჯერწმუნდი, რომ შალვას ეს სიტყვები ცარიელი ურახა კი არ იყო, არამედ მისი, როგორც მსახიობისა და ხელოვანის, გულწრფელი აღსარება, მისი კრწმარტი დევნი, ნამდვილი ესთეტიკური ტყელო.

ავტობიანებით ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ერთ შორეულ სეანურ სოფელში მოგზავდი. ეს სოფელი მგონი ერთი ყველაზე მიუვალი და მოწყვეტილი იყო მთელს ზემო სეანეთში. ამ სოფლის მკვიდრთათვის თბილისიდან კი არა, ალბათ მესტიიდან ჩასული სტუმარიც იშვიათობას წარმოადგენდა.

შემდეგ გაიმართა თვითშემოქმედების კონცერტი. ჯერ ადგილობრივმა მოწაფეებმა თქვეს ლექსები, მერე მათ დიდებიც წაშეველნენ და პატარა ქორთმ სეანური სიმღერები და საფერხელი ცეკვები შესარტლა. ბოლოს, როცა გამოაცხადეს — „კონცერტი დასრულებულიაო“, შალვა დამბაშიძე სწრაფად წამოდგა, თავმჯდომარესთან მივიდა და რაღაც უთხრა.

თავმჯდომარე დაფეთებულიყით წამოვარდა და რომ ამოქოლებულ-წამოშლილი ხალხის ზმურთი როგორმე დაეფარა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა დასძყვილა:

— ახლა თქვენს წინაშე გამოვა გამოჩენილი ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შალვა დამბაშიძე!...

თავმჯდომარის სიტყვები ისეთმა მქუხარე ტაშმა დაფარა, გვეგონებოდა, სოფლის პაწაწინტული კლუბში კი არა, უზარმაზარ დარბაზში ტაშის ქარიშხალი ამოვარდაო.

შალვა დინჯად გადმოვდა ავანცენაზე. იგი ხალხის დაწინარებას ელოდა. „ბრიგადის“ წევრებმა ვისარგებლეთ შემთხვევით და პრეზიდენტიდან პირველ რიგში გადავიწყველო, რაათა უფთ მოგვესმინა შალვას გამოხსლა. წინა რიგში მსხდომნი შევიწროედნენ, შუაში ჩაგისევს.

ჩამოვარდნილ სიწმეში მკვეთრად გაისმა სასიამოვნო ტემბრის, ბოხი, ოდნავ ხრიწვარული ხმა. რაღაც საშასოეროსა და მნიშვნელოვნის მოლოდინში ყველანი გატერყინილნი ვისხედით,

„... ხელის გულიყით სწორია აზნატი გეგლარის ტრჩხილის ოდნავ ეზო. ნაშეადღევის სიოს ჭინძისა, პიტნისა და ომპარის სუნო. მოსტნიდან მეორე მხარეზე გაშენწულ კუნძამში გადააქვს. წნელის ღობე, კენიჭები და ყორე გადახლართულია მყველით. დაუღღელი ღორი ამოთ ღრუტუნებს — შემოსვლას ვერ ახერხებს. ყავარაყრილი ორსართულიანი პატარა ოდის პალატაში იცოხნება ცალი ხარი...“

ღინწი ტემბით, რაღაც შეუქმნევი, დაუღღელი მღელვარებით მოლაპარაკე შალვა ცხადლევ წარმოგადგენდა პაწია იმერული სოფლის ჩვეულებრივ საღამოს, თავისი სიმშვიდით, მსუბუქი სეველითა და ჩვეულებრივი მოწყენილობით. ეს გარემო ზომ ბავშვობიდანვე ნაცნობი და ტყბილად მოსავონარი იყო მისთვის. ალბათ, ამიტომ ცოცხლდებოდა მის სიტყვებში ასე გრძნეულად, ტყბილი იმერეთის ნახი სიღამაზე. შალვა დამბაშიძე შთავგონებით კითხულობდა ნიკო ღორთქიფანიძის პატარა, სულ ორგვერდთან მოთხრობა-პინიატერას — „შებრები“.

ცოლქმარი, მარტოღ-მარტო დარჩენილი ორი მოხუცი, ერთმანეთს პირველი შეხვედრისა და გაცნობის დეტალებს ახსენებენ. ყოველი აზნატი თავდება სიტყვით „გახსოვს?“ შალვა ისევე გრძნობით, დამბულობით, შინაგანი მღელვარებით წარმოთქვამდა ამ სიტყვას, რომ ყველა მსმენელი, მისდა უნებურად, წარსულის მოვონებაში გადაჰყავდა. ამიტომ ყველა იქ მყოფი, ერთსა და იმავე ღროს, დარბაზშიც იყო და საღად შორსაც ჰქროდა; აქაც იყო, ამ პაწია კლუბშიც და საღად სხვაგან, თავის მოვონებათა დახლართულ ლაბირინტებშიც...

„...ოქროსფერი ბოხობი გეხურა, ლურჯ ახალეზე წაბლისფერი ჩოხა გეცევა... შავი წულამესტი სირმებით გქონდა მოქარგული... თეთრ ცხენზე იქეტი და ტომარაში ჩამოაქენე... გახსოვს?“

„...აბა ჰედრაველი გეცევა და ზედატანი სახელოგამომწვებელი, წითელი... თავი თეთრი ბეკლებიანი ბლონდით წაგეკრა... გიხდებოდა ოდნის ბირკვილზე დაყრდნობა. გასაფრენ ჩიტსავით შემერთალი, ყურადღებით გვათვალერებდო... გახსოვს?“

საოცარი ინტონი იყო მსახიობისა და დარბაზს შორის ჩამოვარდნილი. ყველა შეპყრობილ-შელოცევილიყით მიწერებოდიო შალვას ოდნავ მოხრილ, დარბაზისაკენ გადმოხიდეულ სხეულს, მის წინ წამოწეულ, ნიკაპაპართულ სხეს. თვალეები ხან უბრალებდნენ და ნაპერწყლებს ყრიდნენ, ხანაც სეველით დათახლურნი ისე ბუეტვადნენ, ისე ინავლებოდნენ, როგორც თავმიტებულ ბუხარში ნაკვერჩხალი.

მაგრამ მთავარი მაინც მისი ხმა იყო: საოცარი მოდულაციით, მომწუნსავი რიტმით, შინაგანი დამაჩერებლობით, მომხიბვლელი ელერით. ეს ხმა ერთი სიმის ზმინობას კი არა ჰვავდა,

არამედ მსგავს სიმთა მთელი კონსას, რამდენიმე ასეთი კონსას. თვითველი მისი სიტყვა-ართული, პოლიფონური ინსტრუმენტის მელიოდური აქორდი იყო, დიაზ, მთელი აქორდი.

ვეყურებდი კაცონად ავიზივებულ ამ კაცს, რომელსაც პირველად ვხედავდი ასეთ უშუალობასა და საბლოკეში და არა მჭეროდა, რომ ხელოვნების ამამალღებელი ძალით შთავონებული ეს ადამიანი სწორედ ის შალვა ღამბაშიძე იყო, რომელიც ორიოდე საათის წინ, მომწვებული, თითქოს თავისი არსებით. შალვა სულ „იქ“ იყო: „აქ“ მისი სულის ნაწილიც კი აღარ რჩებოდა.

ახლა, თვითველი მისი ძარღვი თრთოდა და მტრეველებდა, ფართო მჭერდი საბერველით აუდიოდ-ჩამოუდიოდა. იგი ხელოვნების მომჭადოვებელი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და იმყოფებოდა, თითქოს თავისი არსებით. შალვა სულ „იქ“ იყო: „აქ“ მისი სულის ნაწილიც კი აღარ რჩებოდა.

ის დღე ჩემთვის სამუდამოდ დაუეწიარო დარჩა. ეს იყო ზიარება მალღ პროფესიონალიზმთან, ქვეშარტ ხელოვნებასთან, პირისპირ დგომა სცენის მართლაც დიდებულ ჭერებთან.

თითქოსდა რა სჯიდა, რომ ამ პალა სოფლის კლებში ასე „გადასდო თავი“, ასე „დაიხარჯა“, ასე ვაისარყა?

აი, სწორედ ეს იყო ქვეშარტი ხელოვანი ველის გაპასუება, როცა მას არ შეუძლია ცალკედ ილაპარაკოს, ცალღად შეიგრძნოს, ცალკევერღად წარმოგიდგვს. არ შეუძლია თავი დაზოგოს „აქ“, რათა სადმე „იქ“. უფრო მალღ წრესა და საზოგადოებაში, მეტად გამოიზინოს თავი არ შეუძლია „აქ“ დაგაკლოს რაზე, რათა სადმე „იქ“, მეტი ვაიღოს. მის მაგალითზე დაერწმუნდა, რომ ქვეშარტი ხელოვანი ყველგან ხელოვანია და არ შეუძლია „თავის დაზოგვა“. ვისაც ეს შეუძლია, ის უფრო თვალთმაქცია, ვიდრე ქვეშარტი ხელოვანი.

მომავონდა ის საღამოც, როცა მარცხით დადარღანებულს გვერდზე მომყვებოდა მკლავზე ხელწაკლებული და დაერწმუნებით მეუბნებოდა: „...დარბაზი არ უნდა იცუტავო, არც ისე და არც ასე... ხალხი ველთმისანია, მაშინვე მივიხედვება, რომ არაფრად ავდებ, ყოყლოჩინობ... ყოველი დარბაზი დღლია, რა ჭურვის ხალხითაც არ უნდა იყოს იგი აესილი. ყოველი დარბაზი უმალღეს საკრებულოდ უნდა მიგანდეს და ისე ელაპარაკებოდე, როგორც ძველად მობრწმუნენი ღმერთს ელაპარაკებოდნენ...“

და რომ შალვა ღამბაშიძეს მყურებელთა დარბაზთან სხვაგვარად ღამბაზი არც შეუძლია, ამასი კოდეც ერთხელ მის სიკვდილამდე ორიოდე თვით ადრე დაერწმუნდი. მიხანად, მარჯანიშვილის თეატრი დგამდა ექტორ ვაგნეკიოის ჩინებულ პიესას „ეფესკრელთან“, საღაც შალვა მომუცი კოლმეურნე ანთიმოზის მთავარ როლს

ასრულებდა. ჩვენი ერთ-ერთი უნივერსიტეტი რეჟისორის გ. ლორთქიფანიძის მიერ ექსპრესიულად, ღრმა ვაზარებით დაფუძულმა ამ პიესამ ერთგვარი შეხლა-შემოხლა გამოიწვია, რადგან პიესის პირველდელი ვარაიანტი ანთიმოზის შეილიშვილი, დედის მიერ მტოვებულმა პატარა ბიჭუნა, მშიმედ ავადღებოდა და კვდებოდა.

ზოგვერთი აღმთოვებელი იყო, როგორ შეიძლება საბჭოთა სინამღვილეში ბავშვი ასე უმოწყალოდ მოკვდეს? საქმე ცენტრალურ კომიტეტამდე მივიდა. ცენტრალურმა კომიტეტმა საკითხი გასარჩევად სამ კაციან კომისიას მიანდო. ამ სამთავან ერთი მე ვყავი.

დათქვით, სხვადასხვა დროს (ამასთან, ცალცალკე) განმეორებით გვენახა სპექტაკლი უკვირადღვინა იგი მეხსიერებაში.

მე დღის სპექტაკლის ნახვა მომიწია. ღარბაზში უმეტესად მოსწავლეები და ახალგაზრდობა იყვნენ. იდგა საშინელი ხმაურის და გნასი. მაგრამ, აიხანა თუ არა ფარდა, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ძნელია სიტყვებით გამოთქვა ის შთაბეჭდილება, რომელსაც შალვა-ანთიმოზი ახლენდა. ჩემი აზრით, ეს იყო მისი ერთ ყველაზე საუკეთესო როლი: ეს იყო მალღი რეალისტური სცენური ხელოვნების ერთ-ერთი ქვეშარტიღად დამამწვებელი სახე, რომელსაც მღელვარებისა და ცრემლების გარეშე ბოლომდე ვერ უყურებდი.

როცა შალვა დარწმუნდებოდა, რომ ბავშვი გონად აღარ არის და ხელიდან ეცლება, იგი შევილიშვილის ფეხითი მქდარი ვიცივით წამოვარდებოდა ტახტიდან, ფანჯარას მივარდებოდა, მუშკის ძლიერი დარტყმით ფანჯარას გააღებდა და რაღაც შემაზრხენი ხმით ვაქიოდა (ვაქიოდა ისე, რომ თმები გებურჭლებოდა) — „მეზობლებო, მიშველეთო!... ეს ყვირილი კი არა, დაქრილი ვეფხვის ღრიალი იყო, შემზარავი, ამათართლებელი. მყურებელთა დარბაზს დენი უვლიდა და იშვითად მოინახებოდა კაცი, თვალში ცრემლით რომ არა ჭქონოდა საესე, ბევრი კი ამჯარად ტიროდა.

პირველი მოქმედების დროს პარტერის ბოლო რიგში ვიქციე (ძინღოდა უჩინრად ვყოფილიყავი, რათა სპექტაკლი უფრო დამწვიდებით მენახა), მაგრამ ანტრაქტში მარჯანიშვილის თეატრის მამინდელი „ღირექტორმა, კარგმა ორგანიზატორმა და გამოცდილმა აღმინისტრატორმა, თავის დროზე ცნობილმა მსახიობმა, ივანე გვინჩიძემ, მომნახა და ძალით წამოყვანა მთავრობის ლოჯაში (ღირექტორის ლოჯა ხალხით იყო საესე).

აიხანა თუ არა ფარდა, შალვამ დაინახა, რომ მთავრობის ლოჯა ცარიელი აღარ არის და ისტატურად გამოამარა ჩემდენ თვალს. შევეტყვე, რომ, სიბნელის მიუხედავად, მაშინვე მიცნო.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ შალვას

საგრიმორო ოთახში შევედი, რათა აღტაცება გამოეთქვა და მადლობა მომეხსენებინა მისი შთავგონებული თამაშისათვის. დამინახა თუ არა, სწრაფად წამოვიდა ჩემკენ და შემინებულმა შეთხზა:

— რა მალა თაროს ხომ არ შეუსვიახარ?

როცა ვუპასუხე იგივე რიგითი კრიტიკოსი ვარ, რაც აქამდე ვიყავი-მეთქი, მხარზე ზელო მომიბათუნა და მოთხრა: «გეტე ვიჯობსო». თანაც დააყოლა — «კრიტიკოსობა რიგითი ზელობა არასოდეს არა ყოფილა და არც ოდესმე იქნება».

ესა თქვა და ზელები მამინვე ჰაერში აისროლა — «რა ზაფხული გვატარეთ, კაცო, სვანეთში, რა შესანიშნავი, რა დაუვიწყარი». სანამ დავეშვიდობებოდი სულ სვანეთის შთაბეჭდილებებზე ლაპარაკობდა. სამწუხაროდ, ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა პირისპირ.

ზემოდაც ვთქვი, რომ შალვა ღამბაშიძის მიერ შექმნილ უოველ სცენურ სახეში ადვილად ამოიკითხებოდა როგორც თვით შალვას გარეგნული ნიშანდობლივობა, ისე ზოგიერთი მისი შინაგანი თვისება თუ თავისებურება. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ამ დიდებულ მსახიობს განსაკუთრებით ისეთი როლები ეხერხებოდა, რომლებიც უფრო ახლო იყვნენ მის შიდაბუნებასთან.

ვფიქრობ, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ ანთიმოზის სცენური სახე შალვას ემოციურად ძალზე ქმედითი და შთამბეჭდი «გამოუვიდა». ის იყო, რომ ანთიმოზის, როგორც მხრუნველი მეოჯახის, მოსიყვარულე, ადამიანის, სათნო და მოწყალე ქართველი კაცის თვისებები ფრიალ ახლო იყო შალვა ღამბაშიძის სულიერ თავისებურებებთან.

ამასთან დაკავშირებით მინდა ავღნიშნო, რომ შალვა მართლაც ჩინებული მეოჯახე იყო. იგი არა მარტო თავისი საკუთარი ოჯახისადმი, არამედ მახლობელთა ოჯახებისადმიც უადრესად გულისყურთან და მოყვარულებას იჩენდა და მათი ნაშვლილი შემწე, ქომაგი, საიმედო მოყვითე გახლდათ.

სვანეთშიც, თუ კი რაიმე აწუხებდა, ყველაზე მეტად ისევ თავისიანების დარდი. მესტიაში ჩვენი ხანმოკლე ყოფნის დროს, იგი რამდენჯერმე მივიდა ხან ფოსტაში, ხანაც რაიკოში, რათა ტელეფონით თბილისს დაკავშირებოდა და თავისიანების ამბავი შეეტუთ. და უოველთვის, როცა კი შესაძლებდა ტელეფონით დალაპარაკებოდა ცოლშვილს, ან თავის სიძეს, ანტონ კელენჯერაძეს, უოველთვის სახეგაბადრული და მხიარული ბრუნდებოდა. ცნობილი ქართველი გერანალისტი და საზოგადო მოღვაწე, ა. კელენჯერიძე, იმხანად საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტს თავმჯდომარეობდა და რაიონული ცენტრთან მასთან დაკავშირება უფრო ადვილი იყო.

მინდა შალვა ღამბაშიძის კიდევ ორი თვისება აღვნიშნო, როგორადაც ეს თვისებები სვანეთში ყოფნის დროს წარმოიშობდა. ჯიშველიც კაცობის, შალვას, ასე ვთქვათ, დიპლომატიური ნიჭი, საკუთარ აზრთა და განწყობილებათა მოხერხებულად დაფარვის უნარი.

ნურაინ იფიქრებს, რახან შალვა ღამბაშიძე უბრალო, წმინდა, ბავშვივით უშუალო და მიმდობი კაცი იყო, მთლად გულუბრყვილო ადამიანიც ყოფილიყო. არა, ეს არ იქნება სწორი. შალვას არც სიფრთხილე აკლდა (მაგრამ არა მანერ და ზიანის მომტანი), არც ირონიულობა (მაგრამ არა დამგესლავ-მადღებელი) და არც წინდახედულება და მიხედურობა. იგი ყველაფერს ხედავდა, თუმცაღა ყველაფერს არ «იმჩნევდა».

შალვა თითქოს წინასწარ გრძნობდა ყოველივეს, რაც მისთვის უნდა ეთქვათ და თუ სათქმელი მოსწენა არა სურდა, ისე ეშმაკურად დაუხსლტებოდა ხელიდან მოსაღებებს, რომ ვინც მოსვლასაც არ აკლიდა «ეშმაკი იმერელი», რომ იტყოდნენ, ეს ფოლკლორული «განსახლერება» არც შალვასთვის იყო მთლად უცხო.

ზოგჯერ, როცა აუცილებლობა მოითხოვდა, შალვას ავთანდილისებური მოხერხებულობის გამოჩენაც შეეძლო. ერთი სიტყვით, თუ არ უნდოდა, თავის გულში არ ჩავახედებოდა. საოცარი თავდაპერის კაცი იყო და საკუთარ ზრახვათა თუ გრძნობათა დამალვაც ოსტატურად შეეძლო.

მისი მეორე თვისება, რომელშიც ისევე სვანეთში ყოფნის დროს დაერწმუნდა, ეს იყო ჩინებული პროფესიონალური მესხიერება. მე მგონია, რომ შალვა ღამბაშიძეს (სასკის, მდგომარეობის და, საერთოდ, ფიზიკურ შესაძლებლობათა გამო) აღარ ექნებოდა რაიმე ახლის დასწავლა-დაზუბირების უნარი, მაგრამ სასტიკად მოეტყუვდი.

ზემოთაც ავღნიშნე, რომ შალვა ღამბაშიძე როგორც მხატვრული კითხვის ოსტატი, უპირატესად, პროზას ეტანებოდა და ლექსებს შედარებით უფრო იშვიათად კითხულობდა. ამ მხრივ, იგი უფრო კანალოვსა და მოსკვიანს წაავადდა.

მაგრამ ლექსებიც ბლომად იცოდა ზეპირად. პოეტებიდან განსაკუთრებით უფუარდა გიორგი ლეონიძე, კოლაე ნადირაძე და სიმონ ჩიქოვანი. ლექსებსაც უფრო ამ პოეტებისას კითხულობდა. საკვირველია, მაგრამ დანარჩენებისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად (მაგალითად ვალაკიონ ტაბიძის, ა. გრიშაშვილის, ს. შანიშაშვილის მიმართ) და მიუხედავად მათი პოეტური ნიმუშების მომგებიანობისა (დეკლამატორულობის თვალსაზრისით) — მათი ლექსები შალვასგან თქმული მგონი არავის არა მსენია. ამ სამი პოეტის

ვარდა რომელთაც უფრო ხშირად კითხულობდა უყვარდა ლექსები ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის და ლადო ასათიანის. რომელთაც ასევე აუცილებლად წაიკითხავდა ზოლდე

ვიორგი ლეონიძის ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით უყვარდა ყვიჩაღური ლექსების ციკლი, ადგილები პოეზიიდან „ბავშვობა და ყრმობა“, „ნინოწმინდის ღამე“, „ნინო ჭავჭავაძეს“, „ვეფხისტყაოსანი“, „დედა ენა“ და სხვა. ბევრი მათგანი ზეპირად იცოდა და ბრწყინვალედაც კითხულობდა.

შესანიშნავად კითხულობდა კოლაუ ნადირაძის ლექსებს, განსაკუთრებით „წიწმინდისაგან სანთისაგან“. კოლაუ შალვას უსაყვარლესი პოეტი იყო და ძალიან მაღალ შეფასებას აძლევდა მას.

ს. ჩიჭოვანის ლექსებიდან უყვარდა „დავით გურამიშვილის გოდება ვახტანგის ვარდაცვალების გამო“, რომელსაც ხშირად კითხულობდა სცენიდან. ასევე „მიძღვნა ზელონაწერ „ვეფხისტყაოსანი“-ს ოსტატებისადმი“, წიგნი „გამათა-ღმწერლისა“ — „გვანცა“, „ედა-ღმწაველას ბუხართან“ და სხვა. იცოდა ნაწილები პოეზიიდან „სიმღერა დავით გურამიშვილზე“.

რაც შეეხება პროზას, აქ მე იგი ვაცილებით უფრო მზრებავალი და თავის სტიქიაში მგრძობილი; უფრო ბუნებრივი, ადამიანური და მართალი ჩანდა. ალბათ იმიტომ, რომ პროზა, პოეზიისაგან განსხვავებით, მხოლოდ ერთი ავტორისეული სახის (ლირიკული გმირის) განცდის გადმოცემის შესაძლებლობას კი არ იძლევა, არამედ რამდენიმე მოქმედი პირის განცდის პარალელურად წარმოსახვისაც. ვარდა ამისა, პროზაში გამოყენებული დიალოგური ფორმა ამ ფაქტს დრამატურგასთან აახლოებს. ამიტომ, კვშიარიტი მსახიობისათვის, პროზა ვაცილებით მეტ შესაძლებლობას იძლევა განსხვავებულ სახეთა წარმოსადგენად.

ილია ჭავჭავაძე შალვა ღამბაშიძის სალოცავი ზატი იყო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დიდი ილიას მთელი შემოქმედება მან თითქმის ზეპირად იცოდა. მისი გატაცებული მუშაობა არჩილის როლზე სპექტაკლში „ჩატხელი ხიდი“ (რაც ასე კარგად არის აღწერილი ერ. ქარელიშვილის წიგნში) სწორედ ამ სიყვარულით იყო შეთავსებული. სხვათა შორის, სცენაში გამართული კონცერტების დროს შალვა ღამბაშიძემ, შალვა დადიანის საბატრეცელოდ, რამდენჯერმე წაიკითხა არჩილის მონოლოგი შალვა დადიანის ინსცენიზებული „ჩატხელი ხიდი“, რომელშიც ასე კარგად გაიხშიანა ილიას დიდებულმა სიტყვებმა.

წაიკითხა აგრეთვე სპექტაკლისადმი წამძღვარებული ტექსტი — „ავტორისაგან“. მაგრამ ჩემი აზრით, ილიასადმი „შალვას“ დამოკიდებულება არსად ისე არ შიანდა, როგორც ი. ჭავჭავაძის გენიალის „მგზავრის წერილებს“ სცენიდან კითხვისას.

ამ დროს იგი თვითონაც თითქოს იცვლებოდა, კიდევ უფრო ძლიერი, ხშიანი, ღამბაში და აღამბრებული ხდებოდა. არათუ ილიას ყოველი სიტყვა, თვითველი მისი ბგერა კი მოჭონდა მსმენელად სოცარი სიტყვიერი, განსაკუთრებული სითბოთი, არარეველებრივი მგზნებარებით, რაღაც გადამდები შინაგანი თრთოლივით. შეიძლება ეცდები, მაგრამ არა გმონია, რომ ილია ჭავჭავაძეს შალვა ღამბაშიძეზე უეთესი მკითხველი (დეკლამატორი) ჰყოლებეს.

მეტისმეტად უყვარდა და ძალიანაც იფასებდა დავით კლდიაშვილის შემოქმედებას, რომელსაც ისევე როგორც ილიასს, თავიდან ბოლომდე შესანიშნავად იცნობდა.

მაგრამ ასეთი ამომეგებულობა ზოგიერთ პოეტსა, თუ პროზაიკოსსა ოდნავაც არ ნიშნავდა, რომ იგი სხვ. მწერლებს ნაკლებად ეტანებოდა და ნაკლებად კითხულობდა. არა! ზემოთაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ შალვა ღამბაშიძე სოცარი მისიყვარულე იყო წიგნისა და კითხვისა.

წიგნი მის ცხოვრებაში მართლაც არ უპირველეს როლს თამაშობდა. მხატვრული ლიტერატურა, თეატრთან ერთად, მისი ცხოვრების უმთავრეს გატაცებას წარმოადგენდა. ყოველი თავისუფალი წუთი კითხვისათვის ჰქონდა გადადებული. უყვარდა წიგნის ტარება და თუ რისიმე კითხვას დაიწყებდა, სანამ არ დაამთავრებდა აღარ მოეწყობოდა.

წიგნთან დაკავშირებით ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო, იგი სცენაში ჩვენს მოგზაურობამდე ცოტა ხნით ადრე მოხდა.

რუსთაველის პრასექტის დასაწყისში, ავროლოტიკის საღაროებთან (მაშინ საღაროები იმ ადგილას იყო განლაგებული) შალვა ღამბაშიძეს შეეხვია. იგი ვიღაცას ელოდა, როგორც გამოირკვა იქვე მდებარე „ხილბოსტანის“ მღაზიაში ხილს თუ ბოსტნეულს იყენენ შემპირებულნი და შალვაც მღაზიის გამგეს უძღიდა.

რაღაც უხასიათოდ იყო. პირისპირ შეეხვით და, ეტყობა, ამიტომ შეჩერდა, თორემ ასე რომ არა, ალბათ, ერთმანეთს ვეგრად იეუვლიდით. უხალისოდ მომესალმა, ცივად გამომიწოდა ხელი. სულ ორიოდ სიტყვა გავეცალეთ და, უგუნებობა რომ შევატყვევ, გაეცალა ვაჭობინე.

როცა ვეშვილობდობდი, შემამჩნია, რომ წიგნი მეჭირა და ხელი გამომიწოდა — „მანვენი რა გიყლიაო.“ მაშინვე გაეუწოდე. უხალისოდ გადადურცლა, მაგრამ წარწერა ნახა

თუ არა, მყისვე დაინტერესდა. წამიც და სულ გამოიკვალა. წიგნს გამალბობით სინჯავდა, ხან დასაწყის გადაუშლიდა, ხან ბოლოს, კითხულობდა, აყვირებდა.

შევატყვე, რომ წიგნის ყადრი იცოდა. ხომ არიან ადამიანები, რომელნიც ისე უხერხულად აიღებენ წიგნს, ისე უხერხულად უპირაფთ ხელში, რომ მინიწვე შეატყობ — ეს მაიი ჩვეული საქმე არ არისო. შალვა კი ერთობ გაწაფული ჩანდა. გამოცემის თარიღი ნახა და გაკვირებული მიმჩინებდა.

ეს წიგნი, ალბათ უკვე წიგნისმოყვარულს აღუძრავდა ინტერესს. ეს გახლდათ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემული „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ III ტომი. იგი გახლდათ საბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურის პირველი სისტემატური ტურის¹. და მე როგორც ინსტიტუტის თანამშრომელს ამ წიგნის ერთ-ერთი ცალი მერგო.

სწორედ ამან გააკვირვა შალვა ლამაზშიძე: ასეთი წიგნი ჭერ არც ენახა და არც გაეგონა. შეეფურებადი და მიხაროდა მისი ფერისცვალება. იგი აღარ იყო ცივი, გამოთითული, საფიქრალში წასული, როგორც ამ ხუთიოდ წუთის წინ. საოცარი ინტერესით, ღრმა გულსუფრით ახვალეებრდა ნარკვევებს თანამედროვე ქართულ მწერლებზე და ამჟამად აღზნებული ჩანდა.

— თუ ასე გაინტერესებთ, დაიტოვეთ. მე კიდევ მაქვს შორეი ცალი, — ეიბრე მე.

შალვამ ერთი კი დამხვდა მაგრამ არ გამარჯვდა, უარი არ უთქვამს. წიგნი იღიაში ამოიღო და მადლობის ნიშნად ორივე ხელი გამოიწოდა. ეს წიგნი ახლაც ინახება მისეულ ბიბლიოთეკაში.

შალვა ლამაზშიძე წაუკითხავს რომ არათერს დატოვებდა, ამში ჭერ კიდევ 1953 წელს დაერწმუნდა, ჩვენი ერთ-ერთი აღრეული შეხედრის ღრის. ახლა ელარ მომიგონებია ვინ გააცნო მას ჩემი თეი, მაგრამ ის კი კარგად მახსოვს, რომ 1953 წელს შალვა უკვე მიცნობდა.

ამ სამახსოვრო წლის გაზახხელის დამლევს ლეან ასათიანს მოყვებოდი კიროვის ქუჩაზე. ხუთი საათი იქნებოდა ინსტიტუტიდან სახლში ებრუნლებოდი. ბანკის შენობასთან შალვა ლამაზშიძე შეგვხვდა. ლეანი გულთ მიესიყვარულა და სულ მალე მათ შორის საინტერესო საუბარი გაიმართა.

სწორედ ამ ღრის „ლიტერატურულ კიხეთიში“ გამოქვეყნენ რეცენზია აღ ბურთიკაშვილის წიგნზე — „შალვა დადიანი“. რეცენზია საკმაოდ მკვამე და დაუნდობელი გა-

მომივიდა. რამდენიმე კაცმა მისაყვედურა კიდევაც ეს გარემოება მაგრამ ლეან ასათიანს (რომელმაც მიშუამდგომლა გუნატყვედურე, რომ ეს რეცენზია ვახეთში დაბეჭდილიყო) ძალიან მოსწონდა იგი. ლეან ასათიანი შალვა დადიანის დიდა მოყვარული იყო (ლეანის მამა, ნიციფორე, შ. დადიანთან მეგობრობდა). ლეანი ჩინებულიად იცნობდა შალვა დადიანის შემოქმედებას და არაერთი წერილიც მიუძღვნია მისდამი.

მე ზემად ვუსმენდი მათ ლაპარაკს. საცბარის დასასრულს ლეანმა ჰკითხა შალვას: გიორგის ხომ იცნობო. შალვა ერთი წამით შივალისმომქმედდა დამცქერდა და მხრობის შეთამაშებით ვაგრძელებულად წარმოსთქვა:

— ცნობთ როგორ არ ეიცნობ, მარა...

— რა, მარა? — დაინებით ჩაეკოხა ლეანი.

— რა და, ნამეტანი შემოეხარჯა ის საწყალი სპმა (ე. ი. აღ. ბურთიკაშვილი)... საშა კი არც ურიგო კაცია და არც ურიგო თეატრალი. კრიტიკოსი მკაცრიც უნდა იყოს და ლმობიერიც...

შალვა ლამაზშიძე რიგრიგობით შემოგვექვაროდა ორივე და თან ნიკაზე თითს ისეამდა, სწორედ ისე, დე-სილვას როლში წვერს რომ ათამაშებდა ზეეით-ქვეეით.

ამის თქმა და ლეანის იერიშზე გადასვლა ერთი იყო, ისეთი ვახტარებით შეუტრია შალვას და ისე გამოემსარჩლა, შემეშინდა — ჩემი ვულისთვის არ წინხებონ მეოქი.

შალვა ლამაზშიძე პოზიციებს არ თმობდა.

— რა ექნათ ახლა, თუ შალვა დადიანს ქეიფი უყვარს და ბურთიკაშვილიც ამზე წერს?.. შალვას რომ არა ყვარებოდა, არც საშა დასწერდა, - ვაუტად იმეორებდა შალვა.

საქმე ისაა, რომ რეცენზიაში ვესაყვედურე აღ-ბურთიკაშვილს, რომ მან მეტისმეტად დიდა ადგილი დაეთმო შალვა დადიანის ქეიფებისა და ღროსტარების აღწერას-მეთქი. სწორედ იმ ქეიფების, რომელთაც ახლა თეით მე დაეთმე ასეთი დიდი ადგილი ამ მოგონებაში. ეტყობა, ყოველ როლს მართლად თვისი ღრო იქვს და წლები ამას ვავტოვებინებ, რასაც აღრე ვერ წარმოიღვენდა.

შალვას ლეანთან კამათმა დამარწმუნა, რომ მას გულდამშით ჰქონდა წაეითხული აღ-ბურთიკაშვილის წიგნიც, ჩემი რეცენზია და თეით ლეანის ნაწერებიც.

ამას დასანგებოდ იმიტომ აღვნიშნავ, რომ შალვა ლამაზშიძე დაინტერესებული იყო არა მარტო მხატვრული ლიტერატურით, არამედ, და არა ნიკლებად, სალიტერატურო კრიტიკოთაც. ალბათ, ამის გამოხატულებაა ის გარემოებაც რომ თეით მინაც გამოქვეყნა რამდენიმე საინტერესო კრიტიკულ-ლიტერატურული წერილი და თეატრალური რეცენზია.

¹ ეს წიგნი შემდეგში ჩასწორდა და გამოიცა შესწორებულ-გადამწვეებული სახით საქ. მეცნიერებათა აკადემიის გამოქვეყნობის მიერ.

ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია, მისი ალტაცებული წერილი „ესპანელი მღვდლის“ დადგმაზე. რუსთაველის თეატრში. თუ გავითვალისწინებთ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებს შორის არსებულ პროფესიონალური ხასიათის გადაშტეტებულ პაექრობას, (რასაც განსაკუთრებით ადრეულ წლებში ჰქონდა ადგილი, და რაც არავისათვის საიდუმლო აღარ არის), ცხადი გახდება შალვას ამ რეცენზიის ფასი და მნიშვნელობა.

მაგრამ დაეუბრუნდეთ შალვა ღამბაშიძის დამოკიდებულებას ქართული ლიტერატურისა და ქართული მწერლებისადმი.

სენაეთში ყოფნის პირველსავე დღეებში, პოეზიაზე ლაპარაკის დროს, მან თითქოს სხვათა შორის მეთხა რევაზ მარჯანიშვილის ბოლოდროინდელი ლექსების შესახებ. მე შევეუქმე რევაზის ლექსი „ჩემს ძველ ბინაში“, რომელიც მაშინ ახალგაშობილებული ჰქონდა. რა თქმა უნდა, გავიხსენე ჩემი საყვარელი „მირანგულა“. როგორც შემდეგ შევიტყუე, შალვას მაშინვე მოეტანინებინა რაიონული ბიბლიოთეკიდან რ. მარჯანიშვილის ლექსთა კრებული და რაღაც ორიოდ დღის შემდეგ, როცა საღამო გავმართეთ (რევაზის მშობლიურ სოფელ მელახაში). შალვა ღამბაშიძემ, როგორც „სიურპარიზი“, წაგვიკითხა ეს ლექსიც და „მირანგულა“ ზედ მიაყოლა. ამ ამბავმა სენაეთში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

არანაკლებ გამაყვირვა შალვა დღაიანმაც. მან ზეპირად წარმოსთქვა რამდენიმე სტროფი ოთარ ჭელიძის ლექსიდან და ამით დაამტკიცა, რომ მასში პოეტი ჯერ კიდევ არ იყო „ჩამქრალი“.

ვ. ვახტანგის პიესის წარმოდგენაზე სახსოვრო შეხვედრის შემდეგ, შევხვედრებოდით სცენაზე მხოლოდ ერთხელ (გახლავდა) მისი მტრისა და შილერის პიესის, „მარია სტიუარტის“, ვ. ყუშიტაშვილისეული დადგმის დროს. სპექტაკლის პრემიერა II მაისს შედგა. შალვა ღამბაშიძემ, მიუხედავად თავისი მაღალი არტისტიზმისა, აშკარად დაღლილი ჩანდა... და არც თუ უმიზეზოდ: ორი დღის შემდეგ იგი უკვე საავადმყოფოში იწვა, ხოლო კიდევ ხუთი დღის შემდეგ სამუდამოდ შეწყდა მისი მოსიყვარულე და კეთილშობილური გულის ძეგრა.

...იმის წინა ზაფხულს კი ჩვენი ბრიგადის წევრები მზიარულად ვემშვიდობებოდით ერთმანეთსაც და სამუდამოდ გულში ჩაბეჭდილ სენაეთსაც.

პირველი შალვა გავიტყუებო. იგი ჩქარობდა, რადგან თავისი ერთადერთი ქალიშვილი, ნანა, რომელიც სიცოცხლეს ერჩია და ამიტომ მისი „დალაღატება“ არც წარმოედგინა, გაგრაში უნდა წაეყვანა. „რიცაზე, სასტუმროში ნომერი მაქვს შეგულებული“ და არ უნდოდა საყვარელი ქალიშვილი გაეწიებინა.

შემდეგ კი ნელ-ნელა ყველანი გაეიკრიფეთ. მხოლოდ შალვა დადიანი დარჩა კიდევ ცოტახნით სენაეთში.

აბა, მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ სულ რაღაც ოთხიოდე ზაფხულის შემდეგ ორივე ჩვენი საყვარელი მეგზურიდან, ორი შალვასაგან, აღარც ერთი აღარ იქნებოდა ცოცხალი...



„მ. გორკი — ქართული ლიტერატურის მემკვიდრე“

მაქსიმ გორკი ა. პუშკინის მსგავსად ეუთონის იმ დიდ აღმამანთა რიცხვს, რომელთა შესახებ ყველა ეპოქის შთამომავლობას ექნება სათქმელი. მ. გორკი გასცდა ერთგული მნიშვნელობის ფარგლებს და თავისი მდიდარი, ამოუწერავი შემოქმედებით მთელი კაცობრიობის ყუთენილება ვახდა. სწორედ ამით იხსენება გამოკვლევათა სიმრავლე მთელ ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით კი საქართველოში.

მ. გორკის შესახებ დაიწყო წერა მისი საშვირო ასპარეზზე გამოსვლის დღიდან. მ. გორკის შემოქმედების ცალკეული მხარეების გამოკვლენასა და ფაქტების სისტემატიზაციის საქმეში ბევრი ვააკეთეს ჩვენმა ცნობილმა მეცნიერებმა ე. იმედაძემ, ლ. ასათიანმა, ა. ნიკოლაძემ, ვ. შადურმა, ბ. პირაძემ, გ. ცოცხალია, გ. გვენეტაძემ, ა. ნემსაძემ და სხვებმა. მათ მიერ გამოთქმული დებულებები აქვამდაც აღიარებულია გორკმცოდნეობაში. მათი მეშვეობით ქართველი გორკმცოდნეობა საყოველთაოდ ცნობილი გახდა და შესანიშნავ მოვლენად გადაიქცა საერთო ლიტერატურათმცოდნეობაში.

პროფ. გ. გვენეტაძის წიგნი „მ. გორკი — ქართული ლიტერატურის მემკვიდრე“ თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების მეტად საინტერესო მოვლენაა. მასში ახლებურად და ღრმადაა განხილული „მ. გორკი და საქართველოს“ პრობლემები. მოცემულია ფაქტების მეცნიერული გაშუქება. წინამდებარე სარეცენზო წიგნი შედგება ავტორის მრავალი წლის ნაყოფიერი ძიებისა, რომელიც ეფუძნება მრავალრიცხოვან საარქივო მასალებს, ხელნაწერ და ენრალ-გაზეთებში მოთავსებულ წერილებს, რომელთა შორის ზოგი მანამდე სრულად უცნობი, ზოგიც ნაკლებად ცნობილი იყო.

წიგნი თანმიმდევრულად და დამაჯერებლადაა მოთხრობილი მ. გორკის იმ დიდ ინტერესზე ქართველი ხალხის ელტურისადმი (სიმღერები, ცეკვები, ძველი ზურთთმომღერება და

სხვა), რომელსაც მწერალი ამგვანებდა ლიტერატურული მოღვაწეობის მთელ პერიოდში. წიგნის ავტორი ამ საკითხის გასარკვევად იყენებს უამრავ მონაცემებს და ფაქტობრივ მასალას.

წიგნში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი მ. გორკის მოღვაწეობას ქართველ მწერალთა ნაწარმოებების რუსულ ენაზე თარგმნისა და ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში. გ. გვენეტაძის მიერ მოპოვებული დოკუმენტები ნათელყოფენ, რომ მ. გორკის სოციალისტური ბოლო წლებამდე დიდად ინტერესებდა ძველი და მდიდარი ქართული კულტურა.

წიგნის ღირსება ის არის, რომ მასში თავმოყრილია, განხილული და გამოკვლეულია უამრავი ახალი, მანამდე უცნობი მასალა, რომელიც ავტორს გარკვეული სისტემით მოეცა და მეცნიერულად დაუმუშავებია. ავტორის მიერ მოტანილი ზოგიერთი მონაცემები ადრეც ნაწყვეტების სახით იყო ცნობილი და ცალკეულ ნაშრომებში გამოყენებული. წიგნი ისინი ასლებურადაა წაკითხული და გაგებელი, მოცემულია „დაუქუცმავებლად“.

გ. გვენეტაძე საინტერესოდ და მასშტაბურად მოგვიხსრობს „ქართულ კრებულებზე“, რომელთა მეშვეობითაც რუსი მკითხველი წერკითხვე რეალურად იხილავს უნდა გასცნობოდა ქართული ლიტერატურის ნიმუშებს. ავტორი გვაცნობს დიდი მწერლის ბრძოლის ეტაპებს ქართველი მწერლების საეკეთესო ნაწარმოებთა შერჩევის, თარგმნის, რედაქტირებისა და დაკომპლექტირებისათვის.

რუსეთის იმპერიაში შეშავალი ხალხების ლიტერატურულ ნაწარმოებთა კრებულების სისტემატიური გამოცემა დიდი პროლეტარული მწერლის ერთერთი წამოწყებათაგანია. მან ბევრი რამ ვაკეთა ამ ხალხების ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის. ქართველ საზოგადოებასაც აღმოაჩინდა ქართველი ავტორების რუსულ ენაზე მთარგმნელები. მ. გორკი მთელი გულმოდგინებით ზრუნავდა ერთგული მწერლების ნაწარმოებთა კრებულების გამოცემაზე და სწორედ ამ გზით აღწევდა ხალხის სული-

ერ დაახლოებას. სამწუხაროდ, კრებულები ობიექტური მიზნების გამო არ გამოცემულა. მათი შედგენის ისტორია კი არასოდეს ინტერესმოკლებული არ იქნება. მიუხედავად, რომ მ. გორკომ ინციდენტის ბეგრის მიმდევარი გამოუჩნდა და ვასშირდა ქართული მწერლების თხზულებათა რუსულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნება.

ავტორს ცალკე არ გამოუცვლევია ეროვნული საკითხი მ. გორკის შემოქმედებაში, მაგრამ ამ დებულებაზე ნათელ და სრულყოფილ წარმოდგენას ვვაძლევს დიდი ჰუმანისტის პოზიციაზე ხალხთა უფლებების შესახებ რევოლუციის წინა პერიოდში. 1913 წ. შვარცშელთა მომძლავრების ეპოქა მ. გორკიმ მათ უდიდეს საქმიანობას დაუპირისპირა სულიერი დაახლოების იდეა, იგი გადამტრია გამოხდა ხალხთა ვათამეშას. მათ შორის ნაციონალური შედღის გაღვივებას და გახედულად ქადაგებდა ერთა თვითგამორკვევის უფლებებს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მწერლის წყარო ნ. კანდელაკისადმი, რომელმაც მთელს რუსეთში დიდი რეზონანსი მკოვა.

წიგნის ღირსებად უნდა ვაღიაროთ ავტორის თავისებური „უნდობლობა“ ადრე დადგენილ ფაქტებისადმი, თარიღებისა და დებულებებისადმი, მისი მისწრაფება მრავალმხრივ გადასინჯის მწერლის საქართველოსად ურთიერთობის დამამსტრებელი მასალები გ. ვენეტაქემ დაახუსტა და შესწორება შეიტანა მრავალ მოწაკემებში, რომელიც გვხვდება ბალუხატის, პეტანოვის, ა. ნიკოლაძისა და სხვათა შრომებში. შემდგომში ი. გვენეტაქის მიერ მიკვლეული უხუცესობათა გათვალისწინება აუცილებელი შეიქნა თვით მ. გორკის თხზულებათა აკადემიური გამოცემის დროს.

წიგნი ავტორი მსჯელობს და აანალიზებს ცნობილ ქართულ მწერალ დ. კ. შალაშვილსა და სს. კონდურტსკის მიმოწერას. აღნიშნულ დოკუმენტებში გასანილია მ. გორკისთან დაკავშირებული საკითხები და შექვი ეფინება ქართული ლიტერატურის ბეგრის საინტერესო პრობლემას. ამ დოკუმენტებით დასტურდება ქართული და რუს მწერლებს შორის არსებული კონტაქტები. ამ მიმოწერას ის მნიშვნელობა ექვს, რომ იგი ადართოვებს კვლევის არეს.

რადგანაც ახლა უკვე წიგნისაცვება და სხვა წყაროებში შესაძლოა არ მოიპოვებოდეს უცნობი მასალები, ამიტომ საჭიროა ძიება წარმართის სხვა მიმართულებით, კერძოდ, ცალკეულ მოღვაწეთა პირად არქივებში, რომლებიც გაამდიდრებენ ჩვენს წარმოდგენას. სწორედ ასე იქცევა სარეცენზიო წიგნის ავტორი. ა. პუშკინის შესახებ მონაცემები აღმოაჩინეს იმპერატორ ნიკოლოზ I შეუღლის ქალაქებში. იგივე შეიძლება ითქვას დ. შალაშვილის არქივზე, რომელშიც ძვირფასი ცნობები აღმოჩნდა. თვითონ შალაშვილმა ენერგიულად გააგ-

რძელა მ. გორკისა და ნ. კანდელაკის მიერ დაწვებული საქმე, რათა ქართველი ავტორების ნაწარმოებები რუსულ ენაზე გამოცემულიყო. მწერალი ქალი დ. შალაშვილმა სრულს ენაზე წერდა ქართული ხალხის ცხოვრების ამსახველ მოთხრობებსა და ნარკვევებს, რომლებმაც იმ დროს ფართო აღიარება მკოვეს.

პროფ. ვ. შადურას შრომაში დაწერილობათა მოთხრობილი, თუ როგორ გაეცოდა დიდი რუსი პოეტი საქართველოს, რა წიკითხა მან საქართველოს შესახებ. ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა გ. გვენეტაქის წიგნი მოტანილი ცნობები. მ. გორკის ქართული ლიტერატურის ნაწარმოებების (სულხან საბას) გაყენობის ისტორია, 1918 წ. მ. გორკის რედაქციით გამოცემულ „მსოფლიო ლიტერატურის“ აღმანახში მოთავსდა შოთა რუსთველის პოეზიდან კ. ბალმონტის მიერ თარგმნილი ნაწყვეტი. ავტორი აღგვის, რომ რუსთველის ბიბლიოგრაფიაში ეს პუბლიკაცია არაა მართებული.

წიგნი მ. გორკის კონტაქტები ქართული ლიტერატურის წარმომადგენლებთან განხილულია რეკოლუციის შემდგომ. კვლევით დადგენილია, რომ მ. გორკი გულმოდგინედ ზრუნავდა ქართულ საბჭოთა მწერლობის ნაწარმოებთა თარგმანზე, მონაწილეობდა „ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ მომზადებასა და გამოცემაში, გამოთქვამდა აზრს, რომ ამ გამოცემას თეორიულ საფუძვლად უნდა დასდებოდა ინტერნაციონალიზმი. თუმცა ეს ანთოლოგია ცოტა მოგვიანებით გამოვიდა, მაგრამ მის გამოცემაში გარკვეული წვლილი შეიტანა მ. გორკიმ. მწერალმა წვლილი შეიტანა აგრეთვე რუსულ ენაზე მრავალ ქართულ მწერალთა ნაწარმოებების ცალკე წიგნად გამოცემაში, 1933-1936 წლებში.

წიგნი უხვადაა მასალა, რომელიც ადასტურებს მ. გორკის დიდ უფრადღებს ეროვნული ენის განვითარებისადმი, მათ შორის ქართული ენის სიწმინდისადმი, რომ დიდი მწერალი ხაზს უსვამდა როგორც მთარგმნელებისა და ყველა კულტურის მოღვაწის მიერ რუსული ენის ზედმიწევნით, აგრეთვე სსრკ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხების ენის ცოდნის აუცილებლობასაც. მათ შორის ქართული ენისაც. 1896 წელს კი მ. გორკი წერდა: „კავკასია წარმოადგენს ენების ბაბილონურ შერევათა ნათელ სწრაფს და იმისათვის რომ მართლმწაყულების წარმომადგენლებს შეეძლოთ ხალხთან ახლოს დგომა, ისინი უნდა დაპირებოდნენ სომხურად, ქართულად, თათრულად, უნდა იცოდნენ მეგრული, სვანური, ფშავური... თუ შური და სხვა ენოლოგიი“. არ შეიძლება მკითხველის განცდილება არ გამოიწვიოს მ. გორკის ცოდნამ.

უნდა აღინიშნოს წიგნის ზოგიერთი ნაკლი: უხერხულად გვეჩვენება წიგნის დაწყება მ.



გორკის დამოკიდებულების გაშუქებით ქართული კულტურის გამოვლინებისადმი (სიმღერები, ცეკვები და სხვ.). ჩვენის აზრით ამ მონაცემებს პერიფერიული ადგილი უნდა დათმობოდა ნაშრომში. მეორეს მხრივ სწორედ ეს საკითხები არასრულყოფილად გამოკვლეულა.

მ. გორკის საქართველოსთან ურთიერთობის ამსახველი მასალები წიგნში გადმოცემულია 1935 წლამდე. რატომ არ შეიძლება გადატვირთულიყო გორკის ტრადიციების სკოლა

დღევანდლამდე? ისიც ხომ მ. გორკის დამახსებრებაა, რომ რუსულ ქვეყნებში სიტყვიერი სიტყვის ოსტატებმა მისი ნაწარმოებები სისტემატიურად ითარგმნება.

საინტერესო ფაქტების სიუხვე და მათი უნარიანი ანალიზი აუცილებლად დაინტერესებს მკითხველს. სამწუხაროდ, წიგნი გამოცემულია მცირე ტირაჟით და ფართო მკითხველისათვის, განსაკუთრებით სხვა რესპუბლიკებში მიუწვდომელი იქნება.

დ. თუხაიალი

ქართული ლექსიკური სინონიმიკის ერთი მტკიცეული საკითხის შესახებ

ქართული ენის გამომსახველობითი საშუალებების ამოწურავ სიმდიდრეზე ბევრ ქართველ თუ უცხოელ მეცნიერს გაუმხავლობია ყურადღება. ქართული ლექსიკური მარაგის სიმდიდრე უგარბნია და განუძლია ყველას, ვისაც ამ ენაზე რაიმე შეუქმნია, რაიმე წაუკითხავს. ი. გოგებაშვილი ქართულ ენას აღარებდა კავკასიის ბუნებას, „სადაც ერთს პატარა მანძილზე პოლესი, ტროპიკი და ზომიერი სარტყელი ერთად შეყრილან. სადაც სიუხვით თოვლით შემოსილი მთის წვერები ზევიდან ძირს დასცქერაან: ბროწეულს, ლელვს, ვაზს, ლიმონს, ფორთოხას“¹. ამ თვალწარმტაცი პეიზაჟის მტკელ თავისებურ და თვითმყოფად ყუთხეს წარმოადგენს ქართული ენის ლექსიკური სინონიმიკა. ერთი და იგივე საგნის აღსანიშნავად სხვადასხვა სიტყვა შექმნილია ქართლში, კახეთში, იმერეთში, ფშაველაში და ყველა მათგანს თავისებური მიმზიდველობა და სურნელი ახლავს.

განუზომელია ჩვენი ენის სინონიმიკური სიუხვე, თუმცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართული ენის ლექსიკური მარაგში შემაველი ყველა სიტყვა ქართული წარმოშობისა არ არის. ზოგჯერ ხდება, რომ რომელიმე საგნის აღსანიშნავად მოგვეპოვება საერთო სიტყვა, მაგრამ სხვა ენიდან კვლავ შემოდის სიტყვა სინამდვილის იმავე ფაქტის აღსანიშნავად. ასეა მრავალრიცხოვანი სინონიმიკური წყვილები: გამარჯობა — სალაშო, მურხალი — ექიმი, სატყუარი — ხანკალი.

სესხება ლექსიკური სინონიმიკის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებაა. ეს ქვეშარტყება ყოველთვის იტოლნენ ქართული ენის მესვეურებმა. 1903 წელს გაზეთი „ვერია“ მკითხველს მიმართავდა:

„ბევრი ისეთ უცხო სიტყვაც არის, რომელიც საყოველთაოდ მიღებულია მთელს კაცობრი-

ობაში და იმათი დევნა მწერლობიდან რა ქუთაში მოსასვლელი იქნება?... უცხო სიტყვების ზომიერი ხმარება თქვენს ენას ვერას დააკლებს, ვერ შეშლავს“².

სესხების გზით ქართული ენის ლექსიკური სინონიმიკის გამდიდრებას მზარს უტყარდნენ ი. ჰაქევაძემ, ა. წერეთელიმ ამავე აზრს რხარებენ თანამედროვე ქართველი ენათმეცნიერები. ქართული ენის ლექსიკონებში უხეადაა წარმოდგენილი ქართული სიტყვების ინტერნაციონალური შესატყვისება.

მაგრამ სესხების გზით წარმოქმნილ სინონიმურ წყვილს აქვს ერთი თავისებურება, რომელზედაც პირველად მ. ძიმიტოვა გაამახვილა ყურადღება: „ამ ფორმელის მიზანია, — წერს იგი, — გააგრძელოს უცხო ტერმინი, ერთგვარად განმარტებლის ფუნქცია იყოს არის ადგილობრივმა ეკვივალენტმა უცხოურ სიტყვის მიმართ, შემოიყვანოს“ იგი ახალ ენობრივ სინამდვილეში და როდესაც უცხოური სიტყვა მოქალაქეობრიობას მოიპოვებს „მიღება“ ენაში, შემდეგ ჩამოსცილდება მას ეს „გზირი“ სიტყვა“³.

როგორც ქართული ენის ლექსიკური მარაგზე დაკვირება მოწმობს, ეს „მოქალაქეობრიობა“ ხშირად ძალიან შორს მიდის. ნასესხებ ფუნქციურად არა თუ უტოლდება მიმდები ენის სიტყვას, არამედ თანდათანობით ავიწროებს დამხდურის მოხმარების სფეროს და დროთა განმავლობაში მოიპოვებს ხოლმე კიდევ სრულ ბატონობას სინონიმურ რიგში.

1 ივერია, 1903 წ., № 261.
2 ი. ჰაქევაძე, თხულებათა სრული კრებული, ტ. V, გვ. 52-53.
3 ა. წერეთელი, თეორი კრებული, ტ. V, გვ. 15-16.
4 მ. ძიმიტოვა, სიტყვის სესხება, მნათობი, 1947 წ. გვ. 137, მისივე, ცნება სინონიმური პარალელიზმისა, მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1941 წ. ტ. 11, № 7, გვ. 692.

1 ი. გოგებაშვილი, ბერძი, ეროვნების, ტფილისი, 1903, გვ. 7.

ამ შეიდიოდე წლის წინათ ა. შანიძე გულის-ტკივილით მოუთითებდა რომ არაბულ-სპარსულმა ლოთმა უკვე საეხებით გამოარჯვა ქართული წარმოშობის მსმელზე, მოსმურზე, მემთერალზე, ხოლო სპარსულმა თანჯარამ ლამის საეხებით ვანდევნოს ჩვენი ენიდან სარკმელი. ასევე შემოფოთებით ადევნებდა თვალს ე. თოფურია, თუ როგორ თანდათანობით დევნიდა საშუალ საუფუნებში ნასესხები სუფთა ქართულ წმინდას და მოუწოდებდა მკითხველთ, არ დაეკარგათ საქარო სიტყვა.¹

ზნირი გამოყენებისას სიტყვას ძირითადი მნიშვნელობის გვერდით უჩნდება დამატებითი მნიშვნელობანი, რაც შემდეგში განაპირობებს მის სრულ ბატონობას სინონიმურ რიგში.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით სიტყვა ნიადაგი დედამიწის ქერქის ზედა შრეა, რომელშიც მცენარე უფლებს იდგამს, მის სინონიმად კი მიხნეულია რუსული ენის მეშვეობით შემოსული გერმანული სიტყვა გრუნტი.

მაგრამ ამა ვადავაგლოთ თვალი თანამედროვე სპეციალურ თუ მხატვრულ ლიტერატურას: „სიძირკლისათვის გრუნტი არასამედო აღმოჩნდა“, „გრუნტის წყლებმა მშენებლობა შეაჩერა“. ისე შევეჩვიეთ ასეთ გამოთქმებს, რომ თითქოს გვეუხერხებულა კიდევ მსგავს შესიტყვებებში ნიადაგის ზმარება. ესე იგი, გრუნტმა მნიშვნელობის დამატებითი ნიუანსები შეიძინა - დღევანდელი გაგებით, გრუნტი და ნიადაგი დედამიწის ქერქის ზედა შრეა. მაგრამ მნიშვნელობის მოცულობის მხრივ გრუნტის ვერტიკალური კრალი ნიადაგის ვერტიკალურ კრილზე მეტია. მცენარე უფლებს იდგამს ნიადაგშიც და გრუნტშიც, მაგრამ სიძირკლისათვის ნიადაგი უკვე საკმარისი არ არის, ის გრუნტში უნდა გაიჭრას.

მეორე ასაკის მამაკაცის აღსანიშნავად ქართულში რამდენიმე სიტყვა იხმარება: ყმაწვილი, ბავშვი, ყრმა, ბიჭი, მოზარდი, ჭველი, მოყმე, კაბუჯი, ახალ-ჯარსი და. ეს სინონიმური რაგი მდიდარია და თავისუფლად შეგვიძლია სიტყვის შერჩევა ყოველი საჭირო შემთხვევისათვის. ა. შანიძე მცირეწლოვანი მამაკაცის აღსანიშნავად ვვიჩნევს უპირატესად ყმაწვილი გამოთქვანათ მაგრამ ჩვენს სპორტულ შიმშილიდებლებს მაინათ, რომ ყველა ეს ტერმინი „ვახუტებულა“ და „დრომოტმულია“. მოვლსობით მათ: „ამ სამიოდე წლის წინათ საქართ-

ველოს იუნიორმა ხუთმოდელმა გამარჯვება მოიპოვეს“. ამ ახალგაზრდას ნასესხობით ავრელებულია ჩვენი ტერმინული უფლების სპორტული სარდაფები. რატომ? რა უპირატესობა აქვს მას ზემოთმოთვლილ სიტყვებთან შედარებით?

ჩვენი ლექსიკონების მიხედვით სინონიმურ სიტყვებდაა მიხნეული სათადარიგო, მონაცვლე, დუბლიორი, სამარქაფო, სარეზერვო, მაგრამ თუ — „დუბლიორმა“ 1973 წლის ნომრებს გადაეკლებთ თვალს იქ ხელი თვის მანძილზე (ინფორმაციის) ოთხჯერაა სიტყვა სათადარიგო ნახმარი, სხვა შემთხვევებში კი — „დუბლიორებმა მოიგეს“, „დუბლიორებმა წააგეს“. რატომ უნდა ვანდევნოს ქართული სპორტული ტერმინოლოგიიდან დუბლიორმა ამ სინონიმური რიგის სხვა სიტყვები? რით სჯობს იგი მათ?

აღ. ნეიშანის განმარტებით, ქარისკაცი, მეომარი და წითელარმიელი სინონიმებია. მაგრამ 1959-1960 წწ. ლექსიკონებში გამოჩნდა ქართული ასოებით დაწერილი სალდათი და პრესაში ფართოდ გაეხსნა გზა ამ ნასესხობას. მართალია, ეს სიტყვა ქართულ ლიტერატურაში აქამდე მანამდე იხმარებოდა, მაგრამ ახლა მისი გამოყენების მასშტაბები სწრაფად გაიზარდა. 1971 წელს ქურნალის მარტო ერთ ნომერში (მნათობა № 3) შეიღწერა ნახმარი ეს იტალიური წარმოშობის სიტყვა. გაუგებარია, რატომ ვხვდებით ასე ხელგაშლით ყოველივე უცხოურს, როცა ჩვენს საქმოდ მოგვეპოვება? ქართულმა ქარისკაციმა, მეომარმა, მოლაშქრემ საუბრეებს გაუძლეს და ახლა ასე მოყრბადებულად რატომ უნდა დაუთმონ გზა სალდათს? ლექსიკონში რომელიმე ინტერნაციონალური ტერმინის გარეშა ზომ არ ნიშნავს სინონიმურ რიგში მის სრულ გაბატონებას და ადგილობრივი შესატყვისების საეხებით მივიწყებას?

ეს სხება ენის განვითარებით გამოწვეული კანონზომიერი მოვლენაა. დუბლიორიც უნდა ეიხმაროთ, გრუნტიც, გროსმაისტერიც და ასე შემდეგ. მაგრამ — ზომიერების დაცვით. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისინა ნასესხები სიტყვებია. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ საკუთრივ ქართული ლექსიკონი მასალა იმდენად ჯადოსნური და ყოვლისშემძლეა, რომ მით შეგვიძლია „მახტარონის“ უმტკიცესი კედლებიც ავაგოთ და „ნიკორწმიდის“ ჩუქურთმისანი თაღებიც.

¹ ა. შანიძე, ქართული ენათმეცნიერების პრაქტიკული საკითხები, სახალხო განათლება, 1965 წ., 3 მარტი.

² ე. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, 1965 წ. გვ. 75-78.

0 7
3560 80 333.



ИНДЕКСИ
76128101933

„МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ